

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მერაბ ბერიძე, ინგა ლუტიძე, როინ ყავრელიშვილი,
ხათუნა გაფრინდაშვილი, მათა ბალასანიანი,
მაკა ბერიძე, კუკური მეტრეველი, ნინო ხაზალაშვილი

ჯავახეთის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი

გამომცემლობა „ნათლისმცემელი“

თბილისი

2023



მონოგრაფია იბეჭდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკური მასალის კვლევა და დოკუმენტირება“, ფარგლებში. პროექტის შიფრი: SL - 22 – 529.

რედაქტორი: **ჯაბა სამუშია**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

რეცენზენტები: **მერაბ ჩუხუა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მარინა ბერიძე, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ფოტოები კუკური მეტრეველისა.

გარეკანზე ყაურმის (ტონთიოს) XI საუკუნის ტაძრის სარკმელი.

სარჩევი

მერაბ ბერიძე	5
• ჯავახეთი (გეოგრაფიული ტერმინები და საზღვრები)	5
• მითოლოგიური გმირი და ამირანის გორა.	17
• აზერბაიჯანული ეპოსის გმირის სახელი ქართულ ტოპონიმიში	24
• ფარავნისა და თავფარავნის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის (სოფლის, ტბის და მდინარის სახელთა დაწერილობისათვის) ...	26
• ყულ - ფუძიანი სახელები საქართველოში (ყულალისი)	38
• XI საუკუნის ანთროპონიმები ფოკანის ტაძრის ეპიგრაფიკის მიხედვით	42
• გვარ-სახელები განძანის ქართულ ტაძართა ეპიგრაფიკის მიხედვით	51
• სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ტოპონიმის დაწერილობისათვის	63
• სათხის ტაძრის ეპიგრაფიკა, როგორც დამოკიდებულების სიმბოლო	71
როინ ყავრელიშვილი	85
• სამცხე-საათაბაგო (ახალციხის საფაშო) თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში (მოკლე მიმოხილვა)	85
• სომეხთა შემოსახლების საკითხი სამცხე-ჯავახეთში 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით)	128
ხათუნა გაფრინდაშვილი	161
სომხური საისტორიო წყაროები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის შესახებ	
მაია ბალასანიანი	179
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ხუთტომეულის მიხედვით	
მერაბ ბერიძე, დარია სტრუკოვა	190
დუხობორები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში	

ინგა ლუტიძე	200
ენობრივი ვითარება ჯავახეთში (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)	
მაკა ბერიძე	260
ეკოლოგიური მიზეზით გამოწვეული მიგრაციის საკითხები და აჭარელი ეკომიგრანტები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში	
სამონასტრო ცხოვრება	283
ფოკანის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი	
მამა ალექსანდრე	290
<ul style="list-style-type: none"> • წმ.იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის სახელობის მამათა მონასტერი • წმინდა თამარ მეფის სახელობის საღამოს დედათა მონასტერი • ნინოწმინდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი 	290 290 291
მეუფე სერაფიმე	294
ფოკანის მამათა მონასტერი	
თეა ცაგურიშვილი	296
ფოკას (მარკოზია) მოგონებები	
მამა პაისი	298
მონასტერი	
კუკური მეტრეველი	299
ჯავახეთის მეგალითები	
ნინო ხაზალაშვილი	339
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია რუკების მიხედვით	
გამოყენებული ლიტერატურა	352
რუკები	366

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი

(გეოგრაფიული ტერმინები და საზღვრები)

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ჯავახეთში. მისი ნაწილი ეკუთვნის თრიალეთს. ამ დროს მნიშვნელოვანია ისტორიული ფაქტორი. საქართველოს „ქვეყანათა“, ე.ი. კუთხეთა საზღვრებისა და ფართობის განსაზღვრისათვის გათვალისწინებულია როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე მდგომარეობა. ისტორიულ მონაკვეთში იცვლებოდა ეპოქების მიხედვით საზღვრები ამა თუ იმ „ქვეყნის“ პოლიტიკური გაძლიერების ან დასუსტების შესაბამისად. „მაგრამ არსებობდა მაინც თითოეული ქვეყნის მუდმივი მკვიდრი საზღვრები, რომელთა შუა იყო ხოლმე იგი შემოფარგლული. საქმე ამ მუდმივი საზღვრების გამოკვეთაა იმ **ისტორიული ხანისათვის**, რომლის შესწავლაც ჩვენს მიზანს შეადგენს“ (ჯავახიშვილი 1965, 28). ამგვარად, ჯავახეთის ისტორიული საზღვრების დადგენა და კვლევა ისტორიულ გეოგრაფიას მივანდოთ და ჩვენ ვისაუბრებთ მისი თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ე.ი თანამედროვე „ისტორიული ხანის“ შესახებ. ისტორიული გეოგრაფიიდან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა დროს ჯავახეთი იწოდებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციული ტერმინის შემადგენლობაში, კერძოდ, ის იყო მესხეთის ნაწილი, ტაო-კლარჯეთის, სამცხე-საათაბაგოს, მესხეთ-ჯავახეთის ნაწილი, ხოლო დღეისათვის იგი შედის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით სამცხე-ჯავახეთის მხარის შემადგენლობაში. სამცხე და ჯავახეთი ოდითგანვე და დღესაც არსებობდნენ და არსებობენ გვერდიგვერდ, როგორც საქართველოს კუთხეები, „ქვეყნები“, სამცხეში ვგულისხმობთ მის ვიწრო მნიშვნელობას. სამცხე ფართო მნიშვნელობით იგულისხმებოდა მესხეთად. ამგვარად, სამცხეს, როგორც ტერმინს, ორი მნიშვნელობა ჰქონდა (შდრ. სამცხე - საათაბაგო), ამიტომ საინტერესოა პირველ რიგში საზღვარი მათ შორის. ქვეყნების ან ქვეყნის შიგნით კუთხეთა საზღვრები უმთავრესად განპირობებულია გეოგრაფიული ფაქტორით, რასაც შეიძლება დავამატოთ პოლიტიკური ფაქტორიც. გასათვალისწინებელია დემოგრაფიული ფაქტორიც. როდესაც ვსაუბრობთ სამცხეზე და ჯავახეთზე, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულზე, პირველ რიგში მის ისტორიულ მხარეს ვითვალისწინებთ, როგორც საქართველოს სახელმწიფოში მის გამორჩეულ როლს, რაც გამოხატულია კულტურულ-ისტორიული და ეკონომიკური ფუნქციით ჩვენი ისტორიის ყველა ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ისტორიული წყაროების მიხედვით ჯავახეთის

საზღვრები ცვალებადია, „მაგრამ ფიზიკურ-გეოგრაფიული ჯავახეთი უნდა მოიცავდეს ჯავახეთის ზეგანს. სამცხე-ჯავახეთის მხარეები მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ყოველ მხრივ გამოკვეთილი რეგიონებია. ადგილობრივ მოსახლეობაში ვარძია, ნიალა, ხერთვისი და სხვა, მესხეთის შემადგენლობაში ითვლება. ამდენად, ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის - ჯავახეთის საზღვარი რამდენადმე ემთხვევა ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს“ (ხარაძე 2000, 14). ეს არის ჯავახეთის თანამედროვე გააზრებაც. როდესაც საუბარია მკვეთრად გამოკვეთილ მხარეზე, იგულისხმება კლიმატური და გეოგრაფიული პირობები. ჯავახეთი, როგორც ისტორიული მხარე და მთავარი ტოპონიმი შედის ისეთ გეოგრაფიულ სახელთა შემადგენლობაში, რომელთა მეორე კომპონენტი არის გეოგრაფიული ტერმინი, კერძოდ: **ზეგანი** და **ქედი**. ჯავახეთის ზეგანი, რომელშიც „გაბატონებულია 1500-2220 მ. სიმაღლეზე აზიდული ვაკეები, რომლებიც გართულებულია ტბიანი და ჭაობიანი ტაფობ-ქვაბულებითა და მდინარეთა კანიონისებრი ხეობებით“ (ქ.ს.ე. 1987, 525). **ქედი**, ისევე, როგორც სხვა გეოგრაფიული ტერმინები, გამოირჩევა სპეციფიკით, რადგან „ქედი“ ჰქვია „გადაბმული მთების მწვერვალს“. „იმისდა მიხედვით, თუ რა სიმაღლისა იყო თვით მთა, ქედებიც ხან მაღალნი იყვნენ, ხან დაბალი“ (ჯავახიშვილი 1965, 8). ქედისათვის, რადგან მთავარი მახასიათებელი არის **„გადაბმული მთები“**, სწორედ ამ გადაბმული მთებით არის შემოსაზღვრული ჯავახეთი. „ჯავახეთის ქედის ჩრდილო ნაწილი მდებარეობს საქართველოს ფარგლებში, ხოლო სამხრეთი ნაწილი - სომხეთში (ქ.ს.ე. 1987, 525). ჯავახეთის ქედი, როგორც ამონარიდებიდან ჩანს, საქართველო-სომხეთის საზღვარზეა. ჯავახეთში არის კიდევ ორი ქედი- **სამსარისა** (სამსრისა) და **ჩრდილის** ქედი (სამცხე-ჯავახეთი 2016, 5). **ზეგანიცა** და **ქედიც** გამოყენებულია თავდაპირველად როგორც გეოგრაფიული ტერმინი, ხოლო ნომინაციის შემდეგ, როდესაც კომპოზიტები მათი შემადგენლობით მოხვდა, დაფიქსირდა რუკებზე, იქცა ტოპონიმად.

არის კიდევ ერთი ტოპონიმი, რომელიც შედარებით გვიან შექმნილი ჩანს. მის შემადგენლობაში არის გეოგრაფიული ტერმინი - **პლატო**, ახალქალაქის პლატო - ასე ეწოდება პლატოს სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის ცენტრალურ ნაწილში. შემოფარგლულია თრიალეთის, აბულ-სამსარის, ჯავახეთისა და ნიალისყურის ქედებით და ზემომტკვრის ხეობით, ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრი (ქ.ს.ე. 1977, 97). მოყვანილი მასალის მიხედვით თითქოს **პლატო** და **ზეგანი** ფარავს ერთმანეთს. მოვიყვანთ თითოეული ტერმინის განმარტებას მეტი სიზუსტისათვის: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ზეგანი არის „ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე“. ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეორე განმარტება, რომელიც ეძღვნება გეოგრაფიულ ტერმინს: **„ვაკე“** (ან მცირე

გორაკები) ადგილი ზღვის დონიდან 200 მეტრის (და მეტ) სიმაღლეზე“ (ქეგლი 1955, 111), ხოლო არის „გეოგრ. ზღვის დონიდან მაღლა მდებარე ვაკე, რომელიც ფერდობებით უერთდება დაბლობ ადგილებს“ (ქეგლი 1960, 240). მართლაც **ზეგანსა და პლატოს** შორის დიდი განსხვავება არ არის. თანამედროვე ჯავახეთს უფრო ემთხვევა **ახალქალაქის პლატო** თავისი ზემოთ მითითებული ქედებითა და მთებით. ტოპონიმთა სახელდების სოციალური და გამორჩევითობის საფუძველი ზოგჯერ ხელოვნურ ხასიათს ატარებს. როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ დენოტატის სახელდების აუცილებლობას და სხვათაგან გამოარჩევს მთავარი ორიენტირი, ჩვენს შემთხვევაში **ჯავახეთი და ახალქალაქი**. უფრო ბუნებრივი ჩანს ჯავახეთის ქედის პარალელური სახელი - **სველი მთები**, რომელიც ობიექტს ახასიათებს არა რელიეფისა ან გეოგრაფიული კუთხის კუთვნილებით, არამედ სხვა ნიშნით, გამოარჩევს მთებს, როგორც სველს (შდრ. **ჩრდილის** ქედი). ამ მხრივ საინტერესოა **სველი ხევი**, „სუელი ხევი“ (ვახუშტი 1973, 666). მიუხედავად იმისა, რომ ხევი მისი წყლიანობის გამო ისედაც სველია, სახელი გახაზავს, მის განსაკუთრებულ თვისებას, როგორც ხევისას. სველი ხევის საპირისპიროდ გვაქვს მშრალი ხევი, რომელიც სემანტიკურად ბევრად უფრო ადვილად აიხსნება, რადგან იგულისხმება უწყლო ხევი. სველი მთების საპირისპირო „მშრალი მთები“ ან „მშრალი მთა“ არ გვხვდება. ჯავახეთის ტოპონიმთა დიდი ნაწილი მას შემდეგ, რაც აქ შემოასახლეს სომეხი და რუსი მიგრანტები, ითარგმნა თურქულად და რუსულად. თურქულად იმიტომ, რომ მიგრანტ სომეხთა მეტყველება მდიდარია თურქული ლექსიკით. რუსებმა სწორედ თარგმნეს ქართული **სველი მთები** და მას უწოდეს „**მოკრიე გორი**“. თუ რა სისველეზეა საუბარი, რთული ასახსნელია. **ჯავახეთის ზეგანი**, ანუ **ახალქალაქის პლატო** შემოსაზღვრულია ზემოთ აღნიშნული ქედებით. ყველა ესენი ერთად კი ისტორიულად იწოდებოდა ჯავახეთის მთებად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „სამცხის მთების გასწვრივ სამხრეთით მდებარეობს „მთანი ჯავახეთისანი. ეს მთები არტყია ფარავნის ტბას. შატბერდისეული „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ საქართველოს განმანათლებელი მოგვითხრობს: „წარვედ მათათა ზედა ჯავახეთისათა და მივემთხუიე მათათა ზედა ტბასა დიდსა..., რომელსა ერქუა ფარავნა“.

ბაგრატიონთა მემკვიდრე სუმბატის ანოტ კურაპალატის შესახებ ამბობს: „მოიწივნესათასა ჯავახეთისასა, კიდესა, დიდისა ტბისა ფარავნისასა“. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ფარავანს აღწერს ქართლში. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი იმის მიუხედავად, რომ სუმბატ დავითის ძეც და „ნინოს ცხოვრებაც“, თითქოს ფარავანს ჯავახეთში მოაქცევს (ჯავახიშვილი 1965, 18-19). ივ. ჯავახიშვილის მიერ საისტორიო წყაროებიდან მოყვანილი მაგალითებით, თითქოს უნდა იგულისხმებოდეს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი სომხეთ-საქართველოს

შორის საზღვრის **ჯავახეთის ქედი**, ფარავნის ტბის მოხსენიებით, მაგრამ ვფიქრობთ, ჯავახეთის მთები წყაროებში ნიშნავს მთელი ჯავახეთის მთებს, მთიანეთს საერთოდ, რადგან ასე იწოდებოდა სხვა კუთხეთა მთები: აჭარის მთები, კლარჯეთის მთები, თხოთის მთები და სხვ. (ჯავახიშვილი 1965, 18-19), ხოლო, როდესაც საუბარია ერთ რომელიმე მთაზე, ის მხოლოდით რიცხვშია წარმოდგენილი, როგორც მაგალითად, „მთაჲ კახეთისაჲ“ ან „მთაჲ კოლისაჲ“ ამგვარად, საისტორიო წყაროებისა და თანამედროვე მონაცემების მიხედვით გვაქვს, როგორც **ჯავახეთის ქედი**, ისე **ჯავახეთის მთები** - კონკრეტულად ქედისა და მთლიანად მთიანეთის აღსანიშნავად.

ჯავახეთის მთები, „**მთანი ჯავახეთისანი**“, **ჯავახეთის ზეგანი**, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გეოგრაფიული ტერმინები, განსხვავდება ერთმანეთისაგან, ტოპონიმიურად ფარავს ერთმანეთს. სამართლიანად მიგვაჩნია აზრი, რომ „ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის - ჯავახეთის საზღვარი რამდენადმე ემთხვევა ჯავახეთის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს“ (ხარაძე 2000, 14). ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მონაცემებით, ახალქალაქის პლატოში შემავალი ნიალისყურის ქედები და ზემომტკვრის ხეობა ცალკე გეოგრაფიულ გარემოს უნდა ქმნიდეს და არ უნდა იგულისხმებოდეს ახალქალაქის პლატოს, ჯავახეთის შემადგენლობაში. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით არის ჯავახეთის სხვა მთებიც. სამცხის საზღვრის შესახებ იგი წერს: „აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა და მთანი **კოდიანისა, შარვაშეთისა** და საზღვარი ჯავახეთისა“ (ვახუშტი 1973, 668) **შარვაშეთის მთა** არის **იგივე ჯავახეთის მთა** ანუ **ჯავახეთის ქედი**: „ამ ჯავახეთის წყალს ერთვის გოკიის მდინარე, გამოსდის შარვაშეთის მთასა ანუ ჯავახეთისას“ (ვახუშტი 1973, 66). კიდევ ერთი მდინარე გამოსდის შარვაშეთის მთას: „ბარალეთს ზეით ამ წყალს, კაჭიოს, მოერთვის აზავრეთის ხევი, გამომდინარე შარვაშეთის მთასა“ (ვახუშტი 1973, 670).

ჯავახეთის საზღვრების დადგენისას შარვაშეთის მთა თუ მთები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. „ჯავახეთის ჩრდილო საზღვარი შარვაშეთის მთაზე გადიოდა. ეს არის თრიალეთის ქედის უმაღლესი ნაწილი, რომელზეც აღმართულია საყველოს, ყარაყაიას (შავი მთის -მ.ბ.), ცხენისწყაროს, სანისლაოს და სხვა მწვერვალები. ახლა ამ ნაწილს ციხისჯვრის ანუ ბაკურიანის მთები ჰქვია“ (ხარაძე 2000, 13).

მთათა სახელები შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, რა შემორჩა მოსახლეობის ხსოვნას, რაზეც დიდ გავლენას ახდენს ისტორიული კატაკლიზმები, მიგრაციები და ადმინისტრაციული ცვლილებანი. თორის, საქართველოს ისტორიული კუთხის, აღწერისას, მისი ფიზიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვისას დ. ბერძენიშვილი წერს: სამხრეთიდან „თორს ესაზღვრება **კოდიანის მთა, ჭობისთავი, სანისლო მთა, ჭარელის მთა, ცხრაწყაროს, საქველოს, კენჭიყარისა და ქვაჯვრის**

მთები, რომლებიც ისტორიულად **შარვაშეთისა** და **თორის** მთებად იგულისხმებიან“ (ბერძენიშვილი 1985, 7). შარვაშეთის ქედი (იგივე შარვაშეთის მთა-მ.ბ.) ჯავახეთის ჩრდილოეთ საზღვრად აქვს დადებული ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით დ. ბერძენიშვილს (ბერძენიშვილი 1985, 70).

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი ძირითადად შედის ჯავახეთში ისევე, როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მთლიანად და ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფელი.

ასევე „საფიქრელია, რომ „ქვეყანათა“ სტაბილური საზღვრები შემოგვინახა იმ ეთნოგრაფიულ-დიალექტურმა ოდინდელმა მთლიანობამ, რომელსაც დროთა განმავლობაში ვერ ცვლიდა ადმინისტრაციული გაფართოება თუ შევიწროება“ (ბერიძე 2008, 4). ჯავახური დიალექტი, რომელიც შემოგვრჩა რამდენიმე სოფელში, რა თქმა უნდა, ბევრით არაფრით განსხვავდება სამცხურისაგან, იმდენად, რომ ხშირად მას ცალკე დიალექტადაც კი არ გამოყოფენ და ზოგ სოფელში იკარგება ქართული მეტყველება. დღევანდელი ჯავახური დიალექტის ასეთი შემცირება გამოიწვია მოსახლეობის მიგრაციებმაც (ბერიძე 1988, 9-10).

ნიშანდობლივია, რომ ჯავახეთს ჰქონდა **მთაც** და **ბარიც**. ადრე ჯავახეთის ზეგანი უტყეო იყო ძირითადად, წარმოადგენდა ალპურ ზონას, ჯავახეთისა და არტანის მტკვართა ხეობანი განსხვავდებოდა კლიმატით, ბუნებრივი პირობებით და მასში ხარობდა ხილი. „ამის გათვალისწინებით გასაგები ხდება ჯავახი სოფლების მიდრეკილება ხევის პირას, ზეგანზე აირჩიონ საცხოვრებელი, სადაც ერთნაირად კარგი პირობებია მემინდვრე, მესაქონლე და მებაღე გლეხისათვის, სწორედ ხევისპირა ზეგანზე იყო ჯავახეთის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, ეკონომიკურად ძლიერი და კულტურულად მოწინავე: კუმურდო, სარო, ხიზაბავრა, კვარმა, ხანდო, ჩუნჩხა, პრტენა, ახალქალაქი და მრავალი სხვა“ (ბერძენიშვილი 1985, 72). არც ის იყო შემთხვევითი, რომ ოსმალეთიდან სომეხი მიგრანტების ჩამოსახლების დროს ქრისტიანი ქართველები სწორედ ხევის პირა სოფლებში იყვნენ დასახლებული. ამ ტიპის დასახლებანი განაპირობებდა მთისა და ბარის ერთიან პატრონობას, როგორც მაგალითად, ჭაჭკარი იყო სოფელი, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ხოლო გოგაშენი - მისი „სათესველი“, ჯავახეთის პლატოზე. შემდეგ ისე განვითარდა მოვლენები, რომ გოგაშენი იქცა სოფლად, ხოლო ჭაჭკარი - მის ბაღებად. ასევე პლატოს სოფელ საროს ბაღები იყო ნიჯგორი, რომელიც სოფლად ჩამოყალიბდა საბოლოოდ.

ეს იყო ძველი ქართული ტრადიცია, რომელიც რელიეფის ფორმასა და საზოგადოებრივ საკუთრებაზე იყო დამყარებული. როგორც ივ. ჯავახიშვილი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით ბრძანებს: „თვისებათა

მიხედვით, გარეგან მოყვანილობისა და მდებარეობისდაგვარად ქვეყანა შეიძლება ყოფილიყო „მთა“ და „ბარი“ (ჯავახიშვილი 1965, 6). აქედან გამომდინარე, ჯავახეთისა და არტაანის მტკვართა ხეობანი, ან როგორც შემდეგ იწოდება **მტკვარი** (არტაანის მტკვარი) და **თავფარავნის წყალი, ჯავახეთის წყალი, ფარავნის წყალი** (ჯავახეთის მტკვარი) იყო ბარი, ხოლო პლატო ანუ ზეგანი - მთა. ბარში მოდიოდა ხილი, მთაში - ხორბალი და განვითარებული იყო მესაქონლეობა. იყო კიდევ უფრო მაღალი მთა, ანუ საზაფხულო სადგომები. მაგალითად, **კოთელიის** მოსახლეობა მთად ადიოდა **ტაბაწყურის ტბის** მიდამოებში. ასე რომ, თუ კოთელია ისევე როგორც სარო, გოგაშენი, პტენა, ჩუნჩხა მთა იყო, ბართან მიმართებით, ანუ ხილიან ხეობასთან მიმართებით, კოთელიისთვის მთა იყო ტაბაწყური, რომელიც შედარებით მაღლა მდებარეობდა. ეს იყო ქართული სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი ფორმა ცხოვრებისა, რაც განაპირობებდა შესაბამის ტოპონიმურ და გეოგრაფიულ ტერმინთა შექმნას, როგორც, მაგალითად, სოფელი ჩუნჩხა, რომელიც ქარაფისპირა სოფელია და **ჩუნჩხის ბაღები**; სოფელი პტენა (პრტენა) და **პტენის ბაღები**, გოგაშენი და **გოგაშენის ბაღები** და ა. შ.

ჯავახეთში არის მთა თავკვეთილი, რომელიც გეოგრაფიული ტერმინის საფუძველზეა შერქმეული. „შეიძლებოდა მთას თხემი არ ჰქონოდა, არამედ ზემოდან ვაკე ყოფილიყო, მაშინ მთა თავკვეთილი იყო“ (ჯავახიშვილი 1965, 8.). ამ მთას აქვს პარალელური ფორმა- **თავკვეთილა**, რაც მიუთითებს გეოგრაფიული ტერმინის ტოპონიმად ქცევაზე - ა სუფიქსის დართვით. კვეთასთან არის მეორე ტერმინი- განკვეთილი. „როდესაც მდინარე მთას ორად ჰყოფდა, ამას განკვეთა ეწოდებოდა, ხოლო თვით ამგვარ მთაზე ამბობდნენ „მთად განკუეითილი“-ო (ჯავახიშვილი 1965, 12). ალბათ ამით უნდა აიხსნას მეორე თავკვეთილა, რომელიც ვარძიის ზევით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ჰქვია წმინდა ადგილს, თუ მასში რელიგიური შინაარსი არ დევს.

ჯავახეთის საზღვრებზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ ისტორიის სხვადასხვა პერიოდი. ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობა, ჯავახეთის, როგორც ეთნიკური (კუთხური) ერთეულის მიმართება სახელმწიფოსთან. როდესაც ერთიანია ქვეყანა, ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილება ქვეყნის მიმართველობასთან არის დაკავშირებული, რაც გულისხმობს გადასახადების აკრეფა-გადახდას, ჯარში გაწვევას, სასამართლო სისტემას და სხვა. ამა თუ იმ კუთხის დამოკიდებულებას უფრო მსხვილ სახელმწიფო ერთეულთან. ასეთი მსხვილი ერთეული იყო **მესხეთი**, რომლის შემადგენლობასაც გულისხმობდა ჯავახეთიც. მესხეთი, როგორც ადმინისტრაციული და არა ეთნიკური ტერმინი, ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა. როგორც ამას დ. ბაქრაძეზე დაყრდნობით მიუთითებს შ. ლომსაძე: „ისტორიული მესხეთის შემადგენლობაში, მართლაც შედიოდა მტკვრის

აუზის მთელი ზემო ნაწილი, კოლას ვრცელი მიდამოებით, ჭოროხის აუზი მთლიანად, დაწყებული სპერის მხრიდან, ვიდრე აჭარის წყლის ხეობამდე, **ჯავახეთი**, თორთუმ-ისპირი, ბაიბურთი, ჭანეთი, ტაოსკარი, ოლთისი, ბანა, ფანასკერტი, არტანუჯი, შავშეთი, აჭარა, ჭოროხის აუზს ზოგადად კლარჯეთიც ერქვა“ (ლომსაძე 1975, 257).

ჩამონათვალი ვრცელია და მასში ზოგიერთი ობიექტი კუთხის, მხარის მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, ზოგი დასახლებული პუნქტის სახით. ამასაც აქვს თავისი ახსნა, რადგან ხშირად დასახლებული პუნქტის სახელი ვრცელდებოდა მთელ მხარეზე და ამ მხარის აღსანიშნავადაც იხმარებოდა, როგორც, მაგალითად **არტაანი** დასახლებული პუნქტი და **არტაანი** ადმინისტრაციული ერთეულის ადმინიშვნელად. **ახალციხე**, გარდა ქალაქისა, აღნიშნავდა მთელ ახალციხის მხარესაც. ასევე იყო **ერუშეთი**, დასახლებული პუნქტის სახელი, მხარის ადმინიშვნელი და სხვა. **ჯავახეთი** ამ შემთხვევაში, ყოველთვის კუთხეს, მხარეს აღნიშნავდა, რომელსაც ჰქონდა თავისი ცენტრი სხვადასხვა დროს, ვთქვათ, **წუნდა** ან **ახალქალაქი**. რთულია ზემოთ ჩამოთვლილ კუთხეთა და დასახლებულ კუთხეთა ზუსტი ლოკალიზაციის განსაღვრა, როგორც ისტორიულად, ისე დღეს, ამიტომ უმჯობესია, ამოვიდეთ თანამედროვე ვითარებიდან. თანამედროვე ვითარებასთან, ჯავახეთის საზღვრებთან დაკავშირებით ყველაზე ახლოს დგას ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა, ამიტომ განვიხილავთ ჯავახეთის საზღვრებს კიდევ ერთხელ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „ხოლო ფარავნის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურის მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი“ (ვახუშტი 1973, 657).

ციტატის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯავახეთი არის თავფარავნის ტბიდან მტკურამდე. თავფარავნის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ეს არის თანამედროვე საზღვარი, ხოლო სათავეებამდე გაგრძელება ჯავახეთის საზღვრებისანიშნავს გარკვეულადმინისტრაციულ გაფართოებას ჯავახეთისა, რადგან იქვე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი, რომ „არიან ამათ ადგილებთ შინა ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლეთი“ (ვახუშტი 1973, 657). ჩამონათვლის მიხედვით ცალ-ცალკე ქვეყნებია ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა და ასეც იყო.

არტაანი, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით გვხვდება არტან და არტაჰან ფორმით, დღეს თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია და ეწოდება არდაჰანი, ხოლო ქართულად დღეს არდაგანს უწოდებენ. ეს უკანასკნელი სახელის რუსული ტრანსკრიფციიდან მომდინარეობს. „ამ გეოგრაფიული პუნქტის სახელის ფუძედ უნდა იყოს არტა, ძველი სპარსული სიტყვა, რომელიც საერთოდ ინდოევროპული ძირია“ (ბერიძე 2008, 264).

არტანის თავდაპირველად იყო ჯავახეთის შემადგენლობაში: „ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, არტანის და კოლა ერთი საერისთაო და შემდგომად იქმნა ორ საერისთაოდ ბაგრატიონობასა შინა - წუნისა და არტანისად“ (ვახუშტი 1973, 675). არტანისა და ჯავახეთს შორის არის ერუშეთი, რომელიც შეიძლება შესულიყო ჯავახეთის შემადგენლობაში, მაგრამ იყო ცალკე ქვეყანა: „ხოლო ერუშეთს მზღვრის: აღმოსავლეთით მტკვარი და მთა ამისი და სამცხეს შორისი და გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სამცხეს“ (ვახუშტი 1973, 673).

ვახუშტის მიხედვით და დღესაც ჯავახეთის დასავლეთი საზღვარი არის მტკვარი, რომლის მარცხენა ნაპირზეც ჩამოდის ერუშეთის მთათა კალთები. დღეისათვის ეს არის მთები, რომელშიც მდებარეობს: **ნიალა, ვარძია, თმოგვი, ზედათმოგვი, ფია, გელსუნდა, ტოლოში, ბნელა, აწყვიტა, ქუნცა, დადეში, ერკოტა, ვარნეთი, ზველი, ჭობარეთი, ორგორა, საყუდაბელი...**

ამგვარად, ჯავახეთის დასავლეთის საზღვარი არის მტკვრის მარჯვენა ნაპირი და კარწახის ტბა. სწორედ მთები, რომლის ფერდობებზეც მდებარეობს ჩამოთვლილი სოფლები, არის „მთა ამისი“, ე.ი. მთა ერუშეთისა. დღეისათვის ერუშეთი არ აღიქმება ცალკე ქვეყნად, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ სოფელთა და ნასოფლართა ნაწილი მეცნიერთა მიერ შეტანილია ჯავახეთის შემადგენლობაში, კერძოდ: **ვარძია, ნიალა, თმოგვი, ზედა თმოგვი, ბუზმარეთი, ვანი** და სხვა, ხოლო დანარჩენი სოფლები - სამცხის შემადგენლობაში. ჯავახეთის საზღვრებთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს ამ კუთხის ზემო და ქვემო ნაწილებლად დაყოფა (ბერძენიშვილი 1985, 77-83; მეტრეველი 2022, 57-61.), რაც გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ტერიტორიის **„ზემო“** და **„ქვემო“** ნაწილებლად დაყოფა ტოპონიმიაში უეჭველად უკავშირდება გეოგრაფიულად მაღლა (**„ზემოთ“**) და, შესაბამისად, დაბლა მდებარე ერთეულებს. ზემო, როგორც წესი, უფრო მთიანეთს ნიშნავდა. გარდა ამისა, ასეთი დაყოფის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდინარე, რომლის სათავეში, ზემო წელში მდებარე ტერიტორიულ ერთეულს **„ზემოს“** არქმევდნენ, შედარებით დაბლა მყოფს - **„ქვემოს“**. ასეთი დაყოფის კლასიკური მაგალითია ქართლის სამნაწილად დანაწილება: ზემოქართლი, მტკვრის სათავეში მდებარე ქართლი ანუ მესხეთი იყო. საინტერესოა ერთი ფაქტიც: მას შემდეგ, რაც მესხეთი მოსწყდა საქართველოს, ზემო ქართლმა შედარებით ქვემოთ ჩამოინაცვლა და ბორჯომის ხეობას ეწოდებოდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ არის სწორი ნიალა-ბუზმარეთის ქვემო ჯავახეთად ჩათვლა. ნიალა-ბუზმარეთი არც რაიმე მდინარის მიხედვით, არც სიმაღლის მიხედვით არ უპირისპირდება **„ზემო“** ჯავახეთს. მეტიც შეიძლება ითქვას: ნიალა-ბუზმარეთის მხარის ზოგიერთი ისტორიული პუნქტი **„ზემო“** ზედსართავ სახელს ირთავს.

ზედა ვარძია, ქვედა ვარძიის საპირისპიროდ; ზედა თმოგვი, ქვედა თმოგვის საპირისპიროდ; ზედა ვარნეთი - ქვედა ვარნეთი და სხვა. და, თუ მაინც აუცილებლად ჩავთვლით ჯავახეთის დაყოფას ზემო და ქვემო ნაწილებად, მხოლოდ ბარის ჯავახეთი იქნება ქვემო ჯავახეთი.

ბარის ჯავახეთი კი იყო მტკვრისა და ჯავახეთის მტკვრის ჯავახეთი, რომელიც უპირისპირდებოდა მთიან ჯავახეთს როგორც რელიეფით, ისე კლიმატითა და სამეურნეო პირობებით.

მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული ერთეულის სახელად დამკვიდრდა **სამცხე-ჯავახეთი** და არა **მესხეთ-ჯავახეთი**, როგორც მანამდე ძირითადად იწოდებოდა, აღარ იხმარება მესხეთი, შესაბამისად, მკვიდრდება აქ მცხოვრებთა აღასანიშნავად სამცხელნი და არა მესხნი. არის ტენდენცია მესხეთი და მესხნი მისი ისტორიული შინაარსით აღდგეს, კერძოდ, ზოგადად სამცხელთა, ჯავახთა, კლარჯთა, ერუშთა, ტაოელთა, არტაანელთა და სხვათა აღასანიშნავად, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურაში, რადგან ის ეთნიკურ და ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებზეც ვსაუბრობთ, რეალურად აღარ არსებობს, რადგან მდებარეობს თითოეული მათგანი (გარდა სამცხისა და ჯავახეთისა) მეზობელი ქვეყნის, თურქეთის ტერიტორიაზე და მათ აქვთ სახელები თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით. ყველაზე აქტიურად „მესხი“ ეთნიკური შინაარსით იხმარება აჭარელთა შორის, რადგან ისინი არიან მეზობლები ისტორიულადაც და დღესაც. აქედან გამომდინარე, **მესხეთი**, რომელიც ვიწრო მნიშვნელობით ეწოდებოდა სამცხეს და შესაბამისად გვქონდა მესხეთ-ჯავახეთი, თანდათან აღარ გვაქვს ხმარებაში. ცალკე კვლევის საგანია მესხეთი და ჩამოთვლილი „ქვეყანანი“. რა დამოკიდებულება იყო ადმინისტრაციულად და ეთნიკურად მათ შორის ისტორიულ ჭრილში.

„და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად, არამედ აწ ოძრხის წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველივე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათჳს“ (ვახუშტი 1973, 657).

სამცხის ეტიმოლოგიათა ვარიანტებსაც, რომ სამცხე მცხეთის გამო ეწოდა („სამცხეთო“) და ეწოდება სამი ციხის გამო, ვახუშტიმ დაუდო სათავე. „ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთათჳის ლომსიისა, ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი არს სამციხეთა“ (ვახუშტი 1973, 658).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია საზღვრის დადგენა სამცხესა და ჯავახეთს შორის, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამას მხოლოდ ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით თუ აქვს მნიშვნელობა, თორემ დიალექტოლოგიურად, მეტყველების თვალსაზრისით არ არის დიდი სხვაობა, თანაც ისეთი ჯავახური სოფლების მცხოვრებნი, როგორიცაა თოკი,

ვარგავი, ხიზაბავრა, სარო, თმოგვი, ხერთვისი, თავს თვლიან მესხებად ე.ი. სამცხელებად, თუმცა ტერმინი სამცხელი ჯერჯერობით მოსახლეობაში არ იხმარება და მას მხოლოდ ადმინისტრაციული მნიშვნელობა თუ აქვს. ამ თანამედროვე ტენდენციაზე გავლენას ახდენს ჯავახეთში ქართული მოსახლეობის კატასტროფული შემცირება. სამწუხაროდ, ამავე გზას ადგას სამცხის (მესხეთის) სოფელთა მოსახლეობაც.

ვახუშტი მხოლოდ სამცხეს არ უკავშირებს მცხეთის სახელს. „ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ადგილთა და ქუეყანათა კრებით ეწოდა მესხნი, იგივე ძუელი სახელი სამცხეთოსი და სიმოკლისათვის მესხნი ითქმის“ (ვახუშტი 1973, 658). სამცხეთო კი არის სამცხე ვახუშტის მიხედვით (გ.ბედოშვილი). ე.ი. სამცხე და მესხეთი ვიწრო მნიშვნელობით ერთი და იგივეა.

ვახუშტი ხეობების მიხედვით აღწერისას მტკვარს შეუყვება ქართლიდან. როდესაც სამცხესა და შესაბამისად, ხეობებს აღწერს, მიუთითებს იმ მდინარეებს, რომლებიც გამოსდის მთებს მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირების შესართავად. მარცხენა ნაპირის მდინარეები ასპინძის მიდამოებში გამოდის **ერუშეთის მთებს**, ხოლო მარჯვენა ნაპირისა, **ჯავახეთის მთებს**. ასეთი მდინარე არის **ასპინძის ხევი** „გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას“ (ვახუშტი 1973, 666). ეს არის დღევანდელი **ოთისწყალი**. თვითონ ასპინძა, როგორც დასახლებული პუნქტი, სამცხეშია, ხოლო ასპინძის ხევი ანუ ოთისწყალი სათავეს იღებს ჯავახეთიდან. დღეს ამ ხევს (წყალს, მდინარეს) ოთისწყალი იმიტომ ჰქვია, რომ იგი სოფელ **ოთას** ჩაუვლის და, ფაქტობრივად, ოთის მიდამოებიდან იღებს სათავეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოთა აღწერილი სამცხეში ანუ მესხეთში. იმავე ოთაში ვახუშტის მიხედვითაც და დღესაც **ასპინძის ხევს** ანუ **ოთის წყალს** ერთვის **კობარეთის ხევი**, რომელსაც დღეს **ჯაბიეთის ხევი** (წყალი) ჰქვია და რომელიც ასევე სათავეს იღებს, „გამოსდის ჯავახეთის მთას“. ამგვარად, ოთა, ღართა, ჯაბიეთი (ჯაბოეთი) სამცხეშია, ხოლო მათთან ჩამავალი წყალი სათავეს იღებს კოდიანის ანუ ჯავახეთის მთებიდან.

ჯავახეთის საზღვრების შესახებ ვახუშტი ბრძანებს: „ხოლო დასავლეთ მზღვრის ჯავახეთსა ძუელად მტკუარი, და აწ **ნიჯგორის ხერთვისს** ზეითი, და წყაროსათათვის დასავლით წარსრული მცირე გორანი, ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არის კოდიანის მთიადმ წარსრული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკრუამდე, და აწ **კობტის მდინარის** აქეთი სამხრის კერძოდ მცირე მთა **ნიჯგორის თავამდე** და **კოდიანამდე**“ (ვახუშტი 1973, 672).

ჯავახეთის დასავლეთი საზღვარი ამ შემთხვევაში კიდევ უფრო არის დაზუსტებული. ერუშეთთან მიმართებით ჯავახეთის საზღვარზე უკვე ვისაუბრეთ. ამ შემთხვევაში დაზუსტებაში ვგულისხმობთ, თუ

აქ კორექტურა არ არის და ნიჯგორთან მიმღე უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ნიჯგორი და ხერთვისი ახლო მდებარე პუნქტებია. ასეთ შემთხვევაში ნიჯგორისა და ხერთვისის ზევით, მტკვრის სათავეებისკენ **წყაროსთავის** მიდამოები იგულისხმება. მართლაც, ნიჯგორი და ხერთვისი ისტორიულადაც და დღესაც სამცხესა და ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობს. „ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს. და სადა ერთვის მტკუარს ჯავახეთის მტკუარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკურის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკურის სამხრით“ (ვახუშტი, 1973, 669). ჯავახეთის აღწერა, როგორც ვხედავთ, იწყება ხერთვისიდან, რომელსაც მანამდე მეცნიერი მას აღწერს სამცხეში. „ ამ ჴევს ზევით, ხერთვის ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკუარს“ (ვახუშტი 1973, 667). „ამ ხევში“ იგულისხმება **შულავრის ხევი**, რომელიც გამოსდის **ერუშეთის მთას** და რომელიც უნდა იყოს დღევანდელი **შოლოს წყალი**, რომელსაც **ანალურა** ჰქვია და ტოლოშთან უერთდება მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. ე.ი. ხერთვისი ვახუშტისათვის არის სამცხეშიც და ჯავახეთშიც. ეს, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი, რადგან იგი ნიჯგორთან ერთად მდებარეობს საზღვარზე სამცხესა და ჯავახეთს შორის.

როგორც უკვე ითქვა, **ღართას, ჯაბიეთს, ოთას** და **ასპინძას** ვახუშტი აღწერს სამცხეში. ნიჯგორსა და ხერთვისს - საზღვარზე სამცხესა და ჯავახეთისა, ამიტომაც „სამცხისა და ჯავახეთის სასაზღვრო ხაზის დადგენა კოდიანიდან მტკვრამდე დიდი სიზუსტით ხერხდება ვახუშტის მიხედვით. ჯავახეთს ეკუთვნის **კოდიანი**, რომელიც ესაზღვრება სამცხეს, **კოდიანის მთები** ჯავახეთის ჩრდილო-დასავლეთის საზღვარია. აქედან მოყოლებული საზღვარი გადის **ოთის თავზე**, შემდეგ კი საზღვრის თანმიმდევრობა ასე მიჰყვება: **ბოქთა, ღართა, შორეთი** (ტაიჭა), **კობტა** (ტამალა), **ტამალის წყალი** („კობტის ხევი“), მტკვრის მარჯვენა ნაპირი“ (ბერიძე 2008, 5). კოდიანის მთები ისედაც ჯავახეთის მთებად იწოდება, შორეთს ვახუშტი **შორაპანს** უწოდებს (ბერიძე 2008, 36-37).

ერთგვარი გაურკვევლობა, რომელიც არსებობს სამცხისა და ჯავახეთის სასაზღვრო ხაზებს შორის დღეს ისევე, როგორც მესხობასა და ჯავახობას შორის, ახალი არ არის. ასე იყო ადრეც, როდესაც ერუშეთის მცხოვრებნი, ვთქვათ, აგარელნი, ერკოტელნი, დადემელები, ზველ-ჰობარელნი, ვისთვისაც ერუშეთი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული აღარ არსებობდა, თანაც ერუშეთი, როგორც ეთნიკური ტერმინი დაკარგული იყო, მესხობდნენ ან ჯავახობდნენ.

ადმინისტრაციული და ეთნიკური (დიალექტური) საზღვარი ამ კუთხეთა შორის მეტ-ნაკლები სიზუსტისათვის არსებობდა. „სამცხე-ჯავახეთის საზღვრები ფეოდალური ხანის ისტორიის მანძილზე იცვლებოდა და მოიცავდა სხვადასხვა არეალს. თვით ამ ორ მხარეს შორის საზღვარი ცვალებადი იყო და ერთმანეთში იჭრებოდა. ეს გამოწვეული იყო

იმითაც, რომ ზოგჯერ საზღვრის ხაზი ბუნებრივ მიჯნებს სცილდებოდა და ძნელი იყო გარკვევა, თუ სად გადიოდა ხაზი. ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც დაწვრილებით იხილავს ამ მხარეების საზღვრებს, ზოგჯერ უზუსტოდ გადმოსცემდა მას; ეს განსაკუთრებით ითქმის სწორედ სამცხესა და ჯავახეთს შორის საზღვრის განმარტების დროს“ (ხარაძე 2000, 12-13).

გარკვეული უზუსტობანი სწორედ ტოპონიმურ ცვლილებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რომ, ვთქვათ, ზოგიერთი სოფელი არ არის აღწერილი ვახუშტის მიერ (ვთქვათ ჯაბოეთი//ჯაბიეთი), მაგრამ აღწერილია ამ პუნქტიდან გამომდინარე წყალი - ჯაბიეთის ხევი, მაგრამ არაფერს ამბობს ბოქთაზე, ან ახალი სახელით გვხვდება ესა თუ ის მდინარე, ხევი, ვთქვათ, იყო **ასპინძის ჭევი** და გვაქვს **ოთის წყალი** მის ნაცვლად, ახალი სახელით, ისევე, როგორც იყო **კოხტის ხევი** და გვაქვს დღეს იმავე ხევის სახელად **ტამალის ხევი**. ან შორეთის//შოროთის ნაცვლად მონასტერს ვახუშტი ბატონიშვილი უწოდებს **შორაპანს**. ასე რომ, რაიმე გაუგებრობა სწორედ გეოგრაფიულ სახელთა ისტორიის გამოა. თორემ ზემოთ მითითებული ხაზი კოდიანი-კოხტა-ასპინძა (მტკვარი) ლამის აბსოლუტური სიზუსტით გვაქვს მოცემული.

ჩვენი აზრით, ჯავახეთის დასავლეთის საზღვრის კიდევ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი. სად მდებარეობს ნიჯგორი, სამცხესა თუ ჯავახეთში?

კოხტის ხევის აღწერისას მეცნიერი მიუთითებს, რომ სწორედ **კოხტის ხევის** რომ მეორე უსახელო ხევი ერთვის, მათ შორისაა მოქცეული **ცხე კოხტისა**. ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ **კოხტის ხევი** ასპინძასთან, მის აღმოსავლეთით, ახალქალაქისაკენ მიმავალ გზაზე, ხვილიშასთან ერთვის მტკვარს. მის ზევით, ოღონდ მტკვრის მარცხენა ნაპირზე უერთდება მდინარეს **დადეშის ხევი**, ხოლო მის ზევით არის **ნიჯგორი**, რომლის პირისპირაც, კიდევ ერთი ხევია აღწერილი, ანუ ნიჯგორი იყო იქ, სადაც დღესაც მდებარეობს. მეორედ ნიჯგორი მოიხსენიება, როგორც ზემოთაც იყო მითითებული, როდესაც ჯავახეთის დასავლეთი საზღვარია აღწერილი - „ნიჯგორს, ხერთვისს ზეით“, სადაც ნიჯგორი კვლავ ჯავახეთის დასავლეთის საზღვრის გამოა ნახსენები: „ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდან წარსრული მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკურამდე. და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამჭრის კერძოს მცირე მთა, **ნიჯგორის თავამდე** და კოდიანამდე“ (ვახუშტი 1973, 762). აღწერისას, „აქეთ“-ში იგულისხმება ჯავახეთიდან აღწერა, ე.ი. კოხტის მდინარის (ხევის, იმავე ტამალის ხევის) აღმოსავლეთი. ნუსხა არის კოდიანსა და კოხტას შორის არსებული „მცირე მთა“, რომელიც საზღვარზე მდებარეობს სამცხესა და ჯავახეთს შორის. მართალია, მტკვრამდეო, მიუთითებს ვახუშტი სასაზღვრო ხაზს, მაგრამ იქვე აზუსტებს, რომ სამხრეთით ხაზი გასდევს მცირე მთას **ნიჯგორის თავამდე**. ე.ი. რადგან

კოდიანიდან საზღვარი ჩადის კოხტამდე, დღევანდელი ადმინისტრაციით ჩასცდება სოფ. ტამალას და წმ. გიორგის ეკლესიის ზევიდან გადავა ხვილიშის თავზე, გადაკვეთს ჩიხორიშის წყალს ისე, რომ ჩიხორიში ექცევა სამცხეში, გაივლის ნასოფლარ ხიზას და საროდან გადავა ხერთვისამდე, „ნიჯგორის თავი“ არის სწორედ ძველი ჯავახური სოფელი სარო. თვითონ ნიჯგორი კი რჩება სამცხეში.

ამგვარად, ჯავახეთის საზღვრების დადგენისას ყველაზე სწორი იქნება, როგორც ზემოთ ითქვა, თანამედროვე რეალობის გათვალისწინება, რის გამოც მის საზღვრებში მოექცევა აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ტაბაწყურისა და ფარავნის ტბები, აქედან მოყოლებული - ვიდრე მტკვრამდე. დანარჩენი ნაწილი გაჰყვება თურქეთისა და სომხეთის სასაზღვრო ხაზს.

მითოლოგიური გმირი და ამირანის გორა

ამირანის ეპოსი ყველაზე გავრცელებული ეპოსი იყო საქართველოში. ამ თქმულების მთავარი პერსონაჟი არის ამირანი, რომელიც, როგორც მითონიმი, აინტერესებს ონომასტიკას.

ამირანი, როგორც პოპულარული მითოსის მთავარი პერსონაჟი, გამოირჩეოდა მითის ასაკის გამო, გავრცელებულობის გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მისი ვარიანტების სიმრავლის გამო.

შემთხვევითი არ არის, რომ ქართველებში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაქრისტიანული სახელია ამირანი. ამ სახელიდან მოდის გვარი ამირანაშვილი.

ამირანის გორა სამცხე-ჯავახეთში ორია - ახალციხეში და ახალქალაქში, რომელთაგან ტრადიციულია ახალქალაქის ამირანის გორა, ხოლო ახალციხის თაობაზე ნათქვამია: „ახალციხის ამირანის გორა, რომელიც აღმოჩნდა 1955 წელს მესხეთ-ჯავახეთში წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვის დროს, მხოლოდ ერთი იმ ძეგლთაგანია, რომელიც ამ რაიონში მცხოვრებ მოსახლეთა ერთ-ერთ უძველეს ადგილსამყოფელს წარმოადგენს“ (ჩუბინაშვილი 1963, 8).

ახალციხის ამირანის გორის „აღმოჩენა“ ცოტა უცნაურად ჟღერს, რადგან ეს გორა ყოველთვის იდგა იმ ადგილზე, სადაც დგას დღეს, ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მის შესასვლელში. ეს სახელი არამარტო ახალი შერქმეულია, ხელოვნურიც არის.

ახალქალაქისა და ახალციხის ამირანის გორებს სახელთა გარდა აერთიანებს ის, რომ ორივე მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის III

ათასწლეულს და ორივეს შერქმეული აქვს უახლესი თურქული სახელი **ტავშანთაფა (თავშანთაფა)**. ეს უკანასკნელი სახელი არამხოლოდ თურქულად ეწოდებოდა. ახალციხეში ტავშანთაფასთან ერთად, რომელიც თარგმანია ქართული **კურდღლის გორისა**, ქართული ვარიანტიც იხმარება. ახალციხეში უპირატესობა ქართულს ენიჭება. ახალქალაქში პოპულარულია თურქული ვარიანტი.

თუ ახალქალაქის **ამირანის გორა** მდებარეობს ჯავახეთის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ახალციხის ამირანის გორა მდებარეობს მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირას ახალციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,5 კმ. მანძილზე. ძველი მოქცეულია ფოცხოვის ხეობის სწორედ იმ მონაკვეთზე, რომლის ჩრდილო-დასავლეთით გაერთიანებულია მესხეთის სამი დიდი ხეობა (ფოცხოვი, ქვაბლიანი და ოძრხე) (ჩუბინიშვილი 1963, 15)

ახალციხის ამირანის გორას ვიდრე კურდღლის გორა დარქმეოდა, ერქვა **ლომისი**, რომელსაც ალბათ კავშირი აქვს ახალციხის ძველ სახელთან - **ლომსია**. ლომისის სალოცავი იყო მთის წვერზე, სადაც დღეს ჯვარი დგას. ლომისის სალოცავში დადიოდა ამ გორის გარშემო და დღევანდელი საბარგოს დასახლების, სასაფლაოს მიდამოების ძველი მოსახლეობა. გადმოცემით ეს მოსახლეობა ძირითადად უნდა გამქრალიყო ახალციხის აღების დროს 1828 წელს, რადგან ბრძოლის ეპიცენტრში მოხვდნენ ისინი. მესხეთში დღესაც იხსენებენ, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ბრძოლის დროს გამოიყენეს ლომისის დასახლების მიწური კედლები. საღვთოს დაკვლის დროს მოხუცების დალოცვა დღესაც ახსოვთ არლელებს: „ლომისი მაღლო და ძალო, შენ შეეწიე...“ (რეზო ანდლულაძე, 60 წლის).

როგორც უკვე ითქვა, ახალციხის **ამირანის გორის** სახელი ახალია და ახალქალაქის ანალოგიაა, გადატანილი სახელია. ეს გადატანა მოტივირებულია არქეოლოგიური ინტერესით და იმითაც, რომ გარეგნულად ეს გორები ჰგვანან ერთმანეთს, მას არავითარი კავშირი ამირანთან არა აქვს და ამიტომ ჩვენ საუბარი გვექნება მხოლოდ ახალქალაქზე.

ჯავახეთი მდიდარია მთაგორიანი რელიეფით. **სამსრის მთებისა** და **აბულის** ფონზე **ამირანის გორა** მართლაც გორაა მხოლოდ, იგი მომცრო მთაა. მაგრამ გამოირჩევა არქეოლოგიური სიძველით. მისთვის დამახასიათებელია უძველესი კულტურული კვალი ადამიანის ცხოვრებისა.

ამ გორას, როგორც ითქვა, ჰქვია მეორე სახელი - **ტავშან თაფა**, რომელიც როგორც ტოპონიმი დადასტურებულია 1898 წელს (Ростомово 1898, 31) სამხრეთ საქართველოში ამ სახელით ბევრი ადგილი გვხვდება. ბუნებრივია, სადაც კურდღელი ბევრი იყო, ყველგან შეიძლებოდა ასეთი სახელის გაჩენა. ტავშანთაფას პარალელურ ვარიანტად აქვს ტავშანკა...-K(a)

სუფიქსის დართვა მსაზღვრელზე, როდესაც დაკარგულია საზღვრული,

რუსულისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჯავახეთში მასალად გამოყენებული აქვს თურქული ენობრივი ფაქტი. გვაქვს ახალქალაქის რაიონში ორი **ტავშანთაფა - ახალქალაქსა და განძანში**. ორივეს პარალელური ფორმა არის ტავშანკა. სუფიქსის დართვა მოტივირებულია საზღვრულის დაკარგვით (ბერიძე 1992, 117).

ამ ორ სახელს (ამირანის გორასა და ტავშანთაფას - ტავშანკა) არავითარი კავშირი ერთმანეთთან არა აქვს. სხვადასხვა ენობრივი გარემოს მიერაა შერქმეული და მათში კარგად ჩანს თვით ამ გარემოს ეროვნული, ენობრივი ისტორია. ასევე ნიშანდობლივია ტოპონიმის გამძლეობა, ოღონდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ონიმის ფიქსაციას. დღეისათვის არგუმენტირებული მტკიცების გარეშე ჯავახეთის ქართული საზოგადოებისთვის ტრადიციული ქართული სახელი არაქართველთათვის მიუღებელი და უცნაურია, უძველესი სახელის **ამირანის გორის** გაუაზრებლად, გაუთვალისწინებლად შეერქვა შემდეგში **ტავშანთაფა**, ბოლოს კი შეიქმნა პარალელური რუსული ფორმა **ტავშანკა**. რომ ყოფილიყო რაიმე ურთიერთკავშირი, რუსული ვარიანტი გამოიყენებდა ქართულ სახელს და არა თურქულს. რომ არა ქართული სახელის ფიქსირება, დაიკარგებოდა იგი ისევე, როგორც დაიკარგა ბევრი რამ ჯავახეთში.

თურქული და რუსული სახელები გამჭირვალეა ეტიმოლოგიურად. რაც შეეხება ქართულს, შეიძლება გვეფიქრა, რომ ვინმე ამირანის სახელთან არის დაკავშირებული, როგორც, ვთქვათ, **გოგიას ციხე, პეტრეს ციხე** და სხვა, მაგრამ რეალურად ეს არის მითონიმი, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ქართული მითოლოგიური გმირის **ამირანის** გამო ადგილის სახელდებას.

ჯავახეთის **ამირანის გორა** პირველად დაფიქსირებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მე-18 საუკუნეში, თუმცა მაშინ არაფერია ნათქვამი ურთიერთმიმართების შესახებ:

ახალქალაქი „იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. გარნა აწ აღაშენა კულად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ. ამ ახალქალაქს ზევით არს **ამირანის გორა** მტკუარის სამხრის კიდეზედ. მუნ არს მტკუარსა ზედა ხიდი“ (ვახუშტი 1973, 671).

ივ. გვარამაძე (ვინმე მესხი) **არმაზის, ზადენის, აპოლინის** გვერდით მოიხსენიებს **ამირანის** კერპს. ამირანი, მისი თქმით იგივე სამირომია. „**ამირანს** (სამირომს) ჰმსახურობენ **ახალქალაქის გორაზედ**. მით დღესაც ამირანის გორას უწოდებენ, ამის ნაშთი კლდე, ბალავარი არის... ზღაპრად დაშთენილი, ამირანი და ჩრდილოელი დანამღებულან და შამბნარი ველის (შაბონიბელის) მთითგან შურდულით გამოუსროლიათ. **ამირანს** შურდული გასწყვეტია, მით ვალის ფოტოროებში დაცემულა და ჩრდილოელისა კი უფრო შორს დაცემულა ჭიხელს“ (გვარამაძე 1982, 116-117).

ამ ტიპის შეჯიბრები ეპოსის გმირებს შორის ჩვეულებრივი ამბავია,

ოღონდ ივ. გვარამაძეს, მართალია, **ამირანის გორა** აქვს მითითებული, ასევე მინიშნებულია, რომ იქ რაღაც „ბალავარი“ არსებობს ამირანის კერპის კვალის დასტურად, მაგრამ გარემო აღრეულია და, ვფიქრობ, უადგილოა **ვალის ფოტოროების და შაბონბელის** (ალბათ შაბანბელი - მ.ბ.) საასპარეზო ადგილად მოხმობა.

ივ. გვარამაძისეული კერპი ამირანი და მითოლოგიური ამირანი რომ ერთი და იგივეა, ამას ამტკიცებს სხვა ადგილი „ქართლის ცხოვრებისა“, სადაც ავტორს ჩაწერილი აქვს ამირანის ეპოსის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი:

„სანადიროდ გაემართნენ ამირან და ყმანი მისნი,
მთას ირემი წამოუხდათ, ოქრო იყო რქანი მისნი,
ამირანმან ბოძალი ჰკრა, გაიჩეხა მხარნი მისი,
გაექცა და დაედევნენ, სრულ არ გაწყდა კვალი მისი,
ცხრა მთა გადაარბევინეს, მეათე არს ასურისი,
მინდორს ერთი კოშკი ჰპოვეს, ცას სწვდებოდა წვერი მისი,
გარ-მოუარეს, უპოვნეს, დაკლიტული კარი მისი,
ამირანმა წიხლი დაჰკრა, შეანტურია კარი ისი“ ... (გვარამაძე 1982, 47-48)

ცას მიმწვდომი კოშკი, ავტორის აზრით, ბაბილონის გოდოლია, ამირანი სამირომია, რომელიც მაჰმადიანთ მფლობელთ **ამირაზედ** გარდაუცვლიათ (გვარამაძე 1982, 47)

აშკარაა, რომ მკვლევარის აზრით, ამირანის მოქმედების პერიოდი ბაბილონს უკავშირდება, ამის შესახებ ივ. გვარამაძე განმარტავს: „სახალხო ლექსში ჩანს, რომ მისი განადირებისა და ქვეყნის მპყრობელობისათვის ირემი წინ უძღვებათ სვე-ბედად, მნიშვნელი ზროხისა, მის წინამძღვრობით გადადის 9 მთას იქით, ცად მიმწვდომ კოშკს აწყდება (ბაბილონს), აქ ამარცხებს დევსა და ფეხს იდგამს იქაც, სხვა ადგილებივით გამარჯვებითა“ (გვარამაძე 1982, 109).

მიუღებელია **ამირანის და სამირომის** გაიგივება, რადგან ამირანის სახელი და ღვთაება უკავშირდება მითრას, ხოლო სამირომი არის მითრას საპირისპირო, ბოროტი ღვთაება, რაც გამორიცხავს მათ იგივეობას. ამირანის ეპოსს ახალქალაქის **ამირანის გორა** დაუკავშირა 1898 წელს აგრეთვე ივ. როსტომაშვილმა და მანვე მოიყვანა ამ თქმულების ერთ-ერთი უძველესი ჯავახური ვარიანტი (Ростомов 1898, 32).

მოვიყვანთ ამირანის თქმულების ჯავახურ ვარიანტს, რომელშიც კარგად ჩანს **ამირანის გორის** სახელდების მოტივაცია: „ამირანი დიდი გმირი ყოფილა. ამირანი ქრისტეს მონათლული იყო. მევრე ისე გათამამდა, რო თავი ნათლიასთანაც კი დიეჭიდა და ნათლიამ მევრე ამ გორაზე მიაბა და იეხლა იქ არი მიჯაჭული. იმას ერთი პიტკა ყამს, ლოკამს, ლოკამს და ე პიტკა ამ ჯაჭვს და გაწყვეტაზე რომ მიდის, მიდიან მჭედელები და ისევ ასქელებენ.

ერთხელ ერთმა კოთელიელმა კაცმა დამირჩები წაიყვანა, რო უნდა

გიენტავისუფლებინა, მაგრამ წესი იესე იყო: გზაში არც უკან-ნა მიეხედნათ, არც ვისმე-ნა დაჰლაპარაკებოდნენ.

ამირანის გორის კარი ხუთშაბათს იღება და, ამ დღეს ცოლი რო გააბრაზამს ამ კაცს და დაუწყენს კითხვას, - რა გინდა, კაცო, სად მიდიხარო? - მევრე კაცი იძულებული გახდება, ხმა გიეცა თავი ცოლისთვის და, ამირანი გორასთან რო მივლენ, ამ კაც და დამირჩებ კარი დაკეტილი დახვდათ.

იემანდ, ახალქალაქთან, **ამირანის გორას** რო ემახიან, იეხლა მანდ არი ამინარი მოქცეული. იესე შეაცდინა ი კაცი და დამირჩები თავი ცოლმა და იმი შემდეგ **ამირანი გორა** ახლაც დაკეტილია“ (გიგინეიშვილი 1961, 337).

სხვა ვერსიებით „შვიდ წელიწადში ერთხელ ამირანის გამოქვაბული იღება და ადამიანს, თუკი შეესწრო ამ ჟამს, შეუძლია მიჯაჭვული გმირის ხილვა.

ერთ-ერთ ამგახსნას შესწრებია ერთი უსახელო მონადირე. ამ მონადირემ ამირანის დავალებით შინიდან უნდა წამოიღოს კერიის საკიდელი (ჯაჭვი). მისი საშუალებით ამირანმა თავისკენ უნდა მოიზიდოს ხმალი, რომელსაც ვერ სწვდება, რათა გაკვეთოს ბორკილები. მონადირემ უბრად, ხმის ამოუღებლად უნდა წამოიღოს ეს საკიდელი, არავის გამოეპასუხოს.

მაგრამ მონადირე ვერ დაიცავს ღუმელის აღთქმას. აბეზარი ცოლი დააცდენინებს სიტყვას ამირანის გამოსახსნელად მიმავალ ქმარს. აკრძალვის დამრღვევი მონადირე ვეღარ მიაგნებს კლდეს და ამირანის გათავისუფლების სახსარიც ისპობა“ (კიკნაძე 2023, 20).

ამირანის თქმულების ერთი ვარიანტით ამირანს გადადგმული აქვს გორა, რომელსაც ცოცხლად წარმოადგენს ხალხი:

ამირანი „ერთხელ მივიდა გორსთან:

- გორაო, შენ გორა ხარო, მე ვერ დაგეჭიდებო, გორაო, ეს ღონე საიდან მამეციო?

გამოიქვაბა გორა, შევიდა ამირანი, იარა და ნახა, რო შიგ ერთი გამოქვაბულია და მჭედლები იარაღს ჭედებენ“ (ზედგინიძე 1969, 157).

ამ გორაში მიაჯაჭვებენ მჭედლები ამირანს, რომელსაც შემდეგ მონადირეც ვერ უშველის: „დღესაც, ამბობენ, რო ამინარ გორა ადგიაო, ახალქალაქში რო გორა არი, იმ გორაშიო...“ (ზედგინიძე 1969, 155).

ამირანის თქმულების შემქმნელთათვის ჯავახეთის არც სხვა გეოგრაფიული პუნქტები იყო უცხო: „ამინარის საომარი ალაგები **თავფარანის ტბაზე** და **აბულის მთაზე**“ (ზედგინიძე 1969, 154).

სადავო არ არის, რომ ამინარი ამირანია და მეტათეზისის გზით არის მიღებული. მთქმელი ერთ შემთხვევაში მჭედლებს მოიხსენიებს. მჭედლები მიდიან და „ისევ ასქელებენ“, ხოლო შემდეგ შემოაქვს თურქული სიტყვა „დამირჩი“, რაც ასევე მჭედელს ნიშნავს.

ეს ვრცელი ამონაწერი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, სახელი დაერქვა მითოლოგიური გმირის გამო. ჯავახი კაცის ფსიქოლოგიაში

კავკასიონი ძალიან ზოგადი და შორეული მთები იყო მითოლოგიური გმირის ცხოვრების ადგილის, გარემოს შესაქმნელად. როგორც ითქვა, არც სიდიდით არის გამორჩეული ეს გორა. თუ ჩვენ ანალოგიის გზას მივყევით, რომ კავკასიონზეა მიჯაჭვული ამირანი, სხვა რომელიმე მთა უნდა აეღოთ სახელმძღვანელებს **ამირანის გორად** თუ **მთად**, ვთქვათ, **აბული, გოდორები, თავკვეთილი** და სხვა, რატომ მაინცდამაინც ახალქალაქის თავში მდებარე ეს გორა იქცა მითოსის ობიექტად?

ამირანის გორა გამონაკლისი არ არის. საქართველოს სხვადასხვა კუთხეს თავისი გორა აქვს ამირანის თქმულებასთან დაკავშირებით. მაგალითად: თუშები და კახელები ამირანის მიჯაჭვის ადგილს **ამირანის მთას** უწოდებენ (მ. ჩიქოვანი), ხოლო მცინვარწვერის მახლობლად ბეთლემში, არის მ. ჩიქოვანის მიხედვით, **ამირანის ქობი**. სხვაგან კი საყორნის მთაზე მიუჯაჭვიათ ამირანი (ჩიქოვანი 1963, 42) „ლაშხეთში უჩვენებენ უზარმაზარ კლდეს - **ჭითხაროს**, რომელიც **ამბროლაურსა** და **ლაშხეთს** შორის მდებარეობს. ამბობენ თითქოს ამ კლდეში იყოს ამირანი დაბმული (ონიანი 1969, 152).

ამგვარად, ჯავახეთის ამირანის გორა უეჭველად უკავშირდება ამირანის მითოსს. როდის შეიქმნა თქმულება ამირანზე?

ამირანის თქმულება ასახავს ჩვენი ისტორიის უძველეს პერიოდს. იგი „ლითონის წარმოების ხანის ეპოსებია“, სადაც პოეტურად ასახულია ადამიანთა მიერ საწარმოო მიზნებისთვის ცეცხლის გამოყენება“ (ჩუბინაშვილი 1963, 13).

ამირანის ეპოსი იმ მასშტაბისაა, რომ შეუძლებელია მას, გარდა ლიტერატურისა და ზეპირი გადმოცემებისა, არქეოლოგიაში არ დაეტოვებინა თავისი კვალი, მართლაც ამირანის თქმულებას მივყავართ იმ ძეგლებთან, რომელნიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლით თარიღდება: მცხეთის ბრინჯაოს სარტყელი, თრიალეთის ვერცხლის თასი, ყაზბეგის განძი და სხვა (Мифы народов мира 1998, 13).

მითონიმი ამირანი არის თუ არა ის სახელი, რომელიც შეიქმნა მითის შექმნასთან ერთად? ამ საკითხს სპეციალურად შეეხო **ივ. ჯავახიშვილი**. მისი აზრით, რადგან თქმულებაში თითქმის ყველა მოქმედი პირის თავდაპირველი სახელი შეცვლილია და დამახინჯებული, „იქნებ თვით მიჯაჭვული გმირის სახელიც წინათ ამირანი კი არა, არამედ სულ სხვანაირი იყო?“ (ჯავახიშვილი 1970, 198). ირანული **აპრიმინი** არ მიაჩნია **ივ. ჯავახიშვილს** შესაძლო წინა სახელად. მისი აზრით, შესაძლებელია **ამიპრანი, მიპრანი**, რომელიც შეიძლება **მითრადან** მოდის, ყოფილიყო ამირანის წინა სახელი (ჯავახიშვილი 1970, 199). ასევე სამეგრელოში დადასტურებული **არამ-ხუტუ** შეიძლება ყოფილიყო ამირანის წინა სახელი (ჯავახიშვილი 1970, 199).

მითრას კულტს საქართველოში სპეციალური შრომა მიუძღვნა **სერგი**

მაკალათიამ. მითრას კულტი არ იყო უცხო საქართველოსათვის, მით უმეტეს, რომ „მითრაიზმი წარმართული მოძღვრების უკანასკნელი და უძლიერესი სიტყვა იყო; მისი მკვლევარნი ერთხმად გვარწმუნებენ: წარმართულ მსოფლიოს ქრისტიანობა რომ არ მოვლენოდა, კაცობრიობა **მითრას** იწამებდაო“ (მაკალათია 1973, 3).

მითრასა და ამირანის ღვთაებათა კავშირის ივ. ჯავახიშვილისეულ ვარიანტს კიდევ უფრო აძლიერებს ს. მაკალათია და მითრა-ამირანის და წმ. გიორგის საერთო წარმომავლობას ამტკიცებს. ამგვარად, ამირანი, როგორც მითონიმი, მოვიდა ჩვენამდე ამირანად, ხოლო როგორც ღვთაება - წმ. გიორგის სახით. **ამირანის მითრას** სახელის ვარიანტები ჩვენს ისტორიაში დასტურდება **მიჰრანის, მირიანის** სომხურში **მჰერის** სახით (ივ. ჯავახიშვილი, ს.მაკალათია), მათ დაემატება ქართული მითოლოგიური პანთეონის **მითრაც** (მაკალათია 1973, 19), აგრეთვე - **მიჰრ-დატ, მიჰრ,** და „ჩვენში დამკვიდრებული თვის სახელიც **„მიჰრაკანი“** - მითრას, მიჰრის თვე“ (პ.ინგოროყვა) (მაკალათია 1973, 18).

მთავარია, რომ ამირანის წინა სახელი მხოლოდ ფონეტიკური წინა ვარიანტია და არა განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვა.

ჯავახეთის **ამირანის გორა** იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მითონიმი ამირანი ტოპონიმიში დასტურდება დოკუმენტურად მე-18 საუკუნეში და ამის შემდეგ უწყვეტად არსებობს ეს სახელი, ხოლო ქართულ სინამდვილეში „ამირანის თავგადასავალი ყველაზე ადრე XII საუკუნის მწერლის **მოსე ხონელის** „ამირან-დარეჯანიანში“ არის დაფიქსირებული (მ. ჩიქოვანი), თუმცა ეს არის ლიტერატურულად გადამუშავებული და განსხვავებული ვარიანტი.

რაც შეეხება ამირანის მსგავს ბერნულ-კავკასიურ სიუჟეტებს, მათ ბევრად უფრო დიდი ხნის ისტორია აქვთ.

„ცნობილია, რომ ბერძენთა და ქართველთა თქმულებები მიჯაჭვული გმირის შესახებ დასჯისა და მიჯაჭვულობის ადგილად კავკასიონის მთას ასახელებდა. ბერძენ ავტორთა მოწმობიდან ჩანს, რომ ასეთი გადმოცემა უკვე V ს. ქ. წ. და ნიშანდობლივ უჩვენებდნენ კიდევაც, სადაც კავკასიონის მთავარ ქედზე ეს გმირი იყო მიჯაჭვული“ (მ. ჯავახიშვილი).

შ. ნუცუბიძის მიხედვით ძვ. წელთაღრიცხვის III საუკუნის პოეტი **აპოლონიოს როდოსელი** მიუთითებს, რომ საბერძნეთიდან ჩამოსული მოგზაური **პრომეთესთან** ერთად უკვე იცნობენ **ამირანის** სახელს და **ამარანტის** მთაში კითხულობს ამირანის სახელს (ჩუბინაშვილი 1963, 11).

შ. ნუცუბიძეზე დიდი ხნით ადრე 1849 წელს ამარანტი ამირანის მთას დაუკავშირა სულხან ბარათაშვილმა გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილ სტატიაში (ჩიქოვანი 1963, 43).

ამირანის სიუჟეტის მსგავსი ამბავი მოთხრობილი აქვს VIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსს **მ. ხორენელს**, რომლის მიხედვით ამირანის ნაცვლად

სომეხთა მეფე არტავაზდია მიჯაჭვული მასისის (არარატის) მთაზე (ივ. ჯავახიშვილი), მაგრამ ეს ჩვენს მითონიმს არ ეხება, რადგან, როგორც სიუჟეტის ელემენტები, ასევე სახელი განსხვავებულია.

ამირანის თქმულების სხვა ქვეყანათა სიუჟეტებთან დაკავშირებით კიდევ მრავალი აზრია გამოთქმული ქართულ ამირანოლოგიაში. საკითხის კვლევის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სიუჟეტის კავშირი ბერძნულ სამყაროსთან, ხოლო სახელისა-სპარსულთან, გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. ეტყობა, ეს სიუჟეტი არც სპარსულისთვის იყო უცხო. „საქართველოში ერთნი ბერძნული თქმულების ანარეკლად წარმოადგენენ, მეორენი - სპარსულისა, მესამენი კი ქართული წარმოშობისად თვლიან. შედარებითმა კვლევა-ძიებამ საკითხი სულ სხვაგვარად მოაბრუნა. აღმოჩნდა „მოარულ ფაბულათა“ მთელი წყება, რომელიც მთელ ქვეყანაზე არის გავრცელებული და ძნელია ჯერ გადაწყვეტით იმის თქმა, **თვითჩასახვის გზით** შეიქმნა ასეთი მსგავსება თუ არსებობდა რაიმე პრა-სამშობლო, საიდანაც ხალხთა წასვლა-წამოსვლასთან დაკავშირებით ეს ფაბულაც შეიქმნა“ (კოტეტიშვილი 1967, 336-337).

ასეთ სიძველეებთან არის დაკავშირებული ჯავახეთის **ამირანის გორა**, ამიტომ გორის სახელად რუკებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ ამირანის გორა და არა ტავშანთაფა ან ტავშანკა.

აზერბაიჯანული ეპოსის გმირის სახელი ქართულ ტოპონიმიკაში

ქოროღლის სახელით ორი მთა არის ცნობილი სამცხე-ჯავახეთში. ერთი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში და მეორე ასპინძის მუნიციპალიტეტში. სახელი დაკავშირებულია აზერბაიჯანულ ეპოსთან. „ქოროღლის ეპოსის სამშობლო აზერბაიჯანია, სადაც მისი შექმნა განაპირობა მე-16 - მე-18 საუკუნეების მძაფრმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. აზერბაიჯანიდან შესულია იგი ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხებში და მე-17 საუკუნის დასაწყისიდან მე-19 საუკუნის შუა წლებამდე ჩამოყალიბებულია ეპოსის თორმეტამდე ნაციონალური ვერსია“ (ჩლაიძე 1978, 5).

ქოროღლის ეპოსი სამცხე-ჯავახეთში იყო გავრცელებული არა მარტო თურქულენოვან მოსახლეობაში, არამედ ქართულშიც. ამირანის ეპოსისგან განსხვავებით, მას მღეროდნენ კიდევ. ლექსად იყო შექმნილი, ამიტომ გმირული ეპოსის ეს ძეგლი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა აშუღებში, აშუღური პოეზია აუცილებელი ატრიბუტი იყო მე-19 - მე-20 საუკუნეების სამცხე-ჯავახეთის ცხოვრებისა. გარდა

სპეციალურად მოწყობილი აშუღური შეჯიბრებებისა, როდესაც სიმღერა სრულდებოდა საზის თანხლებით, მას მღეროდნენ ქორწილებში და წვეულებებზე, ქოროლის ეპოსი ქართულ სინამდვილეში მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგი არ არის: „ციხილბაშური ტომების მოძალებას ქოროლის სახელიც რომ მოჰყოლია თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ქვემო ქართლის „**შუქურა ციხეს**“, რომელსაც ძველად **აგარათა ციხე** რქმევია და რომელშიც თამარ მეფე გარდაცვლილა, ხოლო მე-15 საუკუნეში **„კოჟრის ციხე“** ეწოდებოდა, **„ქოროლი“** დაურქმევიათ. ამ სახით გვხვდება იგი იმ ცნობებში, რომლებიც მე-19 საუკუნის თბილისური პრესის ფურცლებზე იბეჭდება ქოროლის ეპოსთან თუ მისი გმირის ვინაობასთან დაკავშირებით“ (ჩლაიძე 1978, 25-26).

ეპოსის პოპულარობის გამოძახილია 1897 წელს ი. ალხაზიშვილის ჯავახეთში მოგზაურობის ის ადგილი, როდესაც მოიხსენიება ეპოსის გმირი: „ზაფხულის მზის ცეცხლებერ სხივებმა ჩვენც გაგვითბო გული და აღგვიძრა სურვილი მოგზაურობისა. „ზამთარში ბარი, ზაფხულში მთაო“. ამ ბუნებრივ კანონს სიამოვნებით დავემორჩილეთ და ბარიდან მთისკენ გაწვიეთ, იმ მთისკენ, რომელიც წელიწადში ცხრა თვეს სთვლემს, სამ თვეს ცოცხლობს. **ხალხის გმირი ქოროლი** უმღერის ამ თრიალეთის მთებს:

„სამ თვეს პატარძლად მორთულო,

მთანო, ცხრა თვეს დათოვლილო“ (ალხაზიშვილი 1978, 17).

ამირანის მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ მთას ერქმევა ეპოსის გმირის სახელი. ეპოსის სიუჟეტის სხვადასხვა ადგილი დააკავშირა ამა თუ იმ მთას. მაგალითად: ასპინძის მუნიციპალიტეტის **ქოროლის მთაზე** გმირის ცხენი აბია, რომელიც ისეთივე ძლიერია, როგორც პატრონი, მას ასპინძაში **ქოროლის მთა** ჰქვია, ხოლო ნინოწმინდაში მხოლოდ **ქოროლი**. მოსალოდნელია, რომ საზღვრები პირველ შემთხვევაშიც დაიკარგოს. სხვა შემთხვევაში. როდესაც ეპოსის გმირის სახელი დაერქვა მთას (ამირანის გორა), არც ქართულ ნიადაგზე და არც უცხო ენობრივ გარემოში საზღვარდაკარგულ მსაზღვრელად არ დარჩა, ე.ი. არ შეიძლება გორას მხოლოდ ამირანი დაერქვას. საფიქრებელია, რომ ქოროლის შემთხვევაში საზღვრულის დაკარგვის ფაქტი თვით თურქულ ნიადაგზევე უნდა აიხსნას. სიტყვა **ოღლი** (შვილი) საკმარისია სახელდების დროს, რადგანაც საზღვრულის მაგივრობას ეწევა. მსგავსი მაგალითები, ოღონდ უკვე არა ეპოსთან დაკავშირებული, გვაქვს მესხეთის ტოპონიმიში: **მოიდოღლი** - ნასოფლარი ასპინძის რაიონი, **მურადოღლი** - ტყე წყალთბილა, **სელიმოღლი** - ყანა სხვილისი, **მურადოღლი** - სათესი წყრუთი, **ჩახალოღლი** - ყანა სამელი. სახელებთან - ოღლი გვარს არ აფორმებს, მას აქვს შვილის მნიშვნელობა ისევე, როგორც თვით ქოროლი გვარი არ არის, ბრმის შვილს ნიშნავს.

ქოროლის მთას (ქოროლის) აქვს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში

პარალელური სახელი - შაორი, რომელიც, ვფიქრობთ, უფრო ძველი და ნამდვილი სახელია მთისა, ამიტომ რუკებზე და ოფიციალურ დოკუმენტებში ეს უკანასკნელი უნდა დარჩეს.

ფარავნისა და თავფარავნის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის (სოფლის, ტბის და მდინარის სახელთა დაწერილობისათვის)

ნინოწმინდიდან თრიალეთისკენ მიმავალი გზის პირას მდებარეობს ჯავახეთის ყველაზე დიდი ტბა **ფარავანი**, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ძირითადად უწოდებს **ფანავარს**, ორჯერ - **ფარავანს** და აღწერს ქართლში: „ხოლო ტბა ფანავრისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხუასტანგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდინარისაგან თოვლისა შესდის ტბასა მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა. აქა არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მადლარ არ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონს ცეცხლი“ (ვახუშტი 1973, 320). ეს წყალი დღევანდლამდე დის სოფ. **თავფარავანში**.

ფარავნის ტბის გარშემო ქართლ-კახეთის ცხვარ-ძროხის საზაფხულოდ მოყვანა და მთად გამოყენება დღევანდლამდე გრძელდება, რის გამოც ამბობს მეცნიერი, რომ თევზით სისავსის მიუხედავად, აქაური თევზი იყო უგემური, სამაგიეროდ, ცნობილი ყოფილა წყარო, რომელიც „ადნობს“ სიმაძღრეს, საჭმლის მონელებას უწყობს ხელს.

ტბის ქართლში აღწერაზე მიუთითებს ვახუშტი უკვე ჯავახეთის ტბებისა და მდინარეების აღწერისას, მთავარ ორიენტირად ამ შემთხვევაში არს **საღამოს ტბა**. „ამის სამკრით (იგულისხმება საღამოს ტბა - მ.ბ) არს **ტბა ფარავნისა**, რომელი აღწერეთ ქართლსა ზედა და ამ ფანავარს გამოსდის **ჯავახეთის მტკვარი**, დაბას **გასადინარსა**“ (ვახუშტი 1973, 671). ტბა კი არის ქართლში აღწერილი, მაგრამ მისგან გამომდინარე წყალი არის **ჯავახეთის მტკვარი**.

ვ. ბატონიშვილის მიერ დასახელებული **გასადინარი** დღეს აღარ არის არც სოფლის და არც ნასოფლარის სახით. ეს ტოპონიმი მოხსენიებულია **გასადინი** ფორმითაც. ერთი და იგივე სახელია, ოღონდ პირველი ნაწარმოებია სა - არ აფიქსებით, ხოლო მეორე - ოდენ სა - ფრეფიქსით. „ამ სოფელს ჩვენამდე არ მოუღწევია და არც „დავთარშია მისი სახსენებელი“ (ჯიქია 1958, 344). იმავე ადგილის აღსანიშნავად ვ. კომპტონაშვილი ხმარობს **სათაურს** (ჯიქია 1958, 344) მაშინ, როდესაც ფარავნის წყალს წარმოადგენს მტკვრის ტოტად. ამ შემთხვევაში იგულისხმება მეორე ტოტის, არტაანის წყლის, საპირისპიროდ. ეს ორი „ტოტი“ მასშტაბურად აღნიშნავს მტკვრის

ორ ტოტს. თუ აქ ტერმინოლოგიური პრობლემა არ არის და „ტოტი“ შენაკადს არ აღნიშნავს.

გეოგრაფიული გარემო დიდ როლს თამაშობდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სიტუაციის შესაქმნელად. ასევე მნიშვნელობა ჰქონდა ცხოვრების პირობების, ეკონომიკური მდგომარეობის შესაქმნელად. სადაც წყალი იყო, იქ ცხოვრობდა ადამიანი ოდითგანვე, რაც კარგად ჩანს სწორედ ვახუშტი ბაგრატიონის შრომაშიც. დასახლებები ძირითადად მდინარეთა ხეობებსა და შესართავებში გვხვდება, სწორედ ისეთ ადგილებში, სადაც შეიძლებოდა წყლის გამოყენება არა მარტო სასმელად, არამედ მოსარწყავად.

სხვაგვარი სიტუაციაა ჯავახეთში - **ფარავანი** ქართლშიც (თრიალეთში) მოიაზრებოდა და ჯავახეთშიც (ზემო ქართლი) ადმინისტრაციულად, მაგრამ თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო და იმის გამოც, რაზეც მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი: „როგორც ფოკანი (თუ ფოკა), ისე სხვა სოფლებიც ფარავნის ტბის პირზე (ასფარა, მახაროანი, თავფარავანი...) ძველი წყაროების მიხედვით ცალკე, ჯავახეთისგან გამოყოფილ რაიონს წარმოადგენენ - **ფანავრას რაიონს**. ეს ეგრე ესმის მელქისედეკ ქართლის კათალიკოსს მე-11 ს-ში. ასევე ესმის ეს მცხეთის საკათალიკოსო სოფლების სიის შემდგენელსაც XV ს-ში“ (ბერძენიშვილი 1964, 99).

ფარავნის ტბის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ კუთხით ყურადღება მიაქცია დ. ბერძენიშვილმა: „გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს... ამიტომ აქ მცირე ქვეყნები ხეობით არ გამოიყოფა. სამაგიეროდ, დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შესაკრებ აუზებს, მთაგორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე, ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკრო ქვეყნებს. ძირითადი ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება. ასეთი იყო სწორედ **ფარავანი - ფარავნის ტბის ირგვლივ არსებული სოფლებით შექმნილი ერთეული**“ (ბერძენიშვილი 1985, 83).

ფარავანი ეწოდება ტბის გარდა სოფელს მის ნაპირზე. სოფელი ფარავანი მდებარეობს ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე (იხ. „გზამკვლევი“ დართული რუკა). იგი არის სხვა სოფლებისგან გამორჩეული შემორჩენილი ორი ეკლესიითა და ქარვასლით, რომლებიც, როგორც ყველა სხვა ძველი სრულყოფილად არ არის მოღწეული. პირველი, რომელიც შემადლებულ ბექობზე დგას მე-10 საუკუნისაა (გზამკვლევი 2000, 12), ხოლო მეორე მე-13-მე-14 საუკუნეებს მიეკუთვნება (გზამკვლევი 2000, 13). ამავე პერიოდს მიეკუთვნება ქარვასლა, დღევანდლამდე მხოლოდ დულაბის სახით მოღწეული. იგი, ბუნებრივია, ქვის პერანგით იყო შემკული. ეს ქვა გარშემო სახლების მშენებლობისთვის იქნებოდა გამოყენებული, როდესაც აქ მოსახლეობა ჩნდება მე-19 საუკუნეში. ჯავახეთში საერთოდ და კერძოდ,

ტბათა გარშემო მდებარე სოფლებში ეკლესიათა სიმრავლე ჩვეულებრივი ამბავია. **სოფელ ფარავნის (თავფარავნის)** გარდა ორი ეკლესიაა ფარავნის ტბასა და საღამოს ტბას შორის მდებარე სოფელ განძანში, ხოლო სოფელ საღამოში სამი ეკლესიაა, რაც მიუთითებს მოსახლეობის სიმრავლეზე აქ თავის დროზე, მაგრამ ფარავანი (თავფარავანი) გამორჩეულია სწორედ ქარვასლით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ როგორც დღეს, მთელი ისტორიის მანძილზე, გზა თრიალეთიდან ჯავახეთში სწორედ ამ სოფელზე გადიოდა. აქ ათენებდნენ ღამეს მოგზაურნი. აქ იყო საქვეყნოდ ცნობილი სასმელი წყალი და სოფელი ყოველმხრივ იყო დაწინაურებული. შეიძლება სწორედ ამ წყალს, როგორც სამკურნალო წყლის და ნინოს შემოსვლასთან დაკავშირებული ამბების გამო ტბა იწოდებოდა წმინდა ტბად, როგორც მას ჩვენი წინაპრები უწოდებდნენ - **„საქართველოს წმინდა ტბისა ფარავნისა“** (ჯიქია 1958, 344).

სოფლისა და ტბის სახელის ერთნაირად აღნიშვნა სხვადასხვა ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული. ტბის სახელი საისტორიო წყაროების მიხედვით, ლეონტი მროველთან, ჯუანშერთან, სუმბატ დავითის ძესთან, ჟამთააღმწერელთან ბერი ეგნატაშვილთან და „მატიანე ქართლისადას“ მიხედვით მოიხსენიება შემდეგი **ფორმებით: ფანავარი, ფანამრა, ფარავანი, ფანვარი, ფარავნა**, (იხ. დეტალურად: ბერიძე 2008, 2012-2014). ისტორიულ წყაროთა მიხედვით არ გვხვდება თავფარავანი, რომელიც ხალხში იყო გავრცელებული. თითოეული, ჩამოთვლილ სახელთაგან, ეწოდებოდა ტბასაც და სოფელსაც.

დგება საკითხი ტბის სახელის ეტიმოლოგიისა. თურქებს ეს სიტყვა გააზრებული აქვთ ცნობილ ქართულ სიტყვასთან **ფარვანე**, რაც ღამის პეპელას ნიშნავს. ასევე ამავე შინაარსით თარგმნეს იგი გერმანულად (ჯიქია 1958, 345). მაგალითად, „ფარვანა - (ფარვანისა) (სპარ.ფერვანე) ღამის პატარა პეპელა ერთგვარი: სინათლეს ეტანება და მის გარშემო ფარფატებს“ (ქეგლი 1962, 25). ღამის პეპელას უკავშირებენ ტბის ეტიმოლოგიას სომეხი მეცნიერებიც. ფარავნის ორიგინალური ეტიმოლოგია აქვს და მის სახელს უკავშირებს ვანის ტბას ან ვანს. ა. მელიქიანი (კადჯოიანი 2022, 30). დგება საკითხი, ტბას ეწოდა სოფლის სახელი, თუ ტბის სახელი ეწოდა სოფელს. როგორც წესი, სოფლის სახელით მოიხსენიებოდა ტბებიც, იმის მიხედვით, რომელი სოფელი იყო დაწინაურებული ტბის არეალში. ეს პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან დგება საკითხი **თავფარავნისა**. რატომ ეწოდათ სოფელსაც და ტბასაც თავფარავანი შედარებით გვიან, მაგრამ ტბისა და სოფლის ხალხურ სახელად ყველაზე მეტად სწორედ ეს ფორმა იყო გავრცელებული. რას ნიშნავდა ისტორიული სახელის წინ გაჩენილი სიტყვა **თავ-ი**. ამ საკითხს ვრცელი სტატია უძღვნა ს. ჯიქიამ, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა საისტორიო წყაროთა მონაცემები, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მონაცემები და

დაასკვნა, რომ თავფარავანი უნდა მოდიოდეს **ტბა** - ფარავნიდან ან **დაბა** ფარავნიდან (ჯიქია 1958, 345). ამასთან ერთად მიუთითებს მეცნიერი, რომ ტბის სახელად ყველაზე გავრცელებულია **თავფარავანი** (ჯიქია 1958, 345). ეს აზრი გაზიარებულია სხვა მეცნიერთა მიერ: „ტბის ირგვლივ არსებულ სოფელთაგან ფარავანი ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომაც მისი სახელით იწოდება ტბაც - „ტბა ფარავნისა“, დამოწმებული წმ. ნინოს ცხოვრებასა და სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში. ეს სახელწოდება დროთა განმავლობაში „თავფარავნად“ გარდაიქმნა და გააზრებულ იქნა ქართულ ლექსში, როგორც „თავ-ფარავანი“ (გზამკვლევი 2000, 11)

ვფიქრობთ თავფარავანში **„თავ“** კომპოზიციის ნაწილია და იგი გააზრების შედეგად არ უნდა იყოს მიღებული, პირიქით - **თავი** უნდა მიუთითებდეს სოფლის **თავობას, მეთაურობას**. როგორც არაერთგზის არის აღნიშნული, სოფელი თავფარავანი გამორჩეულია თავისი ისტორიულ-კულტურული ძეგლებით. ამასთან ერთად მის გამორჩეულობას, თავობას, მიანიშნებს ქარვასლა და სამკურნალო თვისებების მქონე წყალი. მოვიყვანთ ამონაწერს, რომელიც მიუთითებს სხვა არგუმენტსაც სოფლის თავობასთან დაკავშირებით: „მნიშვნელოვანია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ჩვენება: ფარავნის ტბის გარშემო სოფლები ნასოფლარებად არის მითითებული 1695 წელს, ე.ი. აქ მოსახლეობა აღარ არის, მაგრამ ჩანს, არც ისე დიდი ხნის გაუკაცრიელებულია და **თავფარავნის** (ფარავნის) პრიორიტეტი, მისი თავობა, ცენტრობა კვლავ იგრძნობა. მთავარ ორიენტირად ეს სოფელია გამოყენებული.

...54. სოფ. ფოკა - სოფ. ფარავანთან...

...56. სოფ. შაორი-სოფ. ფარავანთან...

...57. სოფ. მახარო- სოფ. ფარავანთან...

...58.სოფ. ასფარა - ფარავნის ტბასთან...

კიდევ ერთი გარემოება: გარდა ფარავნის ტბისა, ყველა სხვა ტბის გადასახადი თევზზე „ექვემდებარება ზემოთხსენებულ რაიონს (ე.ი. აკშეჰირისრაიონსახალქალაქისლივანში),ასეთებია:„ყუმური“სადამოსტბის თევზისა“, „გამოსაღები ისკუნდრიესტბის თევზზე“, ხოლო სოფ. ფარავანაზე ნათქვამია: „სოფელი ფარავანა - ფარავნის ტბის თევზის ყუმურითურთ“ : ამრიგად, სოფელ ფარავნის თავობა, ვფიქრობთ, შესაძლებელი ჩანს ამ მიკრო ქვეყანაში, ამიტომ **თავ**-ში მითოლოგიური საფუძვლის ძებნა არ უნდა იყოს გამართლებული. თავფარავანი უეჭველად ადგილის სახელია, საწინააღმდეგოდ აზრისა, რომ შეიძლება სიტყვა **„თავი“** წარმოადგენდეს უძველესი მითოსის ნიშანს და რომ სიტყვა თავფარავნელშიც ასეთივე მომენტთან გვქონდეს საქმე, რომ ჭაბუკის თავი ყოფილიყოს გადაქცეული საკრალურ მოვლენად“ (კოტეტიშვილი 1961, 334-335).

თავ კომპონენტის სახელები მესხეთის ტოპონიმიაში გვხვდება: **თავკალო** (სოფ.კოთელია, ნაკალოარი), **თავიჭალები** (მინდორი, სოფ.

ერკოტა), **თაფჯვარი** (სოფ. ჭობარეთი, ნასოფლარი). ყველა შემთხვევაში **თავ** სიტყვას ადგილობრივთათვის გამორჩეულის, მეთაურის მნიშვნელობა აქვს (მ. ბერიძე 2008, 2017). ერთი შეხედვით, **თავობა** ობიექტის, ამ შემთხვევაში ტბის თავში მდებარეობად უნდა მიგვეჩნია, მაშინ ფარავნის თავი იქნებოდა მის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ ასეთ შემთხვევას შინაარსობრივად გამოხატავს რუსთავი, სადაც თავ კომპონენტი სათავეს მიუთითებს. ასეთი რუსთავეები გარდა ცნობილი მესხეთისა და ჰერეთის რუსთავისა მიკროტოპონიმშიც გვაქვს და ის სათავეს გულისხმობს და არა თავსოფელს.

ვფიქრობთ, წყაროების ჩვენებას და ხალხურ სახელწოდებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. წყაროთა მიხედვით ტბის სახელი ვიცით მხოლოდ, ასევე იწოდება „დავთრის“ მიხედვით სოფელი, შედარებით გვიანდელია **თავფარავანი** როგორც სოფლის, ისე ტბის სახელად.

რა თქმა უნდა, ტბათა სახელდება დაკავშირებულია მის გარშემო მდებარე სოფლებთან და ხშირად ერთი და იგივე ტბა შეიძლება ერთი სოფლისათვის სხვა სახელით იყოს ცნობილი, მეორესთვის სხვა სახელით, მაგრამ ეს არ არის ნომინაციის ერთადერთი ფორმა. ტბების სახელდება ხდება წყლის ფერის, ფორმის, ცხოველების, მცენარეების, თევზების და სხვა მრავალი წყალთან დაკავშირებული სახელის მიხედვით. ამასთან ერთად შეიძლება გავიხსენოთ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში დადასტურებული **სათახვის ტბა**, რომელიც თახვის სიმრავლის გამო იყო შერქმეული: „ესე არის ტბაი მღვრიე ყოვლადვე, რომელსა ეწოდება **სათახვე**. და არს ამას შინა სიმრავლე **თახვთა**“.

როგორც ს. ჯიქია მიუთითებს, ტბის სახელი ჯერ კიდევ ოსმალებმა და სპარსებმა გაიაზრეს **ფარვანად**, რაც ღამის პეპელას აღნიშნავს და ის თავის დროზე გერმანულად პირდაპირ პეპლის ტბადაც კი თარგმნეს. „ცხადია, რომ თურქულ დავთარში „ფერვანე“ სიტყვა ამ ტბისა და სოფლის სახელწოდებად გამოძახილია ქართული სოფლისა, რომელიც ქართულად **„ფარვან“**, **„ფარვანა“**, **„ფარვანად“** წარმოითქმოდა (ჯიქია 1958, 345). რაც შეიძლება სულაც არ იყოს საფუძველს მოკლებული. აქვე შეიძლება აღინიშნოს ოვანეს თუმანიანის ბალადა **„ფარვანა“**, რომელიც პოეტმა ახალქალაქში სპეციალურად ჩასვლისა და ლეგენდა-გადმოცემების მოსმენის საფუძველზე დაწერა. ბალადის მიხედვით ცეცხლის პეპლები, **ფარვანები**, ფარავნის ბინადარნი არიან, რომლებმაც ფრთები გამოისხეს და პეპლებად იქცნენ.

სოფლის სახელის და ტბის ურთიერთობა ჩვენ წარმოგვიდგენია შემდეგნაირად: ფარავანი ერქვა ტბას და მის გამო, ასევე სოფლის თავობის გამო შეერქვა სოფელს **„თავფარავანი“**. „ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „თავფარავნელი ჭაბუკის“ ჩვენებას თავთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში უეჭველად სოფელი იგულისხმება, რადგან ბალადის შექმნის ადგილი ლოკალურია და ტბის პირას ერთმანეთის

საწინააღმდეგო მხარეს მდებარე სოფლები **თავფარავანი** და **ასპანა** იგულისხმება (ბერიძე 2008, 2016). ტბის სახელი გადავიდა სოფელზე და შემდეგ სოფლის სახელი, როგორც დანარჩენ ტბათა სახელები, დაუბრუნდა ტბას, ამიტომაც გვაქვს პარალელურ ფორმებად როგორც სოფლის, ისე ტბის სახელად ჯერ **ფარავანი**, შემდეგ კი **თავფარავანი**.

აქვე საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს თვით ბალადაზე - „თავფარავნელ ჭაბუკზე“, რომელიც მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოებია. მასში გარდა მთავარი პერსონაჟისა, ჭაბუკისა, რომლისაც არც სახელი ვიცით და არც გვარი, არის ორი გეოგრაფიული პუნქტი: **თავფარავანი** და **ასპანა**. ბალადის გავრცელებულობის გამო, იმის მიხედვით, თუ საქართველოს რომელ კუთხეში ვრცელდებოდა, იცვლებოდა ამ ორივე ტოპონიმის სახელი. თავფარავნის გარდა გვხვდება ვარიანტები: **მთაფარავნელი**, **თაფარავნელი** და **თამარაშენი**, ხოლო **ასპანას** ნაცვლად გვაქვს **ასპინძა**, **ასფარა**, **გასპარა**, **ასპარა**.

„თავფარავნელი ჭაბუკი“ შესულია სომხურ ფოლკლორშიც. ბალადის სიუჟეტზე შექმნილია ოვანეს თუმანიანის პოემა „**ფარავანა**“. ტბის დასოფლის სახელები იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ბალადასთან, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი მოყვანა ნაშრომში:

თავფარავნელი ჭაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა,
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი ავსული **ბებერი**
ვაჟისთვის ავსა ლამობდა,
სარკმელზე ანთებულ სანთელს
აქრობდა, აბეზარობდა.
თან ამას ეუბნებოდა,
წინადაც ეგა გყვარობდა.
ვაჟი მთანგრევს ტალღებსა,
გულ-მკერდი არა ჩქამობდა.
ცალ ხელით **დოლაზი** მიაქვს,
ცალ ხელით ნიავექარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი,
გამოდმა კელაპტარობდა.
ღამე ჩამოდგა წყვილიადი,
უკუნს რამესა ჰგვანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი
ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.

დაჰკარგა ფონი შეშქირდა,
მორევი ბობოქარობდა,
გათენდა დილა ლამაზი,
კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი,
ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგი
ზევიდან დაჰფარფარობდა,
ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი,
გულს უგლეჯავდა, ხარობდა.“ (კოტეტიშვილი 1961, 29-30)

ძირითადი ვარიანტი მხარს უჭერს **თავფარავანს** და **ასპანას** ტბის გადამლა-გადმოდლა სოფლებს. თავფარავანია სხვა ხალხურ ლექსში: „ჩვენს მეფეს გაუმარჯვნია, თავფარავანის ტბაზედა, მოუკლავს ხარი ირემი, საისრე უდევს მხარზედა“ (კოტეტიშვილი 1961, 29).

შემთხვევითი არ არის, რომ სულხან-საბა ორბელიანი ტბას მომცრო ზღვას უწოდებს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი „ტბას“ და „ზღვას“ ერთდროულად უწოდებს ფარავანს, როდესაც დედანში მხოლოდ ტბა არის (ბერიძე 2008, 205)

რაც შეეხება **თამარაშენს**, რომელსაც ლ.მელიქსეთ-ბეგი თამარ მეფის სახელს უკავშირებს, ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. (ჯიქია 1958, 348). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამარის სახელს ხალხი არ დააკნინებდა. შეუძლებელია ციხისთვის ეწოდებინა ვინმეს **თამარას ციხე** ან ხიდისთვის - **თამარას ხიდი**. „როდესაც ადამიანის სახელი ედებოდა საფუძვლად ადგილის სახელწოდებას, უეჭველად ა-ს დაურთავდნენ. ერთ შემთხვევაში, რაც ძალზე იშვიათია, თვით წმინდა იოსების „დაკნინების“ შედეგად არსებობს **იოსეფას ეკლესია** თმოგვში, მაგრამ თამართან დაკავშირებულ სახელწოდებებს ეს არ ეხება, როგორც ჩანს, არ აკადრებდნენ და იმიტომ (ბერიძე 2008, 46).

როდესაც ასპანის ნაცვლად ასპინძას ხმარობენ, მნიშვნელობა აქვს, ალბათ, საერთო წარმომავლობას, კერძოდ, **ასპ** - ფუძეს, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს **ასპანაც** და **ასპინძაც**. გვაქვს ასპარა, რომელიც ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტია, ასევე გვაქვს მესხეთში გავრცელებული გვარი **ასპანძე**. შეიძლება მხოლოდ გარეგნული დამთხვევა არ იყოს ამ ფორმებისა. ტოპონიმურად გაუნათლებლობის შედეგი უნდა იყოს ასპანის ნაცვლად **გასპარას** ხმარება, თუმცა ერთგვარ ბგერობრივ მსგავსებაზე ამ შემთხვევაშიც შეიძლება საუბარი.

თავფარავანი ტბისა და სოფლის სახელად გვიან ჩნდება. არა გვაქვს არც ვახუშტი ბატონიშვილთან და არც მანამდე ქართულ და უცხოურ წყაროებში. ეს კიდევ ერთი არგუმენტია სწორედ **თავ-** სიტყვის თავდაპირველობისა სახელდების დროს და ეს სახელი ტბისთვისაც და სოფლისთვისაც

შედარებით გვიან არის შერქმეული. მიუხედავად ამისა მასში შენახულია სახელდების მთელი ისტორია, ამიტომ, ვფიქრობთ პარალელურ ფორმებად უნდა გამოვიყენოთ დღეს ორივე სახელი: **ფარავანი, თავფარავანი, ფარავნის ტბა, თავფარავნის ტბა.**

რომ გავითვალისწინოთ სოფლის სახელთა აღმნიშვნელი ტრაფარეტებისათვის ლაკონური წარწერების პრაქტიკულობა, რადგან რთული იქნება ერთ ბანერზე ორი პარალელური ფორმის გადატანა, უმჯობესია სოფლის აღმნიშვნელ ტრაფარეტს დაეწეროს თავფარავანი.

ტოპონიმის, როგორცადგილის სახელის, უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი არის მისი გამორჩევითობა. საზოგადოება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გამოარჩევს ამა თუ იმ ობიექტს სხვა მსგავსთაგან და რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს მას. სამცხე-ჯავახეთი მთაგორიანი მხარეა, ამიტომ მთა, როგორც გეოგრაფიული ტერმინი და საზოგადო სახელი ახასიათებს თითოეულ მთას, რომ ის არის რელიეფის გამორჩეული, განსაკუთრებული სახე, მდგომარეობა, მაგრამ მთას, რომელსაც მწვერვალი „წაკვეთილი“ ექნება, საზოგადოებისათვის იქცა ტოპონიმად, როგორც **თავკვეთილი**. ტოპონიმს უპირველესად აქვს სამისამართო ფუნქცია. მისი საშუალებით ვგებულობთ, თუ სად მდებარეობს ამ სახელის პუნქტი. შეიძლება ერთნაირი სახელების ობიექტი სხვადასხვა ადგილზე იყოს, წარმოშობაც შეიძლება საერთო ჰქონდეს, მაგრამ განასხვავებს მას დამატებითი ნიშანი. მაგალითად, საქართველოში ბევრი **აგარაა**, სამცხე-ჯავახეთშიც რამდენიმე აგარა გვაქვს, ამიტომ სამისამართო ფუნქცია რომ არ აღმოჩნდეს გაურკვეველი, მიუთითებენ, რომ ესა თუ ის აგარა მდებარეობს ქართლში, მესხეთში და ა.შ. ან თუ კუთხე ერთი და იგივეა, მიეთითება მუნციპალიტეტი,

ახალციხის აგარა, ასპინძის აგარა, ხოლო თუ ერთ მუნციპალიტეტშია და შეიძლება უკვე სოფელიც კი აღარ იყოს, მიეთითება ნასოფლარი აგარა ან მის შესახებ ითქვას - **ნიალის აგარა, თმოგვის აგარა** და სხვა აგარა იქნება - **ოთის აგარა ან აგარის დედათა მონასტერი** და სხვა.

გაურკვეველობა სამისამართო ფუნქციისა და აღნიშნული ობიექტისა დენოტატისა, შეიძლება გამოიწვიოს თანამედროვე მიდგომამ, რომ სახელის „ლაკონურობის“, ადვილად დაწერილობის გამო გააერთიანონ სხვადასხვა ობიექტი და ყველას ეწოდოს ერთი სახელი. მაგალითად: ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნციპალიტეტში არის **ფარავანი ტბა** და სოფელი - **ფარავანი**, რომელსაც დუხობორთა ჩამოსახლების შემდეგ ეწოდა როდიონოვკა მე-19 საუკუნის შუა წლებში. დღეს ამ სოფელში დუხობორები აღარ ცხოვრობენ და საერთოდ, ისტორიული სახელების აღდგენით ხდება ისტორიული სინამდვილის აღდგენა. სოფელს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ეწოდა თავფარავანი, რის მიხედვითაც შეიქმნა ცნობილი ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“, **ფარავანს**, რომელიც თავისი ფონეტიკური ვარიანტებით იხსენიება მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე,

ჰქონდა აგრეთვე სახელწოდება **თავფარავნის ტბა**_ხოლო მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ფარავნის ტბიდან, ეწოდებოდა **თავფარავნის წყალი, ჯავახეთის მტკვარი** და სხვა.

საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციულტერიტორიული დაყოფის მიხედვით როდიონოვკას ფრჩხილებში ჰქონდა მიწერილი **ფარავანი**. დღეისათვის ფარავანი ეწოდება აგრეთვე მდინარეს, რომელიც გამოსდის ფარავნის ტბას და ერთვის მტკვარს. სამი ობიექტი - ტბა, სოფელი და მდინარე აღინიშნება ერთი და იმავე სახელით. ამ სამივე ობიექტს აქვს ერთმანეთთან კავშირი, როგორც ისტორიულად, ისე გეოგრაფიულად, ამიტომაც ეს კავშირი ხალხმა გამოხატა შესაბამისი სახელებით: **ფარავანი, თავფარავანი, თავფარავნის წყალი**. მას შემდეგ, რაც „მოწესრიგდა“ საგზაო ნიშნებით და შესაბამისი ტრაფარეტებით ობიექტები, ფარავნის წყალს, რომელსაც ერქვა **ჯავახეთის მტკვარი თავფარავნის წყალიც** - „ეწოდა“ **ფარავანი** და დაიდგა შესაბამისი ტრაფარეტი ხერთვისთან, ამგვარად, მოხდა ტოპონიმის, ამ შემთხვევაში ჰიდრონიმის, მთავარი ფუნქციის, სამისამართო ფუნქციის უარყოფა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ტრაფარეტებს ჰქონდეთ „მდინარე“, „სოფელი“ შესაბამისი სიმბოლიკით, მაგრამ სახელის უნიფიცირებით შეცდომაში შევყავართ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე უცხოელი, რომელიც შემოსულია ჩვენი ქვეყნის გასაცნობად. 2009 წელს, როდესაც დაიდგა ეს ტრაფარეტი, ჩვენ ვფიქრობდით, რომ საჭირო იყო ამ სახელის შეცვლა ისტორიული სახელით - **ჯავახეთის მტკვრით** (ბერიძე 2011, 96-99). ვითვალისწინებთ რა დღევანდელ დამოკიდებულებას და იმასაც, რომ აღნიშნულმა ტრაფარეტმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების დამოკიდებულებაზე მდინარის სახელთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მდინარეს მრავალ სახელთაგან ეწოდოს **თავფარავნის წყალი**. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელი სომხური მოსახლეობა მდინარეს უწოდებს **თავფარავანს, თავფარავანჩაის, თავფარავანას, თაფარავანას**, რაც თავფარავნის ფონეტიკური ვარიანტებია არაქართულ გარემოში. ასე რომ, **თავფარავნის წყლის** დაკანონებით გამოიკვეთება ორიენტირიც, ტბა, რომელსაც ჰქვია **ფარავანი**, სოფელიც **თავფარავანი** და მდინარეც, რომელიც სათავეს იღებს ტბიდან. ხოლო სტატიას, რომელსაც არ დაუკარგავს აქტუალურობა, კიდევ ერთხელ ვაქვეყნებთ მცირე შემოკლებით:

ჯავახეთის მტკვარი თუ ფარავანი?

არის სახელები მესხეთში, რომელთაც განსაკუთრებული მოფერება და მოფრთხილება სჭირდება. მათთან არის დაკავშირებული ჩვენი ისტორიის, ეთნოგრაფიის, ყოფის, ენის, კულტურის, ფოლკლორის ბევრი დეტალი. ასეთი სახელი ბევრია ჩვენს გარემოში. თოთოეულ მათგანს

თავისი ადგილი და აურა აქვს. სამცხე-ჯავახეთი გამორჩეულია ტბებითა და მდინარეებით, ხევ-ღელეებით, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებული როლისა და ისტორიისა არის. ესენია: **მტკვარი** და **ფარავანი**. ერთი - დედამდინარეა საქართველოსი და მეორე - უდიდესი ტბა ჩვენი ქვეყნისა. დღეს ვარძიისკენ მიმავალ გზაზე არ შეიძლება, იმედი არ ჩაგესახოს - ეღირსება გზა ბოლოს და ბოლოს ასპინძასა და ვარძიას! გზის კეთება კარგი ტემპით მიდის, ამიტომ, თუ მშვიდობაც იქნა, დარწმუნებული ვარ, შინაური და გარეული სტუმარი არ მოგვაკლდება. ცოტა ხნის წინ ხერთვისთან თანამედროვე ტრაფარეტი ვნახე და გამეხარდა. რამდენიმე წლის წინ „ხერთვისის ციხე“ ხომ ქართულად და ინგლისურად ჩემი ხელით დავწერე და დავდგი. მაშინ ვნატრობდი, დამდგარიყო დრო, როცა ყველა ძეგლს, ყველა მდინარეს, ღირსშესანიშნაობას შესაბამისი წარწერა ექნებოდა. ასე ხომ დღევანდელობაში იცოცხლებდა წარსული. . . და აი, ნატურის აღსრულებად მივიჩნიე ტრაფარეტი ხერთვისში მდინარის პირას. წარწერა გვამცნობს, რომ ეს მდინარე არის **ფარავანი**.

ჯერ ხერთვისის შესახებ ვიტყვი ორიოდ სიტყვას: **ხერთვისი** დღეს მხოლოდ ადგილის სახელადაა შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ის არის ერთ-ერთი ისტორიული და ძველი ლექსიკური ერთეული. იყო დრო, როდესაც ხერთვისი ნიშნავდა კუნძულსა და ნახევარკუნძულს, როგორც ამის შესახებ ძველი ქართული ძეგლების მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითა ა. შანიძემ. კუნძულისა და ნახევარკუნძულის ერთი სიტყვით აღნიშვნა მხოლოდ ძველ ქართულს არ ახასიათებდა. ასეა სხვა ბევრ ენაშიც, კერძოდ: არაბულში, ბერძნულში, თურქულში. ხერთვისი ნახევარკუნძულის მნიშვნელობით, ე.ი. ისეთი ადგილის აღმნიშვნელად, რომელსაც ხმელეთთანაც აქვს კავშირი და გარშემო წყალი უვლის, თვალსაჩინოდ არის გამოხატული ჩვენს შემთხვევაში. ხერთვისთან ორი მდინარე ერთის და ამ შესართავის კონცხზე არის დასახლება თავისი ციტადელით. რა მდინარეები ერთის ხერთვისში ერთმანეთს? ერთი სადავო არ არის, ვარძიიდან მომდინარე წყალი არის **მტკვარი**. ვახუშტი ბატონიშვილი მტკვრის შესახებ წერს: „ხოლო ქუეყანასა ამას შინა არიან მდინარენი, უდიდესნი მტკუარი და ჭოროხი, რამეთუ მტკუარს მოერთვიან ყოველი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტაანისანი... და მდინარე ესე მტკუარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას... და მუნიდამ მიდის სამხრეთიდამ ჩრდიოეთად, ვიდრე **ახალციხის წყლის** შესართავამდე, მერმე მუნიდამ დაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობისხევადმდე“. მტკვარი, როგორც უმთავრესი მდინარე საქართველოსი, ბევრ ისტორიულ ფაქტს განაპირობებდა. ბევრი საინტერესო წყარო უმთავრეს ორიენტირად სწორედ მტკვარს მიიჩნევდა; ამიტომ საქართველოში ისტორიულ კუთხეთა საზღვარი ან გადიოდა მტკვარზე, ან

მიემართებოდა მას სხვადასხვა მხრიდან. საამისოდ ბევრი მასალის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებთ. ერთი კი ხაზგასასმელია, რომ მტკვარი ჩვენი ისტორიაა, ცხოვრებაა. შეუძლებელია, წარმოიდგინოს კაცმა საქართველო დედამდინარის გარეშე. ამასთანავე მტკვარი კავკასიის უდიდესი მდინარეა და ბუნებრივია, რომ მეზობელ ხალხთა ისტორიაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მტკვარს სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა სახელს უწოდებს. „**მტკვარი**“ - ამ სახელით აღინიშნება საქართველოში ორი მდინარე - **ჯავახეთის მტკვარი** და მტკვარი ანუ **არტაანის მტკვარი**.

ჯავახეთის მტკვარი ეწოდება მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ფარავნის ტბიდან, უფრო სწორად, სალამოს ტბიდან და უერთდება მტკვარს ხერთვისთან. კვლავ ვახუშტი ბატონიშვილს მოვუსმინოთ: „ჯავახეთის მტკვარი გამოსდის ფარავნის ტბას და მოერთვის სალამოს ტბას, კუალად გამოსდის სალამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სახრეთს შუადად ჩრდილოთ-დასავლეთს შორის, სიგრძით არის სალამოს ტბიდან ხერთვისამდე და დის ფრიად ღრმასა და კლდიანს ხრამსა შინა“. ჯავახეთის მტკვარი ამ მდინარეს იმიტომ ეწოდება, რომ გასდევს ჯავახეთს აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთამდე. ამასთანავე ამ მდინარეს ჰქვია **ახალქალაქის წყალი**, რადგან მთელ სიგრძეზე იმ 81 კილომეტრის მანძილზე, სადაც მდინარე გადის, ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი არის ახალქალაქი. ჯავახეთის მტკვარს ბევრი სხვა სახელიც აქვს. ძველი რუსული რუკების მიხედვით მას **ფარავანს** ან **ფარავნის წყალს** იმიტომ უწოდებენ, რომ სათავეს ფარავნის ტბიდან იღებს. შეიძლება შეგვხვდეს **ახალქალაქიჩაი**, რაც ქართული ახალქალაქის წყლის თურქული თარგმანია და დამახინჯებული „мапараван“ ფორმა. ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი სახელები შეიძლება იქცეს მდინარის ზოგად სახელად სხვადასხვა დროს. საილუსტრაციოდ საინტერესოა ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გამოცემული რუკის მონაცემები, სადაც ამ მდინარეს სათავიდან შესართავამდე აწერია ორჯერ **ჯავახეთის მტკვარი** და თოთოჯერ: **ფარავანი**, **ფარავნის წყალი** და **ახალქალაქის წყალი**.

ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე მისაღები და დასამკვიდრებელი ფორმა? ჰიდრონიმის (მდინარის, წყაროს, ღელის, ხევის, ტბის) სახელთა დამკვიდრების დროს გასათვალისწინებელია ის, რომ მას ახასიათებს მრავალსახელიანობა, სხვადასხვა დროს „ზეობს“ სხვადასხვა სახელი. დღეს, როდესაც სოციალურ, ეკონომიკურ, საორიენტაციო პირობების გარდა ხდება ამა თუ იმ სახელის დამკვიდრება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ფაქტორებს. ხერთვისი არის სასაზღვრო პუნქტი სამცხესა და ჯავახეთს შორის. თუ **ახალქალაქის** ან **ფარავნის (თავფარავნის) წყალს** დავარქმევთ, ხაზს გავუსვამთ მდინარის მიმართებას ახალქალაქთან და ფარავანთან, რაც ბევრად ნაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე ჯავახეთი. თუ ვუწოდებთ მას **ჯავახეთის**

მტკვარს, აღვადგენთ ისტორიულ სახელსაც, მივანიშნებთ საზღვარს და მიმართულებას ჯავახეთისას, შინაარსს შეიძენს თავად სახელი „მტკვარი“, რომელიც უძველესი ჰიდრონომიური ტერმინია და წყალს ნიშნავს. ყველაზე ცუდი ვარიანტია, როდესაც მდინარეს ვუწოდეთ **ფარავანი**. მტკვარი, მდინარეები საერთოდ, ქმნიან ხეობებს, რომელშიც უძველესი დროიდან ცხოვრობს მოსახლეობა. მტკვარი რწყავდა მის გარშემო ტერასებს, მას იყენებდნენ სასმელად. მტკვრის თევზის ნაირსახეობა მეზადურობის განვითარების საფუძველი იყო. ეს ხეობები ქმნიდნენ სამეურნეო სისტემებს და მიკროქვეყნებს, რომლებიც ხშირად ეთნიკური წარმონაქნის საფუძველი ხდებოდნენ. სხვაგვარი მდგომარეობა შეიქმნა ჯავახეთის ზეგანზე, სადაც მიკროქვეყნების წარმოქმნა ხდებოდა არა ხეობების მიხედვით, არამედ ტბათა გარშემო დასახლებით. **ფარავნის ტბა (თავფარავანი)** თრიალეთ-ჯავახეთის საზღვარზე მდებარეობდა ოდითგან. მიუხედავად ამისა, ტბა თავისი ფართობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ქმნიდა საკუთრივ ფარავნის რაიონს. „გეომორფოლოგიური თავისებურებების გამო, ზემო ჯავახეთის ცალკეული მდინარეები არ ქმნიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს . . . ამიტომ აქ მცირე ქვეყნები „ხეობით“ არ გამოიყოფა, სამაგიეროდ, დიდი და მცირე ტბები ქმნიან პატარა მდინარეთა შესაკრებ აუზებს, მთა-გორებით გამოყოფილს სხვა ასეთივე ან მშრალი ქვაბურებისაგან. სწორედ ამ ტბების ირგვლივ არსებული სოფლები შეადგენენ აქაურ მიკროქვეყნებს. ძირითადი ცენტრალური პუნქტის სახელი გადადის ტბაზე, ტბიდან კი მთელ რაიონზე ვრცელდება“ (დ. ბერძენიშვილი). ფარავნის ტბის გარშემო სოფელთა შორის გამორჩეულად დაწინაურებული იყო **თავფარავანი**. თავი, ამ შემთხვევაში ნიშნავს მეთაურ, ცენტრალურ, მთავარ სოფელს. ფარავნის ტბიდან მიიღო სოფელმა სახელი, რომელიც შემდეგ ისევ ტბას დაუბრუნდა. ასე მივიღეთ ტბის სახელი **თავფარავანი** და ლამაზი ბალადა თავფარავნელ ჭაბუკზე. ამ ყველაფერს ვკარგავთ, თუ ჩვენ ჯავახეთის მტკვარს ვუწოდებთ ფარავანს, როგორც ეს ტრაფარეტის მიხედვით უკვე „ნაწოდებია“. ფარავანი არის ტბა თავისი გარემოებით, ისტორიით და დღევანდელიობით. ლეონტი მროველი ამბობს ჯავახეთის შესახებ; „ხოლო ჯავახოს მისცა ფანავრითგან, ვიდრე თავადმდე მტკურისა“, ხოლო ჯუანშერი მესხეთის საზღვარს შემოფარგლავს: „ფარავნითგან და ტასისკართგან, ვიდრე ზღუამდე სპერისა“. ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ ხერთვისთან შეერთებული ორი მტკვრიდან ერთი არის **ჯავახეთის მტკვარი** და არა **ფარავანი**. თანამედროვე პირობებში, როდესაც იდგმება ტრაფარეტები, გამოიცემა ტურისტული ბუკლეტები, რაიონული და რესპუბლიკური, ადმინისტრაციული და ტერიტორიული ცნობარები, ძნელი არ არის იმ სახელთა დამკვიდრება, რომლებიც ზუსტად ასახავენ წარსულსა და თანამედროვეობას, გამოხატავენ ეროვნულ ინტერესებს.

2009 წელი.

ყულ- ფუძიანი სახელები საქართველოში (ყულალისი)

ყულ - ფუძიანი სახელები გავრცელებულია საქართველოში, როგორც ცალკე, ისე რთულ ფუძეთა შემადგენლობაში. მათი მიმოხილვა დავიწყოთ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ზველის ტერიტორიაზე არსებული სახელით. **ყულა//ყულაი - ნაციხარის ნაწილია** სოფლის ჩრდილოეთით, რომელიც ციხის კედელი უნდა ყოფილიყო, გადასცქერის ღობიეთს. ქარაფისპირს ჰქვია ასე, ქვიანია, ეტყობა კედელიც ქარაფისპირზე. ყულადან (ყულიდან) ჩადის გზა ავაზნებზე. ყულას გვერდითაა **ციხისთავი**. „ყულაზე არის დიდი ქვა. ამ ქვაზე ადრე ხალხი მიჰყავდათ და ახრჩობდნენ“. სხვა განმარტებით: „გადმოცემით, ყულაზე ყოფილა სახრჩობელა“. კოშკები, ყულა და ციხისთავი ერთი სისტემაა. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მაშინ 78 წლის ბაგრატ ზედგინიძისგან დისერტანტ მაია ივანიძეს ჩაუწერია შემდეგი: „სოფლის გადაღმა ციხე იყო სვეტივით, ქვევიდან რომ გაგველო, დაინახავდი, მერე დაანგრის“. **ყულ - ფუძიანი სახელი ყულები** სხვაგანაც გვხვდება მესხეთში. ამ სახელით არის ცნობილი სოფელი მე-16 საუკუნეში და იგი აღწერეს ოსმალებმა. დღეს, მართალია, ეს სოფელი აღარ არის, მაგრამ შემორჩენილია ნასოფლარი. ადიგენის რაიონში მოგზაურობისას მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ს. ჯიქიას ადგილობრივი მკვიდრისგან ჩაუწერია შემდეგი: „ამ პატარა წყალს **ჭულელას** ვეტყვით ზანავისა და ადიგენის მიჯნა ეგაა. ეს წყალი **ჭულეს** გაივლის (შუაში), **ფერსათის მთიდან** მოდის, მოედინება **ყულებიდან**, ჭულედან“ (ჯიქია 1958, 108). ამონაწერის მიხედვით, საკმაოდ ზუსტად შეიძლება დადგინდეს ყულების ადგილი ადიგენის რაიონში. **ჭულელა** არის პატარა მდინარე, რომელიც სათავეს იღებს ფერსათის მთებიდან. პირველი ნასოფლარი, რომელსაც ჩაუვლის, არის ყულები, შემდეგ დაემშვება ჭულევისაკენ და ჩანჩქერის სახით შემოდის მონასტრის კელიების სიახლოვეს. ყულებში 1595 წელს სამი კომლი ცხოვრობს: **მაზანა ცისკარასძე, თანდილა** ძმა მისი და **ზამუკა** ძე მისი (ჯიქია 1941, 82). ისინი ერთი ოჯახის წევრები არიან.

ახალციხის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის **კოკოლა გორა**, რომელზეც მდებარეობს წმინდა ჯვრის ეკლესია. რეზო ანდლულაძის ინფორმაციით კოკოლა გორა მოქცეული იყო **ყულების** ციხე-გალავანში, ხოლო ხალხური ეტიმოლოგია ახალციხის ციხის **ყულებს ყურებას** უკავშირებს. რადგან ყულები ამალღებულ ადგილს ჰქვია, „მთელ მიდამოს გადაჰყურებს...“

ყულ - ფუძის გამოყოფა შეიძლება სოფლის სახელში **ყულალისი**. ეს სახელი ჰქვია ორ სოფელს ნინოწმინდისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. მართალია, ეს სოფლები არ არის აღწერილი ისეთ დოკუმენტში, როგორცაა „ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავარი“,

მაგრამ ასეთი გამონაკლისები ხდებოდა გარკვეული მიზეზების გამო. მაგალითად, ამავე დოკუმენტში არ გვხვდება ცნობილი სოფელი **სათხე**, რომელიც ნამდვილად არსებობდა დღევანდელი ნინოწმინდის რაიონში, რასაც ადასტურებს უძველესი არქეოლოგიური და კულტურული ძეგლები, წარწერები სათხის ტამარზე (ბერიძე 2010, 44-62). ყულალისში შეიძლება გამოიყოს **ყულ** - ფუძესთან ერთად **-ალ** და **-ის** სუფიქსები ისევე, როგორც **ბარალეთში**, რომელსაც ჰქონდა პარალელური ფორმა ბარალისი და **-ალ** სუფიქსის ფუნქცია უნდა ყოფილიყო წარმომავლობის აღნიშვნა (იხ. ბერიძე 2008, 113-118). ამავე ფუნქციით გამოიყოფა **-არ** სუფიქსი **ჭობარეთში** (ბერიძე 2008, 118). ყულალისის ანალიზი (**-არ**//**-ალ** წარმომავლობის სუფიქსი, **-ის** გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსი) გვაფიქრებინებს, რომ სახელი უძველეს ტოპონიმთა რიცხვს მიეკუთვნება.

დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოს ტერიტორიაზე არის სოფელი **ყულევი**. „შემორჩენილია შუასაუკუნეების ციხე-სიმაგრის ნაშთი. სოფლის მთელი მოსახლეობა განთავსებულია ერთ ქუჩაზე, რომელიც მდინარე ხობისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს სოფ. ყორათიდან ისტორიული ციხე-სიმაგრის ნანგრევებამდე“ (ცხადაია 2007, 220) ყულევს სხადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იხსენიებს წყაროები. ამაღილის სახელი ყოფილა **კემხელი**, **რედუტ-კალე**, როგორც მიუთითებს სხვადასხვა ავტორზე დაყრდნობით პ. ცხადაია. ყულევი მდიდარია არქეოლოგიურადაც, მის მიდამოებში აღმოჩენილია III-IV ათასწლეულების ნასახლარები. **ყულ** - ფუძეს გამოყოფენ აგრეთვე ასევე დასავლეთ საქართველოს სოფლის სახელში **ყულიშკარი**, რომელიც იშვიათად **ყულისკარის** ფორმითაც გვხვდება და „სამეგრელოში წარმართობის დროინდელ ერთ-ერთ ძლიერ ხატ-სალოცავს წარმოადგენდა“ (ცხადაია 2007, 285). ყულიშკარის ხატი ცნობილი ხატია. „ზუგდიდიდან ცხრა ვერსზედ მდებარეობს სოფელი **ყულისკარი**, რომელშიაც ინახება სასწაულთმოქმედი ჯვარი, ანუ როგორც მეგრელები უწოდებენ, **ყულის-კარის ხატი**. ეს ჯვარი განთქმულია მთელს სამეგრელოში თავისი სიძლიერით. ამას მოსდევს აუარება თაყვანისმცემელი და შესაწირავი. მეგრელს არცერთი ხატი და ჯვარი ისე არა სწამს და სასწაულთ მოქმედად არ მიაჩნია, როგორც ყულის-კარის ხატი“ (თაყაიშვილი 1913-1914, 199). როგორც უკვე ითქვა, ამოსავალია **ყული**, „გადმოცემით ყული ხატის სახელია. ეს ხატი სვანეთიდან ჩამოუტანიათ დადემქელიანის მოკვლისათვის გამოქცეულ როგუანებს და ჯგეფფერდთან დაუსვენებიათ, თავად კი გვარი როგავად გადაუკეთებიათ“ (ცხადაია 2007, 285). აქედან გამომდინარე, „ტოპონიმი ყულიშკარი აღადგენს თავდაპირველ ტოპონიმს - **ყულს**“ (ცხადაია 2007, 286), რაც იმას ნიშნავს, რომ იყო ადგილის სახელი სვანეთში **ყული** ან **ყულა**.

საბოლოოდ ყულ - ფუძიანი სახელები, თავისი წარმოების თვალსაზრისით, რამდენიმე ფორმანტის გამოყოფის საშუალებას გვაძლევს:

ყულ-ა//ყულ-ა-ი, ყულ-ებ-ი, ყულ-ევ-ი, ყულ-იმ//ყულ-ის და ყულ-ალ-ის-ი. -ასუფიქსი არის ტოპომაწარმოებელი, რომელსაც მის პარალელურ ფორმაში მოსდევს მესხური დიალექტისთვის დამახასიათებელი სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან. **ყულები**, რომელშიც **-ებ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია, როგორც უკვე ითქვა, ნასოფლარის სახელია ადიგენის რაიონში და ასევე სოფლის უბანს და ყულას შემოგარენსაც **ყულები** ჰქვია ზველში (იხ.). იგულისხმება როგორც მინდორი, ისე კედელი. ე.ი **-ებ** აღნიშნავს სხვადასხვა ობიექტის სიმრავლეს. ასევე შეიძლება ითქვას **ნასოფლარის** შესახებაც. ამ შემთხვევაში ამოსავალი უნდა იყოს **ყული** ან **ყულა**, ხოლო **ყულები** არის სიმრავლის მაჩვენებელი. როგორც ზველის ყულას მაგალითი გვიჩვენებს, არ არის აუცილებელი თავად დენოტატის სიმრავლე, ყულის სიმრავლე. მრავლობითი რიცხვის ნიშანია აგრეთვე **-ევ ყულების** შემთხვევაში. მრავლობითი რიცხვით წარმოებული ტოპონიმები ბევრია საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. როგორც ა. შანიძე მიუთითებს. „თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს ტოპონიმებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მრავლად მოიპოვება ისეთი სახელები, რომლებიც წარმოების მიხედვით, მრავლობითის ფორმას წარმოადგენენ“ (შანიძე 1981, 438)/ სხვა მრავალი მაწარმოებლის გვერდით მრავლობით რიცხვს აწარმოებს **-ევ** სუფიქსი, როგორც ეს გაარკვია ა. შანიძემ. მან მოგვცა **ევ-სუფიქსიან** ტოპონიმთა „უდაო“ სია. ეს ის ტოპონიმებია, რომელთა ფუძეები გამჭირვალეა და გასაგები: ვაშლევი, ძეგლევი, ბოსლევი, მღვიმევი, ველევი, ველტყევი, ვაკევი, ქვევი, იფნევი და ტყევი (შანიძე 1981, 443). ამ სიას უნდა დაემატოს **ყულები**. ვიდრე **ყულ** - ფუძის შესახებ ვიმსჯელებდეთ, ყულებში **-ევ** სუფიქსის გამოყოფის საშუალებას გვამღვებს **-ებ** სუფიქსიანი ფორმები - **ყულები, ყულის** მრავლობითი რიცხვი სოფელ ზველში და **ყულები**, ნასოფლარი ადიგენის რაიონში. **-იმ // -ის** სუფიქსები ბრუნვათა დაბოლოებანია მეგრულსა და ქართულში. ამ დაბოლოებებით გვაქვს **ყულ- ფუძე ყულიშკარსა და ყულისკარში. ყულალისის** შესახებ უკვე ითქვა. აქ შეიძლება დაემატოს ამ სახელის თურქულ-სომხური ფორმა **ლულალისი**, რომელიც შეიძლება შეგვხვდეს ზეპირმეტყველებასა და ზოგიერთ არაქართულ დოკუმენტში.

ჩამოთვლილ ტოპონიმთა შესახებ არსებობს ხალხური და მეცნიერული განმარტებები, ეტიმოლოგიები. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად **ყულებისა** და **ყულიშკარის** შესახებ შეიძლება ეტიმოლოგიური კვლევების მოძიება. ხალხური და მეცნიერული ეტიმოლოგიით საერთო წარმომავლობისა ჩანს **ყულ-ფუძე ყულებსა და ყულიშკარში**. ყულების შესახებ ნ. ხომტარია წერს: „ჯერ კიდევ ახლო წარსულში ყულევი, როგორც შავი ზღვის ნავსადგური, საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა ამ მხარის სამეურნეო ცხოვრებაში, უფრო ადრე კი იგი ცნობილი იყო, როგორც ციხე-სიმაგრე“ და იქვე შენიშვნაში იძლევა სახელის ეტიმოლოგიასაც:

„აქედან მოდის მისი სახელწოდებანი: „რედუტ-კალე“ და მეგრ. „კულე“. სიტყვა **რედუტ** ფრანგულია და ნიშნავს მომცრო ციხე-სიმაგრეს და ამავე მნიშვნელობით რუსულშიც იხმარებოდა. „კალე“ და „კულე“ თურქული სიტყვები უნდა იყოს. პირველი ნიშნავს ციხე-სიმაგრეს, ხოლო მეორე - კოშკს; ქართული „ყულევი“ მეგრ. „კულედან“ უნდა იყოს ნაწარმოები“ (ხომტარია 1946, 77). რედუტ-კალეს შესახებ ყველაფერი ნათელია. ის არის „არაქართული ჰიბრიდული სახელწოდება“ (პ. ცხადაია). რაც შეეხება ყულევს, აზრთა სხვადასხვაობაა. ნ. ხომტარიას მიხედვით ქართული **ყულევი** მეგრული **კულედან** მოდის, მეგრული **კულე** კი **კოშკს** ნიშნავს თურქულად. მართლაც, კალე თურქულში არის ციხე-სიმაგრე, ხოლო **ქულე** (თურქ.) - კოშკი. სხვა მოსაზრებით, „ტოპონიმ ყულევის წარმომავლობას უკავშირებენ აღმოსავლურ სიტყვა **ყულ//ყულე**-ს, რაც თურქულში დასტურდება და ნიშნავს **მონას**. ხალხური ეტიმოლოგიაც ასეთია: ხობისწყლის შესართავთან თურქებს ჰქონდათ მონათა ბაზარი, ამიტომ დარქმევია **ყულე**“ (ცხადაია 2007, 222). მართლაც, სერიოზული საფუძველი არსებობს, რომ **კოშკი** დარქმეოდა სახელად, ოღონდ ასახსნელი იქნება **ვ-ს** ფუნქცია, ისევე, როგორც ძნელია **მონა** (ყულე) დაერქვას სახელად ყოველგვარი მწარმოებლის გარეშე. ასევე მონათა ვაჭრობას უკავშირებენ **ყულიშკარის** ეტიმოლოგიას. „ტოპონიმი **ყულიშკარი** აღადგენს თავდაპირველ ტოპონიმს **ყულს**. ხალხური ეტიმოლოგიით, ყული თურქული სიტყვაა და ნიშნავს „**მონას**“. **ყულიშკარი** უწინ მონათა ყიდვა-გაყიდვის ადგილი ყოფილა და თითქოს იმიტომ დარქმევია“ (ცხადაია 2007, 286). ამ ეტიმოლოგიის წინააღმდეგობა ისაა, რომ ყული, კომპოზიტის პირველი ნაწილი, არის თავდაპირველი ტოპონიმი და გამოირიცხება მონათა ვაჭრობა **ყულში**. **ყულევის** ან **ყულიშკარის** ისტორიულ-ეტიმოლოგიური მიმოხილვის შემდეგ **ყულიშკარის** ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით დ. ჭითანავა გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას: „ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემებიდან გამომდინარე, რომ „ყული“ განმარტებულია, როგორც „მონის“ (ან დაბალი ფენის გლეხის - ბალყარეთში), ან კიდევ თურქული ციხე-სიმაგრის („კალე“) და კოშკის („კულე“) აღმნიშვნელი სიტყვა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ უარვყოფთ „ყული“-ს ამგვარ გაგებას, რომ ის თურქულ-მონღოლურ ენებზე „მონას“ ნიშნავს და არც იმას, რომ საქართველოში ვახტანგ VI-ის დროს „ყულარადასის“ ინსტიტუტის სახელწოდება სწორედ თურქულ-მონღოლურ **„ყულ“** აქვს საწყისი; სავსებით დასაშვებია ისიც, რომ სამეგრელოში მდებარე ნავსადგურმა „ყულევმა“ სწორედ ამ უცხო სიტყვიდან მიიღო სახელი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს (**ყულიშკარი**) არავითარი კავშირი არა აქვს ამგვარ გაგებასთან (ჭითანავა 2002, 436). ყულევის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ევ-სუფიქსის ფუნქცია: რატომ დაერქვა **ყულევი** და არა **ყულევი**? არის თუ არა ადგილობრივ დასავლურ დიალექტებში ის ცოცხალი, მოქმედი

სუფიქსი. თუ არ არის, მაშინ, აკაკი შანიძის მოსაზრებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ძველი მრავლობითობის ნიშანია, ამიტომ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს, ყულევის მონის ან კოშკის მნიშვნელობასთან დაკავშირება, თანაც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს დ. ჭითინავა, რომ მონათა ბაზრების ასეთი ოფიციალური არსებობა არ ასახულა არც ჩვენს ისტორიაში და არც გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. რაც შეეხება მესხეთში დადასტურებულ **ყულებს**, ნასოფლარის სახელი საკმაოდ ძველი ჩანს საიმისოდ, რომ მას **მონის** ან **კოშკის** მნიშვნელობით დარქმეოდა სახელი. როგორც ზემოთ ვნახეთ, მე-16 საუკუნის ბოლოს იქ სამი კომლი ქართველი ცხოვრობს. ფერსათის ფერდობებზე შეუძლებელია, რაიმე მონათა ბაზარი ყოფილიყო. ვერც კოშკის თურქული სახელით ავხსნით მას, რადგან გარშემო ბევრი სახელია, რომელიც ამ ტიპის ნაგებობას ციხით აღნიშნავს, ხოლო, თუ მაინცდამაინც თურქი დაარქმევდა ან თარგმნიდა, -ებ სუფიქსის ნაცვლად, თურქული მრავლობითის სუფიქსს გამოიყენებდა. სოფელ ზველის **ყულას** რაც შეეხება, აქ გამოსარიცხია **კოშკის** მნიშვნელობით **ყულის** დარქმევა, რადგან **კოშკები ყულას** გვერდით ადგილს ჰქვია. გადაბმულია ერთმანეთზე **ყულა** და **კოშკები**. სხვადასხვაენოვანი სახელი შეიძლება ერთი და იმავე სუბიექტს ერქვას, ეს ბუნებრივია, მაგრამ ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვაენოვანი სახელი გვერდი-გვერდ ადგილებს რომ ერქვას, ალოგიკურია. ერთი რამ აშკარაა, რომ **ყულ** - ფუძე საერთო ქართული წარმომავლობისა უნდა იყოს, რასაც მისი გავრცელების გეოგრაფია მიგვანიშნებს. ამიტომ საინტერესოდ მიგვაჩნია დ. ჭითინავას მოსაზრება, „ რომ „ყულ“-ად წოდებული ადგილი ყულიშკარის თემში წარმოადგენდა თემის შესაკრებად განკუთვნილ მთავარ ადგილს **„სჯას-ბაასის“** ანუ **„სალაპარაკოსი“** და **„სამსჯავრო“** ანუ **„სასამართლოსი“** (ხოშტარია 2002, 438). ასეთ შემთხვევაში გასაგები ხდება ზველელ ინფორმატორთა ნათქვამი, რომ ყულაზე არის დიდი ქვა, სადაც მიჰყავდათ ხალხი და ახრჩობდნენ, რომ აქ იდგა სახრჩობელა და სხვა. ზველელთა მტკიცებით, ყულა იყო სწორედ სასამართლო ადგილი, სადაც ასამართლებდნენ დამნაშავეებს. ეს გადმოცემები ეხმიანება დ. ჭითინავასეულ ახსნას.

მეთერთმეტე საუკუნის ანთროპონიმები ფოკანის ტაძრის ეპიგრაფიკის მიხედვით

საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ კუთხეში ჯავახეთში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში თავფარავნის ტბის პირას დგას უკამაროდ ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი

ფოკანის ეკლესია, რომელიც შემკულია არაერთი წარწერით, „საიდანაც ვგებულობთ, რომ ტაძარი 1030-40-იან წლებში **ბაგრატ IV-ის** დროს აუგია იოანე ოქროპირს, ქართლის კათალიკოზს, ხუროთმოძღვარი კი მიქელ „ქართლისა ბანაქსალარი“, სავარაუდოდ - ქართლის ხუროთმოძღვართუხუცესი“ ყოფილა“ (გზამკვლევი 2000, 14).

მე-11 საუკუნეში ბაგრატ IV-ის დროს აშენებული ტაძრის გარდა ფოკაში დგას XI-XIII საუკუნეებში აშენებული ეკლესია, რომელიც მიგრანტმა სომხებმა გადააკეთეს XIX საუკუნეში. ამავე ტერიტორიაზე არის უძველესი ციხის ნანგრევები (გზამკვლევი 2000, 15).

ფოკანი, რომელიც ცნობილია საქართველოს ისტორიაში, ბევრი რამით არის ღირსშესანიშნავი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წარწერები, რომელთა მიხედვით ვეცნობით არა მხოლოდ ისტორიულ პირთა სახელებს, არამედ რიგით ადამიანთა სახელ-გვარებს, რაც იმ პერიოდის ქართული ანთროპონიმის კვლევის საშუალებას გვაძლევს.

მე-16 საუკუნეში სოფელი ფოკა დაფიქსირებულია მოსახლეობის გარეშე „სოფელ ფარავანთან“ (ჯიქია 1941, 234). ე.ი. იქ, სადაც დღეს არის. ასევე სოფ. საღამოს ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად მიუთითებენ, რომ იგი მდებარეობს სოფელ ფოკასა და განძანთან (ჯიქია 1941, 224).

თავფარავნის ტბის გარშემო სოფელთა უმრავლესობა „გურჯისტანის ვილაიეთს დიდი დავთრის“ შედგენის დროს დაცლილია მოსახლეობისაგან. ფოკანის გარდა, ისეთი ცნობილი სოფლები და ნასოფლარები, როგორცაა: ქუნცალა, თუმანი (დუმანი), საღამო, განძანი, ფარვანა (ფარავანი) შაორი, მახარო, ასფარა (ასპანა), და სხვა.

ფოკანის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები მიმოიხილა ს. ჯიქიამ. დასტურდება იგი ორი ვარიანტით: **ფოკა** და **ფოკანი** (ჯიქია 1941, 243-244). მისი აზრით: „**ფოკა** საქართველოს ისტორიაში არა ერთხელ მოხსენებული მნიშვნელოვანი პუნქტია. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა **ფოკანი**, შემდეგ - ნი დაბოლოება ჩამოეკვეცა და ამჟამად ფოკა არის წოდებული“ (ჯიქია 1941, 344) - ნარიანი ფორმით გვაქვს მეორე სოფლის სახელი **განძანი**. XI საუკუნის 40-იან წლებში „მატიანე ქართლისაჲ“ **ფოკას** მრავლობით რიცხვში იხსენებს: „ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა **ფოკათა**“.... ე.ი. **ფოკანი** ორი სოფელი ყოფილა. მართლაც **ფარავნისწყლის** მარცხნივ და მარჯვნივ არსებულ ორ ფოკას, ჩანს, ხიდი აერთიანებდა, ისევე, როგორც ახლა (შდრ. **განძანი** ასევე ორი სოფელი, მოხსენებული იმავე წყაროში. მარცხენა ნაპირის ფაკაშია ორი ძველი ნაეკლესიარი, რომელთაგან ერთი წმ. ნინოს სახელობისაა“ (გზამკვლევი 2000, 14)

რადგან ორივე ფორმა იხმარება საისტორიო წყაროებში, სახელის მოხმარების თვალსაზრისით უკეთესი იქნება, თუ ვიხმართ ნარიან მრავლობითს. მრავლობითი რიცხვი გამოხატავს ორი **ფოკის** არსებობას,

ამიტომაც არის, რომ სახელი ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება **ფოკათა** ფორმით. დღეისათვის მართებულად მიგვაჩნია ნარიანი ფორმის დაკანონება. მიუხედავად იმისა, რომ ნათესაობით ბრუნვაში მრავლობითი რიცხვის ნიშანს ცვლის რიცხვისა და პირის ნიშნი - თ და ისტორიულად გვექონდა **ფოკათა** ფორმა, დღეს უნდა დარჩეს **ნარი** რიცხვის ნიშნად და დაერთოს თანამედროვე ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, ამიტომ გვექნება **ფოკანის** ფორმა. თუ ხალხური ვერსია მაინც შეინარჩუნებს **ფოკა** ვარიანტს, მაშინ ნათესაობით ბრუნვაში გვექნება **ფოკის** და არა **ფოკას**. ამით შევინარჩუნებთ სახელდებისა და სოფლის ისტორიას, რომ ამ ადგილზე იყო ორი ფოკა და რომ იგი ქართული ენის საფუძველზეა შექმნილი.

1829 წელს სოფელში ჩამოასახლეს არტაანიდან სომეხი მიგრანტები. სომეხთა ჩამოსახლების შემდეგ გაჩნდა სახელის არმენიზებული ფორმა **ფოგა**, აქედან რუსული ПОГА. მკვეთრი ბგერების გაჟღერების შემთხვევები ჩვეულებრივი ამბავია ჯავახეთის სომეხთა მეტყველებაში. მაგალითად, სოფლის სახლი **კულალისი** ზეპირმეტყველებაში გვხვდება **ლულალისი** ფორმით. **კარწახი - დარწახი, კარწახი. კუმურდო - გიმბირდა, გუმბურდო. კარტიკამიდან** ნაწარმოებია **კარდიგამი** და სხვა. სომხური ტოპონიმის ხუთტომეულში მითითებულია სხვა დამახინჯებული ფორმები: **პოკა, ფოდა, ფოკატ**.

ფოკის ტამარზე გვაქვს XI საუკუნის წარწერები, რომლებშიც გვხვდება ძველი ქართული ანთროპონიმიკა, მათ შორის ტრადიციული სამეფო საგვარეულო სახელი **ბაგრატი**: „ქრისტე ადიდე ბაგრატ კურაპალატი“ (ქარაგმების გახსნით): საქართველოს მეფე **ბაგრატ IV** (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 117). ორ წარწერაშია მოხსენიებული ქართლის კათალიკოზი **იოვანე ოქროპირი**. ერთ წარწერაში იგი იხსენიება მხოლოდ **ოქროპირად**, როდესაც საუბარია მშენებელზე, კათალიკოსის ხელოსანზე: „ხელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“ (ქარაგმების გახსნით) (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 118), ხოლო მეორე წარწერაში გვაქვს ორი სახელი **იოვანე** და **ოქროპირი**. ქარაგმის გახსნით იკითხება: „ქრისტე ძეო და სიტყუაო ღმრთისაო ადიდე **იოვანე ოქროპირი** ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა ამენ“ (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 119). ორსახელიანობა ცნობილია ქართულ ანთროპონიმიკაში. იოვანე ძვ. ებრაულიდან შევიდა ბერძნულში და შემდეგ მსოფლიოს მრავალ ენაში. მათ შორის ქართულში. ჰაემეტ ტექსტებში გვხვდება **იოჰანე**, აგრეთვე - **იოანე, იოვანე** და ბოლოს **ივანე** (ჭუმბურაძე 2003, 165-166). დღევანდელ ყაურმაში, ისტორიულ სოფელ ტონთიოს „ცენტრში დღემდე მშვენივრად შემონახული ეკლესია დგას, რომლის წარწერებიც საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანეს ფიგურებს - **მელქისედეკ** ქართლისა კათალიკოსს, მეფე **გიორგი პირველსა** და მელქისედეკის გაზრდილს,

იოანე-ოქროპირს ქართლისა კათალიკოსს იხსენიებს“ (გზამკვლევი 2000, 35). ფოკის წარწერაც მე-11 საუკუნისაა და ყაურმისაც.

საინტერესოდ ემთხვევა ფოკისა და ყაურმის წარწერები ერთგანაც და მეორეგანაც. ყაურმის წარწერებში ერთად არა გვაქვს იოანე-ოქროპირი მოხსენებული. ერთ შემთხვევაში მოიხსენიება **ოქროპირი** ქართლისა კათალიკოზი (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 128), ხოლო მეორეგან - მხოლოდ **იოანე**, თანაც შვილებთან ერთად.: „ქრისტე მოწყალე ექმენ იოვანეს, დღესა მას შვილებითურთ“ (ქარაგმის გახსნით).

ოქროპირი გავრცელებული სახელი იყო მესხეთში რიგით ქართველებში. მაგალითად: მე-16 საუკუნეში უცხოვრია სამცხეში, სოფელ წყისეში **ოქროპირ** ივანესძეს, რომელსაც ჰყოლია ძმა ლაზარე (ჯიქია 1941, 60). ზარზმის ეკლესიასთან ახლოს უცხოვრია გრიგოლა **ოქროპირისძეს** (ჯიქია 1941, 70). სოფელ ამხერში ცხოვრობდა **ოქროპირის** შვილიშვილი. პაპა იმდენად ცნობილი კაცი იყო, რომ მისი შვილიშვილი საკუთარი სახელით არ იხსენიება (ჯიქია 1941, 74). აბრამ **ოქროპირისძე** (ჯიქია 1941, 75), **ოქროპირ** დევალასძე, სოფელი დიდი აფიეთი (ჯიქია 1941, 86) და სხვა.

ოქროპირი, იოანეს მეორე სახელი, „თავდაპირველად იყო ზედწოდება მჭერმეტყველი ადამიანისა, კარგი ორატორისა, შემდეგ დამოუკიდებელ სახელად იქცა. მისი შემოკლებული ფორმებია: **ოქრო**, **ოქრუა**, ამ უკანასკნელისგან მოდის გვარი ოქრუაშვილი, ოქროპირისგან მოდის **ოქროპირიძე**, **ოქროპირაშვილი** (ჭუმბერიძე 2002, 192). ოქრო საკუთარ სახელად გავრცელებული იყო სამხრეთ საქართველოში. ცნობილია **ოქროს ციხე**. ასევე შესულია სომეხთა გვარის წარმოებაში **ოქროიანი** (წარმოშობით ოქროიანები ოქროაძეები იყვნენ). ქრისტიანული რელიგია არ კრძალავდა ორსახელიანობას, ამიტომ ხშირად ისტორიას შემორჩებოდა ხოლმე ბერობის დროს მიღებული სახელიც და ერობის დროინდელი სახელიც, ამის კარგი მაგალითია **სულხან-საბა** ორბელიანი. ამ მხრივ ჩვენთვის მნიშვნელოვანი მაგალითი აქვს დამოწმებული პროფ. ზურაბ ჭუმბურიძეს: „პარხლის ოთხთავის ანდერძში ერთგან იკითხება; „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი **იოვანე**, **ნართაულად ბერაი**, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა“; მეორეგან: „მე **ივანე-ბერამან**, მწერალმან შატბერდელმან შატბერდს დავწერე“. (ჭუმბერიძე 2003, 166).

ნართავი ძველ ქართულში შერეულს ნიშნავდა. სიტყვა-სიტყვით შერთულს (აბულაძე 1973, 321), ხოლო **ნართაული**-ზედდართულს (ორბელიანი 1965, 579). თუ ბერა იოვანეს ერობის სახელი არ არის, შეიძლება „ნართაულად“ მისი მეტსახელი იყოს.

ერთ წარწერაში იხსენიება ქართლისა ბანქასლარი **მიქაელ** (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 118). ძვ. ებრაული სახელი **მიქაელი** ძველ ქათულ ძეგლებში გვხვდება. მისგან მიღებულია მიქელ, მიქელა და გვარები

მიქელაძე, მიქაძე და სხვა (ჭუმბურიძე, 2003, გვ. 18) ქრისტიანული კანონიკური სახელებიდან ფოკის ტამარზე გვაქვს **გაბრიელი** და **ელისაბედი**. „ ქრისტე შეიწყალე **გაბრიელ** და **ელისაბედი**“ (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 121).

ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესოა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ხალხური სახელწოდებანი, რითაც ვგებულობთ მე-11 საუკუნის ქართულ სახელ-გვართა წარმოების ფორმებს.

მაგალითად: **მწევარი**. „ქრისტე შეიწყალე მწევარი“. ეს სახელი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ქარაგმის გარეშეა და ეს ბუნებრივიცაა, რადგან სახელი არ არის კანონიკური, პოპულარული და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად სრულად ამოკვეთეს იგი. **მწევარი** მოქმედებითი გვარის მიმღეობაა მიწევნა ზმნისა (ეწევა ის მას) - მ-წევ-არ-ი ისევეა, როგორც **დევნა** ზმნისგან გვაქვს **მდევარი**, კვლევისაგან **მკლევარი** და სხვა. სულხან-საბა ორბელიანთან **მწევარი** არის „**ძალლი მიმწევი**“ (ორბელიანი 1965, 549) ძალღს „სწრაფსა და გვარიანსა“ **მწევარი** ჰქვია (ორბელიანი 1966, 350). **მწევარი** დღესაც ცოცხალი სიტყვაა. ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა ადამიანთა საკუთარ სახელთა საწარმოებლად ხშირად გამოიყენება. **ძალლიკა** მთაში გავრცელებული სახელია, ხოლო **ძალლია**, **ძალღალია** მეტსახელად გვხვდება მესხეთში, მაგრამ ამ შემთხვევაში **მწევარი** სხვაგვარი წარმომავლობისა ჩანს. ამოსავალია სოფლის სახელი **წევა**, რომელიც დასავლეთ საქართველოშია. სიტყვა ასე დაიშლება: **მ-წევ-არ-ი**, რომელშიც **მ-არ** აფიქსები წარმომავლობას აღნიშნავს. ანალოგიური სიტუაციაა ტბელ ეპისკოპოსთა ტიტულთან დაკავშირებით. ტბეთის ეპისკოპოსი იწოდებოდა **მტბევარად**. ე.ი. მტბევარი ტბელ ეპისკოპოსთა ტიტულის მაჩვენებელია და ნიშნავს ტბელს, ტბეთის ეპისკოპოსს. მე-10 საუკუნის მოღვაწე **დავით ტბელი** შეიძლება ყოფილიყო, როგორც ტბელი ასევე მტბევარი (კეკელიძე 1951, 159) ამგვარად, **მწევარი** ნიშნავს **წეველს**, წევიდან წამოსულს, ამ სოფლიდან წამოსულთა -ელ-იანი წარმოების მაგალითია გვარი **წეველიძე**.

წევ- ფუძე უნდა გვქონდეს კიდევ ერთ სახელში, კერძოდ, **სამწევრის ჯვარში**, რომელიც მდებარეობს გორის დასავლეთით 20კმ. მანძილზე. ეს ძეგლი არის მე-10 საუკუნის და იმავე საუკუნისაა წარწერა, რომელშიც იხსენიება **სამწევრის ჯუარი** (შოშიაშვილი 1980, 222). სოფელს დღესაც **სამწევრისი** ჰქვია. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთივე წარმოებასთან, როგორიცაა.. **აჩაბეთი** → **მაჩაბელი** → **სამაჩაბლო**. **წევა** → **მწევარი** → **სამწევრისი**. წარწერით დასტურდება მწევარი ფორმა ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში (ბერიძე 2008, 133).

კიდევერთისახელია, რომელიც წარმომავლობას აღნიშნავს. ქარაგმების გახსნით იკითხება წარწერა ასე: „სახელისა ღმრთისათა მე **ბავრელი ღირს** ვიქმენ შენებად წმიდასა ამის ეკლესიისა საფუძველის დადებასა მე

თანა დავემურე ჯელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“ (ჯავახეთის ეპიგ. კორპ. 2012, 118). **ბავრელი** დაქარაგმებულია, როგორც ჩანს, **ბავრა** ცნობილი სახელი იყო. ჯავახეთში 1933 წლის ექსპედიციის დროს, ნ. ბერძენიშვილი ბერელი-ქარაგმის წაკითხვის ვარიანტებს უშვებს: „ცნობილი ხდება წარწერაში მოხსენებული **ბევრელი** თუ **ბავრელიც**: ის ხელოსანია ოქროპირ კათალიკოზისა და დიდი თანამდებობის პირი - ეკლესიის ასეთ ჯელოსნებს მცხეთისშვილები ეწოდებოდა. ბევრელი საკათალიკოზო სოფლების მოურავი შეიძლება იყოს ამ მხარეში“ (ბერძენიშვილი 1964, 95). იმავეს გვერდის შენიშვნის მიხედვით უშვებს ნ. ბერძენიშვილი „ამირან-დარეჯანიანზე“ დაყრდნობით ბევრელის ვარიანტსაც. ქარაგმას **ბევრელად** კითხულობს ვ. ცისკარიშვილი (ცისკარიშვილი 1959, 32)

ბავრელად კითხულობენ ისტორიულ ხუროთმოძღვრული გზამკვლევის - ჯავახეთი, ავტორები (გზამკვლევი 2000, 14) და ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსის ავტორები. ერთ-ერთ არგუმენტად, რომ უნდა იყო ბავრელი და არა ბევრელი, ან ბივრელი უნდა ჩავთვალოთ ისიც, რომ ეს სახელი დაქარაგმებულია, იგი ცნობილია გარემოსათვის, საზოგადოებისათვის, სადაც არის აშენებული ტაძარი, განსხვავებით სხვა სახელებისაგან, კერძოდ, **მომწულისძის**, **მწევარისა** და **ბაიასაგან**, რომელთა სახელები არ არის დაქარაგმებული. ჯავახეთში ორი **ბავრაა**, ერთი ახალქალაქში და მეორე ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხიზაბავრის სახელის შემადგენლობაში. ხიზაბავრასთან ახლოს არის ნასოფლარი **ხიზა** და ხიზის ეკლესია, იქვე უნდა ყოფილიყო **ბავრაც** ან იგულისხმება ახალქალაქის ბავრა, საიდანაც მოსულებმა და ხიზელებმა შექმნეს სოფ. ხიზაბავრა. ამგვარად, **ბავრა** ჯავახური სოფელი იყო, ხოლო **ბავრელი** ამ სოფლიდან წამოსული კაცი, რომელიც იყო, ხელოსანი, საფუძვლის დამდები და მშენებელი **ფოკანის** ეკლესიისა.

თვითონ **ბავრა**, რომელიც სათესველის სახელადაც იხმარება, როგორც ეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის დროს სოფელ ხიზაბავრის მიდამოებშია აღწერილი, „უთუოდ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იქნებოდა“ (ჯიქია 1958, 249).

კიდევ ერთი სახელია, რომელიც დაუქარაგმებლად არის წარმოდგენილი ფოკანის ეკლესიის წარწერაში: „ქრისტე შეიწყალე **ბაია**“. ბაია სულხან-საბა ორბელიანთან რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: ესე არის ფურცელი დანაკის-კუდისა. **ბაია** ეწოდების თვალის შავსა, რომლითა ხედავს. **ბაიას** ჩჩვილნი ჩჩვილთა უწოდებენ“ (ორბელიანი 1965, 95).

თანამედროვე ქართულში ასევე პოპულარულია **ბაია** თავისი ომონიმებით:

1. „დანაკვთულ-ფოთლებიანი და ყვითელ-პრიალა ყვავილებიანი

ბალახი (მეტწილად ტენიან ადგილებში იზრდება“; 2. იგივეა, რაც თვალის გუგა; 3. ჩვილი ბავშვი ბავშვის ენაზე; 4. ბზა; 5. ფრთისებრი ფოთოლი პალმისა; 6. გვიმრის ფოთოლი (ქეგლი 1950, 951).

თითოეული მათგანი შეიძლება ქართულ ანთროპონიმიაში შერქმეოდა სახელად ადამიანს. განსაკუთრებით პოპულარულია **ზაია** ჩვილთა ენაზე ჩვილთა სახელის, აღსანიშნავად. ამ შინაარსით დღესაც არქმევენ სახელს ახალშობილს. ასე რომ, ამ მოტივაციით ადამიანის ნომინაცია ხდებოდა ისტორიულადაც და დღესაც. მისგან არის მიღებული გვარი **ზაიამე**.

ფოკის ერთ წარწერაში გვხვდება სახელად **ხელაჲ**. მე-11 საუკუნეში. როდესაც ეს წარწერა კეთდებოდა, გარჩეული იყო ხელი და წელი, ამიტომ ვფიქრობთ, რომ სახელის ამოსავლად ადამიანის კიდური არ უნდა იგულისხმებოდეს.

ძველ ქართულში „**ხელი** არს, რომელი უცნობოდ გარბოდეს და არცა თვით იგვემებოდეს და არცა სხვათა“ (ორბელიანი 1965, 164). აქედან გვაქვს სახელზმნა გახელება. მეტსახელად ხელი პირდაპირი მნიშვნელობით არ შეერქმევა. **გიჟა**, **გიჟუა**, **ხელა** ერქმევა ემოციურ, აქტიურ ადამიანებს. აქედან უნდა გვექონდეს გვარები: ხელამე, ხელაია, ხელაშვილი. მას შემდეგ, რაც **ვ** და **ხ** ბგერების გარჩევა ჭირდა ფონემათა დონეზე, ხელა შეიძლება დარქმეოდა ადამიანის სხეულის ნაწილის მიხედვითაც ისევე, როგორც თავამე, ჭიპაშვილი, ყურამე და სხვა.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საკუთარი სახელი, რომელიც გვხვდება ფოკანის ტაძრის წარწერებს შორის, ეს არის ასევე, დაუქარაგმებელი **მომწულისძე**: „ქრისტე შეიწყალე მომწულისძე (ჯავახეთ. ეპიგრ. კორპ 2012, 119). პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მე-ზე დაბოლოებული გვარების ჩამოყალიბების პროცესის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია, რომ ამ ტიპის წარმოება მე-11 საუკუნეში ფაქტია. ამოსავალია **მომწული**, საკუთარი სახელი, რომელიც ერქვა ფოკანის კედელზე დადასტურებული პირის მამას, რადგან **მომწულის ძეა** იგი, ან მომწულისძე უკვე გვარად არის ქცეული და მიუხედავად იმისა, რომ ნათესაობითი ბრუნვა თანხმოდანთან ერთად არის წარმოდგენილი და არა მის გარეშე, შეგვიძლია გვარად მივიღოთ. ასეთი თანხმოდანთან ერთად წარმოდგენილი ნათესაობითი ბრუნვა ქართულ ანთროპონიმიაში ჩვეულებრივი ამბავია შუა საუკუნეებში.

მომწული განმარტებულია ივ. გვარამაძის ხელნაწერ ლექსიკონში (გვარამაძე 1907, 168), როგორც **მიმწოლვებელი**, **მიმწოლველი**.

იგი არის მიწოლა ზმნის მოქმედებითი გვარის მიმღობის ფორმა, როგორც, მაგალითად, ცნობილი საკუთარი სახელი **გამრეკელი**, რომელიც შემდეგ იქცა გვარად.

ამგვარად, შეგვიძლია შევაჯამოთ ფოკანის ტაძრის კედლებზე ისტორიული წარწერებით მე-11 საუკუნეში დადასტურებული პირთა

სახელები, მათგან მიღებულია წარმომავლობითი სახელები, რომლებიც შემდეგ გვარადაც იქცა. რაც მთავარია, ტაძრის აშენების თარიღის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს გარდა არქიტექტურული სტილისა და ეპიგრაფიკის პალეოგრაფიული ანალიზისა, სწორედ ისტორიული პირების მოხსენების პარალელურად გვეძლევა საშუალება, შევისწავლოთ ადამიანთა სახელები, გავანალიზოთ მათი სტრუქტურა და სემანტიკა.

ფოკანის ტაძარზე სულ გვხვდება ცხრა საკუთარი სახელი. პირველ რიგში აღსანიშნავია ბაგრატიონთა საგვარეულო სახელი ბაგრატი, რომელიც მოხსენებულია კუროპალატის ტიტულით. იგი იყო გაერთიანებული საქართველოს მეფე. წარწერაში ბაგრატ IV ცოცხლად არის წარმოდგენილი. მის დროს XI საუკუნეში კუროპალატობა ბიზანტიის სამეფო კარზე რანგით მე-3 ადგილზე იდგა კესაროსისა და ნოველისიმოსის შემდეგ. კუროპალატის ტიტულის ტარება ქართველ მეფეთათვის ნიშნავდა დამოკიდებულებას ბიზანტიის კეისრის მიმართ (ჯავახიშვილი 2002, 408). ქართულ ანთროპონიმიკაში ბაგრატი ერთ-ერთი ცნობილი ანთროპონიმი. მისგან იღებს სათავეს ბაგრატიონთა უძველესი სამეფო გვარი.

ადამიანთა ქართული საკუთარი სახელები ისტორიულ წყაროთა მონაცენებით გამოირჩეოდა გარკვეული დემოკრატიული პრინციპებით სახელდების დროს. ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ადამიანთათვის სახელის დარქმევა მოდას და ისტორიულ გარემოს ემორჩილებოდა. მიუხედავად ამისა, ქრისტიანულ სახელებს (ბიბლიურ სახელებს) წამყვანი ადგილი ეკავა. ძველ ებრაული სახელი **გაბრიელი**, რომელიც მთავარანგელოზის სახელია და მსოფლიოს მრავალ ენაშია შესული, წარმოდგენილია წარწერაში კანონიკური ფორმით. კანონიკურს გარდა ქართულში მისგან ბევრი სახელია მიღებული, როგორცაა: გაბო, გაბი, გაბე, გაბილა, გაბრია, და სხვა. ამასთან ერთად ამ ფუძეთაგან გვაქვს ნაწარმოები ქართული გვარები: გაბიტაძე, გაბაძე, გაბიაშვილი, გაბილაია, გაბიანი და მრავალი სხვა (ჭუმბურიძე 2003, 139). გაბრიელის სახელით ბევრი საეკლესიო პირია საქართველოს ისტორიაში. გაბრიელ I მე-6 საუკუნის დასაწყისში, 506 წელს, ქ. დვინის ქართველ-სომეხ-ალბანელთა გაერთიანებულ საეკლესიო კრებაში მონაწილეობდა (ჯავახიშვილი 2002, 205).

1933 წ. ნ.ბერძენიშვილი ექსპედიციის ანგარიშში წერს, რომ „გაბრიელის“ წაკითხვა არ აკმაყოფილებს (ბერძენიშვილი 1964, 96), რადგან გ ბ რ -ს შემდეგ მოკვეთილია მარცვალი, მაგრამ აზრის დაფიქსირების შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა და წაკითხვის სხვა ვერსია არავის შემოუთავაზებია, ამიტომ „გაბრიელი“ სწორ წაკითხვად უნდა ჩაითვალოს. ვფიქრობთ, **გაბრიელი** და **ელისაბედი**, რომლებიც შეწყალებას ითხოვენ, ერთი ოჯახის წევრები უნდა იყვნენ, რადგან

სავედრებელი წარწერის უფლება მოიპოვეს, შესაფერის საზოგადოებრივ წრეს უნდა მიეკუთვნებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მათი ოჯახი სასულიერო პირთა ოჯახია.

წარწერათა შორის, გარდა უმაღლესი საერო ხელისუფლის ბაგრატ მეოთხისა, კიდევ ხუთი საერო პირია წარმოდგენილი. თითოეული მათგანის სახელის ანალიზით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენ წინაშეა ქართულ გვართა ჩამოყალიბების გარკვეული ეტაპის დაფიქსირება. ცნობილია, რომ გვარის ქონა-არქონა პიროვნების საზოგადოების მდგომარეობაზე მიუთითებდა. მე-11 საუკუნეში ერთ-ერთი წარწერის მიხედვით ფაქტია -მე-ზე დაბოლოებული გვარი ჯავახეთში **მომწულისძის** სახით. ქართული გვარის ეს ფორმა ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა ქართულ გვართა წარმოებაში. -**მე** შვილს შთამომავალს ნიშნავს, რომელიც დაერთვის მამის სახელს **მომწულს**.

ასევე მნიშვნელოვანია ქართულ გვართა სისტემაში -ელ დაბოლოებიანი გვარები. ამ შემთხვევაში -ელ სუფიქსი, რომელიც ქართულ გვართა აგრეთვე ერთ-ერთ მაწარმოებლად ითვლება, პიროვნების წარმომავლობაზე მითითებს და იგი დაერთვის გეოგრაფიულ სახელს, ამ შემთხვევაში - **ბავრას** და ვლემულობთ **ბავრელს**.

-**ელ** სუფიქსთან ერთად ჩვენ გვაქვს - **არ** სუფიქსით ნაწარმოები წარმომავლობის სახელები, რომლებიც წყაროებში დასტურდება და რომლებიც შეიძლება გვარადაც ჩამოყალიბდეს, როგორც, მაგალითად, **ოდიშარია**, ოღონდ გვარის მაწარმოებელი -**ია** დაბოლოება წარმომავლობის მაწარმოებელი-**არ** სუფიქსის შემდეგ დაერთვის სახელს. ამ ტიპის წარმოება -**ელ** - ელიან ფორმასაც ახლავს, რომლის მაგალითაცაა გვარი **ხონელიძე**. -**არ** და -**ელ** სუფიქსთა ჩამოცილების შემდეგ გვრჩება გეოგრაფიული სახელები: **ოდიში** და **ხონი**, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ტოპონიმ **წევდან** ნაწარმოები გვაქვს ერთ შემთხვევაში ფოკანის მე-11 საუკუნის წარწერაში დადასტურებული **მწევარი**, გაფორმებული -**არ** სუფიქსით და თანამედროვე გვარი **წვევლიძე**.

დღეს გვარის გარეშე ადამიანის არსებობა შეუძლებელია. ისტორიულად გვარი ყველას არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა, რომ ჰქონოდა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს: „ხოლო წესი **მთავართა** იყო **გუარი** და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი“ (ვახუშტი 1973, 17). მთავარს მეფისგან ეძლეოდა პატივი და გვარი, მაგრამ ვერ ექნებოდა მას გვარი თუ არ ჰქონდა „ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჯეობანი. მთავრის გარდა **გვარი** ჰქონდა **აზნაურს**, ამასთან ერთად - „ჩამომავლობა და სიმაგრე რაიმე მათა ანუ ბართა, და დაბნები“ (ვახუშტი 1973, 17). გარკვეული სიმდიდრის პატრონობა საფუძველი ხდებოდა გვარის ქონისა, ხოლო გვარის მქონეს შეეძლო, მთავარი ან აზნაური გამხდაერიყო. მე-11 საუკუნის ფოკანის ტაძრის წარწერების მიხედვით

კარგად ჩანს, რომ ორი პიროვნება მხოლოდ სახელით მოიხსენება. ესენი არიან **ხელია** და **ზაია** მათ არა ქვთ გვარი, წარმომავლობა, მაგრამ აქვთ გამორჩეული დამსახურება ტაძრის მშენებლობის დროს, ამიტომ ერგოთ პატივი სავედრებელი წარწერისა. უნდა ითქვას, რომ ასევე უგვარონი და ამასათან ერთად წოდების ან რაიმე თანამდებობის გარეშე არიან აგრეთვე **გაბრიელი** და **ელისაბედი**.

ადამიანთა უგვაროდ მოხსენიება შეიძლებოდა იმ დროსაც, თუ ესა თუ ის პიროვნება იმდენად ცნობილი გვარის პატრონი იყო, რომ მხოლოდ სახელით აფიქსირებდნენ მას, როგორც ეს ხდება **ზაგრატის** შემთხვევაში.

ამგვარად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ორი ტაძრის ეპიგრაფიკაში დადასტურებული ანთროპონიმი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობამე-11 - მე-14 საუკუნეებში ქართულია. უკვე მყარი საფუძველი აქვს გვარის ჩამოყალიბების მოტივაციას და სტრუქტურას, ხოლო ადამიანთა სახელები გამოირჩევა ნომინაციის დემოკრატიულობით. სახელთა სემანტიკა განსაზღვრულია ეპოქალური ნიშნებით, როგორც საკუთრივ ქართული წარმოებით, ისე ბიბლიური წარმომავლობით.

გვარ-სახელები განძანის ქართულ ტაძართა ეპიგრაფიკის მიხედვით

ფოკანი და **განძანი** დაწერილობის თვალსაზრისით ერთნაირი ბედის სახელებია. **განძა** ისე, როგორც **ფოკა**, მდინარე **ჯავახეთის მტკვრის** ორივე ნაპირას არის გაშენებული (აქედან „ფოკანი“ და „განძანი“). ის საკმაოდ დიდი სოფელია. განძის სიძველეებია **„ვეშაპი“**, **ციხე-გალავანი**, ორი თლილი ქვის ეკლესია და **სასაფლაო**“ (ბერძენიშვილი 1964, 41.) წერდა 1932 წლის ექსპედიციის დღიურში ნ. ბერძენიშვილი.

2000 წელს ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ გზამკვლევეში ავტორები მიუთითებენ სოფლის სახელში მრავლობით რიცხვზე. „განძანი **ფარავნისწყლის** მარცხენა ნაპირზე ფერდობზეა შეფენილი. სოფლის სახელწოდების მრავლობითის ნიშანი „-ნი“ მიუთითებს, რომ აქ ორი სოფელი იყო (შდრ. ფოკანი) - მეორე სოფელი ფარავნისწყლის მარჯვენა ნაპირზე იქნებოდა, ხოლო მათი დამაკავშირებელი ორმალიანი ძველი ხიდი დღემდეა შემორჩენილი“ (გზამკვლევი 2000, 19). გზამკვლევის ავტორები მიუთითებენ აგრეთვე, რომ „სოფლის სიახლოვეს, ჩრდილო-დასავლეთით, მეგალითური კულტურის უძველესი ძეგლია, ე.წ. ვეშაპი:

ვერტიკალურად დაყენებული, დაახლოებით. 2მ სიმაღლის მონოლითი თევზისა და ფრინველის გამოსახულებით“.

მოხმობილი ციტატებიდან რამდენიმე საკითხს მინდა შევეხოთ: ნ. ბერძენიშვილი 1932 წელს მდინარეს უწოდებს **ჯავახეთის მტკვარს**, როგორც უწოდებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს და სად ერთვის მტკვარს **ჯავახეთის მტკუარი**“ (ვახუშტი 1973, 669). გზამკვლევის ავტორები ამავე ადგილის შესახებ ამავე მდინარეზე ამბობენ, რომ ის არის **ფარავნისწყალი**. ამავე მდინარეს ზოგი რუკის მიხედვით ჰქვია **თავფარავნის წყალი**. ასევე უწოდებს მას ჯავახეთის ქართული მოსახლეობა. 2023 წლის ივნისის ექსპედიციამ დაადასტურა, რომ თავფარავნის წყალს (**თავფარავნაი, თავფარავან, თავფარავანი, თავარვანა**) უწოდებს აგრეთვე სომხური მოსახლეობა. თავფარავნის წყლის სომხური ფონეტიკური ვარიანტებია წარმოდგენილი სახელები. დღეს მდინარეს ოფიციალური ტრაფარეტით ეწოდება **ფარავანი**, რაც არ არის სწორი.

„სოფლის სიახლოვეს, ჩრდილო-დასავლეთით, მეგალითური კულტურის უძველესი ძეგლია, ე.წ **ვეშაპი**: ვერტიკალურად დაყენებული, დაახლ. ორი მ. სიმაღლის მონოლითი თევზისა და ფრინველის გამოსახულებით. უძველესი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, იგი წყლისა და ნაყოფიერების (ფალოსის) კულტს უკავშირდება“. (გზამკვლევი, 2000, 19) მნიშვნელოვანია სოფლის სახელის მრავლობითი რიცხვის ნიშნის საკითხი. გზამკვლევის ავტორებთან -ნი დაბოლოება ერთ, მრავლობითი რიცხვის ნიშნად არის წარმოდგენილი -ნ არის მრავლობითობის ნიშანი, ხოლო -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ამ შემთხვევაში ერთად უნდა განვიხილოთ ორი სოფლის სახელი — **ფოკანი** და **განძანი**. ისტორიულადაც ეს ორი სოფელი ერთად გვხვდება. ს. ჯიქია- წერს, რომ მე-16 საუკუნეში, როდესაც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით აღწერეს ჯავახეთი ოსმალებმა, განძანის მდებარეობის დასაზუსტებლად ნათქვამია, რომ ის „სოფელ ფოკასთან მდებარეობს. ორთავე ამ სოფელმა ჩვენ დრომდე მოაღწია... „დავთრის მიხედვით „განძანი“ სახელწოდებაში შემორჩენილია - ნი ბოლოკიდური მარცვალი, რომელიც შემდეგში დაიკარგა“ (ჯიქია 1958, 343) „ხუთვერსიან და ალ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ რუკებზე **განძანია**“ (ხარამე 2000, 150).

განძანში ოსმალები მრავლობითობის ნიშანს ინარჩუნებენ, ხოლო ფოკანს უკვე ჩამოცილებული აქვს იგი. ნიშანი ორივე სოფლის შემთხვევაში გამოხატავს სოფელთა სიმრავლეს. დღევანდლამდე მხოლოდ თითო სოფელმა მოაღწია. არის თუ არა ნ-არი საჭირო, როდესაც აღარ არსებობს სოფელთა სიმრავლე და გვაქვს მხოლოდ თითო სოფელი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ტოპონიმთა ქართული დაბოლოება სხვა ენაში ხშირად ჩამოცილებულია იმ ენათა სპეციფიკის გამო, რომ სახელთა

უმრავლესობა თანხმობაზე ბოლოვდება და -ი ხმოვანი მიჩნეულია ქართულ ელემენტად. ტოპონიმია თავდაპირველად, ნომინაციის დროს, მოტივირებულია გარკვეული შინაარსით, მაგრამ დროის გასვლის შემდეგ იცლება შინაარსისაგან და იგი ინარჩუნებს სამისამართო ფუნქციას, ამიტომ თითოეული ტოპონიმისთვის საჭიროა შენარჩუნებულ იქნეს ისეთი ფორმები, როგორც მისი სახელდების, ენობრივი კუთვნილების საკითხთან არის დაკავშირებული.

ქართლში **მუხრანის** ეტიმოლოგია მუხას, მუხათა სიმრავლეს უკავშირდება, მაგრამ დღეს მუხები არ არის მუხრანში. **რცხილას** უკავშირდება **ცხინვალის** ეტიმოლოგია, მაგრამ არც იქ ახსოვთ რცხილა თუ იყო ცხინვალში. ამ ტიპის მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ.

ტოპონიმთა დაბოლოებანი, რომელიც გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, მე-19 საუკუნიდან ხშირად ჩამოსცილდება სახელს, როგორც არარუსული, ქართული ელემენტი. ეს ეხება განსაკუთრებით ხმოვნებს. ასეთი დამოკიდებულება თავს იჩენს უცხოელ ავტორებთანაც. ყველაზე მეტი მაგალითი გვაქვს სახელობითი ბრუნვის ნიშნის ჩამოცილებისა, რაც წესად არის გატარებული თანხმობანფუძიან სახელებთან მაშინდელ ოფიციალურ დოკუმენტაციაში დარუკებზე. არამხოლოდ ბრუნვის ნიშანი.

ახალციხეს სცილდება ე ხმოვანი, როგორც ქართული ფუძის დაბოლოება და ციხე ფუძის სემანტიკისათვის აუცილებელი კომპონენტი. 1910 წელს გამოდის თბილისში ლინჩის ვრცელი ნაშრომი „Арменія Путевые очерки и этюды. Линча, Переводъ съ Английскаго Елизаветы Джунковской. Тифлисъ, 1910 г. ავტორი მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას „წესი“ და ჩამოაცილოს ფუძისეული ე ხმოვანი ახალციხეს, მაგრამ სრული სახითაც „გაეპარება“ ხოლმე იგი (ბერიძე 2008 , 23).

ასევე იქცევა ლინჩი **საფარის** დაფიქსირებისას და მას **საფარ** ფორმით წარმოგვიდგენს.

სხვათა შორის ეს ამბავი, რომელიც უკვე იქცა ერთგვარ დამოკიდებულებად, დღესაც გრძელდება. ფეისბუქის ადმინისტრაცია აგრძელებს **ახალციხეზე** ე ხმოვნის ჩამოცილებას ისევე, როგორც **ახალციხის ციხის** ნაცვლად გააქტიურა ტერმინი **რაბათი**.

მე, პირადად ვარ თურმე ახალციხ-დან და არა ახალციხიდან, ან თუნდაც -ახალციხედან. საფარისათვის, ახალციხისათვის, განძანისათვის, ფოკანისათვის და სხვა მრავალი ტოპონიმისათვის ამ ტიპის ჩარევები იწვევს სახელწოდებათა ენობრივი კუთვნილების, გენეტიკის და, აქედან გამომდინარე, ისტორიის ჯერ გაბუნდოვნებას, შემდეგ მცდარ ეტიმოლოგიებს. ერთი და იმავე სახელით ორი ან მეტი სოფლის გაერთიანებული სახელი მრავლობითი რიცხვით სხვაგანაც გვხვდება იმავე ჯავახეთში. კარნეთის წარწერის შესახებ ნათქვამია: „ვარდანისათვის ბომბებული სოფლებიდან წარწერაში იკითხება აგრეთვე **დევანი** („ხვრანიო

და დევანი“). დევათი ახლა ორი ნასოფლარია ჭობარეთის წყლის ორივე ნაპირზე (იგულისხმება ჯავახეთის ჭობარეთი“ -მ.ბ.), ალასტანიდან SO მხარეს დაახლ. 2კმ-ზე. აქ ნასაყდრალია შემორჩენილი და წყლის პირას 1 მ. სიმაღლის ქვაჯვარია. **დევა** იხსენიება „გურჯისტანის დავთარში“. წარწერაში მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი „-ნი“ სწორედ ორ სოფელს გულისხმობს“ (ბერძენიშვილი 1985, 107).

განძანში (ასევე ფოკანში) ნ მრავლობითი რიცხვის ნიშანი და - ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი უნდა იქნეს შენარჩუნებული. **ორივე აღნიშნავს თითოეული სოფლის სახელის ისტორიას.**

სოფლის სახელი განძს დაუკავშირა პირველად ი. როსტომაშვილმა და ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან „განძის მითოლოგია ძალზედ მდიდარია საქართველოში“ (კიკნაძე 2023, 38). „როცა ქვეყანა საფრთხის მოლოდინში იყო, ხელისუფალნი (მეფენი) საიდუმლო ადგილას ჩაფლავდნენ **განძს**, რათა დაბრუნებისას ამოეღოთ იგი და ქვეყნის აღსადგენად გამოეყენებინათ“ (კიკნაძე 2023, 38). **განძი** იყო სიმდიდრის, შესაძლებლობის სიმბოლო მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე. განძის გარეშე ვერ იქნებოდა ვერც ქვეყანა და ვერც მეფე მიაღწევდა რაიმე წარმატებას „შემდგომად კეისარმან წარმოსცა **განძი** დიდი გუარამს, რათა გამოიყვანოს ჩდილოთ ლაშკარი და ბრძოდეს სპარსთა“ (ვახუშტი 1973, 120). განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მტერთაგან მიუდგომელ ადგილებში განძის გადამალვას. ხშირად ეს იყო სახელმწიფო განძი ან რომელიმე მდიდარი ფეოდალის საკუთრება. ცნობილია ჯავახეთის სოფელი **ტონთიო**, რომელიც მეფეთა საგანძურის ადგილს უკავშირდება. დღევანდელი სოფელი **ყაურმა**, რომლის ისტორიული სახელიც უნდა ყოფილიყო **ტონთიო**, გაშენებულია ტონთიოს ციხის ძირებზე, ხოლო თვით ციხე, ციკლოპური ნაგებობა, სოფლის ჩრდილო-დასავლეთით მაღალ მთაზე იყო გაშენებული. ამ მთასთან არის დაკავშირებული სამეფო განძის ამბავიც „ეს მთა უნდა იყოს ის, რომელიც VII საუკუნეში არაბების საქართველოში შემოსვლისას **სამეფო განძის** გადამალვასთან დაკავშირებით იხსენიება. ქართველი მემკვიდრის, ჯუანშერის აზრით, **ტონთიო** უცხო სიტყვაა და თარგმანებით აღნიშნავს „**ოქროს მთას**“. ამ მთისა და ციხის მნიშვნელობა კი იმაშიც გამოიხატება, რომ მთას აქ დაფლული განძის გამო „**გორ-მაკე**“ ეწოდა, ის სახელწოდება, საიდანაც მომდინარეობს სახელი ყაურმა (გორ-მაკე-ლაურმეკი-ყაურმა) (გზამკვლევი 2000, 37). განძის გადამალვასთან ხშირად იყო დაკავშირებული გადმოცემები ქვაბ-სამალავებზე, რომლითაც მდიდარია მთელი სამცხე-ჯავახეთი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვაბები ძირითადად „გაქცევების“ დროს სახიზრად გამოიყენებოდა, ხალხი მათ უკავშირებდა გადამალულ განძს. გამოქვაბულებიდან ხშირად იყო გამოშვებული ხის ძელი. ასეთ გამოქვაბულებს ძელიან ქვაბებს ანუ ძელიან მადარებს ეძახდნენ. ბევრმა

მათგანმა XX საუკუნის ბოლომდე მოაღწია. სინამდვილეში ეს ძელი გამოიყენებოდა ხალხის სახიზრად, რომ მასზე გადადებული თოკით ან თოკის კიბით აეყვანათ ხალხი სამალავში. ერთ-ერთ ასეთ გამოქვაბულს ჩუნჩხის ქვაბებში ლაზის მალარას ანუ ლაზების გამოქვაბულს ეძახიან. ამ ტიპის გამოქვაბულებს შემთხვევით არ უწოდებდნენ **ქვაბ-სამალავებს**. ამ შემთხვევაში მხოლოდ ადამიანთა „დამალვა“ არ იგულისხმებოდა. ჯერ კიდევ არსებობს ხსოვნა იმისა, რომ ჩუნჩხის გამოქვაბულებიდან გარკვეული მინიშნების საფუძველზე ლაზებმა დიდი განძი წაიღეს. შენახვა ერთია, მაგრამ ძალიან დიდი მნიშველობა აქვს განძის აღმოჩენას, თუნდაც ისეთისას, რომლის შემნახავიც არავინ იცის, ვინ იყო და რომელიც გარკვეულ მითოლოგიურ ბურუსში არის გახვეული. ასეთი საგანძურის აღმოჩენა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია „ერთ-ერთი ასეთი რჩეული იყო ქართველთა ერთიანი ქვეყნის მეფე ფარნავაზი, რომელმაც ტფილისის „ღირღალებში“ მიაგნო განძს, რომლის წყლობითაც გაათავისუფლა ქვეყანა და მეფობა“ (კიკნაძე 2023, 38). **განძის** თანამედროვე განმარტება ასეთია: ძვირფასი ნივთები; ძვირფასი რამ, ფასეულობა; სიმდიდრე, ქონება, საგანძური (ქეგლი 2010, 1071). ამავე სიტყვიდან არის მიღებული აფიქსაციის გზით განძეული და განძეულობა, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც განძს. ასე რომ, ადგილს განძთან დაკავშირებული სახელი რომ დარქმეოდა, საამისო მოტივაცია საკმაოდ ბევრი იყო და თოთოეული მათგანი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო განძის შენახვასთან, დამალვასთან. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება განძისაგან ნაწარმოები ისეთი კომპოზიტი, როგორიცაა **განძოსაცავი (განძსაცავი)** - განძის, განძეულის საცავი (ქეგლი 2010, 1072). „სვანეთი ამ ქვეყნის განძოსაცავი იყო“; „ხვამლის კლდეში იყო ქართველ მეფეთა განძსაცავი და სხვა“ (ქეგლი 2010, 1072). განძანში - ა არის სახელის ტოპონიმად მქცეველი სუფიქსი, ხოლო -ნ , როგორც უკვე ითქვა, მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

განძანში ორი ტაძრის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ იგი თავის დროზე, მე-14 საუკუნეში დიდი და მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო. ამ ტაძრებს პირობითად ზედა და ქვედა ეკლესიებს უწოდებენ (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 39-41).

სამწუხაროდ, აღარ არის ციხე, რომელიც საკმაოდ კარგად იყო შემონახული მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში.

ნ. ბერძენიშვილი 1933 წელს მოგზაურობს ჯავახეთში და ექსპედიციის დღიურში წერს: ერთი გლეხი მოდის და ჩუმი ხმით მეკითხება: „განა კოლმეურნეობას უფლება აქვს, ძველი ციხე დაანგრეოს და ციხის ქვებით საერთო ბოსელი ააგოს?“ (ბერძენიშვილი, 1964, გვ.84). მეცნიერი, ბუნებრივია, წინააღმდეგია ძველის დანგრევისა, მაგრამ თავის აზრს არ აფიქსირებს, რადგან ინფორმატორი შეიძლება მოგზავნილი იყოს

და ნ. ბერძენიშვილს თვითონ შეექმნას პრობლემები. კომუნისტების ეპოქაა, ოცდაათიანი წლებია და ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ ინფორმატორის ნათქვამს აფიქსირებს: „წლებანდელამდის ეს ციხე მთელი იყო... შარშან უნდოდათ დანგრევა, ერთი მასწავლებელი იყო აქ კოლმეურნეობის წევრი, იმან დაუშალა“... ციხის შესახებ კი წერს: „ განძის ციხე მე 1927 წელშიაც მენახა. გასულ წელს გზად გამოვლისას შევხედე, ისევ ხელუხლებელი იდგა. ეხლა კი ჩემ თვალწინ თითქმის მხოლოდ ნანგრევები იყო“ (ბერძენიშვილი 1964, 88). ასეთი ბედი ნინოწმინდის ტერიტორიაზე ბევრ ციხეს ეწია.

მე-13 საუკუნის ბოლოს და მე-14 საუკუნის დასაწყისში აგებული განძანის ეკლესიებს აქვთ წარწერები, რომელთა მიხედვით ვგებულობთ იმდროინდელი ქართველების სახელ-გვარებს. როგორც დიდგვაროვნების, ისე რიგითი ქართველებისა.

ორივე ეკლესიაზე მოიპოვება რამდენიმე სტრიქონიანი ორი-ორი ასომთავრული წარწერა. ისინი თითქმის თავდაპირველი და დაუზიანებელი სახითაა შემორჩენილი. სამ წარწერაში ერთი და იგივე პირი — **შალვა** იხსენიება, ხოლო მეოთხე წარწერა „ღმრთივგვრგვნოსან მეფე გიორგის“ აღორაციულ (განმადიდებელ) ტექსტს შეიცავს“ (სილოგავა 2012, 239). შალვასა და მეფე გიორგის გარდა მოხსენებული არიან მაშინდელი შედარებით უცნობი პირები: **ნიკოლასძე** და **ქებასძე**.

განძანის წარწერების მიხედვით დგება საკითხი — ეს სახელები ჩვეულებრივი მამის სახელობია თუ **მყარი გვარსახელი**. მყარი, ბუნებრივია, ნიშნავს, რომ მამის სახელობა ან ხელობის აღნიშვნა, ან წარმომავლობა რეალურ მდგომარეობას აღნიშნავს, თუ გადადის შთამომავლობაზე. ამის გადამოწმების საშვალებას გვაძლევს თითოეული გვარსახელის ისტორის არსებობა დოკუმენტურად, რაც მხოლოდ მაღალ, გამორჩეულ საგვარეულო სახელებს შეიძლება ჰქონდეთ. სხვა შემთხვევაში, ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს, გვარად მივიჩნიოთ ისეთი სახელი, რომელმაც შედეგად მოგვცა გვარის საბოლოო სახე. **ქებასძე, ნიკოლასძე** ჩამოყალიბდა -ს -ან სანდაკარგულ შემდეგი დროის გვარებად — **ქებაძედ, ნიკოლაძედ**, ამიტომ ამ გვართა სათავედ შეგვიძლია, მივიჩნიოდ ჯავახეთში აღნიშნული წარწერები.

იმისთვის, რომ გავერკვეთ, განძანის ტამარზე დაფიქსირებული **ნიკოლასძე** და **ქებასძე** არის თუ არა გვარი, საჭიროდ ჩავთვალეთ ზოგიერთი ტერმინის განმარტება. ნებისმიერი ონიმი ანუ საკუთარი სახელი სწორედ გამორჩევითობის პრინციპის გამო ლექსიკოლოგიის სფეროში, კერძოდ, ონომასტიკაშია განსახილველი. ონომასტიკის მრავალ განშტოებას შორის გამორჩეულია ანთროპონიმია, ანუ ადამიანის საკუთარი სახელი, რომელიც შეიძლება იყოს **პიროვნული** სახელი და **გვარსახელი**. გვარი რომ განვასხვაოთ პიროვნული სახელისაგან, ამიტომ

აქვს მას განმარტება, რომ იგიც საკუთარი სახელია, ოღონდ გვარსახელი. „ანთროპონიმის სახეობა ოფიციალური და საოჯახო სახელწოდება, რომელიც **ერთვის პიროვნულ სახელს**“ (ცხადაია 1988, 33). ჯერ კიდევ ილ. მაისურაძე აღნიშნავდა, რომ გვარსახელი „აღმნიშვნელია ადამიანის **მეორეული დამატებითი საკუთარი სახელისა**, რომლის დანიშნულება, გამომარჩიოს მრავალთაგან ერთი კონკრეტული პიროვნება, დაასახელოს იგი **შთამომავლობითი ნიშნის** მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ოჯახის, სახლელულის, თუ გვარ-ტომის წარმომადგენელი“ (მაისურაძე 1979, 7-8).

ამგვარად, პიროვნული სახელი არის პირველი (თუ პირველადი), ხოლო გვარსახელი (გვარი) არის დამატებითი მეორეული. როგორც პ. ცხადაია მიუთითებს, გვარსახელი აკონკრეტებს და აზუსტებს დასახელებულ პირს (პირსახელს - მ.ბ). ისტორიულად იგი მეორეულია, ხოლო პიროვნული სახელი — პირველადი. მათ შორის განსხვავება სოციალურ-ფუნქციური და სტრუქტურული ხასიათისაა“ (ცხადაია 1988, 33).

სახელის გარეშე რომ ადამიანი ვერ იარსებებდა, რაც თავი შეიცნო, მას შემდეგ, ლოგიკური და ცნობილია, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს გვარის წარმოშობასთან დაკავშირებით როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში.

შეიძლება რომელიმე სოფელს ისე ეცხოვრა შორეულ რაიონში, რომ გვარი არ დასჭირვებოდა ადამიანს, რადგან მხოლოდ საკუთარი სახელით ან მეტსახელით საკმარისი იყო მისი მარკირება იმ ურთიერთობათა დონეზე, რომელიც სოფელს სჭირდებოდა. გარკვეულმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა შექმნა გვარის ჩამოყალიბების, მინიჭების აუცილებელი პირობები.

გვარი, როგორც ანთროპონიმი, უძველესი ხნის ფოლკლორულ და ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება. ამირანის ცნობილი მითის მიხედვით თვით **ამირანი** გვარად **დარეჯანისძეა**. **ბადრის** გვარი ეწერა იმ ქალაქზე, რომელიც ხელთ ეპყრა ციხე-კომპში გარდაცვლილ გმირს და „ამირანმა წაიკითხა, შიგ ეწერა გვარი მისი“ (მაისურაძე 1979, 9). გვარს რომ გარდა გამორჩევითობისა, შეიძლება ითქვას, საკრალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ვარიანტში მითითებულია ტარიელის გვარიანობის შესახებ:

„**გვარი** ვკითხე, არ მასწავლა, ნულამც მიეცემა ლხინსა,
სახელი თქვა, ტარიელი გაბრუნდიო, მკადრა პირსა“.

(დამოწმებული გვაქვს ი. მაისურაძის „ქართული გვარსახელებიდან“, 1979, 10)

ჩვენ მიჩვეული ვართ საყოველთაო გვარიანობას, პასპორტიზაციას, რაც თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ერთი რამე აშკარაა, „სახელი უფრო ადრინდელია, გვარი კი შედარებით გვიან არის გაჩენილი.

გვარი წარმოიშვა უკვე განვითარებული კლასობრივი საზოგადოების წიაღში და ამიტომ მას სოციალური განსხვავების გამოხატვაც დაეკისრა: ძველად გვარების მიხედვით განასხვავებდნენ მაღალ და დაბალ წოდებას — თავადაზნაურებსა და გლეხებს“ (ჭუმბურიძე 2000, 69).

ჩვენი საისტორიო და ჰაგიოგრაფიული მწერლობა გვიჩვენებს, რომ გვარი საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა. რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა გვარის შექმნის და მინიჭების პირობები სხვადასხვა ეპოქაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გვარიანობა და უგვარობა სერიოზული სოციალური დაპირისპირების ფონზე განიხილებოდა. განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე სახელმწიფოს არც კი აინტერესებდა სრული გაგვარიანება საზოგადოებისა. ამ კუთხით საინტერესოდ გვეჩვენება ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები.

გვარი და გვარის არსებობა გასდევს მთელს ჩვენს ისტორიას, ამიტომ გვარის არსებობა-არარსებობა რომელიმე ეპოქის მიხედვით კი არ უნდა იქნას განხილული, არამედ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, რამდენად არის ჯერ საჭირო გვარი რომელიმე პიროვნებისათვის და რა აუცილებლობა განაპირობებს მის დაფიქსირებას.

არის მოსაზრება, რომ „შუა საუკუნეებში ჩვენი წინაპრების ანთროპონიმული მოდელი უკვე სამწვრიანი იყო“ (ცხადაია 2000, 9) და მოყვანილია მე-12 საუკუნის დასაწყისში შესაბამისი მაგალითებიც მაგრამ ეს არ არის საყოველთაო ხასიათის ფაქტი, ისევე, როგორც გვარსახელთა განმარტებანი თანამედროვე მდგომარეობის შესაფერისი უფროა და ისტორიის ყველა პერიოდს არ მოერგება. რატომ არის განძანის წარწერებში მოხსენებული პირები მხოლოდ გვარებით დასახელებულნი და არ ვიცით მათი სახელები, მაშინ, როდესაც მაღალი წრე პირიქით არის წარმოდგენილი. ისინი მხოლოდ სახელებით გვხვდებიან.

გვარი ყველას არ აქვს და მისი მინიჭება ხდება გარკვეული პირისათვის. „ქართულ ფრაზეოლოგიაში გვარი ადამიანის ღირსების, მისი მაღალზნეობრიობის მაჩვენებლადაც არის ნახმარი. ამის საფუძველზე შექმნილია სიტყვები: **გვარიშვილი** და **გვარიშვილობა**“ (მაისურაძე 1979, 10) აქედან გამომდინარე რადგან ღირსეულისა და შედარებით ნაკლები მდგომარეობის მქონე ადამიანთა ყოფნა საზოგადოებისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი, სამართლიანად მიგვაჩნია ი.მაისურაძის შემდეგი მოსაზრება „ისტროლიულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია გადაჭრით თქვათ, რომ საქართველოში ოფიციალური გვარსახელები ძველი საუკუნეებიდან უნდა ყოფილიყო ცნობილი წარჩინებულ პირთათვის“ (მაისურაძე 1975, 14). გვარიშვილობაში, წარჩინებულობაში ლინგვისტურად შეიძლება წარმოდგენილი იყოს ადამიანის დახასიათება სხვადასხვა მახასიათებლით: მამის სახელობით, რომელიც ერთი თაობის გარდა გადადის შთამომავლობაზე, ხელობის, წარმომავლობის,

ფიზიკური შესაძლებლობების, ტოტემის და სხვა. გვარის გვარიშვილობის დროს ადამიანის ოფიციალურად წარმოდგენისას, თუნდაც მაშინ როდესაც ფიქსირდებოდა მისი დამსახურება, ვთქვათ, ტაძრის მშენებლობაზე წარწერით, სახელი არც კი იყო საჭირო და იგი მხოლოდ საშინაო მოხმარების ფორმად იქნას გამოყენებული. ამავე წარწერებიდან შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ როდესაც გვარი უკვე ტრადიციულია, ცნობილია, მას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მის პატრონს საზოგადოებაში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია, სახელით და გვარით ან მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ. მხოლოდ სახელის მოხსენიება სხვა პრობლემებსაც ქმნის. მისი დაფიქსირების დროს ცნობილია პიროვნება, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამ სახელით შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა გვარის ადამიანი, რაც ამნელებს იდენტიფიკაციას, როგორც განძანის წარწერებში მოხსენიებულ შალვას შემთხვევაში მოხდა.

ქართულში ადრიდანვე დასტურდება და დღესაც ფართოდ არის გავრცელებული **ნიკოლოზი** (ნიკოლოზ, ნიკოლაოზ, ნიკოლაოს), შემოკლებით - ნიკა, ნიკო ნიკოლა, მისგან ნაწარმოებია გვარები ნიკოლოზიშვილი, ნიკოლეიშვილი“ (ჭუმბურიძე 2003, 190) განძანის წარწერებში ნიკოლოზი დადასტურებულია მისი ხალხური, შემოკლებული ფორმით— **-ნიკოლა**, თანაც იგი გამოყენებულია ეპონიმად, გვარის საფუძვლად - **ნიკოლასძე**. პირველ წარწერაში იგი ქარაგმის საშუალებით არის გადმოცემული, ხოლო მეორე წარწერაში — უქარაგმოდ.

„ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, ძითა, ძმითა მათითა. ცოცხალთა ვაშენეთ წმიდაი ესე საყდარი **ქებასა და ნიკოლასძეთა**“. ამ წარწერაში **ნიკოლა** დაქარაგმებულია და ხმოვნების გარეშეა „**ნკლასძეთა**“, მაგრამ მის წაკითხვაში არავითარი ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ, რაგდან მეორეგან იგი ხმოვნებთან ერთად იკითხება. წარწერის შინაარსიდან ვგებულობთ, რომ **ქებას** შვილი და **ნიკოლას** შვილები აშენებენ საყდარს. გვარის მაწარმოებელი -ძე არ არის ფუძეს შერწყმული, იგი აღნიშნავს ზოგადად შვილს და პიროვნების მარკირება ხდება მამის სახელობით, მაშინ, როდესაც მეორე წარწერა პირდაპირ მიუთითებს **ნიკოლას** შვილებზე-**ნიკოლასძეებზე**. უკვე აღარ მონაწილეობს ტაძრის მშენებლობაში **ქებაძე**:

„ქრისტე ღმერთო ადიდე ორთავე ცხოვრებათა მანდატურთ-უხუცესი შალვა, ძითა და ძმითა მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდაი ესე საყდარი **ნიკოლასძეთა**. **შალვას მონას მანგლავას მეოხე ექმენ ღმერთო ყოველთაო**. საყდარი დედისა ღმრთისაი.“ როგორც უნდა ვიფიქროთ, გვარის მაწარმოებელი - ძე ფუძესთან არის თუ ცალკე, ფაქტია ორი ქართული სახელი მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში - **ქება** და **ნიკოლა**.

პირველი უშუალოდ ქართული სახელწოდებული ფორმაა **ქება**, რომლისგანაც არის მიღებული გვარი, **ქებაძე**, ხოლო მეორე ბერძნული წარმოშობის სახელის ნიკოლოზის შემოკლებული, მოფერებითი ფორმა - **ნიკოლა**. ვფიქრობთ, ეს სამშენებლო წარწერა მიგვანიშნებს იმაზე, რომ პირველ ტაძარს აშენებენ **ქებასძე** და **ნიკოლასძეები**, ხოლო მეორე ეკლესიას მხოლოდ ნიკოლასძეები, ამიტომ მასში ფუძესთან არის შერწყმული გვარის მაწარმოებელი - ძე.

ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით გვართა დაფიქსირება მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოგვცა გიორგი ბოჭორიძემ, რომლის ნაშრომიც „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“ გამოვიდა 1992 წელს. რ. თოფჩიშვილი ამ მასალაზე დაყრდნობით მიუთითებს სწორედ ქართულ გვართა არსებობის შესახებ უძველეს პერიოდში და მოჰყავს შესაბამისი მაგალითები აღნიშნული წიგნიდან: „თოთოეული წარწერა, რომელიც გ. ბოჭორიძემ გადმოიღო, მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მათში გვხვდება ქართული გვარსახელები და სახელები. ერთ-ერთ წარწერაში იკითხება „ქრისტე, **ორბიძეს** ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ.“ ეპიგრაფიკული ძეგლის სხვა მაგალითი: „ქ., მე **თოჯაძემან** ზაალ აღვაშენე...“**ზარზმის** ეკლესიის წარწერიდან; „ქ. ამისა აღმაშენებელსა წინამძღვარსა **ხურციძესა** გაბრიელს შეუნდვენ ღმერთმან“. „ქრისტე ვარძიისა ღმრთის მშობელო, შემიწყალენ მე, წინაშე ძისა შენისა, ფრიად ცოდვილი, **ბლორძელი**...“ ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერიდან: „ქრისტე, შეიწყალე სული ფარსმანთ ერისთავთ ერისთავისაჲ დოვანეს ძისა **ჭიმჭიმელისა**“. ამ შემთხვევაში, ერისთავთ-ერისთავის სახელია ფარსმან, მამის სახელი - იოვანე და გვარსახელი - ჭიმჭიმელი. საყურადღებოა, რომ ყველა ეს წარწერა სამცხის ეკლესიებზე ასომთავრულით... არის შესრულებული“ (თოფჩიშვილი 1997, 28). როგორც ვხვდებით, ქართული ანთროპონიმიკის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა აქვს ეპიგრაფიკულ ძეგლებზე დაფიქსირებულ ჩვენს წინაპართა გვარსახელებს.

განძანის წარწერები და მათში ნიკოლასძეთა დაფიქსირება საინტერესოა უნდა იყოს ნიკოლაძეთა გვარის, როგორც ერთ-ერთი ცნობილი გვარის, მკვლევართათვის. ეს გვარი მხოლოდ მე-19 საუკუნეში ფიქსირდება: „1840-იანი წლების საარქივო მონაცემებით, ქუთაისში მცხოვრები **ნიკოლაძეები** სახელმწიფო აზნაურები იყვნენ, ხოლო იმერეთის სხვადასხვა სოფელში მკვიდრნი კი გლეხებს წარმოადგენდნენ“ (თოფჩიშვილი 2021, 76). განძანის ტაძრების მონაცემებს ნიკოლაძეთა გვარის ისტორიის საკმაოდ შორეულ წარსულში გადავყავართ. ორი ტაძრის მშენებლობა, რა თქმა უნდა, რიგით ადამიანს არ შეეძლო.

ეს ორი გვარი **ქებაძე** და **ნიკოლაძე** გვიჩვენებს, რომ გვარად ქცევის პროცესში აქტიურდება სწორედ კნინობით-შემოკლებული ფორმები, რომლებიც საფუძველი ხდება ჯერ ნომინაციისა და შემდეგ გვარისა.

ქებაძეთა გვარის ისტორიაში განძანელი ქებაძეების დადასტურება ყველაზე ძველი ჩანს და ამითაც არის მნიშვნელოვანი.

უცნაურად ჟღერს საკუთარი სახელი **მანგლაფა**, რადგან ასეთი სახელი არ გვხვდება საისტორიო და სხვა ტიპის წყაროებში. ჯავახეთის ძეგლთა ეპიგრაფიკული მონაცემები ანთროპონიმთა კვლევის თვალსაზრისით იმითაც არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ ეპოქის დამახასიათებელ სახელთა დაფიქსირების საშუალება გვეძლევა.

ეს სახელები არის არაკანონიკური და წარწერის ამომკვეთნი არაიშვიათად სრულად წერენ ქარაგმის გარეშე. ზემოთ მოყვანილი წარწერა, რომელიც სავედრებელია, გვაუწყებს, რომ **მანგლაფა იყო შალვას მონა**:

„შალვას მონასა მანგლაფას მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო“. განძანის ეკლესიების დასათარიღებლად სწორედ ისტორიული პირებია და მათი მოხსენიება გადამწყვეტი. „წარწერაში მოხსენებული მეფე გიორგი გიორგი ბრწყინვალე გამოდის, ხოლო შალვა - ბექა ჯაყელის ძე. ზედა ეკლესიის აგების ჟამს **შალვა მეჭურჭლეთუხუცესი** ყოფილა, ხოლო ქვედა ეკლესიის აგებისას - უკვე მანდატურთ **უხუცესი**“ (გზამკვლევი 2000, 20).

არის სხვა მოსაზრებაც, რომ „შალვა მეჭურჭლეთუხუცესსა და შალვა მანდატურთუხუცესში უფრო მართებული ჩანს, XII-XIIIს. დიდი მოღვაწე **შალვა თორელი** ვიგულისხმობთ“ (ბერძენიშვილი 1964, 87). მიუხედავად ამისა, ჩვენთვის, როგორც ანთროპონიმის კვლევისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

მანგლაფა არის შალვა ბექასძის, შალვა მეჭურჭლეთუხუცესის, იგივე შალვა მანდატურთუხუცესის **მონა**. ჩვენს წარმოდგენაში მონა არის სოციალური ყოფის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანი. რომელსაც თანამედროვე ქართულშიც რამდენიმე შინაარსით შეიძლება შევხვდეთ: მონათმფლობელურ საზოგადოებაში - ექსპლუატირებული პირი, რომელსაც არ გაჩნია წარმოების საშუალებანი და რომელიც მონათმფლობელის საკუთრებას წარმოადგენს .2. თავისუფლებას მოკლებული, ექსპლუატირებული, უუფლებოა, ჩაგრული ადამიანი. 3. გადატ. სხვისი ნების შემსრულებელი, სხვისი მორჩილი. 4. ძვ. გადატ. ქრისტიანების სიტყვახმარებაში - ღვთის დიდად მოშიში და მორჩილი“ (ქეგლი 1958, 816-817). ძველ ქართულში ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ: „კირთი“ „ბარაკიელი“ „ყრმაჲ“, „მრწემი“, „ჭაბუკი“, „მსახური“, „მენიჯოგე“ „მენიჯგორე“ „მენიჯოგრე“ (აბულაძე 1973, 271). შეიძლება ჩამოთვლილი მნიშვნელობანი მონის სინონიმებად ჩაითვალოს, თუმცა არის ზოგიერთი განსხვავება, რომელიც არა მხოლოდ ნიუანსური ხასიათისაა. ამკარაა, რომ თითოეული მათგანის მნიშვნელობა სოციალურად იერარქიულ დამოკიდებულებას გამოხატავს. მოვიყვანოთ განმარტებებს იმავე ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან“.

კირთი - მონა, ყრმა, მსახური (გვ.199). მისგან არის ნაწარმოება კირთება. ამ ფუძეს იყენებს ქართული გვარი **კირთაძე**. ამავე მნიშვნელობისაა **ბარაკიელი** - მონა, მსახური (გვ.29). **მრწემი, მწემსი** ნიშნავს „უკუანას“, დამონებულს, უმცროსს. ამავე ფუძიდან არის ნაწარმოები **უმრწემესი** - უმცროსი, უმცირესი, უკანასკნელი, უმდაბლესი“ (გვ. 426), რომელშიც ისედაც უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვა კიდევ უფრო გაძლიერებულია უ-ეს აფიქსებით. თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს მსახურს, რაც დღეს: „მონა“, „მტარვალი“, „მოსამსახურე“, (გვ.296). განსხვავებულია თითქოს მტარვალის მნიშვნელობა: „მსახური“, „ასისტავი“, ჯარისკაცი, ჯალათი, მხედარი. რაც შეეხება მნიშვნელობას **-მენიჯოგე, მენიჯოგრე, მენიჯგორე**, უკავშირდება უშუალოდ ხელობას, საქმიანობას. იგი იყო ისეთი მონა, რომელიც მეზრდოლ, პატრონის კაპარჭის მტარებელი, მეკარპაჭე იყო (გვ.231). ამავე ფუძეს უკავშირდება ერთ-ერთი ჯავახური სოფლის სახელი **ნიჯგორი**. (მ.ბერიძე 2008, 133). მონა შეიძლება ყოფილიყო - „წული“ „ჭაბუკი“, „ქალი“, „ვაჟი“, ახალგაზრდა, ყმაწვილი, (გვ.468).

მანგლაფა არის შალვა მეჭურჭლეთუხუცესის, იგივე მანდატურთუხუცესის მონა, მოსამსახურე. მასზე უმცროსი, „მრწემსი“, როგორც ასაკით ისე, ბუნებრივია, სოციალური მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, პატრონთან ერთად მოიხსენება სავედრებელში.

პროფესორმა **ვალერი სილოგავამ** სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა „მანგლაფას“. აღმოჩნდა, რომ იგი არის ბიზანტიური სამოხელეო ტერმინი (ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012, 242.). **„მანგლაფები** ცერემონიალზე ახლდნენ ხოლმე იმპერატორს. მათვე ევალეზოდათ სასახლის ცალკეული ჭიშკრების გაღება ყოველ დილით, ხოლო საღამოს — დაკეტვა. ისინი აღჭურვილნი იყვნენ ხმლებით. პირველად მოიხსენიებიან IX საუკუნეში“ (სილოგავა 2012, 241). მანგლაფები სხვადასხვა დავალებებს ასრულებდნენ იმპერატორის კარზე. ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, განმანის წარწერაში მოხსენიებული მანგლაფა პირის სახელია თუ აღნიშნავს თანამდებობას? ამ კითხვას ვ. სილოგავა მსჯელობით პასუხობს, რომ თუ მანგლაფა ქართულ სინამდვილეში იმავს აღნიშნავდა, რასაც ბიზანტიაში, მისი სახელი სულ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (გვარსახელი ან პირისახელი) ისევე, როგორც შალვა მანდატურთუხუცესი - მეჭურჭლეთუხუცესი, ამიტომაც ვ. სილოგავას მიაჩნია მანგლაფა უფრო **საკუთარ** სახელად, ვიდრე სამოხელეო ტერმინად, რომ იგი ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებულა როგორც ანთროპონიმი (სილოგავა 2012, 242). მართლაც სავარაუდებელია, რომ ყოფილიყო სამოხელეო ტერმინი, უნდა გვექონოდა მანგლაფი და არა მანგლაფა. ამ უკანასკნელში -ა საკუთარ სახელად აქცევს სამოხელეო ტერმინს, ისევე როგორც **ბეგი →ბეგა→ბეგაშვილი, ბეგაძე**. ე.ი. **მანგლაფი →მანგლაფა**. ამგვარად,

განძანის წარწერები გვიჩვენებს, რომ მოხსენიებული სამი პიროვნებიდან ორი არის გვართი წარმოდგენილი, ხოლო ერთი — სახელით.

მე-13 -მე-14 საუკუნების ტაძართა წარწერები გვიჩვენებს ქართული ანთროპონიმის ერთ თავისებურებას. იგი არ არის შეზღუდული კანონიკური და პურისტური მოტივაციით. სამი სახელიდან ერთი ქართული ზმნური ფუძიდან მიღებული საკუთარი სახელია (**ქება**), მეორე — ბერძნული ნიკოლოზი (**ნიკოლა**) და მესამე — ბიზანტიური სამოხელეო ტერმინიდან მომდინარე **მანგლაფა**.

სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ტოპონიმის დაწერილობისათვის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა სახელმწიფოს მართვის საფუძველია. გარდა სამისამართო ფუნქციისა, რომლის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან კომუნიკაცია, სახელმწიფოს მიერ თავისი იურისდიქციის გაკონტროლება და შემოსაზღვრა არის ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების საფუძველიც. უპირველეს ყოვლისა შეუძლებელია მოწესრიგებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გარეშე საგადასახადო სისტემის მართვა.

ადგილთა სახელები, რომელთაც გეოგრაფიულ სახელებსა და ტოპონიმებსაც უწოდებენ, იქმნება იმ ეთნოსის მიერ, ვინც ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე, ან განახორციელებს სხვა ქვეყნის იდეოლოგიას და ქმნის იდეოლოგიურ სახელებს. მაგალითად, რუსული მმართველობის პერიოდში იქმნება სამცხე-ჯავახეთში კომუნისტური იდეოლოგიური ტოპონიმია: ფილიპოვკა, ჟდანოვაკანი, კიროვი და აშ. ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობს, იდეოლოგიურ (კომუნისტურ) სახელებს თავისი აფიქსაცია მისცეს და ამით „გაიშინაუროს“ ამ ტიპის ტოპონიმია. ასე იქმნება კიროვაკანი, ჟდანოვაკანი და სხვა. -კან სუფიქსი, რომელიც სპარსული წარმოშობისაა, დღეს რუსული ფუძეების გამასომხურებელ ელემენტად აღიქმება ისევე, როგორც სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი სომხური, ოსური, რუსული მოსახლეობისათვის არის გამაქართულებული ელემენტი. ამიტომაც ცდილობს შესაბამისი მოსახლეობა, ჩამოაცილოს იგი ნებისმიერ თანხმოვანფუძიან სახელს. ასეა ჯავახეთის ტოპონიმიაში „სომხური“ დაწერილობით: კორხ, კარწახ, ბუზავეთ და ა.შ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ანთროპონიმიაში, სომხურ გვარებში. -

იან გვართა დამაბოლოებელი სუფიქსი დაერთვის როგორც ქართულ, ისე სომხურ გვარებს (არა მარტო ქართულსა და სომხურს, ასეა რუსულ, იტალიურ, ფრანგულ და სხვა ევროპულ გვარებში). სომხური მოსახლეობა შიშობს რომ - ი სახელობითი რბუნვის ნიშნის დართვით მოხდება სომეხთა გაქართველება, ამიტომ აცილებს ბრუნვის ნიშანს და ტოვებს ფუძის სახით.

რუსულენოვანი ტოპონიმია სამცხე-ჯავახეთში ჩნდება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში რუსი სექტანტების დუხოზორების ჩამოსახლებით. მაშინდელია: ბოგდანოვკა, გორელოვკა, ტამბოვკა და სხვა.

სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობა ჩნდება 1828 წლის შემდეგ. ისინი თურქეთიდან (ოსმალეთიდან) შემოსახლა რუსეთმა იმპერიის საზღვრის „გასამტკიცებლად“, იქაური მაჰმადიანი ქართველების ადგილზე. რუსი სექტანტებისაგან განსხვავებით სომეხებს ახალი სახელები არ შეუქმნიათ, რადგან მათი შემოსახლება მოხდა ადმინისტრაციული წესით. მიგრანტები გადაანაწილეს სოფლების მიხედვით. სოფლის სახელთა ზუსტი დასახელების გარეშე შეუძლებელი იქმნებოდა ჩასახლებული ოჯახების ზუსტი განსაზღვრა და, შესაბამისად, მიწების გადაანაწილება. რაც შეეხება რუს სექტანტებს, მათი სექტანტური იდეოლოგია მოითხოვდა „საკუთარი“ რუსული სახელების დარქმევას, რაც გაითვალისწინა მაშინდელმა რუსულმა ხელისუფლებამ. მაგალითად, თავფარავანს დაერქვა როდიონოვკა, ხოლო სხვა შემთხვევაში ძირითადად ვოლგისპირეთიდან გადმოტანილი სახელები უწოდეს.

სამცხე-ჯავახეთის დღევანდელი ადგილის სახელები გამოვლილია საუკუნეებს. მათი შეცვლა და დამახინჯება აზრად არ მოსვლიათ დიდი იმპერიების - ოსმალეთის და რუსეთის წარმომადგენლებს. ამის დასტურია 1595 წლის ოსმალური დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“ და მე-19 საუკუნის რუსული აღწერების დავთრები. რადგან ეს დოკუმენტები იქმნებოდა საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ატრიბუტიკის მოსაწესრიგებლად, ამიტომ არ შეცვალეს ადგილის ტრადიციული ქართული სახელები.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რაც იწვევს ტოპონიმთა სახელების შეცვლას და დამახინჯებას. ეს არის ლინგვისტური ფაქტორი. ქართული ბგერობრივი სისტემა, მართალია, ახლოს არის სომხურ ბგერობრივ სისტემასთან, მაგრამ განსხვავდება ბევრად რუსულისაგან და ოსმალურისაგან, ამიტომ ქართული სახელების სხვა ენაზე გადმოცემა ხდება იმ ენობრივი (ბგერობრივი) არსენალით, რომელიც მოცემულ ენას გააჩნია. ეს გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ოსმალოები ქართული სახელების გადმოსაცემად იყენებდნენ სპეციალურ დიაკრიტულ ნიშნებს, ხოლო რუსები სპეციალური ბგერათშესატყვისობებით და არა ტრანსკრიფციით ახერხებდნენ ქართული სახელების შენარჩუნებას. კიდევ გავიმეორებთ: არა კეთილი ნებისათვის და ქართული ტოპონიმის

შენარჩუნებისათვის, არამედ პრაგმატული მიზნებისათვის, რომ კარგად და ზუსტად შეეწერათ გადასახადი, აღერიცხათ მოსახლეობა, რომელიც უნდა დაბეგრულიყო, გაეყვანათ ჯარში და სხვა მიზნებისთვის ინარჩუნებდნენ დამპყრობლები ქათულ ტპონიმიას. მართალია, გარკვეულ კურობებთან არის ეს მეთოდი დაკავშირებული, მაგრამ მაინც ყველაზე გამართლებული მეთოდია. მაგალიად: სოფ. აფნია, რუსულად გადავიდა Алпниა- დ. ასე მოხვდა იგი რუსულ რუკებზე. სამწუხაროდ, ქართულმა ადმინისტრაციამ იგი შემდეგ ქართულ რუკებზე გადმოიტანა აპნიად, რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ასე რომ, თითოეული სახელის დაწერილობას მოფრთხილება და შესწავლა სჭირდება.

იმის გამო, რომ სომხურში არ არის ყ ბგერა, ვთქვათ, ყულალისი იქცა ღულალისად, ყაურმა ღაურმად და სხვა. ასევე ენობრივი პრობლემის გამოა, რომ საეპისკოპოს ცნობილი ცენტრის კუმურდოს სახელი ადგილობრივ სომეხთა მეტყველებაში გამოითქმის, როგორც „გუმურდო“ „გუმბურდო“ „გუბურდა“ და სხვა ფორმებით.

ენის სახელმწიფო დეპარტამენტმა სამცხე-ჯავახეთის მხარის 5 მუნიციპალიტეტის 265 სახელწოდება გადმოაგზავნა დასახუსტებლად და სარეკომენდაციოდ. ძირითადი არის ოიკონიმი (სოფელთა სახელები), ხოლო მუნიციპალიტეტების ცენტრებს წარმოადგენს დაბა-ქალაქები: ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა, ასპინძა, ადიგენი.

გადმოგზავნილ სიას ახლავს ნომრის გარდა სხვა ნიშნებითაც წარმოსადგენი გრაფები, კერძოდ: პირობითი იერარქიული კოდი, დასახლების ტიპები, ქართული სახელწოდება, ინგლისური სახელწოდება და ადმინისტრაციული ერთეული. აუცილებელია, დაემატოს კიდევ ერთი გრაფა - ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რადგან ადმინისტრაციულ მოხმარებაში შემოვიდა ისეთი დამახინჯებული ფორმები, როგორიცაა: ვალეს მოსახლეობა, ვალეს სკოლა. ანდრიაწმინდას, აგარას და სხვა.

თითოეულ სახელს თავისი ისტორია აქვს. ახალციხეები და ახალქალაქები არაბობის შემდეგ იქმნება ჩვენს ქვეყანაში, ზოგი ახალ ადგილზე, მაგ.: ახალქალაქი და ზოგი - ძველზე - ახალციხე, რომელსაც მანამდე ლომსია ერქვა. თითოეულ მათგანს თავისი შექმნის საუკუნე მაინც აქვს თუ არა - დადასტურების წელი. ახალქალაქი მე-10 საუკუნეში უკვე ციხე-სიმაგრის სახით არსებობს, ახალციხე მე-12 -მე-13 საუკუნეებში ამ სახელით იხსენიება. ასპინძა, 888 წელს მოიხსენიება ისტორიაში. ბორჯომი ჩნდება მე-19 საუკუნეში, როგორც ადგილის სახელი იქ, სადაც არის, თორემ მანამდე ახალციხესთან ანდა - ღრელს შორის მდებარე პატარა ორ სოფელს ერქვა. ადიგენის დაარსების თარიღიც საუკუნეების სიღრმეში მიდის და დასადგენია. ნინოწმინდა მე-20 საუკუნის ბოლოს დაერქვა ყოფილ ბოგდანოვკას, რომელიც მე-19 საუკუნეში იყო შერქმეული რუსი ბოგდანის პატივსაცემად.

იყო მცდელობა, რომ ახალქალაქისათვის ჯერ ოსმალოებს შეეცვალათ

სახელი და აქშეჰირი დაერქმიათ, შემდეგ სომხური ნორქაღქი უნდოდათ ეწოდებინათ, მაგრამ ახალქალაქის ისტორიულ-გეოგრაფიულმა და სტრატეგიულმა ადმინისტრაციულმა დატვირთვამ ამის საშუალება არ მისცა იმდროინდელ ადმინისტრაციას, იმდენად არალოგიკური იყო ეს მცდელობა. ასევე იყო მცდელობა ახალციხისათვის სახელის შეცვლისა. ვფიქრობთ, ჩვენმა ხელისუფლებამ, დღევანდელმა საქართველომ, კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს თითოეული მუნიციპალიტეტის ცენტრის რეკლამა, მათი ქართული წარმომავლობა, ხაზი უნდა გაესვას მათ ისტორიულ დამსახურებას. ასევე უნდა მუდმივად აღინიშნოს დღევანდელი ეროვნული უმცირესობის (ტერმინი დასაფიქრებელი და კარგად გასააზრებელია), რომელიც ამ მუნიციპალიტეტში ცხოვრობს, ჩამოსახლებას, ქართველთა დიდ ისტორიულ და დღევანდელ ტოლერანტობას, რომ იცოდნენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებმა სომხებმა, რუსებმა, ბერძნებმა და სხვებმა, ვინ როდის მოვიდა, ვის რა მისცა ქართულმა მიწამ. ამისათვის კი საჭიროა ისტორიული ტოპონიმის შენახვა, შენარჩუნება და სახელმწიფო დონეზე მოვლა.

შესაცვლელია კომუნისტური იდეოლოგიის გამომხატველი სახელები: ჟდანოვი, კიროვი და სხვა. საჭიროა, აღდგეს ძველი სახელები ან მოიძებნოს ისეთი ახალი სახელი, რომელიც მისაღები იქნება როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ადგილობრივი მოსახლეობისათვის

გადმოცემულ გეოგრაფიულ სახელებთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე შენიშვნა-ჩასწორება:

აბასთუმანი. ადიგენის მუნიციპალიტეტში არის ორი აბასთუმანი, სოფელი აბასთუმანი და კურორტი აბასთუმანი გვერდიგვერდ. ცნობილია კურორტის შექმნის ისტორია. დღევანდელი კურორტი აბასთუმანი (იხ. საგზაო ტრაფარეტი), რომელიც სიაში შეტანილია და დაბის სტატუსით, ისტორიული ოცხის ადგილზეა და მისი შექმნა (სოფლის სახელის გადატანა) დაკავშირებულია რუსულ სამეფო საგვარეულოსთან, რომანოვებთან. ეს თავისთავად საინტერესო ფაქტია, მაგრამ ორი აბასთუმნის არსებობა გვერდიგვერდ გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ცნობილია აბასთუმნის ეტიმოლოგია (აბასაანთ უბანი). დღეს თურქეთთან გაცხოველებული კონტაქტების ფონზე თვით სახელის შინაარსი თურქულად არასასიამოვნო ეტიმოლოგიით იხსენიება.

კარგი იქნება, თუ კურორტს (დაბას) დავუბრუნებთ მის ისტორიულ სახელს ოცხეს. საკითხი დეტალურად აქვს შესწავლილი სერგი ჯიქიას. თურქებმა არა მხოლოდ თვით ოცხის ციხე აღწერეს თავის დროზე (მას დღეს თამარის ციხეს ეძახიან), არამედ ციხის გარშემო დასახლებაც. მდინარეს, რომელიც კურორტ (დაბა) აბასთუმანში ჩამოდის, ოცხის წყალი, ოცხურა ჰქვია (შესაბამის ტრაფარეტზე რატომღაც მდინარესაც ოცხე აწერია). ოცხე უკავშირდება უძველეს ისტორიულ ტოპონიმს ოძრხეს, მის ქალაქობას და ა.შ.

არ უნდა შეგვაშინოს აბასთუმნის, როგორც კურორტის და როგორც

სახელის, პოპულარობამ დღეს. დღევანდელი მედიასაშუალებების და რეკლამების საშუალებით უმოკლეს დროში შეიძლება საკითხის გადაწყვეტა- მოგვარება.

წარბასთუმნის ნაცვლად სწორი და მისაღები არის წარბასთუმანი. წარბასთუმანი მიღებულია აბასთუმნის ანალოგიით. სამცხე-ჯავახეთში - უბან კომპონენტის საკუთარი სახელები ბევრი იყო და ბევრი დღევანდლამდე არის შემორჩენილი. მათი წარმოქმნა დაკავშირებულია გვარებთან, გვართა გაყრასა და გვართა განაყრებზე. წარბასთუმანი საინტერესოა, როგორც საგვარეულო სახელთა ორი სხვადასხვაგვარი წარმოებით მიღებული, კერძოდ: წარბა საკუთარი სახელი გვამღვს წარბაანთ ფორმას და პარალელურად - წარბასანებს, ამ ორი ვარიანტის შერწყმის შედეგად მიღებულია წარბასთუმანი. საჭიროა მისი შენარჩუნება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფონეტიკური ვარიანტი წარბასთუმანი შედარებით პოპულარულია ხალხში

შორაველი და არა შოლავერი. მიუხედავად იმისა, რომ ს. ჯიქია კატეგორიული წინააღმდეგია შორაველისა, მიგვაჩნია, რომ უნდა დაკანონდეს სწორედ ეს ფორმა. რადგან სამცხე-ჯავახეთში გვხვდება სწორედ შორ- კომპონენტის ადგილის სახელები: შორეთი, ოშორა და სხვა. შეიძლება მისი ეტიმოლოგიის ახსნა.

ბოლაჯური გვხვდება კიდევ ორი ვარიანტით: ბოლაჟური და ბოლაჯაური. ვფიქრობთ, ბოლაჯური არმენიზებული ეტიმოლოგიზაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული და აღნიშნული ორიდან (ბოლაჟური, ბოლაჯაური) ერთ-ერთის დაკანონება შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ბოლაჯური არის პოპულარული ადგილობრივ (ჩამოსახლებულ) მოსახლეობაში. 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით გვაქვს ბოლაჯაური.

2014 წლის აღწერის მიუხედავად, როგორც სიის შემდგენელები მიუთითებენ, არის მხოლოდ ზანავი, მაგრამ იმდენად არის გაყოფილი დიდი ხევით, ციხით, სკოლით და ა.შ. დიდი და პატარა ზანავი, რომ, ვფიქრობთ, აუცილებელია ცალკე-ცალკე სოფლებად შეტანა მათი. მხარს ვუჭერთ დიდ და პატარა ზანავად დაყოფას.

უტყუსუბანი. სწორი და ისტორიული სახელია უტყუსუბანი და არა უტყისუბანი, რომელიც გარკვეული ხალხური ეტიმოლოგიზაციის შედეგად არის მიღებული. უტყუსუბანად არის მოხსენიებული ეს სოფელი ჯერ კიდევ სერაპონ ზარზმელის მოსვლის დროს სამცხეში.

ღორთუბანი არის სწორი ფორმა. ასე დასტურდება იგი წყაროების მიხედვით, თანაც ამ ტიპის გეოგრაფიული ადგილების და შესაბამისად გეოგრაფიული ტერმინებისგან (გორთუბანი) -უბან შემადგენლობიანი სახელის მიღება ნაკლებად არის მოსალოდნელი.

უბანი მოიცავს გარკვეულ სიმრავლეს, უპირველესად, ადამიანთა გვარის

სახელებისას (გელათუბანი) ან ისეთი სიტყვისაც, რომელიც თავისთავად სიმრავლეს გამოხატავს (ტყისუბანი), შეიძლება რაიმე სამეურნეო ან სხვა ტიპის ობიექტები იყოს წარმოდგენილი (აბანოთუბანი). რაც შეეხება გორთუბანს, იგი დაწერილობის გამოა მიღებული. ქართულმა ღ-მ რუსული მმართველობის პირობებში მოგვცა გ და იგი დაკანონდა შემდეგ. გარკვეული როლი შეიძლება ითამაშა სიტყვის შინაარსმა - ღორების უბანი, რაც მიუთითებს, რომ აქ გარეული ღორების სიმრავლე იგულისხმებოდა, როგორც ვთქვამთ, დათვეთი, დათვიანი, სადათვე, საირმე და სხვა, რაც კიდევ ერთი ისტორიული არგუმენტია ღორთუბნის სასარგებლოდ.

ნამნიაური არის სწორი ფორმა. ასე იყო წინა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფების დროს. დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის საკუთარ სახელთან-ნამნია. რაც შეეხება ნამინაურს, ხალხური გადააზრების შედეგად მიღებული ჩანს, დაუკავშირეს მინას, რაც, ვფიქრობთ, არ არის მისაღები.

წახნისწყარო. წახანი არის სოფლის სახელი, საიდანაც იღებს სათავეს ამ სოფლის სახელიც. ჩვეულებრივი მართულმსაზღვრელიანი სახელია. ბუნებრივია მსაზღვრელის კუმშვაც. გვერდიგვერდ არის მოხსენიებული წახანი და წახნისწყარო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ამიტომ წახანწყარო არასწორ ფორმად მიგვაჩნია.

ზემო ვარძია. მართალია, ზემო ვარძია აღწერის მიხედვით სოფლად არ არის მითითებული, მაგრამ რადგან ტოპონიმთა მთავარი ფუნქცია სამისამართო ფუნქციაა, ზემო ვარძიაში კი არის დედათა მონასტერი და მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩნდა ახალი დასახლება, ამასთან ერთად დღევანდელი ვარძია სწორედ ზემო ვარძიის „ მიცვალების“ გამო აშენდა და იგი ისტორიული სახელია, აუცილებლად მიგვაჩნია მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანა ასპინძის მუნიციპალიტეტში.

არსებობის თანაბარი უფლებები აქვს ორივე სახელს - **გელსუნდას და გულსუნდას**, მაგრამ რადგან ადგილობრივი მოსახლეობა მაინც უპირატესობას გელსუნდას ანიჭებს, შეიძლება მხარი დავუჭიროთ ამ ფორმას.

ძველი გვაქვს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით და იგი გარკვეული გამინაარსიანების შედეგად უნდა იყოს მიღებული. დაუკავშირდა ძველ- სიტყვას, თუმცა ამ ტიპის სახელები, მხოლოდ მსაზღვრელით წარმოდგენილი, ძალზე იშვიათია. ამასთან ერთად ეტიმოლოგიაც ზველ- სიტყვას უკავშირდება. ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებს ზველს, ამიტომ ჩვენც ამ უკანასკნელ ფორმას ვუჭერთ მხარს.

ღადლოლარი. ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით გვაქვს ღადო და ეს არის სწორი ისტორიული სახელი ამ სოფლისა. -ლარ თურქული მრავლობითობის სუფიქსია, რომელიც გამოყენებულია თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მოსახლეობის

მიერ. შეიძლება იგი გარკვეული კალკის შედეგადაც არის მიღებული. ლადონი -> ლადოლარ.

მაჭატი არის სწორი ფორმა. ასე დასტურდება იგი წყაროების მიხედვით, ხოლო მაჯადია გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად არის მიღებული, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა სომხურმა და თურქულმა ენებმა (ს. ჯიქია).

იხტილას უწოდებს ადგილობრივი სომხური მოსახლეობა ისტორიულ ღრტილას. მიუხედავად იმისა, რომ სწორი და ისტორიული ფორმა არის ღრტილა, იმდენად არის დამკვიდრებული იხტილა, რომ მისი შეცვლა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. თუ შესაძლებელია, შეიძლება, მიეწეროს ძველი ფორმა ფრჩხილებში (ღრტილა).

ჩამძვრალა არის სწორი სახელი სოფლისა. ჩამდურა სიტყვის არმენიზებული ფორმაა. ჩამძვრალა არის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფების მიხედვით. ასე მოიხსენიებოდა რამდენიმე სოფელი დღევანდელი ჯავახეთისა და ჩრდილის (ჩილდირი, თურქეთი) მიდამოებში (ს. ჯიქია) ამ ტიპის სახელები შეიძლება გარკვეული გეოგრაფიული რელიეფის (ჩავარდნილობის) გამო ერქმეოდა.

ზაკვი არის სწორი ფორმა. დაკავშირებულია ძველ ქართულ სიტყვასთან - ზაკვა, რომელიც გვხვდება სიტყვაში მზაკვარი. საჭიროა მისი შენარჩუნება. რაც შეეხება ზაკ ფორმას, იგი არაქართული გარემოს გამოა მიღებული, მოკვეცილია ბოლო თანხმოვანი. მსგავსი რამ ხდება ჯავახეთის ტოპონომიაში. მაგ. დილისკარმა მოგვცა დილისკა.

სოფელი **თირკნა** დღეს ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებაში იქცა ტრკნა-დ, რაც გარკვეული გადააზრების შედეგია. ზეპირ მეტყველებაში იგი ისმის, როგორც ტირკნა, ტ-სა და რ-ს შორის იგულისხმება ბგერათგასაყარი და კომფორტულია წარმოსათქმელად ადგილობრივთათვის, როგორც არმენიზებული ვარიანტი.

ფილიპოვკა. გაურკვეველია ვის სახელს უკავშირდება საბჭოთა პერიოდში შექმნილი ეს სახელი. ამ ტიპის საბჭოთა მიძღვნილი სახელები უნდა შეიცვალოს. შესარჩევია მუნიციპალიტეტებთან ერთად მისაღები და ენობრივად გასაგები ფორმები.

კოჩიო. არის დამახინჯებული, არმენიზებული ფორმა ქართული კაჭიოსი. კაჭიოა ვახუშტი ბატონიშვილთან. ასევეა ძველ საბუთებში და დავთრებში (ს. ჯიქია). შესაძლებელია ამ ფორმის დამკვიდრება.

სირკვა გარკვეული ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული სირქვაა, რომლის გამჭირვალე ეტიმოლოგია უკავშირდება ჩიტის ქვას. ასეა იგი დაფიქსირებული ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ამიტომ უნდა დარჩეს მისი ქართული სახელი სირქვა.

კიროვაკანი. კომუნისტების დროს გადარქმეული სახელია. მას ერქვა ზრესკი. მოსახლეობა ამ სოფელთან მდებარე ტბას დღესაც ზრესკის ტბას

უწოდებს. საჭიროა დაუბრუნდეს სოფელს ძველი სახელი.

მიასნიკიანი კომუნისტური პროდუქტია. საჭიროა მისი თუნდაც სომეხი მწერლის გვართ შეიცვალოს და ეწოდოს თუმანიანი.

დავნია ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით არის დაბნია და უნდა უკავშირდებოდეს ეტიმოლოგიურად დაბას - დასახლებულ ადგილს (მდრ. საწინააღმდეგო შინაარსის სიტყვა - უდაბნო). გარდა იმისა, რომ დაბა გვხვდება კომპოზიციის შემადგენელ კომპონენტად - ახალდაბა, გვაქვს დაბა ადგილას სახელად ბორჯომის მუნიციპალიტეტში. დაბნია შეიძლება მომდინარეობდეს სიტყვის მრავლობითი რიცხვის ფორმიდან - დაბანი - საჭიროა დაკანონდეს დაბნია.

ჭვინთის ნაცვლად უნდა იყოს ძველი და სწორი ფორმა ჭვინტა, როგორც მას უწოდებს ვახუშტი.

ქდანოვი. კომუნისტური პროდუქტია, უნდა შეიცვალოს.

სამება დაერქვა კომუნისტურ კალინინოს, ამიტომ საჭიროა, მოიხსნას ფრჩხილებში მიწერილი - (კალინინო). მას დუხობორების ჩამოსახლების დროს თავდაპირველად ერქვა ტროიცკოე.

უჩმანა არის არმენიზებული უჯმანა (ს. ჯიქია). შეიძლება იგულისხმება გარკვეული გადააზრებაც. უნდა აღდგეს უჯმანა.

ოროჯალარი არის დამახინჯებული ფორმა სახელისა- ორჯა. თანხმობენ შორის ჯერ სომხური ბგერათგასაყრის, ხოლო შემდეგ ხმოვნის გაჩენის შემდეგ დაერთო -ლარ თურქული მრავლობითობის სუფიქსი, რადგან იყო რამდენიმე ორჯა. თვითონ ქართული სახელი უნდა მოდიოდეს ორჯვარისაგან (გვხვდება დოკუმენტებში ორჯუა ფორმაც), ამიტომ უნდა დაკანონდეს სახელად ორჯა.

სათხე სადავო ფორმად აქცია ყოფილმა სკოლის დირექტორმა სანოსიანმა. სათხა არმენიზებული ფორმაა გამჭვირვალე ქართული სიტყვისა. ერთგვარი გაშინაარსიანების გარდა (სახელი დაუკავშირდა არარსებულ სადალა საკუთარ სახელს), გარკვეული როლი ითამაშა ფონეტიკურმა ცვლილებებმაც, მდრ. ახალციხე-სომხ. ახისხა. აუცილებლად უნდა დარჩეს მხოლოდ სათხე.

როდიონოკა უწოდეს დუხობურების ჩამოსახლების შემდეგ სოფ. თავფარავანს, რომელიც აღდგა ამ სოფლიდან დუხობორების წასვლის შემდეგ. წარმოდგენილ სიაში შენიშვნის სახით მიწერილი ფორმა ფარავანი(34) არ არის სწორი. ამ სოფლის სწორი და ერთადერთი სახელია თავფარავანი. ასე ეწოდა სოფელს თავისი მდგომარეობისა და თავის დროზე სიდიდის გამო. სოფელში ჩვენამდე მოაღწია ორმა ქართულმა ეკლესიამ და ქარვასლის დუღაბმა. აქ შეიქმნა ცნობილი ხალხური ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“. ჯერ სოფლის სახელი შეიქმნა როგორც ფარავნის გარშემო მდებარე სოფელთა შორის გამორჩეული, თავი და იწოდა თავფარავნად, ხოლო შემდეგ მისი სახელი დაუბრუნდა ტბას - თავფარავნის

ტბა და დაერქვა მდინარეს თავფარავნის წყალი. ამიტომ აუცილებლად უნდა დარჩეს (ეწოდოს) თავფარავანი.

ტამბოვკა სოფელს უწოდეს ვოლგისპირეთის ტამბოვკიდან გადმოსახლებულმა დუხობორებმა, ხოლო დუხობორების წასვლის შემდეგ იქ გადასახლებულმა სომხებმა უწოდეს ახალი ხულგუმო. ვფიქრობ, უმჯობესია დარჩეს ტამბოვკა, რადგან იგი ტოპონომიური მეტონიმის საინტერესო ფორმაა, როგორც გადმოტანილი სახელი და მასში ისტორიული შინაარსი დევს.

2019 წელი

სათხის ტაძრის ეპიგრაფიკა, როგორც დამოკიდებულების სიმბოლო

სოფლის სახელი გამჭირვალეა, ნაწარმოებია სა - ე აფიქსებით და უკავშირდება ფაუნას. ამოსავალია ფუძე **თხა**. თხის შესახებ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი გვაუწყებს: „ჩლიქოსანი ცხოველი ღრურქიანთა ოჯახისა; აქვს უხეში ფაცახი, რომლის ქვეშ ნაზი თიფთიკია. არის გარეული (ჯიხვი, გარეთხა) და შინური. შინაურებს აშენებენ რძის, ხორცის, ტყავისა და მატყლისათვის“ (ქეგელი 1955, 506.) ეს არის საერთო ქართველური სიტყვა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 165). თხა არის ქართულ ენაში ერთ-ერთი უძველესი ლექსიკური ერთეული და დადასტურებულია ბიბლიურ ტექსტებში (ი. აბულაძე 1973, 185). როგორც სოფლის სახელი სათხე, ამგვარადვე არის ნაწარმოები ბევრი ადგილის სახელი საქართველოში (დეტალურად იხ. ბერიძე 2010, 44-56): **სა-არჩვ-ე, სა-ფუტკრ-ე, სა-ქათმ-ე, სა-ქორ-ე, სა-გუგულ-ე, სა-ირმ-ე, სა-იხვ-ე, სა-მტრედ-ე, სა-სირ-ე, სა-წურბლ-ე, სა-ლორ-ე, სა-კალმახ-ე, სა-კვერნ-ე, სა-შაშვ-ე, სა-ცხენ-ე, სა-წიწილ-ე, სა-ჭი-ე, სა-ხარ-ე** და სხვა (ბერიძე 2010, 48.) ისეთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, როგორც არის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ და რომლის დაწერის თარიღიც IX საუკუნეს არ გადმოსცდება, სამცხის ერთ-ერთი ტბის სახელი სწორედ სა-ე აფიქსებით არის ნაწარმოები, რასაც თხზულების ავტორი ბასილ ზარზმელი ხსნის იმით, რომ ტბას ეს სახელი ეწოდა **თახვთა** სიმრავლის გამო: **„ესე არს ტბაჲ მღრვე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათაჲუე, და არს ამასა შინა სიმრავლე თაჲუთაჲ“** (ზარზმელი 1960, 108). თახვი - „არს ნადირი კასპორიოს - თაჲჲ ჴმელისაჲ (აბულაძე 1973, 179). არსებობს სოფლის სახელის ფონეტიკური ვარიანტები, რომელიც დამოწმებული

აქვთ სომეხ ტოპონიმისტებს: **სათხა, სატხე, სატხა, საზხა, სადხა, სათლა** (ბერიძე 2010, 48). ამათგან ადგილობრივ მოსახლეობაში განსაკუთრებით პოპულარულია სათხა ვარიანტი, რომელიც არ არის გამორიცხული, რომ თურქული ენის გავლენით არის მიღებული, ისევე როგორც თურქებმა -**ე** ხმოვანზე დაბოლოებული ცნობილი ქართული სახელი **ახალციხე** აქციეს **ახსხად, ახელცხად** (ჯიქია 1958, 42). მით უმეტეს, რომ სათხეში დღეისათვის ცხოვრობენ 1829 წელს **არზრუმიდან**, კერძოდ, როგორც სომეხი ტოპონიმისტები მიუთითებენ, სოფლებიდან: **სოგიუთლიდან, წალკიდან** და **ჯენიდან** ჩამოსახლებულნი. მათ თან ჩამოიყოლეს თურქული ლექსიკა და თურქული ენის განსაკუთრებული გავლენა.

სოფლის სახელთან დაკავშირებით ერთგვარი კითხვის ნიშანი ჩნდება იმის გამო, რომ იგი მოხსენიებული არ არის ამ მხარისათვის ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორიცაა ოსმალეთის მიერ 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, მაშინ, როდესაც მის გარშემო არსებული სოფლები აღწერილია დეტალურად. ეს არ ნიშნავს, რომ იმ პერიოდში სოფელი არ არსებობდა, რომ იგი შეიქმნა 1829 წელს სომეხთა ჩამოსახლების შემდეგ, რადგან იმავე ოსმალთა მიერ შედგენილ „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში“, რომელიც 1694-1732 წლების პერიოდს მოიცავს, აღწერილია ჩვეულებრივ **სათხე**.

გვინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ სათხის ქართული ტაძრის ეპიგრაფიკაზე, რომელიც მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი. გვინდა გავხაზოთ, რომ შემთხვევით არ ვხმარობთ შემასმენელს წარსულ დროში. დღეს სათხის ტაძრის ეპიგრაფიკა მთლიანად წაშლილია.

1979 წელს მაშინდელი ბოგდანოვკის რაიონში ექსპედიციის ანგარიშში ვწერდით: „სოფლის შუაგულში დგას დიდი სომხური ეკლესია, რომელიც მიშენებულია ქართულზე, ისე, რომ ქართულის სამხრეთის კედელი გამოყენებულია სომხურის ჩრდილო კედლად. ქართული დარბაზული ტიპისაა და შემკულია ორნამენტებით. არის წარწერებიც, ძველი დაზიანებულია ძალიან, ჩამონგრეულია თალი, რომელიც გამოიყენეს, ალბათ, სომხურის მშენებლობისას... ქართული ეკლესიის ორნამენტები ჩატანებულია სომხურში“ (ბერიძე 2002, 379).

ქართული ეკლესია XI საუკუნისაა, ხოლო სომხური - XIX საუკუნის. მიუხედავად წარწერათა სიმრავლისა და მათში მოხსენიებული პირებისა, ჩვენ არ ვიცით, ვისი სახელობისა იყო ქართული ეკლესია, ხოლო სომხური ეკლესია, როგორც ეკლესიის მომვლელები და პატრონები ამბობენ, არის წმ. ნერსესის სახელობისა. როდესაც გვერდიგვერდ არის აშენებული ორი ეკლესია და თითოეული მათგანი სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა ხალხის კუთვნილებაა, ჩვენი აზრით, ეს გარკვეულ სიმდიდრედ უნდა აღიქვას იქ მცხოვრებმა ყველა ადამიანმა. სამწუხაროდ, ასეთი

დამოკიდებულება არ არის სათხეში. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ რა მნიშვნელობისა იყო XI საუკუნის ძეგლზე არსებული წარწერები და როგორ მეთოდურად, თანდათან მოხდა მათი განადგურება, მოვიყვანოთ ამონარიდს პროფ. ვალერი სილოგავას შრომიდან: „პირველი ცნობები სათხის სიძველეებისა და მათ შორის ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერების შესახებ 1898 წელს გამოაქვეყნა იმ დროისთვის ცნობილმა მკვლევარმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ, ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორმა ივანე როსტომაშვილმა. მისი ცნობით ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე იკითხებოდა ორი წარწერა: **„ქრისტე, შეიწყალე იერემია“** და **„ქრისტე, შეიწყალე ხარაისძე“**. დასავლეთ კედელზე ყოფილა წარწერები: **„ქრისტე, შეიწყალე გიორგი“** და **„ქრისტე, შეიწყალე ძე ბემქენისა...“** მასვე მოჰყავს ეკლესიის სამხრეთის კედლის ორი წარწერა, რომელთაგან ერთში კითხულობს - **„ქრისტე, შეიწყალე ყოველი“**, მაგრამ, როგორც ეს შემდეგში დააზუსტეს ე. თაყაიშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა, უნდა წავიკითხოთ - **„ქრისტე შეიწყალე იოვანე“**.

რაც შეეხება ეკლესიის სამხრეთის კედლის მეორე წარწერას, იგი განსაკუთრებით ძვირფასი იყო; შეიცავდა მნიშვნელოვან ცნობას და მისი ტექსტი ასე იკითხებოდა: **„ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთა ერისთავი; აღაშენა ესე ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათდა სალოცველად“**. გარდა ამისა, ეკლესიის ასევე სამხრეთის კედლის შიდა მხარეს ი. როსტომაშვილს წაუკითხავს კიდევ ორი წარწერა: **„ქრისტე, შეიწყალე ცხორებად“** და **„ქრისტე, შეიწყალე გიორგი“**.

სამწუხაროდ, სათხის ეკლესიის კედლებზე, **ცხორებას** წარწერის გარდა, ამჟამად არცერთი ზემოდასახელებული წარწერა არ მოიპოვება“ (სილოგავა 2002, 127-128).

სათხის ქართული წარწერების განადგურების პარალელურად, ეკლესიაზე ჩნდება ახალი სომხური წარწერები XX საუკუნეში, რომლის შესახებაც ვწერდით შემდეგს: „გაჩნდა ახალი სომხური წარწერები ქართული ეკლესიის დასავლეთის კედლის თავზე. ასე იკითხება ისინი: **1. მოიგონებდით პოდოსიან ბაგრატს** და **2. მოიგონეთ ბეროიან სარქის**. ტრადიციად მკვიდრდება, სათხეში შესანდობარის თხოვნა ქართული ეკლესიიდან, რადგან ერთი ქვა, რომელიც დაბლა დაუმუშავებიათ, ე.ი. ამოუკვეთიათ საკმაოდ ღრმად და შემდეგ შეუდგამთ კედელზე, უკვე „დაძველებულა“, ხავსი მოსდებია (თუმცა შეიძლება პერანგის ქვაც იყოს), ხოლო მეორე ჯერაც ახალია, ჩაცემენტებისას გადმოღვევითილი ცემენტი ისევ თეთრი ფერისაა“ (ბერიძე 2002, 380). დღეისათვის ორივე ქვა „ორგანულად“ არის შერწყმული კედლებს. დაძველებულა და შესაბამისი ფერიც მიუღია (სურათი 1).



სურათი 1

აუცილებელია, ვისაუბროთ ტაძრის კიდევ ერთ ქართულ წარწერაზე, რომელიც მოგვიანებით აღმოჩნდა. იგი შელესილი იყო და სომხური ტაძრის ჩრდილოეთის კედელს წარმოადგენდა. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შელესილი კედლის ჩამოშლის გამო, გამოჩნდა ქართული ტაძრის წარწერა, რის შესახებაც გვაცნობა ბატონმა გურამ თედორაძემ, ხოლო ვ. სილოგავამ წარწერა ადგილზე შეისწავლა 1990 წელს მამუკა ახალაშვილთან ერთად. წარწერის შესახებ პირველად დაიბეჭდა თსუ ახალციხის ფილიალის გაზეთ „მესხეთში“ სტატია (იხ. სილოგავა 2002, 127-ის შენიშვნა). ქარაგმების გახსნით წარწერა გვამცნობს შემდეგს: **„გიორგი შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. დაიდვეს ორი დღე აღაპი, რომე არცა ზედა შედა სეფისკუერი გამოვიდეს. ბარბარობაჲ და მეორედ მოსლვამ, ამა საღდარსა შიგან მყოფმა ვერავინ დააკლოს წირვამ, ჩუენმა მომავალმან: და ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს: ამენ“** (სილოგავა 2002, 131). როგორც წარწერის გამომცემელი აღნიშნავს, წარწერები XII-XIII საუკუნეებით თარიღდება ძირითადად, ხოლო ეს უკანასკნელი „ოდნავ მომდევნო ხანისაა და ამ ასომთავრული წარწერებისგან განსხვავებით, შესრულებულია ნუსხა-ხუცური დამწერლობით“ (სილოგავა 2000, 131). ვფიქრობთ, აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ წარწერათა ანთროპონიმიკაზე. მასში მოხსენიებული არიან: **ხარაისძე, იერემია, გიორგი, ბეშქენი, იოვანე, ცხორებაი და კიდევ ერთი გიორგი**. თითოეული მათგანი სათხეში მცხოვრები რიგითი ადამიანები არიან, მლოცველები და შენდობას და შეწყალებას სთხოვენ ღმერთს. ცალკე გამოსაყოფია წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ტაძრის მშენებელი ერისთავთ ერისთავი ფარსმანი, იგი მოღვაწეობდა ბაგრატ IV-ის პერიოდში „ჯავახეთში ფარსმან ერისთავთა ერისთავის სახელი, სათხის გარდა კიდევ ორ წარწერაში იხსენიება - ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერასა და მირაშხნის წარწერაში.

ამ უკანასკნელი წარწერის ცნობით, ფარსმანი 1064 წლის ზაფხულში თურქ-სელჯუკთა სულთან ალფ-არსლანის შემოსევისას, ახალქალაქის ციხის გარემოცვის, ალებისა და გადაწვის დროს დაიღუპა“ (სილოგავა 2000, 129). ამგვარად, ტაძრის მშენებლობის შესახებ თითქმის ზუსტი თარიღი გვაქვს წარწერაში მოხსენიებული მისი აღმშენებლის ფარსმან თმოგველის გამო. ეს არის XI საუკუნის პირველი ნახევარი, ხოლო წარწერები მისი პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე XII-XIII საუკუნეებით თარიღდება (ნ. ბერძენიშვილი). ასევე, იმის გამო, რომ სააღაპე წარწერა ასომთავრული წარწერებისაგან განსხვავებით ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული, ტაძრის მშენებლობა და მისი ეპიგრაფიკა საბუთია იმისა, რომ XI-XIV საუკუნეებში აქ ქართული სახელმწიფოა, ქართველები ცხოვრობენ, წირვა-ლოცვა ხდება ქართულ ენაზე და ასე მოვიდა 1829 წლამდე, ვიდრე სოფელში ჩაასახლეს მიგრანტი სომხები.

საუკუნეზე მეტი დრო გავიდა, რაც 1898 წელს პირველად იქნა დაფიქსირებული სათხის წარწერები. ამ მრავალრიცხოვან წარწერათა შორის, დღეისათვის, მხოლოდ სამხრეთის კედლის წარწერაა, რომელიც სრულიად შემთხვევით არის გადარჩენილი. ყველა დანარჩენი მოისპო ადამიანის ხელით. ეს არის, ვფიქრობთ, დამოკიდებულება კულტურისადმი, კერძოდ, ქართული კულტურის და მისი ისტორიის მიმართ. ეს დამოკიდებულება გრძელდება დღესაც, როდესაც ქართული ეკლესიის კედელზე მიშენებული სომხური ეკლესიის აივნის ძელი პირდაპირ ქართული რელიეფის კუთხეში არის შემაგრებული და გაფუჭებულია ძეგლი (სურათი 2).



სურათი 2

ისტორიის და საკუთარი კულტურის მოვლა სოფლის მოსახლეობას ნამდვილად შეუძლია, რასაც ადასტურებს სომხური ეკლესიის

კეთილმოწყობა და პატრონობა. აქვე არის გაკეთებული სარეკლამო დაფა, რომელიც ორივე ეკლესიის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. ეკლესიის ეზოში სულ ახლახან გადმოუტანიათ ქართული სასაფლაოს ძეგლი და ის ეკლესიის წინ დაუდგამთ (სურათი 3).



სურათი 3

ეს დამოკიდებულება კარგად იგრძნობა ამავე სოფლის ტერიტორიაზე, მდინარის პირას აშენებულ მუზეუმშიც. უძველესი ქართული სასაფლაოებიდან ცხენოსნის, მეცხვარის და სხვათა საფლავის მოტანილი ქვებით არის შემკობილი ეზო (სურათი 4).



სურათი 4

სათხის ქართული ეკლესია, სამწუხაროდ, არ არის გამონაკლისი. მაგალითად, ყულალისის ეკლესია ზაგრატ IV-ის წარწერით, რომ ეს ეკლესია აშენებულია 1060 წელს. როგორც წესი, წარწერის ნაწილი არის მახვილი საგნით ამომტვრეული. კიდევ კარგი, რომ ძირითადი ნაწილი გადარჩენილია. ეზოში მიმოფანტული ეკლესიის ქვები გარკვეული საშიშროების წინაშე დგას, რომ ის არ გამოიყენონ სამშენებლოდ ისევე, როგორც „აქვე ამართული ციხე და გოდოლი დაინგრა და სახლები აშენდა“ (ბერიძე 2002, 397) (სურათი 5).



სურათი 5

ქართული საფლავის ქვების მოშლამ და სხვადასხვა ადგილზე გადატანამ შექმნა აზრი, რომ ამ საფლავებში გარკვეული სიმდიდრე იმალება. ქრისტიანულ საფლავებში, განსაკუთრებით ჯავახეთში, მსგავსი რამ გამორიცხულია, მაგრამ ხალხში გაჩენილ აზრს აღარაფერი აჩერებს. ყულალისის ეკლესიის წინ ამოუყირავებიათ საფლავის ქვები ამ ტიპის „სიმდიდრის“ ძებნის დროს (სურათი 6, სურათი 7).



სურათი 6



სურათი 7

ყულალისის ნაეკლესიარზე უკვე ახალი ნაგებობა დაუდგამთ. იქვე ვილაცას გაუწმენდია ციხის სამალავები და აუშენებია სალოცავი, ოღონდ ეს სალოცავი სათხის მსგავსად ქართულ ეკლესიაზე კი არ მიუდგამთ, არამედ ცალკეა აშენებული.

საქართველოში ეკლესიების გარშემო იმარხებოდნენ შეძლებული ადამიანები. ზოგჯერ ტაძრის აშენებისა და სასაფლაოს თარიღი დაახლოებით ემთხვევა კიდეც ერთმანეთს. თურქეთიდან გადმოსახლებული სომეხი მიგრანტები ქართულ ისტორიულ სასაფლაოზე არ იმარხებოდნენ და მათ თავიანთი სასაფლაო ჰქონდათ. ისევე, როგორც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ჩამოსახლებულ დუხობორ სექტანტებს. ამ მხრივ უცნაურად ჩანს სოფელ მამწვარის ქართული ეკლესიის გარშემო არსებული სასაფლაო, რომელზეც XX საუკუნეში ჩამოსახლებულებიც დაუკრძალავთ. ამის მაჩვენებელია რამდენიმე რკინის ღობე ე.წ. „აგრადა“, რომლითაც საკუთარი მიცვალებულის საფლავი მოუნიშნავთ. აქ ისე ხშირი იყო ძველი ქართული საფლავები, რომ გამორიცხული არ არის, მათ ძვლებზე დაეკრძალათ თავიანთი მიცვალებულები. განსაკუთრებით კარგად ჩანს მიგრანტთა დამოკიდებულება ისტორიული ქართული კულტურის მიმართ, ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზე ლითონის იარაღით წაშლილი ქართული ასომთავრული წარწერით (სურათი 8).




სურათი 8

აუცილებლად უნდა ითქვას სოფელ თავფარავნის (როდიონოვკის) ერთ-ერთი ტაძრის შესახებ, რომლის წინაც დგას ისტორიის აღმნიშვნელი ტრაფარეტი. ტაძარს ეტყობა კვალი იმ წარწერებისა, რომლებმაც სწორედ განადგურების გამო ვერ მოაღწიეს ჩვენამდე. წაშლილია წარწერა სამხრეთის კედელზე, რამდენიმე ასოლაა შემორჩენილი აღმოსავლეთის კედელზე, განადგურებულია ჩრდილოეთის კედლის წარწერა, რომელსაც ფრაგმენტები ეტყობა (სურათი 9, სურათი 10, სურათი 11, სურათი 12).



სურათი 9



სურათი 10



სურათი 11



სურათი 12

საკალალო მდგომარეობაშია მხედრულწარწერიანი ტაძარი (სურათი 13):



სურათი 13

საღამოს ტბის პირას მცხოვრებნი მთელი ისტორიის მანძილზე თავს ირჩენდნენ თევზით. ისინი იყვნენ მეთევზეები. როგორც ჩანს, ტბის ნაპირის სოფელი საღამო დიდი სოფელი იყო, რადგან დღევანდლამდე მოაღწია სამმა ეკლესიამ, რომელიც მდებარეობს ამ სოფელში. თუ ჩვენ ორიენტაციას ავიღებთ განძანის მხრიდან ნინოწმინდის მიმართულებით, პირველი ეკლესია არის X საუკუნის, რომელიც დღეისათვის აღდგენილია და იქ დედათა მონასტერია. ამავე პერიოდისაა მეორე ეკლესია, ხოლო XIII-XIV საუკუნეებისაა მესამე ეკლესია, რომელიც შემადლებულ ადგილას მდებარეობს. ამავე სოფლიდან არის წაღებული სტელა, რომელიც დღეს შენახულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ცისკარიშვილი 1959, 67). სტელა და წარწერა ეკუთვნის XIII საუკუნეს. წარწერა აქვს შუა ეკლესიასაც. ქართული კულტურისადმი დამოკიდებულების გამოხატულების გარკვეული ფორმას, რაც მეორე, შუა ეკლესიის გარშემო ხდება. მასზე მიჯრით არის სამეურნეო დანიშნულების იარაღები მიყრილი, თივა და რაც მთავარია, ის უკვე „საკუთრებად“ არის ქცეული მოქალაქისა. იქვე უზბათ ძაღლი, რომელიც მიმსვლელს არ აძლევს საშუალებას შეგლთან მიახლოებისა. ასე დაფიქსირდა შუა ეკლესიის მდგომარეობა ჩვენი ექსპედიციის დროს.

2000 წელს ჯავახეთის გზამკვლევის შემდგენლებმა, შაორის ციხიდან ვიდრე განძანში შევიდოდნენ, ნახეს განძანის „სიახლოვეს, ჩრდილო-დასავლეთით, მეგალითური კულტურის უძველესი ძეგლი ე.წ ვეშაპი: ვერტიკალურად დაყენებული, დაახლ. ორი მეტრის სიმაღლის

მონოლითი, თევზისა და ფრინველის გამოსახულებით. უძველესი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით იგი წყლისა და ნაყოფიერების (ფალოსის) კულტს უკავშირდება“ (გზამკვლევი 2000, 19). ჩვენმა ექსპედიციამ ეს ძეგლი ვეღარ იხილა. ეს მონოლითური ძეგლი იმდენად მასიურია და ისე ღრმად არის მიწაში ჩასული, რომ მისი ამოღება და გაქრობა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, შემორჩენილია მისი ფოტო (სურათი 14).



სურათი 14

აღმოჩნდა, რომ მის ადგილზე აშენდა ახალი სომხური ეკლესია, რომლის ერთ კედელშიც ჩაატანეს ქვის ეს უძველესი ქანდაკება (სურათი 15):



სურათი 15

წარმართული ძეგლის ორიგინალური „გაცოცხლება“ ხდება. მასზე ქრისტიანმა მორწმუნეებმა დაიწყეს ლოცვა და ჯვარიც კი ამოტვიფრეს (სურათი 16).



სურათი 16

ეს არის კიდევ ერთი მიდგომა და მისაკუთრება უძველესი კულტურის ძეგლისა, რომელმაც დღევანდლამდე მოაღწია, თუმცა ფორმა ნებისმიერ შემთხვევაში მიუღებელია, რადგან უხერხულია ფალოსის კულტზე ქრისტიანული სიმბოლიკის გამოსახვა და მასზე ლოცვა.

ცალკე გამოსაყოფია ტრაფარეტების საკითხი. დღეს საგზაო ნიშნებისა და ტრაფარეტების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სამყაროში ცხოვრება. თავი რომ დავანებოთ ფაქტს, როდესაც სახელობითი ბრუნვის ნიშანს შეგნებულად მოშლიან, გადახაზავენ ხოლმე სოფლის სახელის აღნიშვნისას და ბევრი სხვა ამგვარი საქმიანობის მიუხედავად, განსაკუთრებით თვალშისაცემია ტრაფარეტების პრობლემა ზოგადად. სამწუხაროდ, სახელმწიფოს ეს საქმე ბოლომდე მოგვარებული არ აქვს. სოფელთა აღმნიშვნელი ტრაფარეტები, როგორც წესი, მხოლოდ ცენტრალური გზის პირას თუ გვხვდება, ხოლო როდესაც მივყვებით გზას, რომელ სოფელში შევდივართ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს სოფლები თანმიმდევრულად მდებარეობს ან გადაბმულია ერთმანეთზე, ამის გარკვევა შეუძლებელია, რადგან არ დგას შესაბამისი ტრაფარეტი. ასეთ დროს თითქოს მისასალმებელი უნდა იყოს, თუ სოფლის რომელიმე შეძლებული მცხოვრები გააკეთებს და დადგამს სოფლის აღმნიშვნელ

ტრაფარეტს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მიზანი ცოტა სხვაგვარია. ამ საქმის გამკეთებელი თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს და თავისებურად აშინაარსიანებს სოფლის სახელწოდებას. არის შემთხვევა, როდესაც ქართულ ენაზე არც კი გვაქვს წარწერები ტრაფარეტზე. ასეა სოფელ პატარა არაკალის (არაქალის) შესასვლელში.

დამოკიდებულების გარკვეული სახეა **დიდი არაკალის** შემთხვევაც, რომლის შესახებაც ჩვენი ექსპედიციის წევრი პროფესორი ინგა ლუტიძე შემდეგ ჩანაწერს აკეთებს: „ამ სოფლის ძველ ქართულ ეკლესიას ორი კედელია დარჩენია, ისიც მთლიანად შემოძარცვული, აქვე არის დიდი ქვაჯვარი წარწერით“ - ამ სიტყვების ავტორი XX საუკუნის 30-იან წლებში მოგზაურობდა ჯავახეთში და დააფიქსირა აღნიშნული ფაქტი. დღეისათვის აღარც ქართული ეკლესიაა და აღარც ქვაჯვარი. ქართულ ეკლესიაზე დააშენეს სურფ სტეფანოსის სახელობის სომხური ეკლესია, რომელშიც ძველი ქართული ეკლესიის ქვებიც არის ჩატანებული“.

მიგრანტთა მიერ ძველ ნაეკლესიარებზე ახალ ეკლესიათა მშენებლობა ან „სიზმრის ნახვის საფუძველზე“ ქართული ეკლესიის გადაკეთება, „პატრონობა“ ჩვეულებრივი ამბავია.

სოფლის სახელის თავისებური ფონეტიკური გადააზრების შედეგია ტრაფარეტი სოფელ ეშტიის შესასვლელში. ისიც სათქმელია, რომ საგზაო ნიშნებს თავისი ფორმა, ფერი და გამოსახულების სხვა სიმბოლიკა გააჩნია, ხოლო პატარა არაკალი, რომელიც არაგიალად არის ქცეული, სრულ შეუსაბამობაშია სოფლის ისტორიულ და კანონიკურსახელთან. ასევე დიდი წითელი ტრაფარეტი მიგვანიშნებს, რომ **ეშტიის** სახელი ყოფილა **ჰეშტია**. როდესაც ამის შესახებ სოფლის მცხოვრებთ ვუთხარით, მათ მოიმიზეზეს და ვფიქრობთ, სამართლიანად, რომ სახელმწიფოსგან ელოდებოდნენ ტრაფარეტის დადგმას და რადგან ეს არ მოხდა, მათ როგორც შეძლეს, როგორც სურვილი ჰქონდათ, ისე გააკეთეს (სურათი 17).



სურათი 17

**სამცხე - საათაბაგო (ახალციხის საფაშო)
თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში
(მოკლე მიმოხილვა)**

თურქეთში საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ პირველი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რასაც მოჰყვა სათანადო გაგრძელება და დღეს საქართველოს მიმართულებით კვლევები უფრო ინტენსიური გახდა.

თურქულ ისტორიოგრაფიაში სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან დაკავშირებით დამუშავდა წყაროები, დაიწერა გამოკვლევები, ცალკეული წერილები და მონოგრაფიები, რომლებშიც ზოგიერთი საკითხი ტენდენციურად, მაგრამ მაინც საინტერესოდაა გაშუქებული. თურქი ისტორიკოსების მიერ გამოყენებული მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში უცნობი, ან თითქმის უცნობი ფაქტების გამოვლენის საშუალებას იძლევა. ცალკე აღსანიშნავია ოსმალეთის სახელმწიფო აპარატის მიერ წარმოებული ფისკალური დოკუმენტები (აღწერის დავთრები). მათი გამოვლენა, ამოკითხვა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მდგომარეობის და ონომასტიკონის შესწავლის თვალსაზრისით ფასდაუდებელი მნიშვნელობისაა.

ბუნებრივია, ერთ სტატიაში შეუძლებელია განხილულ იქნას ყველა ის მონოგრაფია თუ ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ეხება სამცხე-საათაბაგოს ისტორიას. ამდენად, სამცხე-საათაბაგოს ისტორიის თვალსაზრისით წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია თურქი ავტორის ფაჰრეთინ კირზიოდლუს ორი მონოგრაფიის, ქართველი ავტორებიდან ნოდარ შენგელიას მიერ გამოცემული „მუჰიმე დავთრები საქართველოს სამეფო-სამთავროების შესახებ (XVI-XVIII სს)“ და „ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ საქართველოს ისტორიისათვის (XVI-XVIII სს)“. აღსანიშნავია ისიც, რომ თურქეთში კირზიოდლუს მონოგრაფიები გარკვეულწილად საფუძვლად დაედო ავტორთა ერთი ჯგუფის კვლევებს საქართველოს ისტორიის მიმართულებით. სტატიაში მრავლად არის ასახული და ზოგ შემთხვევაში განმარტებული სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან დაკავშირებულ პიროვნებათა და ადგილის სახელები. უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების თურქ ავტორებისთვის, ასევე აღმწერთათვის რთული იყო არაბული გრაფიკის საშუალებით სწორად გადმოცემა მათთვის უცხო ჟღერადობის ქართული ადგილის თუ პიროვნებათა

სახელები, რამაც თანამედროვე თურქავტორებთან გარკვეული გაუგებრობა და არასწორი ინტერპრეტაცია გამოიწვია.

სამცხე-საათაბაგო (ახალციხის საფაშო) თანამედროვე თურქულ საისტორიო ლიტერატურაში

თურქეთში საქართველოს ისტორიის მონოგრაფიულად შესწავლას საფუძველი პროფესორმა ფაჰრედდინ კირზიოღლუმ ჩაუყარა. ამ მხრივ საინტერესოა მისი რამდენიმე ნაშრომი. ერთ-ერთი „ყივჩალები მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზში“,¹ საინტერესოა კავკასიაში ყივჩაღთა ისტორიის კვლევის თვალსაზრისით. კირზიოღლუს საკუთარი მიდგომები და ხედვა აქვს აღნიშნულ საკითხის მიმართ, განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან დაკავშირებით. იგი მიიჩნევს, რომ ყივჩაღებმა სათავე დაუდეს „სამცხე-საათაბაგოს ანუ ათაბაგთა სახელმწიფოს“. წინამდებარე მონოგრაფიაში ეს თემა მას ცალკე თავად აქვს გამოყოფილი (Kırzioğlu 1992, 105-162). აღნიშნულ თავს წამმდვარებული აქვს ამონარიდი ცნობილი თურქი ისტორიკოსების ზეჟი ველიდი თოგანის² და აქდეს ნიმეთ კურატის³ შრომებიდან. თოგანის მიხედვით, აბალა ყანის დროს დაიწყო ახალციხის მხარეში გააქტიურებული ქრისტიანი თურქი ათაბაგების და ამ ყივჩაღების გამუსლიმება. ხოლო კურატის მიხედვით, საქართველოში მოსულ ყუმანთაგან დიდი ნაწილი უკან არ დაბრუნდა, იქ დარჩა და ვაკე ადგილებზე დასახლდა. აღმოსავლეთ ანატოლიაში, ჩილდირის ტბის⁴ გარშემო მცხოვრები ყივჩაღები სწორედ მათი შთამომავლები არიან (Kırzioğlu 1992, 105-152). კირზიოღლუ ვრცლად განიხილავს დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლების ისტორიას. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი იყენებს ქართულ საისტორიო ლიტერატურას და სწორად მიუთითებს, რომ ყივჩაღთა ჩამოსახლება 1118 წლიდან დაიწყო. აქვე აღნიშნავს, რომ ყივჩაღებმა სელჩუკებისგან გათავისუფლებულ ადგილებზე ჩასახლება დაიწყეს (Kırzioğlu 1992, 107), თუმცა აღნიშნული მოვლენის დასადასტურებლად მას არავითარი წყარო არ აქვს მითითებული. უთითებს მხოლოდ ზემოთხსენებულ აქდეს ნიმეთ კურატის ნაშრომის იმავე შინაარსის ამონარიდს და ფრჩხილებში აქვს ჩასმული საკუთარი განმარტება, რომ ყივჩაღები ჩასახლებულ იქნენ ანისისა და არზრუმის საემიროებისგან წართმეულ მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზში. აქვე აღნიშნავს, რომ, მართალია, კიევის დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახის სიკვდილის

1 M. F. Kırzioğlu, Yukarı-Kür ve Çoruk Boylarında Kıpçaklar, İlk Kıpçaklar (M.Ö. VIII-M.S. VI yy) ve Son Kıpçaklar (118, 1195) ile Ortodoks Kıpçak Atabekler Hükümeti (1267-1578), (Ahıska/Çıldır Eyaleti Tarihinden), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1992.

2 A. Zeki Velidi Togan, Umumi Türk Tarihine Giriş, İstanbul, 1946, I. გვ. 258.

3 Akdes Nimet Kurat, İdil Boyu ve Karadeniz Kuzeyindeki Türk Kavimleri ve Devletleri, Ankara 1972, გვ. 84.

4 თურქულ ისტორიოგრაფიაში ჩილდირის ტბად იწოდება. ტექსტში, შემდგომ, მოხსენიებულ იქნება ქართული სახელწოდებით - ჩრდილის ტბა.

შემდეგ ათრაქა შარაღანის ძე უკან, თავის სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ 1118 წელს ჩამოსახლებულ ყივჩაღთა დიდი ნაწილი საქართველოში დარჩა და სწორედ ზემოაღნიშნულ მხარეებში ჩასახლდა (Kirzioğlu 1992, 112). „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანიდან კირზიოღლუს ვრცლად აქვს დამოწმებული დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაღთა ჩამოსახლების მონაკვეთი. მას ცალკე მოჰყავს ციტატა საქართველოში მათი დასახლების შესახებ: „ყივჩაღთა მოსვლის შემდეგ, ისინი ქალეპითურთ (ოჯახებითურთ) მათ მიერ მოწონებულ ადგილებზე დაასახლეს; და მათთან ერთად 40 000 (ცხენოსანი) მეომარი ჩამოიყვანა“. აქვე ყივჩაღთა გაქრისტიანების ფაქტიც მოჰყავს. ასევე აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, ყივჩაღთა ჩამოსახლება შემდეგ წელსაც გაგრძელდა. მისივე ანგარიშით, 250-300 ათასი მოსახლე და 40 ათასი ყივჩაღი მეომარი (Kirzioğlu 1992, 113-115)⁵. კირზიოღლუ ასევე იმოწმებს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს დავითის მიერ სელჩუკთა წინააღმდეგ გადახდილი ომების და დიდგორის ველზე სელჩუკთა დამარცხების შესახებ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტორი ხშირად უსვამს ხაზს დავითის წარმატებებში ყივჩაღთა მიერ შეტანილ წვლილს. იგი ამბობს აღწერისას, ყოველგვარი წყაროს მითითების გარეშე, ყივჩაღთა ჩასახლებაზე მიუთითებს. მაგ: „1124 წელს ყივჩაღების მიერ განხორციელებული ყველაზე დიდ დაპყრობებს წარმოადგენს მათი მტკვრის ზედა წელსა და ჭოროხის გასწვრივ დასახლების პერიოდი“; ასევე აღნიშნავს, რომ „1124 წელს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ჯავახეთ-ტაოს სელჩუკთაგან გათავისუფლების შემდეგ დავითის ჯარი უკან, შინ, დაბრუნდა, ხოლო ყივჩაღებმა ჩასახლება დაიწყეს ჯავახეთიდან სპერს შორის გათავისუფლებულ ტერიტორიებზე“ (Kirzioğlu 1992, 119). ასევე დავითის 1124 წლის შირვანის ლაშქრობის დროს, ამავე წლის აპრილში შაბურანის დალაშქრისას, დავითის მიერ ქალაქ შაბურანში ყივჩაღთა ჩასახლებაზეა საუბარი, (Kirzioğlu 1992, 120). ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით 1118-1124 წლების შუალედში ყივჩაღები დავითს რამდენჯერმე აუჯანყდნენ და მოკვლაც კი დაუპირეს, თუმცა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში აჯანყების მიზეზებზე არაფერია ნათქვამიო. კირზიოღლუ ვარაუდობს, რომ აღნიშნულის მიზეზი მათი განსახლების საკითხი უნდა ყოფილიყო, რადგან „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში დავითის შვილის, დემეტრეს

5 ამონარიდი ქართლის ცხოვრებიდან ყივჩაღთა ჩამოსახლების შესახებ: „ხოლო ყივჩაღნი დააყენნა ადგილთა სამათოდ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმეოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კულად მონანი, რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთ ათას კაც, ყოველნი ქრისტეანე-ქმნილნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმკნითა; და თვთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტეანე იქმნებოდეს დღითი-დღე და სიმრავლე რიცხვსა მძლე შეეძინებოდა ქრისტესა (ქართლის ცხოვრება, აკად. როინ მეტრეველის რედაქციით, გამომც. „მერიდიანი“ „არტანუჯი“, თბილისი, 2008, გვ. 320)

გამეფების წელთან დაკავშირებით ნათქვამია: „დიდმა მეფე დავითმა, როდესაც თბილისი აიღო(და გადაწვა), შემოიერთა ჰერეთი და კახეთი, ამ დროს მოსახლეობა აღარსად იყო (თურქმანები წასულიყვნენ), ჰერეთის, სომხეთის, ტაშირის, ჯავახეთის, ქვემო არტაანის (დღევანდელი არტაანი და ხანაკი) და არტანის (კოლას) ციხეები და ქალაქები გაპარტახებული იყო (აქაურობა და) ტაოს (ჭოროხის აუზი) ადგილები დემეტრეს მეფობის დროს ხელახლა იქნა დასახლებული“ (Kirzioğlu 1992, 121).

კირზიოღლუ ძველ და ახალ ყივჩაღთა შესახებ საუბრისას იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეულ ფრანგულ თარგმანს: აღნიშნავს, რომ დავითის შემდეგ საქართველოში ყივჩაღთა მეორე ნაკადი თამარის მეფობის დროს იქნა ჩამოსახლებული 1195 წელს, რომელთაც ახალი ყივჩაღები ეწოდათ. იგი კვლავ რაიმე ზუსტი წყაროს მითითების გარეშე აცხადებს, რომ ძველი ყივჩაღნი ჩასახლებულ იქნენ მტკვრის ზედა წელში - ჯავახეთში, ახალციხეში, არტაანში, კოლასა და ჭოროხის აუზში (ბაიბურთისა და სპერის გამოკლებით). ხოლო ახალი ყივჩაღნი 1177 წელს ბაგრატიონთა მიერ ორბელიანთა გვარის ამოწყვეტის შემდეგ მდინარე ხრამსა და მტკვრის შუა წელში იქნენ ჩასახლებულნი (Kirzioğlu 1992, 122).

ავტორს ახალი ყივჩაღების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ვრცელ მსჯელობას გვთავაზობს (Kirzioğlu 1992, 122-162). იგი კვლავ იმეორებს დავითის წინააღმდეგ ყივჩაღთა აჯანყებების თემას და მიზეზად დავითის მიერ მათი ჩამოსახლების შემდეგ სელჩუკთაგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე ჩასახლებასთან დაკავშირებით მიცემული სიტყვის შეუსრულებლობაზე მიუთითებს. ასევე აღნიშნავს, რომ 1125 წელს დემეტრეს გამეფებისას ყივჩაღები ჩასახლდნენ მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელში სელჩუკთაგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე, რაც მათ გაწეული სამსახური გამო დაიმსახურეს (Kirzioğlu 1992, 123).

ყივჩაღთა საკითხს, რომელიც უშუალოდ სამცხე-საათაბაგოს შეეხება, კირზიოღლუ უბრუნდება მაშინ, როდესაც თამარ მეფის დაქორწინების საკითხზე საუბრობს. იგი აღნიშნავს, რომ საქმრო კანდიდატებს შორის იყვნენ კლარჯეთის და შავშეთის მთავარი, ყივჩაღი გუზანი (კოზანი) და ახალციხის მხარის სარდალი (შემდეგ მტკვრის ზემო წელისა და ჭოროხის აუზისყივჩაღთაბაგებისწინაპარი)ბოცო (Kirzioğlu 1992, 132). აღსანიშნავია ისიც, რომ კირზიოღლუმ იცის მესხებისა და მესხეთის შესახებ, ნაშრომის რამდენიმე ადგილას აღნიშნული სახელები გვხვდება. მაგ: 1195 წელს აგარებში თამარის და დავით სოსლანის მხრიდან შირვანშაჰისა და რანის ემირის მიღებისას საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა შორის მეშვიდე რიგში იგი ასახელებს მესხებსაც (ახალციხის, აწყურის, ხერთვისის მხარის მცხოვრებნი), ხოლო მე-2 და მე-3 რიგში ასახელებს ახალ და ძველ ყივჩაღებს. მართალია, ავტორს აღნიშნული აზრისთვის ბრწყალები აქვს გამოყენებული, მაგრამ არ აქვს წყარო მითითებული

(Kırzioğlu 1992, 134). იგი შალვა ახალციხელსაც ყოვალად ნათლავს (Kırzioğlu 1992, 135,139). შესაბამისად, შემდეგი მოვლენების აღწერისას, მაგ. ჯალალედინ ხორეზშაჰის თბილისზე ლაშქრობის დროს, რუსუდანის მიერ თბილისის მცველებად გამწესებულ მემნა და ბოცო ჯაყელებსაც ყოვალდებს უწოდებს (Kırzioğlu 1992, 145).

ავტორი ერთ ქვეთავს უთმობს სამცხე-საათაბაგოს თემას, რომელსაც ჰქვია „ძველი ყოვალდები“ მართლმადიდებელ „ათაბაგთა ხელისუფლება“ (1267-1578). ქვეთავი იწყება 1221 წლის გაგის ველზე გამართული ბრძოლის ეპიზოდის გახსენებით, სადაც ქართული ლაშქრის შემადგენლობაში მებრძოლ ბექა⁶ ყვარყვარეს ძეს იგი მოიხსენიებს ახალციხე⁷-ფოცხოვ⁸-არტაანის⁹ ყოვალდ ბეგად და აღნიშნავს, რომ იგი ატარებდა თავისი პაპის სახელს, რომელიც თამარის პერიოდის სარდალი იყო. ხოლო მათმა დიდმა პაპამ ახალციხე-არტაანის ბეგმა ბოცო¹⁰ სპასალარმა რეზიდენციად გაიხადა ჯაყის ციხე, ამიტომაც მათ ჯაყელები ეწოდათო. კირზიოღლუს არ გამორჩენია ბოცოს შვილების მემნა/მემნისის და ბოცოს 1225-1226 წლის ზამთარში ხორეზმელთა წინააღმდეგ თბილისის დასაცავად გამართული ბრძოლა. ასევე ყვარყვარე ჯაყელის უმცროსი ვაჟის სარგისის მონღოლებთან ერთად 1243 წლის ქოსედალის ბრძოლაში მონაწილეობა (Kırzioğlu 1992, 145). აღნიშნულ ქვეთავში ავტორი ვრცლად იყენებს ფრანგულად თარგმნილ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ინფორმაციას ჯაყელების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე ქვეთავში მოყვანილი ფაქტები სრულიად „ქართლის ცხოვრებიდან“ არის დამოწმებული. თუმცა, ცნობილია, რომ არც ერთგან ქართლის ცხოვრებაში სამცხის ათაბაგები ყოვალდებად არ მოიხსენიებიან. მაგრამ კირზიოღლუ მიჰყვება თხრობას და სადაც საჭიროდ თვლის, უმატებს სიტყვა **ყოვალდს**. მაგალითად, ყოვალდ ჯაყელთა სამთავრო¹¹. მას ჩამოთვლილი აქვს თემურ ლენგის ლაშქრობების ამსახველ წყაროში დაცული ადგილისა და პიროვნებათა ქართული სახელები. მაგ: აქ-სიქა (კირზიოღლუს მიხედვით ახისხა). ასევე, სხვა ავტორთან ნახსენებია თორთუმის ციხის დროებითი მცველი ვინმე გურჩ ბეგი,¹² რომელიც თავის ორას ქართველთან ერთად აწუხებდა მუსლიმებს და არ იხდიდა ხარკს. კირზიოღლუს სიტყვა ქართველთან ფრჩხილებში (ყოვალდი)¹³ აქვს მიწერილი. თავისთავად ასეთი მიდგომა

6 ფრჩხილებში სახელი ბექა საკუთარი ინტერპრეტაციით აქვს შეცვლილი და უწოდებს ბოქეს (Böke).

7 უწოდებს ახისხას (Ahıska).

8 Posof

9 Ardahan

10 იმის გამო, რომ თურქულში არ არის „ც“ ბგერა, იგი მას ბოჩოდ (Boço) იხსენიებს.

11 Caklı Kıpçak Beğliği (Kırzioğlu, 1992: 151).

12 Gürç-Bek

13 „İkiyüze yakın Gürcü'nün (Kıpçakın) Müslümanları rahatsız edip, haraç vermediği anlatılınca, üzerine kuvvet gönderildi.

გაუმართლებელია, რადგან ეს ქართველები ყივჩაღები რომ ყოფილიყვნენ, მემატინე ამას თავადვე აღნიშნავდა (Kırzioğlu 1992, 153). ასევე იმოწმებს „ქართლის ცხოვრებას“ და აღნიშნავს, რომ ათაბაგმა¹⁴ დაამარცხა რა გიორგი VIII, ამით თბილისზე დამოკიდებულებას თავი დააღწია. აქვე აგრძელებს: „ამგვარად, ყივჩაღ ათაბაგთა ხელისუფლება¹⁵ იყო რა 1347 წლიდან ქართლის ბაგრატიონებთან სულიერად დაკავშირებული და მათი [ბაგრატიონების რ.ყ.] დამხმარე, თეთრბატკნიანთა დახმარებით აღნიშნული დამოკიდებულებისგან სრულიად გათავისუფლდა (Kırzioğlu 1992, 155). ცხადია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ათაბაგთა ყივჩაღობის შესახებ მსგავსი არაფერი წერია. ავტორს „ქართლის ცხოვრებიდანვე“ არ გამოორჩენია აბალა ყაენის მიერ სარგის ჯაყელისა და მისი ვაჟის, ბექას სამცხის მმართველებად მემკვიდრეობის წესით დანიშვნის საკითხი, რომლის თარიღადაც 1267 წელს უთითებს (Kırzioğlu 1992, 150).

უნდა ითქვას, რომ კირზიოღლუ ხშირად აკეთებს აქცენტს პიროვნებათა და ადგილის სახელებზე და ამით მათ ყივჩაღურ (უფრო სწორად თურქულ) ძირებზე მიუთითებს. მაგალითისთვის გამოდგება სადღუნ მანკაბერდელი, რომელსაც იგი ყივჩაღ ბეგს უწოდებს და ფრჩხილებში საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს (Mengü Berdli). ასეთივე მიდგომა აქვს სადღუნის ვაჟთან ყუთლუ ბუღასთან მიმართებით. იგი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ამ პიროვნებების მიერ ყივჩაღთათვის დამახასიათებელი სახელების ტარება (Kırzioğlu 1992, 149).

საინტერესოა კირზიოღლუს კიდევ ერთი ნაშრომი „ოსმალთა მიერ კავკასიის დაპყრობა“.¹⁶ მასში ავტორს განხილული აქვს საქართველოს სამეფო სამთავროების ურთიერთობა ოსმალეთის იმპერიასთან. მონოგრაფია შედგება სარჩევის, წინასიტყვაობის, შესავლის, სამი თავის, ადგილისა და პირთა სამიებლებისგან. წიგნს თან ერთვის ავტორის მიერ შედგენილი ორი რუკა. მონოგრაფიას თან ერთვის ლათინური გრაფიკით ტრანსლიტირებული ოსმალური დოკუმენტები.

სამცხე-საათაბაგოს ისტორიის შესახებ მონოგრაფიის მეორე თავი ეხება უფლისწულის და ფადიმაჰის იავუზ სელიმის დაპყრობებს (1508, 1514). ავტორი აღნიშნავს, რომ უფლისწული სელიმი დაინიშნა რა ტრაპიზონის მხარის გამგებლად, მან პირველივე წლებში საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრა. ამის საფუძველს იძლევა მისი მიმოწერა აყყოიუნლუს სულთან იაყუბთან, სადაც იგი რამდენჯერმე ახსენებს საქართველოზე ლაშქრობას. აღნიშნულია, რომ 1501 წელს სელიმმა თავისი ლაშქრითა და ანატოლიელი მოხალისეებით საქართველოში ილაშქრა, გამარცვა და ტყვეები წამოიყვანა

14 იგულისხმება ყვარყვარე II

15 Atabekli Kıpçak Hükümeti

16 M. Fahrettin Kırzioğlu, Osmanlılar'ın Kafkas Elleri'nin Fethi (1451-1590), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1998.

(Kirziloğlu 1998, 83-84).¹⁷ ამ თავში კირზიოღლუ საკმარის ადგილს უთმობს სამცხე-საათაბაგოს საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ 1267 წლიდან სპერის, თორთუმის ლივანას (იუსუფელი და ართვინი), ოლთისის, არტანუჯის, შავშეთის, კოლას, არტანის, ახალციხის, ახალქალაქის მხარეებს და აწყურის ნაწილს¹⁸ განაგებდნენ ნახევრად დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ყივჩაღი ათაბაგები¹⁹, ხოლო მათი ქვეყანა სამწერლობო ენისა და სარწმუნოების გამო საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა (Kirziloğlu 1998, 83-86).

კირზიოღლუ ეხება სელიმის იმერეთში ლაშქრობის საკითხსაც. იგი მიუთითებს, რომ ქართულ წყაროებში სტამბოლის²⁰ ადების თარიღად მითითებულია 1457 წელი. აქვე მიუთითებს, რომ ქართულ წყაროებში ხანდახან ზუსტი თარიღი ოთხი წლის მეტობით არის მითითებული. ამდენად, სელიმის ტრაპიზონიდან იმერეთში ლაშქრობის თარიღად ნაჩვენებია 1512 წელი, როდესაც ოსმალებმა დაარბიეს ქუთაისი და გელათი. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ლაშქრობაში სელიმს მეგზურობას უწევდა თავისივე ქვეშევრდომი, სამცხის ათაბაგი მზეჭაბუკი (Kirziloğlu 1998, 86).²¹

კირზიოღლუ მიუთითებს, რომ მზეჭაბუკს და ოსმალებს შორის ურთიერთობის საწყის ეტაპზე, მას შემდეგ, რაც ოსმალებმა გურიელებს წაართვა აჭარა და ჭანეთი, ათაბაგმა ძვირფასი საჩუქრები მიართვა ოსმალებს და ამით საკუთარი ქვეყანა ოსმალთა თავდასხმებისგან გადაარჩინა. აქვე აღწერილია ოსმალების მიერ მზეჭაბუკის დახმარებით ქუთაისისა და გელათის აოხრების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს მარი ბროსეს მიერ ფრანგულად თარგმნილი „ქართლის ცხოვრების“²² ეპიზოდს. ოსმალთა ლაშქრობის თარიღად უთითებს „ქართლის ცხოვრებისეულ“ თარიღებს - 1509 და 1512 წლებს (Kirziloğlu 1998,

17 აღსანიშნავია, რომ სელიმის ამ ლაშქრობის შესახებ ქართულ წყაროებში არაფერია ცნობილი.

18 კირზიოღლუ მოიხსენიებს როგორც Atabeg Yurdu (ათაბაგთა საცხოვრისი).

19 კირზიოღლუს მიერ გავრცელებული ასეთი მიდგომა მეტწილად დამკვიდრდა თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში.

20 თურქ ავტორებთან უმეტეს შემთხვევაში კონსტანტინეპოლი სტამბოლის სახელით გვხვდება.

21 ავტორი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ათაბაგების არაქართულ წარმოშობას. სქოლიოში (10) იმოწმებს 1578 წელს თბილისის ადების შემდეგ ოსმალეთის არმიის მდივან - მესტორიის გალიპოლელი მუსტაფა ალი ჩელების მიერ ქართველი მეფე-მთავრების შესახებ შედგენილ „საქართველოს მმართველთა“ წიგნის ერთ-ერთ თავს. აქ, კირზიოღლუ საუბრობს ქართველ მეფე მთავრებზე და ისტორიულ ქართულ მხარეებზე. თუმცა, არ იშველიებს რაიმე წყაროს, სადაც უშუალოდ დასტურდება ათაბაგთა ყივჩაღურ წარმოშობა. კიდევ ერთ სქოლიოში (11), მიუთითებს, რომ მართალია ათაბაგს ქართულის შესაბამისი სახელი მზეჭაბუკი ჰქვია, მაგრამ ეს არ არის სწორი, რადგან 1514 წლის ბოლოს მზეჭაბუკის მიერ სელიმისათვის გაგზავნილ 10 სტრიქონიან სპარსულ წერილში იგი საკუთარ თავს „ემირზა ჩაბუქს“ უწოდებსო (იხ. გვ. 87) აქვე განვმარტავთ, რომ არაბული გრაფიკის შემთხვევაში ქართულ მზეჭაბუკს ვერც თვითონ მზეჭაბუკი დაწერდა სწორად.

22 Histoire de la Georgie, II, Paris.

88). რაც შეეხება აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ოსმალური წყაროების ინფორმაციას, კირზიოღლუს რამდენიმე წყარო აქვს შეჯერებული და თარიღად 1508 წლის მაის-ივნისის თვეებს უთითებს (Kirziloğlu 1998, 90).²³ ცნობილია, რომ მზეჭაბუკმა მეგზურები გააყოლა ოსმალებს ქუთაის-გელათის ასაოხრებლად, რითაც ოსმალთა პატივისცემა და ნდობა დაიმსახურა. რაც შეეხება კირზიოღლუს მიერ მითითებულ 1508 წლის შემდგომ მოვლენებს, აღნიშნულია, რომ ქართული ქრონიკების შესაბამისად მზეჭაბუკი ადრევე დაემორჩილა ოსმალებს, ხოლო ისევე, როგორც 1514 წელს ჩალდირანის ბრძოლიდან უკან დაბრუნებისას, მზეჭაბუკმა მიაერთვა სელიმს პროვიანტი და დაახმარა მეგზურები (Kirziloğlu 1998, 93).

აქვე არის ინფორმაცია ქართველ მეფე-მთავართა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, ათაბაგ ყვარყვარე IV-ს, კახეთის მეფე ლევანის მხრიდან 1524 წელს სულთან სულეიმან კანუნისადმი მიმართვა იერუსალიმში მოსალოცად ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით (Kirziloğlu 1998, 99).

მეორე თავის მეორე ქვეთავში, რომელშიც აღწერილია ჩალდირანის ლაშქრობის დროს ნახიჭევანისა და ერევნის დარბევა და ახალციხე-ჭოროხის ათაბაგების მორჩილება (1514), ავტორი ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიის მოსაზღვრე სამცხე-საათაბაგოს ახასიათებს. მისი თქმით, იგი მტკვრის ზედა ნაწილში მოიცავდა ახალქალაქის, ახალციხის, ალთუნყალას²⁴, ჩრდილის, არტაანის, კოლას; ხოლო ჭოროხის ზედა ნაწილში შავშეთის, ართვინის, არტანუჯის, ოლთისის, ბარდუზის, ნარმანის, თორთომის, იუსუფელის და სპერის მხარეებს. აქვე კვლავ იმეორებს, რომ მართლმადიდებელი ყივჩაღებით დასახლებულ ამ მხარეს განაგებდა მზეჭაბუკი (1502-1516), რომელიც ოსმალებს ემორჩილებოდა. აღმოსავლეთით საათაბაგოს საზღვარი ალაგოზის მთას დასავლეთით კოპდაღის მთას ესაზღვრებოდა, ხოლო სამხრეთით მომთაბარე ავშართურქმენტა ბეილიქს (Kirziloğlu 1998, 102).²⁵

ავტორი მიუთითებს, რომ თავრიზის ალების შემდეგ, უკან დაბრუნებისას სელიმმა თავისი ყმადნაფიცებისგან - ავშართა ბეგისგან და სამცხის ათაბაგისგან პროვიანტი მოითხოვა. ამ დროს სელიმი დაბანაკებული იყო სოფელ ჩალქავურის რეზიდენციაში. ავშართა ბეგმა ეს მოთხოვნა არ შეასრულა, ხოლო ათაბაგმა მიაერთვა პროვიანტი და დამატებით სპერის ციხეც გადასცა (Kirziloğlu

23 აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. უფრო მეტად სარწმუნოა მიხეილ სვანიძის მიერ მითითებული თარიღი 1510 წლის ოქტომბერი (იხ. მიხეილ სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს.ს., გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1971, გვ.44).

24 ოქროს ციხე, ადიგენის რაიონში.

25 კირზიოღლუ იმოწმებს იაჟუზ სულთან სელიმის წერილებს ირანელი სევიდუკ ხანისადმი, სადაც ავშარებს ოსმალთა ერთგულებად მოიხსენიებს. ავშართა ბეილიქის შემადგენლობაში დასახლებულია შემდეგი მხარეები: გიუმრის, ყარსი-არფაჩაის, შურეგელ-ბასიანის, არზრუმის ჩობანქოფრუმდე. თვით ჩობანქოფრუ წარმოადგენდა ოსმალებსა და ათაბაგებს შორის საზღვარს (რ.ყ).

1998, 103).²⁶ აქვე ნათქვამია, რომ იავეუზის დროს სპერის, ლივანას (იუსუფელი და ართვინი) მხარეები ოსმალეთ-საათაბაგოს საზღვარს წარმოადგენდა, რომლებიც იავეუზმა დალაშქრა, ხოლო შემდეგ სულთან სულეიმან კანუნმა ოსმალეთს დაუქვემდებარა (Kirziloğlu 1998, 104). კირზიოღლუ მიუთითებს, რომ ჩალდირანისკენ მიმავალ სელიმს სოფელ სოდმენში 9 აგვისტოს, ხუთშაბათ დღეს, ეახლა ქართველი მთავრის მზექაბუკის ელჩი²⁷, რომელსაც ერქვა ნიზამი და იყო აყყოუნლუს თემიდან. ელჩმა სელიმს გადასცა მზექაბუკის მიერ გამოგზავნილი 2000 ცხვარი, გარკვეული რაოდენობის დამუშავებული ტყავი და თაფლი. ასევე, ელჩს ახლდნენ დულყადრიელი²⁸ ალაუდდევლეს ყიზილბაშებს გამოქცეული ვაჟი მმისშვილები²⁹, რომლებიც ოსმალების მხარეს გადავიდნენ. ოსმალებმა მზექაბუკისთვის გადასაცემად მისსავე ელჩს ხალათი გადასცეს (Kirziloğlu 1998, 106).

თავრიზიდან უკან, გამოსაზამთრებლად წამოსული სელიმის ლაშქარი პროვიანტის ნაკლებობას განიცდიდა. როდესაც ის ყარსში მოვიდა, საგანგებოდ წერილით შეუთვალა მზექაბუკს, რომ მარცვლეული, რომელიც სელიმმა მისგან მოითხოვა, აგვიანებდა, ხოლო 1514 წლის 8 ოქტომბერს განრისხებული სელიმი საათაბაგოს საზღვრებისკენ დაიძრა, მივიდა კოლას მხარეში და დაბანაკდა სოფელ ჩალაგავურში (ჩალქავურში, ჩალლაგურში). სელიმის ჯარს თან ახლდა მზექაბუკის ელჩი ნიზამ ბეგი, რომელიც შექმნილი მდგომარეობის შესახებ მზექაბუკთან ამბავს ამბავზე აგზავნიდა. საბოლოოდ, მზექაბუკისგან მოვიდა ამბავი, რომ მან ჩობანქოფრუსთან³⁰ გააგზავნა პროვიანტი (Kirziloğlu 1998, 110)³¹.

26 აღნიშნული მოვლენის დასადასტურებლად კირზიოღლუ 41-ე სქოლიოში აღნიშნავს, რომ ციხის და პროვიანტის გადაცემისას მზექაბუკ ათაბაგმა სელიმს წერილიც გამოუგზავნა, რომელიც ინახება თოფქაფის სასახლის არქივში, N5846. თუმცა, კირზიოღლუსვე თქმით, საბუთების აღწერის პროცედურების გამო მან ეს წერილი ვერ ნახა. სამაგიეროდ, კირზიოღლუ იყენებს სელიმის დროის სახელმწიფო კანცელარიის გამგის ქემალფაშაზადეს მხრიდან ამ მოვლენის აღწერის საბუთს. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ქემალფაშაზადე სამცხელებს ქართველებად მოიხსენიებს. ფაჰრეთინ კირზიოღლუ ამ მოვლენასთან დაკავშირებით, ასევე, ცნობილი ოსმანისტის ჰამერის შენიშვნას იმორჩებს, სადაც ჰამერი სპერთან ერთად კილის ციხის გასაღების გადაცემაზე მიუთითებს.

27 აღსანიშნავია, რომ კირზიოღლუს მიერ დამოწმებულ წყაროებში მზექაბუკი ყოველთვის ქართველად მოიხსენიება.

28 წყაროებში და ლიტერატურაში ზულყადრიედაც გვხვდება.

29 1505 წელს შაჰ ისმაილმა დალაშქრა დულყადრიის ბეილიქი. რის შემდეგაც, ალაუდდევლეს მმისშვილები ჯერ ყიზილბაშებთან გაიქცნენ, შემდეგ მზექაბუკს შეეფარნენ (Kirziloğlu, 1998:107, სქოლიო 46). მიხეილ სვანიძე იმორჩებს რა ჰამერის ცნობებს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შედარებით განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა. მისი ინფორმაციით, აღნიშნული ორი პიროვნება წარმოადგენდა შაჰ-ისმაილის მმის ჰიდირ ოღლუს ვაჟებს (იხ. მიხეილ სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს.ს. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1971, გვ. 49).

30 იგივე ჩობანის ხიდი

31 კირზიოღლუ ეყრდნობა რა სხვადასხვა წყაროებს, უთითებს, რომ მზექაბუკმა ჩობანქოფრუსთან გააგზავნა სამი ათასი ცხვარი. ასევე, პატიების მიზნით სელიმს სოფელ

მონოგრაფიის ავტორი ეხება 1515 წელს სელიმის სტამბოლში დაბრუნების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში მომხდარ მოვლენებს. იგი ამ მიზნით იშველიებს ჰაიდარ ჩელების “სულთანთა წერილებს”³². მიუთითებს, რომ რეგიონიდან სელიმის წასვლის შემდეგ ბაიბურთსა და არზრუმის მხარეში კვლავ დაიწყო სეფიანთა თავდასხმები, ხოლო მზექაბუკის გარდაცვალების შემდეგ ათაბაგთა ოჯახის წევრებს შორის განხეთქილება მოხდა. ათაბაგის ტახტის ხელში ჩასაგდებად ერთნი ემხრობოდნენ ოსმალეთს, მეორენი- სეფიანებს (Kırziloğlu 1998, 114)³³. აქვე მოყვანილია ჰაიდერ ჩელების ჩანაწერის ტექსტის ამონარიდი მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომ 1515 წლის 28 აგვისტოს შემდგარი „დივანის“ გადაწყვეტილებით სარდალი სინან ფაშა აღმოსავლეთი ანატოლიის და მტკვრის ზემო წელში სალაშქროდ იქნა გაგზავნილი და მას მიეცა უფლება, რომ შეჭრილიყო საქართველოში (Kırziloğlu 1998, 114-115).³⁴ თუმცა, მიუხედავად საომარი სამზადისისა, ამ ეტაპისთვის ოსმალეთის ჯარის საათაბაგოში შემოჭრა შემდეგი დროისთვის გადაიდო (Kırziloğlu 1998, 114).³⁵

კირზიოღლუ აგრძელებს თხრობას სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე ტახტისათვის ბრძოლის შესახებ და აღნიშნავს, რომ 1515 წლის 18 დეკემბერს ედირნეში შეკრებილ დივანის სხდომაზე ითქვა, რომ ყიზილბაში ბეგი დივ სულთან რუმლუ ერევანში მივიდა. ასევე უცხოელმა ვაჭრებმა მოიტანეს შემდეგი ამბავი, რომ საქართველოში მზექაბუკის ძმა ყვარყვარე³⁶ შაჰ ისმაილთან გაიქცა. ხოლო მანუჩარი ოსმალეების ერთგულად დარჩა და საქართველოს³⁷ ტახტი დაიჭირა (Kırziloğlu 1998, 116).

ჩალგავურში გაუგზავნა სპერის ციხის გასაღები (იხ. სქოლიო 48).

32 *Münşeatü's-selâtin*

33 კირზიოღლუს ამ ამბების დამადასტურებელ წყაროდ მითითებული აქვს სულთნის „დივანის“ ანუ საათაბაგო საბჭოს სხდომების მდივნის ჰაიდერ ჩელების დღიურები.

34 აღსანიშნავია ის, რომ კირზიოღლუ ზუსტად უთითებს წყაროში მოხსენიებულ სახელს „საქართველო“. თუმცა იქვე საკუთარი ინიციატივით ფრჩხილებში აკეთებს განმარტებას (Ata-beg Yurdu-საათაბაგო). ეს სახელწოდება მისი შემოტანილია თურქულ ისტორიოგრაფიაში და ხშირად გამოიყენება თანამედროვე თურქი ისტორიკოსების მიერ. აღნიშნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის პროფესორი ცისანა აბულაძე, რომელმაც თარგმნა თურქი ისტორიკოსის სელაჰათინ თანსელის მიერ გამოქვეყნებული სელიმ I-ის ბრძანება, გამოცემული ალი ბეგის სახელზე, საქართველოში ლაშქრობის მოწყობასთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ეს ბრძანება სელიმის დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რადგან მას ანატოლიაში ზუსტად ირის საბეგლარბეგო აინტერესებდა და ამ ბრძანებით ძირითადი მიზნის დამალვა სურდა, თორემ საქართველოზე თავდასხმის არც მიზეზი ჰქონდა და არც საბაბი. პირიქით, ჩალდირანის ბრძოლაში გაწეული სამსახურისთვის ქართველების მაღლიერი იყო. (იხ. ცისანა აბულაძე, თურქული წყაროები XVI საუკუნის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბილისი, 1983, გვ. 9-10, 26)

35 იხ. სქოლიო (59).

36 კირზიოღლუ აქ კორკორად (korkora) მოიხსენიებს. ყვარყვარე იყო არა მზექაბუკის ძმა, არამედ ძმისწული იხ. წიგნი - საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო XVI საუკუნე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, გვ. 45.

37 იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს ტახტი.

საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ კირზიოლლუს ერთი შენიშვნა მანუჩართან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს, რომ ქართულ ქრონიკებში მზეჭაბუკის შემდეგ ათაბაგად მანუჩარი არ მოიხსენება და, სავარაუდოდ, იგი უნდა იყოს მზეჭაბუკის ვაჟი (იხ. სქოლიო 62)³⁸. განსაკუთრებით საინტერესოა ამავე სქოლიოში მოყვანილი ინფორმაცია ყვარყვარე IV-სთან დაკავშირებით³⁹. კირზიოლლუ იმოწმებს ჰასან რუმლუს თხზულებას „უმშვენიერესი ისტორიათაგანი (Ahsenü't-Tevarih)“ და მარი ბროსეს Historie de la Geogieg (II/I/214). ჰასან რუმლუ მანუჩარსა და ყვარყვარეს შორის დაპირისპირების ჰიჯრით 922 (1516)-923(1517) წლების პერიპეტიებს აღწერს. იგი აღნიშნავს, რომ 1516 წელს, შაჰ ისმაილის ნახიჭევანში ყოფნისას, საქართველოში ყვარყვარესა⁴⁰ და მანუჩარს შორის ომი მოხდა. ყვარყვარე გაიქცა, შაჰს ეახლა და საქართველოში დარბევასა და დაპირისპირების შესახებ მოახსენა. შაჰმა იმ ბოროტის [მანუჩარის რ.ყ.] დასამარცხებლად დივ სულთან რუმლუ, თექელუ ჩერქეზ ჰასანი, ყაჯარლუ ნარინ ბეგი, რუმლუ ყაზან ბეგი და ჩოთელუ ჰასან ბეგი სასწრაფოდ იქ გააგზავნა. ეს ბეგები, როგორც ციდან ჩამოსული უბედურება, შურეგელის (არფაჩაი) გავლით აყმეჰირს (ახალქალაქს) მიადგნენ და ალყა შემოარტყეს. მანუჩარი აღმოჩნდა რა გამოუვალ მდგომარეობაში, თავის აზნაურებთან ერთად სოფელ ველში⁴¹ განერიდა. ამ სოფელში მანუჩარი მომწვედელუ იქნა დივ სულთანის მიერ, რომელიც ოსმალეთის მხარეს გაიქცა. ბეგებმა [იგულისხმება შაჰ თამაზის მიერ გამოგზავნილი სარდლები რ.ყ.] ალყაში მოაქციეს მანუჩარის სარდლის ორუზ-ბათურის მიერ გამაგრებული თუმუქის ციხე.⁴² ეს არის გორაზე აგებული ციხე, რომელსაც გვერდებიდან ხევები ჩამოუდის. ამ ციხემ ალყას თოთხმეტი დღის განმავლობაში გაუძლო, შემდეგ მუსლიმებმა შეძლეს ციხის წყლით მომარაგების გვირაბში შეძრომა

38 როგორც ჩანს, კირზიოლლუსთვის მანუჩართან დაკავშირებით ქართული წყაროები მიუწვდომელი აღმოჩნდა, რადგან ცნობილია, რომ მანუჩარი ყვარყვარე II-ს მეექვსე ვაჟი და ყვარყვარე III-ს ბიძა იყო (იხ. ქრისტინე შარაშიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV=XVIII სს., თბილისი, 1961, გვ. 99-100). მანუჩარმა მოახერხა ხელთ ეგდო ათაბაგობა, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა. ყვარყვარემ გადაწყვიტა, თავისი მიზნებისათვის შაჰის დახმარება გამოეყენებინა. საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო XVI საუკუნე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, გვ. 45.

39 კირზიოლლუს არასწორად აქვს მითითებული ყვარყვარე IV (შესაძლოა ეს ტექნიკური შეცდომა იყოს), რადგან მზეჭაბუკის შემდეგ ათაბაგი გახდა მისი ძმისწული ყვარყვარე III (1516-1535). იხ. წიგნი - საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო XVI საუკუნე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, გვ. 45.

40 კირზიოლლუ კორკორა (korkora)-დ კითხულობს. შესაძლოა, ორიგინალურ ტექსტში (ა) „ვაჟ“ ეწეროს „რ“-ს (რ) მაგივრად. მაშინ შეიძლება ყვარყვარე-დ ან ყუარყუარე-დ ამოკითხვა. ხშირად თვით კირზიოლლუ დასხვა ისტორიკოსები გორგორადაც მოიხსენიებენ.

41 კირზიოლლუ მიუთითებს, რომ ველი არასწორად არის დაწერილი. არის როგორც -Dil, უნდა იყოს - Vel.

42 თმოგვის ციხე

და მტერი მოამწყვდიეს. ორუზ ბათურმა დიდი საჩუქრების ფასად ციხიდან გამოაღწია და დივ სულთანს ჩაბარდა. დივ სულთანმა საქართველოს მმართველობა ყვარყვარეს ჩააბარა და უკან გაბრუნდა. 1517 წელს, როდესაც სულთანი სელიმი ეგვიპტეში იმყოფებოდა, შაჰ ისმაილმა (1516-1517 წლის) ზამთარი კვლავ ნახიჭევანში გაატარა. ამ წელს მანუჩარმა კავშირი შეკრა ბაიბურთის სანჯაყბეგ ყიზილაჰმეთოღლუსთან და ოსმალებთან ერთად ჭოროხის ხეობის მიმართულეებით საომრად წამოვიდა. ამ დროს ტაოს მხარეში, ოლთისსა და არტანუჯს აოხრებდა დივ სულთანი, რომელიც [იქიდან რ.ყ.] უკან გამობრუნდა და ჩუქურ საადში მოვიდა. ასევე იავუზის მმართველობის ბოლო წლებში 924/1518 წელს შაჰ ისმაილმა ზამთარი თავრიზში გაატარა. ამ დროს მას ეახლნენ შირვანის გამგებელი შეიჰ შაჰი, რემტის ფადიშაჰი ემირ დებბაჯი, კარკის სულთანი ახმედ ლაჰიჯანი და მორჩილება გამოუცხადეს. ამ დროს შაჰს მისსავე სასახლეში ეახლა საქართველოს გამგებელი ყვარყვარე. მას საქართველოში გამოაყოლეს დივ სულთანი, რომელთაც ააოხრეს ლორეს და სურამის მხარე (Kirziloğlu 1998, 116-117).

კირზიოღლუს დასკვნით, საათაბაგოს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე ზემოაღნიშნული ორი მხარის ყვარყვარესადმი გადაცემა აჩვენებს, რომ თავრიზისადმი მისი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაზარდა (Kirziloğlu 1998, 117). კირზიოღლუ აგრძელებს ყვარყვარეს თემას, იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ მარი ბროსესეულ თარგმანს და ამბობს, რომ 1520 წელს ოსმალებმა გაილაშქრეს ყვარყვარე IV-ს წინააღმდეგ⁴³, შემდეგ მისი ქვეყნიდან თრიალეთსა და ქართლში გადავიდნენ და იქაურობა ააოხრეს (Kirziloğlu 1998, 117).

აღმოსავლეთის ლაშქრობისას, როდესაც სელიმი დამასკოში იმყოფებოდა, 1516 წლის 22 ნოემბერს მას ეახლნენ საქართველოს ბეგი⁴⁴ მანუჩარი, ოსმალეთის მოხარკე სამეგრელოს და იმერეთის სახელოვანი მმართველები.⁴⁵ 1516 წლის 10 დეკემბერს დამასკოში ჩატარებული დივანის სხდომაზე ქართველი ბეგებიდან მანუჩარი ცნობილ იქნა საქართველოს მმართველად, გადაეცა დროშა და მიეგო სათანადო პატივისცემა. 15 დეკემბერს სელიმი დამასკოდან გავიდა, ეგვიპტისკენ გაემართა. 22 დეკემბერს მივიდა რა სასას⁴⁶ სასახლეში, დაწერა მანუჩარის თანამდებობაზე დანიშვნის „ბერათი“, მიეცა მას სათანადო აღჭურვილობა და გამოისტუმრა (Kirziloğlu 1998, 118).⁴⁷

43 უნდა იყოს ყვარყვარე III

44 სიტყვა ბეგი გამოიყენებოდა თურქულენოვან სახელმწიფოებში ისლამის მიღებამდე და დღესაც არის ხმარებაში „ბეის“ და „ბეგის“ მნიშვნელობით. აღნიშნავს საზოგადოების წარჩინებულ პირთა წოდებას.

45 ავტორი არ ასახელებს მათ ვინაობას. როგორც ჩანს, აღნიშნული პირები არც ავტორის მიერ გამოყენებულ წყაროშია არიან დასახელებული.

46 სასა-ეს იყო სასახლე მედინადან 19 კმ.-ის დაშორებით.

47 ცნობილია, რომ მანუჩარ I ათაბაგობდა 1516-1518 წლებში. ყვარყვარემ სპარსელთა

კირზიოდლუ კვლავ იმოწმებს ზემოთ ხსენებული ჰაიდერ ჩელების დღიურებს⁴⁸ და მიუთითებს 1517-1518 წლებში ერზინჯანის მხარესა და სამცხე-საათაბაგოში მომხდარ მოვლენებზე. აღნიშნულია, რომ 1517 წლის 29 აგვისტოს ალექოში მიმდინარე დივანის სხდომაზე მოხსენებულ იქნა სეფიანთაგან მხარდაჭერილ ყვარყვარესა⁴⁹ და ერზინჯანის ბეგს მირზას შორის ბრძოლის ამბავი, სადაც ერზინჯანის ბეგი მოკლულ, ხოლო სპერის ბეგი დამარცხებულ იქნა (Kirziloğlu 1998, 117). სამცხის ათაბაგებისგან წართმეული სპერის ციხე და სპერის მხარე სელიმმა ჩალდირანის ლაშქრობისას და ასევე შემდეგ წელს დაპყრობილ ქემახის, ერზინჯანის, თერჯანის და ბაიბურთის მხარეებთან ერთად ერზინჯანის ვილაეთში გააერთიანა (Kirziloğlu 1998, 117).

კირზიოდლუ ამავე და მომდევნო გვერდზე კვლავ უბრუნდება სპერის ისტორიას და აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც 1514 წელს სულთან სელიმი ყარსსა და ბასიანს შორის იმყოფებოდა, ათაბაგმა მზექაბუკმა მას სპერის ციხის გასაღები გამოუგზავნა. ციხის ჩაბარების შემდეგ მის მიდამოებში დაარსდა სპერის სანჯაყი და ტრაპიზონის სადროშოს იქნა დაქვემდებარებული. 1517 წლის აგვისტოში ათაბაგ ყვარყვარე IV-ს მიერ სპერისა და ბაიბურთის დალაშქრისა და სანჯაყებების ამოხოცვის (სავარაუდოდ, სპერის დაკავების გამო), აქაური მიწები არ იქნა აღწერილი. 1518 წელს ბაიბურთის ახლადდანიშნულმა სანჯაყბეგმა ნასუჰმა დაიპყრო სპერის მხარე და სავარაუდოდ, აღწერა კიდევ იქაურობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1516-1518 წლების ერზინჯანისა და ბაიბურთის აღწერის დავთრებში, რომელიც სწორედ ნასუჰის ბრძანების საფუძველზეა შედგენილი, სპერი არ მოიხსენიება (Kirziloğlu 1998, 119-120). რაც შეეხება სულთან სულეიმან კანუნის პერიოდის სპერს, სულეიმანმა თავისი მმართველობის პირველ წლებში გააუქმა ერზინჯანის ვილაეთი და 1523 წლის მარტამდე ამ ვილაეთის სანჯაყები შეუერთა სივასის ეიალეთს, ხოლო სპერი როგორც „ყაზა“⁵⁰ ბაიბურთის სანჯაყს მიუერთა. ეს დასტურდება 1523 წლის ბაიბურთის დავთრის მიხედვით (Kirziloğlu 1998, 120).

მონოგრაფიის მესამე თავი ეძღვნება სულთან სულეიმანის დაპყრობებს 1534-1555 წლებში. ა) ქვეთავში მოთხრობილია სულეიმანის მიერ არაქსისპირა დაპყრობებსა (1534) და არზრუმის ვილაეთის შექმნაზე (1535). ავტორი ეხება სულთან სულეიმანსა და შაჰ ისმაილს შორის ურთიერთობების დაწყებას, სეფიანთა ლაშქრობებს აღმოსავლეთ საქართველოში და შაჰ ისმაილის მიერ საათაბაგოს თავისი მფარველობის ქვეშ აყვანას. აქვე არის მითითებული

დახმარებით ტახტი დაიბრუნა. 1518 წელს მანუჩარი ოსმალთა მხარდაჭერით ისევ შეეცადა ტახტის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ.

48 აღნიშნული დავთრები ჩართულია ე.ს. „მუჰიმე დავთრების“ კრებულში და გამოცემულია პრემიერმინისტრის ოსმალეთის არქივის ადმინისტრაციის მიერ.

49 იგულისხმება ყვარყვარე IV

50 ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში, რაიონის შესაბამისი.

შაჰ ისმაილის გარდაცვალების თარიღი - 1524 წლის 23 მაისი, რის შემდეგაც ტახტზე ადის შაჰ თამაზ I (Kirziloğlu, 1998:120-124).

ბ) ქვეთავი ეხება ოსმალთა მიერ დაარსებული არზრუმის პირველი საბეგლარბეგოს მხრიდან სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიების დაკავებისა და არზრუმის ეილეთის ჩრდილო და აღმოსავლეთ საზღვრებს. პირველივე აზნაღვი ავტორი იმეორებს მზექაბუკის სიკვდილის⁵¹ შემდეგ ათაბაგის ტახტზე მანუჩარის ასვლის და მისი ოსმალთადმი მორჩილების, შემდეგ მზექაბუკის ძმის ყვარყვარე IV-ის მიერ სეფიანთა დახმარებით საათაბაგოს ტახტის ხელში ჩაგდების, სეფიანი დივ სულთან რუმლუს მეთაურობით სეფიანთა ჯარის მიერ ახალქალაქის აღების და თმოგვის მხარის დალაშქვრის (1516), საათაბაგოს დაკავების და თავრიზისადმი დაქვემდებარების ფაქტს. ოსმალების და სეფიანთა მიერ „გორგორად“ წოდებულმა ზემოაღმოსავლეთმა ათაბაგმა, იავუზ სულთან სელიმის კაიროში ყოფნის დროს 1517 წლის ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში შაჰ ისმაილის დახმარებით შეუტია ოსმალთა მიწებს და დახოცა ბაიბურთის და სპერის სანჯაყბეგები, თუმცა სულთან სულიმან კანუნის დროს სპერი კვლავ დაუბრუნდა ოსმალებს და ეს დასტურდება 1523 წლის აღწერის დავთრით (Kirziloğlu 1998, 160).

ავტორი ოსმალების მიერ საქართველოსა და ზოგადად კავკასიის დასაპყრობად ასევე ირანის წინააღმდეგ კავკასიაში ომების საწარმოებლად არზრუმის, როგორც სამხედრო ბაზის, შექმნა-გამაგრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი ძალიან მოკლედ იხსენებს სელჩუკი სულთნის ალფ-არსლანის მიერ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიის⁵² დალაშქვრის ფაქტს და მიუთითებს, რომ სელჩუკებს შემდეგ არზრუმიდან საათაბაგოს ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად წამოსული არზრუმის პირველი გამგებელი დულყადრიელი მეჰმედ ბეგი იყო. არზრუმის ეილეთის საკითხი გადაწყდა 1535 წლის 6 ოქტომბერს, როდესაც სულიმანის თავმჯდომარეობით დივანი შეიკრიბა ბითლისში და მან არზრუმის ძველი ციხე ხელახლა გაამაგრა და აქ ბეგლარბეგად დაინიშნა დულყადრიელი მეჰმედ ხანი, რომელიც აქ თავის ძმებთან და ძმისშვილებთან და მომხრე მოსახლეობასთან ერთად გადმოსახლდა. არზრუმში გადმოსახლდნენ აგრეთვე თავრიზელი სუნიტები. 1536 წელს მეჰმედ ხანმა დაიწყო მზადება ათაბაგ ყვარყვარე IV-ს წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ავტორი იმეორებს შესაბამის წყაროებს ამ ფაქტთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ ჰიჯრით 943 წლის 15 მუარემის თვეს (1536 წლის 4 ივლისი) ბაიბურთის გამგებელმა მეჰმედ ხანმა ილაშქრა მოსაზღვრე საქართველოს

51 დასტურად იყენებს მარი ბროსეს ქართლის ცხოვრების ფრანგულ თარგმანს, რომ 1616 წელს გარდაიცვალა ათაბაგი მზექაბუკი (გვ.6). სინამდვილეში მზექაბუკი გარდაიცვალა 1515 წელს.

52 აქ იგი იყენებს თურქულ ისტორიოგრაფიაში სამცხე-საათაბაგოს აღსანიშნავად გავრცელებულ სახელს - ახისხა (Ahiska).

ტერიტორიაზე⁵³ დაამარცხა ქართველები და სხვა ტყვეებთან ერთად ხუთი ქართველი წარჩინებულიც დაატყვევა (Kırziloğlu 1998, 161).

ავტორისვე თქმით, ოსმალებთან ყვარყვარეს დამარცხებით ისარგებლა ოსმალთა ქვეშევრდომმა, იმერეთის მეფე ბაგრატ II-მ⁵⁴ და გაილაშქრა ათაბაგის წინააღმდეგ. კირზიოღლუ მიუთითებს 1535 წლის 13 აგვისტოს ბაგრატ II-ს და ყვარყვარე IV-ს შორის გამართულ მურჯახეთის⁵⁵ ბრძოლაზე, რისთვისაც იმოწმებს მარი ბროსესეულ „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანს. თუმცა აქვე (სქოლიოში) აღნიშნავს, რომ სპარსულ წყაროებში დუღყადრიელი მეჰმედ ბეგის და იმერთა მეფის მიერ ათაბაგ ყვარყვარეს დამარცხების შესახებ არაფერია ნათქვამი. კირზიოღლუსვე თქმით, მართალია, ვახუშტი ბატონიშვილი ამ მოვლენის თარიღად 1535 წელს უთითებს, მაგრამ ზუსტი თარიღი უნდა იყოს 1536 წელი. კირზიოღლუ იმეორებს ვახუშტისვე ცნობას იმერთა ტყვეობაში ყვარყვარეს გარდაცვალების და ოთარ შალიკაშვილის მიერ 1545 წელს ოსმალთა ფაღიშაჰთან ყვარყვარეს ვაჟის ქაიხოსრო II-ს გაგზავნის და ფაღიშაჰისგან დახმარების მიღების შესახებ. ავტორის მიერ დამოწმებული თურქული წყაროებიდან ირკვევა, რომ მეჰმედ ხანმა საქართველოზე გამოლაშქრების დროს გადმოლახა მდინარე ბანას წყალი და აიღო ბერაკნის და ბანას ციხეები⁵⁶. კიდევერთი წყაროს, არზრუმელი იბრაჰიმ მულჰემის მიხედვით⁵⁷ მეჰმედ ფაშამ ილაშქრა ქართველებზე, მამირვანის (დღევანდელი ნარმანი) მხარეში ბევრნი [ქართველები რ.ყ.] ამოწყვიტა და აიღო ოლთისის და ბანას ციხეები. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით კირზიოღლუ ვარაუდობს, რომ, მართალია, წყაროში მითითებულია მეჰმედ ხანის ზედა ბასიანსა და ოლთისის წყლის ხეობაში ლაშქრობის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში აქ უნდა ელაშქრა მის უმცროს ძმას მირზა ალი ბეგს, ხოლო მეჰმედ ხანს უნდა ელაშქრა ჭოროხის მთავარი დინების მიმართულებით და სპერის გავლით და 1536 ან 1537 წელს უნდა დაეპყრო ლივანა (იუსუფელი, ართვინი). კირზიოღლუს ეს ვარაუდი ეფუძნება 1538-1539 წლების აღწერის დავთარს, რომელსაც ეწოდება „ნარმან-ილგარის“ დავთარი (Kırziloğlu 1998, 162-163).

შემდეგ ქვეთავში (გ), საუბარია სეფიანთა ირანზე სამცხე-საათაბაგოს დამოკიდებულების, შაჰ-თამაზის მიერ ათაბაგების არზრუმის მხარეზე თავდასხმების წაქეზების და სულთან სულეიმან კანუნის მეორე აღმოსავლური ლაშქრობის დროს ათაბაგებისგან წართმეული მიწების და საქართველოსა და შირვანში მომხდარი მოვლენების შესახებ. ავტორი

53 კირზიოღლუ ფრჩხილებში უთითებს (საათაბაგო-Atabekli)

54 უნდა იყოს ბაგრატ III (რ.ყ).

55 ავტორს ახალქალაქი აქვს მითითებული, თუმცა ისეთი ფორმით, როგორც თურქულ ლიტერატურაშია მიღებული - აჰილქელეკ/ Ahilkelek/აკშეჰირ/Akşehir

56 იმოწმებს გალიპოლიელი ალი ჩელების ნაშრომს Kühnü'l- Ahbar (არაბულად - ამბების არსი).

57 მულჰემის წიგნი: Muradname

ეხება რა სამცხე-საათაბაგოს ისტორიას, იმეორებს არზრუმის ბეგლარბეგის მეჭმედ ხანის და იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ სამცხეზე ლაშქრობების ისტორიასა და ოთარ შალიკაშვილის⁵⁸ პოლიტიკურ მცდელობებს ათაბაგის ტახტის აღდგენასთან დაკავშირებით. აქვე საინტერესოა კირზიოლლუს შეფასებები სამცხე-საათაბაგოს ისტორიულ გეოგრაფიასთან დაკავშირებით. იგი მიუთითებს, რომ ადრინდელი, დიდი ტერიტორიის მქონე საათაბაგო იყოფოდა ორ ნაწილად. პირველს -მტკვრის ხეობის ნაწილს ერქვა „Mosuk/ მოსუქ/. ხოლო, ჭოროხის აუზის ტერიტორიას „Dav-Eli/დავ-ელი/. პირველი ნაწილი ექვემდებარებოდა სეფიანებს, ხოლო მეორე ნაწილი ოსმალებს. ეს კარგად ჩანს სეფიანთა ოფიციალურ ისტორიოგრაფიასა და ოსმალთა ისტორიოგრაფიაშიც. კირზიოლლუ განაგრძობს და ამბობს, რომ ამ ორი ნაწილიდან „მოსხი“ წარმოადგენს ახალციხე-ახალქალაქი-დმანისის⁵⁹ რაიონებს, რაც გამომდინარეობს ძველი ეთნიკური დასახელებიდან. ეხება რა სამცხეს, ამ სახელს შემდეგნაირად ყოფს: „Sami-Sikhe“⁶⁰. თუმცა, სამცხის ეტიმოლოგიის განმარტებისას იგი ემხრობა „სამესხეს“, „მესხთა საცხოვრისის“ (Sa-Moskhi”, “Moskhi Yurdu”) ვარიანტს და ამ საკითხში იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანს. რაც შეეხება „დავ-ელს“, აცხადებს, რომ ეს მხარე ჯერ კიდევ ქსენოფონტეს აქვს მოხსენიებული ჩვ.წ.-მდე 400 წელს, როდესაც მან ჭოროხის აუზში ნახა მეომრები, რომელთაც ერქვათ „ტავოკ/Tavok“, ხოლო შუა საუკუნეებში ამ ადგილს „ტავ/Tav“ ერქვა, რაც სკვითების საცხოვრისს ნიშნავსო. ათაბაგებიც ამ მხარეს სწორედ „ტავ/Tav“ს უწოდებდნენო და მოიცავდა დღევანდელი შენქაია-ნარმანი-ოლთისი-თორთუმი-არტანუჯი-იუსუფელი-ართვინის რაიონებს (Kirziloğlu 1998, 171). კირზიოლლუს მოჰყავს ფაქტი სეფიანთა ოფიციალური ისტორიიდან⁶¹ საქართველოს შვიდ ნაწილად დაშლის შესახებ, სადაც დაშლილი საქართველოს ნაწილებთან ერთად იხსენიება მესხეთიც, ცენტრით ახალქალაქი⁶². აქვე მიუთითებს, რომ „Mosuk“-ს [მესხეთის რ.ე.] მხარეს განაგებდა ათაბაგ ყვარყვარეს ვაჟი ქაიხოსრო⁶³. ამავე წყაროს მიხედვით, ქართლის მეფე ლუარსაბი, იმერეთის მეფე და სამეგრელოს ხელისუფალი ბაგრატ II⁶⁴ შაჰ თამაზის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამასთანავე, შაჰის ქვეშევრდომ ქაიხოსრო ათაბაგს თავს ესხმოდნენ. სწორედ მათი დასჯის მიზნით შაჰმა მათ წინააღმდეგ რამდენჯერმე ჯარი გააგზავნა.

58 ავტორი ოთარ შალიკაშვილს ათაბაგის ნაიბს ანუ რეგენტს უწოდებს.

59 კირზიოლლუს აქ უზუსტობა აქვს დაშვებული, რადგან დმანისი არასდროს ყოფილა მესხეთის ნაწილი.

60 თურქულს არ აქვს „ც“ კონსონანტი, ამის გამო მხოლოდ “S” უწერია.

61 Alem-Aray-i Abbasi.

62 კირზიოლლუსთან: Akşehir/Ahilkelek.

63 კირზიოლლუს მითითებული აქვს როგორც: Korkora და Keyhüsrev.

64 კირზიოლლუს არასწორად აქვს მითითებული. უნდა იყოს იმერეთის მეფე ბაგრატ III და სამეგრელოს მთავარი.

შაჰმა ათაბაგებისგან წართმეულ ტაოს მფლობელ ბაგრატს ადგილი მიუჩინა და დაიმორჩილა. ავტორი აღნიშნავს, რომ სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ცენტრით არტანუჯი/თორთუმი-აღჯაყალა დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროებთან ერთად ემორჩილებოდა ოსმალებს (Kirziloğlu 1998, 172).

ავტორს არ გამორჩენია 1543-1545 წლის მოვლენებიც. იგი მიუთითებს, რომ არზრუმის მხარეში მეორე ბეგლარბეგის ფერხად ფაშას შემდეგ მესამე ბეგლარბეგად გვევლინება ყიზილახმედ მუსა ფაშა, რომელიც წარმოშობით იყო კასტამონიიდან. კირზიოღლუ იშველიებს წყაროში მოყვანილ ფაქტს და აღნიშნავს, რომ ათაბაგთა რამდენიმე აზნაური არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას, ამიტომ ეს მიზეზი საკმარისი აღმოჩნდა მათ დასასჯელად. მუსა ფაშა სულთან სულეიმანის ბრძანებით 1543 წელს თავისივე სანჯაყბეგებთან ერთად შეიჭრა ტაოში, ათაბაგთა მიწაზე და ალყა შემოარტყა ციხეს და ათ დღეში აიღო იგი.⁶⁵ შეიტყო რა ბაგრატმა ეს ამბავი, წამოვიდა ტაოელთა დასახმარებლად. იმ დროს, როდესაც მუსას ოლთისის ციხისთვის ჰქონდა ალყა შემორტყმული, ბაგრატმა მას ბევრი საჩუქარი მიართვა და ამასთანავე აღუთქვა, რომ თუ მუსა ფაშა უკან გაბრუნდებოდა, ციხის გასაღებებს ჩააბარებდა. მუსამ უკან, არზრუმისკენ დაიხია, მაგრამ ბაგრატმა ის მოატყუა და მუსა და მისი ჯარი გაწყვიტა (Kirziloğlu 1998, 173-174)⁶⁶.

აქვე არის აღნიშნული, რომ გაიგო რა ეს ამბავი დიარბაქირის ბეგლარბეგმა ჰადიმ ფაშამ, ილაშქრა ტაოზე. ქართველი მმართველები უკვე წასულები იყვნენ აქედან, ამიტომ ჰადიმ ფაშამ აქაური სოფლების ნაწილი გადაბუგა და უკან გაბრუნდა. ავტორი აქვე იშველიებს „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ფაქტთან დაკავშირებულ მოვლენებს (Kirziloğlu 1998, 175; ასევე, იხ. სქოლიო 146, 147). „ქართლის ცხოვრებიდანვე“ მოჰყავს 1545 წლის სოხოისტას ბრძოლის შესახებ ინფორმაცია (Kirziloğlu 1998, 175). იგი მიუთითებს ასევე შაჰ თამაზის 1546 წელს ახალქალაქზე გამოლაშქრების, ჯარისკაცთა მიერ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გატაცების ფაქტზეც (Kirziloğlu 1998, 175).

იხება რა სულემან კანუნის აღმოსავლეთის ლაშქრობას ირანის წინააღმდეგ, კირზიოღლუ მიუთითებს, რომ 1548 წელს, როდესაც სულეიმანმა თავრიზზე გაილაშქრა, არზრუმის ბეგლარბეგს თექეოღლუ მეჰმეთ ფაშას უბრძანა, ელაშქრა საათაბაგოზე და არზრუმის საბეგლარბეგოს სიახლოვეს მდებარე სამცხის ციხეები დაეკავებინა. ამით, ოსმალები დასჯიდნენ ათაბაგებს⁶⁷, რომლებიც ოსმალებს განუდგნენ და

65 კირზიოღლუს, რატომღაც, ციხის სახელი არ აქვს გაშიფრული და არც ადგილმდებარეობა მითითებული. ჩვენეული ამოკითხვით არის „ელი“-ს ციხე.

66 კირზიოღლუ 145-ე სქოლიოში მიუთითებს, რომ წყაროს მიხედვით (Ahsenü-i Tevarih) მუსა ფაშამ სამოც სანჯაყბეგთა ერთად გაილაშქრა ტაოში და აღნიშნავს, რომ ეს არის შეცდომა, და სანჯაყბეგთა რაოდენობა ათჯერ არის გაზვიადებული.

67 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კირზიოღლუ ჯაყელ ათაბაგებს ქრისტიან ყივჩაღებად მიიჩნევს.

ირანს მიემხრნენ. 1548 წლის 15-16 აგვისტოს მეჰმედ ფაშა შეიჭრა სამცხეში და ალყა შემოარტყა ოლთისის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მდინარე ბანასწყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბარაკანის ციხეს. მეციხოვნეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ციხე აღებულ იქნა. შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს კომიკის ციხე⁶⁸, მდინარე ბანას მარჯვენა ნაპირზე მდებარე ფანაკის ციხე,⁶⁹ მდინარე ბანას და ოლთისის წყლის შესართავიდან 3 კილომეტრით ქვემოთ, დინების მიმართულებით მდებარე ფანაკის ციხე, სამაგარას ციხე და ახას ციხე (Kırziloğlu 1998, 195-196)⁷⁰. კირზიოღლუ აღნიშნავს, რომ სულეიმან კანუნის სეფიანთა ირანზე მეორე ლაშქრობის დროს ვანის მხარის ალების შემდეგ, ოსმალთა ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი იყო არზრუმის ვილაეთის ჩრდილოეთით მდებარე საათაბაგოს ტერიტორიის დაპყრობა და აქ ოთხი სანჯაყის დაარსება. აქვე კირზიოღლუ აცხადებს, რომ 1548 წლის აგვისტოში, როდესაც არზრუმის ბეგლარბეგმა მეჰმედ ფაშამ ათაბაგებს ნარმანსა და ბანას მხარეში ციხეები წაართვა, იმავე წლის 25-28 აგვისტოს სეფიანმა ისმაილ მირზამ მოახრა ყარსის მხარე. ამ დროს სეფიანთა კიდევ ერთი სარდალი ბეჰრამ მირზა ბაიბურთისკენ გაემართა და იქ შეებრძოლა მეჰმედ ფაშას. როგორც ჩანს, ამით ისარგებლეს ათაბაგმა ქაიხოსრო II-მ და მისმა სარდალმა ოთარ შალიკაშვილმა და ნარმან-ბანას მხარეში წართმეული ციხეები უკან დაიბრუნეს. მათ ასევე წაართვეს ოსმალებს 1536-1537 წლებში დაკარგული ფერთექრექ/ლივანას სანჯაყი და სპერის საზღვარსაც კი მიადგნენ. კირზიოღლუს თქმით, ეს ციხეები და მხარე ოსმალებმა 1549 წელს კვლავ ჩაიგდეს ხელში, რადგან წყაროებში ნათქვამია, რომ 1549 წელს ერთი წლის წინ დაკარგული ციხეები ოსმალებმა კვლავ დაიბრუნესო. კირზიოღლუ ასევე აღნიშნავს, რომ ათაბაგთა აღნიშნული მანევრი არც ოსმალურ და არც ქართულ წყაროებში არ არის დაფიქსირებული, თუმცა „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია ოსმალთა 1549 წლის დაპყრობებზე სამცხის მიმართულებით და თარიღიც

ამ აზნაცვიც იმავეს იძიორებს. თუმცა, ამის რეალურად დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია.

68 არაბული გრაფიკით შესრულებულ დასახელებაში იკითხება „კომიკი“ (ქართული წყაროებშიც კომიკის ციხედ არის მოხსენიებული). იმის გამო, რომ თურქული ენის სპეციფიკა მოითხოვს თანხმობანთა შორის ხმოვნის ჩასმას, ავტორიც „კომიკი“-ად კითხულობს.

69 აქვე, საინტერესოა კირზიოღლუსეული განმარტებები ქართულთან დაკავშირებით. ის აღნიშნავს, რომ ქართველები სახელებს „ი“ ან „ა“ ასო.ბგერებს ამატებენ და ასე ღებულობენ ახალ სახელებს. ეს მაგალითი ბანასთვისაც დამახასიათებელიაო: ბან(ა). ავტორი მიიჩნევს, რომ ეს არის თურქულ სახელი Ban-lar და „ულუ-ბეგებს“ (Ulu-Beg'ler) ნიშნავს (Kırziloğlu, 1998:195. სქოლიო 212).

70 ავტორი იმოწმებს რამდენიმე წყაროს: აქედან ჯელალზადეს და ალის მხოლოდ ბარაკანის და ფენეკის სახელები აქვთ მოხსენიებულიო. მეჰმედ ფაშას მიერ აღებული შვიდი ციხის სახელი ოსმალო ისტორიკოსს იბრაჰიმ ფეჩევის აქვს მოხსენიებული: ბარაკანი, ქომიქე, ბანაკი, ბარნაკი, ქოჩიქი, სამაგარი, ახა. ხოლო ქათიბ ჩელების „ჯიჰანნუმაში“ ნათქვამი, რომ აღნიშნული ბოლო ორი ციხე აღებულ იქნა 1549 წელს. ჩელები ასახელებს რვა ციხეს: ბარაკან-ბარუსუ, ქორმიქი (ქომიქე), ფენევი, ბარნაკი, სამაგარი, ალა-ბერდი (ახა), ნიხახი, ირმახური (Kırziloğlu, 1998:196. სქოლიო 214).

არის დასახელებული - 1547 წელი. კირზიოღლუ მიიჩნევს, რომ ეს თარიღი არასწორად არის მითითებული (Kirzioğlu 1998, 198). იგი იმოწმებს ჰასან რუმლუს ცნობებს 1549 წლის მოვლენებთან დაკავშირებით და მას სწორად მიიჩნევს. რუმლუს მიხედვით, ოსმალეთის ფადიშაჰმა მესამე ვეზირი ყარა აჰმედ ფაშა ოთხი ათასი ცხენოსნითა და ფეხოსნით საქართველოს დასალაშქრავად გააგზავნა. მათ ყვარყვარეს შვილს, ქაიხოსროს წაართვეს მათი კუთვნილი „დავ-ელის“ მხარე და უკან, სამშობლოში დაბრუნდნენ (Kirzioğlu 1998, 199).

კირზიოღლუს მიხედვით სულეიმან კანუნის ბრძანებით დაილაშქრა სამცხის დასავლეთი ტერიტორიები. იგი წყაროებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ როდესაც სულეიმანი თავისი ჯარით ყარააღაჯში იდგა, მოუვიდა ამბავი ქართველებისგან სასაზღვრო რაიონების აოხრების შესახებ, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ქაიხოსრო მეორემ დაკარგა ახალქალაქი და ახალციხე, რეზიდენციად აირჩია არზრუმთან ახლოს მდებარე და მიუვალი თორთუმის ციხე. სულეიმანმა საათაბაგოს მხარეების დალაშქვრის ბრძანება მისცა მესამე ვეზირ აჰმედ ფაშას. მის ლაშქარში უნდა გაერთიანებულიყვნენ არზრუმის, დულყადრიის (მარაშის), რუმის (სივასი) ბეგლარბეგები და სანჯაყბეგები, გარკვეული რაოდენობის იენიჩრები კეთხუდებთან⁷¹ ერთად, ასევე ფადიშაჰის სასახლეში მომსახურე უცხოელთა შენაერთი და მათი ხელმძღვანელობა. 1549 წლის 25 აგვისტოს აჰმედ ფაშა გამოემართა და 8 სექტემბერს ერზრუმის ციხის წინ დასცა ბანაკი და დაელოდა სულთნის ბრძანების შესაბამისად მოსასვლელ ლაშქარს. 1549 წლის 11 სექტემბერს ოსმალთა ლაშქარმა თორთუმის ციხეს ალყა შემოარტყა. ციხისთავმა ჯორჯი აღამ⁷² დანებებაზე უარი თქვა და ბრძოლა დაიწყო. ოსმალებმა ციხე 13 სექტემბერს აიღეს და აქ სანჯაყბეგი დასვეს. შემდეგ უბრძოლველად აიღეს ნიხახის და ამირახორის ციხეები და მუსლიმებს დაუქვემდებარეს. შემდეგ 17 სექტემბერს ზარბაზნებითა და თოფების სროლით ალყაში მოაქციეს თორთუმთან ახლოს მდებარე და „საქართველოს კლიტედ“ წოდებული, დღევანდელ სოფელ ონგუზეკში მდებარე ცნობილი აკჩაყალას ციხე, კედლები შეანგრიეს და დიდი ძალისხმევით შემდეგ, 22 სექტემბერს აიღეს. ციხის უფროსი კედლებიდან გადმოაგდეს და ასე მოკლეს. აკჩაყალას ალების შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს ეშქესორის და შემდეგ ზიხის და ხარსის ციხეები. ამგვარად დაკავებულ იქნა სამხრეთით ნიხახიდან,

71 ქეთჰუდა ერქვა საჯარო მოხელეს და პასუხისმგებელი იყო სასამართლო პროცესების წარმოებაზე, ფინანსების მართვასა და აწარმოებდა ადმინისტრაციულ საქმეებზე ზედამხედველობას.

72 სულეიმან კანუნის მიერ საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ „სასიხარულო ამბავთა წერილში“ თორთუმის ციხე მოხსენიებულია, როგორც მხარის მთავარი ციხე; კიდევ ერთი წყაროს მიხედვით თორთუმის ციხისთავი ყოფილა ვინმე გორჯი (Görçi) გიორგი (Giorgi) (იხ. Kirzioğlu, 1998:199, სქოლიო 226).

ჩრდილოეთით ზიხის ციხის ჩათვლით თორთუმის მთელი ხეობა (Kırzioğlu 1998, 199-200).

აქჩაყალას აღების შემდეგ, 24 სექტემბერს, ოსმალთა ჯარი ქამხისის ციხეს მიაღდა. 30 სექტემბერს ქამხისის, ფანასკერტის, ანზავის, სხვა აღჯაყალას ციხეები. ამ სამ ციხეს დაქვემდებარებული და ამავე მხარეში მდებარე, მთლიანობაში თხუთმეტივე ციხე ოსმალთა ჯარისგან შეშინებულმა ციხის მცველებმა მიატოვეს და გაიქცნენ. ოსმალებმა აიღეს ათაბაგთა კუთვნილი [ეს] ციხეები, ასევე აღებულ იქნა ბარდიზსა და ოლთისს ქვემოთ ოლთისის წყალსა და მის შენაკადების ხეობებში არსებული ყველა ციხე, კოლასა და არტანუჯის საზღვრებამდე მდებარე ციხეები, ასევე 1 ოქტომბერს ოსმალთა ჯარმა უომრად დაიკავა თორთუმის ხეობაში, სოფელ ხახოში⁷³ მდებარე რადის ციხე⁷⁴. 3 ოქტომბერს ოსმალებმა ლივანის ხეობაში ქართველებს⁷⁵ წართვეს კისკიმის ციხე/იუსუფელი-ერკნისის მხარე, ასევე, 7 ოქტომბერს დაიკავეს ქართველთა ერთ-ერთი დიდი ციხე-ფერთეკრეკი, იუსუფელში - ნიხახის და არსუსი/ერსისის ციხეები. ქართველებისგან ტაოს მხარეში⁷⁶ წართმეული თხუთმეტი ციხიდან უმეტესი დანგრეულ იქნა. დაკავებულ ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა ოთხი - თორთუმის, აღჯაყალას, ქამხისის და ლივანას სანჯაყები, ხოლო მესამე ვეზირი აჰმედ ფაშა 1548 წლის 24 ოქტომბერს ტაოში განხორციელებული დაპყრობების შემდეგ, ყარაჯადალიდან გამოსულ და დიარბექირთან⁷⁷ მდებარე ჩევილიკში დაბანაკებულ ფადიშაჰს შეუერთდა (Kırzioğlu 1998, 201-202). ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაკავებულ ციხეებთან დაკავშირებით კირზიოლლუს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მოაქვს საინტერესო ინფორმაცია. იგი მიუთითებს, რომ ჯელალზადეს⁷⁸ მიხედვით ათაბაგებისთვის წართმეული დიდი და პატარა ციხეების რაოდენობა 45 იყო, თუმცა ჯელალზადე ასახელებს მხოლოდ 11-ს: თორთომი, ნიხახი, ამირახორი, ახჩაყალა, ემკესორი, ქამხისი, ფანასკერტი, ანზავი, სხვა აღჯაყალა, რად ბეგის ციხე, ფერთექრეკი. რაც შეეხება სულიეიმან კანუნის მიერ საფრანგეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილს, სულიეიმანი აცნობებს, რომ დიდი ციხეების თორთუმის, ნიხახის და აღჯაყალას გარდა, მან დაიკავა კიდევ 35 ციხე-სიმაგრე. დაკავებულ ციხეთა სახელები მოტანილი აქვს

73 იგივე ხახული

74 კირზიოლლუს მითითებით ზოგიერთ წყაროში ეს ციხე „რად ბეგის“ ან „რადიკის“ ციხედაც მოიხსენიება.

75 მიუხედავად იმისა, რომ წყაროში ნათლად არის მითითებული ტაო-კლარჯეთის მხარის და ციხეების ქართველების კუთვნილებაზე, რაზეც თავად კირზიოლლუც ზუსტად ასევე უთითებს, იგი, მაინც, საკუთარი ინტერპრეტაციისას ათაბაგებს ყივჩაღებად მოიხსენიებს.

76 კირზიოლლუს მიერ მითითებული წყაროებში იხსენიება, როგორც „Dav Eli“.

77 ისტორიული სახელი Amad.

78 ჯელალზადე მუსტაფა ჩელები თურქი სახელმწიფო მოღვაწე და სულიეიმან I-ის მეფობის დროის ისტორიკოსი. მის კალამს ეკუთვნის კანუნის მოღვაწეობის პერიოდის ამსახველი ნაშრომი „დიდებული საუკუნე“.

სულეიმანის არმიაში მყოფ ისტორიკოს სელმანს, სულ 39 ციხე და კოშკი. ესენია: 1.თორთომი, 2. აქჩაყალა, 3. კისკიმი, 4. ნიხახი, 5. ფერთეჟრეკი, 6. ბაშ-კაპანი, 7. გორგეჩი, 8. ოდუქი, 9. ხერისია, 10. ორუსკუნი, 11. ფისტეისორი, 12. ეშქესორი, 13. ზიქიხი, 14. შეხიჯეკი, 15. კიამხისი, 16. ფანასკერტი, 17. ორჯეკი, 18. ანზავი, 19. ფანაკი, 20. ფერნეკი, 21. ქოთუკი, 22. სამაგარი, 23. ახა, 24. ინჩი, 25. შამხი, 27. ერთესკინი, 27. მუშაკი, 28. ქეჩურ-ქოი, 29. ქედვანქი, 30. ჩარჩური, 31. სოდმუნრუკი, 32. ნორფურტი, 33. ნიხახი, 34. კოდუკი, 35. სხვა აღჯაყალა, 36. ერსუზი, 37. თაქთაქი, 38. ორუმნაკი, 39. ჩელვირი. აღსანიშნავია, რომ კირზიოღლუ ყველა დასახელებული ციხის, ჩელვირის გარდა, ადგილმდებარეობაზე მიუთითებს. იმავე ჯეღალზადეს დასახელებული აქვს ოსმალების მიერ ტაოს ტერიტორიაზე დაარსებული ოთხი სანჯაყის - ფერთეჟრეკის, აქჩაყალას, თორთუმის, კიამხისის სახელები. აქვე არის დამოწმებული ფეჩევის და უზუნჩარშილის მიერ საკუთარ ნაშრომებში დასახელებული რამდენიმე ციხის სახელი, რომელთა შორის რამდენიმე განსხვავებულად არის ამოკითხული. მაგ: ფეჩევისთან კიამხისი - თელხისად; უზუნჩარშილისთან ნიხახი-ნაჯახად, ამირახორი-მირაჰურად, ფანასკერტი-ბენგერდად. სამცხის ათაბაგებისგან წართმეულ ტერიტორიაზე დაარსებული ოთხივე სანჯაყი დაუქვემდებარეს არზრუმის ეიალეთს (Kirzioğlu 1998, 203). კირზიოღლუს მოჰყავს სულეიმან კანუნის მიერ საფრანგეთის მეფის კარლოს V-სადმი გაგზავნილი 6 პუნქტიანი წერილის თარგმანი. ჩვენთვის საინტერესოა მე-5 პუნქტი, სადაც სულეიმანი ამბობს, რომ მისმა ვეზირმა აჰმედ ფაშამ საქართველოს 35 ციხე წაართვა, ამ ციხეთაგან 14 დანგრეულ იქნა, 21 ციხეში ოსმალური გარნიზონები ჩადგნენ, ერთი საბეგლარბეგოს ოდენობის ტერიტორია, რომელიც იქ დაარსებული ოთხი სანჯაყისგან შედგებოდა, ოსმალეთს შეუერთდა (Kirzioğlu 1998, 204).

როგორც ვხედავთ, ოსმალეთის სულთანი სულეიმან კანუნი თავის წერილში მიუთითებს საქართველოსგან წართმეულ მიწებზე და მასში რაიმე ყვიჩალური ელემენტიც კი არსად ჩანს.

შემდეგი ქვეთავი (Ç) სულეიმან კანუნის მესამე აღმოსავლურ ლაშქრობას ეხება. ამ ქვეთავში ჩვენთვის საინტერესოა ოსმალების მიერ სამცხის ათაბაგებისგან არტანუჯისა და არტანის წართმევის საკითხი. კირზიოღლუს მიხედვით, ვანიდან არზრუმში გამოგზავნილმა და არზრუმის ბეგლარბეგად დანიშნულმა ისკანდერ ფაშამ არზრუმის სანჯაყბეგებთან და ადგილობრივ ჯართან ერთად 1551 წელს ათაბაგების კუთვნილ და ჭოროხის აუზში დარჩენილ უკანასკნელ ციხეზე არტანუჯზე გაილაშქრა და ალყიდან 33-ე დღეს (1551 წლის 13 მაისი) იგი დაიკავა. შემდეგ გააგრძელა გზა აღმოსავლეთით და მტკვრის ნაპირზე მდებარე ქინძო დამალის და არტანის ციხეები დაიჭირა. კირზიოღლუს ამ ამბის დასადასტურებლად მოჰყავს „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში აღწერილი მოვლენები (Kirzioğlu 1998, 207).

მონოგრაფიაში მოყვანილი ცნობების მიხედვით⁷⁹ 1552 წელს არზრუმის ბეგლარბეგმა ისკანდერ ფაშამ ქართველები დახარკა და სულთან სულეიმანს გაუგზავნა. მან ასევე აღადგინა არტანუჯში თეთრბატკნიანთა მიერ აშენებული, შემდეგ ქართველებისგან დანგრეული ჯამე, აქცია ის სანჯაყის ცენტრად და მოსახლეობის სწრაფი გამუსლიმება დაიწყო (Kirzioğlu 1998, 203).⁸⁰

კირზიოღლუ სპარსულ წყაროებზე დაყრდნობით ამბობს, რომ 1551 წელს, როდესაც შაჰ თამაზი შაქში იმყოფებოდა, ქაიხოსრო II-მ მასთან ელჩები გააგზავნა დახმარების თხოვნით, რადგან ქართველმა (მესხმა) ვახუშტიმ, შერმაზანმა და ქართლის მეფე ლუარსაბმა მას წაართვეს ტერიტორიები. ამავე დროს ისკანდერ ფაშამ არტანუჯის ციხეს ალყა შემოარტყა. ქაიხოსრო შაჰის მოხარკე იყო, ამიტომ შაჰი სასწრაფოდ წამოვიდა მის დასახმარებლად. მან მთაზე გადმოიარა, დაიკავა მალინკოპი, არქარა, დერზაბადი⁸¹ და ამ მხარის ლამაზი და შემკობილი ეკლესია, ასევე თმოგვის ციხე. ამვანი, ლუარსაბ შერმაზანის ძე და ვახუშტი ეახლნენ შაჰს და მორჩილება გამოუცხადეს. ამ დროს შაჰს მდიდრული საჩუქრებით ეახლა ქაიხოსრო ათაბაგი. ვახუშტი და შერმაზანის ძე ჩამოახრჩეს. მათი სამფლობელოები, თმოგვის ციხე, ახალქალაქი და მისი მხარე ქაიხოსროს გადაეცა. ამგვარად, ათაბაგმა დაკარგა არტანუჯი და არტაანი, რომელიც ოსმალებს დარჩათ, ხოლო შაჰისგან მიიღო თავისი წინაპრების კუთვნილი ახალქალაქი, თმოგვის ციხე. ათაბაგმა ეს გააერთიანა მის მფლობელობაში მყოფ ქობლიანის, ახალციხის და აწყურის მხარეებთან და მისი დამოკიდებულება შაჰთან კიდევ უფრო განმტკიცდა (Kirzioğlu 1998, 209). კირზიოღლუ აღნიშნული მოვლენის განხილვისას იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანს. ავტორის თქმით, შაჰმა გადაურჩინა რა ქაიხოსრო ათაბაგს დარჩენილი ტერიტორიები, ამით ოსმალთა წინააღმდეგ ბუფერული ზონა შექმნა (Kirzioğlu 1998, 210).

კირზიოღლუ საკმარისად ვრცლად მოგვითხრობს 1552 წლის შაჰ თამაზის დიდ ლაშქრობაზე ოსმალთა წინააღმდეგ. ამ მიმართულებით ჩვენთვის საინტერესოა ყაჯარ ბაირამ ბეგის და ათაბაგ ქაიხოსროს მცდელობა, გაეთავისუფლებინათ ტაო ოსმალებისგან. ნათქვამია, რომ თამაზმა აღნიშნული სამხედრო ოპერაცია დაგეგმა მაშინ, როდესაც იდგა

79 კირზიოღლუ იმოწმებს სულთან სულეიმანის სიძის და დიდი ვეზირის ლუტფი ფაშას ნაშრომს „Asafname“-ს და 1953 წელს რეშიდ ისკანდეროღლუს მიერ წარდგენილ არაბულად შესრულებულ ტექსტს დათარიღებულს 1565 წლით, სადაც საინტერესო ცნობებია დაცული არტანუჯის შესახებ.

80 კირზიოღლუს მიერ დამოწმებული წყაროების მიხედვით ისკანდერ ფაშამ ილაშქრა რა ქართულ მხარეში, მოუწოდა ქართველებს მორჩილებისკენ. თუმცა, მათგან უარი მიიღო და არტანუჯის ციხე აიღო, მას დაემორჩილა ციხის მფლობელი ქაიხოსრო II, რომელმაც ფაშას საჩუქრები მიართვა. საჩუქრებს შორის იყო მეტად ძვირფასი თვლებით შემკობილი, ლალისფერი სასმისი, რომელიც შემდეგ სულთანს გადაეგზავნა .

81 უცნობია, თუ რომელი ადგილები იგულისხმება აღნიშნულ სამ პუნქტში.

ხლათში. მართალია, ბაირამ ბეგმა და ქაიხოსრომ შეძლეს ორი-სამი ციხის წართმევა ოსმალებისგან, მაგრამ მათ მოულოდნელად თავს დიდი ჯარით არზრუმის ბეგლარბეგი ისკანდერი წაადგა. ოსმალებმა ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს. ყიზილბაშებმა და ქართველებმა მოკლულთა სახით 300-მდე კაცი დაკარგეს და უკუიქცნენ (Kırzioğlu 1998, 213).

კირზიოღლუს საკმარისად ვრცლად აქვს აღწერილი ირან-ოსმალეთის ომის სცენები. რაც შეეხება ამასიის ზავს, იგი მიუთითებს, რომ შაჰ თამაზმა მოლაპარაკებების მიზნით 1555 წლის გაზაფხულზე სულეიმან კანუნს ელჩობა გამოუგზავნა ქემალედდინ ფერუხზად ბეგის ხელმძღვანელობით. ელჩი თანმხლებ პირებთან ერთად 10 მაისს მივიდა ამასიაში. აქ მათ დახვდა არზრუმის ბეგლარბეგი აიას ფაშა. ელჩობამ მოლაპარაკებები გამართა ოსმალთა ნაიბებთან და ვეზირებთან. 21 მაისს ჩატარდა ფადიშაჰის სასახლის კარის დივანი. რის შემდეგაც ფადიშაჰი შევიდა დივანის დარბაზში. მას გადასცეს შაჰის მიერ მოწერილი წერილი. 1 ივნისს სულეიმან კანუნმა შაჰ თამაზს ირან-ოსმალეთის ზავის ტექსტი გაუგზავნა, რომელიც სამი მუხლისგან შედგებოდა. როგორც კირზიოღლუ მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ „მუჰიმე დავთრებში“ ამასიის სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ დოკუმენტები არსებობს, არსად ჩანს 1554 წლის ერზრუმის დროებითი ზავის დეტალები, რომლის დადასტურებაც იყო სწორედ 1 ივნისის ამასიის ზავი. კირზიოღლუსვე თქმით, ირან ოსმალეთის საზღვრების, ამ ორ ქვეყანას შორის კავკასიის ქვეყნების გადანაწილების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება ამასიის ზავის შემდეგ შედგენილ ოსმალურ დოკუმენტებიდანაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით საინტერესოა ოფიციალური სპარსული ისტორიოგრაფია, სადაც 1554 წლის 27 სექტემბრის არზრუმის დროებითი ზავის პირობებია მოცემული, რომლის მიხედვითაც საქართველოს მხარეები ოსმალეთსა და ირანს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: კახეთი, მესხეთი⁸²(ახალციხე-ბორჩალო)⁸³ და ქართლი დარჩა ირანს; ხოლო ოსმალეთს - იმერეთი, სამეგრელო და სვანეთი, გურია, ტრაპიზონის საზღვრამდე ჭოროხის გასწვრივ ათაბაგთა ტერიტორიები - არტაანი, არტანუჯი, ოლთისი, თორთუმი.⁸⁴ სულეიმანი ამასიიდან სტამბოლისკენ გაემართა 1555 წლის 21 ივნისს, ხოლო მანამდე, სანამ სტამბოლში წავიდოდა, ბაჰრეინიდან საქართველოს ჩათვლით 11 ბეგლარბეგს და ადგილობრივ მმართველს ფირმანები დაუგზავნა და მოუწოდა, რომ არ შეხებოდნენ ირანის საზღვარს. ამ ფირმანებიდან კარგად ჩანს, თუ რომელი ტერიტორიები დარჩა ოსმალეთს (Kırzioğlu 1998, 240-245).

კირზიოღლუ ეყრდნობა 1556 წელს დასრულებულ ჯეღალზადეს ნაშრომს, სადაც 1555 წლის ზავის შემდეგ ირანის საზღვარზე არსებულ

82 მითითებულია როგორც Mosuk

83 ეს ორი მხარე კირზიოღლუს ფრჩხილებში აქვს მითითებული: Ahıska-Borçalı

84 ეს ტერიტორიები კირზიოღლუს მოხსენიებული აქვს, როგორც Dav-Eli

ოსმალეთის ვილაეთებია ნახსენები. აქ ჩვენთვის საინტერესო მხარეები გაერთიანებულია „არზრუმის და საქართველოს ვილაეთში“. საქართველოს მხარეების შესახებ, რომლებიც მიუერთეს ოსმალეთს, შემდეგი ინფორმაციაა მოცემული: 2) ტრაპიზონის ვილაეთზე დაქვემდებარებული საქართველოს მხარეები: გურია, სამეგრელო და იმერეთი; 11) ბასიანი (სანჯაყის ცენტრით - აენიკი), 13) ქიამხისი (დღევანდელი შენქაია და ოლური), 14) ოლთისი, 15) მამირვანი (ნარმანი), 16) თორთომი, 17) ფერთექრეჯი (იუსუფელი და ართვინ/ლივანა), 18) სპერი, 29) ბათუმი (სანჯაყის ცენტრი - გონიო). იმერეთის, სამეგრელოს და გურიის მხარეებიდან აკრეფილი ხარკი ბათუმის სანჯაყბეგის ხელით არზრუმის ხაზინაში ირიცხებოდა. მე-13- დან მე-18-ს ჩათვლით სანჯაყები და ბათუმის სანჯაყი ჩამოერთვა სამცხე-საათაბაგოს. აქვე ჩვენს ყურადღებას იპყრობს შემდეგი ფაქტი, რომ ამასიის მოლაპარაკებების დროს ოსმალები ეომებოდნენ სეფიანებს იმისათვის, რომ ხელში ჩაეგდოთ ისედაც შემცირებულ ათაბაგთა ტერიტორიიდან შავშეთის მოსაზღვრე ქობლიანის ცენტრი - ალთუნყალა, ასევე არტაანი და ყარსი. ამ საკითხს მცდელობას არ აკლებდა მთავარი ვეზირი ყარა ახმედ ფაშა, რომელიც ამასიიდან ირანში მიმავალ შაჰ თამაზის ელჩს შეხვდა და ირანის ოთხ ვეზირს - მასუმ ხან საფევის, ბედირ ხანს, სევუნდუქ ყორჩიბაშს და შაჰყულის შაჰთან წერილი გაატანა, სადაც ზავის პირობებზე მიუთითებდა და ალთუნყალას ოსმალეთისთვის გადაცემას ითხოვდა. კირზიოღლუს წერილის ტრანლიტირებული ტექსტი აქვს დამოწმებული. სწორედ ამ წერილის მეოთხე მუხლით მოითხოვენ ოსმალები ალთუნყალას (Kırzioğlu 1998, 245-246).⁸⁵

შაჰ თამაზმა ალთუნყალა არ გადასცა ოსმალებს. პირიქით, იმერეთის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილებში სალაშქროდ გააგზავნა ქაიხოსრო II-ს რეგენტის და ახალქალაქ - ჩილდირის⁸⁶ მხარის გამგებლის ოთარ შალიკაშვილის⁸⁷ ვაჟი ვარაზა. ამ ამბავმა სულთნის გულისწყრომა გამოიწვია და სათანადო წერილი გაუგზავნა. მონოგრაფიაში მოტანილია წერილის ლათინური გრაფიკით ტრანსლიტირებული სრული ტექსტი (Kırzioğlu, 1998:248-249).

ნაშრომის მეოთხე თავი ეხება სულთან მურად III-ის დროინდელ დაპყრობებს (1578-1590). აღნიშნული თავის ა) ქვეთავი ოსმალთა მიერ კავკასიის მიმართულებით გატარებულ მრავალმხრივ პოლიტიკას

85 ამავე მუხლში, ფრჩხილებში, კირზიოღლუ აკეთებს განმარტებას, რომ ათაბაგმა ქაიხოსრო II-მ ადიგენი როგორც ჩანს, ალთუნყალას გულისხმობს [რ.ყ.] საკუთარ დედაქალაქად აქცია.

86 ჩრდილის მხარე, ჩრდილის ტბა, პალაკაციო.

87 კირზიოღლუ აქაც თავისებურ ინტერპრეტაციას აკეთებს და შალიკაშვილი გამოჰყავს ჩალიკოღლუდ (Çalikoğlu).

88 დავთრები, სადაც დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები შიდა და გარე საკითხებთან დაკავშირებით

ეხება. სტატიის მიზნიდან გამომდინარე შევეხებით მხოლოდ სამცხე-საათაბაგოსთან დაკავშირებულ მოვლენებს. სტამბოლში ირანის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ოსმალებმა დაიწყეს სათანადო მომზადება აღმოსავლეთში სალაშქროდ. ბუნებრივია, სამზადისში ჩართული იყო სამცხე - საათაბაგოს დასავლეთინაწილიც, რომელიც ოსმალთა დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. ფაჰრეთინ კირზიოღლუ „მუჰიმე დავთრებზე“⁸⁸ დაყრდნობით აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. იგი აღნიშნავს, რომ ლაშქრობის დასაწყისში გონიოს პორტიდან ართვინის და არტანუჯის გავლით არტაანში შეუფერხებლად განხორციელდა ჯარისთვის და პირუტყვისთვის გამოსაკვებად საჭირო საკვების გადამზიდი საურმე საშუალებებისთვის და ზარბაზნების ღერძების გადასატანად საჭირო საგზაო სამუშაოები. ასევე, ოსმალეთის სარდლობას გადაწყვეტილი ჰქონდა, დაემზადებინა ბრტყელძირიანი ნავეები რომელთაც მტკვარზე დააცურებდა და არტაანიდან თბილისამდე და იქიდან შირვანამდე ტვირთს გადაიტანდა, მაგრამ არტაანში მტკვრის სათავეში მტკვრის დონის დაწევამ და სურამს იქით ირანს დაქვემდებარებული ქართველების მხრიდან აღნიშნულ ნავეებზე ადვილად თავდასხმის შესაძლებლობამ ოსმალებს ამ ჩანაფიქრზე ხელი ააღებინა. ცენტრალური ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება 1578 წლის 1 ივნისს არზრუმის ბეგლარბეგს ეცნობა (Kırzioğlu 1998, 277. იხ. სქოლიო). როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება სამცხე-საათაბაგოს სრულ ინკორპორაციამდე ქართულ-სამეფო სამთავროებთან ურთიერთობას არზრუმის ბეგლარბეგის საშუალებით ამყარებდა. ამჯერადაც იგივე მეთოდი იქნა გამოყენებული. 1578 წლის 16 ივნისს არზრუმის ბეგლარბეგს გაეგზავნა წერილი, სადაც მას მოეთხოვებოდა, რომ საქართველოს მხარეს ყიზილბაშებს დაქვემდებარებულ ათაბაგისთვის, ჩრდილის გამგებლის ვარაზაშვილისთვის⁸⁹ და აზნაურებისთვის წერილი და ხალათები გაეგზავნა და ეცნობებინა, რომ თუ ოსმალები მათი ტერიტორიებისკენ გაილაშქრებდნენ, ისინი ოსმალებს დამორჩილებოდნენ. ასევე მათთვის შეეთავაზებინა, რომ დაეთმოთ ოსმალებისთვის ჩრდილის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე აქჯაყალა⁹⁰. სამაგიეროდ, 1573 წელს გარდაცვლილი ქაიხოსრო ათაბაგის ნათესავს საკუთრებაში მიეცემოდა

დავთრები, სადაც დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები შიდა და გარე საკითხებთან დაკავშირებით, რაზედაც მიმდინარეობდა მსჯელობა ფადიშაჰის ვეზირთა საბჭოზე ანუ დივანზე. მიღებული გადაწყვეტილებები ეგზავნებოდა ფადიშაჰს დასამტკიცებლად ან შემდგომი რეაგირებისთვის. ოსმალეთის ისტორიის გარკვეულ პერიოდებში საბჭოს ფადიშაჰებიც ესწრებოდნენ. ოსმალეთის არქივში 961-1323 წლების (1553-1905წწ) 266 მუჰიმე დავთარი ინახება.

89 ეს გვარი მითითებულია როგორც ვარაზაოღლუ.

90 იგივე აღჯაყალა

ოლთისის ციხე. არზრუმის ბეგლარბეგი სამცხიდან პასუხს უნდა დალოდებოდა და შემდეგ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების ინსტრუქციის შესაბამისად უნდა ემოქმედა (Kirzioğlu 1998, 278). ოსმალეთის არმიის სარდალმა ლალა-მუსტაფა ფაშამ წერილები დაუგზავნა კავკასიის მეფე-მთავრებს, სულ 11 პიროვნებას, მათ შორის ქართველებს და აცნობა, რომ აპირებდა შირვანზე გალაშქრებას, ლაშქრობას დაიწყებდა 1578 წლის აპრილის დასაწყისში. ლალა ფაშა წერილის ადრესატებისგან თანადგომას და სათანადო მხარდაჭერას მოითხოვდა. რაც შეეხება სამცხეს, ლალა ფაშამ წერილი ცალკე ჩრდილის გამგებელ ვარაზაშვილებს, ცალკე სამცხის ათაბაგს ყვარყვარე IV-ს გაუგზავნა. წერილის ადრესატებისგან პასუხს თავისი კაცის შუამავლობით ელოდებოდა (Kirzioğlu 1998, 278-279). ადგილობრივი ბეგების გამუსლიმებასა და სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, რომ იმ დროს, როდესაც ლალა ფაშა არზრუმის ბეგლარბეგი იყო, მან ჯაყელების შტოს წარმომადგენელ შავშეთის გამუსლიმებულ სანჯაყბეგს ვინმე აჰმედს წერილი გაუგზავნა. აღნიშნულ ბეგს შავშეთის სანჯაყი ოჯაქლიქის წესით ჰქონდა მიცემული. აღნიშნულ წერილში ლალა ფაშა მოითხოვდა აჰმედისგან, რომ მას ალექსანდრე ლევანის ძისა და „ურჯულო“ ვარაზას ძისთვის გადაეცა ლალა ფაშას მოთხოვნა მორჩილებისა და ლაშქრობისას დახმარების შესახებ. ამგვარად, მატერიალურ და პოლიტიკურ სამზადისს თან ახლდა ფსიქოლოგიური სამზადისიც (Kirzioğlu 1998, 280).

ლალა ფაშა 1578 წლის 5 აპრილს ფადიშაჰის წინაშე წარსდგა, ხოლო 1578 წლის 28 აპრილს ფადიშაჰისგან მიღებული ფირმანის შემდეგ ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ დაიძრა. 1578 წლის 2 ივლისს ლალა ფაშა არზრუმიდან 12 კმ. მოშორებით ჩერმიკში (ილიჯა) დაბანაკდა, სადაც მას სხვადასხვა მხარეების ბეგლარბეგები საკუთარი ლაშქრით შეხვდნენ. 20 დღის განმავლობაში ლალა ფაშა ელოდა ტრაპიზონის პორტიდან წამოსულ ზარბაზნებს და სამხედრო აღჭურვილობას (Kirzioğlu 1998, 283). ავტორი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კოკოლა ვარაზას ძესთან დაკავშირებით. ინფორმაციის ერთ ნაწილს იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანიდან, სადაც დედისიმედის მიერ ოთარ შალიკაშვილის ძის ვარაზას მკვლელობაზე და შაჰ თამაზ პირველის მიერ კოკოლა ვარაზას ძისთვის 1574 წელს „ენი ყალას“⁹¹ (ახალციხის) გადაცემაზეა საუბარი. კოკოლა ვარაზას ძემ ისლამის მიღების შემდეგ დაირქვა მაჰმუდ ხანის სახელი და დაეუფლა ახალციხე-ახალქალაქის და ჩრდილის მხარეებს. „ნუსრეთნამეზე“ დაყრდნობით კირზიოღლუ წერს, რომ კოკოლამ შურეგელის ლაშქრობიდან დაბრუნებული არტანის რაზმის უფროსი მაჰმუდ ხანი დააპატიმრა, ახალციხის ციხეში გამოკეტა და ძალით შეაჭამა ღორის ხორცი. ასევე დაარბია ტყიან არტანში (ხანაკის რაიონი), 22

91 ამგვარად ასახელებს კირზიოღლუ ახალციხეს

სოფელში ჩასახლებული მარაშელი თურქმენები და წაასხა მათი საქონელი. საპასუხოდ ყარსის სანჯაყბეგმა იუსუფ ბეგმა ჩილდირის რაიონში ილაშქრა და სოფელ ჯანბაზთან დაამარცხა აქაურობის პატრონი კოკოლა ვარაზას ძე. ათასზე მეტი ქართველი ტყვედ წამოიყვანა და ჩერმიკში დაბანაკებულ ლალა ფაშას მიჰგვარა, რამაც სარდალი დიდად გაახარა (Kirzioğlu 1998, 284).

24 ივლისს ლალა ფაშა თავისი ლაშქრით ჰასანყალაში მოვიდა. 25 ივლისს არზრუმის ბეგლარბეგი ზარბაზნებითურთ ოლთისის გავლით არტაანში ჩავიდა. სოღანლის მთის სიახლოვეს, დასავლეთით მდებარე ბასმალისთან ყოფნისას ლალა ფაშას ეახლნენ იმერეთის მეფის გიორგი II-ის ელჩები და მორჩილება გამოუცხადეს. ლალა ფაშამ 2 აგვისტოს ალლაჰუეკბერის ბანაკიდან იმერეთის მეფის გიორგი II-ს ელჩები გაამგზავრა და მეფესთან წერილი გაატანა, სადაც წერდა, რომ ოსმალთა ჯარი არტაანისკენ მიემართებოდა. ლალა ფაშა მოუწოდებდა გიორგის, რომ, თუ ქართლის მეფე დავუდ ხანი⁹² და დედისიმედი⁹³ მას არ დაემორჩილებოდნენ, მას იქიდან შეეცია და თუ მორჩილებას გამოუცხადებდნენ, მაშინ მათ ფადიშაჰის სამსახურში ჩააყენებდა. 5 აგვისტოს ლალა ფაშა არტაანის ციხის სამხრეთით ვაკე ადგილზე დაბანაკდა და ორი დღე დაყო. აქ ყოფნის პერიოდში არზრუმის ბეგლარბეგმა ერევნის ხანს თოქმაქისგან წერილი მიიღო, რომელიც, სავარაუდოდ, ქართველებს ეხებოდა. პასუხად ოსმალებმა მიწერეს, რომ ქართველები ოსმალეთის ქვეშევრდომობის პერიოდში ხშირად ურჩობდნენ და ამბოხებებს აწყობდნენ, ამიტომ ოსმალები მათთან, როგორც „ურწმუნოებთან“ იბრძოლებენ. ასევე იომებენ მათ წინააღმდეგაც, ვინც მათ დაეხმარება, თუნდაც მუჰამედის გვარის იყოს. ოსმალები ამავე წერილში მიანიშნებენ იმაზეც, რომ ვანის ბეგლარბეგის კოსე ჰუსრეფ ფაშას მიერ არტაანის ვაკეზე თავრიზის ბეგლარბეგის თურმან ემირ ჰანის 20 000-იანი სამხედრო შენაერთის დამარცხებამ ოსმალთა არმიასი დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია. ოფიციალური სპარსული წყაროების მიხედვით, იმის გამო, რომ უშუალოდ ფადიშაჰი არ სარდლობდა ლაშქრობას, ირანის მხრიდანაც არ იქნა მიზანშეწონილი შაჰის სარდლობა. ირანის ჯარის შეგროვება და სარდლობა დაევალა უფლისწულ ჰამზა მირზას. მას შემდეგ, რაც ლალა ფაშას ჯარი ირანის საზღვარს მიუახლოვდა, ერევნის ხანს თოქმაქს, თავრიზის ხანს თურქმენ ემირს, განჯის ბეგლარბეგს კაჩარლუ იმამ ყული ხანს ებრძანათ, რომ თავიანთი ჯარებტურთ ერევნის მიდამოებში შეგროვილიყვნენ. თუმცა თურქმენ და უსტაჯალუს ტომებს შორის უთანხმოება მოხდა და თურქმენ ემირ ხანმა თავმოყრის ადგილზე დააგვიანა. იმამ ყული ხანი განჯელთა ჯარით წამოვიდა და ჩრდილის ველზე თოქმაქ ხანს შეუერთდა. ლალა ფაშას არტაანში ყოფნის დროს მსტოვრებმა ირანელთა 30000-კაციანი ჯარის არტაანის მხარეში შემოსვლა აცნობეს. ლალა ფაშამ თოქმაქ ხანს მკაცრი ტონით გაუდენტოილი წერილი გაიგზავნა და ირან-

92 სიმონ I-ს ძმა, გამუსლიმებული დავითი

93 სამცხე-საათაბაგოს დედოფალი, მანუჩარ II-ს და ყვარყვარ IV-ს დედა.

ოსმალეთის ზავის დარღვევაში დაადანაშაულა. 1578 წლის 8 აგვისტოს, პარასკევ დღეს ოსმალეთის ჯარი არტანიდან გამოვიდა და საზღვრისპირა სოფელ ბეჰრეხათუნის⁹⁴ ველზე დაბანაკდა. იმავე დღეს ალთუნყალის პატრონი ათაბაგ ქაიხოსრო II-ის ქვრივის დედისიმედის ელჩი ლალა ფაშას მორჩილების წერილით ეახლა. ელჩმა მას აუწყა, რომ დედისიმედი მის უფროს ვაჟს მანუჩარს მძევლად აძლევდა, ხოლო უმცროსი ვაჟი ყვარყვარე⁹⁵ მზად იყო, ხარკი ეხადა, თუმცა აშკარა იყო, რომ ისინი ელოდებოდნენ ირანსა და ოსმალეთს შორის ომს (Kirzioğlu 1998, 287-288). როდესაც ოსმალეთის ჯარი არტანიდან აიყარა და საომრად გაემართა, არტანის სანჯაყბეგი აბდურაჰმანი და ბაიბურთის ალაიბეგი⁹⁶ ბეჰირ ბეგი გადავიდნენ ულგარის მთას⁹⁷ მაჰმუდ ხანის სამფლობელოში იმ დღესვე დაიკავეს ფოცხოვის⁹⁸ მერეს ციხე, საღამოს ვალის ციხე, სადაც მეციხოვნენი განათავსეს. მეორე დღეს, 9 აგვისტოს აიღეს ახალციხე,⁹⁹ თმოგვი,¹⁰⁰ ხერთვისი,¹⁰¹ ჩრდილი(ქურთქაღე)¹⁰² და ახალქალაქის ციხეები. კირზიოღლუ აქვე იმოწმებს ქართულ წყაროს და აღნიშნავს, რომ 7 აგვისტოს ლალა ფაშა თავისი ჯარით მიადგა მგელციხეს და ერთი დღის ბრძოლის შემდეგ არტან-ბაიბურთელთა ჯარით აიღო ეს ციხე, ბრძოლაში დაეცნენ მეციხოვნენი: როინ გოგორიშვილი, მისი ძმა ბერი ერუშნელი და ძმისშვილი ზურაბი. ასევე, ოსმალებმა დაიკავეს ქაჯის ციხე, ველის ციხე და თეთრა ციხე იგივე აღჯაყალა. ამ დროს ვარაზას ძე მეჰმედ ხანი (გამუსლიმებული შალიკაშვილი კოკოლა) თოქმაქ ხანის ჯართან ერთად ჩრდილის ტბის ჩრდილო-დასავლეთით დაბანაკდა (Kirzioğlu 1998, 288).

9 აგვისტოს, პარასკევ დღეს ბეჰრეხათუნიდან დილით ადრე წამოსულმა ლალა ფაშამ შეტევა განახორციელა მდინარე ყარასუს ნაპირზე, 70 მეტრის სიმაღლის კლდეზე ნაშენებ შეითან ყალაზე¹⁰³ და ციხის დასავლეთით მდებარე ქედიდან ზარბაზნების საშუალებით მისი აღება სცადა. იმავე დღეს, შუადღის შემდეგ მწყობრი ჯარით მომავალი დიარბეჰირის ბეგლარბეგი დერვიშ ფაშა სამხრეთიდან ურთას წყლისა და აღმოსავლეთიდან მდინარე ყარასუს შესართავთან მდებარე დღევანდელი ჩრდილის რაიონულ ცენტრ

94 ეს სოფელი არტანის მხარეში დღესაც არსებობს და იმავე სახელს ატარებს.

95 კირზიოღლუ გორგორად იხსენიებს

96 ზეამეთის მფლობელი და სანჯაყთა სიფაჰების მეთაური.

97 ეს მთა მდებარეობს დღევანდელი არტანის მხარეში, არტანიდან ფოცხოვისკენ მიმავალი გზა ულგარის უღელტეხილზე გადის. ქართულ წყაროებში სანიორეს მთის სახელითაც მოიხსენიება.

98 აღსანიშნავია, რომ ავტორს უწერია Poskhov და არა Posof როგორც დღეს არის თურქულ ოფიციალურ ლიტერატურაში მიღებული.

99 ავტორი Yenikale-დ იხსენიებს.

100 ავტორი Tümüik-ად იხსენიებს

101 ავტორი Khirtiz-ად იხსენიებს

102 მგელციხე

103 იგივე ქაჯის ციხე ან რაბათის ციხე (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ჩილდირის რაიონში).

ზურზუნასთან¹⁰⁴ ახლო გასასვლელში ირანელთა ავანგარდის ჩასაფრებულ 2000-მდე ჯარისკაცს შეეფეთა. ოსმალებმა ლალა ფაშას შეუტყობინებლად აღნიშნულ რაზმთან ბრძოლა გამართეს. ერევნის და განჯის ბეგლარბეგები ათი ათასი ცხენოსნით და უფრო მეტი ფეხოსნით ჩრდილოეთით მდებარე ილდირიმთევეს (2258 მ) და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ზინზალის (2144 მ)¹⁰⁵ მთებსა და ყარასუს გასწვრივ ჩრდილის ვაკის პატარა გორებზე იყვნენ ჩასაფრებულები. თოქმაქ ხანის მიერ საზღვარზე ოსმალებისთვის გზის ჩასაკეტად გამოყენებული აღნიშნული ვიწრო ყელი, ირანელთა სწორ ტაქტიკაზე მიუთითებს. ორივე ჯარის ავანგარდის ორსაათიანმა შეტაკებამ ოსმალები გადაღალა. მათ მიეშველა ოზდემიროღლუ ოსმან ფაშა და მარაშიდან წამოსული აჰმედ ფაშა თავისი დამხმარე ჯარით. წვიმაში, შუადღიდან დაღამებამდე, ზარზაუნებისა და თოფების გამოყენების გარეშე, მხოლოდ ხმლითა და შუბებით მიმდინარე ჩრდილის ბრძოლა ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა. ირანელებმა ისარგებლეს დაბნელებით, ბრძოლის ველზე დატოვეს 5000-ზე მეტი მოკლული 500-ზე მეტი დაჭრილი თანამებრძოლი და ბრძოლის ველს გაეცალნენ (Kirzioğlu 1998, 289-290).

გამარჯვების მეორე დღეს, 10 აგვისტოს, კვირაა დღეს 5-6 ათასიანი ჯარით ათაბაგი მანუჩარი ზარზაუნით ეახლა ლალა ფაშას და მორჩილება გამოუცხადა¹⁰⁶. ლალა ფაშას მიერ მას ებოძა აწყურის სანჯაყი, მის ძმას ყვარყვარეს ოლთისის სანჯაყი, მისსავე სხვა ძმებს ე.წ. „აღირ ზეამეთები“,¹⁰⁷ მათ დედას დედისიმედ დებორას სახასო წესით მიეცა სამი სოფელი. ასევე, მანუჩარს მიეცა ერთი დროშა, დოლი, პირადად ლალა ფაშას საჩუქარი - ოქროთი მოვარაყებულ ნაჭრით შეკაზმული ცხენი, აბრეშუმის კარავი და მორთული ხალათები. მანუჩარმა ლალა ფაშას ალთუნყალას ციხის გასაღებთან ერთად გადასცა ახლომდებარე კიდევ 32 ციხის გასაღები, რომლებიც ოსმალეთს დაექვემდებარნენ. იმ დღიდან მანუჩარი თბილისისა და შირვანის დაპყრობებში ოსმალებს მეგზურობას უწევდა. იმავე დღეს ლალა ფაშამ თოქმაქ ხანს შესთავაზა, გადასულიყო ოსმალთა სამსახურში, თუმცა უარი მიიღო (Kirzioğlu 1998, 290-291).¹⁰⁸

104 ისტორიული ძურწნა

105 ისტორიული წინწალი

106 ცნობილია, რომ მანუჩარი თავიდანვე არ გამოცხადებულა ლალა მუსტაფა ფაშასთან მორჩილების გამოსახატავად. იგი დაელოდა ჩილდირის ველზე ოსმალებსა და სეფიანების მთავარ შეტაკებას (9 აგვისტო), რომელსაც იგი მაღალი ფერდობიდან თვალს ადევნებდა. მის მიზანს წარმოადგენდა ხლებოდა გამარჯვებულს და მისთვის პატიება და მორჩილება გამოეცხადებინა (მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე, ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2021, გვ. 93).

107 რომელთა წლიური შემოსავალიც 50000 ახჩას აღემატებოდა.

108 კირზიოღლუ ირანელი მემკვიდრის დიზპული ჯემალ ბინ ჰასანის თხზულებაზე დაყრდნობით გვამღვეს ჩილდირის ომში მონაწილე ირანელი ბეგების სახელებს: კაჩარ ანსარ ხანი, ზოჰრბ ბეგი, ემირ ხანი, ჰალილ ხანი, ველი ხანი, ყუმის სულთანის თურქმენ ჰაიდარ ბეგი, ქაშანის მხარის გამგებელი თურქმან მეჰმედ ველი ხანი, უსტაჯალულუ ფეირე ხანი, ალი ხანი,

1678 წლის 10 აგვისტოს ლალა ფაშამ იენიყალას (რაბათი)¹⁰⁹ ჯარით აუარა და თბილისისკენ აიღო გეზი. მეორე დღეს აბდურაჰმან ბეგმა დაასრულა რა მეჰმედ ხანის „ქვეყნის“¹¹⁰ დაპყრობა, ჩრდილის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე აღჯაყალას ციხე აიღო, აქ მოჭრილი 60 თავით კარწახის ტბასთან ეახლა ლალა ფაშას. ახლადდაპყრობილ ციხეებში ოსმალებმა მეციხოვნეები და ზარბაზნები ჩააყენეს. ამგვარად, 4 დღის განმავლობაში ათაბაგთა სადგომის - ალთუნყალას ჩათვლით მაჰმუდ ხანის კუთვნილი ახალციხის მხარეც იქნა დაპყრობილი და მათი აღწერა დაიწყო. 1578 წლის შემოდგომით „დაარსდა ახალციხის (ჩილდირის) ეილაეთი“. ხოლო შემდეგ, მასში მტკვრის სათავისა და ჭოროხის ხეობის უწინდელი საათაბაგოს ტერიტორიები გააერთიანეს (Kirzioğlu 1998, 291). კირზიოღლუ აღნიშნავს, რომ მანუჩარ ათაბაგმა და ლალა ფაშამ 17 აგვისტოს თმოგვის და ახალქალაქის გზით გაიარეს (Kirzioğlu 1998, 291)¹¹¹.

ავტორი მოკლედ აღწერს ლალა ფაშას ქართლში, კახეთსა და შირვანში ლაშქრობის და იმავე გზით უკან, ოსმალეთში დაბრუნების მნიშვნელოვან მომენტებს. შემდეგ მოკლედ, მაგრამ კვლავ მიმოიხილავს სამცხე-საათაბაგოში მომხდარ მოვლენებს. ცნობილია, რომ ლალა ფაშა შირვანიდან 1578 წლის შემოდგომით უკან დაბრუნდა. ავტორი აღნიშნავს, რომ სურამის უღელტეხილის გამოვლის შემდეგ იგი ათაბაგ ქაიხოსროს სადგომში აწყურში მოვიდა. მან აქ ორი დღე დაჰყო, ამ დროს მას ეახლნენ დედისიმედი, მისი ვაჟი ათაბაგი ყვარყვარე V (1573-1578)¹¹² და ხელზე ეამბორნენ. ლალა ფაშა 1578 წლის ნოემბერში მდინარე ჯაყისწყლის გავლით არტაანში ჩავიდა (Kirzioğlu 1998, 294).

1578 წლის 9 აგვისტოს ჩრდილის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ „ჩილდირის ეილაეთი“ ანუ საბეგლარბეგო დაარსდა, ცენტრით ახალციხე. მას ეს სახელი მიეცა ლალა ფაშას ჯარის გამარჯვების ადგილის შესაბამისად.

იბრაჰიმ ხანი, ისპაჰანის ბეგი ასლან სულთანი, ქართველი ფერხად ბეგი. ასევე თოქმაქ ხანის სიძე ველი ბეგი, რომელიც ყარა ხანის რაზმს ერევნიდან გამოყვა, მაგრამ ჩილდირის ველზე დამარცხების შემდეგ შარაბხანეს სადგომს შეეხიზნა (Kirzioğlu, 1998:290. იხ. სქოლიო N109). ავტორი, ასევე, იმოწმებს ქართლის ცხოვრებას და აღნიშნავს, რომ 1578 წლის 10 აგვისტოს ქაჯის ციხესთან დაბანაკებულ ლალა ფაშას მანუჩარ ათაბაგი ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. რისთვისაც მას ხახულის სანჯაყი ებოძა (Kirzioğlu, 1998:290. იხ. სქოლიო N112).

109 იგულისხმება ქაჯის ციხე.

110 იგულისხმება ახალციხის ციხე და რაიონი ფოცხოვის ჩათვლით, სადაც ირანის გავლენა ვრცელდებოდა. ათაბაგების სადგომს ოქროს ციხე წარმოადგენდა.

111 ის ამ ფაქტის დასადასტურებლად იმოწმებს „ქართლის ცხოვრების“ ბროსეიულ ფრანგულ თარგმანს. ავტორის მიერ კიდევ ერთ დამოწმებულ წყაროს - ნუსრეთნამეს მიხედვით ლალა ფაშამ გზა თბილისამდე შემდეგ პუნქტებზე გაიარა: დიდი არტაანი - ბეგრეხათუნი - იენიყალა (ქაჯის ციხე) - კარწახის ტბა - რუქაველი [გაურკვეველია რ.ყ.] - აყშეჰირი (ახალქალაქი) - ფარავნის ტბა - ტბის იქითა ბოლო - წალკა - ტბის სანაპირო - ნაზარბაზარ ხანი [სავარაუდოდ თეთრი წყაროს ნადარბაზივი რ.ყ.] - ალგეთი - მტკვრის ნაპირი - თბილისი (Kirzioğlu, 1998:291, სქოლიო 117).

112 უნდა იყოს ყვარყვარე IV

მასში გაერთიანებულ იქნა 1551 წელს არზრუმის ბეგლარბეგის მიერ დაპყრობილი არტანუჯის, კოლას/პატარა არტაანი, დიდი არტაანის სანჯაყები. ასევე 1579 წლის აგვისტოს დასაწყისში დაპყრობილი „მაჰმუდ ხანის ქვეყანა“, ალთუნყალა და მტკვრის სანაპიროს გასწვრივ საათაბაგოს ტერიტორიის ნაწილი. ეს მხარე აღიწერა 1592 წელს.¹¹³ ბეგლარბეგად დაინიშნა ჯაფერ ფაშა. მასში გაერთიანებული იყო შემდეგი სანჯაყები: 1. ახალციხის სანჯაყი: მასში შედიოდა -სამხრეთის, ჩრდილოეთის, უდის, აწყურის ნაპიეები; 2. ალთუნ-ყალას სანჯაყი, სანჯაყბეგი ყაფლან ბეგი (ქვაბლიანის ნაწილი); 3. ოძრხის სანჯაყი, სანჯაყბეგი ახმედ ბეგი (აბასთუმნის ნაწილი); 4. ჭაჭარაქის სანჯაყი, სანჯაყბეგი ოსმან ბეგი (ბორჯომის და ახალდაბის მხარე); 5. ასპინძის სანჯაყი, სანჯაყბეგი იუსუფ ბეგი (მდინარე მტკვრის ნაწილი); 6. ხერთვისის სანჯაყი, სანჯაყბეგი პერვანე ბეგი. მასში შედიოდა - ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის ნაპიეები; 7. ახალქალაქის სანჯაყი, სანჯაყბეგი მეჰმედ ბეგი. მასში შედიოდა - აყშეჰირის (ცენტრი), ნიალისყურის, თმოგვის ნაპიეები; 8. ფოცხოვის სანჯაყი; 9. ჩილდირის სანჯაყი. 1595 წლის 12-20 იანვრის თარიღით დათარიღებული დავთარი, რომელსაც ეწოდება „ახალციხის დიდი დავთარი“¹¹⁴ შედგება 180 ფურცლისგან და 1592 წლის დავთარში დაფიქსირებული სანჯაყების რაოდენობა ცხრიდან ექვსამდეა დაყვანილი. ესენია: 1. ახალციხის სანჯაყი, მასში გაერთიანებულია - სამხრეთის, ჩრდილოეთის, უდის, ქობლიანის, აწყურის, ალთუნყალის, ოცხის, ასპინძის, ჭაჭარაქის ნაპიეები. 2. ხერთვისის სანჯაყი, მასში გაერთიანებულია - ხერთვისის, ტყიანი ჯავახეთის, ბუზმარეთის ნაპიეები. 3. ახალქალაქის სანჯაყი, მასში გაერთიანებულია - აყშეჰირის, თმოგვის, ნიალისყურის ნაპიეები. 4. ჩილდირის სანჯაყი, მასში გაერთიანებულია - ჯანბაზის, ქენარბელის, მგელციხის ნაპიეები. 5. ფოცხოვის სანჯაყი, მასში გაერთიანებულია - სამხრეთის და ჩრდილოეთის ნაპიეები. 6. პეტრეს სანჯაყი, მასში გაერთიანებულია - პეტრეს და ქაშუეთის¹¹⁵ (აწყურს ქვემოთ გორამდე ტერიტორია) ნაპიეები(Kirzioğlu 1998, 294-295).

ავტორს მითითებული აქვს ლალა ფაშას გამოვლილი გზა არეშიდან არზრუმამდე, რომლის მიხედვითაც იგი არეშიდან გამოვიდა 1578 წლის 8 ოქტომბერს. მან გამოიარა აზერბაიჯანის, კახეთის, ქართლის ტერიტორიები. სამცხეში ზანავი, პეტრეს ციხე, დუკარი, აწყურის ციხე, ახალციხე, ოდორია, არღის ციხე, ტყიანი არტაანი (ხანაკი), არტაანის ციხე, კოლას მხარეში (ქოფრუბაში), ფანაკის ციხე (ხევისკარი), ოლთისის ციხე,

113 აღწერის დავთარს ეწოდება Defter-i İcmal-i Cedid-i ElviyeiÇıldır, შედგება 149 გვერდისგან. H.1000, ინახება პრემიერმინისტრის საკადასტრო არქივში, №633 (Kirzioğlu, 1998:294. იხ. სქოლიო 126).

114 კირზიოღლუ ედავება აკად. სერგი ჯიქას, რომ მან არასწორად უწოდა ამ დავთარს „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“(Kirzioğlu, 1998:295. იხ. სქოლიო 127).

115 ქაშუეთი - პეტრეს ციხე

ნარმანის ცენტრი სოფელი იდი, ბასიანში ბაშქოი (სადაც შეისვენა და ბანაკი დასცა). შემდეგ, 21 ნოემბერს, პარასკევ დღეს ჩავიდა არზრუმში და ჯარი სადგომებში გადაანაწილა (Kirzioğlu 1998, 307).

სამცხე - საათაბაგო (ახალციხის საფაშო) ოსმალურ მუჰიმე დავთრებსა და ბერათებში

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს ინკორპორაციისა და ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების შემდეგ¹¹⁶, მთელი რეგიონი აღირიცხა და შედგა ფისკალური დოკუმენტები ანუ აღწერის დავთრები. ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგო რამდენჯერმე იქნა აღრიცხული. აღრიცხვის დავთრების ერთი ნაწილი როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტების მიერ იქნა წაკითხული და მეცნიერულად დამუშავებული, რაც რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის და სხვათა შესახებ ინფორმაციის მიღებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა¹¹⁷. ისტორიულმა მოვლენებმა აჩვენეს, რომ ოსმალეთის ხელისუფლება სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიების როგორც ინკორპორაციას, ასევე შემდგომ კონტროლს არზრუმის საფაშოს საშუალებით ახორციელებდა, ხოლო მას შემდეგ რაც დაარსდა ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშო, ოსმალეთი უკვე ამ საფაშოს მეშვეობით არეგულირებდა ურთიერთობებს საქართველოს დანარჩენ სამეფო-სამთავროებთან. საჭიროების შემთხვევაში, სწორედ ახალციხის ფაშების მეშვეობით ერეოდა მათ შიდა საქმეებში.

აღწერის დავთრების გარდა, ამ მხრივ ე.წ. „მუჰიმე დავთრების“ მნიშვნელობაც განუზომელია. ერთ-ერთ ასეთ დავთარს წარმოადგენს XVI-XVIII სს. მუჰიმე დავთრები საქართველოს სამეფო-სამთავროების შესახებ (შენგელია 2019). ნაშრომში წარმოდგენილია 200 ოსმალური დოკუმენტის დედანი, მისიარაბული ტრანსკრიპცია ქართულითარგმანით. დოკუმენტები ინახება სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში. აღნიშნული წყაროები მნიშვნელოვანია საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად და გასათვალისწინებლად. სტატიის ამოცანიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შევეხებით სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ მასალას.

მუჰიმე დავთრებში შემავალი ერთ-ერთი დოკუმენტი ეხება მცირე არტანის ნაჰიეს, რომლის მიხედვითაც ნაჰიეს ტერიტორიაზე არსებულ

116 ჩილდირის (ახალციხის) ვილაეთის პირველ ფაშად დაინიშნა მანუჩარ ათაბაგი, რომელმაც 1583 წლის 27 აპრილს ისლამის მიღების შემდეგ მუსტაფა დაირქვა. (იხ. Mümmün Yıldıztaş, Osmanlı Arşiv Kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, İstanbul, 2012. გვ. 91).

117 მეტი ინფორმაციისთვის იხ. დალი ნიკოლაიშვილი, დავით სართანია, ავთანდილ უჯმაჯურიძე, დარეჯან კირთაძე, მანანა კვეტენაძე, მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2021.

გიოლეს¹¹⁸ ციხეს ადგილობრივი მმართველის მხრიდან უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე ამავე ნაპიერში მდებარე გერმუჯექის¹¹⁹ ციხეს. ამის გამო 28 04. 1560 წელს არზრუმის ბეგლარბეგს ებრძანა, რომ მიეღო სათანადო ღონისძიებები ამ ციხის შესაკეთებლად და ამით ადგილობრივ მოსახლეობას საშიშროების შემთხვევაში ციხეში თავის შეფარების საშუალება მისცემოდა (შენგელია, 2019: 43). შემდეგ დოკუმენტში კარგად ჩანს ადგილობრივი ხელისუფლის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, რის გამოც 24. 9. 1564 წ. ისპირის¹²⁰ ბეგსა და ყაღს ებრძანათ, რომ დაეპატიმრებინათ აღნიშნული ლივის სოფელ ფირ ფაკირის და სხვა ტერიტორიების სიფაჰი¹²¹ ვინმე ფირი, რომელმაც გადაკეტა გზები და ყაჩაღობა ჩაიდინა (შენგელია 2019, 52). აშკარაა, რომ ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე არსებულ ციხეებში ჩამდგარი ოსმალეთის არმიის ჯარისკაცებს შორის გარკვეული ქონების ხელის ჩაგდების მიზნით დაპირისპირება არსებობდა, რაც ზოგჯერ შეიარაღებულ შეტაკებაშიც გადადიოდა. სწორედ ასეთი დაპირისპირების აღსაკვეთად 24.11. 1564 წელს არზრუმის ბეგლარბეგს და ყაღს მიეცა ბრძანება, დაეპატიმრებინათ ოლთისის გარნიზონის ჯარისკაცთაგან ვინმე სავინდიქ ბინ ჰიქმეთი, რომელიც თავისი რაზმით თავს დაესხა არზრუმის ციხეში მდგარ ვინმე ჰიზირის რაზმს (შენგელია 2019, 55). სავარაუდებელია, რომ ოსმალეთის ხელისუფლება სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის დაკავებულ ციხეებში პირველ ეტაპზე, ძირითადად, გარედან შემოყვანილ მეციხოვნეებს აყენებდა. ამის დასტურია 21. 02. 1565 წლის ბრძანება, რომელიც გაეგზავნათ ოლთისის ბეგსა და ციხისთავს. ისინი გაფრთხილებულ იქნენ, რომ ოლთისის ციხეში არსებული ცარიელი მიწები ციხის მსახურთა შვილებს არ მისცემოდათ. ეს მიწები დარჩებოდა ჩეჰნის¹²² ტომის ხალხს და გარედან მოსულებს არ დაურიგდებოდა (შენგელია 2019, 66). ოსმალების მიერ სამცხე-საათაბაგოს ახლად დაპყრობილ ტერიტორიაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ადგილობრივი მწარმოებელი მოსახლეობისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებასა და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ ხელისუფლებისადმი გარკვეულ უნდობლობაზე მიუთითებს 21. 03. 1565 წლით დათარიღებული საბუთი, რომელიც არზრუმის ბეგლარბეგის მისამართით იყო დაწერილი. იგი წარმოადგენს არზრუმის, ქიანხისის და არტაანის ყადიებისადმი ე.წ. ჰუქმს.¹²³ აქ კარგად

118 ისტორიული კოლა

119 ამ ეტაპზე ციხის ადგილმდებარეობა გაურკვეველია

120 სპერი

121 ოსმალეთის არმიის მძიმე კავალერიის ჯარისკაცი. მათი ერთი ნაწილი თიმარის (გარკვეული მიწის ნაკვეთი) მფლობელი იყო.

122 ოლუზ კაგანის ეპოსის მიხედვით, ჩეჰნის ტომი წარმოადგენს ერთ-ერთს ოლუზთა 24 ტომიდან.

123 გადაწყვეტილება მიღებული პიროვნების, მისი ქმედების ან რაიმე მოვლენის შესახებ.

ჩანს, რომ არის გარკვეული დაპირისპირება ფანაკის ნაჰიეში, რაც გამოიხატა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დაპირისპირებაში. კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტია ის, რომ ზემოაღნიშნული უთანხმოების ირიბი მონაწილე არის მცირე არტაანის ქურთთა ბეგიც. სავარაუდებელია, რომ ამ ტერიტორიაზე ქურთი მოსახლეობა არტაანის მხარის ოსმალეთთან შეერთების შემდეგ დასახლდა. როგორც წერილიდან ირკვევა, შფოთის მიზეზად იქცა ადგილობრივი ხელისუფლების უსამართლობა ადგილობრივი რეაიას¹²⁴ მიმართ. ფადიშაჰი მოითხოვს არსებული პრობლემის დაწვრილებით აღწერას და აღნიშნულის თაობაზე წერილობით ინფორმაციას, ასევე არზრუმის ბეგლარბეგისგან მოითხოვს წესრიგის დამყარებას. როგორც წერილიდან ირკვევა, ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტიანული სარწმუნოებისაა (შენგელია 2019, 76). არტაანის სანჯაყში ქონებრივ დავას ეხება კიდევ ერთი ჰუქმი, რომელიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოუგზავნა არზრუმის ბეგლარბეგს. ამ ჰუქმით მას მოეთხოვება, მოაწესრიგოს მოწათმფლობელობის დავა თიმარის¹²⁵ მფლობელებს ალის შვილ მეჰმედსა და მეჰმედის შვილ ალის შორის (შენგელია 2019, 105). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალური ხელისუფლების და წესების დამყარების მიუხედავად, უსაფრთხოების საკითხები ჯერ კიდევ მყიდვია. სწორედ ასეთ მდგომარეობაზე მიუთითებს, არზრუმის ბეგლარბეგის სახელზე გაცემული ჰუქმი, სადაც მას მოეთხოვება, მოიძიოს და დაადგინოს არზრუმში გაგზავნილი სახელმწიფო ხაზინისადმი განკუთვნილი ტვირთის ოლთისის სანჯაყში ძარცვის საკითხი (შენგელია 2019, 130). სპერის ყაზაში¹²⁶ ადგილობრივი გამგებლის (ბეგის) და ყადისადმი საკუთრების გადაცემის შესახებ 11. 05. 1571 წლის დოკუმენტიდან კარგად ჩანს, რომ ადმინისტრაციული ცვლილებები ხშირად იწვევდა საკუთრება-ჩამორთმეული ბეგების უკმაყოფილებას. ამ შემთხვევაში ეს ასეც მოხდა, ქონება ჩამორთმეული ბეგი ვინმე ზიმი აჯანყდა. ჩანს, რომ ზიმიმ ადგილობრივ ხალხს მოატყუა. დოკუმენტის მიხედვით სპერის გამგებელს და ყადის მოეთხოვებათ წესრიგის დამყარება და სიმართლის დადგენა (შენგელია 2019, 139). ტრაპიზონის, არტაანის და არტანუჯის სანჯაყების ზარბაზნებით და თოფებით და სხვა მასალით მომარაგებაზეა საუბარი 21. 01. 1576 წლის დოკუმენტში. აშკარაა, რომ აღნიშნული სამხედრო მასალის დანიშნულების ადგილამდე ჩამოტანა არც თუ ისე უსაფრთხო იყო. ეს ყველაფერი სტამბოლიდან გემით იქნა გამოგზავნილი. არზრუმის ბეგლარბეგს მოეთხოვება მეტი ყურადღება გამოიჩინოს აღნიშნული

124 ოსმალეთის იმპერიის არამუსლიმი ქვეშევრდომები თანზიმათამდე.

125 მთავრობისთვის გაწეული განსაზღვრული მომსახურების საფასურის სახით გადაცემული მიწის ნაკვეთი.

126 ადმინისტრაციული ერთეულის და ოსმალეთში ყადის (მოსამართლის) სამოქმედო არეალის განმსაზღვრელი ტერმინი.

ტვირთის მიმართ (შენგელია 2019, 164). არტაანის მხარის გამგებლის სახელი -მეჰმედიადაფიქსირებული. 08. 06. 1576 წლის დოკუმენტში. ამ დოკუმენტით მეჰმედს ებოძა მცირე არტაანის ტერიტორია. აქვე საინტერესოა გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით არტაანის მხარის ტერიტორიაზე გარედან მოსული რაღაც რაოდენობის მოსახლეობის დასახლების ფაქტიც. ადგილობრივ გამგებელს ებრძანა, მოსულ და დასახლებულ მომთაბარეებზე გაიცეს თეზქერე¹²⁷ (შენგელია 2019, 167). ოსმალეთ-ირანის ახალი ომის დაწყების დროის დოკუმენტს წარმოადგენს 01. 06. 1578 წლით დათარიღებული ჰუქმი, რომელიც გადაეგზავნათ არტანუჯის, აჭარის და ლივანას ბეგებს და ყადიებს. აქვე მითითებულია, რომ ჰუქმი გაეგზავნა, ასევე, აჭარის ბეგს - ჰუსეინს. დოკუმენტში საუბარია არტაანის მხარეში საურმე გზების მშენებლობაზე, რადგან ზოგი ადგილი გაუვალი იყო და იგი შემდეგ შეკეთდა. დოკუმენტში მითითებულია, რომ გზებთან დაკავშირებით გამოჩენილი უყურადღებობის გამო „ადგილსამყოფელის მემკვიდრე სიკვდილით დაისაჯა“, რადგან ხსენებულ ლივებში გზების შეკეთება აუცილებელი იყო და ფადიშაჰის კარიც მზად იყო, შეეძინა სათანადო სამუშაო იარაღები (შენგელია 2019, 183). როგორც ვხედავთ, ომის დაწყების წინ სულთნის კარი ინტენსიურ სამუშაოებს ატარებდა ირანის მოსაზღვრე ოსმალეთის განაპირა მხარეებში. ოსმალთა წინააღმდეგ მანუჩარ II-ს¹²⁸ აჯანყებას ეხება 21. 11. 1882 წლის ფადიშაჰის ფადიშაჰის ჰუქმი (ბრძანება), რომელიც გადაეგზავნა ლივანას ბეგს. აღნიშნული ჰუქმის მიხედვით სულთნის კარს აჯანყების შესახებ ინფორმაცია არზრუმის ბეგლარბეგმა მიაწოდა. ფადიშაჰი მოუწოდებს ლივანის, შავშეთის, დიდი და პატარა არტაანის ბეგებს აჯანყების ჩახშობაში იუსუფ ბეგს¹²⁹ დახმარება გაუწიონ (შენგელია 2019, 198). ცნობილია, რომ იუსუფ ფაშამ აჯანყება ვერ ჩაახშო. ოსმალეებმა მანუჩარი კვლავ აღადგინეს საფაშოს ტახტზე. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება 25. 05. 1583 წლის ფადიშაჰის ჰუქმი, რომელიც მანუჩარს ებოძა. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით მანუჩარს გადაეცა ე.წ. სამეუფეო ბერთათი¹³⁰ (შენგელია 2019, 183). საინტერესო ინფორმაცია არის დაცული 11. 06. 1591 წლის ფადიშაჰის ჰუქმში, რომელიც ჩილდირის ბეგლარბეგს გადაეგზავნა. საუბარია ბერთასა¹³¹ და ქუთაისის ციხეებზე. ჰუქმის მიხედვით,

127 ოფიციალური ნებართვა დასახლების შესახებ.

128 დოკუმენტში მანუჩარი მუსტაფად იხსენიება.

129 მანუჩარის მაგივრად ჩილდირის (ახალციხის) ფაშად დანიშნული იუსუფ ფაშა.

130 ოსმალეთის პერიოდში გაცემული სულთნის ბრძანება პირის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, რომლის მიხედვითაც ამ პიროვნებაზე გაიცემოდა ხელფასი, ენიჭებოდა პრივილეგიები, ეძლეოდა თანამდებობასთან დაკავშირებული ნიშანი და უფლებამოსილებანი.

131 დოკუმენტში მანუჩარის უწინდელ საკუთრებად გამოცხადებული ბერთას ციხე, სავარაუდოდ, უნდა იყოს კლარჯეთში მდებარე ამავე სახელის ციხე, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის სიმონ მეფეს ჰქონოდა დაკავებული. სავარაუდოდ, სხვა ბერთაზეა ლაპარაკი ან დოკუმენტში არასწორად არის მითითებული. საკითხი მოითხოვს დამატებით

ბერთას ციხე ადრე მანუჩარს ექვემდებარებოდა, ხოლო იმჟამად სიმონ მეფეს ჰქონია ხელში ჩაგდებული. აქვე მითითებულია, რომ იმ დროს სიმონი ქუთაისის ციხეში ყოფილა დაბანაკებული. ჰუქმიდანვე ჩანს, რომ გაიცა ბრძანება ქუთაისის ციხის ხელში ჩასაგდებად. ჰუქმისვე მიხედვით „წყეულმა სიმონმა ამ მხარეში ვერ შემოაღწია“ (შენგელია 2019, 219)¹³². შემდეგი დოკუმენტი კვლავ იმერეთში მომხდარ ამბებთან არის დაკავშირებული. ფადიშაჰის ჰუქმის მიხედვით, რომელიც ჩილდირის ბეგლარბეგს ებოძა, ახალციხის საფაშოდან 300 ჯარისკაცი და გიონულლუ¹³³ ქუთაისის ციხის დასაკავებლად გაიგზავნა (შენგელია 2019, 226). 1702 წლის აპრილის პირველი დეკადით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელიც ახალციხის ბეგლარბეგის ისაყ ფაშასადმი გაგზავნილ ჰუქმს წარმოადგენს, საუბარია მეთვრამეტე საუკუნის საწყის წლებში იმერეთის ტახტის გარშემო მომხდარი მოვლენების შესახებ. დოკუმენტში პოზიტიურად არის ნახსენები თავადი გიორგი აბაშიძე. ახალციხის ფაშას მოეთხოვება სიმონ იმერთა მეფის დაპატიმრება, რომელმაც კავშირი შეკრა გურიის მთავართან და დადიანთან (შენგელია 2019, 264)¹³⁴. 27. 06. 1702 წლის დოკუმენტში კვლავ იმერეთის მოვლენებზეა საუბარი. აღნიშნული დოკუმენტი ასევე წარმოადგენს ფადიშაჰის ჰუქმს ახალციხის ფაშასადმი. აქ დასტურდება სიმონ მეფის იმერეთიდან აღმოსავლეთში გაქცევის ამბავი¹³⁵. აღსანიშნავია ის, რომ ამ დოკუმენტში თავადი გიორგი აბაშიძე მეფედ არის მოხსენიებული. ამკარად ჩანს ოსმალეთის მხარდაჭერა გიორგი აბაშიძისადმი, რომელსაც მიენდო იმერეთში წესრიგის დამყარება (შენგელია 2019, 272-273). ახალციხის ბეგლარბეგისადმი გაგზავნილი და 19.03. 1703 წლით დათარიღებული ჰუქმიდან ირკვევა, რომ სულთნის კარი მოითხოვს ახალციხის ფაშისგან გაარკვიოს იმერეთის ტახტზე უკან დაბრუნებული სიმონ მეფის მკვლელობის ამბავი და ოფიციალური არზა წარუდგინოს. ასევე, ოსმალეთის სახელმწიფო კარი მომხდარის შესახებ ინფორმაციას მოითხოვს იმერეთის მეფე გიორგისგან,¹³⁶ გურიელისგან, დადიანისგან და თავადებისგან (შენგელია 2019, 276). ჩილდირის საბეგლარბეგოში ადგილობრივ ხელისუფლებს შორის დაპირისპირების ამბავია მოთხრობილი ერთ უთარილო დოკუმენტში, რომლის მიხედვითაც გარკვეული საქმის შესასრულებლად ოფიციალური ბრძანების საფუძველზე მისულ ახალქალაქის, გუო არტანის და ფანაკის სანჯაყების ბეგებს ჩილდირის სანჯაყბეგმა ისინი არ მიიღო და შფოთი

კვლევას.

132 სავარაუდოდ, საუბარია სიმონის ოფშკვიითან დამარცხების შემდეგ მოვლენებზე.

133 ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი კატეგორია (იხ. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრ. გვ. 692)

134 ქართულ ისტორიოგრაფიაში დოკუმენტში მოტანილი მოვლენების თარიღად მითითებულია 1701 წელი.

135 ცნობილია, რომ სიმონ მეფე ქართლში, მეფე ერეკლე პირველთან გაიქცა.

136 იგულისხმება თავადი გიორგი აბაშიძე

ატეხა. აღნიშნული სანჯაყების მეთაურებს მოეთხოვათ ჩილდირის ბეგლარბეგთან შეკრება და ერთობლივად მისვლა (შენგელია 2019, 370)¹³⁷. კიდევ ერთი, ასევე უთარილო დოკუმენტი, რომელიც ჩილდირის ბეგლარბეგს გადაეგზავნა,¹³⁸ ამ უკანასკნელს აძლევს უფლებას, ძველი წესისამებრ მისცეს ბრძანებები მისდამი დაქვემდებარებულ სანჯაყბეგებს, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სარწმუნოების და სახელმწიფოს სახელით დააპატიმროს კიდევ ისინი (შენგელია 2019, 373). ერთ-ერთ უთარილო დოკუმენტში საუბარია იუსუფ ფაშას ახალციხის ბეგლარბეგად დანიშვნის საკითხი (შენგელია 2019, 402). დოკუმენტში ნახსენები არიან ქართლის გამგებელი სიმონ ხანი¹³⁹ და ზაგემის გამგებელი ალექსანდრე¹⁴⁰. აქედან გამომდინარე, ხსენებული იუსუფი უნდა იყოს ოსმალთა წინააღმდეგ მანუჩარ მეორის აჯანყების დროს, მანუჩარის გადაყენების შემდეგ ახალციხის ფაშად დანიშნული იუსუფი. ერთ უთარილო დოკუმენტში ნათქვამია, რომ შავშეთის ციხეში 60 ოსმალთა ჯარისკაცი იქნა ჩაყენებული, ციხის გამაგრებისათვის სათანადო თანხაც იქნა გამოყოფილი. ამავე დოკუმენტში არის აღნიშნული, რომ ადგილობრივი ბეგები შავშეთის ციხეში მაგრდებოდნენ და ყიზილბაშებს ავიწროებდნენ, ასევე ქართველებს ამუსლიმებდნენ (შენგელია 2019, 414). ასეთივე უთარილო დოკუმენტიდან ცნობილი ხდება, რომ გორის ციხეს დროებით ფლობდა არტაანის სანჯაყბეგი ვინმე მუსტაფა. რომელსაც გაეგზავნა ფადიშაჰის ჰუქმი გორის საბეგლარბეგოს სხვისთვის გადაცემის თაობაზე, თუმცა მასვე ებრძანა, რომ ახალი ბეგლარბეგის მოსვლამდე ციხე არ მიეტოვებინა (შენგელია 2019, 433). საინტერესო ინფორმაცია არის მოცემული კიდევ ერთ უთარილო დოკუმენტში. იგი წარმოადგენს ჩილდირის ბეგლარბეგისადმი გაცემულ ჰუქმს, რომლის მიხედვითაც მას ეცნობა, რომ ფანაკის და ახალქალაქის სანჯაყბეგები გაერთიანებულ იქნენ დმანისის საბეგლარბეგოში. ჩილდირის ბეგლარბეგს ასევე მოეთხოვებოდა აღნიშნული ორი სანჯაყის შესახებ ყველა დავთრის დმანისის საბეგლარბეგოში გადაგზავნა (შენგელია 2019, 490). ჩილდირის ბეგლარბეგის მუსტაფას ნაცვლად ვინმე აბდალლაჰის დანიშვნის ინფორმაცია არის მოცემული ერთ უთარილო დოკუმენტში. ჰუქმის მიხედვით, სანამ ახალი ბეგლარბეგი დანიშნულების ადგილზე მოვიდოდა, მუსტაფა ვალდებული იყო ადგილზე დარჩენილიყო და დაეცვა საბეგლარბეგო (შენგელია 2019, 583). ახალციხის საფაშოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხს ეხება ერთი უთარილო დოკუმენტი. იგი წარმოადგენს ფადიშაჰის ჰუქმს ჩილდირის ბეგლარბეგისადმი. ჰუქმის

137 დოკუმენტში არ არის მითითებული თუ სად მოეთხოვებოდათ აღნიშნული თანამდებობის პირებს მისვლა.

138 დოკუმენტში მითითებულია, რომ იგი წარმოადგენს ასლს. როგორც ჩანს, მსგავსი ჰუქმი სხვა თანამდებობის პირებსაც გადაეგზავნა.

139 იგულისხმება სიმონ I ქართლის მეფე.

140 იგულისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე II.

დაწერის საფუძველი გამხდარა ჩილდირის ბეგლარბეგის მიმართვა ფადიშაჰისადმი, სადაც უგი მოითხოვდა, რომ დაებრუნებინათ მისთვის დიდი და მცირე არტაანის სანჯაყები, რომლებიც ადრე ჩილდირის საბეგლარბეგოს ეკუთვნოდა და შემდეგ ყარსის საბეგლარბეგოს გადაეცა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ფადიშაჰმა შეასრულა მისი თხოვნა და ეს ორი სანჯაყი მას დაუბრუნა (შენგელია 2019, 630).

წინამდებარე საკითხში კიდევ უფრო მეტი სიცხადის შეტანისთვის არანაკლებ საინტერესოა ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ საქართველოს ისტორიისთვის (შენგელია 2011). ისინი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ქვეყანაში ოსმალთა ბატონობის ფორმების შესასწავლად. ოსმალთა მიერ აღნიშნული მხარის ინკორპორაციის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი იძულებული ხდებოდა, შეეფუებოდა ოსმალთა მიერ დამკვიდრებულ პირობებს, ხოლო მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა გარბოდა მამა-პაპეული სამკვიდრო ადგილებიდან. ასევე აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის მიერ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე შემოტანილი სისტემა მთლიანად განსხვავდებოდა ადგილზე არსებული საგადასახადო და სამხედრო სისტემისგან, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მხარის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში.

წინამდებარე ნაშრომი ვრცელია და მოიცავს ისტორიულ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ოსმალთა ხელისუფალთა მიერ გაცემულ ფირმანებსა და ბერათებს. ამ ეტაპზე ჩვენ მიერ შერჩეულ იქნა ის მასალა, რომელიც უშუალოდ ჯავახეთის მხარესთან არის დაკავშირებული. მასში კარგად ჩანს ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ მმართველობას შორის კოორდინირების საკითხი, ასევე ცნობილი ხდება იმ დროის ადგილობრივ მოხელეთა ვინაობა, მათი ფიზიკური აღწერილობა და ადგილის სახელები, სადაც ჩვენთვის საინტერესო მოვლენები ვითარდებოდა.

ამ მიმართულებით საინტერესოა ოსმალეთის სულთნის მაჰმუდის მიერ გაცემული 03. 08. 1730 წლით დათარიღებული ბრძანება, საიდანაც ვგებულობთ, რომ ჩილდირის ფაშას იუსუფს წერილობით უცნობებია ფადიშაჰისთვის ხერთვისის სანჯაყის სოფელ ტოლოშსა და სხვაგან ზიამეთის¹⁴¹ მფლობელ ვინმე ომერის სამსახურებრივი მოვალეობის უგულებელყოფის შესახებ, რის გამოც იუსუფ ფაშა აღნიშნული ზიამეთის ვინმე მურთაზასთვის გადაცემას მოითხოვს. რაც სულთნის მხრიდან დაკმაყოფილებულ იქნა (შენგელია 2011, 452). ძველ თიმარზე ხელახალი უფლების მიღებასთან არის დაკავშირებული ახალქალაქის სანჯაყში, ბუჯაქის ნაჰიეში სოფელ ჰაჩექსა¹⁴² და სხვაგან 5000 ახჩა თიმარის მფლობელ

141 სამხედრო ლენი შუა საუკუნეების ოსმალეთში, სახელმწიფოს მიერ პირობით ნაწყალობევი მიწა.

142 აღნიშნული სოფლის სახელი გაურკვეველი. დღეს მსგავსი სახელწოდების სოფელი ახალქალაქსა და ნინოწმინდაში არ არსებობს.

აჰმედ მაჰმუდის ძის სახელზე გაცემული სულთან მუსტაფას 11. 02. 1696 წლით დათარიღებული ბრძანება, რომლის ძალითაც დაკმაყოფილებულ იქნა ზემოაღნიშნული მესაკუთრის თხოვნა (შენგელია 2011, 467). მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის ნაჰიეში სოფელ კუდასა¹⁴³ და სხვაგან 13090 ახჩა თიმარის მფლობელ ვინმე ჰასანთან. მასაც სულთან მუსტაფას 18. 05. 1696 წლის ბრძანებით ხელახლა დაუმტკიცდა აღნიშნული საკარგავი (შენგელია 2011, 470). ბერათი განუახლდა ახალქალაქის სანჯაყში, აკშეჰირის ნაჰიეში, დიდი ჰორანიის¹⁴⁴ სხვაგან 11300 ახჩით შეფასებული თიმარის მფლობელს ვინმე იუსუფს. ეს უკანასკნელი აღნიშნულ თიმარს ფლობდა წინა ფადიშაჰის დროიდან. ახალმა ფადიშაჰმა აჰმედმა 14. 11. 1698 წლის ბრძანებით იგი ხელახლა დაუმტკიცა. იუსუფს დიდ ხორენიასთან ერთად უმტკიცდება ხორენისთან ახლოს სათესველი ბანჰიე დუჩაქრუზალი, სოფელი ალაქი, სათესველი სოფელ რიბანი ნურმულთან, სოფელი მაჰასმა¹⁴⁵ (შენგელია 2011, 478). სულთან მუსტაფას 26. 06. 1701 წლის ბრძანებით ვინმე მეჰმედს ახალქალაქის სანჯაყში, აკშეჰირის ნაჰიეში, სოფელ რაბათსა და სხვაგან ხელახლა დაუმტკიცდა 10755 ახჩა თიმარი. სოფელ რაბათის გარდა, მას მიეკუთვნა სოფელი მადი¹⁴⁶, რომელიც ეკუთვნოდა სოფელ რაბათს და სოფელი დიდი მურჯახეთი (შენგელია 2011, 486). ახალქალაქის სანჯაყში, აკშეჰირის ნაჰიეში გარდაცვლილი მუსტაფას ზეამეთი სოფელ ქვემო ჰუმსასა და სხვაგან სულთან აჰმედ III-ის 21. 01. 1704 წლის ბრძანებით გადაეცა ვინმე იბრაჰიმს. აქვეა ჩამოთვლილი ის სოფლები, რომლებიც ქვემო ჰუმსას გარდა მიეკუთვნა იბრაჰიმს. ესენია: სოფელი ქვემო ხოსბიო¹⁴⁷; სოფელი ვაშლოვანი, ახლოსაა ხოდის მაჰალესთან, სოფელი ბაჰურ ქენდი¹⁴⁸, ახლოსაა ახალქალაქის რაბათთან; ქულდეზბარიდი, სოფელი ალი ჯურმანი, ექვემდებარება აკშეჰირს; სოფელი ქულქამი¹⁴⁹, ექვემდებარება ხსენებულს; სოფელი ვაშლოვანი, ახლოსაა მეორე ვასბულას მაჰალესთან, ექვემდებარება ბუთეთს; სოფელი პატარა ხუდანე¹⁵⁰, ექვემდებარება ხსენებულს; სოფელი უსულლუ¹⁵¹, ექვემდებარება აკშეჰირს; სოფელი თიამსქული¹⁵², ექვემდებარება ლუმექსს¹⁵³; სოფელი ალმალუ¹⁵⁴, ახლოსაა

143 დღეს მსგავსი სახელის სოფელი ნიალისყურში არ იძებნება.

144 დღევანდელი სოფელი დიდი ხორენია.

145 მსგავსი სახელწოდების ტოპონიმები ამ ტერიტორიაზე აღარ გვხვდება.

146 მსგავსი ტოპონიმი დღევანდელ ახალქალაქის რაიონში აღარ გვხვდება

147 დღევანდელი ხოსპიო

148 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

149 დღევანდელი კულიკამი

150 უნდა იგულისხმებოდეს სოფელი პატარა ხორენია

151 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

152 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

153 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

154 ეს ნასოფლარი დღესაც არსებობს.

სოფელ ხოსბიოსთან; სოფელი ქანბალი¹⁵⁵, ახლოსაა სოფელ აკუსთან¹⁵⁶, ექვემდებარება თანასქურს¹⁵⁷; სოფელი დივეთი¹⁵⁸, ახლოსაა სოფელ ვაშლობთან¹⁵⁹, ექვემდებარება აკშეპირს (შენგელია 2011, 490). სულთან მუსტაფას ძის სულთან მაჰმუდის 1733 (1146) წლის 09.11-08.12 ბრძანებიდან ვგებულობთ, რომ ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის ნაჰიეში სოფელ ქილისხასა¹⁶⁰ და სხვაგან 1718 (1131) წლიდან 4045 ახჩა თიმარის მფლობელი ვინმე აჰმედ ასლანის ძე ჩასულა სტამბოლში და თიმარის მფლობელობის დამადასტურებელი ბერათის განახლება მოუთხოვია. მას განუახლდა ბერათი, მიეცა აღნიშნულ სანჯაყში ცხოვრების უფლება და პირობად დაედო, რომ მონაწილეობას მიიღებდა ლაშქრობაში თავისი ალაი ბეგის¹⁶¹ დროშის ქვეშ. აქვე ჩამოთვლილია იმ სოფელთა სახელები, სადაც ზემოაღნიშნულ პიროვნებას ხელახლა გადაეცა მიწის ნაკვეთები. ესენია: სოფელი ხალშხა¹⁶², ექვემდებარება ნიალისყურს; სოფელი ნინჰალემი¹⁶³, ახლოსაა პატარა მაჰმუდის¹⁶⁴ დასახლებასთან, ექვემდებარება აკშეპირს; სოფელი ფირქესალი¹⁶⁵, ახლოსაა სოფელ დიდ ერქანთან¹⁶⁶; სოფელი შუა მურჯახეთი, ახლოსაა სოფელ მურჯახეთთან; სოფელი პატარა მურჯახეთი, ახლოსაა სოფელ შუა მურჯახეთთან; სოფელი გორსიხლე¹⁶⁷, ახლოსაა სოფელ კარაჰანთან (შენგელია 2011, 492).¹⁶⁸ 11. 03. 1725 წლის სულთან მეჰმედის ძის სულთან აჰმედის ბრძანება გვამცნობს, რომ ჩილდირის ბეგლარბეგის ისაყ ფაშას წერილის საფუძველზე ფადიშაჰმა ახალქალაქის სანჯაყში, ნიალისყურის ნაჰიეში სოფელ მაჰუსილსა¹⁶⁹ და სხვა სოფლებში თიმარის მფლობელ და თბილისის ციხის დაცვისას გარდაცვლილ ოსმანის შვილებს და წილობრივად ვინმე მეჰმედსაც. აქვე არის დასახელებული თიმარის ტერიტორიაზე შემავალი სოფლების სახელებიც: იავლა სავლა¹⁷⁰; ლორისიმლი¹⁷¹, ახლოსაა სოფელ ვარდიესთან (შენგელია 2011, 492).¹⁷² 15.

155 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

156 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

157 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

158 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

159 ტოპონიმი გამჭვირვალეა. თუმცა, ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

160 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

161 სანჯაყებში თიმარის მფლობელი სიფაჰების სამხედრო მეთაური

162 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

163 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

164 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

165 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

166 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

167 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

168 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

169 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

170 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

171 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

172 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

08. 1733 წლით დათარიღებული სულთან მუსტაფას ძის სულთან მაჰმუდ ხანის ბრძანების მიხედვით ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის ნაჰიეში სოფელ ქილისსა და სხვაგან 4045 ახჩის ოდენობის თიმარის მფლობელ მეჰმედს და მის ძმებს იუსიფს და ბეჰზად იაჰიას ძეებს, ბეჰზადის გარდაცვალების შემდეგ მისი წილის ნახევარი გადაეცა მის ძმას მეჰმედს. აღნიშნულ თიმარს განეგუთვნებოდნენ შემდეგი სოფლები: სოფელი ქილისა, ექვემდებარება ნიალისყურს¹⁷³; სოფ. ქურისაჰლო¹⁷⁴, ახლოსაა სოფელ დაჰბათთან¹⁷⁵; სოფელი სახალია¹⁷⁶, ახლოსაა სოფელ მეჰდიესთან¹⁷⁷ და დუჰადთან¹⁷⁸, ექვემდებარება აკშეჰირს; სოფელი მარჰბალი¹⁷⁹, ახლოსაა სოფელ დიდ ერქანთან¹⁸⁰; სოფელი შუა მურჯახეთი, ახლოსაა სოფელ დიდ მურჯახეთთან; სოფელი პატარა მურჯახეთი, ახლოსაა სოფელ შუა მურჯახეთთან (შენგელია 2011, 505). თიმარის ჩამორთმევასა და სხვაზე გაპიროვნებაზეა საუბარი სულთან მაჰმუდის ბრძანებაში, რომელიც დათარიღებულია 16. 06. 1734 წლით, რომლის მიხედვითაც, ჩილდირის ვალის და ვეზირის იუსუფ ფაშას წერილის საფუძველზე ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის ნაჰიეში თბილისის დაცვასთან დაკავშირებულ სამხედრო ოპერაციაში გამოუცხადებლობის გამო იბრაჰიმ აჰმედის ძეს თიმარი ჩამოერთვა და ვინმე ჰუსეინს გადაეცა. თიმარიოტს მიეკუთვნა შემდეგი სოფლები: ანბური¹⁸¹, ნიალისყურში; კოკი¹⁸², ნიალისყურში; ბიურბანი¹⁸³, აკშეჰირში; სოფელი მავუნი¹⁸⁴, აკშეჰირში (შენგელია 2011, 509). კვლავ ჩილდირის ბეგლარბეგის და ვეზირის იუსუფ ფაშას წერილის საფუძველზე სულთან მაჰმუდის 11. 07. 1734 წლის ბრძანების საფუძველზე ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის ნაჰიეში დაუძღვრებული ალი ფირის თიმარი გადაეცა ვინმე ჰასანს. თიმარიოტს მიეკუთვნა შემდეგი სოფლები: სოფელი ბიალური, ნიალისყურში; სოფელი ჰარამასლუ, ნიალისყურში; სოფელი თიბოლდაქრათი; სოფელი მერამლუ, აკშეჰირში; სოფელი ბამალეთი, ნიალისყურში (შენგელია 2011, 513). სულთან მაჰმუდის 11. 07. 1734 წლით დათარიღებული ბრძანება, რომელიც გაცა ჩილდირის ბეგლარბეგის ისაკ ფაშას¹⁸⁵ წერილობითი მოხსენების

173 ქართულად ეკლესია, ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

174 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

175 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

176 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

177 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

178 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

179 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

180 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

181 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

182 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

183 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

184 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

185 საუბარია ისაყ ფაშა პირველზე ([1701-1705](#); [1708-1716](#); [1717-1737](#); [1744-1745](#)). აქვე

საფუძველზე ეხება ახალქალაქის სანჯაყის ნასურის ნაჰიეში თიმარის ადრინდელი მფლობელის, დახეიბრებული და დაუძღვრებული ალის ფირისათვის თიმარის ჩამორთმევას და ვინმე მეჰმედისთვის გადაცემას. აქვე მითითებულია იმ სოფელთა სახელები, რომელსაც თიმარიოტი ფლობდა: კეზუე¹⁸⁶; ბიალეთი¹⁸⁷, ნასურის ნაჰიეში¹⁸⁸; ჰამამლო¹⁸⁹, ნასურის ნაჰიეში; დაკული¹⁹⁰; ჯამლოვანი¹⁹¹, აკშეჰირის ნაჰიეში; ბამალეთი¹⁹², ექვემდებარება სალმარას¹⁹³ (შენგელია 2011, 517). სულთან მაჰმუდის მიერ 11. 09. 1734 წელს ახალციხის ფაშას იუსუფის წერილის საფუძველზე 11. 07. 1734 წელს გაცემული მსგავსი სახის დოკუმენტი გვამცნობს, რომ იმავე ალი ფირის თიმარი გადაეცა ვინმე ჰუსეინს. აქვეა ჩამოთვლილი სოფლების სახელები: სოფელი ნიალისყური, ექვემდებარება ნიალისყურს; კარამლო¹⁹⁴, ექვემდებარება ბურას¹⁹⁵; სოფელი დურულ დაგურ მაჰუ¹⁹⁶; სოფელი მერამლო¹⁹⁷, ექვემდებარება ხსენებულს; სოფელი ბამალეთი¹⁹⁸, ექვემდებარება ნიალისყურს (შენგელია 2011, 521). სულთან მაჰმუდის 26. 07. 1734 წლის ბრძანებიდან ჩანს, რომ ამ წლისთვის ისკაკ ფაშა აღარ განაგებს ახალციხის საფაშოს, თუმცა ფადიშაჰი მას კეთილად მოიხსენიებს და თიმარის გასხვისებასთან დაკავშირებით ისკაკის წერილს იშველიებს. საქმე ეხება ახალქალაქის სანჯაყის ნიალისყურის ნაჰიეში, სოფელ ბერალითსა¹⁹⁹ და სხვაგან ვინმე აჰმედისგან თიმარის ჩამორთმევისა და იაჰიაზე გადაცემის საკითხს. აქვე ჩანს, რომ აღნიშნული თიმარი ერთ დროს მეჰმედ ჰალილზე ყოფილა გაცემული. აქვე ჩამოთვლილია ნიალისყურის ნაჰიეს იმ სოფლების სახელები, რომლებიც მიაკუთვნეს იაჰიას: მუკალითი²⁰⁰,

უნდა ითქვას, რომ 1737 წელს ისაკ ფაშა შეცვალა იუსუფ ფაშა III-მ (1737-1744). სწორედ იუსუფ ფაშა III უნდა იყოს ნაგულისხმები წინა დოკუმენტში. როგორც აღნიშნული, ასევე წინა დოკუმენტი თარიღდება 11.07. 1734 წლით. ისაკ ფაშას იუსუფ ფაშათი ჩანაცვლების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მითითებულია 1737 წელი. ვფიქრობთ უფრო სარწმუნო უნდა იყოს 1734 წელი, რადგან სულთან მაჰმუდის თულრაში ორივეგან 1734 წელია მითითებული.

186 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

187 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

188 აღნიშნული ნაჰიეს არსებობის დადასტურება საჭიროებს დამატებით კვლევას

189 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

190 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

191 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

192 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

193 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

194 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

195 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

196 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

197 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

198 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

199 სავარაუდოდ უნდა იყოს ახალქალაქის რაიონი სოფელი ბარალეთი, რადგან ნიალის ზეგანზე მსგავსი სახელი სოფელი არ ფიქსირდება.

200 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

ვაკისკული²⁰¹, ლუშეთი²⁰², ლუქუქეთი²⁰³ (შენგელია 2011, 525). სულთან მუსტაფას 31. 03. 1757 წლის ბრძანებით ახალქალაქის სანჯაყში, აკმეჭირის ნაპირში ვინმე ჰალის მის მფლობელობაში მყოფი თიმარი კვლავ დაუმტკიცდა. აქვე არის ჩამოთვლილი თიმარიოტის კუთვნილი სოფლები: სასანი²⁰⁴, კარლაბენეთი²⁰⁵, აკსაჰური²⁰⁶, ჯულლუჯა²⁰⁷, ბარსუდარი²⁰⁸, ალარა²⁰⁹, ბუნეთი²¹⁰ (შენგელია 2011, 529).

სამცხე-საათაბაგოს (ახალციხის საფაშო) ქართული ტოპონიმები თურქულ ისტორიოგრაფიაში

რაც შეეხება ადგილის სახელებს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კირზიოღლუ საკმარისად კარგად ერკვევა საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში. მაგალითისთვის, როდესაც იგი ეხება სამცხე საათაბაგოს საკითხს, სწორად უთითებს ადგილთა მდებარეობას, თუმცა ტოპონიმების ერთ ნაწილს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს. კირზიოღლუს მონოგრაფიაში „ყივჩაღები მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის აუზში“ 163-181 გვერდები ეთმობა ადგილისა და პიროვნების სახელებს, რომლებიც დადასტურებულია „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში, თურქულ წყაროებში, 1573 და 1595 წლის აღწერის დავთრებში. მთლიანობაში დასახელებულია 335 ადგილის და 511 პიროვნების სახელი. ბუნებრივია, მათ შორის არის წმინდა თურქული პიროვნებათა სახელები და ტოპონიმებიც, თუმცა აქაც ავტორი ქართული სახელების მნიშვნელოვან ნაწილს საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევს და თავისებურ თურქულ ახსნას გვთავაზობს. მონოგრაფიის ბოლოში იგი წუხილს გამოთქვამს, რომ რუსებმა საბჭოთა საქართველოს ეროვნულ მოთხოვნილებებს ანგარიში გაუწიეს და 1944 წელს ახალციხესა და მისი შემოგარენიდან 200 000 სუნიტი თურქი ყივჩაღი²¹¹ შუა აზიაში გადაასახლეს (Kırzioğlu 1992, 163-181).

201 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

202 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

203 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

204 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

205 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

206 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

207 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

208 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

209 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

210 ამჟამად მსგავსი ტოპონიმი აღარ ფიქსირდება

211 როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პროფესორ კირზიოღლუს ასეთი შეხედულება გააჩნია ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებასთან დაკავშირებით. ქართულ ისტორიოგრაფიისთვის ეს მიდგომა მიუღებელია, რადგან ყივჩაღთა ზუსტი განსახლების საკითხი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ვფიქრობთ, მსგავსი საკითხების დადასტურებისთვის საჭიროა არა ვარაუდი, არამედ დამადასტურებელი დოკუმენტები.

ადგილისა და პირთა სახელების ერთი ნაწილი კარგად იკითხება მუჭიმე დავთრებში, ფირმანებსა და ბერათებში, თუმცა არაბული გრაფიკიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, აქაც არის სირთულეები სწორად ამოკითხვასთან დაკავშირებით, რაც კარგად ჩანს, როგორც თურქ, ასევე ქართველ ავტორებთან. ამის მიუხედავად ჩვენ ხელთ არსებული მასალა რეგიონში მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და სოციალური სისტემის შესასწავლად უდავოდ დიდი მნიშვნელობისაა.

დასკვნა:

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თურქულ ისტორიოგრაფიაში დაცული მასალას სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა გააჩნია. მათი შეჯერება ქართულ და სხვა უცხოენოვან წყაროებთან რეგიონში მიმდინარე მოვლენების უკეთესი ანალიზის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება საკამათო საკითხებს, განსაკუთრებით ყივჩაღთა ჩამოსახლება-განსახლების და უკან დაბრუნების თემას, უკვე არსებული გამოცდილების საფუძველზე, იგი შესაძლებელია განხილულ იქნას ქართველ და თურქ მეცნიერთა ერთობლივ სამეცნიერო შეკრებებზე. მსგავსი მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილის თუ პიროვნების სახელთა იდენტიფიკაციის საკითხთან დაკავშირებითაც, რაც ზოგიერთი გაუგებრობის თავიდან აცილების საშუალებას მოგვცემს.

სომეხთა შემოსახლების საკითხი სამცხე-ჯავახეთში 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ (თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით)

შესავალი

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთის მხარის ისტორიის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ სპარსეთთან ომის დამთავრებამდე რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. განხეთქილების მიზეზი გახდა რუსეთის ჩარევა ოსმალეთ-საბერძნეთის ომში და 1827 წლის ოქტომბერში რუსეთის ესკადრის მიერ თურქეთის ფლოტის განადგურება. 1828 წლის დასაწყისში გიორგიერისთავის მიერთავრიზისაღებამ რუსეთ-ირანის ომის დამთავრება დააჩქარა. 1828 წლის თებერვალში ს. თურქმანჩაიში დადებული ზავით ეს ომი დასრულდა. აღნიშნულ აქტს მოჰყვა რუსეთთან ერევან-ნახიჭევანის სახანოების შემოერთება, რამაც რუსეთის საზღვარი თურქეთთან კიდევ

უფრო გააფართოვა. გამარჯვებულ პასკევიჩს, როცა 1828 წლის მარტში თავრიზიდან ბრუნდებოდა, გზაში მიუტანეს საიდუმლო დეპეშა, რომ სულ მალე თურქეთთან ომი დაიწყებოდა. პასკევიჩი სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და ომისთვის სამზადისს შეუდგა (ლომსაძე 1975, 354-155).

თურქეთთან ომის დაწყების შესახებ სპეციალური ინფორმაცია გამოქვეყნდა თბილისის უწყებანში, ხოლო საომარი მოქმედებები დაიწყო 1828 წლის 14 ივნისს, როდესაც რუსეთის არმიამ გიუმრის მიმართულეებიდან გადალახა მაშინდელი რუსეთ-თურქეთის საზღვარი მდინარე არფაჩაიზე და თურქეთის საზღვრებში შეიჭრა (ტფილისის უწყებანი 1828).²¹²

1828 წლის 23 ივნისს რუსებმა აიღეს ყარსი (Kavrelišvili 2022, 18). პასკევიჩმა დაკავებულ ყარსის ციხეში დატოვა გენერალ ბერხმანის სამხედრო შენაერთი და 16 ივლისს დანარჩენი ჯარით ახალქალაქისკენ გამოემართა. 22 ივლისს რუსთა ჯარმა გადმოლახა ჩრდილის (ჩილდირი) მთაგრეხილი და ჯავახეთის პლატოზე დაეშვა. 23 ივლისს რუსებმა ახალქალაქის ციხის აღების ოპერაცია დაიწყეს და წარმატებით დაასრულეს (Kavrelišvili 2022, 18). რუსების მიერ ხერთვისის ციხე აღებულ იქნა 26 ივლისს (Kavrelišvili 2022, 18), ხოლო ასპინძის ციხე რუსებს უბრძოლველად დანებდა, რომლის 150 კაციანმა გარნიზონმა ციხე დატოვა და გაიქცა (Kavrelišvili 2022, 18).

ხერთვისის აღების შემდეგ, 1828 წლის 30 ივლისს პასკევიჩმა გამოსცა ბრძანება №100, რის მიხედვითაც სულ რამდენიმე დღეში რუსული სამხედრო შენაერთები უნდა დაბანაკებულიყვნენ ახალციხის მისადგომებთან (Акты 1866-1904, 760).

რუსეთის სამხედრო კორპუსმა ახალქალაქიდან ახალციხისკენ გზა ციხისჯვრის მიმართულებით გააგრძელა. მართალია, ეს გზა მთაგორიანი და ტყიანი იყო, მაგრამ გზის გამწმენდი სამუშაოები შეასრულა გრენადერთა ბრიგადამ. სანამ მთელი არმია ახალციხისკენ დაიძვრებოდა, 27 ივლისს ახალციხისკენ გაგზავნილ იქნა გენერალ მურავიოვის ბრიგადა (Kavrelišvili 2022, 21). რუსეთის არმიის მიერ 11 აგვისტოს დაწყებული ახალციხის ციხის აღების სამხედრო ოპერაცია, 15 აგვისტოს წარმატებით დასრულდა (ლომსაძე 1975, 169). ახალციხის აღების შემდეგ ჯერი აწყურის ციხეზე მიდგა, რომელიც რუსებმა 17 აგვისტოს აიღეს (Потто 1887-1889, 4). აგვისტოს ბოლოს პასკევიჩი ჩავიდა არტაანში, 22 აგვისტოს რუსი გენერლის, ბერგმანის სამხედრო შენაერთებმა არტაანი დაიკავეს (Kavrelišvili 2022, 27). ახალციხის საფაშოს დროებით მმართველად პასკევიჩის მიერ დანიშნულ იქნა გენერალი ვ. ბებუთოვი (ლომსაძე 1975, 172). 1828 წლის 28 აგვისტოს გენერალმა ჭავჭავაძემ აიღო ბაიაზიდის ციხე, ხოლო 12 სექტემბერს თოფრაქ-ყალა (Kavrelišvili 2022, 28).²¹³ ამის შემდეგ რუსებს

212 შენიშვნა: ქართულ და რუსულ წყაროებსა და ლიტერატურაში თარიღები ძველი სტილითაა მითითებული.

213 თოფრაქ-ყალა, იგივე ელემჰირტი/ვალაშკერტი.

გზა გაეხსნათ დასავლეთით - არზრუმისკენ, ხოლო სამხრეთით - მუმსა და ბითლისისკენ (Muratoff 1966, 30). 1829 წლის 8 ივლისს რუსთა სამხედრო ნაწილებმა არზრუმი აიღეს (Muratoff 1966, 86),²¹⁴ ხოლო 1829 წლის 13 ივლისს - ბაიბურთი (Muhtar 1928, 87).²¹⁵ 1829 წლის სამხედრო ოპერაციის შედეგად 6 თვის განმავლობაში რუსებმა ხელში ჩაიგდეს ანატოლიის ყველაზე დიდი ქალაქი - არზრუმი. სრულიად დაიკავეს არზრუმის, მუმის მხარეები და ნაწილობრივ ტრაპიზონის მხარე (Celal 1940, 78).

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომი დასრულდა 1829 წლის 14 სექტემბრის ადრიანოპოლის 16-მუხლიანი ზავით. ამას გარდა, ზავს ერთვოდა 4 მუხლისგან შემდგარი დამატებით ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა დაკავებული ტერიტორიების ევაკუაციის, ომის დროს მიყენებული ზარალის და სავაჭრო კომპენსაციის საკითხებს, ასევე ხელი მოეწერა დოკუმენტს ვლახეთისა და მოლდოვის შესახებ (Gök 2008, 66-68).

აღნიშნული ზავის ძალით კავკასიაში რუსეთის ხელთ აღმოჩნდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ერთი ნაწილი. კერძოდ, ახალციხის საფაშოს 10 სანჯაყი - ახალციხე, ახალქალაქი, აწყური, ასპინძა, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და ჩრდილი (სვანიძე 2007, 282). ასევე, ანაპის, სოლუჯაკის, გელენჯიკის, სოხუმის, ანაკლიის და ფოთის ციხეები. რუსებმა თურქეთის აღმოსავლეთის ვილაეთების სხვა დაკავებული ტერიტორიები დაცალეს.

ოსმალეთის ჩრდილო - აღმოსავლეთ პროვინციებიდან სომხური მოსახლეობის რუსეთის იმპერიაში გადასახლება და მათი უკან დაბრუნების მცდელობები

ომის დასრულების შემდეგ ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაეთებში მცხოვრები სომხური მოსახლეობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო.

1829 წლის 14 სექტემბრის ადრიანოპოლის ზავის მე-13 მუხლი სომხურ მოსახლეობასაც ეხებოდა. აღნიშნული მუხლის მიხედვით, მეომარი მხარეები იღებდნენ ვალდებულებას, რომ ხელშეუხებელნი იქნებოდნენ ის მოქალაქეები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საომაროპერაციებში ან/და მხარს უჭერდნენ მოწინააღმდეგეს. სურვილის შემთხვევაში, მოსახლეობას უფლება ეძლეოდა, 18 თვის ვადაში ოსმალეთიდან რუსეთში ან პირიქით გადასახლებულიყვნენ. ამ მუხლით რუსეთს სურდა ომის დროს მისი მხარდამჭერი სომხური მოსახლეობისთვის ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი სადამსჯელო სანქციები აეცილებინა (Aykun 2019, 411). ამავე 18 თვიან მონაკვეთში ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას უფლება

214 თარიღი მითითებულია ახალი სტილით.

215 თარიღი მითითებულია ახალი სტილით.

ემლოდა, ორივე მხარეს თავისუფლად ემოძრავა და ქონების ყიდვა-გაყიდვის პროცედურები მოეგვარებინა. მიუხედავად ასეთი შეთანხმებისა, რუსეთმა რუსეთში გადასახლებულ სომხურ მოსახლეობას ამ პირობებით სარგებლობის უფლება არ მისცა (Demirel 2006, 266).

ზავის მიხედვით, რუსეთში გადასახლების მსურველი სომხებისთვის ოსმალეთის სახელმწიფოს ხელი არ უნდა შეეშალა. ასევე, რუსეთს არ უნდა აეძულებინა სომხური მოსახლეობა, რომ ოსმალეთიდან გადასახლებული იყვნენ. ოსმალეთში ვარაუდობდნენ, რომ სომხური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც კმაყოფილი იყო საკუთარი მდგომარეობით, ქონებას არ დატოვებდა და არ გადასახლდებოდა (Aykun 2019, 412).

რუსების მიერ ოსმალეთის ტერიტორიების დაკავებამ აიძულა ახალციხის საფაშოდან ლტოლვილი და არზრუმსა და ერზინჯანის მხარეებში ჩასახლებული მოსახლეობის ოსმალეთის შიდა რაიონებში ხელახალი გაქცევა (Beydilli 1988, 384). როგორც ჩანს, არზრუმის მხარის დაკავების შემდეგ, პირველ ეტაპზე რუსებმა ვერ უზრუნველყვეს წესრიგის დაცვა, რადგან ქემალ ბეიდილი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ ქურთების შეიარაღებულმა ბანდებმა დაიწყეს არზრუმის ვაკის სოფლების, ბასიანის²¹⁶ მთის სოფლების სომხური მოსახლეობის ძარცვა, რის გამოც არზრუმის კათოლიკური სარწმუნოების სომხური მოსახლეობა შეშინდა და 150 ოჯახი რუსების მხარეს გადავიდა. მათ კვალს 300 გრიგორიანული სარწმუნოების ადამიანიც გაჰყვა. ზავის დადების შემდეგ, დაიწყეს რა რუსებმა რეგიონიდან გამოსვლა, შეშინებულმა სომეხმა მოსახლეობამ ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას მათი სიცოცხლის და ქონების დაცვა მოსთხოვა (Beydilli 1988, 386).²¹⁷ გენერალი პანკრატიევი მუშის მუთასარიფისგან,²¹⁸ ვინმე ემინ ფაშასგან, ქურთების ბანდებისაგან მოსახლეობის დაცვას მოითხოვდა (Beydilli 1988, 386).

ზემოაღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1828 წლის 27 დეკემბერს სურბ კარაპეტის სახელობის მონასტრის ეპისკოპოსმა²¹⁹ და ოთხმა არქიმანდრიტმა²²⁰ გენერალ-მაიორ პანკრატიევს თხოვნა წარუდგინეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ისინი თურქეთის მთავრობისგან დიდ შევიწროებას განიცდიდნენ, რომ ქურთები მათ განუკითხავად ძარცვავდნენ, უნგრევდნენ საყდრებს და მათ წმინდა სალოცავებს ბლალავდნენ. სომეხი მოძღვარნი რუსეთის სამხედრო ნაწილებს არზრუმში

216 ავტორის მიერ მისი თურქული სახელწოდებაა მითითებული: Pasinler

217 ავტორს დამოწმებული აქვს პრემიერმინისტრის ოსმალეთის არქივში დაცული არზრუმელი სომეხი ვაჭრის ვინმე მიგირდის კიგორქის ოფიციალური წერილი. **შენიშვნა:** (ავტორს, არაბული გრაფიკის სპეციფიკის გამო, სახელი **მიგირდის** არასწორად აქვს ამოკითხული, უნდა იყოს - მკრტიჩ. რ.ყ.)

218 მხარის გამგებელი ოსმალეთში.

219 სახელი არ არის მითითებული

220 სახელები არ არის მითითებული

ეპატიჟებოდნენ და ქვეშევრდომობასა და დახმარებას სთავაზობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წერდნენ ისინი, მთელ სომხებს აიკლებენ და ტყვეებად დაყიდიანო (ლომსაძე 1975, 346).

ცხადია, რომ რეგიონიდან რუსული ჯარების გასვლის შემდეგ ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაში გაჩნდა დაუცველობის შიში, რადგან შესაძლებელი იყო მათ წინააღმდეგ ერთგვარი შურისძიება დაწყებულიყო, რადგან მათ რუსებთან თანამშრომლობა დაიწყეს.

1828 წლის 15 ოქტომბერს, როცა პასკევიჩი არზრუმიდან თბილისისკენ წამოვიდა, მას გზაში სომხური მოსახლეობა ხვდებოდა და თან წაყვანას სთხოვდა. 1829 წლის ივნისს, როდესაც კავკასიის არმიის ნაწილებმა არზრუმი აიღეს, პასკევიჩმა პეტერბურგში გენერალ ადიუტანტი პოტიომკინი გააგზავნა და პირადად იმპერატორს ომში დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები რუსების ერთგული სომხებისა და ბერძნების (რომელთა რიცხვიც 10 000-მდე იყო) საქართველოსა და კავკასიაში ჩამოსახლების შესახებ მოხსენება წარუდგინა. პასკევიჩმა გამოითხოვა იმპერატორის ნებართვა, რომ გადმოსახლების საჭიროებისათვის გამოეყენებინათ ქურთული ტომების მისამხრობად და შესანახად განკუთვნილი თანხა 100 000 ჩერვონეცი, რომლიდანაც დახარჯული იყო მხოლოდ 10 000. 1829 წლის 18 ნოემბერს გრაფი ჩერნიშევი პასკევიჩს ატყობინებდა, რომ მისი თხოვნა 10. 000 სომხური ოჯახის გადმოსახლების შესახებ საიმპერატორო კარმა დააკმაყოფილა და ნება დაერთო ქურთთა ტომებისათვის განკუთვნილი თანხა გამოეყენებინა გადმოსახლებისათვის (ლომსაძე 1975, 347).

ჩერნიშევის მიაჩნდა, რომ სომხები უნდა დაესახლებინათ ახალციხეში და მის გარშემო ადგილებში, რათა შეექმნათ სამხედრო ნაწილები, რომლებსაც გამოიყენებდნენ რუსეთის ახალი საზღვრების დასაცავად და მხარის ეკონომიკური განვითარებისთვის პირობების შესაქმნელად (Акты 1866-1904, 831).

ნებართვის მიღების შემდეგ პასკევიჩი შეუდგა გადმოსახლების ორგანიზებას. 1829 წ. 3 დეკემბერს მისი ბრძანებით შედგა გადმოსახლების განსაკუთრებული კომიტეტი სამოქალაქო გუბერნატორის ზავილეისკის თავმჯდომარეობით. 1829წ. დეკემბერში კომიტეტმა შეადგინა 13-მუხლიანი გადმოსახლების დებულება. კომიტეტს უნდა ეარსება გადმოსახლების დასასრულამდე, გადმოსახლებულთა ადგილზე განაწილებამდე და დაბინავებამდე (ლომსაძე 1975, 348).

ყოველ გადმოსახლებულ ოჯახს უნდა მისცემოდა 25 მანეთი ვერცხლით, ამისათვის საჭირო იყო ჯერ კომიტეტის ნებართვა, ხოლო შემდეგ, მთავარმართებლის ან სამხედრო გუბერნატორის დამტკიცება (Акты 1866-1904, 832).

პასკევიჩის ბრძანებით ყარსის, არზრუმის და ბაიაზიდის საფაშოებში

რუსეთის ჯარის მეთაურები უნდა დახმარებოდნენ საქართველოში გადმოსახლების მსურველ ყველა ქრისტიანს. მათ მიეცემოდათ სპეციალური ბილეთი და გაეწეოდათ ყველანაირი დახმარება. გადმოსახლება უნდა დაწყებულიყო 1830 წლის გაზაფხულზე. ზემოაღნიშნულ სამხედრო მეთაურებს კომიტეტში უნდა წარმოედგინათ იმ ოჯახების სია, რომლებიც გადმოსახლებას მოისურვებდნენ (Акты 1866-1904, 834).

კომიტეტმა გათვალა, რომ საქართველოს საზღვრებში შეიძლებოდა შემოესახლებინათ 8000 ოჯახი (Акты 1866-1904, 834). თუმცა, შემოვიდა უფრო მეტი კოლონისტი, დაახლოებით 14 000 ოჯახი. მთავარი გადმოსახლება დაიწყო 1830 წლის ივლისში (ლომსაძე 1975, 351).

არზრუმის და ჯავახეთის ჰავის მსგავსების გამო, არზრუმელმა სომხებმა ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე დასახლება მოისურვეს. თავდაპირველად გადმოსახლების სურვილი გამოთქვა ორი ათასმა ოჯახმა (Акты 1866-1904, 833), შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა და 7 ათას ოჯახამდე ავიდა (Акты 1866-1904, 838).

თურქი ავტორების მიერ მოხმობილი მასალის მიხედვით, სომხური მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილიდან აყრასა და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დასახლებას ხელს უწყობდა ადგილობრივი სომხური ეკლესია. ამავე მასალიდან ირკვევა, რომ გადასახლებულთა უკან, ოსმალეთში დაბრუნების შემთხვევებში ადგილზე დარჩენილი სომხური თემის ლიდერების მხრიდან ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების მისამართით იგზავნებოდა წერილები, სადაც ითხოვდნენ, რომ უკან დაბრუნებულებს რეაბილიტაციის საშუალება მისცემოდათ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა არზრუმის სომეხი ეპისკოპოსის, კარაპეტის მიერ ცენტრიდან მოსულ წერილებზე გაცემული პასუხი, სადაც იგი ფადიშაჰს სწერდა, რომ „იყო ომის დროს გარკვეული უადგილო და არასწორი გადაცდომები“. ეპისკოპოსის ეს თხოვნა განხილულ იქნა ფადიშაჰის კარზე და პატიების შესახებ (Muammer Demirel 2006, 264)²²¹ მიღებული გადაწყვეტილებები არზრუმის, ჰინისის და მუშის ნაიბებს დაეზავნათ (Muammer Demirel 2006, 267).²²²

კარაპეტის თქმით, ასეთი მდგომარეობა გამოიწვია ქურთთა დაჯგუფებების სომხურ სოფლებზე მძარცველურმა თავდასხმებმა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა რუსებთან თანამშრომლობას და ქვეყნის ღალატს. სომეხთა ეპისკოპოსი შიშობდა, რომ რუსების გასვლის შემდეგ მსგავსი რამ შეიძლება

221 ავტორი იმოწმებს არზრუმის სომეხთა ეპისკოპოსის კარაპეტის წერილს დათარიღებულს 1830 წლის 13 თებერვლით. წერილი დაცულია პრემიერმინისტრის ოსმალეთის არქივში: BOA, HH, No 43153-J.

222 ავტორი იმოწმებს: არზრუმის ნაიბის მეჰმეთ ნური ევენდისადმი გადაგზავნილ განკარგულებას - 23. §. 124, BOA, HH, №341-53=7; ჰინისის ნაიბის ჰასან ევენდისადმი გაგზავნილ განკარგულებას - 13. N. 1245, BOA, HH, №43153 - H; მუშის ნაიბის სუნულაჰ ევენდისადმი გაგზავნილ განკარგულებას - 5. N. 1245, BOA, HH, . №43153-G.

განმეორებულიყო და ხელისუფლებას დაცვას სთხოვდა (Beydilli 1988, 386).

ჰინისისა და თექმანის ქურთების მხრიდან სომხური მოსახლეობის დარბევის გამო იგზავნებოდა საჩივრები მხარის ხელისუფლებისადმი, სადაც ისინი მომხდურთა დასჯას ითხოვდნენ (Demirel 2006, 267).²²³

ოსმალეთის სახელმწიფო არზრუმის, ყარსის, ზაიაზიდის და ვალაშკერტის²²⁴ რაიონებიდან სომეხთა გადასახლების შეფერხებას მალულად თუ აშკარად ცდილობდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სომეხი მოსახლეობა თვითონვე მიუთითებდა რუსთა მიერ მათი ნაწილის იძულებით გადასახლებაზე. ოსმალეთის სახელმწიფო ღიად და ფარულად აგზავნიდა ზემოაღნიშნულ მხარეებში თავის ხალხს, რომ მათ გაეწიათ გადასახლების საწინააღმდეგო საპირისპირო პროპაგანდა მოსახლეობაში (Aykun 2019, 412). ოსმალეთი თავისი მოციქულების საშუალებით ჰპირდებოდა უსაფრთხოების გარანტიას სომხურ მოსახლეობას იმისათვის, რომ მათ არ დაეჯერებინათ რუსთა ფუჭი დაპირებებისთვის და არ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები. მსგავსი საქმისთვის იყენებდნენ ავტორიტეტულ პირებსაც (Beydilli 1988, 387).²²⁵ ერთ-ერთი ასეთი პირი იყო მევახზე ქოსე ოღლუ, რომელიც ოსმალეთის სარდლობას შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა (Aykun 2019, 412). არც ოფიციალური პირები აკლებდნენ მცდელობას ზეგავლენა მოეხდინათ გადასახლების პროცესზე. მაგალითისთვის, არზრუმის მუფტი მუსლიმ ლიდერებთან ერთად შეხვდა სომხურ მოსახლეობას და შეეცადა, დაერწმუნებინა ისინი დარჩენილიყვენ, თუმცა უსაფრთხოების რეალური გარანტიები მაინც ვერ მისცა (Demirel 2006, 266).²²⁶

ოსმალეთის მთავრობის მცდელობა, ხელი შეეშალა სომეხთა გადასახლებისთვის, უშედეგო გამოდგა. ამ პროცესში ჩაერთვნენ არზრუმის სერასკერი ჰასან-ფაშა და სულთნის მიერ სტამბოლიდან გამოგზავნილი სომეხი ეპისკოპოსი ბართლომე, თუმცა ამაოდ (Акты 1866-1904, 842).

ცალკე ტრაპიზონის ვალიმ და აღმოსავლეთის მთავარსარდალმა ოსმან ფაშამ მოითხოვა ცენტრალური ხელისუფლებისგან, რომ ზაიაზიდში დაებრუნებინათ მხარის ადრინდელი გამგებელი ბეჰლული ფაშა, რომელიც შეძლებდა სომეხთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მათ უკან დაბრუნებას (Demirel 2006, 267).²²⁷

223 ავტორი იმოწმებს ტრაპიზონის ვალის და აღმოსავლეთის მთავარსარდალის ოსმან ფაშას წერილი: ჰიჯრით 13. L. 1245; BOA, HH, № 43153-B.

224 თურქულ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ელეშკირტი (Eleşkırti)

225 მაგალითისთვის მოყვანილია ვინმე მევახზე ქოსე ოღლუ.

226 ავტორი იმოწმებს არზრუმის მუფტის და რამდენიმე მუსლიმი ლიდერის განმარტებით ბარათს პრემიერმინისტრის ოსმალეთის არქივიდან, დათარიღებულს 1831 წლის 9 ივლისით: BOA, HH, No. 4321, A.

227 ავტორი იმოწმებს ტრაპიზონის ვალის და აღმოსავლეთის მთავარსარდალის ოსმან ფაშას წერილს, დათარიღებულს ჰიჯრით 13. L. 1245 (7 აპრილი 1830). BOA, HH, № 43153-B.

სომხურ თემთან დალაპარაკების მიზნით ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არზრუმში სომეხთა ეპისკოპოსი,²²⁸ ყარსში - საგარეო საქმეთა უწყებიდან ვინმე იბრაჰიმი და ბაიაზიდში - ბეჰლულ ფაშა გაეგზავნა. შეხვედრის მიზანი იყო სომეხთა ადგილზე დარჩენის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ ისინი არზრუმს იქით არ გადაუშვა და არც სომხურ თემთან შეხვედრის უფლება მისცა (Demirel 1988, 268).²²⁹

რუსების მიერ დაკავებულ ზოგიერთ მხარეში შედარებით რბილი პოლიტიკა ტარდებოდა. მაგალითად, ელემჰირტის²³⁰ მხარეში. ამ მხარის მუფტი და გამგებელი შეხვდნენ ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას და უსაფრთხოების გარანტიები მისცეს, შედეგად მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა გადასახლებისგან თავი შეიკავა. გადასახლდა მხოლოდ 17 სომხური ოჯახი (Demirel 2006, 268).²³¹

აშკარაა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება ოფიციალურად ვერ შეეწინააღმდეგებოდა ნებით, გარკვეული დაპირებებით თუ გარკვეული ზეწოლის შედეგად აყრილი მოსახლეობის გადასახლებას, რაც კარგად ჩანს ოსმალეთის ხელისუფლების მიერ აღმოსავლეთის ჯარების სარდლის ოსმან ფაშასადმი გაგზავნილი ოფიციალური წერილიდან, სადაც იგი მოითხოვდა, რომ არ გაეწია წინააღმდეგობა აღნიშნული პროცესისადმი, ხოლო ვინც დარჩენას გადაწყვეტდა, მაქსიმალურად გაფრთხილებოდნენ (Beydilli 1988, 387).

აშკარაა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება არ ელოდა რუსების მხრიდან სომხურ მოსახლეობაში გადასახლების შესახებ ფართო აგიტაციისა და გარკვეული ზეწოლის მოხდენას.

აღნიშნულის დასადასტურებლად გამოდგება ტრაპიზონის ვალის²³² ოსმან ფაშას 14. 08. 1829 წლით დათარიღებული წერილი ცენტრალური ხელისუფლებისადმი. მან ეს წერილი ოსმან ფაშას გაუგზავნა არზრუმისა და სივასის ვალის ჰასან ფაშას მიერ მისთვის გადმოგზავნილი წერილში მოყვანილი ფაქტების გამო. წერილში ნათქვამია, რომ გენერალი პანკრატიევი არზრუმში არ რთავდა ნებას სომხურ მოსახლეობას ხვნათესვის სამუშაოები ეწარმოებინა, რაც მათ ძალით აყრასა და გადასახლებაზე მიუთითებდა (Beydilli 1988, 388).

იგივე ოსმან ფაშა აღნიშნავს, რომ პანკრატიევმა მისცა რუსეთის

228 აღნიშნული ეპისკოპოსი არის ბართლომე (იხ. შოთა ლომსაძე, დასახ. წიგნი, გვ. 351; Акты, VII, გვ. 842.

229 ავტორი იმოწმებს არზრუმის ვალის ჰასან ფაშას წერილს ოსმალეთის ხელისუფლებისადმი, ჰიჯრით 3 M. 1246, BOA, HH, №43139-F.

230 ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობილია, როგორც ვალაშკერტი.

231 ავტორი იმოწმებს ვალაშკერტის მუფტის და მხარის გამგებლის ანგარიშს, ჰიჯრით 19 B. 1245, BOA, HH, № 43022 -D.

232 სამხედრო-ადმინისტრაციული თანამდებობა ოსმალეთის იმპერიაში

ქვეშევრდომობა სომეხთა ეპისკოპოსს²³³ და ამგვარად ცდილობდა გადაებირებინა სომხური მოსახლეობა (Beydilli 1988, 388). ოსმან ფაშას მიერ ცენტრალური ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ რუსი გენერალი პანკრატიევი მოსახლეობაში პროპაგანდას ეწეოდა. მაგალითისთვის, ის გამოდგება არზრუმის რაიონის სოფელ კოჯაბაშში სომხურ მოსახლეობას ეუბნებოდა, რომ ისინი უკვე რუსეთის ქვეშევრდომნი იყვნენ და მათ რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებას უწყობდა ხელს (Aykun 2019, 412). პანკრატიევის დავალებით სომეხთა ეპისკოპოსმა არზრუმის მხარის ბასიანის, მიჩინგერდის, ჰინისის, თექმენის, თერჯანის რაიონებში დააგზავნა თავისი ხალხი და დაავალა შეედგინათ გადასახლების მსურველთა სია (Beydilli 1988, 388).

აღსანიშნავია, რომ ოსმან ფაშა ოსმალეთის ხელისუფლებისაგან მოითხოვდა, გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან სომეხთა ეპისკოპოსი²³⁴ და მის მაგივრად სხვა დაენიშნათ. ასევე ოსმალეთის ხელისუფლებას სტამბოლში რუსეთის წარმომადგენლებთან კონსულტაცია გაემართა იმ პირობით, რომ რუსეთს სომეხთა ძალდატანებით გადასახლებაზე ხელი აეღო (Beydilli 1988, 388).

როგორც ჩანს, პანკრატიევი ემმაკურ სვლებს აკეთებდა. იგი ხვდებოდა სომხურ მოსახლეობას და უხსნიდა, რომ მათი არჩევანის თავისუფლება ჰქონდათ (Beydilli 1988, 388).

სომეხთა არზრუმელი კათოლიკოსის შეცვლის და მის ადგილზე სხვა, ოსმალეთისადმი უფრო ლოიალურად განწყობილი კათალიკოსის დანიშვნის საკითხი ოსმალეთის მთავრობის მხრიდან სტამბოლის სომხურ საპატრიარქოს ეცნობა. ასევე არზრუმის მხარეში რუსთა ზედმეტად აქტიურობის აღსაკვეთად სტამბოლიდან ვინმე ოფიციალური პირის გაგზავნის საკითხიც დადგა დღის წესრიგში. ზემოაღნიშნული ვერც ერთი საკითხი ვერ განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში, გადასახლებისთვის ხელისშესაშლელად რჩებოდა ერთი შანსი, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას სომეხი მოსახლეობისთვის უსაფრთხოების გარანტია მიეცა, რასთან დაკავშირებითაც არჩევანის თავისუფლების შესახებ ბრძანებულებაც კი გამოიცა (Beydilli 1988, 389).²³⁵ ამის შემდეგ სომხური მოსახლეობა ორად - წასვლის და დარჩენის მსურველებად გაიყო (Beydilli 1988, 389).

ერთ-ერთ დოკუმენტში ჩანს, რომ სომეხი ღვთისმსახურები კარდაკარ დადიოდნენ და ღია პროპაგანდას უწევდნენ გადასახლების პოლიტიკას, მოსახლეობას არეგისტრირებდნენ ე.წ. „ეპისკოპოსის რეესტრში“. ასევე ეწეოდნენ პროპაგანდას, რომ დარჩენის შემთხვევაში მათ დაემუქრებოდათ ძარცვის და სახლ-კარის გადაწვის საშიშროება. საინტერესოა ისიც,

233 სახელი არ არის მითითებული

234 წყაროში არ არის მითითებული, თუ რომელ ეპისკოპოსზეა საუბარი.

235 ავტორს არ აქვს მითითებული, თუ ვის მიერ იქნა გამოცემული ეს ბრძანებულება.

რომ მუსლიმი მოსახლეობა ღიად ვერა, მაგრამ ფარულად აძლევდა უსაფრთხოების გარანტიას თანამოქალაქე სომეხ მოსახლეობას, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ ჰქონდა (Beydilli, 389).

გადასახლებაში სომეხთა ეპისკოპოსის²³⁶ მონაწილეობა არზრუმის მუფტის ოსმალეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ 28.04. 1830 წლით დათარიღებულ წერილში დასტურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ სტამბოლის მთავრობა არზრუმში, ყარსა და მუშში სომეხთა ეპისკოპოსის წარმომადგენლებს²³⁷ და ყარაბაშებს²³⁸ ომის დროს დანაშაულის ჩამდენ პიროვნებებთან დაკავშირებით პატიების შესახებ ოფიციალურ წერილებს უგზავნიდა, მაგრამ 1830 წელს სომეხი ეროვნების მოქალაქეთა ნაწილი ზოგი ნებით, ზოგი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ აიყარა და გადასახლდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ რიგში აიყარნენ ისინი, ვისაც ომის დროს საკუთარი ქვეყნის წინაშე რაიმე ბრალი მიუძღვოდა, შემდეგ მათ აიყოლიეს სხვებიც. ზოგმა გზაშივე ინანა და არზრუმიდან წასვლის შემდეგ, ყარსამდე არმისული უკან გამობრუნდა. საინტერესოა ისიც, რომ უკან გამოქცეულები ემალებოდნენ რუსებს. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით არზრუმიდან აყრილი სომეხი მოსახლეობა ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე ჩასახლეს, მაგრამ იმის შიშით, რომ ისინი საკუთარი ნებით უკან არ დაბრუნებულიყვნენ, რუსეთმა ამ ტერიტორიაზე მკაცრი კონტროლი დააწესა. ვინც შეძლო უკან დაბრუნება, ოსმალეთის სახელმწიფომ მათი უსაფრთხოება უზრუნველყო. ასევე ოსმალეთის ხელისუფლებამ გადასახლებული სომეხი მოსახლეობის ადგილზე დარჩენილი ქონება აღრიცხა (Beydilli 1988, 390).

რაც შეეხება ყარსიდან უკან, არზრუმში, დაბრუნებულ სომეხთა რაოდენობას, იგი შეადგენდა 100 კაცს. მათივე თქმით, თუ მიეცემოდათ ხელსაყრელი შესაძლებლობა, გადასახლებულთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნების მსურველი იყო. (Demirel 2002, 266).²³⁹

ამკარაა, რომ გადასახლებულ სომეხურ მოსახლეობა ჩასახლების ადგილებზე არ აღმოჩნდა ისეთ პირობებში, როგორსაც შეჰპირდა მაშინდელი რუსეთის სარდლობა, რის გამოც გადასახლებულთა ნაწილმა უკან დაბრუნება გადაწყვიტა.

მოკვლეული მასალიდან ჩანს, რომ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლებულ სომეხთა უკან დაბრუნების საქმეს თავობდნენ არზრუმსა და მის მხარეში დარჩენილი სომეხი ეროვნების ღვთისმსახურნი.

236 სახელი არ არის მითითებული

237 სახელები არ არის მითითებული

238 ყარაბაშები, ასე იხსენიებიან სომეხი ღვთისმსახურები ჩვენს მიერ განხილულ და ზოგადად თურქულ საისტორიო ლიტერატურაში.

239 ავტორი იმორწმებს არზრუმის ვალის ალი შევვიკ ფაშას განმარტებით წერილს ცენტრალური ხელისუფლებისადმი, დათარიღებულს ჰიჯრით 9 R. 1246. BOA, HH, No. 43212. A.

ისინი მიმართავდნენ ოსმალეთის ხელისუფლებას და აძლევდნენ ინფორმაციას უკან დაბრუნების მსურველთა შესახებ. აღსანიშნავია, რომ ასეთი მცდელობის შედეგად გადასახლებულთა ერთი ნაწილი საკუთარ სახლებში დაბრუნდა. თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი (Özcan 2011, 195).

სომეხთა უკან დაბრუნების მცდელობა და პროცესი დასტურდება რუსული წყაროების მიხედვითაც. 1834 წლის 25 იანვარს ბარონი როზენი ნესელროდეს წერდა, რომ ახალციხის საფაშოდან სომეხთა უკან დაბრუნების მცდელობები თანდათან შემცირდა (Акты 1966-1904, 833). უკან, არზრუმში, გასახლებას პირველი სამი წლის (1830-1833) განმავლობაში მასიური ხასიათი ჰქონდა (ლომსაძე 1975, 360).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბარონი როზენი მოითხოვდა არზრუმში რუსეთის წარმომადგენლობის დაარსებას, რომელიც გააკონტროლებდა სომეხთა უკან დაბრუნების საკითხებს (Акты 1966-1904, 884).

რუსულმა მხარემ სომეხთა უკან დაბრუნების აღკვეთა სთხოვა არზრუმის სერასკერს ასათ ფაშას, ვისგანაც თანხმობა მიიღო, რამაც გარკვეულწილად შედეგი გამოიღო, თუმცა 1836 წელს სომეხთა ეპისკოპოსი გევორქი აღნიშნავდა, რომ ახალციხიდან 400 ოჯახი არზრუმში მაინც გადასახლდა (ლომსაძე 1975, 360).

ვალაშკერტში აქაური მუფტი აბდურაჰმან ეფენდი ოსმალეთის ხელისუფლებისგან მიღებული განკარგულების საფუძველზე, სომხურ მოსახლეობას შეხვდა და დააიმედა, რომ რუსების გასვლის შეთხვევაში, მათ საფრთხე არ დაემუქრებოდათ. სომხურმა მოსახლეობამ ეს დაპირება საკმარისად არ ჩათვალა, თუმცა მუფტის მაინც შეპირდნენ, რომ არ წავიდოდნენ, მაგრამ ზეწოლამ და პროპაგანდამ თავისი გაიტანა და მათი გადასახლება მოხდა (Beydilli 1988, 392)²⁴⁰

აღსანიშნავია, რომ ამ ომში უშუალოდ ქალაქმა არზრუმმა დიდი ზარალი განიცადა. ომამდე მისი მოსახლეობა შეადგენდა 130 000 კაცს, ხოლო ომის შემდეგ 13.000 კაცამდე შემცირდა. აღნიშნულის მიზეზი იყო ადგილობრივ მუსლიმთა ოსმალეთის სხვადასხვა მხარეებში და სომეხთა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, კერძოდ, ახალქალაქში, ახალციხესა და ერევნის გუბერნიაში გადასახლება. სავარაუდოა, რომ ამგვარად რუსეთის სარდლობა არზრუმის მხარის ეკონომიკურად დასუსტებას ცდილობდა. არზრუმიდან გადასახლებული სომხური მოსახლეობის რაოდენობრივი სიები ოსმალეთის ხელისუფლების მიერ იქნა შედგენილი. ერთში მითითებულია იმ სომეხთა გვარები და სახელები, ვინც გაყიდა თავისი ქონება და ისე გადასახლდა, ხოლო მეორეში იმათი, ვინც არ გაყიდა თავისი ქონება და ისე გადასახლდა. რუსეთის ხელისუფლების მიერაც

240 ავტორს დამოწმებული აქვს მუფტის აბდურაჰმანის და მასწავლებლის სადულლაჰ ეფენდის ოფიციალური წერილი ოსმალეთის ხელისუფლებისადმი.

იქნა შედგენილი რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებული სომხური მოსახლეობის სია (Aykun 2019, 413).²⁴¹

საკმარისად დიდი რაოდენობის სომხური მოსახლეობა იქნა გადასახლებული უშუალოდ ქალაქ არზრუმს დაქვემდებარებული სოფლებიდან. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ეს სოფლები და მათი უძრავი ქონება აღრიცხულ იქნა. მასში ჩამოთვლილია სოფლების სახელები, კომლების რაოდენობა, სავარგულების დასახელება, წისქვილების, კალოების და მარცვლეულის შესანახი ამბრების რაოდენობა. სულ გადასახლდა 1225 კომლი. მათი გადასახლება მათ-ივნისის თვეებში მოხდა (Aykun 2019, 418-422).²⁴²

უნდა ითქვას, რომ არამუსლიმი მამაკაცები ოსმალეთის სახელმწიფოში სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებისთვის ჯიზიეს გადასახადს იხდიდნენ, ამდენად სომხური მოსახლეობის გადასახლებამ ამ თვალსაზრისითაც არზრუმის ეკონომიკას ზიანი მიაყენა (Aykun 2019, 417).

სომხები ჩასახლებულ იქნენ ახალქალაქში, ახალციხესა და თბილისში (Allen, Muratoff, 1966, 288; ლომსაძე 1975, 359).²⁴³ ქალაქ არზრუმიდან გადასახლებულ იქნა 2421 ოჯახი, ხოლო არზრუმის მხარის სოფლებიდან - 1225 ოჯახი. მთლიანობაში გადასახლებულ იქნა 3648 ოჯახი. სომხური მოსახლეობა გადასახლებულ იქნა არზრუმის მხარეში შემავალი შემდეგი დასახლებებიდანაც: ფასინლერიდან, ჰინისიდან, ბაიბურთიდან. ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ შედგენილი სიის მიხედვით, გადასახლებულ სომეხთა უმრავლესობა ვაჭრობითა და ხელოსნობით იყო დაკავებული. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გადასახლებული სომხური მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ქონება გაყიდა და ისე წავიდა, ხოლო ნაწილი ქონების გაუყიდავად გადასახლდა (Aykun 2019, 413-415).²⁴⁴

241 სამწუხაროდ ავტორს გვარების და სახელების სიები არ აქვს გამოქვეყნებული. მითითებული აქვს მხოლოდ პრემიერმინისტრის ოსმალეთის არქივში დაცული დოკუმენტის საარქივო ნომრები: BOA. H.H. Nr. 43065-0 ქალაქ არზრუმიდან გადასახლებულ სომხური მოსახლეობის შესახებ; BOA. H.H. Nr. 43065 – p არზრუმის მხარის სოფლებიდან გადასახლებული სომხური მოსახლეობის შესახებ. ავტორი მიუთითებს, ბაიაზითსა და ვალაშკერტიდან გადასახლებულ სომეხთა სიაზე, რომელიც გამოაქვეყნა J. D. Maloma-მ თავის რუსულენოვან სტატიაში. აღნიშნული სტატია გამოქვეყნდა რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების ცნობებში *Извест. Imp. Russ. Geog. Soc. Canc. Sect. V. s. 1877-78*. მართალია იბრაჰიმ აიკუნ მიუთითებს, რომ სტატია რუსულად არის გამოქვეყნებული, მაგრამ იმოწმებს მის ინგლისურენოვან სათაურს: List of Inhabited Places in Deistricts of Bayazid and Alashkert.

242 იხ. ტაბულა VIII (ჩვენს მიერ გადმოტანილ ტაბულაში მითითებულია მხოლოდ კომლთა (გვარების) და ცალკეულ ოჯახთა რაოდენობა.

243 სავარაუდოდ, თბილისში გადასახლებულთა შორის იგულისხმება თბილისის გუბერნიის ბორჩალოს დისტანციაში, წალკის მიდამოებსა და ბამბაკ-შურეგელში ჩასახლებული სომხური მოსახლეობა.

244 თვალსაჩინოებისთვის იხილე ტაბულა I. აღნიშნული ტაბულის მიხედვით, არზრუმის 42 უბნიდან იქნა გადასახლებული მოსახლეობა. ჩანს, რომ სომხური მოსახლეობის

არზრუმიდან გადასახლებულთა შესახებ მცირედით განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ბესინ ოზჯანი, რომლის მიხედვითაც ქალაქ არზრუმიდან გადასახლებულ იქნა 2372 სომხური ოჯახი, არზრუმის ვაკის სოფლებიდან - 1139 ოჯახი. ავტორისვე ცნობით, დაბა ფასინლერიდან გადასახლებულ იქნა 561 სომხური ოჯახი, დაბა თერჯანიდან - 33 ოჯახი, დაბა ბაიბურთიდან - 40 ოჯახი, დაბა თორთუმიდან - 117 ოჯახი. ჰინისის რაიონიდან - 468 ოჯახი. სულ 4730 ოჯახი. ოჯახში ხუთ სულზე დაანგარიშების მიხედვით ჯამში გამოდის 23650 სული (Özcan 2011, 199).

არზრუმელმა სომხებმა მასიური გადმოსახლება დაიწყეს 1830 წლის მასში. მათ მიიღეს რუსეთის ფარგლებში შემოსასვლელი პასპორტები. გადმოსახლებულ არზრუმელებს და ბაიაზეთელებს გამოუძღვნენ მღვდელთმთავრები: არზრუმელი ეპისკოპოსი კარაპეტი და არქიმანდრიტი სერაფიმი. ბებუთოვის შემდეგ ახალციხის საფაშოს უფროსად დანიშნული ახალციხის ყოფილი კომენდანტი დრეშერნი პირადად დაუკავშირდა არზრუმის საფაშოს დროებით უფროსს გენერალ პანკრატიევს, რომელმაც გადმოსახლების მსურველ მოსახლეობას გააცნო გადმოსახლების პირობები (ლომსაძე 1975, 356).

არზრუმის მხარიდან რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადმოსახლებულ იქნა 7298 ოჯახი, აქედან 5 000-ზე მეტი ოჯახი დასახლებულ იქნა ახალციხის საფაშოში (ლომსაძე 1975, 359).

აღნიშნული მოსახლეობა დასახლებულ იქნა ახალციხის საფაშოში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანების ნამოსახლარზე (ლომსაძე 1975, 332-334).²⁴⁵ ცარიზმის მოხელენი ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მოსახლე აყრილიყო და გადასახლებულიყო (ლომსაძე 1975, 354). თურქეთის მთავრობა, თავის მხრივ, დაჟინებით მოითხოვდა ახალციხის საფაშოს მოსახლეობის თურქეთის ტერიტორიაზე გადასახლებას (Акты 1866-1904, 883).

ქალაქ ახალქალაქის ჩათვლით, არზრუმიდან ჯავახეთის სულ 51 სოფელში იქნა ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობა (Մելքոնյան 2003, 193-196). შეიძლება ითქვას, რომ ჯავახეთში ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ ძირითადად გააგრძელა ის საქმიანობა, რასაც არზრუმის მხარეში მისდევდა (Կարապետյան, 2006). რაც შეეხება მთლიანად სამცხე-ჯავახეთში

დიდ ნაწილს სახლები არ გაუყიდა. სავარაუდოა, რომ ოსმალეთის სახელმწიფომ გააფრთხილა სომხური მოსახლეობა, თუ ისინი გაყიდნენ სახლებს და ისე წავიდოდნენ, უკან დაბრუნების შემთხვევაში საკუთარ სახლებს ვეღარ დაიბრუნებდნენ. ტაბულა II-ში მითითებულია იმ საქმიანობის შესახებ, რასაც ეწეოდა სომხური მოსახლეობა არზრუმში.

245 აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის მიერ ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგ აქედან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა სამცხე-საათაბაგოში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში შემოსახლებული თურქმანული ტომები - ყარაფაფახელები (თარაქმები). ისინი, ძირითადად დასახლდნენ ყარსის მიდამოებში. რადგან ამ მხარეში დღესაც კი განასხვავებენ ახალციხიდან წამოსულ „იერლის“ (ადგილობრივს) და თარაქამას (რ.ყ.)

ჩამოსახლებულ სომხური მოსახლეობის დასახლების ადგილებისა და მათ მიერ შემოტანილი თუ ჩასახლების ადგილზე არსებული ტოპონიმების შესახებ ისტორიას, იგი ვრცლად არის მოცემული 1986-2001 წლებში ჰ. ბარსელიანის, თ. ჰაკობიანის და მ. ბახშიანის მიერ ხუთ ტომად გამოცემულ „სომხეთისა და მიმდებარე რაიონების ტოპონიმური ლექსიკონში“ (Հակոբյան, Բախչյան, Բարսելյան, Երեւան, 1986-2001; ბალასანიანი, 2016).

ამ ეტაპზე აღმოსავლეთ ანატოლიიდან გადასახლებულ სომეხთა რაოდენობის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს. რიჩარდ ჰოვანესიანის მიხედვით იგი 100 000 უდრის. 1843 წელს არზრუმის კონფერენციაზე დამკვირვებლის სტატუსით მყოფი ინგლისელი წარმომადგენლის რობერტ კერზონის მონაცემებით აღმოსავლეთი ანატოლიიდან გადასახლებული სომეხი მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 69 000 კაცს (Demirel 2006, 268).²⁴⁶ შოთა ლომსაძის მიხედვით 1829-1830 წლებში თურქეთის ფარგლებიდან რუსეთის იმპერიაში შემოსახლებულ ქრისტიან სომეხთა რაოდენობა უდრის 14.044 ოჯახს (ლომსაძე 1975, 354).

ქალაქ არზრუმიდან გადასახლებული კათოლიკე სომეხების 228 კომლი 1871 წელს უკან დაბრუნდა. მათი რაოდენობა შეადგენდა 622 კაცს (Demirel 2006, 269).²⁴⁷ მუარემ დემირელისვე თქმით, ამ ეტაპზე ხელმიუწვდომელი დარჩა ყარსის, მუშისა და კალიზმანის დავთრები, რომლებშიც გადასახლებულ სომეხთა რიცხოვრივი რაოდენობის და მათი ქონების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს დაცული. ჯერ კიდევ მიუწვდომელი მონაცემების გათვალისწინებით, აღმოსავლეთი ანატოლიიდან სავარაუდოდ უნდა იქნას გადასახლებული 60-70 000 ადამიანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ მხარის ქრისტიანი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იქნა გადასახლებული (Demirel 2006, 269).

აღსანიშნავია, რომ არზრუმიდან და მისი შემოგარენიდან გადასახლებულ სომეხთაგან 100-მდე კომლი უკან დაბრუნდა. უკან დაბრუნებულები აცხადებდნენ, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი უკან დაბრუნებას ირჩევდა (Demirel 2006, 269).²⁴⁸

კერზონის დაკვირვებით, რომელიც მან 1843 წელს თავის სიტყვაში დააფიქსირა, გადასახლებულ სომეხთა დიდი ნაწილი რუსეთში შიმშილობას და უქონლობას განიცდიდა, რის გამოც, უკან დაბრუნებას ცდილობდა (Demirel 2006, 270).

რუსეთის მიერ დაკავებულ სხვა ტერიტორიებზეც ისეთივე პროცესები მიმდინარეობდა, როგორც იყო არზრუმში. მაგალითად, ოსმალეთის

246 ავტორი იმოწმებს Ricard Hovannisyan, Armenia on the Road to Independence, Los Angeles 1976, გვ. 9 და Robert Curzon, Armenia: A year at Erzerum, and on the Frontiers of Russia, Turkey and Persia, London 1854, გვ. 203.

247 ავტორი იმოწმებს: BOA, HR. MKT, 89/95.

248 ავტორი იმოწმებს არზრუმის ვალის ალი შეფიკ ფაშას ანგარიშს, 9 M. 1254, BOA, HH, № 43212-A.

ხელისუფლება ყარსშიც ცდილობდა სომეხთა გადასახლებისთვის ხელი შეეშალა. ამ საქმეში მათ სახალხო დიპლომატიაც გამოიყენეს და არზრუმელი მევახშე ქოსეოღლუ აქაც ჩარიეს, რომელმაც მიმართა ადგილობრივ სომეხებს, რომ უარი ეთქვათ გადასახლებაზე. თუმცა, ადგილობრივ სომეხთა ერთმა ჯგუფმა პანკრატიევის მიერ დანიშნულ კაცებთან ერთად ყარსის სომხური სოფლები დაიარეს და გადასახლების მსურველთა სია შეადგინეს. ამ საქმისთვის, ისევე როგორც ირანში, ათისთავები დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ პანკრატიევი გაცემდა ე.წ. საგზაო საბუთს მათზე, ვისაც უნდა დაეტოვებინა ყარსის მხარე და გადასახლებულიყო (Beydilli 1988, 391) არ გადასახლდა და ყარსში დარჩა 114 კომლი, ხოლო 1830-1831 წლებში გადასახლებულთაგან 139 კომლი უკან დაბრუნდა (Demirel 2002, 270).

რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლებულ სომეხთა უკან დაბრუნების მცდელობები 1830-1831 წლების შემდეგაც გრძელდებოდა, რაც დაკავშირებული იყო ოსმალეთის სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკასთან. უკან დაბრუნებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, რადგან ერთი ნაწილი არალეგალურად, ნაწილი კი ლეგალურად ბრუნდებოდა და ეს პროცესი ათწლეულებით გაგრძელდა.

1851 წელს რუსეთში გადასახლებულ სომეხთაგან ოთხმა სომხურმა ოჯახმა ერთობლივად მიმართა ოსმალეთის ხელისუფლებას და უკან დაბრუნების შესახებ ნებართვა მოითხოვა. მათი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა (Demirel 2002, 270).²⁴⁹ აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნულ მიმართვასა და დადებით გადაწყვეტილებას შორის არის 16 წელი სხვაობა, როგორც ჩანს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით მიიღო.

უკან დაბრუნების ახალი ტალღა დაიწყო 1853 წლის თანზიმათის კანონის მიღების შემდეგ. აღნიშნული კანონის ძალით არზრუმის მხარეში მცხოვრებ სომეხებს, როგორც გრიგორიანელებს, ასევე კათოლიკეებს და ბერძნებს უფრო მეტი უფლებები მიენიჭათ, რამაც რუსეთის იმპერიაში გადასახლებულებს მეტი მოტივაცია გაუჩინა. ადგილზე დარჩენილმა სომეხი და ბერძენი ეროვნების მოსახლეობამ თხოვნით მიმართა ოსმალეთის ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ გადასახლებულთათვის უკან დაბრუნების ნება დაერთოთ. მათი მხრიდან ორი თხოვნის წერილი გადაეცა არზრუმის მხარის გამგებელს. მისი განმარტებით, არზრუმში არამუსლიმთა შორის პირველ ადგილზე იყვნენ გრიგორიანელი, შემდეგ კათოლიკე სომეხები და ბოლოს ბერძნები. არზრუმელი გრიგორიანელი სომეხების თხოვნას ერქვა „ქრისტიანების სახელით“, რომელსაც ახლდა

249 ავტორს დამოწმებული აქვს ცენტრალური ხელისუფლებიდან არზრუმის ვალისადმი გამოგზავნილი გადაწყვეტილება ჰიჯრით 16 R. 1267 (18 თებერვალი 1867), BOA, A. MKT. MVL, 39/64.

380 ხელმოწერა. მასზე დასმული იყო ოთხი სახის ბეჭედი. ზოგს მხოლოდ სომხური წარწერა, ზოგს სომხურ-ოსმალური, ზოგს მხოლოდ ოსმალური წარწერა ახლავს (Demirel 2006, 271).²⁵⁰

არზრუმის კათოლიკე სომეხთა სახელით დაწერილ იმავე შინაარსის თხოვნას ახლდა 85 ხელმოწერა. მასზე დამოწმებული ბეჭდებიც ფორმით და შინაარსით გრიგორიანულ სომეხთა წერილზე დასმული ბეჭდების იდენტურია (Demirel 2006, 271).²⁵¹

ზემოაღნიშნული ორივე თხოვნა არზრუმის მხარის გამგებლის დადებითი რეზოლუციის თანხმობით გადაეგზავნა ოსმალეთის მეჯლისის ხუთწევრიან სპეციალურ კომისიას.²⁵² 1853 წლის 11 აგვისტოს ფადიშაჰის განკარგულებით რუსეთიდან უკან დაბრუნებულ სომეხებს მიეცათ უფლება, კვლავ გამხდარიყვნენ ოსმალეთის ქვეშევრდომნი. მათ, ასევე, მიეცათ უსაფრთხოების გარანტიები (Demirel 2006, 272).²⁵³

შედეგად, არზრუმში დაბრუნდა და ოსმალეთის ქვეშევრდომობა ხელახლა 570-მა გრიგორიანული რწმენის სომეხმა მიიღო. ისინი სომეხთა საპატრიარქოს რეესტრში აღირიცხნენ. დაბრუნებულთა შორის იყო, ასევე 10 ბერძენი, რომლებიც ბერძენთა საპატრიარქოს რეესტრში გასატარებლად გააგზავნეს (Demirel 2006, 272).²⁵⁴

რეპატრიაციაზე თანხმობის მიღების შემდეგ სომეხი კათოლიკეების კიდევ ერთი ნაწილი არზრუმსა და მის მხარეში დაბრუნდა. მათი რაოდენობა შეადგენდა 228 კომლსა და 622 სულს. დარეგისტრირებულ იქნენ სომეხ კათოლიკეთა საპატრიარქო რეესტრში (Demirel 2006, 272).²⁵⁵

გრიგორიანულ სომეხთა კიდევ ერთი ტალღა 300-მდე ოჯახი ყირიმის ომის დასრულების შემდეგ 1856-1857 წლებში (ჰიჯრით 1273) არზრუმსა და მის რაიონში დაბრუნდა (Demirel 2006, 272).²⁵⁶

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკან დაბრუნებულ სომეხ მოქალაქეთა ერთი ნაწილი რუსეთთან კავშირს არ წყვეტდა. მათ არ დატოვეს რუსეთის ქვეშევრდომობა და ამასთანავე მიიღეს ოსმალეთის ქვეშევრდომობა, რაც საშიშად ჩათვალა ანატოლიის არმიის მეთაურმა²⁵⁷ და ამის შესახებ სულთნის ხელისუფლებას აცნობა. აქედან გამომდინარე, ოსმალეთის მეჯლისის სპეციალურმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის პირები, ვინც მიიღო ოსმალეთის ქვეშევრდომობა და არ დატოვა

250 არზრუმის და მისი მხარის ქრისტიანების თხოვნა BOA, İrade Meclisi Vala, №11109.

251 არზრუმისა და მისი მხარის კათოლიკე სომეხთა მიმართვა, ჰიჯრით 5. L. 1265. BOA, İrade Meclisi Vala, №11109..

252 თურქულად İrade Meclis-i Vala.

253 ავტორი იმოწმებს BOA, İrade Meclis-i Vala, №11109..

254 სომეხი პატრიარქის წერილი ბერძენი პატრიარქისადმი. ჰიჯრით 19 Za. 1270. 13 აგვისტო 1854, BOA, Hr, MKT, 82/93.

255 ავტორი იმოწმებს BOA, HR, MKT, 89/95.

256 ავტორი იმოწმებს BOA, A.A. AMD, 75/14/

257 აღნიშნული პიროვნების სახელი არ არის მითითებული.

რუსეთის ქვეშევრდომობა, ჯამუშებად იქნენ გამოცხადებულნი (Demirel 2006, 273).²⁵⁸

1859 წელს არზრუმის რაიონის არზუტიდან²⁵⁹ გადასახლებული კათოლიკე სომხების რეპატრაციის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა (Demirel 2006, 274)²⁶⁰ და გადასახლებული 73 ოჯახიდან 50-60 ოჯახი უკან დაბრუნდა (Demirel 2006, 274)²⁶¹

სომეხთა რუსეთში გადასახლება 1877-1878 წლების ომების დროსაც ხდებოდა. 1877 წელს რუსების მიერ ყარსის დაკავების შემდეგ აღმოსავლეთი ანატოლიიდან რუსეთში 4000 სომეხი მოქალაქე გადასახლდა. ომის დასრულების შემდეგ, მათგან 500-მა ოჯახმა უკან დაბრუნება მოითხოვა, რაზეც რუსეთის ხელისუფლებამ ნებართვა გასცა (Demirel 2006, 274).²⁶²

შემდეგში, იმ 4000 მოსახლიდან დარჩენილებმაც მოითხოვეს უკან დაბრუნება, მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლება არ დათანხმდა, რომ ისინი რუსეთის მფარველობის პირობით ოსმალეთში დარეგისტრირებულიყვნენ (Demirel 2006, 274).²⁶³

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის იმის დასრულების შემდეგ იყო შემთხვევები, როდესაც ოსმალეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა ნებაყოფლობით რუსეთში გაედინებოდა. ეს ძირითადად 1890 წლის სომეხთა აჯანყების დროს მოხდა. ამ დროს ქურთთა მარბიელი რაზმების თავდასხმებისგან შეშინებული სომხური მოსახლეობა რუსეთში გადასახლდა. მაგალითისთვის, 20000-30000-მდე სომეხი ეროვნების ადამიანმა გადაწყვიტა რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლება (Demirel 2006, 274).

ოსმალეთის სახელმწიფო შეწუხებული იყო ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანის უკმაყოფილებით. 1904 წელს სულთანმა აბდულჰამიდ II-მ ოფიციალურად მიმართა რუსეთის ხელისუფლებას ზემოაღნიშნული სომხური მოსახლეობის რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებისთვის უფლების მიცემის შესახებ, მაგრამ უარი მიიღო, რადგან რუსეთმა ჩათვალა, რომ სომხური მოსახლეობის ასეთი დიდი რაოდენობით კავკასიაში შესახლება შესაძლოა კავკასიისთვის საშიში გამხდარიყო (Muarrem Demirel 2006, 275).

258 ავტორი იმოწმებს Osmanlı Belgelerinde Ermeniler (1691-1870), C. I, İstanbul, 1987, №77, გვ. 161-162.

259 დღევანდელი იეშილიაილა (Yeşilyayla)

260 ავტორი იმოწმებს BOA, HH, №43065. P.

261 ავტორი იმოწმებს İrade-i Seniyye, ჰიჯრით 4. ca, 1276, BOA, İrade Meclisi Vala, №18631.

262 ავტორი იმოწმებს: Bilal Şimşir, British Documents on Ottoman Armenians, Volume I, Ankara, 1989, გვ 132-133.

263 ავტორი იმოწმებს F.O, 424/81, №340, P. 249, თარიღი 24 თებერვალი 1879.

ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებიდან გადასახლებული სომხური მოსახლეობის მიწისა და უძრავი ქონების საკითხები

რუსეთის და ოსმალეთის ხელისუფლებებისათვის გადასახლებულ სომეხთა მიერ მიტოვებული მიწის და ქონების საკითხი წარმოადგენდა მნიშვნელოვანი თემას. იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: 1) რუსული ოკუპაციის პერიოდში სომხური მოსახლეობის მიერ შესყიდული ან სხვადასხვა გზებით ხელში ჩაგდებული გაქცეული მუსლიმი მოსახლეობის მიწა და ქონება; 2) აყრილი და გადასახლებული სომხური მოსახლეობის მიერ მიტოვებული მიწა და ქონება (Beydilli 1988, 392).

რაც შეეხება პირველს, რუსული ოკუპაციის დროს სომხურმა მოსახლეობამ ყარსიდან სივასში, ზილესა და თოქათში²⁶⁴ გაქცეული მუსლიმი მოსახლეობის მიწა და ქონება იაფად შეიძინა. ზოგიერთ შემთხვევაში კი უფასოდ ჩაიგდო ხელში. მუსლიმი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ადრე აღებული ვალების სანაცვლოდ ეს ყველაფერი შეძლებულ სომეხებს დაუტოვა. მას შემდეგ, რაც მოხდა სამშვიდობო შეთანხმება და სომეხთა ერთი ნაწილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადასახლდა, ამ მიწების ოსმალეთისთვის უკან დაბრუნების საკითხმა ორ ქვეყანას შორის სამართლებრივი დავის სახე მიიღო (Beydilli 1988, 393).

ოსმალეთის ხელისუფლებამ დაიწყო მოკვლევა, თუ ვინ იყვნენ მყიდველნი და გამყიდველნი, რა თანხაში იქნა გასხვისებული ქონება და მიწა, რამდენი იყო ამ ქონების წლიური შემოსავალი და რა თანხა დაჯდებოდა მისი გამოსყიდვა. აქედან გამომდინარე, ყარსიდან ლტოლვილი მუსლიმი მოსახლეობის ლიდერებმა წერილობით მოითხოვეს ოსმალეთის ხელისუფლებისგან, რომ გაეწიათ მათთვის შუამავლობა რუსულ ხელისუფლებასთან, რომ ყარსის მხარის დეოკუპაციის დაწყებამდე ნება მისცემოდათ შესულიყვნენ ყარსის მხარეში და შეესწავლათ მუსლიმი მოსახლეობის დაბრუნების და ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. რუსული მხარისთვის ეს მისაღები აღმოჩნდა. თურქული მხარის წარმომადგენლებმა ვინმე მარდიროსმა და არსლანმა ყარსში გადასახლებული სომეხი და მუსლიმი მოსახლეობის ქონების შესახებ დოკუმენტაცია ჩამოიტანეს. მათ აღნიშნული დოკუმენტაცია იმ ადამიანებს გადასცეს, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ევალებოდა. ამავე სიიდან ირკვეოდა, რომ სომეხებს მუსლიმთა გაქცევის წინ მათგან შეძენილი ჰქონდათ 80 სოფელი სრულიად და 15 სოფლის ნახევარი. აქვე ჩანდა, რომ ზემოაღნიშნულ სომეხი ეროვნების მოქალაქეებს შეძენილი ქონების საფასური სრულიად არ ჰქონდათ გადახდილი და ისე იყვნენ აყრილი და რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებული. ასეთმა მდგომარეობამ

264 სივასი, ზილე, თოქათი ქალაქებია თურქეთში.

რუსული ხელმძღვანელობა რთულ სიტუაციაში ჩააგდო, კერძოდ, გენერალი პანკრატიევი. ამ პრობლემებს ჯერ კიდევ არზრუმში შეხვდა და თანხის ნაწილი გადაიხადა კიდევ (Beydilli 1988, 394).

ადრიანოპოლის ზავის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა გადასახლების მსურველთა მხრიდან 18 თვის განმავლობაში ქონების გაყიდვა-გასხვისებას, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ვადა არ იყო საკმარისი. ამ ვადის საკითხის გადახედვა მოითხოვეს გენერალ პასკევიჩისგან, რომელმაც აღუთქვა მოსახლეობას, რომ აღნიშნულის შესახებ აცნობებდა იმპერატორს. ცალკე პასკევიჩის ადგილზე დროებით დანიშნულ გენერალ პანკრატიევს მოსთხოვეს 18 თვიანი ვადის გასვლამდე ცოტა ხნით ადრე ვადის კიდევ 40 დღით გაგრძელება, მაგრამ პანკრატიევი ამ საკითხს ცივად შეხვდა. იგი თვლიდა, რომ სომხების კუთვნილი ქონების და მიწის გაყიდვის საკითხი შეგნებულად ჭიანურდებოდა (Beydilli 1988, 395).

სომეხთა ქონების გაყიდვის საკითხი მძიმედ მიდიოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ ომის დროს დაზარალებული მუსლიმი მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი დაბალი იყო, ასევე დიდი შეუსაბამობა იყო გასაყიდი ქონების რაოდენობასა და ყიდვის მსურველთა რაოდენობას შორის. არც შესყიდვისთვის საჭირო თანხა იყო საკმარისი (Beydilli 1988, 396).

რაც შეეხება სომხური მოსახლეობის გადასახლების შემდეგ ადგილზე დარჩენილი მათ ქონებას და მიწებს, ადგილობრივი თურქული ხელისუფლების მიერ გადასახლებული სომეხი მოსახლეობის უძრავი ქონება აღირიცხა სპეციალურ დავთრებში. დავთრებიდან ერთი პირი ადგილზე რჩებოდა, ხოლო მეორე - სტამბოლში იგზავნებოდა. უკან დაბრუნებულ სომხებს ამ დავთრების მიხედვით უბრუნდებოდათ ქონება. ოსმალეთის ხელისუფლება ამგვარად ცდილობდა, რომ რუსების მიერ გადასახლებული სომხური მოსახლეობა როგორმე უკან მიეზიდა. ოსმალურმა ხელისუფლებამ აღნიშნულ მოსახლეობას გადასახლებიდან ხუთი თვის ვადა მისცა იმისათვის, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში ადგილობრივი თურქული ხელისუფლებისათვის მიემართა და ამ ვადის ფარგლებში კუთვნილი ქონება დაებრუნებინა. ამ პირობის განხორციელება იმთავითვე არზრუმისა და ყარსის მხარეებში დაიწყო (Beydilli 1988, 397).

აქვე აღსანიშნავია, რომ გენერალმა პასკევიჩმა ადრიანოპოლის ზავის მე-13 მუხლის საფუძველზე ქონებისა და მიწის საკითხების თურქულ მხარესთან შესათანხმებლად დანიშნა კაპიტანი ვენიკოვი, მას ახლდნენ გადასახლებული სომეხი მოქალაქეების წარმომადგენლები, რომლებიც ყარსში თურქული მხარის წარმომადგენლებთან - არსლანთან და მარდირუსთან შესახვედრად ჩავიდნენ (Beydilli 1988, 397).

კაპიტანმა ვენიკოვმა და ზემოაღნიშნულმა წარმომადგენლებმა რუსეთში გადასახლებული სომეხი მოქალაქეების მიერ სათესად გამოყენებული მარცვლეულის სანაცვლოდ 390000 ყურუში მოითხოვეს.

მათ ასევე განაცხადეს, რომ უარის შემთხვევაში მიწის ნაკვეთების აწინდელ მეპატრონეებს სასამართლოში უჩივლებდნენ. თავის მხრივ, ოსმალეთის წარმომადგენლებმა მუსლიმების იმ ვალების დაბრუნება მოითხოვეს, რომელიც ჰქონდათ სომეხ მოქალაქეებს იმ დროიდან, როდესაც რუსების შემოსვლისას მუსლიმებმა მიჰყიდეს თავიანთი ქონება სომეხებს და თურქეთის შიდა რაიონებში გადასახლდნენ. აღნიშნულის გამო მდგომარეობა დაიძაბა. სიტუაციის განმუხტვისთვის მხარეთა წარმომადგენლებმა მისაღები და გასაცემი ანგარიშების დავთრები ხელახლა შეადგინეს და კაპიტან ვენიკოვს გადასცეს (Beydilli 1988, 398).

პასკევიჩის მიერ არზრუმისა და ყარსის ვალისადმი მიწერილი ოფიციალური წერილიდან, რომელიც გადასახლებული სომეხი მოსახლეობის წარმომადგენლების ხელით იქნა გადაცემული, ვენიკოვის თანმხლები სომეხთა წარმომადგენლების ვინაობა ირკვევა. ესენი იყვნენ: არქიმანდრიტი თათოსი, ქარაბეთოღლუ მაკდესი, ქარაბეთოღლუ აქაჯანი, მათევოსოღლუ ევანესი, იუსუფოღლუ აქაჯანი, ანაქოღლუ იაკუბი²⁶⁵, სულ ექვსი კაცი. მათ ევალეზოდან გადასახლებულ სომეხთა ქონების გაყიდვა და არსებული ვალის საკითხების მოგვარება. პასკევიჩმა თავის წერილში მოითხოვა მკაცრად ყოფილიყო დაცული ადრიანოპოლის ზავით განსაზღვრული 18-თვიანი ვადა, რომელიც ითვალისწინებდა ქონების ყიდვა-გაყიდვას, გასხვისებას, ვალების და სათეს-სამოვარი ნაკვეთების საკითხების მოწესრიგებას. აღნიშნული ვადის 10.03.1831 წელს ამოწურვის გამო პასკევიჩმა ამ დღიდან ქონების გაყიდვა-გასხვისების პროცედურები აკრძალა. რას შეეხებოდა ფინანსურ ვალებთან დაკავშირებულ საკითხებს, იგი მიუთითებდა, რომ ეს საკითხი კაპიტან ვენიკოვთან ერთად უნდა განხილულიყო და უმტკივნეულოდ გადაწყვეტილიყო (Beydilli 1988, 398).

ასეთ სიტუაციაში აშკარა იყო, რომ გაუგებრობების აღმოფხვრა გაჭიანურდებოდა, თუმცა რუსების სურვილმა დროულად დაესრულებინათ ეს ამბავი, გააჩინა იდეა, რომ ქონებისა და ვალების საკითხი ორივე მხარისთვის მისაღებ თანხაში ასახულიყო.²⁶⁶ საბოლოოდ, ვენიკოვმა მოლაპარაკებების შემდეგ მოითხოვა თურქებისგან 3000 ქისა ახრის გადახდა (Beydilli 1988, 398).

ერთი წლის განმავლობაში არზრუმში მყოფმა გადასახლებული სომეხი მოქალაქეების წარმომადგენლებმა გაყიდული ქონებიდან მიიღეს 107000 ყურუმის ოდენობის თანხა. ასევე 63000 ყურუმში, რომელიც ადგილობრივ მუსლიმ და დარჩენილ სომეხი ეროვნების მოსახლეობას ჰქონდა მისაცემი გადასახლებულ სომეხთათვის. იგივე წარმომადგენლებმა გადასახლებული

265 თურქული ქღერადობიდან და არაბული გრაფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახელი და გვარი მცირე შეუსაბამობაშია დღევანდელ და სწორ სომხურ სახელებთან და გვარებთან.

266 ავტორი იმომეებს გენერალ პანკრატევის 16. 07. 1831 წლით დათარიღებულ წერილს არზრუმის ვალის მეჰმედ ესად ფაშასადმი. როგორც ჩან, ეს იდეა რუსთა მხრიდან იყო წამოსული.

სომხების მიერ დასაწყობებული მოსავლის გაყიდვიდან მიიღეს 29000 ყურუში. რაც შეეხება რუსეთში გადასახლებული სომეხი მოქალაქეების ვალს ადგილობრივი მუსლიმებისა და ადგილზე დარჩენილი სომხებისადმი, იგი შეადგენდა 1700 ქისას. გაყიდვისა და გასხვისების პროცესი მძიმედ მიმდინარეობდა. ამის გამო დამატებით სამთვიანი ვადა განისაზღვრა. იყო შემთხვევები, როდესაც გადასახლებული სომეხი ეროვნების ადამიანები ჩუმად ჩადიოდნენ არზრუმში და სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ. თურქების აზრით, ეს ადამიანები ფარულად აგულიანებდნენ დარჩენილ სომეხ მოსახლეობას რუსეთში აყრა-გადასახლებისკენ (Beydilli 1988, 399).

თურქულ მხარეს მომწიფდა აზრი, რომ რუსებისთვის ასანაზღაურებელი თანხის საბოლოო რაოდენობა დადგენილიყო. აქედან გამომდინარე, მათ რუსულ მხარეს 1500 ქისა შესთავაზეს. რუსული მხარისთვის ეს თანხა მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა აშკარად გამოჩნდა, რომ ვერც 18 თვიან და ვერც დამატებით სამთვიან ვადაში ვერ მოხერხდა ქონების გაყიდვის, ვალების დაბრუნების საკითხების მოგვარება. ამის გამო არზრუმის ვალი მეჰმედ ესად ფაშა შეხვდა არზრუმის მუსლიმი მოსახლეობის ლიდერებს და გადაწყდა, რომ რუსებისთვის 410000 ყურუშის ოდენობის თანხა გადაეხადათ. გადახდა უნდა მომხდარიყო ორ ეტაპად და გადახდის დაწყების თარიღად 17. 02. 1832 წელი განისაზღვრა. რუსული და თურქული მხარეები ამ პირობებზე შეთანხმდნენ და ერთმანეთში სათანადო დოკუმენტები გაცვალეს (Beydilli 1988, 401).

ფინანსური ოპერაციების დასრულების მიზნით გენერალმა პანკრატიევმა მოითხოვა, რომ კაპიტანი ვენიკოვი კიდევ დარჩენილიყო არზრუმში. ეს ნიშნავდა, რომ ვენიკოვს კიდევ ორი წლით ყოფნა მოუწევდა. აღნიშნულმა ფაქტმა თურქებში ეჭვი გამოიწვია იმის გამო, რომ ხომ არ ნიშნავდა ეს რაიმე საკონსულოს სახით არზრუმში რუსთა ყოფნას. ეს საკითხი ვენიკოვის საშუალებით თურქების მხრიდან ეცნობა პანკრატიევს. პასუხად პანკრატიევმა აცნობა, რომ რაიმე მსგავსი არ იგეგმებოდა. საბოლოოდ, ვენიკოვის წასვლით რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ სომეხთა არზრუმში სავაჭროდ ჩასვლა შეჩერდა.

რუსეთის იმპერიაში გადასახლებულ სომეხთა უკან, წინაპრების მიწა-წყალზე დაბრუნების სურვილი არ შენელებულა შემდგომ პერიოდშიც.

ჯერ კიდევ 1839 წლის 3 ნოემბრის თანხიმათის²⁶⁷ შესახებ გამოცემულმა ფირმანმა, რომლის ძალითაც ეროვნულ უმცირესობებს დიდი უფლებები ენიჭებოდათ, ოსმალეთიდან რუსეთის იმპერიაში გადასახლებულ სომხურ მოსახლეობას დიდი იმედები გაუჩინა. საშიშროების მიუხედავად ერთმა ნაწილმა უკან დაბრუნება დაიწყო (Özcan 2011, 199).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ეს პროცესი ჯერ კიდევ გადასახლების დროსაც მიმდინარეობდა, რასაც ადასტურებს არზრუმის ვალის ალი სეფიკ

267 რეფორმების დაწყების შესახებ ოსმალეთის სულთნის განკარგულება

ფაშას 1830 წლის წერილი ხელისუფლებისადმი, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ სომეხი გადასახლებულები ჯერ კიდევ გზაში ყოფნის დროს, ყარსამდე არმისულნი, ტოვებდნენ ოჯახებს და უკან, არზრუმში ბრუნდებოდნენ (Özcan 2011, 199).

გადასახლებულები რუსეთიდან უკან დაბრუნების მიზეზად მათდამი დაკისრებულ სამხედრო ვალდებულებას და გადასახადებს უთითებდნენ, ასევე უყურადღებობას სახელმწიფოს მხრიდან. ოსმალეთის სახელმწიფო უკან დაბრუნებულებს ლოიალურად ექცეოდა. იმის გამო, რომ მათი ქონება წინასწარ იყო აღრიცხული, იგი მათ უკან უბრუნდებოდათ და შესაძლებლობის ფარგლებში მიწის ნაკვეთიც ეძლეოდათ (Özcan 2011, 199).

ოსმალეთში უკან დაბრუნების სურვილი რუსეთში გადასახლებულ სომეხ და ბერძენ მოსახლეობაში ყირიმის ომის მიმდინარეობის პერიოდშიც არ გამქრალა. ჯერ კიდევ 1853 წელს არზრუმში დარჩენილმა ამ ორი თემის წარმომადგენლებმა მიმართეს ოსმალეთის ხელისუფლებას, რომ 1830 წელს გადასახლებულთათვის უკან დაბრუნების ნება დაერთოთ. აღნიშნულ მოთხოვნას უერთდებოდა სომხური კათოლიკური თემიც (Özcan 2011, 199-200).

სომხური თემის მიერ ოსმალეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილს გადასახლებულ თანამომხეთა უკან დაბრუნების მოთხოვნის შესახებ, თანახლავს აქმცხოვრებთა 380 უბნის ბეჭედი. ეს თხოვნა არზრუმის ვალიმ მუსტაფა ფაშამ 1853 წლის 11 ივლისს სტამბოლში ცენტრალურ ხელისუფლებას გაუგზავნა. ფადიშაჰის 1853 წლის 13 აგვისტოს ბრძანებით სომხებს უკან დაბრუნების უფლება მიეცათ. ეს პროცესი გრძელდებოდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დასრულებამდე, თუმცა უკან დაბრუნებულ სომეხთა რაოდენობა არ არის ცნობილი (Özcan 2011, 201).

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოსმალეთის პარლამენტის სომეხი ეროვნების დეპუტატმა²⁶⁸ 1877 წელს ოსმალეთის სახელმწიფოს მეჯლისის სხდომაზე განაცხადა, რომ მთლიანობაში სომხური თემი ოსმალეთის ხელისუფლების მათდამი დამოკიდებულებით კმაყოფილი იყო და 1829 წელს სომხური მოსახლეობა რუსეთის მიერ ძალით იქნა გადასახლებული (Özcan 2011, 201).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ

1. სომხური მოსახლეობის ჩამოსახლებას ახალქალაქის, ახალციხის მაზრებსა და თბილისის მიდამოებში²⁶⁹ წინ უძღვოდა 1828 წლის თურქმანჩაის ზავის შემდეგ სომეხთა ირანიდან გადმოსახლების და ერევნის მხარეში ჩასახლების გამოცდილება და მაგალითი.

2. ზემოაღნიშნული გამოცდილება გამოყენებულ იქნა 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის მე-13 მუხლში.

268 სამწუხაროდ, სტატისის ავტორს მისი ვინაობა არ აქვს მითითებული.

269 იგულისხმება ზორჩალოს დისტანცია, წალკის მიდამოები და ზამბაკ-შურეგელი.

3. აღნიშნული პროცესისადმი მხარეთა ინტერესები განსხვავებული იყო: რუსეთი ცდილობდა მესხეთიდან გამოსახლებული მუსლიმი მოსახლეობის ადგილას ჩაესახლებინა ქრისტიანი სომხები, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილი რუსული ხელისუფლების მიმართ. ამით ის საკუთარ პოზიციებს ოსმალეთის წინააღმდეგ მომავალ ომებში უფრო მეტად გაიმაგრებდა. ასევე, დაცარიელებულ მხარეს ეკონომიკურად გააძლიერებდა. ოსმალეთისთვის სომეხთა გადასახლებამ მოსახლეობის დაკარგვის გარდა რეგიონის ეკონომიკური დასუსტებაც გამოიწვია.

4. სომეხთა გადასახლებაში დიდი როლი ითამაშა სომხურმა ეკლესიამ.

5. გარკვეულწილად არ გამართლდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ჩასახლებულ სომეხთა იმედები, რომელთა ნაწილმა უკან დაბრუნება განიზრახა, თუმცა რუსული ხელისუფლება მკაცრად ეკიდებოდა ყოველგვარ მსგავს ინიციატივას.

6. საპირისპიროდ, ოსმალეთის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა ხელი შეეწყო დაბრუნებულთათვის. ამ შემთხვევაში ჩანს ოსმალეთის ხელისუფლების წმინდა ეკონომიკური ინტერესი, რადგან გადასახლებულთა შორის მრავლად იყვნენ ვაჭრობის, ხელოსნობის და მიწათმოქმედების მცოდნე პიროვნებები.

7. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, ზოგადად, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული ხელოსნობის დარგები თითქმის მთლიანად გვხვდება აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაშიც, რაც დასტურდება მე-16 საუკუნის ოსმალური დავთრების მიხედვით (Aktaş 2020, 297-314).

8. აღმოსავლეთ ანატოლიაში მცხოვრები სომხური მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობას მისდევდა, ხოლო ქალაქში მცხოვრებნი ხელოსნობით და ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი.

9. ნაწილობრივ, ხელოსნობის ზოგიერთმა დარგმა საფუძველი დაუდო კიდევ სომხურ გვარებს. მაგალითად: აბაჯიან, ფალანჯიან, ჩერჩიან (ჩარჩიან), კაზანჯიან, მარანგოზიან, დემირჯიან და სხვა.

10. თურქულ ისტორიოგრაფიაში საკმარისი რაოდენობით არის დაცული ფაქტობრივი მასალა სომეხთა საცხოვრებელი ადგილების, მათ საქმიანობის და გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ.

9. ზემოაღნიშნული მასალის შედარება ქართულ, რუსულ და სომხურენოვან წყაროებსა და ლიტერატურასთან იძლევა საშუალებას, უფრო მკაფიოდ გავერკვეთ იმ პერიოდში მიმდინარე პროცესებში.

დანართი I (Beydilli 1988, 409).

გადასახლებულ სომეხი ეროვნების მოქალაქეთა წარმომადგენლების მიერ ცალკეული მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან მიღებული თანხა.	107. 000 ყურუში
გადასახლებული სომეხი მოქალაქეების კუთვნილი-ვალად დარჩენილი თანხა, რომელიც მიიღეს გადასახლებულ სომეხი ეროვნების მოქალაქეთა წარმომადგენლებმა მუსლიმი და ადგილზე დარჩენილი სომეხი ეროვნების მოქალაქეებისგან.	63. 000 ყურუში
თანხა, რომელიც მიიღეს გადასახლებულ სომეხი ეროვნების მოქალაქეთა წარმომადგენლებმა გადასახლებული სომეხი ეროვნების მოსახლეობის დასაწყობებული მარცვლეულის გაყიდვით.	29.000 ყურუში
ოსმალთა მიერ რუსეთის მხარისთვის ორ ეტაპად განსაზღვრული გადასაცემი თანხის ოდენობა.	410.000 ყურუში
სულ	609. 000 ყურუში ანუ 1218 ქისა

დანართი II (Beydilli 1988, 409).

მუსლიმი მოსახლეობის და ადგილზე დარჩენილი სომეხი ეროვნების მოსახლეობის თანხა, რომელიც ვალად ჰქონდა რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ სომეხი ეროვნების მოსახლეობას.
850.000 ყურუში ანუ 1.700 ქისა

დანართი III (Kemal Beydilli დასახ. ნაშრ., 409).

ოსმალეთის მხარის მიერ მოთხოვნილი თანხა.	850.000 ყურუში ანუ 1.700 ქისა
ოსმალეთის მხარის მიერ რუსეთის მხარისთვის გადახდილი თანხა.	609.000 ყურუში ანუ 1218 ქისა
თანხა, რომელიც დაკარგა ანუ ვერ მიიღო ოსმალეთის მხარემ რუსეთის მხარისაგან.	241.000 ყურუში ანუ 482 ქისა

დანართი IV (Beydilli 1988,410).

უმრავი ქონების, მიწის ნაკვეთების და სხვათა საფასური, რომელიც მოითხოვა რუსულმა მხარემ.	1.500.000 ყურუში ანუ 3.000 ქისა
ოსმალეთის მხარის მიერ რუსული მხარისათვის შეთავაზებული თანხა.	750.000 ყურუში ანუ 1.500 ქისა
მხარეთა მიერ შეთანხმებული საბოლოო თანხა, რომელიც უნდა აენაზღაურებინა ოსმალეთის მხარეს.	410.000 ყურუში ანუ 820 ქისა

დანართი V (Beydilli 1988, 410)

ირანიდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებული სომეხი ეროვნების მოქალაქეთა რაოდენობა.	ოჯახი - 8.249 ადამიანი - 41.245
ოსმალეთის ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით არზრუმის მხარიდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ სომეხი ეროვნების მოქალაქეთა რაოდენობა.	ოჯახი - 423 ადამიანი - 21.150
აღმოსავლეთ ანატოლიიდან რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლებულ სომეხი ეროვნების მოქალაქეთა რაოდენობა.	ოჯახი - 20.000 ადამიანი - 100.000

დანართი VI (Aykun, 2019:414-415).

ქალაქ არზრუმის უბნები, საიდანაც გადასახლდა სომხური მოსახლეობა

N	უბნის დასახელება	მეპატრონის მიერ გაყიდული საცხოვრებლების რაოდენობა	მეპატრონის მიერ გაუყიდავი საცხოვრებლების რაოდენობა	სულ
Mahallenin İsmi				
1 Lala Mustafa Paşa Mahallesi	ლალა მუსტაფა ფაშას უბანი	1	5	6
2 Cafer Efendi Mahallesi	ჯაფერ ეფენდის უბანი	4	-	4
3Cami-i Ke-bir Mahallesi	ჯამი ქებირის უბანი	4	-	4
4 Kabe-i Mescit Mahallesi	კაბეი მესჯითის უბანი	-	3	3
5 Koloğlu Mahallesi	ქოლოღლუს უბანი	-	-	-
6 Karakilise Mahallesi	ყარაქილისეს უბანი	2	3	5
7 Boyahane Mahallesi	ბოიახანას უბანი	5	-	5
8 Bakırcı Mahallesi	ბაქირჯის უბანი	2	3	5
9 Çortan Mahallesi	ჩორთანის უბანი	-	-	-

10 İlyas Paşa Mahallesi	ილიას ფაშას უბანი	1	17	17
11 Hanım Ha. Mescidi Mahallesi	ხანუმ ჰა. მესჯიდის უბანი	-	3	3
12 Ağ Mescid Mahallesi	აღ მესჯიდის უბანი	5	5	10
13 Cafer-zade Mahallesi	ჯაფერ ზადეს უბანი	-	3	3
14 Çukur Mahallesi	ჩუქურის უბანი	1	1	2
15 Cennet-zade Cami-i Şerifi Mahallesi	ჯენეთ ზადე ჯამე-შერიფის უბანი	7	11	18
16Yoncalık Mahallesi	იონჯალიქის უბანი	13	11	24
17 Sultan Melik Mahallesi	სულთან მელიქის უბანი	2	-	2
18 Hasan Basrı Mahallesi	ჰასან ბასრის უბანი	8	-	8
19 Mehdi Mehmed Mahallesi	მეჰდი მეჰმედის უბანი	5	1	6
20 Emirşeyih Mahallesi	ემირ შეიხის უბანი	1	4	5
21 Habib Efendi Mahallesi	ჰაბიბ ეფენდის უბანი	5	1	6
22 Darağaç Mahallesi	დარაღაჯის უბანი	22	20	42
23 Habib Efendi Mahallesi	ჰაბიბ ეფენდის უბანი	6	4	10
24 Kadana Cami-i Şerif Mahallesi	კადანა ჯამე-შერიფის უბანი	8	5	13
25 Veyis Efendi Mahallesi	ვეის ეფენდის უბანი	16	21	37
26 Haci Cuma Mahallesi	ჰაჯი ჯუმას უბანი	2	11	13
27 Kemhan Mahallesi	ქემჰანის უბანი	-	3	3

28 Dervişağa Mahallesi	დერვიშაღას უბანი	6	5	11
29 Cedit Mahallesi	ჯედიდის უბანი	-	-	-
30 Kasım Paşa Mahallesi	ქასიმ ფაშას უბანი	19	41	60
31 Yeğenağa Mahallesi	იელანალის უბანი	19	78	97
32 Yeni Cami-i Şerif Mahallesi	იენი ჯამე-შერიფის უბანი	3	1	4
33 Ali Paşa Mahallesi	ალი ფაშას უბანი	48	350	398
34 Abdurrahman Ağa Mahallesi	აბდურაჰმან აღას უბანი	5	88	93
35 Kavak Mahallesi	ქავაკის უბანი	32	232	264
36 Gümrük Mahallesi	გუმრუქის უბანი	37	469	506
37 Topçuoğlu Mahallesi	თოფჩუოღლუს უბანი	19	56	77
38 Zağarcı Ali Mahallesi	ზაღარჯი აღას უბანი	1	13	14
39 Gez Mahallesi	გეზის უბანი	11	66	77
40 Mumcu-yu Sülfa Mahallesi	მუმჯუ-იუსულფას უბანი	41	116	157
41 Mumcu-yu Ulya Mahallesi	მუმჯუ-იუსულიას უბანი	6	147	153
42 Murad Paşa Mahallesi	მურად ფაშას უბანი	12	23	35
43 Dere Mahallesi	დერეს უბანი	7	30	37
44 Vani Efendi Mahallesi	ვანი ეფენდის უბანი	5	3	18
45Şeyih Mahallesi	შეიხის უბანი		1	1

46 Çırcır Mahallesi	ჩირჩირის უბანი	2	21	23
47 Hikmet Mahallesi	ჰიკმეთის უბანი		34	34

დანართი VII (Aykun 2019, 415-416)

N	პროფესია	რაოდენობა	ქართული შესატყვისი	N	პროფესია	ქართული შესატყვისი	რაოდენობა	შენიშვნა
1	Abacı	22	სქელი (პალტოს) ნაჭრის მქსოველი/ მკერავი	66	Bezzaz	ნაჭრის მქსოველი	17	
2	Alacacı	1	ფერადი ნაჭრის მქსოველი/მკერავი	67	Bıçakçı	დანის ოსტატი	1	
3	Arpacı	1	ქერის გამყიდველი	68	Borcu	მიღების ოსტატი	1	
4	Attar	1	სუნელების გამყიდველი	69	Boyacı	მღებავი	3	
5	Pabuccu	31	ფეხსაცმლის მკერავი	70	Börekçi	ღვეზელის მცხობელი	14	
6	Bakırcı	7	სპილენძის ჭურჭლის ხელოსანი	71	Baltacı	ცულის ოსტატი	3	
7	Bakkal	7	მეზაყლე (მედუქნე)	72	Bürükcü	ქალების თხელი თავსაფრის მქსოველი	3	
8	Baltacı	9	ცულის ხელოსანი	73	Çubukçu	მეფალიონე	1	
9	Banucu	1	მათარების ხელოსანი	74	Çadırcı	კარვის ოსტატი	1	
10	Başlamacı	1	?	75	Çakmakçı	ჩახმახის ოსტატი (კაჟის ქვისგან)	5	
11	Başmakçı	6	მეჩეემე	76	Çarıkcı	მექალამნე	16	
12	Berber	3	დალაქი	77	Çerçi	ცხენის ორთვალათი სოფელ-სოფელ მოსიარულე მეწვრილმანე (ჩარჩი)	10	
13	Bezirgân	3	მექარავნე ვაჭარი	78	Çilingir	გასაღების ოსტატი	6	
14	Çitçi	3	ბალ-ბოსტნის ღობის ხელოსანი	79	Kasap	ყასაბი	47	

15	Çizmecici	29	მეჩეემე	80	Duhancı	მუშტუკების ოსტატი	29	
16	Çubukçu	6	მეყალიონე	81	Düğerci	კალოზე გრძელი ჯოხებით მნას ურტყამენ და ცივი მარცვალი (პროფესიად ჰქონიათ)	1	
17	Çukacı	1	მეზოხე (მატყლისგან და მჭიდროდ ნაქსოვი ნაჭრისგან გამზადებული თხელი მოსასხამი)	82	Ekmekçi	მეპურე	11	
18	Çulha (cı)	94	ხალიჩის საქსოვი დაზგის მკეთებელი	83	Enfiyeci	ბურნუთის შესანახი კოლოფის ოსტატი	2	
19	Debbağ	16	ტყავის გადამმუშა- ვებელი	84	Fırıncı	ფურნის მკეთებელი, (მეპურეც შიძღვება ყოფილიყო)	3	
20	Değir- menci	21	მეწისკვილე	85	Göncü	ტყავის ოსტატი (ტყავის მასალის მკერავი/ გამყიდველი)	1	
21	Demirci	71	მჭედელი	86	Gübreçi	ნაკლის შემგროვებელი/ მინდორში გამტანი	1	
22	Dikici	1	მკერავი, ძველი ფეხსაცმლის შემკეთებელი	87	Haffaf	ფეხსაცმლის მკერავი და თან გამყიდველი	6	
23	Dök- meci	11	სხვადასხვა მასალიდან ნივთების ჩამომსხმელი	88	Haftan (cı)	ერთგვარი ზამბის კაბა, რომელსაც ივვამდნენ ჯაჭვის პერანგზე (მკერავი)		
24	Döküm- cü	4	მეტალის ნივთების ჩამომსხმელი	89	Hallaç	მატყლის და ზამბის და სხვა სამკერვალო მასალის დამმუშავებელი	3	
25	Döşekçi	1	მელებე	90	Hamurcu	ცომის მზელავი	1	
26	Döşe- meci	7	იატაკის მკეთებელი	91	Hancı	ხანის (სასტუმროს) მმართველი	1	
27	Hızarcı	5	მხერხავი	92	Hasırcı	მეჭილობე	1	
28	İbrikçi	6	თუნვის ოსტატი	93	Kapancı	ხაფანგების ოსტატი	2	
29	Kabzi- mal	2	ხილ-ზოსტუნულის ბითუმად გამყიდველი	94	Kavalcı	მესალამურე, დამკვრელი/ ხელოსანი	1	

30	Kahveci	12	ყავის გამყიდველი/ დამმუშავებელი	95	Kaytancı	თხელი ძაფის ხელოსანი	9	
31	Kalaycı	13	მკალავი	96				
32	Kalburcu	1	ცხავის/ ცხრილისოსტატი	97	Kazancı	მექვაბე	5	
33	Kalıpçı	1	მეყალიბე	98	Kazzaz	ოქროს, ვერცხლის სამკაულების მკეთებელი	47	
34	Kalpakçı	4	მექუდე/ფაფახების მკერავი	99	Kebabçı	მექაბაბე	1	
	Kaltakçı	6	უნაგირის ულვაშის ოსტატი	100	Ketenci	მენაბდე	2	
35	Kandilci	1	მეყანდილე	101	Meyhaneci	აღკოპოლური სასმელების გამყიდველი	10	
36	Ketenci	3	სელისგან ქსოვილის მკეთებელი	102	Mihçı	მელურსმნე	3	
37	Kılcı	8	ნართის/ძაფის ხელოსანი	103	Mumcu	მესანთლე	14	
38	Kısırcı	1	ბერწი ცხვრებით ვაჭარი	104	Muytup	მემაშხლე	19	
39	Kılları	1	მეკუჭნავე	105	Naalçacı	მექომე	7	
40	Koltukçu	8	მეავეჯე	106	Nakkaş	სახლების მომხატველი	2	
41	Kömür-cü	2	მენახშირე	107	Nalband	ნალბანდი	65	
42	Kuyumcu	31	ოქრომჭედელი	108	Nalıncı	მეწაღე	2	
43	Külhancı	3	მეზანოე/ ცეცხლფარეში	109	Oturakçı	დაბალი სკამის/ ტაბურეტკის ოსტატი	1	
44	Kürekcı	22	სახვეტი ნიშბის ოსტატი	110	Şalçı	მეშაღე	1	
45	Kürkçü	29	ქურქის მკერავი	111	Şamdancı	მეშანდლე	1	
46	Lağımçı	1	საპირფარეშოს/ აბანოს კანალიზაციის ხელოსანი	112	Tarakçı	მესავარცხლე	1	
47	Mabucu	1	ფეხსაცმლის გამყიდველი	113	Tarakçı	მესავარცხლე	3	
48	Palancı	8	სახედრის მეუნაგირე	114	Taşçı	ქვის ოსტატი	1	
49	Panbukçu	19	მეზამბე	115	Tavukçu	მექათმე	2	
50	Pabuccu	3	ქალის ფეხსაცმლის გამყიდველი, (ჩუსტის წაგავს)	116	Tekneci	მეგარღლე	1	

51	Penbeci	5	მებამბე	117	Terlikçi	თხელი ნაჭრის თავსაბურავის მკერავი. ჯამეში, სინაგოგაში სატარებლად იხმარება	2	
52	Peştamalçı	3	მეწინსაფრე	118	Terzi	თერძი	101	
53	Saatçı	6	მესათე	119	Tiftikçi	თივთიკის (თხის ბეწვის დამმუშავებელი)	7	
54	Sabuncu	15	მესაპნე	120	Tokacı	ტანსაცმელის და ა.შ. სამაგრის ოსტატი	1	
55	Serral	1	დაბალი ღობის ოსტატი	121	Torbacı	ნაჭრის მცირე ზომის ტომრების მკერავი	1	
56	Savakçı	1	წყლის არხის ოსტატი (მიმართულების შემცვლელი)	122	Tulumcu	გუდების/ გუდასტვირების ოსტატი	3	
57	Semerci	1	სახედრის მელუნაგრე	123	Uncu	ფქვილის გამყიდველი	3	
58	Seridar	9	ძაფზე კრიალოსნის ამწყოზი	124	Yemenci	ქალბის დიდი და მორთული თავშლების მკერავი/ გამყიდველი	10	
59	Setenci	1	ძვირფასი აბრეშუმით გაწყობილი ნაჭრის მკერავი/ გამყიდველი	125	Tüccar	ვაჭარი	46	
60	Sırmacı	1	ვერცხლის/ ოქროს ძაფებით გაწყობილი ნაჭრის მკერავი/ გამყიდველი	126	Tüfenkçi	მეთოფე/ თოფის ხელოსანი	12	
61	Sirkeci	5	მემრე (ყურძნის წყენისგან კეთდებოდა)	127	Tükmeci	მელილე	2	
62	Sucu	2	წყლის გამყიდველი	128	Tülbetçi	მსუბუქი და რბილი ზამბის ქსოვილისგან წვრილად და იშვიათად ნაქსოვი თავსაბურავის გამყიდველი	1	
63	Üzengici	3	მელზანგე	129	Tütüncü	მეთუთუნე	1	

64	Zurnacı	1	მეზურნე (ოსტატი/ მკეთებელი)	13-0	Kavukçu	მუსლიმურ ქვეყნებში განათლებული რელიგიური კლასის თავსაბურავის მკერავი.	5	
65	Selekçi	1	?					

დანართი VIII (Aykun 2019, 418-420).

ს ო ფ ლ ე ბ ი ს დასახელება	კომლი (გვარი)	ცალკეული ოჯახი
Şeyih-შეიხი	2	107
Müdüрге - მუდურგე	15	56
Igrasor-იგრასორი	15	62
Tufanç -თუფანჩი	54	224
Hıms - ჰინისი	77	243
Köşk - კოშკი	9	24
Uğrak- უდრაკი	6	32
Karagöbek -ყარაგობეკი		150
Zagğı -ზაგგი		98
Kızıl Kilise - ყიზილ ქილისე		215
Künbed - გუმბათი	23	106
Dinarkom - დინარკომი	32	119
Sıtavuk -სითავუკი	16	61
Anzuti - ანზუთი	73	356
Umudum - უმუდუმი	50	265
Kevahor - ქევახორი	32	169
Gıncıkos - გინჯიქოსი	18	42
Mülk - მულკი	7	29
Tivnik - თივნიკი	3	13
Kirnic - კირნიჯი	7	22
Erkinis - ერკინისი	6	18
Hackevank - ჰაკექევანკი	20	77
İğdasor იღდასორი	15	46
Artızu - არზუტი	23	105
Norşin - ნორშინი	16	72
Terkuni - თერკუნი	4	13

Kömük - ქომუკი	9	23
Özni - ოზნი	23	100
Badıñın - ბადიშინი	1	2
Salasor-სელასორი	4	14
Karaz-ქარაზი	11	23
Kuşcu-ქუშჯუ	6	27
Ercek-ერჯეკი	5	21
Kaypa-ქაიფა	1	3
Tiger-თიგერი	1	4
Poçik-ფოჩიკი	13	40
Zuvans-ზუვანსი	1	4
Şegedav-შეგედავი	40	104
İ r g e m a n s u r - ირგემანსური	40	77
Kagdarıç-ქაგდარიჩი	10	45
Karahasan-ყარაჰასანი	20	49
Aşkale-აშქალე	88	364
P ı r n a k a - pan-ფირნაქაფანი	5	18
Danzut-დანზუთი	3	7
Çizmet-ჩიზმეტი	1	4
T o p a l ç a - vıř-თოფალჩაფუში	8	22
Pirtın-ფირთინი	36	95
Nordiban-ნორდიბანი	25	105
Örtülü-ორთულუ	16	59
Cinis-ჯინისი		123
Ilca-ილიჯა	48	183
Pulur-ფუჰირი	13	63
Söğütli-სოღუთლუ	39	166
Süngerıç-სუნგერიჩი	24	94
Özbek-ოზბეკი	10	30
Arşuni-არშუნი	23	11
Gez-გეზი	6	22
Kan-ქანი	73	192
Karagöbek-ყარაგობეკი		115
Zağki-ზაღკი		82
Kızıl Kilise-ყიზილ ქილისე		175

სომხური საისტორიო წყაროები ნინოწმინდის
მუნიციპალიტეტის შესახებ

შესავალი

საქართველოსა და სომხეთის მჭიდრო და მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, საერთო ისტორიული წარსული, სასაზღვრო ტერიტორიები განაპირობებდა ქართველი და სომეხი ხალხის ერთმანეთის მიმართ დიდ და განსაკუთრებულ ინტერესს, რომელიც საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა ფორმით აისახა. ეს ინტერესი საუკუნეთა მანძილზე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. საქართველო სომეხი ხალხისთვის იყო უახლოესი მეზობელი, მეგობარი, მფარველი, პოლიტიკური მოკავშირე, პარტნიორი - საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ზოგჯერ კონკურენტი - საერთაშორისო ასპარეზზე, რელიგიურ საკითხებში კი მათი მთავარი ოპონენტი, და მაინც, სომეხ და ქართველ ხალხს ერთმანეთის მიმართ ინტერესი და პატივისცემა არასოდეს დაუკარგავთ.

საქართველო ხშირად საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა მტრისაგან შევიწროებული სომეხი მოსახლეობისთვის. ამ ორი მეზობელი ხალხის ხანგრძლივმა მეგობრობამ, საერთო გეოპოლიტიკურ არეალში თანაცხოვრებამ, ქრისტიანული კულტურის მსგავსმა ტრადიციებმა ხელი შეუწყო იმას, რომ აქ გამიზნულად გადმოსახლებული თუ პოლიტიკური საზღვრების ცვლილებების გამო საქართველოს ფარგლებში შემოსული სომხური მოსახლეობისთვის ქართულ გარემოსთან შეგუებისა და ადაპტირების პროცესი სხვა ქვეყნებთან შედარებით ადვილად და ბუნებრივად მიმდინარეობდა. საქართველოში სომეხი ხალხი იმავე საქმიანობას აგრძელებდა, რასაც თავის სამშობლოში ეწეოდა, ერთადერთ დაბრკოლებას ენობრივი გარემო წარმოადგენდა.

საქართველოში, განსაკუთრებით კი სამხრეთ საქართველოში, სომხური მოსახლეობის განსახლების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სომხურ ისტორიოგრაფიას. ჩვენი ნაშრომის თავდაპირველ მიზანს სომხურ წერილობით წყაროებში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი სოფლების შესახებ დაცული ცნობების მოძიება და ანალიზი წარმოადგენდა, მაგრამ სომეხი ავტორები კონკრეტულად ნინოწმინდის რაიონის შესახებ ან არაფერს გვეუბნებიან, ან მეტად ფრაგმენტული ცნობების გადმოცემით შემოიფარგლებიან. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ გეოგრაფიული დასახელებები დროთა განმავლობაში იცვლებოდა და წყაროებში ასახული ტოპონიმები ზოგჯერ არ შეესაბამება დღევანდელობას. აქედან გამომდინარე,

ნაშრომში წარმოვადგენთ სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებში მთლიანად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შესახებ არსებულ ცნობებს და ამ ცნობათა საფუძველზე შევეცდებით ვაჩვენოთ, როდის იწყება სომეხთა მიგრაცია სამხრეთ საქართველოში, რა ნიშნებით ხასიათდება, რით არის გამოწვეული ეს მიგრაციული პროცესები და რამდენად მასშტაბურ ხასიათს ატარებს.

სომხური საისტორიო წყაროები სამცხე-ჯავახეთის შესახებ

სომხურ ისტორიოგრაფიაში სამცხე-ჯავახეთის შესახებ ცნობები ადრეული პერიოდიდან ჩნდება და უმეტესად ზოგადი ხასიათი აქვს. მასალას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვადგენთ.

სომხურ წყაროებში ჯავახეთის შესახებ ცნობა პირველად მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ გვხვდება. სომეხი ისტორიკოსი მეფე ვალარშაკის შესახებ საუბრისას აღნიშნავს, რომ „გუშარს, რომელიც იყო შვილი შარასი, მემკვიდრეობით ერგო უდაბური მთა, რომელიც არის კანგარქი, **ჯავახეთის ნახევარი**, კოდბი, წობი, ძორი ჰნაკერტის ციხესიმაგრემდე. აშოცის ბატონად და ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა გუშარ ჰაიკაზიანის შთამომავალი განაწესა“²⁷⁰ (მოვსეს ხორენაცი 1984, 106). მოსე ხორენელის „ისტორიაში“ გუშარის სახელით ჰაიკის შთამომავლებს შორის პიროვნება არ ჩანს. იგი იხსენიება „ჰაიკაზნ“-ის, ე.ი. ჰაიკიანი, ჰაიკის შთამომავალთა სახელით. ფიქრობენ, რომ გუშარის დაკავშირება სომეხთა მამამთავარ ჰაიკთან შედარებით გვიან უნდა მომხდარიყო, რათა ამით დაესაბუთებინათ სომხეთის ხელისუფალთა მისწრაფებები, რომ მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე გაეფართოვებინათ თავისი სამფლობელოები. ივ. ჯავახიშვილს გუშარი გოგარენე-გუგარქის ეპონიმად მიაჩნია (ჯავახიშვილი 1950, 25-26). დ. ბერძენიშვილის თანახმად, „ჯავახეთის ნახევარში“ ის ნაწილები უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც მტკვრის მარჯვენა - ფარავნიდან მტკვრამდე, მდებარეობს (ბერძენიშვილი 1985, 78).

საქართველოს, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის, შესახებ საინტერესო ცნობებს ვხვდებით მე-7 საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“. კლარჯეთი, შავშეთი და არტანის სომეხთაგან გამოყოფილი მხარეებია, მასზე მიეძინება მდინარე მტკვარი, რომელიც „ტაოდან მოდის კოლას კანიონიდან **ჯავახეთის ზეგანზე, ჩადის სამცხეში**, უხვევს აღმოსავლეთით და მიეძინება ქართლის ზემო ქვეყანაზე, რომელიც იყოფა ხევებად: გოროთისხევი, ტუნისხევი, რომლის მთავარი ციხე დეკიცხეა (დეკ-ციხე ხ.გ.), მანგლისის ხევი, ბოლნისის ხევი პარუარამდე, რომელიც აკრავს ქალაქ ტვილისს, სამი ხევი სომეხთაგან არის გამოყოფილი“.²⁷¹

270 «Իսկ Գուշարայ, որ յորդոցն Շարայի, ժառանգեաց զլեան Մթին, որ է Կանգարք, և զԼԷՄԱՍԻՆ Զաւախաց, զԿոդբ, զՇոբ, զՁոր, մինչև ցամուրն Հնարակերտ: Բայց զտէրութիւնն Աշոցայ, և զսեպիակասութիւնն Տաշրաց կարգէ Վաղարշակ ի գասակացն Գուշարայ Հայկագնոյ» (Մովսէս Խորենացի 1991, 133):

271 შდრ. «Եւ գաւառք են այս, սկսեալ ի Վոի գետոյ եւ ի հիւսիսոյ Տայոց. Կլարձք, գոր ի Հայոց

„სომხური გეოგრაფია“ მდ. მტკვრისა და მდ. ლიახვის დინებათა აღწერისას მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჯავახეთის ზეგანის ნაყოფიერი ტბების შესახებ: „კავკასიონიდან მოედინება მდ. ლიახვი, მიედინება სამხრეთით და ჩადის მტკვარში, იქიდან კი ხარნისხევით ცხრამდამაიზე, მდინარე არაგვამდე, რომელიც მიედინება კავკასიაში და მიდის სამხრეთით **ახალციხის ციხესთან**, ქალაქ მცხეთისა და წმ. ჯვრის გავლით ჩაედინება მტკვარში და მოიცავს მთელ ქართველთა ზემო ქვეყანას, რომლის წინაც მიედინება მტკვარი, მოდის ქართველთა დედაქალაქ ტფილისში. მიემართება პარუარავით და წოფოფორის, კოლბოფორისა და ძოროფორის სახელის მქონე მდინარეებით ქალაქ ჰნარაკერტამდე, რომლებიც გამოყოფილნი არიან სომეხთაგან, რომელთა **სამხრეთ ზეგანი ჯავახეთისა** სავსეა მრავალრიცხოვანი ტბითა და სხვადასხვა თევზით...“.²⁷²

„სომხური გეოგრაფია“ გუგარეთის ოლქებს შორის ასახელებს ზემო ჯავახეთს: „გუგარეთს უტიელთა შესასვლეში აქვს ცხრა გავარი: ძოროფორი, კოლბოფორი, წოფოფორი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, **ზემო ჯავახეთი**, არტაანი, კლარჯეთი.“²⁷³

დ. ბერძენიშვილის აზრით, სომხურ წყაროში დასახელებული „ზემო ჯავახეთი“ ქართული წყაროების „ჯავახეთი ფარავნითგან მტკვრამდე“ ტერიტორიას უნდა შეესაბამებოდეს. დანარჩენი ჯავახეთი, ე.ი. „ქვემო ჯავახეთი“, უნდა იყოს მტკვრის ნაპირიდან სამცხემდე და ნიალის ველი (ბერძენიშვილი 1985, 78).

მე-8 საუკუნის სომეხი ავტორები სამცხე-ჯავახეთის შესახებ ისევ ფრაგმენტულ ცნობებს გვაწვდიან, სომხური მოსახლეობის გადმოსახლების შემთხვევა არსად არ აღინიშნება.

მე-8 საუკუნის ერთ-ერთი ასეთი სომეხი ავტორია იოანე მამიკონიანი,

ხანსელ ლ. და ზაღლუჷ. სრითახან გასათ, გირ ათნელ ლ ჰ ჯაიგი, ენო ირ ანგანს გესინ ხეირ ჟირ, ირ ჰ საიგი გალიქ, ჰ ჟოღ გასათქ **ენო სათირითა ღაასაქსაგ, ჰჯანს ჰ სარაქს** და იანისაქ იარნესქ ანგანსელქ ენო ჲერქინ აქსარქინ ჲრავ, რაქანსელქ გეასათან, გჳოთოქსასქს, გნინსასქს, ირთი ჰ გლიქან Ⴒესქსქს ქერო, და გსანსელსეფირ, და გჳოთოქსირ მინსენ გჳაროთარ გასათ, ირ აყათქ გსქსქს ქაღაქსა. რაქს ერეჷ ფირასქო ჰ ჯაიგი ხანსელ ლ...» (შქსარქაგთვი 2003, 2150):

272 «... ჰ სათირითა ჟოქსათო. იორქ ხოთქ ლქს გეს, და ანგელ ჰ ხარა სთი ჰჯანს ჰ ჟირ. და ათ სოქა Ⴒათსქსქს ჰ Ⴒქარასდამაქს, მინსენ Ⴒარაქს გეს, ირ ხოთქ ჰ Ⴒასქსაქს, და განალიქ ენო ხარა ენო **სქსაქსქს ქერო**, და ანგანს ენო მქე Ⴒგქსქსაქს ქაღაქს და რქოქ სოქე Ⴒაქსქს, ჰჯანს ჰ ჟირ, და რქოსნოქსქს ჰ Ⴒერქინ აქსარქ Ⴒრავ, იორქ Ⴒათაქ Ⴒათაქსელქ ჟოქსაქ Ⴒაქ Ⴒსქსქს მარაქსაქაქ Ⴒრავ. განა Ⴒოქოქოქ Ⴒაროთარა, და გჳოქოქოქოქ და გჳოქოქოქოქ და გჳოქოქოქოქ ხოთანოქს გესოქ, მინსენ გნსარასქსქს ქაღაქს, გირს ჰ ჯაიგი ხანსელ ლ. ირთი ეთ **ხარათოქს ქანთათაქს Ⴒაასაქსაგ** რაქოქს Ⴒოქ Ⴒი განსაქანს დქსაქს...» (შქსარქაგთვი 2003, 2150):

273 «გოქაქსქს ჰ მთიქ Ⴒოქსაქსი. ინსქ გასათი Ⴒინს. გჳოქოქოქოქ, გჳოქსაქოქ, გჳოქსაქოქ, გსაქსქ, გჳოქსქ, გჳანსქარა, **გჳოქსაქს Ⴒერქ**, გაროთახან, გჳაქსარქს: Ⴒინსქ ანსაქოქს, და ხანარ ბათ და სოქოქს და თოსაქ: Ⴒინსქ ართ Ⴒქსქს ხანსელ ჰ ჯაიგი...» (შქსარქაგთვი 2003, 2154):

რომელიც თავის „ტარონის ისტორიაში“ მოგვითხრობს არაბთა ლაშქრობების შესახებ და ჯავახეთში მათი თარეშის ფაქტსაც აღნიშნავს: „იმავე წელს გამოვიდა ჰერაკლე, მოკლა ხოსრო... რვა წლის შემდეგ მოვიდა აბდარაჰიმი, მუჰამედის დისშვილი, თან წამოიყვანა თვრამეტი ათასი კაცი და ცხენი და მოითხოვა ხარკი სომეხთაგან... აბდარაჰიმი გადავიდა სომხეთში, ბასიანში, ქართლში, **ჯავახეთში**, ვანანდში, აილო ხარკი და დაბრუნდა არაბეთში“.²⁷⁴

„ტარონის ისტორიის“ თანახმად, აბდარაჰიმი სომხეთში, ქართლსა და ჯავახეთში სპარსთა მეფის ხოსროს აღსრულებიდან მერვე წელს შეჭრილა. ელ. ცაგარეიშვილი ამ ისტორიულ მოვლენას 639 წლის შემდგომი პერიოდით ათარიღებს, მას შემდეგ, რაც არაბებმა შუამდინარეთი და მისი მოსაზღვრე მხარეები დაიპყრეს (ცაგარეიშვილი 2020, 48).

იოანე მამიკონიანის აღნიშნული ცნობა მსგავსია „წმინდა ნერსესის ისტორიაში“ დაცული ცნობისა, რომლის თანახმად, „სომეხთა წელთაღრიცხვის ოთხმოც წელს ბერძენთა მეფე ჰერაკლე შეებრძოლა სპარსთა მეფეს ხოსროს და მოკლა იგი. რვა წლის შემდეგ მუჰამედის დისშვილი აბდარაჰიმი მოვიდა სომხეთში 18 ათასი კაცის თანხლებით ხარკის ასაკრეფად და ქრისტიანთა ჯარის ამოსაწყვეტად, რომელიც ტარონის გავარში იყო დაბანაკებული. იგი (აბდარაჰიმი) გადავიდა ჰარქსა და ბასიანში, ქართლში, **ჯავახეთსა** და ვანანდში, აილო ხარკი და არაბეთში დაბრუნდა“ (Մատուռիս սրբոյն Ներսիսի 1853, 43-44).

„წმინდა ნერსესის ისტორიაში“ გადმოცემული მოვლენის თარიღი - 639 წელი - უფრო ახლოს არის არაბების ამიერკავკასიაში შემოსვლის თარიღთან, ამ დროს არაბები იპყრობენ ქვეყნებს და გზას იკვლევენ სომხეთისაკენ (ცაგარეიშვილი 2020, 48).

არაბთა შემოსევებმა დიდი ზარალი მიაყენა ამიერკავკასიის ქვეყნებს, მათ შორის სომხეთს. მე-7 საუკუნის ბოლოს არაბებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ქართლში, დასავლეთ საქართველო კი ბიზანტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ხშირი იყო შემთხვევები, როცა არაბთა უღელს გამოქცეული სომეხი მთავრები დასავლეთ საქართველოს აფარებდნენ თავს. ამის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული მე-8 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ლევონდის „ისტორიაში“ (Ղևոնդ 1982, 68-71).

არაბთა ბატონობისაგან თავის დასაცავად გამოქცეული სომეხი მთავრები დასახმარებლად რომ საქართველოს მიმართავდნენ, როგორც ჩანს, არც თუ ისე იშვიათად ხდებოდა. ლევონდის ცნობით, აბასელთა დინასტიის დროს გახშირდა აჯანყებები დაპყრობილ ქვეყნებში. სომეხი ნახარარები არტავაზდ მამიკონიანის ხელმძღვანელობით აჯანყდნენ, დვინში მოიყარეს

274 «Ապա 'ի տյն ամի էլանէ Հերակլ, և սպանանէ զԽոսրով... Եւ յետ ութ ամի եկն Աբդարահիմ քեռորդի Մահմետի բազում աղխիւ, ութսուսան հազար առնս-ձիոյ ընդ իւր բերեալ, խնդրէր հարկս 'ի Հայոց: ... Իսկ Աբդարահիմ անցանէ ընդ Հարք և 'ի Բասեան, 'ի Վիրք և 'ի **Ջախվախս** և և 'ի Վանանդ. և առեալ հարկս, դառնայ 'ի տաճկաստան» (Յովհաննու Մամիկոնեան 1832, 57-58):

თავი, დახოცეს ხარკის ამკრეფნი და დასახმარებლად ქართველთა ქვეყანას მიაშურეს. ეს ამბავი მუჰამედმა რომ გაიგო, „სასწრაფოდ მრავალი ჯარი შეკრიბა, [წაიყვანა] სომხეთის სპარაპეტი სმბატ აშოტის ძე, სხვა ნახარარები, მისდევდა მათ და მივიდა **ქართველთა ქვეყნის იმ მხარეში**, რომელიც **სამცხედ** იწოდება“.²⁷⁵ არტავაზდმა და მისმა მომხრეებმა მაინც მოახერხეს არაბებისგან თავის დაღწევა და ეგრისელთა ქვეყანაში დამკვიდრდნენ.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მთელი ადრეული შუა საუკუნეების მანძილზე ქართლისთვის ყველაზე მთავარ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენას საგარეო ორიენტაციის განსაზღვრა წარმოადგენდა. საქართველოს იდეოლოგიური არჩევანი უნდა გაეკეთებინა და განესაზღვრა თავისი როლი და ადგილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიებს შორის. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით ქართლმა პროდასავლური კურსი აირჩია, ერთი საუკუნის შემდეგ კი კვლავ პროდასავლური არჩევანი გააკეთა და სახელმწიფო იდეოლოგიად დიოფიზიტობა გამოაცხადა. ეს იყო პოლიტიკური არჩევანი ბიზანტიასა და ირანს შორის. ქალკედონური ორიენტაციის აღებით საქართველომ გეზი აიღო ეროვნული კონსოლიდაციისკენ, ქვეყნის ცენტრალიზაციისკენ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ მოვლენებს უკავშირდებოდა, სასაზღვრო ტერიტორიებზე მცხოვრები შერეული მოსახლეობის ღმრთისმსახურების ენის საკითხის გადაწყვეტა იყო. ცურტავის საპიტიახშოში, ანუ გუგარეთში, რომელიც სომხეთს უშუალოდ ესაზღვრებოდა და ქართლსა და სომხეთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, ღმრთისმსახურება სახელმწიფო ენაზე უნდა აღესრულებინათ (აღიქსიძე 2010, 394-410).

ამ საქმის ინიციატორად და სულისჩამდგმელად წარმოგვიდგება კირონ ქართლის კათალიკოსი (მე-7 ს.), რომელმაც ღრმა განსწავლულობითა და დიპლომატიის ხელოვნების ფლობით დიდი როლი შეასრულა ამ საკითხების მოგვარებისა და გადაწყვეტის საქმეში.

კირონ ქართლის კათალიკოსის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები დაცულია მე-10 საუკუნის სომეხი ავტორის უბტანესის თხზულებაში „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“. უბტანესის ისტორიას საფუძვლად „ეპისტოლეთა წიგნში“²⁷⁶ დაცული მასალა უდევს. უბტანესის

275 «Լուր հասավ Դիլին քաղաք, թե Հմայեակի որդիները այդպիսի դառն ոճիւր էին գործել: Մահմետը շուտափոյոք բազում զորք հավաքեց, [վերցնելով] նաև Աշուի որդուն՝ Մմբատին, հայոց սպարապետին և այլ նախարարներին ու նրանց հետապնդելով հասավ **Վրաց աշխարհի այն գավառը**, որ կոչվում էր **Մամցխե**: Գրավելով կիրճերը՝ նա ավարի մի մասը խլեց և նրանց հալածելով փախցրեց Հայոց աշխարհից: Իսկ նրանք գնացին ու պատասպարվեցին Շգերաց աշխարհում, և նա [Արտավազդը] ստանձնեց Շգերաց իշխանություն, ինչպես նաև Վեդիայի, այսինքն Վիրքի» (Ղևոնդ 1982, 112):

276 „ეპისტოლეთა წიგნი“ წარმოადგენს რელიგიის საკითხებზე სომხეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მოღვაწეთა მიმოწერას სხვა ეკლესიების მესვეურებთან V-XIII საუკუნეებში.

ცნობით, „ის (კირონი) იყო ქვეყნით და ნათესავით ქართველი, **ჯავახეთის გავრიდან**, სოფლიდან, რომელსაც **სკუტრი** ეწოდება, და ქართველთა და სომეხთა მწიგნობრობა იცოდა“²⁷⁷ (უხტანესი 1975, 20-21).

კირონი სკუტრელი მე-6-7 საუკუნეების მიჯნაზე უკვე ქართლის კათალიკოსია. უხტანესის თანახმად, მანამდე ხუთი წელი დვინში იყო ქორეპისკოპოსად, უფრო ადრე კი თხუთმეტი წელი გაატარა ბერძნულ ქალაქ ნიკოპოლისში, სადაც ბერძნული შეისწავლა. ამ მონაცემების საფუძველზე ზ. ალექსიძე ასკვნის, რომ „უხტანესისა და სომხური საზოგადოების განსწავლული წრეებისათვის VI ს-ის II ნახევარში ჯავახეთი საქართველოს ნაწილი იყო და აქ ძირითადად ქართველები სახლობდნენ“ (ალექსიძე 2011, 215).

უხტანესის თხზულებაში ჯავახეთი მეორედაც მოიხსენიება, როდესაც ისტორიკოსი საუბრობს „ცურტავის, იქ მყოფი პიტიახშისა და ქართველთა შესახებ“:

„ვგიქრობ, ცოტა რამ მოგწერო ცურტავის შესახებ მოსახსენებელ სიტყვათაგან და რაც ამის შემდეგ (მოხდა), რადგან ცურტავს ეს სახელი, რომელსაც ისტორიაში მუდამ და ყოველთვის ვახსენებდით და აქაც მოვიხსენებთ, მაშინ ერქვა, ხოლო ეხლა ეწოდება გაჩიანი; მაშინ სავსე და ვრცელი, დიდი და სახელოვანი დედაქალაქი (იყო), ახლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდინარის პირზე, რომელსაც ეწოდება მდინარე გაჩენი, მხარეში, რომელსაც ქართველთა ველი („ვრაც დამტ“) ჰქვია, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყანას შორის, გასცქერს პირდაპირ კავკასიის მთას, რომელიც ესაზღვრება საკვირველ ნაშენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედა-ქალაქს თბილისს. ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა პიტიახშის, ჩრდილოეთის მხარეთმპყრობელისა, ჩვენი მეფის ვალარშაკ არშაკუნიანის მიერ განწესებულისა.

ის პიტიახში ყოფილა ჩამომავალი მირდატ დარეჰის მთავრის, როგორც გაუწყებს ჭემმარტების მთხრობელი მოსე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა და მთავრად დატოვაო ტყვე ივერიელთა ტომებზე, რომლებიც მოიყვანა ნაბუქოდონოსორმა ლიბიელთა ჯარის ძალით, მორეკა, დააქცია და დაიმორჩილა. მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირს წაასხა და დაასახლაო, ამბობს ისტორიკოსი. ის ვერია კი არის დასავლეთი ქვეყნის კიდე, ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დასახლდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას ამიერ და იმიერ, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“ (უხტანესი 1975, 65-67).

უხტანესის აღწერის მიხედვით, ამ ტერიტორიაზე ქართველები ნაბუქოდონოსორის დროიდან სახლობდნენ, უფრო მეტიც იგი პოლიტიკურადაც საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, რადგან

277 «Մա էր աշխարհաւ և ազգաւ ի Վրաց ի գաւառէ Զաւախաց՝ ի գեղջէ՝ ուր կուլի Սկուտրի. և ունէր գոպուոսիւն վասն Վրաց և Հայոց» (უხტანესი 1975, 20-21).

ქართველებით დასახლებული ტერიტორია სომხეთამდე და ალბანეთამდე ვრცელდებოდა. ხალხს, რომლის შესახებაც უხტანესი საუბრობს, პირენეაში ვერიელები ეწოდებოდათ, შავი ზღვის ამერ-იმერეთში დასახლების შემდეგ კი ივერიელები ეწოდათ, ქვეყანას კი, სადაც ისინი უხტანესის დროს ცხოვრობდნენ, აფხაზეთი ეწოდებოდა. სომეხი ისტორიკოსი აქ ერთიან საქართველოს გულისხმობს, რომლის დედაქალაქია „საკვირველ ნაშენი და საოცარი“ თბილისი (ალექსიძე 2011, 215-217).

ამის შემდეგ სომეხი ისტორიკოსი ჩამოთვლის ხევებს, სადაც ასევე ნაბუქოდონოსორის დროს ჩამოყვანილი ივერიელები სახლობენ, აქვთ საკუთარი სახელმწიფო ყველა თავისი ატრიბუტით. ისტორიკოსი დადებითად არის განწყობილი ქართველი ერის მიმართ, ამვე დროს ადანაშაულებს კირონ ქართლის კათალიკოსს, რომელმაც განსაცდელში ჩააგდო ქართველთა ქვეყანა:

„ურიცხვია სახელი თითოეული გავარისა, რომლებიც მის გარშემოა, და სხვა გავარებისა ქალაქ თბილისის გარშემო, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, **ჯავახეთი**, **თრიალეთი**. ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ტომი, რომელსაც თავის პირველ ქვეყანაში ვერიას უწოდებდნენ, აქ (კი) ქართველნი ეწოდებათ. ტომითაც, ენითაც, დამწერლობითაც, მამამთავრობითაც და მეფობითაც განმტკიცდნენ, ხოლო გამოჰყო, გამოაცალკევა და განაშორა ჩვენგან **კირონ სკუტრელმა** (ამით იუდა ისკარიოტელის მსგავსი და თანაბარი შეიქნა), დააქცია და წარწყმიდა ესოდენი სიმრავლის ტომი, მიზეზი გახდა მათი დალუპვისა“.²⁷⁸

ამრიგად, მე-10 საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი, რომელიც ნარეკის მონასტრის წინამძღვრის დაკვეთით აღწერს სომეხთა და ქართველთა შორის საეკლესიო ცილობის ამბავს, ყოველნაირად ცდილობს, თავისი ისტორია სომხური ეკლესიის დამცველად და მისი პოზიციების განსამტკიცებლად წარმოაჩინოს. ამის გათვალისწინებით კიდევ უფრო საინტერესოა უხტანესის გეოპოლიტიკური ცნობიერება, რომლის მიხედვით ჯავახეთი და გუგარეთი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილებია და მის საზღვრებში შედის.

რაც შეეხება „სკუტრის“ იდენტიფიკაციას, საქართველოს ტერიტორიაზე ეს ტოპონიმი სხვა წყაროებით არ დასტურდება. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სცადა „სკუტრის“ ადგილმდებარეობის განსაზღვრა და აღნიშნავდა, რომ იგი „კოთელიას“ სახეცვლილი ფორმა უნდა ყოფილიყო (Մելիქսեթ-Բեկ 1934, 17). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ახალქალაქის სოფლებს

278 «... և իւրաքանչիւր անուանք գաստացն՝ որ շուրջ զիւրս անթիւք, և այլ ևս գաստք շուրջ զՏփղիս քաղաքաւ, որ կոչին Մանաքք՝ և **Ջավախք** և **Թռեխք**: Արդ սերեցան և բազմագան, և եղեն ազգ. և գոր յառաջին իւրեանց յաշխարհին անուանին Վերիայ, աստ Վրացիք անուանեցան ազգաւ, և լեզուաւ, և գրով, և հայրապետութեամբ, և թագաւորութեամբ հաստատեցան. գոր մերժեալ և հերձեալ հեռացոյց ի մէջ **Վիւրոն Տկուտրացի**՝ հանգոյն և հաւասար լեալ Յուդայի Սկարովտացոյ, և կորուսեալ, կործանեաց զայնքան բազմութեան ազգ՝ պատճառ լինալ կորստեան նոցա» (უხტანესი 1975, 66-67).

შორის დასახელებულია სოფელი საკუდრია (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი 1947, 14), რომლის იდენტიფიკაციაც ვერ მოხერხდა. ზ. ალექსიძის აზრით, უხტანესთან დადასტურებული „სკუტრი“ და „დიდი დავთრის“ „საკუდრია“// „საკუტრია“ იდენტური ტოპონიმები უნდა იყოს (ალექსიძე 2010, 121-123).

მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახეს სომეხი ავტორების მიერ შექმნილმა „მსოფლიო ისტორიის“ ტიპის თხზულებებმა. ამ მხრივ საინტერესოა მე-11 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) „მსოფლიო ისტორია“. ისტორიკოსი მოვლენებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოგვცემს, ჩვენთვის საგულისხმო მასალაც სწორედ ქრონოლოგიური პრინციპით არის მოწოდებული. სტეფანოს ტარონელი არაბთა ერთ-ერთი შემოსევის აღწერისას საუბრობს ხალიბ იეზიტის სომხეთის ამირად მოსვლისა და ჯავახეთში მისი გარდაცვალების შესახებ: „ამ დროს 290 (290+551=841) წელს, ხალთ იბნ ეზიტი სომხეთის ამირად მოვიდა და სიმრავლით გადავიდა ქართლში, მაგრამ გარდაიცვალა **ჯავახეთში**, სოფელში, რომელსაც **ხოზაბირი (ხოზაბავრა ხ.გ.)** ეწოდებოდა“ (Ստեփանոս Տարոնցի Ասողիկ 1855, 106).²⁷⁹

სტეფანოს ტარონელი თავის „მსოფლიო ისტორიაში“ მოგვითხრობს ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა მოკავშირეობისა და მათი ერთად ბრძოლის შესახებ და ჯავახეთის რეგიონის კიდევ ერთ სოფელს ასახელებს: „ტაოელთა კურაპალატმა დავითმა და ქართველთა მეფემ ბაგრატმა (მოციქული) გაუგზავნეს სომეხთა მეფეს სმბატს და მას დასახმარებლად მოუხმეს. (სმბატმა) თან წამოიყვანა სომეხთა მთელი ჯარი და თავისი ძმა გაგიკი, წავიდა მათთან **ჯავახეთის გავარში** და დაბანაკდა **სოფელ დლივეკში**. (აქვე იმყოფებოდა) კარის მეფე, ყრმა აბასი წითელი ტანსაცმლით შემოსილ თავის რაზმთან ერთად. ქართველთა და ვასპურაკანის ჯარი, სივნიელთა და ალბანელთა მთავრები ერთად შეკავშირდნენ აფხაზთა ჯარის წინააღმდეგ [საბრძოლველად]. შეშინებულმა (აფხაზთა ჯარებმა) სამშვიდობო ზავი ითხოვეს და სიყვარულით შეთანხმდნენ ერთმანეთში“²⁸⁰ (Ստեփանոս Տարոնցի Ասողիկ 1855, 25).

279 «Ի սորա առկա, ՅՄԶ թուկանին, Խալլ իսն Եզիտ՝ Հայոց ամիրայ եկն և Էանց բազմութեամբ ի Վիրս. և մեռաւ ի **Ջաւախս**, ի գիւղն որ կոչի **Խոզաբիր**» (Ստեփանոս Տարոնցի Ասողիկ 1855, 106):

280 «Եւ կիրապաղատն Տայոց Դաւիթ՝ և թագաւորն Վրաց Բագարատ առաքեն առ թագաւորն Հայոց Սմբատ՝ կոչել յօգնականութիւն իւրեանց: Եւ սորա առեալ գամենայն զօրս Հայոց և գԳազիկ գեղալար իւր՝ գնաց առ նոսա **ի գաւառն Ջաւախաց**. և բանակին **գիւղն**, որ կոչի **Դիվեկն**, և մանուկն Աբաս թագաւորն Կարուց կարմրագէստ գգունդն իւր ունելով: Եւ ամենայն զօրն Վրաց և Վասպուրականի, Միւնեսց և Աղուանից իշխանքն միահաւաք լինէին ընդդէմ Ափխազաց զօրին: Որոց երկուցեալ զխաղաղութիւն խնդրեն և սէր հաստատեն առ միմեանս» (Ստեփանոս Տարոնցի Ասողիկ 1855, 252):

სომხურ წყაროში დასახელებული სოფელი **დლივეკი** (მისი ქართული სახელწოდება - **დლივი**) დღევანდელი **დილიფია** (ნინოწმინდის რაიონი), რომელიც ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის დასავლეთით მდებარეობს.

ასოლიკის შემდეგ მსოფლიო ისტორიის ამსახველი მეორე ნარკვევი მე-13 საუკუნის სომეხ ისტორიკოსს, ვარდან არეველცის (აღმოსავლელს) ეკუთვნის. ვარდანი წერს „მსოფლიო ისტორიას“, სინამდვილეში კი თხზულება სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ისტორიაა. ვარდანის „მსოფლიო ისტორიაში“ მოვლენები მოთხრობილია დასაბამიდან 1267 წლამდე.

სელჩუკთა შემოსევების შესახებ საუბრისას ვარდანი ალფ-არსლანის მიერ დაპრყობილ ამიერკავკასიის მრავალ ქალაქებს შორის ახალქალაქს ასახელებს: „შემდეგ (ალფ-არსლანი) ხელმეორედ მოვიდა 100 000 კაცით, აიღო **ახალი ქალაქი**, რომელსაც ქართველები **ახალქალაქს** უწოდებენ და სამშვილდე, ცოლად მოიყვანა კვირიკე მეფის ასული, ქართველთა მეფე ბაგრატის დისშვილი, აიღო აგრეთვე ანისი...“ (ვარდან არეველცი 2002, 124).

საყურადღებოა ის, რომ ვარდანის „მსოფლიო ისტორიაში“ ახალქალაქის აღნიშვნისას ამ ტოპონიმის სომხური თარგმანია მოცემული - Նոր քաղաք - ახალი ქალაქი («...եկն դարձեսაլ ხարիւր հագարաւ, եւ առ **գնոր քաղաք**, գոր Վիքր **Տխաքաղաք** ասեն»).

სელჩუკების მიერ ახალქალაქის აღების შესახებ ცნობას გვაწვდის მე-11-12 სს. სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი, მხოლოდ ადგილის სახელს დამახინჯებულად გადმოგვცემს: „(ალფ-არსლანი) მოვიდა და დაბანაკდა მხარეში, რომელსაც **ჯავალისი** ეწოდება, დიდი ბრძოლით ალყა შემოარტყა ქალაქს, რომელსაც ეწოდება **ალახი**, დიდძალი სიმრავლით აიღო **ალახ ქალაქი**“ («...և իջեսալ բանակեցաւ ի գաւառն, որ կոչի **Ջաւալիս** և պատերազմաւ մեծաւ պատեաց զքաղաքն, որ կոչի **Ալախ** և ուժգին զօրութեամբն առաւ **Ալախ քաղաքն...**») (Մատթեոս Ուռհայեցի 1991, 158):

ა. მელქონიანის თანახმად, ჯავალისი იგივე ჯავახეთია, ალახ ქალაქი კი - ახალქალაქი (Մելքոնյան 2005, 46-62):

ალფ-არსლანის ჯავახეთში ლაშქრობის მოვლენის შესახებ საუბრობენ სამველ ანელი (მე-12 ს.) და სტეფანოს ორბელიანი (მე-13-14 სს.). სტეფანოს ორბელიანის წყარო ამ ნაწილში სამველ ანელის ნაშრომია და სიტყვასიტყვით იმეორებს სელჩუკების მიერ ახალქალაქის აღების ფაქტს. ანისის დაპყრობის შემდეგ ალფ-არსლანმა „აიღო **ახალქალაქი**, იმავე წელს ბაგრატმა კვირიკე შეიპყრო და სამშვილდე აიღო“²⁸¹ (Ստեփաննոս Օրբելեան 1942, 18).

დამპყრობლების მიერ ქალაქის აღება დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და ეს კარგად ჩანს სომეხ ავტორთა თხზულებებშიც. თითქმის ყველა

281 «Էառ և գԱխալ քաղաք. և ի տոյն ամի Բագարատ գԳիրիկէ կալաւ՝ և գՇամուկէ էառ» (Ստեփաննոս Օրբելեան 1942, 18):

თანამედროვე ისტორიკოსი, როდესაც საქართველოს შესახებ საუბრობს, აღნიშნავს სელჩუკების მიერ ახალქალაქის აღების ფაქტს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონმა დიდი ზარალი განიცადა ოსმალეთის იმპერიის ძლიერების ხანაში იმპერიის ტერიტორიაზე აჯანყებული ჯელაღლებისაგან. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მე-16-17 სს. სომეხი მემატთანე, საეკლესიო მოღვაწე არაქელ დავრიჟეცი (თავრიზელი):

„და ამგვარად (ჯელაღლებთან²⁸²) ვინც გზაზე აღესრულა, აღესრულა, ხოლო ვინც ცოცხალი გადარჩა, ყველანი სოფელ კარბიში მოიყვანეს. ზოგი მათგანი ვერცხლის ფულზე გაყიდეს, ზოგი კი დაიტოვეს თავიანთ საქმეთა აღსარულებლად. ჯელაღლები დარჩნენ გაზაფხულამდე, ამაღლების დღეებამდე. იქიდან კი გადმოვიდნენ და წავიდნენ **ახალციხის ოლქში**, იქაც იმავს აღასრულებდნენ. არა მხოლოდ ჯელაღლები იქცეოდნენ ასე, არამედ იყვნენ სხვა ჯელაღლები, ზოგი ბევრი, ზოგი ცოტა, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, ჩერდებოდნენ, სახლდებოდნენ და ამგვარ საქმეებს ჩადიოდნენ. ზოგიერთმა ქრისტიანმაც კი, რომელსაც ღვთის შიში არ ჰქონდა, როდესაც ხედავდა, თუ რას აკეთებდნენ უცხო ტომელები, მანაც დაიწყო ასე მოქცევა, თვალებით ხედავდნენ და გულით ეთანხმებოდნენ, როგორც ღია მიტაცებით, ისე ფარულად პარვით ამას აკეთებდნენ, რადგან ქვეყანა უპატრონო იყო და დაპყრობლებისგან გაუდაბურებული, ყველა თავისი ნებისამებრ თავის წადილს აღასრულებდა. როგორც გადმოგვცემენ თვითმხილველნი, იმ დროს სიკეთის ნიშანი სრულებით არ ჩანდა, მხოლოდ უბედურება, სიღატაკე სუფევდა, როგორც უკვე გადმოვეცით და კვლავ მოგიტხრობთ. აღმოსავლეთის მეფე შაჰ აბასმა სპარსელთა ჯარით აღმოსავლეთ ქვეყნის ერთი ნაწილი გაანადგურა. ჯელაღლები, რომლებიც აღმოსავლეთის ერთ ნაწილში იყვნენ, მათზე უფრო მეტად მაოხრებელნი და გამანადგურებელნი იყვნენ“²⁸³ (Առաքել Դավիթძեցի 1990, 107).

282 ჯელაღლები - აჯანყების მონაწილენი ოსმალეთის იმპერიაში (ძირითადად, ანატოლიაში) XVI-XVII საუკუნეებში. „ჯელაღლები“ ეწოდათ 1519 წ. თოქათში აჯანყების მეთაურის - ჯელაღის მიხედვით. ჯელაღლები იბრძოდნენ სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ დაკარგული სამფლობელოების დასაბრუნებლად. აჯანყებულთა ძირითად მასას შეადგენდნენ გლეხები, მონაწილეობდნენ აგრეთვე წვრილი ფეოდალები, ფეოდალური ლაშქრის მემორები. ერთ-ერთი უდიდესი იყო ჯელაღის 1595-1603 წწ. აჯანყება.

283 «Եւ այսպէս որք մեռան ի ճանապարհիս՝ մեռան, և որք մնացին՝ գամենեսեսան բերեալք հասուցին ի Կարփի. գոմասն վաճառէին արծաթոյ և գոմասն պահէին ի ծառայութիս գործոց իւրեանց: Եւ Ջալալիքն կացին այսպէս մինչ ի գարունն՝ և հասին մերձ յաւուրսն Համբարձմանն: Եւ ապա ելեալք անտի գնացին **Երկիրն Ախցխու**. և անդ ևս զայն գործ կատարէին: Եւ ոչ միայն այս Ջալալիքն այսպէս անէին. գոյին և այլք Ջալալիք՝ ոմանք յոլով՝ և ոմանք սակաք. որք ի տեղիս տեղիս գկայ առեալ և որջացեալք էին՝ զայսպիսի գործս գործէին: Այլ և ի բրիստոնէից ազգէ՝ արք ոմանք, որք ոչ ունէին զերկիսն Աստուծոյ յինքեանս. իբրև տեսանէին թէ այլագիւրքն այսպէս անեն, ինքեանք ևս սկսան այսպէս անել. վասն զի այժօք տեսին և արտիւ յօժարեցան. եթէ յայտնի յախշտակութեամբ՝ և թէ գաղտնի գողութեամբ այնպէս անէին. քանզի երկիրն անտէր և ամայի էր յաշխարհակալ բռնաւորաց. և ամենայն ոք

ჯელალების არაადამიანურ საქმეთა აღწერის გარდა, არაქელ დავრიჟეცი თავის „ისტორიათა წიგნში“ აღნიშნავს 1444 წელს ახალციხის დაპყრობის ფაქტს: „893 (893+551=1444) წელს ჯაჰანშენმა ახალციხე დაიპყრო“²⁸⁴ (ათაჟელ რაიქიძის 1990, 473).

არაქელ დავრიჟეცის ცნობაში მოხსენებული ჯაჰანშენი მუზაფარ ად-დინ ჯეჰან-შაჰ-ხანი უნდა იყოს, რომელიც გახლდათ ყარა-ყოიუნლუს სულთანის 1435-1467 წლებში. ჯეჰან-შაჰის მიერ ახალციხის დაპყრობის შესახებ აღნიშნულია „მცირე ქრონიკებში“ («ՊՂԳ (1444) թվին Ջհանշեն Ախլեխս գեղեցուց» (1444 წელს ჯეჰანშაჰმა ახალციხე დაიპყრო) (Մանր ժամանակագրություններ, 1956, էջ 515), ხელნაწერთა ჰიმატაკარანებში („...დაიწერა ეს წიგნი... სომხური წელთაღრიცხვის „პლდ“-ს (1445), სასტიკ დროში, ჯჰანშას მეფობისას, რომელიც ამ წელს დიდძალი ლაშქრით გაემურა ახალციხეში და მრავალი ქრისტიანი დაატყვევა, რომელთა ტანჯვა და ვაება ჩვენი თვალთ ვიხილეთ...“) (აბდალაძე 1978, 70).

ამდენად, შუა საუკუნეების სომხურ საისტორიო მწერლობაში დაცული ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ სომეხი მემატაიანები სამხრეთ საქართველოს შესახებ ისტორიულ თუ პოლიტიკურ მოვლენებს საერთო გეოპოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ და მასალასაც სწორედ ამ მიზნით გვაწვდიან. არსად ჩანს მეზობელი ქვეყნის მიმართ სომეხ ავტორთა პირადი მისწრაფება და ინტერესები, მათთვის საქართველო, კონკრეტულად კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, მეზობელი, მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოა, რომელთანაც მას მჭიდრო ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობა აკავშირებს.

აქვე უნდა ითქვას ის, რომ სომხურ წყაროებში დადასტურებული ქართული გეოგრაფიული სახელები უმეტესად სომხური ფორმით არის მოცემული. ზოგჯერ მიზანმიმართულად ხდება ქართული ტოპონიმების გასომხურება, ზოგჯერ კი სომეხი ავტორები სომეხთა შორის უკვე დამკვიდრებულ ფორმას იყენებენ.

ამის ნათელი მაგალითია სომხურ წყაროებში „ჯავახეთის“ „ჯავახე“ ფორმით აღნიშვნა. სომეხი მკვლევარები ტერმინ „ჯავახეთის“ ეტომოლოგიას „ზაბახას“ უკავშირებენ. ზაბახა, როგორც ქვეყნის აღმნიშვნელი სახელი, დასტურდება ძვ. წ. აღ-ით მე-8 საუკუნეში არგიშთი პირველის (786-764) ხორხორის მატაიანეში²⁸⁵. 3. კარაგეოზიანის თანახმად, „ზაბახ-ა

գախորժակս կամաց իւրոց կատարէր: Արդ՝ որպէս պատմեն տեսողք ժամանակին, զի բնաւ ոչ գոյր նշոյլ բարութեան յառուսն յայնոսիկ բաց ի թշուարութեանցն, որպէս պատմեցաք, և տակաւին ևս պատմելոց եմք: Վասն զի թագաւորն արևելից Շահաբաս գօրօքն Պարսից գբաժին արևելայ աշխարհիս յաւեր դարձոյց: Սոյնպէս և Ջալալիքն որք ի մասն բաժնի արևելայ երկրիս գերագոյն քան գնոսս ասերիչք և ապականիչք» (ათაჟელ რაიქიძის 1990, 107):

284 «Թուին ՊՂԳ Ջահնշեն գԱխլեխայ գեղեայոց» (ათაჟელ რაიქიძის 1990, 473):

285 ხორხორის კლდე, რომელზეც შემონახულია არგიშთი პირველის ლურსმული წარწერა,

სახელწოდებაში „ზაბახ“ არის ტოპონიმის ძირი, „ა“ მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი, რომელიც დამახასიათებელია ინდოევროპული ენებისათვის. ფონეტიკური პროცესების გავლენით, ზაბახ > ზავახ (ბ>ვ ბგერათმონაცვლეობით), ზავახ>ჯავახ (ზ>ჯ ბგერათა გადასვლით), მრავლობითობის აღმნიშვნელი „ა“ სუფიქსის ნაცვლად ძველი სომხურის მრავლობითობის „ქ“ მაწარმოებლის დართვით საბოლოოდ მივიღეთ „ჯავახქ“ სახელწოდება (ყარაყელი 1998, 204).

ვ. სარგსიანი ერთ-ერთ თავის ნარკვევში შეეცადა დაეზუსტებინა *ჯავახქ* ტოპონიმის ეტიმოლოგია „ჭაპად-ჯავახქ“ ასიმილაციით, მტკიცების საფუძვლად იღებს ქვეყნის ამ მხარის გეოგრაფიული გარემოს თავისებურებას, კერძოდ, იმას, რომ ეს მხარე ვრცელი და წყალუხვი ველებით გამოირჩევა (სარგსიანი 1999).

ქართული ტოპონიმების სომხურად თარგმნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა „ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანის“ ანალიზი. „ქართლის ცხოვრება“ სომხურად მე-12 საუკუნეში ითარგმნა. ილ. აბულაძის მოსაზრებით, „ქართლის ცხოვრების“ სომხურად მთარგმნელი სომეხი მონოფოზიტი და დავით აღმაშენებლის თანამედროვე უნდა ყოფილიყო (ქართლის ცხოვრება 1953, VI-VIII). საინტერესოა, როგორ გადავიდა ქართულ წყაროში გამოყენებული ტოპონიმები სომხურ თარგმანში, მთარგმნელმა დედნისეული ქართული ფორმა შეინარჩუნა თუ ამ ტოპონიმების ქართული სახელწოდებანი სომხური ფორმით ჩაანაცვლა.

ჩვენთვის საგულისხმოა „ქართლის ცხოვრებაში“ სამცხე-ჯავახეთის შესახებ არსებული ტოპონიმები:

წუნდა - Մունդա

ხერთვისი - Խերթևիս

უნძრხე - Ունձրխե

სამცხე - Սամցխե

ჯავახეთი - Ջաւախեթ

„ჯავახეთის ზღუდე, წუნდელთა ქალაქისა“ - „...գլխաբիսյան Ջաւախեթոյ՝ քաղաքին Մունդացոց» [ქართლის ცხოვრება 1953, 41].

„მე (წმ. ნინო ბ.გ.) ავდეგ და მოვედი სომხეთის ურბანისს. დავიზამთრე იქ და ივნისის თვეში მოვედი **ჯავახეთის მთაში**. მოვედი **ფარნავის ტბას** და დავინახე იქ მეთევზურნი ტბაში და მწყემსები - ზღვის ნაპირზე...“ - «Եւ իմ յարուցեալ եկի յՈւրբանիս Հայոց, և ձմերեալ անդ, և ի յունիս ամսեան եկի **ի լեան Ջաւախեթոյ. և ի ծովն Փարնասայ** եկեալ՝ տեսի անդ ձկնորսս ի ծովուն, և հովիւս առ եզերք ծովուն...» (ქართლის ცხოვრება 1953, 80-81).

ამდენად, თუ არ ჩავთვლით „კლარჯეთის“ ტოპონიმის გამოყენებას, როდესაც სომეხი მთარგმნელი ამ გეოგრაფიული ადგილის თარგმნისას ორივე - სომხურ «Կլարջք/Կլարձք» და ქართულ «Կლარჯეთ», ფორმას

იყენებს, საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ტოპონიმების, კერძოდ კი, სამცხე-ჯავახეთის გეოგრაფიული ადგილების თარგმნისას „ქართლის ცხოვრების“ სომეხი მთარგმნელი ტოპონიმის დედნისეულ ქართულ ფორმას ინარჩუნებს და არსად სომხურ ვერსიას არ მიმართავს.

სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები

საისტორიო წყაროების პარალელურად განვიხილავთ სომხურ ხელნაწერებზე დართულ ანდერძ-მინაწერებს. ეს ანდერძები ხშირად საშუალებას გვაძლევენ, თვალი გავადევნოთ ხელნაწერი წიგნის შექმნის, შედგენილობის, დანიშნულების, მისი დაცულობის, ზოგჯერ კი მოგზაურობის ისტორიას. გარდა ამისა, საისტორიო წყაროებთან ერთად კოლოფონები მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავენ სხვადასხვა ისტორიულ პირთა, საგვარეულო სახლთა, ეკლესია-მონასტრების, არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. ანდერძებში დაცული ცნობები ხშირად ავსებენ და აზუსტებენ ჩვენს ცოდნას ჩვენი წარსული ისტორიის შესასწავლად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა თმოგვის ციხის აღებაა. თმოგვის აღების შესახებ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხურ კოლექციაში დაცული ოთხთავის (NCM Arm 23) უკანასკნელი მომგებლის ანდერძმა. ხელნაწერის კოლოფონი გადმოგვცემს დივ სულთანის (სომხურად დევაა ალის) სამცხეში ლაშქრობისა და თმოგვის აღების შესახებ: «Եւ Շաժադէս վերստին ստացող սուրբ աւետարանի գնեցի Ճ թակայ իմ հոգու համար... ստացայ զայիդ ժ[...] նէդ ժամանակիս, որ եկն Դևայ Ային և Էտ **գԹ՝նք** և շատք ի սուր մատեցաւ և շատք գերեցայն և շատ աւերած Սամցխայ»: (მე, შაჟადესმა, უკანასკნელმა მფლობელმა ამ წმინდა სახარებისა, ვიყიდე 100 თავად ჩემი სულისათვის ... შევიძინე ეს (ძნელბედობისა) და გაჭირვების დროს, როდესაც მოვიდა დევაა ალი და აიღო **თმოგვი** და მრავალი ამოწყვიტა ხმლით და მრავალი ტყვედ ჩაიგდო და მრავალი ააოხრა სამცხეში“) (ჩიტუნაშვილი 2012, 192-196).

ირანელთა ამ ლაშქრობის შესახებ აქამდე მხოლოდ ჰასან რუმლუს „ჰასან ათ-თავარიხიდან“ იყო ცნობილი და სხვა დამატებითი წყარო ამასთან დაკავშირებით არ მოგვეპოვებოდა. NCM Arm 23 სომხური ოთხთავის 1516/17 წლის ანდერძ-მინაწერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა და გარკვეულწილად დააზუსტა ცნობა თმოგვის აღების შესახებ (ჩიტუნაშვილი 2012, 192-196) და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კოლოფონში „თმოგვი“ („თმოქ“) ქართული ფორმით აღინიშნება და არა სომხურით, როგორც დღეს უწოდებს მას („თმკაბერდ“) თანამედროვე სომხური მოსახლეობა.

თმოგვის შესახებ ცნობები სხვა ხელნაწერთა ანდერძებითაც მოგვეპოვება. 1426 წელს გადაწერილი „იადგარის“ გადამწერი, ანისის ეპისკოპოსი ჰოვანესი თმოგვს „აუღებელ ციხედ“ მოიხსენიებს: „(დაიწერა) „ჰჰე“ (1426)

წელს, მალხასსა და აუღებელ ციხე თმოქში...“ (აბდალაძე 1978, 45).

განსაკუთრებით საინტერესოა ოჰანეს თმოგველის მიერ 1442 წელს, სოფ. სერკვეილში (არარატის ქვეყანა) გადაწერილი „სადღესასწაულოსთვის“ დართული ანდერძ-მინაწერი, რომელშიც ვრცლად არის აღწერილი ჯაჰანშაჰ მირზას მიერ სამშვილდის აოხრების ისტორია, ოთხი თვის მანძილზე ციხის ალყაში მოქცევისა და იქ მყოფი უცოდველი ქრისტიანების უმოწყალოდ ამოხოცვის შესახებ. ამ ისტორიას გვიამბობს ჰიშატაკარანის ავტორი, რომელიც იყო საქართველოდან, კერძოდ კი, თმოგვიდან: „მარტოდმყოფელის სახელის უღირსმა ოჰანესმა, საქართველოს გავარიდან, მაგარი ციხე **თმოქიდან**, ჩემი უღირსობის კვალობაზე დავეწერე ეს [წიგნი], რამეთუ ჩვენი წვლილიც იყოს მასში“ (აბდალაძე 1978, 64-67).

ანდერძ-მინაწერების თანახმად, მე-14-15 სს. სომხები საკმაო რაოდენობით ჩანან თმოგვში, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ სომხების გადმოსახლების პროცესი ამ მხარეში უკვე დაწყებულია. გადმოსახლებულ სომეხთათვის, ჩანს, ცხოვრების ისეთი ხელსაყრელი გარემო-პირობები შექმნილა, რომ ისინი ხელნაწერების გადაწერა-გამრავლების საქმესაც კი აქტიურად მოჰკვიდებიან.

1416 წელს ვინმე გრიგორის მიერ გადაწერილ „გრიგორ ტათევაცის ქადაგებანისთვის“ დართულ ანდერძ-მინაწერში აღნიშნულია ყარა იუსუფის მიერ ახალციხეზე თავდასხმის შესახებ: „ბოროტებით აღსავსე, ყარა იუსუფად სახელდებული ურჯულო მძლავრი წავიდა და მიაშურა ქართველთა ქვეყანას, აიღო ქალაქი **ახალციხე**. მამაკაცები პირწმინდად გაჟლიტა, ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხა“ (აბდალაძე 1978, 34). ყარა იუსუფის მიერ ახალციხის აღების შესახებ გადმოგვცემს გრიგორ ხლათელი 1422 წლის ანდერძში (აბდალაძე 1978, 42).

სომხურ ხელნაწერთა კოლოფონების თანახმად, ხელნაწერთა გადამწერები ზოგჯერ საქართველოში სომხეთიდან გადმოსახლებული პიროვნებები არიან, ზოგჯერ კი საქართველოში დაბადებული და შემდეგ აქედან სხვა ადგილას გადასახლებულნი. ერთ-ერთი ასეთი ცნობა დაცულია 1423 წელს ყირიმში გადაწერილი „იადგარისათვის“ დართულ ჰიშატაკარანში, რომლის თანახმად, კოლოფონის ავტორი სტეფანოსი არის „ქართველთა გავარიდან, დაბადებული **ახალციხეში**“ (აბდალაძე 1978, 43-44).

ჰიშატაკარანებში ახალციხე გამორჩეულ და ცნობილ ქალაქად მოიხსენიება: „ერთი წარჩინებული მაჰდასი, სახელად ამირ-ფაშა, სახელგანთქმული ნაჰანგიდან და ცნობილ, თვალსაჩინო ქალაქ **ახალციხიდან**... წავიდა იერუსალიმში წმ. ადგილების მოსალოცად...“ (აბდალაძე 1978, 63].

მე-14-15 საუკუნეების სომხურ ხელნაწერთა კოლოფონებში სომეხთა განსაკუთრებული ინტერესი ჩანს თმოგვის ციხისა და ახალციხის მიმართ. ახალციხე უმეტესად მტერთან ბრძოლის ეპიცენტრად წარმოგვიდგება,

თმოგვის ციხის შესახებ ცნობები ორგვარია, ერთ შემთხვევაში გვაქვს როგორც საომარი მოქმედებების ადგილი, მეორე შემთხვევაში კი აქ ხელნაწერების შექმნისა და გადაწერის მაგალითებსაც ვხვდებით.

როგორც ჩანს, საქართველოში სომხური მოსახლეობის გადმოსახლების პროცესი უკვე დაწყებულია, სომეხი ხალხი დიდწილად სწორედ ამ ადგილებში იყრიდა თავს, თუმცა არსად არც სომეხ ისტორიკოსებთან და არც სომხური ჰიმატაკარანების ავტორებთან არ იგრძნობა, რომ ისინი ამ ტერიტორიებს სომხეთის საზღვრებში მოიაზრებდნენ. სომეხი მემატაიანეებისთვის და სამხრეთ საქართველოში მცხოვრები სომხურ ხელნაწერთა გადამწერებისთვის ეს გეოგრაფიული ადგილები საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილებია.

სომხური კარტოგრაფიული მონაცემები სამცხე-ჯავახეთის შესახებ

საქართველოში სომეხთა განსახლების არეალი გაფართოვდა და მასშტაბური ხასიათი მიიღო გაცილებით უფრო გვიან, მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსული იმპერიის პოლიტიკის გავლენით.

ეს პროცესები კარგად გამოჩნდა სომხური კარტოგრაფიული მასალის ანალიზიდან, რომელსაც რობერტ ჰიუსენის მიერ შედგენილი სომხეთის ისტორიული ატლასის მიხედვით წარმოვადგენთ. რ. ჰიუსენის „ისტორიული ატლასი“ შედგება 278 რუკისგან, თითოეულს ახლავს მოკლე ისტორიული შესავალი და ქრონოლოგიური ტაბულა. რ. ჰიუსენის ატლასის მონაცემების შესადარებლად ვისარგებლეთ 2003 წ. გამოცემული „საქართველოს ისტორიული ატლასით“.

რ. ჰიუსენის ატლასის მონაცემების თანახმად, ძვ. წ. აღ.-ის II-I სს. არტაშესიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში სამცხე - ოძრახე (ოძრხე) და ქვემო ჯავახეთი (ერუშეთი) - წუნდა, ქართული სამეფოს შემადგენლობაშია, ზემო ჯავახეთი კი - სომხეთის საზღვრებში ჩანს მოქცეული (Hewsen 2001, 46). I საუკუნეში კი, ახ. წ. აღ. 37 წლის რუკის მიხედვით, ზემო ჯავახეთი ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილია.

I-IV საუკუნეებში სომხურ-ქართული პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად სურათი ხშირად იცვლებოდა და სასაზღვრო ტერიტორიები ხელიდან ხელში გადადიოდა. რ. ჰიუსენის მონაცემების მიხედვით, მე-4 საუკუნეში სამცხე-ჯავახეთი იბერიის შემადგენლობაშია. სამცხის რეგიონიდან რუკაზე აღნიშნულია: სამცხე - ოძრახე (ოძრხე), ასკურეთი, ასპინძა, ხოზაბირი, ლომსია?, ვარძია. იბერიის შემადგენლობაში შედის ზემო და ქვემო ჯავახეთიც, მაგრამ დახრილი ხაზებით არის გამოყოფილი, როგორც საქართველო-სომხეთის სასაზღვრო და სადავო ტერიტორიები. ჯავახეთის გეოგრაფიული პუნქტებიდან აღნიშნულია: ქვემო ჯავახეთი - წუნდა; ზემო ჯავახეთი - ფოკა, ფარავნის ტბა (Hewsen 2001, 39). რუკის მიხედვით, აღნიშნული გეოგრაფიული საზღვრები არც 363-387 წწ. და არც

V საუკუნის დასაწყისში არ იცვლება და ჯავახეთის სასაზღვრო პუნქტები კვლავ საქართველოს შემადგენლობაში რჩება (Hewsen 2001, 46).

რ. ჰიუსენის ატლასის მასალის შედარება „საქართველოს ისტორიული ატლასის“ მონაცემებთან იმავე სურათს აჩვენებს, III-IV სს. პირველ ნახევარში ზემო ჯავახეთის ტერიტორია სომხეთის შემადგენლობაში ჩანს, IV საუკუნის მეორე ნახევრიდან კი კვლავ საქართველოს საზღვრებში შემოდის (საქართველოს ისტორიული ატლასი 2003, 13).

რ. ჰიუსენი ცალკე გვთავაზობს არშაკიდების მმართველობის პერიოდის (62-428 წწ.) სომხეთის რუკას. საზღვართა განაწილება ზემოთ აღწერილი რუკების მსგავსია, მაგრამ საინტერესოა ის, რომ მასზე სამხრეთ საქართველოს უფრო მეტი გეოგრაფიული პუნქტია აღნიშნული: სამცხე - ოძრახე (ოძრხე), ასკურეთი (ასკურა), ასპინძა, ხოზაბირი, ჯერმუკი, ვარძია, ლომსია?, ქვემო ჯავახეთი / ერუშეთი (საქართველოს შემადგენლობაშია), ზემო ჯავახეთი - ზრესკი, აბული, ხოსპია, გოგაშენი, ქაჯატუნი/წუნდა, განძაკი, ფოკა, აბულის მთა, აბულის ტბა, კარნუტი, Steay, (Tendava?) (სომხეთის შემადგენლობაშია, როგორც სასაზღვრო და სადავო ტერიტორიები) (Hewsen 2001, 63).

ცალკე უნდა გამოვყოთ რ. ჰიუსენის ატლასში 387-591 წწ. რუკა, რომელიც უკავშირდება ბიზანტიის პირველ ექსპანსიას სომხეთში. რუკაზე საქართველოს სხვა გეოგრაფიულ პუნქტებთან ერთად (მესხეთის მთები, ოძრხე, გუგარეთი, სამშვილდე, ცურტავი, ქაჯატუნი / წუნდა და ა.შ.) აღნიშნულია კუმურდო (Hewsen 2001, 85).

არაბთა ბატონობის პერიოდში, აბასიდების დინასტიის დროს (750-885 წწ.), რუკის მონაცემებით, ოძრხე, თმოგვი, კუმურდო, ქაჯატუნი / წუნდა, სამშვილდე ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილებია (Hewsen 2001, 106), ამასვე აჩვენებს საქართველოს ისტორიული ატლასი (საქართველოს ისტორიული ატლასი 2003, 16). ასეთივე ვითარება გვაქვს სომხეთში ბაგრატიდების მმართველობის დასაწყისში (884-962 წწ.) (Hewsen 2001, 111).

რ. ჰიუსენის ატლასის მიხედვით, გეოგრაფიული სურათი სომხეთში ბაგრატიდების მეფობის შემდგომ პერიოდში დიდად არ იცვლება. 962-1064 წლების რუკაზე სამცხე - ზარზმა, ზანავი, ოძრხე, აწყური, ახალციხე, Skvilosi, ასპინძა, ხოზაბირი, ჯავახეთი - თმოგვი, კუმურდო, წყაროსთავი, ახალციხე, წუნდა, ზერნაკი, ახალქალაქი, ფარავნის ტბა საქართველოს ტერიტორიებია, საზღვრებს მიღმა რჩება - კარნუტი, დლივი, Steay (Hewsen 2001, 115). კარნუტი ერთ-ერთი სოფლის სახელწოდებაა შირაკის პროვინციაში, Steay იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა, რაც შეეხება დლივის სომხეთის საზღვრებში აღნიშვნას, ეს ფაქტი საქართველოს ისტორიული ატლასის მიხედვით, X-XI საუკუნეებში არ დასტურდება. დლივი, სხვა ტოპონიმების მსგავსად, საქართველოს ფარგლებში შედის (საქართველოს ისტორიული ატლასი 2003, 19-23).

რ. ჰიუსენის 1199-1236 წლების რუკაზე, როდესაც სომხეთი ქართული სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ქართული ტერიტორიები - სამცხე - ოძრახე, ახალციხე, ერუშეთი, ვარძია, ჯავახეთი - თმოგვი, კუმურდო, ახალქალაქი, საქართველოს შემადგენლობაში რჩებოდა და ეს არც იყო მოულოდნელი. საქართველოს სამეფო თავისი ძლიერების ხანაში არა მხოლოდ საკუთარ ტერიტორიებს ინარჩუნებდა, არამედ მეზობელ მხარეებს იპყრობდა და სამეფოს საზღვრებს აფართოებდა (Hewsen 2001, 130).

ოსმალეთის ბატონობის პერიოდში სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები რადიკალურად იცვლება. რ. ჰიუსენის ატლასის მიხედვით, 1590-1639 წლებში ოძრხე, ოქროსციხე, ჩორჩანი, ახალციხე, ყველისციხე, ძამისციხე, ასპინძა, ანძა, ხერთვისი, გობიეთი, თმოგვი, მგელისციხე სამცხე-საათაბაგოს წარმოადგენს და ოსმალეთის იმპერიის დაქვემდებარებაში იმყოფება, ახალქალაქი კი ქართლის სამეფოს საზღვრებში შედის (Hewsen 2001, 153). საქართველოს ისტორიული ატლასის მიხედვით კი, ახალქალაქიც სამცხე-საათაბაგოს ნაწილია (საქართველოს ისტორიული ატლასი 2003, 45).

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველო შეიერთა, ახალციხის საფაშო თავდაპირველად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში რჩებოდა და რუსეთმა მხოლოდ 1828 წელს შეძლო ამ საფაშოს ნაწილის დაპყრობა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლის ომის შემდეგ რუსეთმა მეორე ნაწილიც შემოიერთა და ეს მხარე ახალციხის გუბერნიად გამოაცხადა.

რ. ჰიუსენის რუკაზე დეტალურად არის აღნიშნული ახალციხე-ახალქალაქის რაიონის გეოგრაფიული ადგილები, როგორც რუსეთის იმპერიის ტერიტორიები: ახალციხე - აწყური, ჩილვანა, (ბოდელა), ხერთვისი, ახალქალაქი - დიდი აბული, ბოგდანოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, ტროიცკოე, ფოკა, საღამო, ხანდო, კომ, არაგოზა, რადიონოვკა, ალექსანდრშილფი, გომარეთი, კარაბულახი, ორმაშენი (Hewsen 2001, 215).

რ. ჰიუსენი ცალკე ურთავს ახალქალაქის რაიონის რუკას, რომელზეც აღნიშნულია ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების გეოგრაფიული პუნქტების თანამედროვე მდგომარეობა (Hewsen 2001, 216).

სომხური კარტოგრაფიის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ასევე ს. ერემიანის მიერ შედგენილი რუკა. აღნიშნული რუკა მიზნად ისახავს „აშხარაცვიცის“ („სომხური გეოგრაფია“) მიხედვით აღადგინოს მე-7 საუკუნის სომხეთის გეოგრაფიული საზღვრები თანამედროვე კარტოგრაფიული მონაცემებით. ს. ერემიანის რუკაზე სამცხე, ზემო ჯავახეთი, ქვემო ჯავახეთი, ჯავახეთის ზეგანი, ქაჯატუნი (წუნდა) ქართლის სამეფოს, უფრო სწორად გუგარეთის საზღვრებშია მოქცეული (Երեմյան 1963).

სომხური კარტოგრაფიული ცნობების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია

ვთქვათ, რომ თუ არ ჩავთვლით პირველ საუკუნეებს, როდესაც ქართლისა და სომხეთის სამეფოები თავიანთი სახელმწიფოების ფორმირების პროცესში ცდილობდნენ სასაზღვრო ტერიტორიებზე გავლენა მოეპოვებინათ და ცვალებადი წარმატებით მიზანსაც აღწევდნენ, ეს ტერიტორიები ოდითგანვე ქართლის სამეფოს შემადგენელი ნაწილებია და სომხური მოსახლეობის დასახლებას აქ მხოლოდ სპორადული ხასიათი აქვს.

დასკვნა

ამდენად, სომხურ საისტორიო მწერლობაში სამცხე-ჯავახეთის შესახებ მოძიებულ და გამოვლენილ მასალას თუ შევაჯამებთ, კიდევ ერთხელ ცხადად დავინახავთ იმ გარდაუვალ რეალობას, რაც არც კი უნდა იყოს სადავო საქართველოს ამ ძირძველი რეგიონის ისტორიასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, წარსულშიც იყვნენ და ჩვენს თანამედროვე ეპოქაში არსებობენ დაინტერესებული პირები, რომლებიც ჯავახეთის, უფრო ზუსტად ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების კუთვნილების საკითხს ეჭვქვეშ აყენებენ და მუდმივად მიისწრაფვიან, ეს მხარე სომხეთის ტერიტორიად გამოაცხადონ. ასეთ ძალებს არავითარი საფუძველი არ აქვთ თავისი სურვილების დასასაბუთებლად გარდა იმისა, რომ ამ რაიონებში მოსახლეობის უმრავლესობას დღეს სომხები შეადგენენ. გამოვლენილმა და შესწავლილმა მასალამ ნათლად აჩვენა, რომ სომხები ჯავახეთში მასობრივად 1828 წლის შემდეგ გადმოსახლდნენ, როდესაც ისინი ოსმალეთიდან, ყარსისა და ერზურუმის საფაშოებიდან გადმოსახლეს, თავშესაფარს საქართველოში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ. სწორედ ამ მასობრივმა გადმოსახლებამ გამოიწვია დემოგრაფიული სურათის მკვეთრი ცვლილება ჯავახეთში. რუსულმა ხელისუფლებამ სომხების დიდი ნაწილი ახალქალაქის მაზრაში ჩაასახლა, უფრო მცირე ნაწილი კი - ახალციხეში და მათ გარკვეული შეღავათებიც მისცა. ჯავახეთში მცხოვრები თითოეული სომეხი კაცის მახსოვრობაში შემონახულია ისტორია, თუ როდის და რატომ დასახლდნენ ისინი ამ ძირძველ ქართულ მიწაზე, ახსოვთ ასევე ის ისტორიული ადგილები, საიდანაც სომხურ მოსახლეობას აყრა და სხვადასხვა მხარეში თავის შეფარება მოუხდა. დღეს ეს ხალხი თავს საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ აღიქვამს, მეტ-ნაკლებად ინტეგრირებულია ქართულ საზოგადოებასთან, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობა, რომელიც მთელი თავისი შეგნებითა და საქმიანობით ქართული სახელმწიფოს შენებაში, ქართული კულტურის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს თან ისე, რომ არ კარგავს საკუთარ ენას, ტრადიციებს და, რაც მთავარია, ხსოვნას ისტორიული წარსულის შესახებ.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელთა სახელები სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ხუთტომეულის მიხედვით

1986-2001 წლებში გამოიცა ჰ. ბარსელიანის, თ. ჰაკობიანის და მ. ბახშიანის „სომხეთისა და მიმდებარე რაიონების ტოპონიმური ლექსიკონი“ ხუთ ტომად. გამოცემას წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ სომხურ ტოპონიმიაზე უძველესი დროიდან მუშაობდნენ, როგორც უცხოელი, ისე სომეხი ავტორები. მასში დიდი ყურადღება ეთმობა ძველი სომხური ტოპონიმების წარმოშობას, მათ განმარტებებს, თქმულებებს და ხალხურ გადმოცემებს.

ხუთტომეულის ავტორებმა მიზნად დაისახეს სომხეთისა და მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმური მასალის შეკრება-დამუშავება და კვლევა. ეს ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი გამოადგებათ ბიზანტიის, სპარსეთის, კავკასიის და სხვა ქვეყნების უძველესი ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

ხუთ ტომში მოცემულია 136 ათასზე მეტი გეოგრაფიული სახელი. ავტორები მიუთითებენ მათი ტოპონიმური ინტერესების საზღვრებს: ჩრდილოეთით მდ. მტკვრამდე, სამხრეთიდან დასავლეთ ტიგროსის გამყოფ წყლებამდე, დასავლეთით ამასიის და კესარიის რაიონებს, ქილიკიასთან ერთად და აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე. ამ ფარგლებში ხვდება რამდენიმე მეზობელი რაიონი და ქვეყანა (ჰაკობიანი..., Հակոբյան, Մելիք բախუյան, Բարսելյան, h. I, Երևան 1986, 7-8).

ლექსიკონში ძირითადად აღწერილია სოფლები და სხვა ტიპის საცხოვრებელი ადგილები, ხოლო ტბებს, მდინარეებს, მთაგრეხილებს, მდელოებს, როგორც ავტორები აღნიშნავენ, შედარებით ნაკლები ადგილი უკავია.

ტოპონიმის გარეშე შეუძლებელია ხალხთა ისტორიისა თუ ენის შესწავლა. მისი მოშველიებით შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხების გარკვევა, როგორც არის ძველი ხალხების ადგილსამყოფელის მიკვლევა, დაზუსტება, სახელების ეტიმოლოგია და სხვა.

საკუთარი სახელები დიდ დახმარებას უწევენ არქეოლოგებს აღმოჩენილი წარწერების ამოკითხვაში.

ადგილთა სახელწოდებანი შეპირობებულია ისტორიული სიტუაციებით. გეოგრაფიულ სახელებში, განსაკუთრებით სოფლის სახელებში, აისახება მათი ისტორია, როდის შეიძლებოდა საქართველოს

ტერიტორიაზე დასახლებულიყვნენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები და როდის შეიძლებოდა გაჩენილიყო ამ ხალხთა ენებთან დაკავშირებული ტოპონიმები. ზოგიერთი სოფლის სახელი პირდაპირ მიგვითითებს მათი მოსახლეობის საქმიანობაზე წარსულში. გამოკვლეულია ბევრი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგია დადგენილია შესაბამის გეოგრაფიულ ობიექტთა მდებარეობა და მოსახლეობა, ოიკონიმთა ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებანი, შესრულებულია ტოპონიმთა სტრუქტურული და ისტორიული ანალიზი.

ხუთტომეულში ზოგიერთი ტოპონიმური სახელი მოცემულია არასწორი ფორმით. სტატიაში ამგვარი სახელები შედარებულია ძველ წყაროებთან და წარმოდგენილია სწორი ფორმით. ტოპონიმური სახელის სწორი ახსნა საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ ეთნოგრაფია, ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ისტორია.

ხუთტომეულში ქართული ტოპონიმების დიდი ნაწილი ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებებით დასტურდება, რაც გამოწვეულია სომეხი მოსახლეობის მიერ ქართული ტოპონიმების არასწორი წარმოთქმით, მხარის ტოპონიმიაში არცთუ იშვიათად ზოგი თურქული სიტყვაა დამკვიდრებული, ამიტომ საჭიროა თითოეული სახელის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლა, რათა დადგინდეს სახელის ზუსტი ეტიმოლოგია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ენის ისტორიისათვის.

ხუთტომეულში მოცემულ ტოპონიმთა ფონეტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებანი, განსხვავებული ლექსიკა გამოწვეულია სხვადასხვა ენის ზეგავლენით. ენობრივი შერევის საფუძველზე მიიღება კომბინაციები: ქართულ-თურქული, სომხურ-თურქული, თურქულ-რუსული და სხვა ენათა სიტყვების ნაერთი. გეოგრაფიული სახელების კვლევა აუცილებელია ამ ენების მონაცემების გათვალისწინებით.

საინტერესოა სახელობითი ბრუნვის ნიშნის პრობლემა სომხურად გადმოცემულ ქართულ სახელებში. ხუთტომეულში მესხეთის ტოპონიმის უმრავლესობა წარმოდგენილია ქართული ენის სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე. სახელობითი ბრუნვის ნიშანი გახაზავს ტოპონიმის ქართულ წარმომავლობას. ამიტომ ის ჩამოცილებულია მე-19 - მე - 20 საუკუნეების ბევრ რუსულ რუკაზე. ასევე ამავე პერიოდის რუსულ დოკუმენტაციაშიც.

ხუთტომეულში არცერთი სოფლის თანხმომავანფუძიან სახელწოდებას სახელობითის ნიშანი შემორჩენილი აღარ აქვს. ეს თითქოს შეუმჩნეველი ფაქტი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჯავახეთის ტოპონიმიაში-ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი გაგებულია არა როგორც ორგანულ ქართულ ფუძეზე დამატებული ქართული სუფიქსი, არამედ როგორც ზოგადად ფუძის გამაქართულებელი ნიშანი, ამიტომაც მის ჩამოშორებაში, გარდა ენობრივი მომენტისა, მონაწილეობს ეთნიკურ- სოციალური ფაქტორი, მაგალითად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული სოფლები

მოცემულია ასეთი ფორმით: **არაქალ, დილით, ოროჯოლარ, დილალის, ხოჯაბეკ, ხანჩალ** და სხვა.

ტოპონიმთა ლექსიკონი ადგილობრივ სომხურ მოსახლეობაზე დაყრდნობით გვაწვდის ისტორიულ ცნობებს მათი ჩამოსახლების შესახებ. მითითებულია აგრეთვე თუ, კერძოდ, რომელი პროვინციიდან მოვიდა სომხური მოსახლეობა თითოეულ სოფელში. უმრავლესობა ოსმალეთიდან, კერძოდ, **არზრუმიდან, ხნუსიდან, ქილუადან, აიაზმადან, ნადევანიდან** და სხვა სოფლებიდან ჩამოსახლებული სომხებია.

1828-30 წლებში, როცა ჩამოსახლეს სომხები, ჯავახეთი მთლიანად დაიცალა მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობისაგან. გადასახლებულმა ქართველებმა თან წაიღეს ადგილთა სახელწოდებანი, ამიტომ მათ ნაცვლად გადმოსახლებულმა სომხებმა ხევს, მთას, სოფელს თავიანთი სომხური სახელწოდებანი დაარქვეს, რამაც გამოიწვია ტოპონიმთა ენობრივ-ლექსიკური და ფონეტიკური ცვლილებანი.

საკითხის უკეთ გარკვევისათვის გავეცნოთ „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა ხუთტომეულის მიხედვით“ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში გაერთიანებული 32 სოფლის ტოპონიმთა.

1. **ბოგდანოვკის** სასოფლო საბჭოში შედის (დაბა ბოგდანოვკა; ხოჯაბეკი კათნატუ, ჯიგრაშენი, დიდი ხანჩალი და პატარა ხანჩალი)
2. **განძის** სასოფლო საბჭოში (განძანი; ფოკა; ვლადიმროვკა)
3. **გორელოვკის** სასოფლო საბჭოში (გორელოვკა; ეფრემოვკა; ორლოვკა; სპასოვკა; კალინინო; ჟდანოვი)
4. **ემტის** სასოფლო საბჭოში (ემტია; თორია; უჯმანა; ყაურმა)
5. **გონდრიოს** სასოფლო საბჭოში (დიდი გონდრიო; დილითი; ყულალისი; მამწვარა; პატარა გონდრიო)
6. **სათხის** სასოფლო საბჭოში (სათხე; პატარა არაქალი; დიდი არაქალი; ოროჯოლარი)
7. **ტამბოვკის** სასოფლო საბჭოში (ტამბოვკა; ასფარა; ახალი ხულგუმო; რადიონოვკა (ფარავანი)

„სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმური ლექსიკონის“ ხუთტომეულში წარმოდგენილ ტოპონიმურ სახელებში, რომლებიც შედის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, გვხვდება ფონეტიკურ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები. ეს ფონეტიკური ცვლილებანი უფრო მეტად გამოწვეულია იმით, რომ სომხურ ენას ზოგიერთი ბგერა ქართულისაგან განსხვავებით არა აქვს. მაგ.: **ყ** თანხმოვანი, რომელსაც სომხური მოსახლეობა წარმოთქვამს **ღ** ან **კ** ბგერით. ზოგიერთ ბგერათა ცვლილება გამოწვეულია იმითაც, რომ მოსახლეობას უჭირს მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმა, რის გამოც ხდება მათი გაფშვინვიერება. მაგ: **თ** ან **ტ**; **დ** ან **თ**; **ფ** ან **პ**; **ჩ** ან **ჭ**; **ჯ** ან **ჩ**, გარდა ამისა ფონეტიკურ ცვლილებაზე

გავლენას მესამე (თურქული ან რუსული) ენაც ახდენს.

ახლა კი განვიხილოთ სომხური ტოპონიმების ხუთტომეულში წარმოდგენილი სახელები მათი ფონეტიკური ვარიანტების მიხედვით: **არაქალი//არაკალი; აფნია – აფნია // აპნია; გარილოვკა//გორელოვ// გორილოვკა//კორელოვკა; დილითი/დილიფი; თორია//ტორია; მამცვარა// მამგარა// მამცვარა, // მანგარა// ნამგარა; ორაჯალარ ოროჯოლარ, ორჯალარ; სათხე_//სატხა//სატლა; //უჩმანა//უჭმანა, უჯმანაფოკა//პოგა// პოკა; ყულალისი// დულალისი//კულალისი//დულალუ//კულალისი; ყაურმა// კაურმა; ხოჯაბეკ//ხოჭაპეკ//ხოჭეპეკ//ხოჯაბეგ//ლოჯაბეგ//ლოჯაბეკ; ჭიკრაშენ//ჯიკრაშენ//ჯკრაშენ; ხანჯარ//ხანჩარ; და სხვა.**

„სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა“ ხუთტომეულში აღნიშნულია, რომ **ზოგდანოვკა** (ახ. ნინოწმინდა) მდებარეობს ლენინაკანისა (გიუმრი) და ახალციხის გზაზე. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, 1991 წლამდე ზოგდანოვკა ერქვა. 1969 წელს ჰყავდა 2366 მცხოვრები. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ სომხები, მცირე რაოდენობით არიან ქართველები და რუსები. (ჰაკობიანი..., ჯაკიქიანს, შხიქ- ჩაქიქიანს, ჩაქიქიანს 1986, 714-715).

დიდი არაქალი առաքალ მსზ (მოიხსენიება არაკალი//არაქია//არაქულ), სოფელი ახალქალაქის ოლქში.

პატარა არაქალი առաքალ ქიჩქი (მოიხსენიება არაკალი//არაქია// არაქულ), სოფელი ახალქალაქის ოლქში (ჰაკობიანი..., ჯაკიქიანს, შხიქ- ჩაქიქიანს, ჩაქიქიანს 1986, 399).

პატარა გონდრიო ტოპონიმთა ლექსიკონში მოიხსენიება **გიონდურა, პატარა//გონტიურ პატარა// გონდურა პატარა// კონტურა პატარა.**

სოფელი **პატარა გონდრიო** მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში ცენტრიდან 11 კმ-ის დაშორებით. მე-19 საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა 38 მოსახლე, ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში 50 მოსახლე (600 მცხოვრები). 1969 წელს ჰყავდა 791 მცხოვრები.

(ჰაკობიანი..., ჯაკიქიანს, შხიქ- ჩაქიქიანს, ჩაქიქიანს 1986, 944-945).

დიდი გონდრიო ტოპონიმთა ხუთტომეულში მოიხსენიება შემდეგი ფორმით: **გიონდურა//დიდი გიონდურა//გიონტუ//გიუნდურა დიდი// გონდურა დიდი კონტურა.**

გონდრიო სოფელი ნინოწმინდის რაიონში ხანჩალის ტბის მხარეს. ნინოწმინდის ცენტრიდან 9 კმ-ის დაშორებით. 1907 წელს ჰყავდა 810 მცხოვრები. 1969 წელს 1500 სომეხი მცხოვრები. წინაპრები გადმოსული არიან **ერზრუმიდან** 1829-30 წლებში.

(ჰაკობიანი..., ჯაკიქიანს, შხიქ- ჩაქიქიანს, ჩაქიქიანს 1986, 944-945).

დილითი სოფელი დილითი მდებარეობს ჯავახეთის რეგიონში ნინოწმინდიდან სამხრეთ-დასავლეთით 20 კმ-ზე, ხანჩალის ტბის დასავლეთით, ზ. დ. 1500 მ. სოფელი **დილითი/დილიფი “დლიფკ”**

სახელწოდებით სომხურ ბიბლიოგრაფიაში პირველად 988 წელს არის ნახსენები, ხოლო **“დღივ”** სახელწოდებით 1595 წელს ოსმალეთის იმპერიის სახარკო სიებში.

თორია- (ტოპონიმთა ლექსიკონში მოიხსენიება **ტორია**), სოფელი ბოგდანოვკის ახლანდელი ნინოწმინდის რაიონში. ქალაქიდან 10-12 კმ.-ის დაშორებით. 1907 წელს ჰყავდა 542 1969 წელს 900 სომეხი მცხოვრები, მათი წინაპრები მე-19 საუკუნეში გადმოსახლებულნი არიან აღმოსავლეთ სომხეთის ერზრუმიდან, კერძოდ სოფელ **ხნუსიდან** და **ქილუადან** (ჰაკობიანი..., ჯაკიქიას, ოსიქი- რაქიქიას, რაქიქიას 1988, 477). ამჟამად ნინოწმინდის რაიონში ემტია და უჯმანა სოფლებთან ერთად სოფ. თორია ემტიის სასოფლო საბჭოში შედის.

თორიას არმენიზებული სახეა **ტორია**, აქ ხდება ფშვინიერი თ-ს გამკვეთება. იგი **ტორია** ფორმით მოიხსენიება რუსულ რუკებზეც და წყაროებშიც.

მამწვარა ტოპონიმთა ლექსიკონში მოიხსენიება _ **მამცვარა// მამგარა// მამგარა//მამცვარა,//მანგარა//ნამგარა.**

სოფელი მამწვარა მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში. ქალაქის ცენტრიდან 4 კმ-ის დაშორებით. 1907 წელს ჰყავდა 653, 1969 წელს 1000 (170 ოჯახი) სომეხი მცხოვრები. (ჰაკობიანი..., ჯაკიქიას, ოსიქი- რაქიქიას, რაქიქიას 1991, 670-671).

ოროჯოლარი ტოპონიმთაში მოიხსენიება (**ორაჯალარ ოროჯოლარ, ორჯალარ.**) სოფელი მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, ცენტრიდან 4 კმ-ის დაშორებით ხანჩალის ტბასთან ახლოს, ფარვანა ტბის მარცხენა მხარეს. 1907 წელს ჰყავდა 876, 1969 წელს 1542 სომეხი მცხოვრები. მოსახლეობის ერთი ნაწილი გადმოსახლებულია ერზრუმიდან 1830 წელს.

(ჰაკობიანი..., ჯაკიქიას, ოსიქი- რაქიქიას, რაქიქიას 2001, 503).

სათხე. სომხური ტოპონიმის ხუთტომეულის მიხედვით სათხეს ვარიანტებია: **საბზა, სადბა, სათლა, სატბა, სატხე.** სოფელი სათხე მდებარეობს ნინოწმინდიდან თავფარავნისაკენ მიმავალ გზაზე 4-5 კმ-ის დაშორებით. მის შემადგენლობაში შედის დიდი და პატარა არაქალები და ოროჯალარი. 1895 წელს ჰყავდა 1587, 1903 წელს 2500, 1907 წელს 2594, 1969 წელს 2303 სომეხი მცხოვრები, რომელთა წინაპრები გადმოსახლდნენ ერზრუმიდან 1829 წელს, კერძოდ, **სოგიუთლიდან, წალკიდან და ჯენის** სოფლებიდან. აქვე არის დანგრეული მონასტერი (ჰაკობიანი..., ჯაკიქიას, ოსიქი- რაქიქიას, რაქიქიას 1998, 463).

უჯმანა ტოპონიმთა ხუთტომეულში მოიხსენიება როგორც **უჩმანა უჭმანა, უჯმანა.** სოფელი ნინოწმინდის რაიონში . ცენტრიდან 10 კმ-ის დაშორებით. 1895 წელს ჰყავდა 345 (40 ოჯახი), 1907 წელს 547 სომეხი მცხოვრები. 1970-იან წლებში კი 1500, მათ შორის 700-800 სომეხი იყო. (ჰაკობიანი..., ჯაკიქიას, ოსიქი- რაქიქიას, რაქიქიას 2001, 197.

ისტორიული მონაცემების მიხედვით XIX საუკუნის 30-იან წლებში უჯმანაში არზრუმიდან გადმოსახლებულები დაბინადრებულან.

ყაურმა ტოპონიმთა ლექსიკონში მოიხსენიება შემდეგი ფორმებით: **ღაურმა, კაურმა, კაურმა, ქიოფრი**. სოფელი ნინოწმინდის რაიონში, 1975 წელს ჰყავდა 146 ოჯახი, 797 სომეხი მცხოვრები. წინაპრები გადმოსახლებულნი არიან 1830 წელს **ერზრუმიდან** (ჰაკობიანი..., ჯასკიქას, ოსტაქ- ფაქიქას, ფარსეთას 1991, 549).

ყაურმა (ადგილობრივ სომეხთა წარმოთქმაში – ღაურმა) ცნობილი სოფელია, რომელიც რუკებზე ყველგან აღნიშნულია ჯიგრაშენთან – Каурма-დ. ექ. თაყაიშვილიც ხმარობს Каурма ფორმას. XIX საუკუნის 30-იანი წლების ერთ საბუთში დასახელებულია Гормаки-დ, შემდეგში ამავე 30-იან წლებში ყაურმა კვლავ დასახელებულ იქნა არზრუმიდან ჩამოსულებით (ჯიქია 1958, 3452). **ყ** ბგერის **ღ** ბგერად ქცევის ზოგადი წესი უდავოდ გვიდასტურებს, რომ ტოპონიმი ქართულიდან შევიდა სომხურში.

ამჟამად სოფელი **ყაურმა** ნინოწმინდის რაიონის ჯიგრაშენის სასოფლო საბჭოში შედის ჯიგრაშენსა და პატარა ხორენია სოფლებთან ერთად.

ყულალისი. ლექსიკონში დადასტურებულია **ღულალისი//კულალისი//ღულალუ** ფორმებით. სოფელი ყულალისი მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, ნინოწმინდიდან 12 კმ-ის დაშორებით. 1970 წელს ჰყავდა 1000 სომეხი მცხოვრები. წინაპრები გადმოსახლებული არიან წალკიდან 70-80-იან წლებში (ჰაკობიანი..., ჯასკიქას, ოსტაქ- ფაქიქას, ფარსეთას 1991, 583).

ქართული ყულალისი სომხურში გაქდერებული და გადმოცემულია ღ თანხმოვნით.

დიდი ხანჩალი სოფელი ბოგდანოვკის (ნინოწმინდის) რაიონში. (ჰაკობიანი..., ჯასკიქას, ოსტაქ- ფაქიქას, ფარსეთას 1988, 698).

დიდი და პატარა ხანჩალი „დავთარში“ აღრიცხული არ არის; შესაძლებელია მოსახლეობა აქ შემდეგში გაჩნდა.

პატარა ხანჩალი სოფელი ნინოწმინდის (ადრინდელი ბოგდანოვკა) რაიონში. სოფელში არის წმინდა ჰაკობის სახელობის ეკლესია, რომელიც აკურთხეს 1993 წელს (ჰაკობიანი..., ჯასკიქას, ოსტაქ- ფაქიქას, ფარსეთას 1988, 698- 699).

ხოჯაბეგი. სომხური ტოპონიმის ხუთტომეულის მიხედვით სოფელი ხოჯაბეგი მოცემულია **ხოჯაბეკ/ხოჭაპეკ/ხოჭეპეკ/ხოჯაბეგ/ღოჯაბეგ/ღოჯაბეკ** ფორმით. სოფელი ნინოწმინდის რაიონში. 1885 წელს ჰყავდა 35 მოსახლე. 1907 წელს 749 სომეხი მცხოვრები. წინაპრები გადმოსახლებული არიან ერზრუმიდან, კერძოდ, **ძითოდ** და სხვა სოფლებიდან 1830 წელს. აქ არის ძალიან ლამაზი თაღისებური ფორმის ეკლესია, რომელიც 1830 წლით თარიღდება. 1969 წელს შეერთებული იყო ბოგდანოვკასთან. ამ დროს ჰყავდა 1474 სომეხი მცხოვრები (ჰაკობიანი..., ჯასკიქას, ოსტაქ- ფაქიქას, ფარსეთას 1988, 778).

ხულგუმი. სომხურ ტოპონიმთა ხუთტომეულის მიხედვით სოფელი მოცემულია **ხულგუმი/ხულგუმა** ფორმით. იგი მდებარეობს ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქიდან 3 კმ-ის დაშორებით. 1907 წელს ჰყავდა 556 სომეხი მცხოვრები. წინაპრები გადმოსახლებული არიან 1829 წელს არტაანიდან. სოფელში შემორჩენილია ეკლესიის 2 განადგურებული ნანგრევი. ახალი ეკლესია სტეფანოსის სახელითაა ცნობილი (1903-1907 წწ.) (ჰაკობიანი..., ჯასკიქიან, ოსტატიანი-ჩაქატიანი, 1988, 818).

ჯიგრაშენი ტოპონიმთა ხუთტომეულში მოიხსენიება შემდეგი ფორმებით: **ჭიკრაშენ ჯიკრაშენ, ჯკრაშენ**. სოფელი ნინოწმინდის რაიონში. ქალაქის ცენტრიდან 5 კმ-ის დაშორებით, მდინარე ფარავანას ნაპირზე. 1903 წელს ჰყავდა 1288, 1907 წელს 1216, 1969 წელს 1655 სომეხი მცხოვრები. წინაპრები გადმოსახლებულნი არიან ერზრუმიდან, კერძოდ, სოფელ **ნაჭიდან** 1828-30 წლებში. (ჰაკობიანი..., ჯასკიქიან, ოსტატიანი-ჩაქატიანი, 1998, 405).

ჰემტია მოიხსენიება როგორც **ემტია**. სოფელი ნინოწმინდის რაიონში. ცენტრიდან 8 კმ-ის დაშორებით. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ სომხები. 1881 წელს ჰყავდა 1519, 1907 3803, 1970 -3600 მცხოვრები (კათოლიკეები), რომელთა წინაპრები გადმოსახლებულნი არიან აღმოსავლეთ სომხეთიდან, ბასენის ოლქის სოფელ **ქიულლიდან** (ჰაკობიანი..., ჯასკიქიან, ოსტატიანი-ჩაქატიანი, 1991, 402).

სომხური ტოპონიმის ხუთტომეულში გვხვდება ისეთი სახელები, რომლებიც წარტანიანი მრავლობითის ფორმებით იყო შეტანილი, შემდეგ კი ნ ჩამოსცილდა და დარჩა განძა და არა განძანი, ფოკა - ფოკანი.

განძა. იგი მოცემულია **განძა/განძანი** ფორმით.

განძის შესახებ სომხური ტოპონიმის ლექსიკონში ნათქვამია, რომ იგი მდებარეობს ნინოწმინდის (ბოგდანოვკის) რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე, ფარავანის ტბის სამხრეთით, მდინარე ფარავანის ორივე ნაპირზე. ზ. დ. 2020 მ-ზე, ნინოწმინდიდან 22 კმ-ის დაშორებით. ახალქალაქიდან 18 კმ-ის დაშორებით. მე-19 საუკუნის ბოლოს ჰყავდა 1400 მცხოვრები, 1907 წელს 1882, 1969 – 3978 სომეხი მცხოვრები, რომელთა წინაპრები მოსული არიან **არზრუმიდან, ყარსიდან, არდაჰანიდან**. აქ არის ეკლესია გათლილი ქვით ნაგები. აქვეა ქოროლლის ციხე, ჰოვანესის სამლოცველო, სალოცავი ადგილები და ორი განადგურებული ეკლესია, რომელიც აშენებულია მე-13 საუკუნეში (ჰაკობიანი..., ჯასკიქიან, ოსტატიანი-ჩაქატიანი, 1986, 784-785).

ქართულ ისტორიულ წყაროებში სოფელ განძას ერქვა განძანი.

სოფელი **განძა** მოცემულია **განძანი** ფორმით. ის მდებარეობს სოფელ ფოკასთან. ამ სოფელმა მოაღწია ჩვენამდე და რუკებზეც აღნიშნულია Кандза. „განძანი“ სახელწოდებაში შემორჩენილია -ნ მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რომელიც შემდგომში დაკარგულა.

დღეს განძანი ნინოწმინდისის რაიონში სოფ. ფოკასთან ერთად განძის სასოფლო საბჭოში შედის.

ფოკა. ტოპონიმური ლექსიკონის მიხედვით, სოფ. ფოკა ნინოწმინდის რაიონში (ბოგდანოვკა), ნინოწმინდიდან 30 კმ-ის დაშორებით, ფარავნის ტბის მახლობლად მდებარეობს. ხუთტომეულში სოფელი **ფოკა** მოცემულია შემდეგი ფორმებით: **პოგა//პოკა//პოლა//ფოგა//ფოკატ.** რუსულად – **პოგა, პოკა.** 1907 წელს ჰყავდა 1152 სომეხი მცხოვრები. 1969 წ. 2000 სომეხი მცხოვრები. მოსახლეობის ერთი ნაწილი გადმოსახლებულა არდაჰანიდან (ჰაკობიანი..., Հակոբյան, Մելիք-Բախչյան, Բարսեղյան 2001, 272). არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ აქ ქართველებს უცხოვრიათ. სოფ. **ფოკა** მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში ფარავნის ტბის ნაპირას.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სოფ. ფოკა მოცემულია **ფოკანი, ფოკათა** ფორმებით. იგი მდებარეობს სოფ. ფარვანასთან. ამ სოფლის სახელი „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება: „ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა“ (ჯიქია 1958, 343).

სახელობით ბრუნვაში ფოკანი უნდა ყოფილიყო და „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორს პროფ. ს. ყაუხჩიშვილს საძიებელში ასეც აქვს მოცემული (ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“, 303). შემდეგში ეს ქართული აფიქსი დაიკარგა (განძანი-განძა). მ. ბროსე ამ სოფელს ახსენებს უკვე Phoca-დ. ახალ დროს, კერძოდ, XIX საუკუნის საარქივო და სხვა წერილობით ძეგლებშიც უკვე ფოკაა. არზრუმიდან გადმოსახლებულთა აქ დამკვიდრების შემდეგ ფოკა სახელწოდება უკვე ცოცხალ მეტყველებაშიც გადასომხურდა. ხუთვერსიან და სხვა რუსულ რუკებზე Пора – გვაქვს. არმენიზებული ფორმითაც ასე ამრიგად, სოფ. ფოკა საქართველოს ისტორიაში არაერთხელ მოხსენებული მნიშვნელოვანი პუნქტია. მისი ძველი ქართული სახელწოდებაა ფოკანი, შემდეგში – **ნი** დაბოლოება ჩამოეკვეცა და ამჟამად ფოკად არის წოდებული (ს. ჯიქია).

XVI საუკუნის ბოლოს სოფ. ფოკა უკვე დაცლილია მოსახლეობისაგან.

აი, ასეთი განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი ჯავახეთის სოფელთა სახელწოდებანი სომხური ტოპონიმის ხუთტომეულში.

ხუთტომეულში საუბარია რუსული რუკების გზით შესული სახელების ფონეტიკურ ტრანსფორმაციაზე. ერთი და იმავე მწერლისა თუ პიროვნების, გეოგრაფიული ობიექტების სახელები სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი ლიტერატურაში, ტელე-რადიოში, პრესაში და რაც მთავარია, რუკებზე. ეს კი იწვევს სრულ ქაოსსა და გაუგებრობას. ყოველივე ეს უფრო მეტად გამოწვეული არის იმით, რომ ქართული სახელების ასახვა ხდებოდა სომხურ ენაზე რუსული ენის შუამავლობით. რუსულ ენას კი არ გააჩნია შემდეგი ქართული ბგერები: **ჰ, ფ, ყ, ძ, წ, ჭ, ღ,** რომელიც აქვთ ქართულსა და კავკასიურ ენებს. ამიტომაც უცხოური ენიდან რუსულში

შესული სახელები ქართულად გადმოტანისას კიდევ უფრო სცილდება დედნისეულს. მაგალითად, ვინაიდან რუსულ ენაში არ არის **ჰ** ბგერა, იგი იცვლება **გ** ბგერით.

სირთულეები უცხო ენის საკუთარ სახელთა გამოსაცემად ყველა ენას აქვს და მათ შორის ქართულსაც. აქ მთავარი ისაა, რომ ქართული სახელი ქართულად სწორად უნდა ეწეროს, რუსულისაგან დამახინჯებული კი უნდა გასწორდეს რუკებზეც და თარგმნილ ლიტერატურაშიც.

სახელწოდებანი, ბუნებრივია, რუსულად არის აღნიშნული და ამიტომ ხშირ შემთხვევაში ფონეტიკურად სახეშეცვლილი ან დამახინჯებულია. განსხვავებული ბგერები მიახლოებითი სიზუსტით არის გადმოცემული, ისევე როგორც ეს დღესაც ხდება: ქართულ ღ-ს შეესატყვისება რუსული г, ჭ-ს _Ч, ყ-სა და ქ-ს _к, წ-ს ც და სხვ., კაწალხევი _ кацалхеви, ჭანჭახი _ чанчახи, ყოფჩა _ копча და ა. შ. (ხორნაული 2003, 121).

ეს შესატყვისობა ბოლომდე არ არის დაცული. მართალია, ყ-ს კ შეესატყვისება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ყ- x-თია გადმოცემული, რუსული კ ჩვეულებრივ შეესატყვისება ქართულ ყ-სა და ქ-ს, ზოგ შემთხვევაში კ-თი გადმოცემულია ხ და გ:

რუკების მიხედვით სახელწოდებათა კვლევისას გასათვალისწინებელია ისტორიული ვითარება და ტოპონიმთა წარმოების სისტემა. ტოპონიმის შესწავლა კიდევ იმიტომაც არის საჭირო, რომ რუკაზე შეტანილი მცდარი სახელები გავასწოროთ, ახალ რუკებზე სწორი სახელები დავიტანოთ. თუ დაგვეკარგა ის მიკროტოპონიმები, რუკაზე ვეღარ შევასწორებთ.

„სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა“ ხუთტომეულშიც ზოგიერთი სოფლის სახელი რუსული რუკების ზეგავლენის შედეგად მიღებული ფორმით არის მითითებული. მაგ.: აშკარად რუსული რუკების კვალი ემჩნევათ ამ სახელებს, ქართული **ფ** რუსულ რუკებზე გადადის **ჰ**-ს სახით და სხვა: იქიდან შევიდა ხუთტომეულშიც. მაგ.: **აფნია//აჰნია; ფოკა//ჰოკა//ჰოკა;**

ეფრემოვკა. იგი მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, გიუმრისკენ მიმავალ გზაზე. სომხური ტოპონიმის ხუთტომეულში იგი მოიხსენიება **ეფრემოვქა** სახელწოდებით. მდებარეობს, ახალქალაქიდან 13 კმ-ის დაშორებით. 1893 წელს ჰყავდა 860, 1907-382 1909-500-600 რუსი მცხოვრები (ჰაკობიანი..., ჯაკიქიანს, შხუქი- ჩაქიქიანს, ჩაქიქიანს 1988, 254).

სომხურ ტოპონიმთა ხუთტომეულში სოფელი **გორელოვკა** მოცემულია **გარილოვკა//გორელოე// გორილოვკა//კორელოვკა** ფორმით. იგი მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, ქალაქის ცენტრიდან 10 კმ-ის დაშორებით. მე-20 საუკუნის დასაწყისში ჰყავდა 1500 მცხოვრები, ხოლო 1969 წელს – 2200 დუხობორი მცხოვრები (ჰაკობიანი..., ჯაკიქიანს, შხუქი- ჩაქიქიანს, ჩაქიქიანს 1986, 951).

ორლოვკა ლექსიკონის ხუთტომეულში იგი მოცემულია **არლოვქა**

დამახინჯებული ფორმითაც. იგი მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, ქალაქის ცენტრიდან 7 კმ-ის დაშორებით. 1907 წელს ჰყავდა 952, 1969 წელს 501 რუსი მცხოვრები. ჰქონდა სომხური ეკლესია (ჰაკობიანი..., ჯაკიქიან, ოსტაძერ- მარტოქიანი 2001, 501).

სპასოვკა მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში ქალაქის ცენტრიდან 6-7 კმ-ის დაშორებით. 1907 წელს ჰყავდა 623 მცხოვრები, ხოლო 1969 წელს – 401 (ჰაკობიანი..., ჯაკიქიან, ოსტაძერ- მარტოქიანი 1998, 807).

კალინინო სოფელი ნინოწმინდის რაიონში ცენტრიდან 25 კმ-ის დაშორებით. 70-იან წლებში ჰყავდა 600-700 რუსი მცხოვრები. (ჰაკობიანი..., ჯაკიქიან, ოსტაძერ- მარტოქიანი 1988, 899).

როდიონოვკა ლექსიკონში მოიხსენიება შემდეგი ფორმით: **ფარავან, ფარევან, ფარავნა, ფარვანა**. სოფელი ნინოწმინდის რაიონში, თავფარავნის ტბის ნაპირზე. სოფელში არის 1000 რუსი და სომეხი მცხოვრები. სომეხი მოსახლეობა გადმოსახლებული არის წალკის რაიონის სოფლებიდან **აიაზმა** და **ნადევანი** (ჰაკობიანი..., ჯაკიქიან, ოსტაძერ- მარტოქიანი 1998, 432).

ვლადიმროვკა არის სოფელი ნინოწმინდის რაიონში, ნინოწმინდიდან 22 კმ-ის დაშორებით, 1970 წ. ჰყავდა 150 სომეხი და რამდენიმე დუხობორი მცხოვრები (ჰაკობიანი..., ჯაკიქიან, ოსტაძერ- მარტოქიანი 1998, 807).

ვლადიმროვკის ძველი სახელია **პუბლიკანი**. დღეს ვლადიმროვკაში რუსები აღარ ცხოვრობენ, მათი ადგილი დაიკავეს ემტიიდან და ფოკიდან გადმოსულმა სომეხებმა.

ამრიგად, **ბოგდანოვკაში, გორელოვკაში, ორლოვკაში, სპასოვკაში და ტამბოვკაში** ძირითადად დუხობურები ცხოვრობდნენ.

ტოპონიმთა ლექსიკონში რამდენიმე სოფლის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი დააარსეს ჩამოსახლებულმა, მაგ: **ასფარა – 1924** წელს, **კათნატუ – 1928** წელს. **ტამბოვკა – 1840** წელს. აქ ერთგვარ გაუგებრობასთან უნდა გვექონდეს საქმე, რადგან ასფარა, ტამბოვკა, როგორც სოფლები, მე-19 საუკუნის 30-იან წლებზე დიდი ხნით ადრე არსებობდა. კარგი იქნებოდა, რომ თქმულიყო, ნასოფლარი გააცოცხლეს და არა დააარსეს სოფელი, რადგან, მაგალითად, ასფარა, რომელიც ისტორიულ წყაროებშიც და ზეპირ გადმოცემებშიც ასპანად იწოდება, ცნობილია საქართველოში.

ასფარა. სომხურ ტოპონიმთა ლექსიკონში პარალელური ფორმებია **ასპარა** და **ასფარა**. იგი არის სოფელი ნინოწმინდის რაიონში. ქალაქის ცენტრიდან 33 კმ-ის დაშორებით. 1969 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით ჰყავდა 328 სომეხი მცხოვრები, 1970 წელს კი – 331 (ჰაკობიანი..., ჯაკიქიან, ოსტაძერ- მარტოქიანი 1986, 353).

კათნატუ. ტოპონიმური ლექსიკონის მიხედვით, სოფელი კათნატუ მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, ხანჩალის ტბის სამხრეთ

აღმოსავლეთით, ზ. დ. 2000 მ. ნინოწმინდიდან 7 კმ-ის დაშორებით იგი დაარსდა 1928 წელს. წინაპრები გადმოსახლებული არიან აღმოსავლეთ სომხეთიდან (ჰაკობიანი..., ჯასკიქუს, ოსტაპ- რაქიუს, რაქიუსი 1988, 884).

ტამბოვკა ტოპონიმთა ხუთტომეულის მიხედვით სოფელი **ტამბოვკა** მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში, 1907 წელს ჰყავდა 375, 1960–1000 რუსი მცხოვრები. არიან ასევე სოფელ ხულგუმოდან 1924 წელს ჩამოსახლებული სომხები (ჰაკობიანი..., ჯასკიქუს, ოსტაპ- რაქიუს, რაქიუსი 2001, 24).

მაშასადამე, ჯავახეთის ტოპონიმთა შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით, არამედ მას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. „სომხური ტოპონიმის ხუთტომეულში“ მოცემული ქართული ტოპონიმების კვლევა დიდ დახმარებას გაუწევს ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, გეოგრაფებს, ეთნოგრაფებს, სოციალური ლინგვისტიკით დაინტერესებულ მეცნიერებს.

წარმოდგენილი კვლევის შედეგები შეუძლიათ გამოიყენონ როგორც ქართული ენის, ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკის, ისე ქართველურ ენა-კილოთა მკვლევარებმა, ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან საერთოდ სამცხე-ჯავახეთისა და მესხეთის ისტორიით.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება მეზობელი ქვეყნების მეცნიერებისთვისაც. კვლევის შედეგად დაზუსტდება ბევრი სიტყვის ეტიმოლოგია, ფუძეები, ტოპონიმური ლექსიკა და სხვა.

ლექსიკონში წარმოდგენილი ტოპონიმების საშუალებით შესაძლებელი იქნება დაზუსტდეს ასობით გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობა, სახეობა, ეტიმოლოგია, მათი წინა დაუმახინჯებელი სახელები და სხვა.

დუხობორები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში

რუსეთის იმპერია მე-19 საუკუნეში იმ ტერიტორიებს, რომლებიც შემოიერთა, საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით ექცეოდა. განსაკუთრებით ერეოდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ისტორიაში. მთელი მე-19 საუკუნე მომსწრეა იმპერიის გარედან და შიგნით ხალხთა მიგრაციის, შემოსახლების და გადასახლების. განსაკუთრებით აქტიური იყო ეს პროცესი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, მის უძველეს კუთხეში, მესხეთში. საუკუნის პირველ ნახევარში იმპერიამ შემოსახლა ოსმალეთიდან სომხური მოსახლეობის დიდი ჯგუფები, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ბოლოს ირკვევა, ამის სურვილი არ ჰქონდათ არც ოსმალებს და არც სომხებს, რომლებიც თავიანთი ისტორიული ტერიტორიებიდან აყარა და გადმოსახლა ჯავახეთში. შიდა მიგრაციის მსხვერპლი შეიქნა თვით რუსულ-უკრაინული მოსახლეობა ვოლგისპირეთიდან. დუხობორთა სექტა, რომელსაც საფუძველი ეყრება XVI-XVII საუკუნეებში, შემდეგში, როგორც ანტისაეკლესიო მოძრაობა, რომელიც წინააღმდეგი იყო საომარი მოქმედებებისა, ჯარში წასვლისა და გამოირჩეოდა ორიგინალური ცხოვრებით (იხ. ბერიძე 2008, 294-300), თვით იმპერიისათვის ქმნიდა პრობლემებს, ამიტომ გადაწყდა მათი გადასახლება იმპერიის სასაზღვრო რეგიონში, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში. ამით რუსეთისთვის ორი საქმე გაკეთდა. სექტანტთა მიერ შექმნილი პრობლემა, რომ არ წასულიყვნენ ჯარში, განეიტრალდა, ყოველ შემთხვევაში, მოსცილდა მის ცენტრალურ ნაწილს, ხოლო ჯავახეთისადმი დუხობორები (სულისათვის მებრძოლნი) იქცნენ რუსეთის დასაყრდენად და აქტიურ დამცველებად.

პირველი ისტორიული ფაქტი დუხობორებზე დაფიქსირდა მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. ეს მოვლენა არის აღწერილი ხარკოვის ოლქში, იმ დროის პოეტის და ღვთისმეტყველის ივან სკავარადას მიერ. 1667 წელს პატრიარქ ნიკონის ჩატარებულმა რეფორმებმა გამოიწვია დუხობორების პროტესტი. დუხობორების მოძრაობა იყო სტიქიური. დუხობორებმა, როგორც სხვა მრავალმა ძველთმორწმუნეებმა (староверы, старообрядцы), უარი თქვეს ეკლესიის განახლებულ მოდელზე. კერძოდ კი, ღვთისა და ადამიანს შორის შუამავალზე (მღვდელზე), წყალში ნათლობაზე და ადამიანის ხელით შექმნილ სიმბოლურ ნივთებზე (ხატი, ჯვარი). მათ სჯეროდათ, რომ დაბადებიდან ადამიანი უკვე მონათლულია წმინდა სულით. დუხობორებმა ლოცვების ნაწილი აიღეს ახალი აღთქმიდან, ნაწილი კი შექმნეს თვითონ. ასევე დუხობორებმა სათავისოდ შეცვალეს და შეინარჩუნეს ბიზანტიური გალობა. ეს მოძრაობა სტიქიურად გაფართოვდა

რუსეთის შუა ნაწილში ასევე ნოვოროსიაში და მალაროსიაში, ანუ მოძრაობამ მოიცვა მთლიანად იმპერია. მე-18 საუკუნეში დუხობორები გადაასახლეს ცარიელ მიწებზე, ტავრიის გუბერნიაში, მილიტოპოლში. იქ დუხობორებმა აიდგეს ფეხი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება, რადგან უყვარდათ შრომა. ეს ძლიერი თემი არ მოეწონა მთავრობას და 1841 წელს გადაასახლეს საქართველოში, ქუთაისის გუბერნიაში ახალქალაქის მაზრაში.

მათი ჩამოსახლების შესახებ ჯავახეთში 1841 წელს დადადებს სოფელ ორლოვკის ტერიტორიაზე კალმიკოვების სასაფლაოს შესასვლელში ჩატანებული დაფა. წარწერა საინტერესოა, როგორც ისტორიული დოკუმენტი და როგორც ენობრივი დოკუმენტი“ (ბერიძე, 2008, 296). წარწერა გადავიდეთ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში და გამოვაქვეყნეთ 1992 წელს (ბერიძე 1992, 115) გთავაზობთ წარწერას და მის თარგმანს:

‘Вечная память правидных радителии именованных духобурцевъ погребенныхъ и поклоняемыхъ отцу и сыну и святому духу спасали и спасаиммъ души сваи кротастию и смирениемъ любовью правды ради было угодно богу и государю собрати насъ на обитаванную землю втавричиска губернью въ 1805 году а въ 1841 году пиреселены Закавказъ Кутаиской губернии силения Тирпени и хто сию повистъ чувствовать не должень потеряеть сие дело~.

მარადიული ხსოვნა დუხობორებად სახელდებულ მამისა და ძისა და წმინდისა სულისა თაყვანისმცემელ მართლმორწმუნე გარდაცვლილ მშობლებს, გადამრჩენებს და გადარჩენილებს საკუთარი და სხვების სულებისა თვინიერებითა და მორჩილებით. სიმართლისათვის იყო ნება უფლისა და მეფისა შევეკრიბეთ ტავრიის გუბერნიის აღთქმულ მიწაზე 1805 წელს და 1841 წელს გადავესახლებინეთ ამიერკავკასიის ქუთაისის გუბერნიის ტირპენის დასახლებაში. ვისაც ეს ახსოვს, არ უნდა დაკარგოს ეს ამბავი.

დაახლოებით ამავე ტიპის წარწერები გაკეთდა დუხობორთა სოფლების სასაფლაოებთან და აღინიშნა ჯავახეთში მათი ჩამოსვლისა და ცხოვრების ერთგვარი ისტორია.

რუსეთის მთავრობამ არ შეუწყო ხელი ჩამოსახლებულებს ცარიელ მიწაზე, სადაც არანაირი ინფრასტრუქტურა არ იყო. ხალხი იძულებული გახდა, დიდი ძალისხმევით დარჩენილიყო ძალიან რთულ პირობებში, ხანგრძლივი ზამთრით და მოკლე ცივი ზაფხულით. ამ პერიოდში, გვიან შემოდგომაზე დაიწყეს მზადება მკაცრი ზამთრისთვის, ეს პერიოდი მათთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა. ქვების გარდა ბუნებრივი მასალის არქონის გამო, დაიწყეს ხვრელების გათხრა და ქვებით გამაგრება. საქონლისთვის მდინარის მახლობლად კლდოვანი ადგილი აირჩიეს და შეძლებისდაგვარად მოაწყეს. ასეთ პირობებში მოუწიათ

გამოზამთრება. იმ ზამთარს ძალიან ბევრი მსხვერპლი მოჰყვა. პირველი ურთულესი გამოზამთრების შედეგად ბევრმა არ მოისურვა აქ დარჩენა და წასვლა გადაწყვიტა. მათი უმეტესობა თურქეთში წავიდა - ყარსში, სადაც დააარსეს რამდენიმე სოფელი, ნაწილი წავიდა აზერბაიჯანის ელიზაბეტპოლსკის გუბერნიაში, ნაწილი დარჩა ჯავახეთში, მათ „ცივი“ დუხობორები უწოდეს. პირველ სოფელს, რომელიც დუხობორებმა შექმნეს დღევანდელი სოფელ ორლოვკის ტერიტორიაზე, „მოთმინება“ (ტერპენიე) უწოდეს. საცხოვრებლის მოწყობისთვის, ტყის არქონის გამო, ასპინძაში, ბაკურთანსა და ახალციხეში ხის სამშენებლო მასალის საყიდლად უწევდათ წასვლა. მასალა მოჰქონდათ ცხენებით. დაიწყეს კორდის დახვნა, ხორბლის, ქერის და შვრიის დათესვა. ასევე დიდი მასშტაბებით დაიწყეს მესაქონლეობა. ამ ყველაფერს მოჰყვა საოცარი შედეგი, ხალხმა მოახერხა მდიდარი სოფლების აშენება. დუხობორებმა სულ რვა სოფელი დააარსეს: ბოგდანოვკა (ნინოწმინდა), ტამბოვკა, რადიონოვკა, სპასოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, ეფრემოვკა, კალინოვკა. პირველ სოფელს, რომელსაც „მოთმინებას“ უწოდებდნენ, გადაარქვეს სახელი დ ორლოვკა უწოდეს. ხუთი წლის განმავლობაში დუხობორებმა დიდად განავითარეს სოფლის მეურნეობა და გააძლიერეს საქართველოს ეს ადგილი. დუხობორებმა ასევე გამოიყვანეს თავისი ცხენების ჯიში და არაერთხელ მიიღეს ოქროს და ვერცხლის მედლები გამოფენებზე.

ზემოთ მოყვანილი წარწერის მიხედვით სოფლის თავდაპირველ სახელად, როგორც ვთქვით, მითითებულია ტერპენიე. მართლაც, დუხობორთა გადმოსახლების დროს, ასე ერქვა სოფელს. მე-19 საუკუნის ბოლოს გამოცემულ რუსულ რუკებზე უკვე ტერპენიესთან ერთად ორლოვკაცარისმითითებული, ოლონდტერპენიემოცემულია ფრჩხილებში. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მხოლოდ ორლოვკაა.

მოხუცებულების მტკიცებით, მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ყოფილა ვინმე ოფიცერი ორლოვი, რომლის სახელიც ძალად დაურქმევიათ ტერპენიესათვის (ბერიძე 2008, 297), თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ შეიძლება ორლოვკაც მოტანილი სახელი იყოს, რადგან ორლოვი გუბერნიის ცენტრი იყო მელიტოპოლის მაზრაში: „დუხობორებს ბრძანებით ნება დაერთოთ თავრიზის გუბერნიაში, მოლოჩნიე ვოდის მიჯნაზე (მელიტოპოლის მაზრა) დასახლებულიყვნენ. ამასთან ერთად დასახლდნენ დუხობორები სალობოდო-უკრაინის (ხარკოვის), ევატერინოსლავის, ხერსონის, ვორონეჟის, ტამბოვის, ორლოვის გუბერნიებშიც“ (ბერიძე 2008, 297).

ენათმეცნიერულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი *კუნძულოური კილოკავი* (островные говоры) იმ ენობრივი წრის ხალხთა მეტყველების აღსანიშნავად, რომელიც მოქცეულია სხვაენოვან გარემოში.

თუ მთავარ დიალექტს (ან ენას) ვუწოდებთ მატერიკულს, მაშინ დაისმება საკითხი მატერიკულის დამოკიდებულებისა კუნძულურთან.

რადგან არსებობს კუნძულური კილოკავი, შეიძლება დავამკვიდროთ კუნძულური ტოპონიმია. ამ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს ჯავახეთის სოფელთა რუსული სახელები, რომლებიც განიხილება, როგორც რუსულენოვანი ტოპონიმია, მაგრამ ამასთან ერთად დგას საკითხი სოფელთა სახელის მიმართებისა იმ ტოპონიმურ სახელებთან, საიდანაც გადმოსახლეს დუხობორები.

ჯავახეთის რუსული ტოპონიმები შეიძლება იქნეს განხილული, როგორც კუნძულური, რადგან, მას შემდეგ, რაც გაჩნდა რუსული მოსახლეობა, იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა მატერიკულისგან. მოხდა იზოლაცია და იქცა „კუნძულად“.

რუსული კუნძულური კილოკავის შესახებ საქართველოში, კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო არეალში, შეიძლება შემდეგის თქმა:

ძირითადი კილოკავებისა და მატერიკულობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ძირითადი და მატერიკული კილოკავები, ტერიტორიული დაშორებისა და უცხო ენის გარემოებით გამოწვეული მცირეოდენი განსხვავების მიუხედავად, დიალექტის სტრუქტურული ელემენტების ურთიერთ მჭიდრო კავშირის გამო ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ასევე შეიძლება დაისვას საკითხი კუნძულური ტოპონიმის შესახებაც. ერთი განსხვავებით, რომ კუნძულური კილოკავი და მატერიკული განიხილება მათი ერთგვარობის ან მცირე განსხვავებულობის თვალსაზრისით. ამ დონეზე და ამგვარად განიხილება კუნძულურის მიკროტოპონიმიაც, მაგრამ როდესაც საქმე ოიკონიმებს ეხება, დგება საკითხი მათი (კუნძულურისა და მატერიკულის) ურთიერთმიმართებისა და არა იგივეობისა. ოიკონიმიაში აისახება გარკვეული დამოკიდებულება ყოფილ სახელებთან, თავს იჩენს ერთგვარი სოციალური ნოსტალგია, რადგან გადასახლება ძალდატანებით მოხდა და იქმნება ტოპონიმური დუბლები მცირე ფორმობრივი ცვლილებებით. *ტამბოვოს* გუბერნიიდან გადმოსახლებული დუხუობორი არქმევს *ტამბოვკას*. ჯავახეთში ეს არის მიგრაციის ისტორიაც. ე.ი. ენობრივი, სოციალურ-ფსიქოლოგიური და ისტორიული ფაქტორი განსაზღვრავს სახელდებას.

პირველ რიგში, ცალკე აღსანიშნავია ტერმინი *რუსი* და მისგან ნაწარმოები ტოპონიმები *ჯავახეთში*. ეს ტერმინი გაჩნდა 1828 წლიდან, როდესაც პირველად გამოჩნდა რუსეთი ჯავახეთში და დაკავშირებულია პასკევიჩის სახელთან. **რუსიგზა**, რომელიც მთელ ჯავახეთს გასდევს, უწოდა ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე 1828 წლის ამბებს უნდა უკავშირდებოდეს **რუსიწყალი**, რომელიც სათავეს იღებს თურქეთის საზღვართან და უერთდება ხანჩალის ტბას ფერმებთან. სახელდებისას დღევანდელი ჯავახეთის რუსები რომ იყოს ამოსავალი, მაშინ იქნება

დუხობორის გზა და არა რუსის გზა, ანდა დუხობორის წყალი, ისევე, როგორც გვაქვს ხანჩალის ტერიტორიაზე დუხობორის წყარო.

დანარჩენი „რუსული ტოპონიმები“ ნიშნავს რუსი (დუხობორი) მოსახლეობის მიერ შერქმეულ სახელებს. როგორც უკვე აღინიშნა, დუხობორები იყვნენ ანტისაეკლესიო მოძრაობის მემკვიდრეები. თვით სახელწოდება „духини“ ამტკიცებს ახალი სექტის აქტიურ ხასიათს, როგორც სულისათვის მებრძოლს.

დუხობორები ამტკიცებდნენ, რომ ისინი განსაკუთრებული ხალხი იყო მთელ რუს ხალხში. ამ მიზნით, გარდა საეკლესიო ცვლილებებისა, თავიანთ ყოფა-ცხოვრებაში ხელოვნურად შეჰქონდათ დიდი ცვლილებები - აწესებდნენ ახალ ადათებს, ცვლიდნენ ტანსაცმელს, დაკრძალვისა თუ სხვა წეს-ჩვეულებებს. ჯავახეთის დუხობორები გამოირჩევიან როგორც ჩაცმულობით, ისე ყოფითი და საყოფაცხოვრებო დეტალებით. სარწმუნოებრივი საფუძველი ჰქონდა დუხობორთა შეთანხმებას შეეცვალათ თვით ახლო ნათესაური ტერმინოლოგია: ერთმანეთისადმი ნათესაურ მიმართვაში დუხობორები ახალ სიტყვებს იყენებდნენ.

ეს სარწმუნოებრივი სექტა გამორჩეული და იზოლირებული აღმოჩნდა რუსეთშივე და, რა თქმა უნდა, მისწრაფება ორიგინალურობისაკენ კვალს დაამჩნევდა მათს არა მარტო ყოფითს, არამედ ენობრივ გარემოს. მათ ადრევე ჩამოაყალიბეს კომუნები, გაჩნდა საერთო საკუთრება, რის ანარეკლსაც ვხედავთ ჯავახეთის ტოპონიმიში, სადაც მოხდა ნაკვეთების სახელდება არა მეპატრონეთა მიხედვით (როგორც მაგალითად, კალმიკოვა ბალკა, და სხვა) , გვაქვს I ბალკა, II ბალკა, III ბალკა. ასეთი ნუმერაცია იქცა ტოპონიმურ სახელებად. ეს „ბალკები“ გზის პირას არის და როდესაც საწინააღმდეგო მხრიდან მოვდივართ, თანმიმდევრობა დაცულია: III, II, I.

ასეთი გამორჩეული ცხოვრებით ცხოვრობდა დუხობორთა სექტა ჯავახეთში და, ბუნებრივია, კვალი ტოპონიმიასაც უნდა დასტყობოდა. დუხობორებამდე ჯავახეთში ჩამოსახლდნენ ბერძნები, სომხები, ქურთები და სხვა, მაგრამ მათ სოფელთა სახელები არ შეუცვლიათ, დუხობორებმა კი, როგორც ვნახეთ, ჩამოიტანეს რუსეთიდან თავიანთი რუსული სახელები და სადაც დასახლდნენ ან შეუცვალეს სოფელს სახელი ან ახალი დაარქვეს.

ყურადღებას იქცევს გამორჩეული საფლავეები, უფრო სწორად სარკოფაგები. თუმცა ასეთი საფლავეები მხოლოდ მათს წინამძღოლ გვარებს - კალმიკოვებს და ვერიგინებს ხვდათ წილად ნინოწმინდის რაიონის სოფელ ორლოვკაში.

დუხობორთა პირველი ლიდერი იყო ილარიონ კალმიკოვი, რომელიც ჯავახეთში ჩასვლიდან მალევე გარდაიცვალა. 1854 წლამდე თემს ხელმძღვანელობდა მისი მეუღლე მელანია, 1854 წელს თემის ხელმძღვანელი გახდა 18 წლის ვაჟი ილარიონ პეტრის-ძე. მთელი ამ წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, „დუხობორიას« ყველა საქმეს

ყველაზე ძლიერი ოჯახების საბჭო ხელმძღვანელობდა. 1846 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა პეტრე კალმიკოვი, რომელმაც ანდერძით უბოძა დუხობორის თემის მეთაურობა თავის მეუღლეს ლუკერია ვასილის ასულ კალმიკოვას.

როდესაც ლუკერია მოვიდა ლიდერის თანამდებობაზე, აშენდა საერთო ბეღელი, შემოიტანეს დანაზოგი. უმოსავლო წლებში ხალხი მოდიოდა და იღებდა თავის წილს. ლუკერია ვასილის ასული კალმიკოვა ცნობილი ფიგურა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში. იგი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა დუხობორთა შორის. უწოდებდნენ დედოფალს (Цариха). მასთან მიდიოდნენ ცნობილი პიროვნებები, უცხოელები, რომლებიც აღწერდნენ მაშინდელ ჯავახეთს. იგიც პომპეზურად ხვდებოდა სტუმრებს სასახლეში, რომელიც განსხვავდებოდა მთელი ჯავახეთის ისტორიული და თანამედროვე სამშენებლო არქიტექტურისგან, ჰქონდა ძალიან მდიდარი გარდერობი. ლუკერია კალმიკოვას გავლენა დუხობორებზე ვრცელდებოდა მთელ კავკასიაში, რადგან იგი იქცა, როგორც სასულიერო ისე საერო ლიდერად. აქედან გამომდინარე ვრცელდებოდა ხმები, რომ იგი ღვთაებრივი თვისებების მქონე გახლდათ (Линч, 1910, 126-153).

დუხობორები თავიდანვე პაციფისტები იყვნენ. ისინი ჯარში სამსახურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ასევე აღსანიშნავია, რომ დუხობორები ჯარში მსახურობის გარდა სხვა კანონებსაც არ ემორჩილებოდნენ, მაგალითად, გადასახადების გადახდაზე უარი თქვეს. ნელ-ნელა ყველა შეეგუა და მიიღო ეს ჩაკეტილი და ჯიუტი თემი. რუსეთის მთავრობის თხოვნით დუხობორებმა მონაწილეობა მიიღეს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. რელიგიური და მორალური პრინციპების გამო იარაღს არ იყენებდნენ. დახმარება მდგომარეობდა იმაში, რომ მათ უნდა გაეყვანათ დაჭრილები გიუმრიდან ბათუმში და ასევე ჩამოეტანათ იარაღი ჯარისკაცებისთვის. ამისთვის მთავრობამ დიდი თანხა გადაუხადა - 500 000 ოქროს რუბლი, შედარებისთვის - ძროხა ხუთი ოქროს რუბლი ღირდა.

დუხობორებმა ააშენეს ობოლთა სახლი, რომელიც რამდენიმე ფუნქციას ასრულებდა: სამლოცველოს ფუნქციას, იღებდა ობლებს, მარტოხელა მოხუცებს და მოგზაურებს.

1886 წელს ობოლთა სახლის მოძრავი და უძრავი ქონება დაახლოებით ნახევარ მილიონ რუბლს შეადგენდა

ლუკერია კალმიკოვას გარდაცვალების შემდეგ თემის ხელმძღვანელი პეტრე ვასილის-ძე ვერიგინი გახდა. თემის სათავეში მისმა მოსვლამ გამოიწვია უთანხმოება, პროტესტი და ამის მიზეზი დიდი კაპიტალი შეიქნა.

შემდგომმა მოვლენებმა ე.წ. დიდმა განხეთქილებამ დუხობორის თემი ორ ნაწილად გაყო: დიდად და მცირედ. მცირე ნაწილი გორელოვკა იყო, დიდი ნაწილი კი დანარჩენი სოფლები. მცირე ნაწილის შურისძიების,

შიშისა და ხალხის აჯანყების გამო ვერიგინი ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ მან მაინც განაგრძო ციმბირიდან დიდი ნაწილის მართვა.

1895 წლის 10 ივნისს ვერიგინის დავალებით სოფელ ორლოვკაში იარაღი დაწვეს დედამიწაზე მშვიდობის სახელით, რამაც გამოიწვია ხელისუფლების აღშფოთება და რეპრესიები. აქტივისტების უმეტესობა საქართველოს სოფლებში იყო გადასახლებული. ამ ვითარებამ ძალიან დაამძიმა ხალხის მდგომარეობა. ამ პრობლემის შესახებ გაიგო რუსმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ლევ ტოლსტოიმ. თავის თანამოაზრეებთან ერთად ყველანაირად შეეცადა გამოესწორებინა ხალხის მდგომარეობა. ამასთანავე, ძალიან დაინტერესდა დუხობორების ფილოსოფიით და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა დუხობორების კულტურას.

1899 წელს დაიწყო დუხობორების გადასახლება კანადაში, ამ გადასახლებაში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა, ყველა, ვინც გულგრილი არ იყო დუხობორების ბედის მიმართ, ეხმარებოდა მათ. ინგლისელი კვაკერებიც მონაწილეობდნენ. ლევ ტოლსტოიმ ევროპაში გაყიდა თავისი რომანი «კვირა» და მთელი ჰონორარი შესწირა დუხობორებს.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დუხობორები, სხვა ხალხების მსგავსად, ახალ ქვეყანაში აღმოჩნდნენ, ახალი პოლიტიკური სისტემით. საბჭოთა კავშირის პერიოდში დაიწყეს კოლმეურნეობების შექმნა, რაშიც დუხობორებმა თავიანთი წილი შეიტანეს. შეიქმნა წარმატებული კოლმეურნეობები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორი საუკუნის განმავლობაში საქართველო გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დუხობორებისთვის - სამშობლო. რაც შეეხება ტრადიციებს, იმის მიუხედავად, რომ ხალხმა შეიცვალა ბევრი ადგილი და ძალიან ბევრი განსაცდელი გადაიტანა, ყველაფერი შეინარჩუნა. თაობებს შორის იყო ყოველთვის იმდენად მჭიდრო კავშირი, რომ არც ერთი რიტუალი და ლოცვა არაა დაკარგული დღემდე. ორი საუკუნის განმავლობაში ობოლთა სახლი და სხვა წმინდა ადგილები არ იყო მიტოვებული არც ერთ დღესასწაულზე და ყოველ კვირა დღეს ობოლთა სახლიდან ისმის გალობა, ეს ნიშნავს იმას, რომ დუხობორები ლოცულობენ თავის სამშობლოზე, სულზე და ოჯახებზე. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოხდა რამდენიმე გადასახლება რუსეთში, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური, ამ დროს ნინოწმინდის მხარეში მცხოვრები 7000 დუხობორიდან დარჩა 130 ადამიანი, რომლებიც აგრძელებენ ცხოვრებას თავიანთი ადათ-წესებით, ტრადიციებითა და კულტურით. დუხობორების ჩამოსახლებას გარკვეული კულტურული და სოციალური ცვლილებები მოჰყვა საქართველოში, კერძოდ, ჯავახეთში. როგორც ითქვა, მათი მეტყველება იქცა კუნძულურ დიალექტად, მოწყვეტილი აღმოჩნდა რუსეთისგან, შექმნეს ორიგინალური საცხოვრისები, გამორჩეული ყოფა და, რაც მთავარია, იმ ადგილებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, შეურჩიეს საკუთრივ რუსული სახელები.

გუბერნიის ცენტრის ტამბოვოს სახელი დაედო საფუძვლად სოფლის სახელს *ტამბოვკას*. თავფარავნის ნაპირზე 1924 წელს ხულგუმოდან გადმოსახლდნენ ტამბოვკაში სომხები და თანდათან შემცირდა რუსული მოსახლეობა. ახალმა მოსულებმა მოიტანეს სახელი და ახალი ხულგუმო უწოდეს. ასე რომ, მალე ალბათ, დღეს რომ პარალელურ ფორმად იხმარება ახალი ხულგუმო, ეს უკანასკნელი დარჩება სოფლის სახელად, რადგან რუსული სახელი რუსულ მოსახლეობას გულისხმობს. ეს სოციალური ფაქტორი განაპირობებს „ახალი ხულგუმოს“ გამარჯვებას.

ნინოწმინდის რაიონის სოფ. *გორელოვკას* ჰყავდა ტამბოვოსთან ახლოს წინამორბედი სეხნია, საიდანაც იყო ერთ-ერთი მქადაგებელი დუხობორებისა.

ამ ამბიდან თვრამეტი წლის შემდეგ დუხობორულ მოძღვრებას თავისი მქადაგებელი გამოუჩნდა სავა ტობირუხანის სახით. ეს ტობირუხანი ცხოვრობდა სოფელ გორელოეში, რომელიც მდებარეობს ქ. ტამბოვის ჩრდილოეთით 25 ვერსის დაშორებით მარშანკსისკენ მიმავალ გზაზე (Максимов 1887, 88). დაახლოებით 1775-85 წლებში იგი გამოჩნდა სოფელ გორელოეში, ტამბოვისავე მაზრაში, ტამბოვის ჩრდილოეთით (Новицкий 1882, 23-24).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში *კალინინო* ეწოდა სოფელ ტროიცკოეს, რომელიც ალბათ მოტანილი სახელია მცირე ფონეტიკური ცვლილებით. ტამბოვში ყოფილა სოფელი *Торицкое*. ტროიცკოეს რომ ტროიცკოე მოეცა ბგერათა მეტათეზისის გზით, შეუძლებელი არ ჩანს, მით უმეტეს, რომ ტროიცა დუხობორთა მნიშვნელოვანი დღესასწაულია და გადააზრების ფაქტორსაც ექნებოდა ადგილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯავახეთში დუხობორებმა მოიტანეს შვიდი სახელი და რომ: „დუხობორებმა ჯავახეთში ააშენეს მოლოჩნიე ვოდაში და ადრე ტამბოვოს მიდამოებში არსებული სოფლების იდენტური სახელები. ამათგან სახელები შეუცვალეს ადგილობრივ სოფლებს: 1. *კუბლიკანს* დაარქვეს *ვლადიმოროვკა*. უფრო სწორად სოფელი ნასოფლარის წინ ფარავნის ტბასთან უფრო ახლოს სწორედ გააშენეს ნასოფლარიდან მოტანილი ქვებით. დღეს ვლადიმოროვკაში რუსები აღარ ცხოვრობენ, მათი ადგილი დაიკავეს ემტიიდან და ფოკიდან გადმოსულმა სომხებმა. დუხობორთა კვალი, გარდა სოფლის სახელისა, ემჩნევა ხევთა სახელებს შემოგვრჩა: სუხოე რეჩ, მატრიოშკა ბალკა, ვენიციკი ბალკა და სხვა.

2. ფარავანს დაარქვეს როდიონოვკა. როდიონოვკაში უკვე სომხები ცხოვრობენ.

3. ბუღდაშენს დაარქვეს გორელოვკა.

დანარჩენ ოთხ სოფელსაც, ალბათ, ერქვა ადგილობრივი ქართული სახელი, რაზეც მიგვანიშნებს ნაცინარები სოფელთა ტერიტორიაზე, თანაც

ეს მხარე ისტორიულად მჭიდროდ დასახლებული მხარეა (ბერძენიშვილი 1964, 68-69).

აღსანიშნავია ერთი ტენდენცია, რუსული სახელები ადგილობრივთათვის (ნინოწმინდის რაიონში ძირითადად სომხური მოსახლეობა) რუსებს გულისხმობს უეჭველად, ამიტომ იმ სოფლებში, სადაც უკვე სჭარბობს სომხობა ან მხოლოდ ისინი ცხოვრობენ, დუხობორთა დარქმეული სახელები ნაკლებადლა იხმარება და ძირითადად ადმინისტრაციულ მიმოქცევაშილა. ასე რომ, გარდა ახალი ხულგუმოსი, ფებს იკიდებს პუბლიკანი, ფარავანი.

სოფელთასახელებიდან დღემდემცირეცვლილებანი სახელწოდებებში მოხდა. იყო ვლადიმირსკოე და გვაქეს ვლადიმოროვკა. გვქონდა Спасская (რუსული რუკით და სპასკოე ქართულად), გვაქეს სპასოვკა. მოხდა ერთგვარი უნიფიკაცია და ერთ ყალიბში მოექცა ყველა დაბოლოება - к(а) სუფიქსით. ასე რომ, მივიღეთ ჯავახეთის ოიკონიმთა შემდეგი რუსული სახელები: ტამბოვკა, როდიონოვკა, ორლოვკა, ეფრემოვკა, ბოგდანოვკა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნინოწმინდაში ეფრემოვი, ვლადიმოროვი და გორელოვი, როგორც გვარები, არ გვხვდებოდა.

-К (а) სუფიქსის დართვა მსაზღვრელზე, როდესაც დაიკარგება საზღვრული რუსულისთვის ჩვეულებრივი ამბავია (Русская грамматика 1980, 171), მაგრამ საინტერესოა, რომ ამ პროცესს ჯავახეთში მასალად გამოყენებული აქვს თურქული ენობრივი ფაქტი. გვაქეს ორი ტავმანთავა (კურდღლის გორა) ახალქალაქში და განძანში, ორივეს პარალელური ფორმა არის ტავმანკა. სუფიქსის დართვა მოტივირებულია საზღვრულის დაკარგვით. ეს ორი ტოპონიმური სახელი განიხილება არაკუნძულური მეტყველების ფარგლებში, რადგან იქ დუხობორები არ ცხოვრობენ.

სუფიქსი დაერთვის ზმნურ ფუმეს და აწარმოებს ტოპონიმურ სახელს, **კუტანკა** ჰქვია მთას ეფრემოვკაში, რომლის არმენიზირებული ფორმა არის გუტანკა (ასე უწოდებენ იმავე მთას ჟდანოვაკანელები. ამოსავალია სიტყვა кутить (проводит время в кутежах) (Словарь Русского языка 1982, 138). ამ მთაზე საქეიფო ადგილებს მიუთითებენ ადგილობრივი მცხოვრებნი.)

-к(а) სუფიქსით არის ნაწარმოები იმ ყანის სახელი, სადაც შვრია ითესებოდა - Овсянка (მინდორი, ეფრემოვკა).

ვლადიმოროვკაში ნაციხარს ჰქვია Матрёшкина, მაგრამ აქ -к(а) ტოპოსუფიქსად არ გამოგვადგება, იგი აპელატიური მაწარმოებელია, რადგან სახელი ადგილს „მატროშკასთან“ მსგავსის გამო შეერქვა.

ჯავახეთის რუსული ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია, რომ -к(а) სუფიქსიანი წარმოება ახასიათებს მაინცდამაინც ოიკონიმებს, მიკროტოპონიმიაში კი შედარებით იშვიათია.

დუხობორები თავის ისტორიულ გზას მიჰყვებიან ღვთის მიმართ დიდი

სიყვარულით და მისწრაფვიან სულის სიწმინდისკენ. დუხოზორული ფილოსოფია სულის განკურნებასა და უფალთან მუდმივ კავშირში მდგომარეობს. ყველა დუხოზორი ამაცობს იმით, რომ მისი სამშობლო საქართველოა და დუხოზორების სახელი საქართველოს ისტორიაში არის ძალიან დადებითად წარმოდგენილი.

ენობრივი ვითარება ჯავახეთში (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)

ჯავახეთი და ჯავახეთის მოსახლეობა

ჯავახეთი ქართველებით დასახლებული საქართველოს უძველესი, ძლიერი, ნაყოფიერი და ქვეყნის სამხრეთის სასაზღვრო მხარეა, რაც მის დიდ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, ოდითგანვე ქართველი ხალხი ცხოვრობდა, ქართული ენითა და კულტურით. მესხეთი მთელი ზემო ქართლის ტერიტორიის ზოგადი სახელია. იგი მოიცავს: სამცხეს, ჯავახეთს, თორს, კოლა-არტაანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს, სპერსა და სხვ... ამრიგად, „მესხი“ კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა (ლომსაძე 2011, 280).

სამცხე-ჯავახეთი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შეადგენდა ქართლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს, რომელსაც საზღვრავდა დასავლეთის მხარეზე რომ-საბერძნეთი, სამხრეთ-დასავლეთით კი სომხეთი და ირანი (მაკალათია 1938, 8). აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეს უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა.

ჯავახეთი საქართველოს ეთნოგრაფიული მხარის ზემო ქართლის, ანუ მესხეთის ნაწილია. ზემო ქართლის (მესხეთის) მხარეები იყო: თორი, სამცხე, **ჯავახეთი**, ერუშეთი, კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, იმერხევი, ლიგანი, ტაო, სპერი... (თოფჩიშვილი 2000, 3).

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს მნიშვნელოვანი კუთხეა, რომელმაც ისტორიულ წარსულში დიდი როლი ითამაშა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული დაწინაურების საქმეში. იგი იყო საქართველოს მეწინავე სადროშე და მან შემოსეული მტრებისაგან მრავალი აოხრება და სიძულჭირე განიცადა. მესხეთ-ჯავახეთის ტრაგედია განსაკუთრებით იწყება მე-16 საუკუნიდან, როდესაც იგი ოსმალეთის სულთანის პოლიტიკამ მოსწყვიტა დედა-საქართველოს, გაამაჰმადიანა და გადაგვარების გზაზე შეაყენა (მაკალათია 1938, 5).

ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწუენ წივასა, და მოსავლითაც ვგრეთივე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მზგავსი, გარნა უმჯობესიცა ზამთარი დიდ-თოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. მფრინველნი, რომელნიცა მათათა გუარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი.

კაცი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-
ჰაეროვანნი... (ვახუშტი 1973, 672).

სამცხე-ჯავახეთის საზღვარი „ფანავრიტგან“ იწყებოდა და გასდევდა ქედს: მთა თავკვეთილი, შავნაბადა, კოდიანის მთა, ტბა ტაბისყურისა, მთა შარვაშეთისა (ვახუშტი 1973, 128). ჯავახეთში შედიოდა თავფარავნის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე სოფლები: ფოკანი, მახაროვანი, განძანი. ტბის დასავლეთით სოფ.: შაორი, ფარვანა, და სხვ. თავფარავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს ქართლის საზღვარი სწვდებოდა, შესაძლებელია, მისი ნაწილი ქართლსაც ეკუთვნოდა და ტბა შუაზე იყო გაყოფილი. ასევე ითქმის ტაბისყურის ჩრდილოეთ ნაწილზე (ლომსაძე 2011, 270).

XVIII საუკუნის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნატურალისტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ჯავახეთის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: *ჯავახეთი, არა გაკავეთი, არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია და ეკუთვნის ახალციხის გუბერნიას. მას მიაკუთვნებენ 5 სამხარეო ქალაქს, სახელდობრ: 1. ახალქალაქი, თურქები უწოდებენ ახალქელექს, მდებარეობს კავკასიის მთისწინეთსა და არარატის მთიანეთს შორის მომავალ მდინარეზე; მას ეკუთვნის დიდი სოფლები - ვაჩიანი და ხულგუმო (და არა ხუტურდო), აგრეთვე გოგია (არა გოგუა), რომელიც [იყო] მნიშვნელოვანი ციხე, ახლა კი განადგურებულია. 2. გოლე, არა კოლა. 3. არდაჰანი (არა ატრაჰი), ამას ეკუთვნის კარგი დასახლებული პუნქტი წყაროსთავი. 3. ჩილდირი, არა ხერდილი; იქვე არის ამავე სახელის ტბა; მასვე ეკუთვნის მნიშვნელოვანი ციხე ნაქალაქევი; არარატის მთიანეთიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მომავალ მდინარეზე და მის შენაკადებზე მდებარეობს, რომელიც უერთდება ახალქალაქიდან მომავალ მდინარეს და მათი შერთვის კუთხეში ძვეს მეხუთე სამხარეო ქალაქი ხერთვისი; აქედან ეს [მდინარე] კიდევ 4 საათი მიედინება ჩრდილოეთით-ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთიდან მომავალ მტკვარს ერთვის. ხერთვისის ახლოს არის შემდეგი სოფლები: ტოლოში 2. კუკეთი 3. ამგვიტა 4. ქუნცა 5. დადეში 6. ბნელა 7. ერკოტა 8. ხიზაბავრა 9. ნიშგორა 10. სარო 11. წერაყინთა 12. შადრევანთა 13. თოკი 14. ვარევანი 15. ხანდო 16. კოთელია 17. ჩუნჩხა 18. მურჯიხანი 19. ფრთენა (პტენა) 20. ჩუნჩხა 21. ალჯუა 22. კვარშა 23. ქილდა 24. ფია 25. ზედათმოგვი 26. გელსუნდა 27. ორხოპია 28. ცხეკნელა 29. დანიეთი 30. შოლა 31. ვანი 32. დავითასუბანი 33. გუნდა 34. შალოშეთი 35. თოლერთა 36. ალანძია (გიულდენშტედტი 1962, 215-217).*

ჯავახეთის, უფრო ზუსტად, ჯავახთა სიძლიერე-სიმდიდრეზე ბევრად იყო დამოკიდებული საქართველოს ყოფა (ბერიძე 2012, 11). მას აღმოსავლეთით ესაზღვრება თრიალეთ-ქართლი, ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით სამცხე, სამხრეთ-დასავლეთითა და დასავლეთით თურქეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთით სომხეთი.

მ. ბერიძის კვლევით, დღეს მხოლოდ რამდენიმე სოფელში მოსახლეობენ ჯავახები. ეს ვითარება უკანასკნელმა საუკუნეებმა შექმნა, როდესაც ჯავახეთი სხვადასხვა ეთნოსებით - ბერძნებით, სომხებით, ქურთებით, რუსებით - აჭრელდა. „ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოში, სადაც დღეს არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს, XVI საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 1595 წელს ცხოვრობდნენ: გულიაბაზუკას ძე, კაკაბა ძმა მისი, თევდორე ძმა მისი, პაპა ძე მისი, ბერეკა ძმა მისი, ბალია ძმა მისი, იაკობ ძმა მისი, სახელად ასითა, ხარება, მაცაცა ძმა მისი, შაქარა ძე მისი, ხარებას ძე, იაზა ძმა მისი, მერაბა, ბადურა მირზას ძე, მამუკა, ხუხუნა ძმა მისი, პაპუნა, ხუხუნა მათეს ძე, დავითა შიოს ძე, გელა გუბას ძე, ქიტია ძმა მისი, ინდუა გულას ძე, ვარძელ ძმა მისი“ და სხვა კიდევ ერთი ამდენი. ესენი მხოლოდ მამაკაცები არიან, თანაც ოჯახის უფროსები, რადგან მხოლოდ მათ აკისრებდნენ გადასახადს და ამიტომ მხოლოდ მათი სახელები მოიხსენიებოდა აღწერისას, ამ სიაში ქალთა და ბავშვთა სახელებიც რომ მოხვედრილიყო, ეს სია კიდევ უფრო გაიზრდებოდა. ოსმალებმა მთელი მესხეთი აღწერეს. ჩვენ ვიცით ჯავახეთის 69 მაშინდელი ყველა სოფლის მოსახლე მამაკაცთა სახელები. 1595 წლისათვის ჯავახეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ (ბერიძე, 2002, 12-130).

1800 წელს სამცხე-ჯავახეთში თითქმის მთლიანად ქართველები ცხოვრობდნენ. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა XIX საუკუნის დასაწყისში 37 ათასი იყო, აქედან 30 ათასზე მეტს ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა, ქართველები შეადგენდა, ხოლო 6 ათასზე მეტი თურქი 1828-1831 წლებში თურქეთში გადასახლდა (ჯაოშვილი 1984, 77).

1880 წელს სამცხე-ჯავახეთში ძირითადად ცხოვრობდნენ ქართველები, სომხები და თათრები (Сборник Сведений о Кавказе 1885, 1-446). მთლიანად ამ მხარეში ამ პერიოდში 22499 ქართველი და 49590 სომეხი ცხოვრობდა. თუ ახალციხის მაზრის სოფლებში ქართველები ბევრად სჭარბობდნენ სომხებს (17300 ქართველი და 3749 სომეხი), ახალქალაქის მაზრის სოფლებში, სადაც შედიოდა ჩვენი კვლევის ობიექტი, სომხები გაცილებით მეტნი იყვნენ (3532 ქართველი და 29919 სომეხი). ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თურქეთიდან გამოქცეული და ჩამოსახლებული სომხები გაცილებით მეტი რაოდენობით დასახლდნენ ახალქალაქის მაზრაში და ძირითადად იმ სოფლებში, რომლებშიც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ. ამას ნათლად ადასტურებს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლის მიხედვითაც ის სოფლები, რომლებშიც ახლა მხოლოდ სომხები ცხოვრობენ, XVI საუკუნეში მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული (ლორთქიფანიძე 1994, 35-36).

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, ახალქალაქის მაზრის სოფლებში განსაკუთრებით იმატა ქართულმა მოსახლეობამ, თუმცა სოფლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სომეხი მოსახლეობის წილიც (მოსახლეობის

რაოდენობა - 59496, ქართველები - 9771, სომხები - 42301).

1897 წლის რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის მიხედვით მნიშვნელოვნად შემცირებულია ჯავახეთის ქართული მოსახლეობის რაოდენობრივი წილი: ახალქალაქის მაზრის მთელი მოსახლეობა - 72709, ქართველი - 6451, სომეხი - 52539, თათარი - 6572, თურქი - 296 (ლორთქიფანიძე 1994, 38-39). 1897-1902 წლებში საქართველოში ჩამოსახლდა 55 000 სომეხი, რომლებიც ძირითადად სამცხე-ჯავახეთში დასახლდნენ (იქვე, გვ. 40). ამ ჩამოსახლებამ რადიკალურად შეცვალა ჯავახეთის დემოგრაფიული იერსახე.

1917 წელს ჯავახეთში 11391 (12,2%) - ქართველი, 68592 (73, 4%) - სომეხი, 3619 (3,9%) - თათარი, 2438 (2,6%) - ოსმალო, 542 (0,6%) - ქურთი, 6859 (7,3%) - დანარჩენი - ცხოვრობდა (ლორთქიფანიძე 1994, 56).

1926 წლის აღწერით ჯავახეთში კიდევ უფრო იკლებს ქართველთა რიცხვი - 7565 (9,6%), 57791 (73,2%) - სომეხი, 6940 (8,8%) - თურქი, 2492 (3,1%) - რუსი, 2679 (3,4%) - უკრაინელი, 1470 (1,9%) - სხვა დანარჩენი (იქვე, გვ. 58).

1939 წლის მოსახლეობის აღწერისას უკვე ჯავახეთში ცალ-ცალკე შედის ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები, რომლებიც სავალალო სურათს გვიჩვენებს აქ ქართველი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ: 93 (3,3%) - ქართველი, 27376 (79,2%) - სომეხი, 1009 (2,9%) - აზერბაიჯანელი, 5862 (17,0%) - რუსი, 77 (0,2%) - ქურთი (იქვე, გვ. 60).

თურქებად აღრიცხული მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკური ქართველია, რომელთა თურქად აღიარება სწორედ ენობრივი და რელიგიური კუთვნილების საფუძველზე განისაზღვრა.

XX საუკუნეში, 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიაში ქართული მოსახლეობის გადასახლებამ არსებითად შეამცირა ქართული მოსახლეობის რაოდენობა და კიდევ უფრო მძიმე რეალობა შექმნა.

1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან არა უმეტეს 90 ათასი კაცი გადაასახლეს (ლორთქიფანიძე 1993, 20).

1959 წელს ჯავახეთში სომეხი მოსახლეობის რაოდენობა 88,7%-ს შეადგენდა, ქართველების - 3,8%-ს, რუსების - 6,6%-ს. რუსების უმრავლესობა - 4616 კაცი ნინოწმინდის რაიონში ცხოვრობდა.

1959 წელს ნინოწმინდაში მხოლოდ 50 ქართველი ცხოვრობდა (ლორთქიფანიძე 1993, 21).

1970 წლისათვის ქართველებმა რაოდენობრივად სამცხეში მოიმატეს, ხოლო სომხებმა მხოლოდ ჯავახეთში.

1989 წელს ნინოწმინდაში 205 ქართველი ცხოვრობდა; 1991 წელს 378 კაცი იყო ჩამოსახლებული აჭარიდან ნინოწმინდაში. ამ პერიოდში ჯავახეთში უკვე 3784 ქართველი ცხოვრობდა (ლორთქიფანიძე 1993, 22).

ჯავახს უძველეს ქართულ სატომო სახელწოდებას - ტაოხს უკავშირებენ

(ინგოროყვა, 1954). ტაოხები დიაოხის (ტაოს) ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და დღევანდელი თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთის, სამხრეთი საქართველოს, მათ შორის, ჯავახეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ტაოხ-სა და ჯავახ-ს შორის შუალედური ფორმა უნდა ყოფილიყო ჭაოხ-ი (ბერძენიშვილი, 1975).

ჯავახეთის შესახებ მრავლისმეტყველი და ინფორმაციულია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კრება როგორც საერო, ასევე უმაღლეს სასულიერო იერარქთა მონაწილეობით, სადაც არსენის კათალიკოსობის საკითხი უნდა გადაწყდეს, ტარდება ჯავახეთში: *და რომელ ჟამსა მას ხელმწიფე იყო მამფალი გვარამ დიდი, მირეანისთვის გულძვირად იყო. და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებაჲ ეპისკოპოსთაჲ და უდაბნოჲსა მამათაჲ. და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს* (გიორგი მერჩულე 1987, 585).

ჯავახეთის კრების ერთი ეპიზოდი შემდეგი სიტყვებით იწყება: *არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა მძლავრ სამცხისა ერთაჲ მე თვისი დაადგინა კათალიკოზად...* (გიორგი მერჩულე 1987, 585).

ჯავახეთის მნიშვნელობამ გადაწყვიტა ქართლის სამეფოს არსებითი საკითხი.

ჯავახეთი საქართველოს ეკონომიკური ხერხემალი იყო, ამაზე მეტყველებს ხალხურ ლექსი:

*მე ჯავახეთს რა მიჭირდა, მთვარე იდგა მზესავითა,
ხორბლი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა (ხალხური).*

*მე ჯავახეთში ნავალი, ქალი მინახავს მრავალი,
ტანთჩაცმულ თავდახურული, მოვის პერანგით ნავალი
(მაკალათია 1938, 122).*

დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით **ჯავახეთი** მოიცავს ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ნაწილობრივ ასპინძისა და ბორჯომის რაიონების ტერიტორიებს. ჯავახეთთან დაკავშირებული ნებისმიერი კვლევა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა.

ნინოწმინდის ტერიტორია 1917 წლამდე ტფილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში შედიოდა, 1917-1930 წლებში ახალქალაქის მაზრაში, 1930 წელს გამოეყო ახალქალაქის მაზრას გორელოვსკის რაიონის სახელწოდებით. 1933 წელს ეწოდა ბოგდანოვსკის რაიონი (ტოპონიმი ბოგდანოვკა დავადასტურეთ ჩვენ მიერ არქივში მოძიებულ 1942 წლის დოკუმენტში: ახალქალაქის უბნის (участке) ბოგდანოვსკის დასახლებაში 1842 წელს დუხობორთა 13 კომლი ცხოვრობდა (ვასილენკოვები, გრემიაკინები, გრიჩინები, მახონინები, ლუკიანოვები, ბირიუკოვები,

ბარაბანოვები, გალუშჩევები (კარგად არ იკითხება), შლიაკოვები, ჟელიაევები. სულ **სოფელ ბოგდანოვკაში** - 67 სული (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1946, გვერდი 68, 69, 70, 71), **1991 წლიდან ნინოწმინდის რაიონია, ხოლო 2006 წლიდან კი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.**

ჯავახეთი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით

ენობრივი სიტუაციის აღწერისთვის ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემთა მნიშვნელობა ცალსახადაა აღიარებული, სამხრეთსაქართველოს მონაცემები კი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ღირებულებისაა, რადგან აქ მოგვეპოვება დათარიღებული წარწერები.

ეპიგრაფიკული წარწერები მკაფიო სურათს გვიჩვენებს აქ განსახლებული ეთნოსების, მათი სამეტყველო ენის, ენის განვითარების ტენდენციების, ენობრივი კონტაქტების, ლექსიკის შესახებ.

ჯავახეთში ოთხ ენაზე - ქართულ, ბერძნულ, სომხურ და ოსმალურ ენებზე - შესრულებულ წარწერები გვხვდება.

1978-1980 წლებში ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ სამხრეთ საქართველოში ასპინძის, ნინოწმინდის (ბოგდანოვკის), ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მუშაობის დროს, ასევე 1977 წელს ახალქალაქის რაიონში მუშაობის დროს შეკრიბეს და შეისწავლეს 300-მდე წარწერა (სილოგავა 2012, 257). ექსპედიცია საკუთრივ ნინოწმინდაში 1979 წელს მუშაობდა (იქვე, გვ. 257).

ნინოწმინდაში დადასტურებული და შესწავლილი წარწერები VII-VIII საუკუნეებიდან XVII-XVIII საუკუნეების ჩათვლით პერიოდს მოიცავს და უმეტესობა ლაპიდარულია. წარწერები სრულად მოგვყავს, რადგან ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სრული და ინფორმაციული და ერთმნიშვნელოვნად დამადასტურებელი წყარო ქართულ სახელმწიფოში შემავალი ერთეულის, საქართველოს მეფეთა, ერისმთავართა, აქ განსახლებული ეთნოსის, მატერიალური და სულიერი კულტურის, ქართული ანთროპონიმის, ენობრივი ვითარების შესახებ.

ნინოწმინდის წარწერებმა შემოგვინახა ქართული ენის ლექსიკის უძველესი ფონდი, რომელსაც აქ უძველესი დროიდან მოსახლე ხალხის სხვადასხვა ფენა ქმნიდა.

X საუკუნის წარწერები კტიტორთა რელიეფის გამოსახულებაზე სოფელ ორჯალარში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *დარდაგანი. მკვეცი. ანგელოზი. დღკ. სიმონ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 97).

X საუკუნის მკვეცის წარწერა სოფელ ოროჯალარში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† ქრისტე შეიწყალე მკვეცი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 98).

X საუკუნის მეორე ნახევრის გეორგაძის წარწერა შუა ეკლესიაში სოფელ სადამოში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე*

მონა შენი გეორგაძესე მშობელნი მისნი (სილოგავა, ახალაძე 2012, 108-109).

X საუკუნის მეორე ნახევრის წარწერის ფრაგმენტი შუა ეკლესიაში სოფელ საღამოში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე მონა შენი: ქრისტე, მონა შენი...* (სილოგავა, ახალაძე 2012, 109).

X საუკუნის წარწერის ფრაგმენტი შუა ეკლესიაში სოფელ საღამოში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *†ცემაჲ ბარნაზ [...]* (სილოგავა, ახალაძე 2012, 109).

X-XI საუკუნეების კვირიკეს წარწერა შუა ეკლესიაში, სოფელ საღამოში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე შეიწყალე კვირიკე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 110).

X-XI საუკუნეების ზედა ეკლესიის I წარწერა სოფელ ფარავანში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე შეიწყალე პავლე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 112).

X-XI საუკუნეების ზედა ეკლესიის წარწერის ფრაგმენტი სვეტისთავზე სოფელ ფარავანში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე შეიწყალე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 112).

XI საუკუნის ფარსმან ერისთავთ ერისთავის სამშენებლო წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ ერისთავი, აღეშენა ესე ეკლესია სადიდებლად მათდა და მშობელთა მათდა სალოცველად* (სილოგავა, ახალაძე 2012, 99).

XI საუკუნის ბაგრატ კურაპალატის წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, ადიდე ბაგრატ კურაპალატი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 117).

XI საუკუნის ბავრელის წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† სახელითა ღმრთისაჲთა მე ბავრელი ღირს ვიქმენ შენებად წმიდასა ამის ეკლესიისა საფუძვლის დადებასა მე თანა დავეშურე კელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა* (სილოგავა, ახალაძე 2012, 118).

XI საუკუნის კათალიკოს იოვანე-ოქროპირის წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, ძეო და სიტყვუაო ღმრთისაო ადიდე იოვანე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი, ორთავე შინა ცხორებათა ამენ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 119).

XI საუკუნის მომწულისძის წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე შეიწყალე მომწულისძე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 119).

XI საუკუნის ხელაძს წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე ხელაძ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 120).

XI საუკუნის ბაიას წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე ბაია* (სილოგავა, ახალაძე 2012, 121).

XI საუკუნის მწევარის წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის

მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე მწევარი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 121).

XI საუკუნის გაბრიელისა და ელისაბედის წარწერა სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე შეიწყალე გაბრიელ და ელისაბედ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 121).

XI საუკუნის ბაგრატ აფხაზთა მეფისა და გიორგი კურაპალატის წარწერა სოფელ ყულალისში (კულალისი, ღულალისი) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *იესო ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, შეეწიენ დაუტკბენ თულანი, კეთილ ექმნ ჯიპატოს თოდის ძესა, რომელთა განსაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია ქორონიკონი იყო სპ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 126).

XI საუკუნის გიორგი მეფის წარწერა სოფელ ყაურმაში (ტონთიო) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, ადიდე გიორგი მეფე და შვილნი მათნი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 127).

XI საუკუნის მელქისედეკ კათალიკოზის წარწერა სოფელ ყაურმაში (ტონთიო) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, ადიდე მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი და შეეწიე დღესა მას, ამენ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 128).

XI საუკუნის ოქროპირ კათალიკოზის წარწერა სოფელ ყაურმაში (ტონთიო) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, ადიდე ოქროპირ ქართლისა კათალიკოზი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 128).

XI საუკუნის იოვანეს და მისი შვილების წარწერა სოფელ ყაურმაში (ტონთიო) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, მოწყალე ექმენ იოვანეს, დღესა მას შვილებითურთ, ამენ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 129).

X-XI საუკუნეების იუნას წარწერა სოფელ ეშტიაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე შეიწყალე ძუნა* (სილოგავა, ახალაძე 2012, 44-45).

XI-XII საუკუნეების II ეკლესიის წარწერის ფრაგმენტი სოფელ ფოკაში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *[.....]ს სულსა შეუნდვნეს ღმერთმან* (სილოგავა, ახალაძე 2012, 44-45).

XII საუკუნის ქვაჯვარზე ამოკვეთილი დათვისა წარწერა სოფელ ფარავანში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *შვილნო ღმრთისანო, ქრისტეანენო საწყალი დათვიად ლოცვასა გვედივარ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 113).

1247-1270 წლებით დათარიღებული წარწერა - ჯელი დავით მეფეთ მეფისა სოფელ საღამოში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთმპყრობელად მეფეთა მეფე დავით* (სილოგავა, ახალაძე 2012, 108)...

XII-XIII საუკუნეების იერემიას წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე იერემია* (სილოგავა, ახალაძე 2012, 100).

XII-XIII საუკუნეების ხარაძის წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე ხარაძე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 100).

XII-XIII საუკუნეების გიორგას წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე გიორგი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 101).

XII-XIII საუკუნეების ბემქენის ყმის წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე ჩოგაძე, ბემქენის ყმა* (სილოგავა, ახალაძე 2012, 101).

XII-XIII საუკუნეების იოვანეს წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე იოვანე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 101).

XII-XIII საუკუნეების ცხორებას ორი წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე ცხორება* (სილოგავა, ახალაძე 2012, 102).

XII-XIII საუკუნეების გიორგის წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალე გიორგი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 102).

სათხის ეკლესიის აღმოსავლეთის კედლის წარწერა: *ქრისტე, შეიწყალე ირემა. ქრისტე, შეიწყალე ხარაძე* (ცისკარიშვილი 1959, 37).

XII-XIII საუკუნეების გიორგი შაზელისძის სააღაპე წარწერა სოფელ სათხეში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† გიორგი შაზელისძესა და მეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან დაიდევს ორი დღე აღაპი რომე არცა (!) ზედაშე და სეფისკური გამოვიდეს ბარბარობა და მეორედ მოსლვად ამა საყდარსა შიგან მყოფმა ვერავინ დააკლოს წირვად, ჩუენმა მომავალმან და ვინცა დააკლოს კანონსამცა ქუეშე არს ამენ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 103).

1247-1270 წლებით დათარიღებული წარწერა - ჰელი დავით მეფეთ მეფისა სოფელ საღამოში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან, ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვთმპყრობელად მეფეთა მეფე დავით* (სილოგავა, ახალაძე 2012, 108)...

XIII- XIV საუკუნის წარწერა უფლისაძმი, წმინდა იოვანეს ეკლესია, სოფელ განძაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *უფალო არ შეიწყალე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 42).

შალვა მეჭურჭლეთუხუცესის წარწერა (1334-1346 წლები), ზედა ეკლესია, სოფელ განძაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა ძლიერი და უძლეველი ყოველთა მტერთაგან მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რომელმან ძალითა ღმრთისადათა და მკლავითა თვისითა შეაძრწუნვა ყოველი სოფელი სპარსეთისა* (სილოგავა, ახალაძე 2012, 40).

ქებასა და ნიკოლასძეთა წარწერა (1334-1346), ზედა ეკლესია, სოფელ განძაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა მეჭურჭლეთუხუცესი შალვა ძითა, ძმითა მათთა ცოცხალთა ვაშენეთ წმიდად ესე საყდარი ჩუენ, ქებასა და ნიკოლას ძეთა* (სილოგავა, ახალაძე 2012, 41).

სამშენებლო წარწერა ნიკოლასძეთა (1334-1346), ქვედა ეკლესია, სოფელ განძაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა მანდართუხუცესი შალვა ძითა და ძმითა მათგან ცოცხალთა ვაშენეთ მეორე წმიდად ესე საყდარი ჩუენ, ნიკოლასძეთა შალვას მონასა მანგლავას მეოხ ექმენ ღმერთო ყოველთაო საყდარი დედისა ღმრთისაჲ* (სილოგავა, ახალაძე 2012, 41).

გიორგი მეფის წარწერა (1334-1346), ქვედა ეკლესია, სოფელ განძაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *† ღმრთივ გზრგვზოსანი მეფობად გიორგისი, ლაშქარნი და სამეფო დადფარენ დედაო ყოველთა მკსნელისაო* (სილოგავა, ახალაძე 2012, 42).

ასომთავრული წარწერა დასტურდება სოფელ ჯივრაშენში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ქრისტე, შეიწყალენ მაშენებელნი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 139).

წარწერა წმინდა სტეფანესადმი მიმართვით სოფელ ეშტიაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *წმიდა სტეფანე შეიწყალე სული ჩემი* (სილოგავა, ახალაძე 2012, 44). წარწერის დათარიღება არ ხერხდება.

წარწერის ფრაგმენტი I ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე, სოფელ თორიაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში: *ხლმაკჲ შეიწყალე ქრისტე* (სილოგავა, ახალაძე 2012, 63).

ასომთავრული წარწერის კვალი გვაქვს II ეკლესიაში სოფელ თორიაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში (სილოგავა, ახალაძე 2012, 63).

წარწერების მასალა მოწმობს ენის მდგომარეობას კონკრეტულ ეპოქაში, კერძოდ, გვიჩვენებს, რომ:

1. ნინოწმინდა ქართველთა სამკვიდროა, სადაც ინფორმაციის შენახვა და გადაცემა ეპიგრაფიკული ძეგლებით ქართულ ენაზე ხდება;

2. X-XIV საუკუნეებში ნინოწმინდაში ქართული გვარსახელები ქართული მოდელისთვის ნიშანდობლივი სუფიქსითაა წარმოდგენილი: **გეორგამსძე, მომწულისძე, ხარამსძე, შაზელისძე, ნიკოლასძე...**

3. ქართულია ანთროპონიმები: **დათვიაჲ, ხელაჲ, მწევარი, კვირიკე, ირემაჲ, ცხოვრება, ზეშქენ...**

4. ქართველ მეფეთა და ხელისუფალთა - **ბაგრატის, აფხაზთა და ქართველთა მეფის, გიორგი მეფის, დავით მეფის, ფარსმან ერისთავთერისთავის** - მოხსენებას, დიდებასა და მათ ვედრებას უფლისადმი, რაც მათი აღმშენებლობითი საქმიანობის შედეგია ჯავახეთში;

5. ტოპონიმ **ქართლს**, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ჯავახეთი;

6. ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიას: **მეჭურჭლეთუხუცესი, მანდართუხუცესი...**

7. უძველესი ქართული ლექსიკური ფონდის ერთეულებს: **მშობელი, დედა, ძმა, შვილი, სული, თავი/თუალნი** (თავი ე. თაყაიშვილის წაკითხვით ყულალისის წარწერაში (MAK 1909, 26), **თუალნი** - ვ. სილოგავასა და ლ.

ახალადის მიერ გამოცემული კორპუსის მიხედვით (სილოგავა, ახალადე 2012, 126), **საფუძველი, მკლავი, სოფელი, ზედაში, სამლოცველო, ცოცხალი, საწყალი, წმიდად, დაშურება, შეწყალება, ქმნა, დამყარება, შემრწუნება, დატკობა, აგება, გაძლიერება...**

ყაურმის წარწერებში ქართლის კათალიკოსების მელქისედეკისა და იოანეს ხსენება, ქართლის კათალიკოსის მიერ აქ ეკლესიის აშენება მიუთითებს, რომ ის მცხეთის ეკლესიას ეკუთვნოდა (ცისკარიშვილი 1959, 31). იგივე შეიძლება გავიმეოროთ ფოკის წარწერების შესახებაც, სადაც იოანე-ოქროპირის მიერ ფოკაში ეკლესიის აშენება მოწმობს, რომ ეს ადგილი მცხეთის ეკლესიის მამული ყოფილა (ცისკარიშვილი 1959, 33).

წარწერებში დადასტურებული ინფორმაცია უტყუარი მაჩვენებელია იმისა, თუ რომელი სახელმწიფოს შემადგენელ ერთეულზე, დომენზეა საუბარი, რომელია სახელმწიფოს, ეკლესიისა და სოციუმის სხვადასხვა ფენის ურთიერთობის ენა. **თუმცა დღეს წარწერათა უმრავლეობა ან სრულიად გამქრალია, ან გადაღებილია ან კიდევ უძველესწარწერიანი ქვები ქართული ეკლესიის საფუძველზე სომხური ეკლესიის ასაშენებლად ან სომხურ ეკლესიად გადასაკეთებლად გამოყენებული. წარწერათა უმრავლესობა ძალიან სწრაფად ქრება დღეს.**

წარწერებით შემონახული ინფორმაცია როგორც ისტორიულ პირთა, ასევე ქართული ლექსიკის მიხედვით წარმოგვიდგენს ნინოწმინდის ქართულ ეთნო-ლინგვისტურ სახეს და ასწლეულების შემდეგაც ეჭვმიუტანელი დასაყრდენია როგორც ჯავახეთის, ქართული სახელმწიფოს, ეკლესიის ისტორიისთვის, ასევე ენობრივი ვითარების აღსაწერად.

ჯავახეთი სასულიერო მწერლობის მიხედვით

მდიდარია სასულიერო მწერლობა სამცხე-ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის აღსაწერად, რომელიც შექმნა ყველა იმ ნაბიჯმა და მოძრაობამ, რომლებიც აქ საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური ვითარების მიხედვით იცვლებოდა, მაგრამ არ წყდებოდა.

მე-8-10 საუკუნეებში მესხეთი საქართველოს გაერთიანების ცენტრად იქცა. ტაო-კლარჯეთში გაჩაღებულ მეუდაბნოეთა მოძრაობას უდიდესი სასულიერო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით დიდი სამონასტრო მშენებლობა და სასულიერო მწერლობის განვითარება მოჰყვა, რომლის საფუძველად ქართული ენა იქცა: *ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების* (გიორგი მერჩულე 1987, 591). ენა გამოცხადდა ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედად იქ, საიდანაც დაიწყო საქართველოს გაერთიანების პროცესი.

ენობრივი ვითარების ასახვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წყაროა

ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სადაც IX საუკუნის დიდი მოღვაწის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, სასწაულები და სამცხეში ზარზმის მონასტრის დაარსების ამბებია მოთხრობილი. თხზულებაში აღნიშნულია, თუ როგორ მოაღწიეს სერაპიონმა და იოვანემ „სანახებთა ქვეყანისა სამცხისათა“ (ბასილ ზარზმელი 1987, 643). თხზულებაში დამოწმებული ტოპონიმები ქმნის აზრს სამცხის შემოგარენის, ჯავახეთის ენობრივი სიტუაციის შესახებაც. სამცხის ენობრივი მდგომარეობის სრულად გამზიარებელი იყო ჯავახეთი. IX-X საუკუნეების მოღვაწე ბასილ ზარზმელი გვაწვდის ინფორმაციას იმ ტოპონიმების შესახებ, რომელთაც აქ მცხოვრები ქართველები საუკუნეთა განმავლობაში უწყვეტად ქმნიდნენ.

ტოპონიმებში უძველესი ქართული ლექსიკაა შემონახული და აგებულებით გვხვდება როგორც:

1. მარტივი: **ჩორჩანი, ზანაგი, ზარზმა, ოპიზა, აწყური, გოდერძი, არსიანი, სათახვე, საძმო, უმწამ, ყველის ხევი, ბაკთა, ბოზხა, ძინძე...**

2. ისე კომპოზიციური ტოპონიმები: **ბერასჯვარ, იოანეწმინდა, შეშისთავ, წისქვილ-სახლთა, შუარტყელი...**

... უჭირველად ვიდოდეს, ვიდრემდის მიიწინეს მთასა მას, ვითარცა სიმალლესა ცისასა აღძრულნი. და დადგეს ადგილსა მას, რომელსა ბერასჯვარ ეწოდების (ბასილ ზარზმელი 1987, 644).

ესევითარი ესე კაცი იყოფვოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანაგისასა (ბასილ ზარზმელი 1987, 646).

ვინადთგან არა ინებეს წმიდათა მათ ადგილთა მათ ზანაგისათა, რადთამცა მუნ გვეშენ უდაბნოდ დიდი და მაღალი, აწ უკვე რად ჯერ არს ყოფად? (ბასილ ზარზმელი 1987, 651).

ხოლო იყო მუნ წისქვილი, სახლი რადმე შესაკრებელსა მას შუა წყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა და ამას შინა იყვნეს კაცნი რადმე უკეთურნი... (ბასილ ზარზმელი 1987, 652).

...მივიწიენით ხევსა რასმე ღრმასა და უღალსა, რომელსა გოდერძისა ეწოდების... (ბასილ ზარზმელი 1987, 653).

- *რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათა და ბაკთა ეწოდების* (ბასილ ზარზმელი 1987, 654).

ესე არს ტბად მრღვიე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათახვე, და არს მას შინა სიმრავლე თახვთა და სხვათა ნადირთა... (ბასილ ზარზმელი 1987, 654); *...რაჟამს იგი უბრძანებდით კაცსა მას, რომელი თანამოგ ზაურ გვექმნა ვიდრე ტბამდე სათახვისა...* (ბასილ ზარზმელი 1987, 658).

მთად ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთად, რომელს ჰრქვიან თავი შეშათად, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართად, ამისთვის შეშისთავ ეწოდების (ბასილ ზარზმელი 1987, 655).

... ვითარცა მოვედით ადგილსა მას, რომელსა **ზაბგენ** უწოდებდნენ, და ვიხილეთ მცირე კელი ადგილსა მას **ზობხა** წოდებულსა (ბასილ ზარზმელი 1987, 655).

...ხოლო ადგილი იგი **წისქვილ-სახლოთა** კვალად წარღვნილ და უჩინო (ბასილ ზარზმელი 1987, 659).

და კაციცა იგი, რომელ პირველ იოტა **მინძედ** წოდებულისა მისგან ადგილისა, მოწლედ შეუვრდებოდა... (ბასილ ზარზმელი 1987, 660).

მიერთგან ეწოდა სახელი შემსგავსებული საქმეთა ადგილსა მას: რამეთუ ეწოდა **ზარზმა** ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს (ბასილ ზარზმელი 1987, 660).

ხოლო არს სახელი ადგილისა მას **უმწა**, რომელი შორავს ათორმეტ მილიონ (ბასილ ზარზმელი 1987, 663).

ვიტყვიან უკვე გიორგის, ეპისკოპოსსა მაწყვერელსა, რომელი-იგი აღმოსცენდა ხევსაგან **შუარტყლისა**, მშობელთაგან წარჩინებულთა და ღმრთისმოშიშთა, ხოლო აღიზარდა იგი განთქმულსა მას უდაბნოსა **ოპიზას** (ბასილ ზარზმელი 1987, 663).

...და ვითარცა გარდავლეს მთად იგი, **არსიან** წოდებული და მივიდეს ხევსა **ყველისასა**, იქმნა რამდენ მუნცა ნაკლულევანებისა სრულყოფად განგებულებით... (ბასილ ზარზმელი 1987, 668).

...**იოანეწმიდა** ეწოდების ადგილსა მას (ბასილ ზარზმელი 1987, 669).

საკუთარი სახელები: ესევიტარი ესე კაცი იყოფვოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ **ჩორჩანელი**, რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებზა ჩორჩანისა და ზანავისასა (ბასილ ზარზმელი 1987, 646);

ქურდია (ბასილ ზარზმელი 1987, 669); **სულა**, **ბეშქენ** და **ლაკლაკი**, **ლატავრის**, **თეკლა** (ბასილ ზარზმელი 1987, 670);

...განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღვდელთმომღვარი **გიორგი შუარტყლელი**, რომელმან დაიპყრა საყდარი **აწყურისა**... (ბასილ ზარზმელი 1987, 671);

ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყველი პირი და ენად დიდსავე თანა **გიორგის მაწყვერელსა** იყო ნეტარიცა მამად სერაპიონ (ბასილ ზარზმელი 1987, 671);

ქართული ენის სახელმწიფოებრიობის საფუძვლად გამოცხადებამ აქ ლიტერატურის აღმავლობა და სასულიერო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლების შექმნა განაპირობა: ჰადიშის სახარება (897 წელი), ჯრუჭის სახარება (1036 წელი), ტბეთის სახარება (955 წელი), შატბერდის კრებული (973 წელი), „სამოთხე ან იოანე მისხის ლიმონარი“ (977 წელი), იოანე ჩირაქის მიერ გადაწერილი იოანე ოქროპირის ცხოვრება (977 წელი), ოშკის ბიბლია (978 წელი), გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X საუკუნე)...

აქ ჩამოყალიბდა საგანგებო ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლა, ასე ვთქვათ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია, ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავის კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტებში და მერმე ათონის ნახევარ კუნძულზე, სადაც მან შექმნა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ერთ შტოს ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო ხისას (კეკელიძე 1937, 100-101).

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკურმა და კულტურულმა ძლიერებამ X საუკუნეში იგი ქართული განათლების კერად აქცია, სადაც სხვა ენა, გარდა ქართულისა, არ იუზნებოდა.

მესხეთიდან იყო აღორძინების ხანის შედეგის შემქმნელი შოთა რუსთაველი (XII საუკუნე).

ენობრივი ვითარება XVI- XVIII საუკუნეებში

XV-XVI საუკუნეებიდან სამცხე-საათაბაგო ოსმალეთისა და ირანის ბრძოლის ასპარეზად იქცა და 1578 წელს ოსმალეთმა დაიპყრო, რასაც ამ მხარეში მაჰმადიანობის გავრცელება მოჰყვა. მაჰმადიანობამ კი ოსმალური ენაც მოიყოლა თან.

ამ რთული ვითარების, მიუხედავად, რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე სამცხე-ჯავახეთში (იმდროინდელ ახალციხის საფაშოში) ოფიციალური ენა ქართული იყო; საქმისწარმოებას ახალციხის ფაშები და ბეგები ქართულ ენაზე აწარმოებდნენ, მშობლიური ენა მხოლოდ ქართული იყო აქაური მოსახლეობისთვის. ამაზე მეტყველებს ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები, როდესაც ჯავახეთის ენობრივ სურათს გვგვიხატავს: *სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტიანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათჳს ოსმალთა* (ვახუშტი 1973, 672).

მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმისა, რომ ქართველი მღვდლები ჰყავთ, რადგან ეკლესიის ენა ქართული იყო, მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა და წირვა-ლოცვასაც ქართულად ისმენენ, ბეგებიც, ხელისუფალნიც ქართულად საუბრობენ და „თათრული“, ანუ ოსმალური იციან იმ შემთხვევებისთვის, როცა დასჭირდებათ.

რასაც ოსმალეთის რამდენიმესაუკუნოვანი ბატონობა ვერ მოერია, იმის მორევა რუსეთის ცარისტულმა პოლიტიკამ სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური, სარწმუნოებრივი და ენობრივი აჭრელებით სცადა; ჯერ შექმნა

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, არტაანის, ყარსისა და ართვინის ოლქები, გარიყა მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობა და ყველა პირობა შექმნა ქართული ენის დასავიწყებლად. ენის შეცვლასა და დავიწყებას კი ეროვნული ცნობიერების უპირობო წაშლა უნდა მოჰყოლოდა.

ევლია ჩელები საქართველოში მოგზაურობისას სამცხე-ჯავახეთს „საქართველოს შავშეთის“ ნაწილს უწოდებს და აქ მცხოვრებ ქართველთა ენას „შავშეთის ქართველების ენას“, ხალხს კი - საქართველოს შავშეთის ხალხს“ უწოდებს (ჩელები 1971, 297).

მარტო სამცხე-საათაბაგოში 13 საეპისკოპოსო სამწყსო იყო... შუა საუკუნეების მესხეთი მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალი ქვეყანა იყო... მრევლის სიჭარბეს გაუზრდია საეპისკოპოსოების რიცხვი... ქართული საეპისკოპოსოების შექმნა მესხეთის მოსაზღვრე პროვინციებში (ანი, ყარსი, ვალაშკერტი, არზრუმში) მაშინდელი საქართველოს აქტიური პოლიტიკის უშუალო შედეგი იყო. ზოგჯერ პირიქითაც ხდებოდა, ქართული სასაზღვრო პროვინციები სხვა მწყემსმთავრის (სომხური-ბერძნული) გავლენის ქვეშექცეოდა (იმიერ ტაო და სხვ.) (ლომსაძე 2011, 283). ეს გარემოება კი თავის დაღს ასვამდა ქართულ ენას და მესხეთის ძირძველ ქართულ მოსახლეობასაც ქართულ-სომხური, ქართულ-ბერძნული და ქართულ-თურქული მიმღე პოლიტიკური ურთიერთობებით.

შოთა ლომსაძე წერს, საარქივო დოკუმენტების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართული ენა და ქრისტიანობაც კი ყველაზე მეტად შემორჩათ ახალციხის საფაშოს იმ სოფლებს, რომელნიც ფაშის სახასოს წარმოადგენდნენ და ერთგვარი იმუნიტეტით სარგებლობდნენ. ამ მხრივ პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდათ იმ სასაზღვრო სოფლებს, რომელნიც ყალაიბეგის სამსახურში იდგნენ და მხოლოდ ციხეებში სამსახური ევალებოდათ ესარისა და აზაბის სახით. ასეთი სოფლები საგადასახადო იმუნიტეტით იყვნენ აღჭურვილნი (ლომსაძე 2011, 299).

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში *მოლები ადრე გაშლილ დიდ მუშაობას ახლა ამთავრებდნენ, საბოლოოდ ამაჰმადიანებდნენ ხალხს და მედრესეების ფართო ქსელში გამუდმებითა და გამალებით ასწავლიდნენ ახალგაზრდობას თურქულ ენას* (ლომსაძე 2011, 309).

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 30-იან წლებში მოგზაურები წერენ, აქაურების სახე, შეხედულება, ზნე-ჩვეულება და ოჯახური ყოფაცხოვრება ქართულია. ქართულ გვარებს ატარებენ, ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე ლოცულობენ, იცავენ ხატებს, ჯვრებს, ზეიმობენ აღდგომას, კვერცხებს კვლავ წითლად ღებავენ, ქართულ სიმღერებს მღერიან, გამოირჩევიან სტუმართმოყვარეობით... (Евецкий 1828; Кавказ 1868; Загурский 1872; Иванова 1888). დიუბუა დე მონპერეს შეუნიშნავი არ დარჩენია, რომ სამცხე-ჯავახეთში ქართველები ცხოვრობენ, მაჰმადიანები,

კარგად საუბრობენ ქართულად, ახალციხის თითქმის ყველა ქართველმა იცის ქართული წერა-კითხვაო, ესმით თურქულიც. ასეთ ვითარებას აღწერს ის სოფელ ღობიეთში, რასაც სოფელ ახაშენის ენობრივ ვითარებას უმატებს, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ (Dubois, 288-289, 299-300). ამავე პერიოდის პერიოდიკაშიც (გაზეთი *Кавказ* 1868, 1869) გვერდს ვერ უვლიან იმ ფაქტს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას ენა ქართული აქვს და დამახინჯებულ თათრულს ლაპარაკობენ.

უსასრულოდ დიდი იყო პერიოდი სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის გამაჰმადიანებისა, რასაც მყარი ნიადაგი უნდა მოჰყოლოდა თურქული ენის გასავრცელებლად. *არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ერთი გვარის ერთი ნაწილი ქრისტიანი და ქართველი იყო, მეორე - მაჰმადიანი. მხარის რუსეთთან მიერთების შემდეგ, ცარიზმის პოლიტიკის შედეგად მაჰმადიანი ქართველების ძალიან დიდი ნაწილი ჯავახეთიდან აიყარა და თურქეთში გადასახლდა... მაჰმადიანობამიღებული ქართველების უმეტესობისთვის დედაენას კვლავ ქართული წარმოადგენდა* (თოფჩიშვილი 2000, 59).

აჭრელდა მესხეთის ქართული, უხვად იჭრებოდა ოსმალური სიტყვები და გამოთქმები. იბრძოდა ქართული გადასარჩენად, რასაც საუკუნეები დასჭირდა. მესხეთის გამაჰმადიანებული ქართველები, რომელთაც ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ ეროვნება სარწმუნოებისგან ვეღარ უნდა გაერჩიათ და ყველა ოფიციალურ დოკუმენტში „თათრებად“ და „თურქებად“ იწოდებოდნენ, მხოლოდ ქართული ენით და ზნე-ჩვეულებებით ინახავდა თავს.

ამ პერიოდისთვის ოსმალთა ორასორმოცდაათწლიანმა ბატონობამ გააპარტახა ქართული კულტურა, მაგრამ ვერ ამოძირკვა ენა, *მოსახლეობა გაღატაკდა, მხეცურად, არაადამიანურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმინდათა წმინდას - მის ენას, მის კანონებსა და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურას და სარწმუნოებას. ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს. ურჩ მოსახლეობას მასობრივად ერეკებოდნენ მამა-პაპური ადგილებიდან* (ჯანაშია, ბერძენიშვილი, 1945).

ზემოთქმულის დამადასტურებელია ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალები. 1842 წლის კამერალური აღწერის მონაცემები გვიჩვენებს, თუ როგორ წვალობდნენ გამაჰმადიანებული ქართველები, რომ თავიანთი ქართველობა დაემტკიცებინათ. წერა-კითხვის უცოდინრობა და მისგან გამოწვეული სიბნელე, რაც ასე ხელსაყრელი იყო ოსმალეთის იმპერიისთვის, აიძულებდა ქართველ მაჰმადიანებს სოფელში წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი მოემძებნათ და მას ქართული ასოებით ჩაეწერა ქართველთა სახელები და მიზეზიც მიეთითებინა:

ხელს ვაწერთ ჩვენ უდემში მცხოვრებლები ოვანტან მერაბოვი

მამასახლისით და თათით ოსეთ აღსაყალი სალეთი და რომ ამათ წერვა არ იცოდნენ მათი ხელის ჩამორთმევით ხელს ვაწერ გიქორ ხუცთან (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 420. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

ვალეს მცხოვრები მამასახლისი ქიტესა (სავარაუდოდ, არ იკითხება კარგად) ბებნაძე რადგან ამათ წერვა არ იციანე მათი თხოვნით ხელს ვაწერ გაბრიელ ხმალაძე მოწმეები ხითრო (სავარაუდოდ, არ იკითხება კარგად) პეტრეშვილი გული მამალოშვილი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 499. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

სხვილისელ მოლა მუსტაფამ წერვა არ იცოდა და მისი თხოვნით ხელს ვაწერ თომა იასილოვი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1669, გვ. 9. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

არალის ასაყალი ნიკო სტაფანაშვილი რადგანაც ამან წერა არ იცოდა ამის თხოვნით და ხელის ჩამართმევით ვაწერ (ყ. თავაზოვი - სავარაუდოდ, კარგად არ იკითხება) (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1669, გვ. 29. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

იოვანჯან მერაბასშვილი რადგან მან წერვა არ იცის და მისი თხოვნით ხელს ვაწერ თომა იასილოვ (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1669, გვ. 48. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

ტამაღელი ახსახალი გალუსტ ტუფანოსი (ე არის თუ უ კარგად არ იკითხება) მოწამე ხავ ოვანესოვ ამათ თხოვნითა რადგან წერილი არ იციან, მე ვაწერ ხელს ონას ერემოვი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 38. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

ყვალთახევს (კოლთახევი - ი. ღ.) ახსახალე ასან მირზოს შვილი მოლა (? - ი.ღ.) მამად ასანაშვილი რადგან ამათ წერვა არ იცოდნენ მე სიმონ ხარსჩაროვი (? ი. ღ.) ხელს ვაწერ (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 92. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

ასპინძელი ასახალი ალიას შვილი მუსტაფა მოწამე ბახალას შვილი უსეინაი ჩახალ ალისი რადგან ამათ წერილი არ იცოდათ ხელს ვაწერ ონას ერემოვი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 96. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842 Года).

იდუმალელი ახსახალი უსეინაი იბრამას შვილი ფეჩიტნი ინიყა (არ იკითხება კარგად) მამადა ისპირას შვილი მუთოი (არ იკითხება

კარგად) ღანჯას შვილი რადგან ამათ წერვა არ იცოდათ ამათ თხოვნით ხელს ვაწერ ონას ერემოვი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 98. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абастуманского, 1842 Года).

ქვეშა ომორის ახსახალი ყარაოსმანაი სელიმას შვილი მოწმეები მაჰმადა ოსმანას შვილი უსეინ **თისოს** (არ იკითხება კარგად) რადგან წერვა არ იცოდა ამათი თხოვნითა ხელს ვაწერ ონას ერემოვი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1945, გვ. 109. Камеральное Описание Казенных Крестьянь Ахалцыхского Уезда Участка Абастуманского, 1842 Года).

ჯავახეთის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა რომ ქართველები იყვნენ, ამას ადასტურებს ანთროპონიმები, რომლებიც ქართულ უძველეს ძირებს ეყრდნობა, მოფერებით-კნინობით სახელთა უმეტესობა კი -ა სუფიქსითაა ნაწარმოები: *აღდგომელ, ბერო, ვარძელ, ლომკაცი, ჩიტია, მახარია, ვეფხია, ახალა, ჩიტია, ხატია, გოგიჩა, დათუნა, ირემა, კაკალა, კაკაბა, კვირიკა, ლაშქარა, მამისა, მაცხოვნა, სიხარული, ტყემალა, ხოხობა, ხარება, ცისკარა, წამალა, ხიზანა...* (თოფჩიშვილი 2000, 8-9).

ენობრივი ვითარება XIX-XX საუკუნეებში

კიდევ უფრო გაუჭირდა ჯავახეთს რუსეთის აქ შემოსვლის შემდეგ: „რუსეთის აქ შესვლას 1828 წელს აქ მკვიდრ ქართველ მცხოვრებთა აყრა მოჰყვა შედეგად, მეტადრე ჯავახეთიდან (ეხლანდელს ახალქალაქის მაზრას) და უფრო ნაკლებ სამცხითგანაც (ახალციხის მაზ.). რუსებმა რომ ახალციხე აიღეს, კავკასიის მაშინდელს მთავარმართებელს ქართველი თავადაზნაურები წარუდგნენ და საქართველოს მეფეთა წყალობის წიგნები მიუტანეს, რომლებითაც სამცხე-ჯავახეთში მათი მფლობელობითი უფლება მტკიცდებოდა, და ამ საბუთების ძალით თავიანთი უფლების აღდგენას თხოულობდნენ. მაგრამ პასკევიჩს არამც თუ ეს თხოვნა არ შეუწყნარებია, პირიქით, განრისხდა კიდევ. ამავე დროს, ოსმალეთითგან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებითგან, იქაური სომხობა გამორბოდა და საქართველოში თავშესაფარს ეძებდა... მათ დასასახლებლად საახალშენო კომიტეტი იყო დაარსებული და ზემოთ მოყვანილი რიცხვითგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრებში“ (ჯავახიშვილი 1919, 35). ასე იწყება სომეხთა განსახლება ჯავახეთის ქართულ მიწაზე.

1830 წლამდე ჯავახეთში კომპაქტურად დასახლებული სომხური მოსახლეობა არ გვხვდება არცერთი წყაროში, ამდენად ტოპონიმიაც ქართულია. 1830 წლამდე ჯავახეთში სომხები მხოლოდ გოკიასა და ბარალეთში მოსახლეობენ (ლომსაძე 2011, 289), რასაც საფლავის ქვებზე ამოკვეთილი მაკრატლებითა და საზომებით ადასტურებენ. ეს ნივთები სომეხ ვაჭართა აქ მოსახლეობაზე მიგვითითებენ (იქვე, 289).

ამდენად, არათუ დღეს ასე ხელოვნურად გავრცელებული სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსმოკვეცილი ფორმები, არამედ სომხური ტოპონიმიაც მხოლოდ ამ პერიოდიდან შეიძლება შეგვხვდეს ჯავახეთში.

ადგილთა სომხურად ცვლილი სახელწოდებანი მხოლოდ ამ პერიოდიდან შეიძლება გაჩენილიყო ჩვენი კვლევის არეალში, ნინოწმინდაში (მაშინდელ ბოგდანოვკაში).

1828 წელს აიღეს ახალციხის საფაშო და მაშინვე დაიწყო ადგილობრივი ქართული მოსახლეობის აყრა საცხოვრისიდან, მათ მიწა-წყალზე კი ჩამოასახლეს სომხები თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის - ყარსის, არზრუმისა და ბაიაზეთის ვიალიეთებიდან.

1830 წელს ჯავახეთში ბერძენთა ჯგუფი წალკასა და ახალქალაქში დასახლდა.

1841-1845 წლებში მეფის ხელისუფლებამ ჯავახეთში ჩამოასახლა რუსი სექტანტები - დუხობორები, რომლებიც ძირითადად ფარავნის ტბის გარშემო დასახლდნენ (ბერიძე 2008, 13). დუხობორებიც ქართველთა ნასახლარებზე დასახლდნენ და საკუთარი ტოპონიმიაც თან მოიყოლეს.

ტამბოვოს გუბერნიიდან გადმოსახლებულმა დუხობორებმა სოფელს *ტამბოვკა* დაარქვეს (ბერიძე 1992, 113).

არსებულ ვითარებას ასახავს ტოპონიმი *რუსის გზა* (ბერიძე 2008, 50). რუსის გზა ჰკვეთს ჯავახეთს და იმ ბრძოლების მატიანეა, პასკევიჩმა რომ ამ მხარის შემოერთებისას გადაიხადა.

ენობრივი ვითარება უძრავი და უცვლელი მონაცემი არაა, ის იცვლება პოლიტიკური ვითარების კვალდაკვალ, რასაც ჯავახეთის ისტორიაც გვიდასტურებს. პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა სომეხთა კომპაქტურად შემოდინება და კომპაქტური დასახლება ჯავახეთში, რასაც აქ სომხური ენის გავრცელება მოჰყვა.

ადგილთა სომხური სახელწოდებანი გავრცელებულია იმ ტერიტორიაზე, რომელიც დასახლებულია სომხური მოსახლეობით. *ეს არის ნინოწმინდის რაიონი მთლიანად, დუხობორების სოფლების გარდა* (ბერიძე 2008, 286-287).

სომხებმა ჯავახეთის სოფლებს ქართული სახელები ძირითადად შემოუნახეს, რაც მნიშვნელოვანი ფაქტია ამ მხარის ისტორიისთვის.

სომხური სახელები პროდუქტულობით მიკროტოპონიმიაში გამოირჩევა, მაკროტოპონიმია, სოფელთა სახელები კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული დარჩა და ეს ცვლილება სულ რაღაც ასორმოცდაათიოდე წელს ითვლის.

მ. ბერიძის აზრით, სომეხთა გადმოსახლება მესხეთში ნელ-ნელა კი არა, **ადმინისტრაციულად** მოხდა, ახალციხის საფაშოს აღების შემდეგ მეფის რუსეთმა განსაკუთრებით მთიანი ჯავახეთი 1828-1830 წელს მთლიანად დაცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. გადასახლებულმა

ქართველებმა თან წაიღეს ადგილთა სახელები და მათ ადგილებზე დასახლებულ სომხებს აღარავინ დახვდა, რომ მათთვის მიკროტოპონიმია გაეცნო. მაკროტოპონიმია კი უცვლელი დარჩა ისევ ადმინისტრაციული ჩარევით. შედგენილი იყო სათანადო დოკუმენტაცია, სადაც სოფლების სახელები უცვლელად იყო შეტანილი, რაც ჩამოსახლებულებმა შეითვისეს (ბერიძე 2008, 288).

ენობრივი ვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიხედვით

1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის XIV თავი - *ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი* - უმცირესობათა ფართო უფლებებს ითვალისწინებს და მათგან მთავარი ენის საკითხია. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის XIV თავი 9 მუხლს მოიცავს, რომელთაგან ხუთი უშუალოდ ენას ეხება:

მუხლი 129

არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა-ენაზე.

მუხლი 130

ეროვნულ კავშირში შესვლა ხდება სალაპარაკო ენის მიხედვით (ლორთქიფანიძე 1993, 20).

მუხლი 135

ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება იწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე (ლორთქიფანიძე 1993, 20).

მუხლი 136

ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20%-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედა-ენაზედაც (ლორთქიფანიძე 1993, 20).

მუხლი 137

არაქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა-ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს.

დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი (საქართველოს კონსტიტუცია 1921, 36-37).

ამ კანონის მიხედვით, ისევე, როგორც საქართველოში სხვადასხვა დროს დასახლებული სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების მსგავსად, ფართო უფლებები ენიჭებოდათ ჯავახეთში დასახლებულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, **რასაც აქ სახელმწიფო ენის უკიდურესი შეზღუდვა მოჰყვა.**

საქართველოში საბჭოთა პერიოდში შესაძლებელი იყო მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, ამასთანავე, „რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა“ უფლება - განათლების მშობლიურ ენაზე მიღებისა - ჩვენი ქვეყნის ყველა კონსტიტუციით იყო განსაზღვრული (მარკოზია 2015, 86).

შესაბამისად, უკვე 80-იანი წლებისათვის რესპუბლიკის სკოლებში სწავლებაწარმოებდარგაენაზე-ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ესტონურ, ბერძნულ ენებზე. ამას ქვეყანაში არსებული სკოლების ენობრივი სიჭრელეც ადასტურებდა. ამ მიზანმიმართულმა სიჭრელემ კი არნახულად წაახალისა სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა უდიერი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი, რისი შედეგებიც დღეს ასე თვალსაჩინოა, მათ შორის ჯავახეთში.

ჯავახეთის სახეცვლილი ტოპონიმები

ყველა ოდინდელი ტოპონიმი, რომლებითაც ჯავახეთის ეკონომიკური სიძლიერე და ყოფაა შემონახული, ქართულია: *ნაპურალი, ნასელარი, ნაცერცვალი, ნადიკვარი, ნაკალვარი, ნაოსპარი, შაფხა (შაფხხა).* ჯავახეთმა შემოინახა *საბადური* ტყის, სერის, ყანისა და ბუჩქნარის სახელად (ბერიძე 2008, 49).

ჯავახეთის ქართული ტოპონიმია შემონახულია ჯავახეთის სოფლებითა და ტბებით: *ტბის სახელად თითქოს სოფლის სახელი გამოიყენება: სოფ. ფარავანიფარავნის ტბა... სოფ. ტაბისყურიტაბისყურის ტბა... სოფ. საღამო და საღამოს ტბა. ამავე ტბაზე სოფელი დუმა და დუმის ტბა* (ჯიქია 1958, 341).

დღეს ნინოწმინდის სოფლებში ძირითადად სომხური მოსახლეობა ცხოვრობს. ადმინისტრაციულ მიმოქცევაში დღემდე დუხობორთა მიერ მოტანილი რუსული სახელები - *ტამბოვკა, როდიონოვკა, ვლადიმროვკა, სპასოვკა, გორელოვკა, ორლოვკა,* ასევე წარსულის ნამემკვიდრალი - *ქდანოვი* რჩება, ამას ემატება ეთნიკურ სომეხთა თავგამოდება ქართული ტოპონიმის გასომხურებისა. საქართველოს ოცდაათწლიანი დამოუკიდებლობის მიუხედავად, ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჯავახეთის „ჯავახქ“ ფორმით დამკვიდრების მრავალწლიანი მცდელობა მეტყველებაში, აბრებზე, შენობა-ნაგებობზე, რასაც დროულად უნდა მიექცეს ყურადღება.

ბოგდანოვკა - ძველი **ხოჯაბეგი** (ჩიქოვანი 1982, 16).

როდიონოვკა - ადრე მას ქართველები **ფარავანს** უწოდებდნენ (ჩიქოვანი 1982, 16).

ყაურმა - ადრე **გორმაკეს** უწოდებდნენ ქართველები (ჩიქოვანი 1982, 7).

ხანჩალი - ადრე მას **ხანჩერს** უწოდებდნენ (ჩიქოვანი 1982, 10).

გორელოვკა - ადრე მას **ბულდაშენს** უწოდებდნენ (ჩიქოვანი 1982, 18).

ვლადიმროვკა - ადრე მას **მახაროვანი** (იგივე **მახარო**) ერქვა (ჩიქოვანი 1982, 18).

პუბლიკანს დაარქვეს *ვლადიმროვკა*. უფრო სწორად სოფელი ნასოფლარის წინ ფარავნის ტბასთან უფრო ახლოს გააშენეს. დღეს ვლადიმროვკაში რუსები აღარ ცხოვრობენ, მათი ადგილი დაიკავეს ემტიიდან და ფოკიდან გადმოსულმა სომხებმა (ბერიძე 1992, 116).

დუხობორებმა ხევებსაც რუსული სახელები დაარქვეს: *სუხოე რეჩ, მატრიოშკი ბალკა, ვენიციკი ბალკა* და სხვა (ბერიძე 1992, 116).

ტამბოვკა - ადრე მას **ჭაჭკა** ერქვა (ჩიქოვანი 1982, 18).

ორლოვკა - ადრე მას **ახმა** ერქვა (ჩიქოვანი 1982, 18).

დილითი - სომხებმა თავისებურად დაამახინჯეს, ადრე მას **დლივი** ერქვა (ჩიქოვანი 1982, 17).

განდა - სომხებმა თავისებურად დაამახინჯეს, ადრე მას **განძანი** ერქვა (ჩიქოვანი 1982, 17).

ოსმალთა რამდენიმესაუკუნოვანმა ბატონობამ ჯავახეთის ტოპონიმიაშიც დატოვა კვალი, განსაკუთრებით კი მიკროტოპონიმიაში (ბერიძე 1992, 97).

ნინოწმინდის რაიონში მთას **ქოროდლი** ჰქვია, რაც არაერთხელ დავადასტურეთ 2023 წლის ექსპედიციისას ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში.

ენობრივი ვითარება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 2023 წლის სამეცნიერო ექსპედიციის მიხედვით

2023 წლის ივნისში საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - *ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკის კვლევა და დოკუმენტირება* - ფარგლებში მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია. პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის აღწერა და ენობრივი ვითარების დაფიქსირება.

2014 წლის აღწერის მიხედვით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 1 354.0 კვ. კმ.-ს, მოსახლეობა – 24 491 კაცს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე – 18.1 კაცს (<https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>).

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 1 ქალაქია - ნინოწმინდა, 9 თემი -

განძანის, გორელოვკის, გონდრიოს, ეშტიის, სათხის, ტამბოვკის, ფოკის, ხანჩალის, ჯიგრაშენის და 31 სოფელია - განძა, სადამო, გორელოვკა, ეფრემოვკა, ორლოვკა, ჟდანოვი, სამეზა, სპასოვკა, დიდი გონდრიო, დილითი, მამწვარა, პატარა გონდრიო, ყულალისი, ეშტია, თორია, უჯმანა, ყაურმა, სათხე, დიდი არაქალი, ოროჯოლარი, პატარა არაქალი, ტამბოვკა (ახალი ხულგუმო), ასფარა, როდიონოვკა (ფარავანი), ფოკა, ვლადიმეროვკა, დიდი ხანჩალი, კათნატუ, პატარა ხანჩალი, ჯიგრაშენი, პატარა ხორენია (<https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>).

ნინოწმინდა განსხვავებულ, ჭრელ სურათს გვიჩვენებს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი თვალსაზრისით.

ქართველთა რაოდენობა 2014 წლის აღწერის მიხედვით 4.2%-ია, ეთნიკური სომეხი მოსახლეობისა 95%, რუსი მოსახლეობისა 0.8 (<https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>).

უმაღლესი განათლება მოსახლეობის 35.8%-ს აქვს, პროფესიული - 41.4-ს, სრული (საშუალო) განათლება - 88,3-ს, საბაზო - 16,8-ს, დაწყებითი - 23,1-ს.

რაც შეეხება რელიგიურ ვითარებას, აქ ერთმანეთს ხვდებიან მართლმადიდებლები, მუსლიმები, კათოლიკეები, გრიგორიანელები და დუხობორები.

დღეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 4 ქართული სკოლა და 1 ქართული სექტორია: 1- საკუთრივ ქალაქ ნინოწმინდაში, 1 - სოფელ სამეზაში, 1 - სოფელ გორელოვკაში, 1 - სოფელ სპასოვკაში, 1 ქართული სექტორი - სოფელ ორლოვკაში.

ეშტიის თემი:

1. სოფელი **ეშტია** - აქ მცხოვრები სომხური მოსახლეობა მას დამახინჯებით *ჰეშტიას* უწოდებს ტოპონიმის გასომხურების მიზნით. მათი საფუძველს მოკლებული მსჯელობისა და ეტიმოლოგიის მიხედვით, ეს ცარიელი ადგილი იყო, წყარო დაინახეს და თქვეს, რომ *აქ ადვილია ცხოვრება*. სოფლის შესასვლელთან ტრაფარეტზე უმართებულო და ხელოვნური ფორმა *ჰეშტია* დაუწერიათ, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

სომხური მოსახლეობა აქ 1828 წელს მოსულა სოფელ იქილიდან, მუშიდან (არზრუმის პროვინცია). სოფელში 470 კომლამდე კათოლიკე სომხები ცხოვრობენ.

სოფელში ორი სომხური სკოლაა და ქართულ ენას კვირაში 5 საათი ეთმობა.

ეშტიის ქართული მიკროტოპონიმის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა არაფერს ამბობს. მთების, წყაროებისა და ადგილებისთვის საუბრისას ხელოვნურად ქმნიდნენ ან თარგმნიდნენ ტოპონიმებს ქართული კვალის დასაფარად. მცდელობის მიუხედავად, ხელოვნურად შექმნილ

ფორმებს არავითარი მომავალი არ უნდა ჰქონდეს დასამკვიდრებლად.

სოფელ ეშტიასთან, მთაზე შემორჩენილია ქართული ეკლესია ქართული წარწერით. ეკლესია სომეხ მოსახლეობას გადაუკეთებია სომხურ ეკლესიად (ნიკოლაიშვილი, სართანია და სხვ. 2016, 93).

40 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი ქართულად ვერ საუბრობს, თუმცა კი ყველაფერი ესმის. მათი აზრით, სახელმწიფო ენის არცოდნაში თვითონ არ არიან დამნაშავე, სახელმწიფოს ადრეც უნდა შეეწყო ხელი და ზომები უნდა მიეღო, რათა ქართული კარგად სცოდნოდათ. 30-40 წლის ასაკის ადამიანების ენობრივი კომპეტენცია შეიძლება შეფასდეს A2 დონის შესაბამისად. სკოლის მოსწავლეები და 30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი ცდილობს, რომ მათი ენობრივი კომპეტენცია B1 დონეს მიუახლოვდეს.

2. სოფელი **თორია** - არქივისეულ სიებში *თორია*, გვხვდება *თორიო ფორმაც* (ჯიქია 1958, 332). ს. ჯიქიას მიხედვით, 1847 წლის საბუთიდან ჩანს, რომ 1847 წელს სოფელი უკაცრიელი ყოფილა და სოფელ ხულგუმოში მცხოვრები გლეხები (14 კომლი) ითხოვენ აქ გადასახლებას, 1886-1887 წლების საბუთში თორია უკვე 45-კომლიანი სოფელია (ჯიქია 1958, 332).

ამჟამად სოფელში სომხური მოსახლეობაა, რომელიც აქ სოფელ დითიანქოიდან, მუშიდან (არზრუმის პროვინცია) მოსულა 1828 წელს. სოფლის მოსახლეობა 130 კომლამდეა. თორიაში კათოლიკე სომხები ცხოვრობენ.

სოფელში სომხური სკოლაა, სადაც ადგილობრივები ასწავლიან ქართულ ენას.

სოფლის მთებისთვის, წყაროებისა და სხვადასხვა ადგილებისთვის მოსახლეობა ქართულ ტოპონიმას არ ასახელებს, ხოლო მათ მიერ ჩამოთვლილი და თითქმის ყველა სოფელში გამეორებული *ახბიურ*, *ქართოსარ*, *ბალალიკ*, *იერგარსარ* მხოლოდ მითითებაა ობიექტზე ან კიდევ სახელდახელოდ შექმნილი ან თარგმნილი.

სოფელში იყო ძველი ქართული ეკლესია, რომლის ნანგრევებზეც ააგეს სურფ დომინიკოს სალოცავი. აქვე შემორჩენილია ქართული ეკლესიის ნანგრევები და სასაფლაო 2 ცხენ-ვერძით.

სულ რაღაც ორი ათწლეულის წინ მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობისთვის ამ სოფელშიც და მთელ ჯავახეთში სახელმწიფო ენის ცოდნა არც საჭიროება იყო და არც ვალდებულება. დღეს ორივე საკითხი დღის წესრიგში დგას მოსახლეობისთვის, ის საჭიროებაც არის და ვალდებულებაც, თუმცა საჭიროებისა და გამოყენების საკითხი უფროა ხაზგასმული მათთან ინტერვიურებისას.

რაც შეეხება სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხს, მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ყოველდღიური პრობლემების დიდი ნაწილი ენასთან არის დაკავშირებული. 50-60 წლის ასაკობრივი ჯგუფი აღნიშნავს:

- აქ 20 წლის წინ დაიწყეს ქართული ენის სწავლა;
- ერთმანეთთან მხოლოდ სომხურად ლაპარაკობენ;
- ერთმანეთთან საუბრისას აღარ იყენებენ რუსულს;
- ვერ ლაპარაკობენ ქართულად;
- ძალიან უნდოდათ სცოდნოდათ ქართული;
- 30-40 წლის ასაკობრივმა ჯგუფმა წერა-კითხვა იცის, ესმით, მაგრამ ლაპარაკი უჭირთ;
- 15-20 წლის ასაკობრივი ჯგუფი B1 დონეს უახლოვდება ქართული ენის ცოდნით;
- 10-15 წლის ასაკის ბავშვებმა დღეს უკვე სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით კარგად იციან ენა.

სხვა სოფლებში ჩამოთვლილ მიზეზებს მოსახლეობა უმატებს:

- აქ 20 წლის წინ დაიწყეს ქართული ენის სწავლა რეალურად, რადგან მანამდე მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა ქართულ ენას სასწავლო პროგრამაში;
- საბავშვო ბაღის არარსებობა; ისინი მიიჩნევენ, რომ საბავშვო ბაღიდანვე ქართული ენის სწავლება უფრო გაადვილებს ენის შესწავლას;
- სამუშაო ადგილების სიმცირე. მათი დასაქმება ხელს შეუწყობდა ენის უკეთ ცოდნას;
- ქართული სატელევიზიო არხების არქონა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზებით.

რესპოდენტები მიუთითებენ, რომ ქართულ მოსახლეობას ნარევი მეტყველებით - ქართულ-რუსულად და ქართულ-სომხურად ესაუბრებიან, თუმცა ბოლო წლებში ცდილობენ ქართულ-სომხურად ელაპარაკონ და ქართულ-რუსული მეტყველება ამგვარად ჩანაცვლონ. დღეს ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სიამოვნებით ისაუბრებდნენ ქართულად.

3. სოფელი უჯმანა - აქ მცხოვრები სომხური მოსახლეობა მას დამახინჯებით უჩმანას უწოდებს. ამჟამად სოფელში სომხური მოსახლეობაა, რომელიც აქ მუშიდან (არზრუმის პროვინცია) მოსულა 1828 წელს. სოფლის მოსახლეობა 100 კომლამდეა. სოფელში კათოლიკე სომხები ცხოვრობენ.

სოფელში სომხური სკოლაა, სადაც ქართულ ენას ასწავლიან როგორც ქართველები, ასევე ეთნიკური სომხები.

რაც შეეხება ტოპონიმებს, მთის სახელად ჩაგვაწერინეს **პატარა აბული**, რომელსაც **ქოროდლის** უწოდებენ. საყურადღებო იყო ის გარემოება, რომ სოფელში მთების, წყაროებისა და ადგილების სახელთა შესახებ აღნიშნეს: ჩვენ ასე ვამბობთ *ენტუკოლ* (გაღმა მხარე - ი. ღ.), *თახჩის მთა*, *ხორხორი* (საკუთარი სახელია), *ხალუ* (საკუთარი სახელია), *გელი ახბიურ*, **ისე ოფიციალური სახელები არა აქვს.**

სოფელში მცხოვრებთა გადმოცემით, აქაური სომხური სხვაგვარია, სხვა

მეტყველებაა, მას მშობარს (მუშის მეტყველება - ი.დ.) უწოდებენ და ამბობენ, რომ ამათი ლაპარაკი სხვა სომხებს არ ესმით. ველზე მუშაობისას გაირკვა, რომ ამათ მეტყველებაში არის სიტყვები, რომლებიც გაუგებარია სხვა სოფლების მცხოვრებთათვის, მათ კი ყველა სხვა სოფლის მეტყველება ესმით.

ენობრივი ვითარება შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

- 20-30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებმა ასე შეაფასეს თავიანთი ცოდნა: *საშუალოდ ვიცით ქართული, პატარები (პატარებმა - ი.დ.) იციან ქართული, დიდები, ჩემი ტოლები ისე არა (დიდებმა და ჩემმა ტოლებმა ისე კარგად არა - ი.დ.), ზოგი (ზოგმა - ი.დ.) იცის.*

- მათთვის პირველი ენა სომხურია (მშობლიური), მეორე ენა - ქართული (სახელმწიფო), მესამე კი - რუსული (პირველი უცხო ენა). ასევე აღნიშნავენ, რომ უკვე 10-დან 20 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისთვის ხშირად მესამე ენა (სავალდებულო უცხო ენა) - ინგლისურია.

- ზოგმაბათუმში ისწავლა ქართული, რადგან პროექტში იყო ჩართული. ძალიან მნიშვნელოვანია ქართველებით დასახლებულ სოფლებთან და ქალაქებთან ერთობლივი პროექტები ენის უკეთ ათვისების მიზნით.

- სოფელში იშვიათია კულტურული ღონისძიებები, რის გამოც ურთიერთობაც ნაკლები აქვთ სომხებსა და ქართველებს.

4. სოფელი **ყაურმა** - სოფელს **ყაურმა** თურქეთიდან 1830-იან წლებში გადმოსახლებულმა ეთნიკურმა სომხებმა უწოდეს. მის ქართულოკონიმად მიიჩნევა **გორმაკე**, რომლებიც არქივისეულ სიებშია დამოწმებული (ჯიქია 1958, 330). სოფელს **ტონთიოსაც** უწოდებენ.

სოფელში სომხური მოსახლეობაა, 90 კომლამდე, არის სომხური სკოლა. სოფელში გვაქვს XI საუკუნის ეკლესია უძველესი ქართული წარწერებით, რაც მოწმეა აქ ქართული ენის არეალის ფართო გავრცელებისა, ამის მიუხედავად, მოსახლეობა საერთოდ ვერ იხსენებს ქართული მოსახლეობის კვალსა და მიკროტოპონიმიას. სოფელი ცნობილია ტონთიოს ხუთთაღიანი ხიდით (XIII-XIV საუკუნეები). გადმოცემით, ტონთიოს უძველესი ხიდის აგება თამარ მეფეს მიეწერება.

გონდრიოს თემი:

1. სოფელი **დიდი გონდრიო** - ადგილობრივი მოსახლეობა სოფელს **დიდი კონდურას//გონდურას** უწოდებს.

ამჟამად სოფელში სომხური მოსახლეობაა, რომელიც ამ ტერიტორიაზე 1828 წელს მოვიდა მუშიდან, თარხუნიდან (არზრუმის პროვინცია), ჩიფოთიდან, ყარსიდან. რამდენიმე ადგილიდან არიან აქ ჩამოსულები. სოფელში 250-მდე კომლია.

სკოლაში ერთი სომხური სკოლაა, სადაც 200-მდე მოსწავლეა.

სოფელში მოსული მოსახლეობა არ ადასტურებს მდინარის, მთისა თუ

სხვადასხვა ადგილისთვის აქ არსებულ ქართულ ტოპონიმებს. ეთნიკური სომხების ჩამოსახლებამდე მკვიდრმა და შემდეგ აქედან აყრილმა ქართველებმა თან გაიყოლეს ადგილთა ისტორიული სახელები. დღეს სოფელში მათთვის მდინარეს, წყაროს, მთას სახელები არა აქვს; უბრალოდ მიუთითებენ, რომ ეს მდინარეა, წყაროა, მთაა.

მთას, რომელსაც *მალაკოს* უწოდებენ, **დღივის** მთაა.

40 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი აღნიშნავს, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა ქართულ ენას, წერა-კითხვა იციან, მაგრამ ლაპარაკი უჭირთ. ახალ თაობას, ახლანდელ მოსწავლეებს ქართული ენა ყოველ დღე აქვთ და მიუთითებენ, რომ ეს კარგია. მათი შეფასებით, მასწავლებლებიც კარგი ჰყავთ, 1 ქართველი და 2 ეთნიკური სომეხი ასწავლის ქართულ ენას ბავშვებს.

2. სოფელი **პატარა გონდრიო** - მოსახლეობის გადმოცემით, სოფელს ახლა *გონდრიოს* უწოდებენ, ადრე *გონდურო*//*გონდურა*//*კონდურა* იყო. დავადასტურეთ ტოპონიმის *გენდირა* ვარიანტიც.

ამჟამად სოფელში სომხური მოსახლეობაა, რომელთა გადმოცემით 1829 წელს სალადიორიდან, ვანიდან (არზრუმის პროვინცია) ახალქალაქში სავარაუდოდ 7500 ოჯახი მოსულა, რომლებიც კარგ ადგილებს ეძებდნენ დასასახლებლად. პატარა გონდრიოში თავდაპირველად 11 ოჯახი დასახლებულა. 1918 წლის შემდეგ მოსახლეობის ნაწილი ბაკურიანში გადასახლებულა. სოფელში 120-მდე კომლია.

სოფლის მოსახლეობის მეტყველებაში მდინარე *დღივის წყალი* გვხვდება *დილიფსკი ვოდას ფორმით*, *დღივის მთას* - *დილიფსკის* უწოდებენ, ტყეს კი - *დილიფს*.

სოფელში მთას *სურფ სარს* უწოდებენ, რაც ქართულად *წმინდა მთას* ნიშნავს. აქედან წასულმა ქართულმა მოსახლეობამ თან წაიღო ადგილობრივი ტოპონიმები, რამაც შესაძლებლობა მისცა აქ გვიან მოსულ სომხურ მოსახლეობას, *სურფ სარი* განეზოგადებინა და ბევრგან და სხვადასხვა ვარიანტით გამოეყენებინა.

სოფლის მოსახლეობამ დაადასტურა ტოპონიმი *ვარზეთვანი*, რომელიც **ვარდისუბნის** სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს და დიდსა და პატარა გონდრიოს შორის მდებარეობდა. დადასტურდა ასევე მიკროტოპონიმი **თელერთა**.

40 წლამდე ასაკის მოსახლეობის ქართული ენის დონე B1-ია. ამბობენ, რომ ქართული სკოლაში ისწავლეს, რადგან ქართული ენის მასწავლებელმა სომხური საერთოდ არ იცოდა, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა, რაც ხელს უწყობდა ენის უკეთ შესწავლასა და ამ დონემდე მიღწევას.

ქართული ენის სწავლის ხელშემწყობ ფაქტორად დასახელებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა თბილისში.

ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა ქართულს ეუფლება ზურაბ

ჟენიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში. ერთმანეთთან სასაუბრო ენა მხოლოდ სომხურია და ქართულს სახელმწიფო სტრუქტურებში სამსახურისას, ან ქართველებთან ურთიერთობისას იყენებენ.

3. სოფელი **დილითი** - სოფლის ქართული და ძველი სახელწოდებაა **დლივი**, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მეტყველებაში *დილითი// დილივი//დილიფ* ვარიანტებით გვხვდება.

ამჟამად სოფელში სომხური მოსახლეობაა, რომლებიც 1828-1832 წლებში ამ ტერიტორიაზე მუშიდან (არზრუმის პროვინცია) მოვიდნენ.

სოფელში ერთი სომხური სკოლაა, სადაც 4 ქართულის მასწავლებელი ჰყავთ, ეთნიკური ქართველები.

სოფლის სომხური მოსახლეობის გადმოცემით, სოფელ დილითში სათავეს იღებს *კვრკბულახ//სოროკ რადნიკ*, რომელიც ქართული **ორმოცწალია**.

მთას *დავოი სურფს* უწოდებენ, რომელიც **დავითის მთა** უნდა იყოს, სოფელში სხვა მთების აღმნიშვნელი ქართული ტოპონიმებიც უნდა არსებულებოდა, რომლებიც დღეს სახელდახელოდ შექმნილი სომხური სახელებით აქვთ შეცვლილი.

სოფელში დასტურდება ტოპონიმი **ჭინკების ველი**, რომელსაც სომხები *ხელოი ჰაღლის* უწოდებენ.

სოფელში V საუკუნის ქართული ეკლესიის ნანგრევები იყო, რომელზეც შემდეგ სომხური ეკლესია დაუმენებიათ.

მოსახლეობის გადმოცემით, აქ მცხოვრებნი ყველასგან განსხვავებულ დიალექტზე საუბრობენ და ის მკვეთრად სხვაობს მთელ ნინოწმინდაში, ახალქალაქსა და ახალციხეში მცხოვრებ ეთნიკურ სომეხთა მეტყველებისგან.

60 წლამდე ასაკის მოსახლეობის აზრით, მათ ქართული ცუდად იციან, სკოლაში კი ასწავლიდნენ ენას, მაგრამ კვირაში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდათ და მაშინ მასწავლებლები მხოლოდ მოვალეობას იხდიდნენ. დღეს ისინი წუხან ქართულის არცოდნის გამო და ამბობენ, რომ კარგი იქნებოდა, ენა სცოდნოდათ: *ქართველები* (რომლებსაც ამ სოფელში *ჩვენები* უწოდეს) *რომ მოდიან, კარგია ქართულად რომ ვლაპარაკობდეთ* (კარგია, ქართველებს ქართულად რომ ვლაპარაკებოდეთ - ი. ღ.).

ამბობენ, რომ 30-40 წლის ახალგაზრდებმა ცოტა იციან ენა, ხოლო 10-25 წლის ასაკობრივმა ჯგუფმა უფრო იცის. უკანასკნელ წლებში ეთნიკურად სომეხი ახალგაზრდები უმაღლეს განათლებას საქართველოში იღებენ.

4. სოფელი **ყულალისი** - მოსახლეობა მას რუსულად *კულალისს*, ხოლო სომხურად *ღულალისს* უწოდებს.

დღეს სოფელში ეთნიკური სომხები მოსახლეობენ, რომლებიც 1828 წელს მოვიდნენ აქ არზრუმის პროვინციიდან. სოფელში 100 კომლამდეა. სოფელში ერთი საშუალო სომხური სკოლაა, სადაც 80-მდე ბავშვი სწავლობს. სკოლაში ქართული ენის სამი მასწავლებელია.

სოფელში ჩამომავალ მდინარეს **ორმოცწეალი** ჰქვია, რომლის ვარიანტად **კვრკულახს** იყენებენ.

ადგილების სახელად ჩაგვაწერინეს: **წყალგაღმა ეკლესია**//ჯერენ ანთუნ (მინდვრის სახელია), **მურჯახეთის თარაფ** (მინდვრის სახელია), **პუჩინა** - იაილას//სამოვრის სახელია, რომელიც სოფელს გორელოვკა-თავფარავნის მხარეს დღემდე აქვს, დადიან და თიბავენ.

სოფელში გვითხრეს, რომ აქ დგას ქაჩქარი, რომელზეც მე-13 საუკუნის სომხური წარწერაა ამოტვიფრული. ექსპედიციის წევრებმა საგულდაგულოდ დავათვალიერეთ საფლავი და ქაჩქარი, ვერავითარი მე-13 საუკუნის სომხური წარწერა ვერ ვნახეთ. ძველი სომხური წარწერა აქ ვერ დადასტურდებოდა, თუ გავითვალისწინებთ სომეხი მოსახლეობის აქ მოსვლის პერიოდს.

40 წელს ზემოთ ასაკობრივმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სკოლის დამთავრებისას ქართული არ იცოდნენ და ვინც კარგად იცის, საჯარო სამსახურში მუშაობისას ისწავლა. სოფელში აღნიშნული ასაკის ორმა ადამიანმა იცოდა ენა იმ ფაქტორის გამო, რომ ერთს დედა ჰყავდა ქართველი: *დედა ნოზაძე იყო, ხაშურელი*, ხოლო მეორეს ბიცოლა, რაც ენის ათვისებისას გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა: *სოფელში ვისწავლე ქართული, ბიცოლა მყავდა ქართველი, პატივს ვცემ ქართველებს*. პირველმა რესპოდენტმა, კითხვაზე, ესაუბრებოდა თუ არა ბავშვებს ქართულად სახლში, გვიპასუხა, რომ დროის სიმცირის გამო ამას ვერ ახერხებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 50 წლამდე ასაკის ადამიანების თითქმის უმეტესობამ იცის ქართულად წერა-კითხვა, ცუდად საუბრობენ, გაგებინების დონე კი საშუალოა. მიუთითებენ, რომ რუსული უკეთ იციან, ვიდრე ქართული, რადგან სკოლაში ქართული ენის გრამატიკას ცოტა დრო ეთმობოდა.

ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ის, რომ რესპოდენტმა სოფელში მცხოვრები გვარები - *ი* დაბოლოებით ჩამოთვალა: *გევორქიანი, სარქისიანი, ანტონიანი, ნალბანდიანი, მურადიანი, არაბიანი...* **დღეს ჯავახეთში მცხოვრები სომხები გვარებს -ი დაბოლოების გარეშე წარმოთქვამენ და წერენ, რაც ეწინააღმდეგება ქართული ენის ნორმებს.**

ახალგაზრდებმა გამოკვეთეს ქართული ენის სწავლების საჭიროება, ისინი აცნობიერებენ, რომ საქართველოს სახელმწიფოში ცხოვრების აუცილებელი პირობაა სახელმწიფო ენის ცოდნა. საჯარო სამსახურშიც დასაქმება აქ რთულია სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე. მათი დონე ენის ცოდნისა ძირითადად A2-ია, ნაწილისა კი - B1. 18 წლის რესპოდენტმა აღნიშნა: *საქართველო ჩვენი ქვეყანაა და ენა გვჭირდება. ჩემი ოცნება ქართულის კარგად სწავლაა. მარტო ოცნება არ არის, ამისთვის უნდა იშრომო.*

5. სოფელი **მამწვარა** - სოფლის მოსახლეობა ერდაზურიდან (არზრუმის პროვინცია) არის მოსული 1828 წელს.

სოფელში ერთი საშუალო სომხური სკოლაა, სადაც 35-მდე ბავშვი სწავლობს.

ყველა დიდი გეოგრაფიული ობიექტი აქ მეცხრამეტე საუკუნეში დასახლებული სომხური მოსახლეობისთვის უბრალოდ დაღ, გორ ან რადნიკია. სოფელში ინფორმატორებმა სხვადასხვა სოფლის ტოპონიმები ჩაგვაწერინეს: **ფარვანა, დილიფსკი ვადა** (დლივის წყალი), **კვრკბულახი** (ორმოცწყალი).

რესპოდენტთა გადმოცემით, მათი წინაპრები ადრე თურქულ ენასაც იყენებდნენ, ახლა კი თურქული აქ აღარავინ იცის. ასევე აღნიშნავენ, რომ ნინოწმინდაში დასახლებულ სომეხთა მეტყველება განსხვავდება ახალქალაქის სომხურისგან.

ახალგაზრდებმა იციან ქართული ენა: წერა, კითხვა და ლაპარაკიც, რადგან მასწავლებლები ქართველები არიან.

სათხის თემი:

1. სოფელი **სათხე** - სოფლის ამჟამინდელი სომხური მოსახლეობა 1830 წელს არზრუმიდან არის მოსული, ჯერ სოგიუთში, წალკაში ცხოვრობდნენ და შემდეგ კი აქ დასახლდნენ. ჩამოსახლებულ სომეხებს სოფლები ცარიელი დახვდათ (ბერიძე 2010, 48).

სოფლის სახელად დასტურდება *სათხე//სატხე//სათხა//სატხა//საბხა//სადლა//სათლა* ვარიანტები.

სოფელში სომხური სკოლაა, სადაც 120-მდე მოსწავლეა. ქართულს ასწავლიან ერთი სომეხი და ერთი ქართველი მასწავლებლები.

რაც შეეხება ქართულ ტოპონიმებს, მოსული მოსახლეობა დუმს ამ საკითხზე, მათი გადმოცემით არცერთ სოფელში არავინ დახვედრიათ. აქედან ძალით აყრილმა მოსახლეობამ თან წაიყოლა ადგილთა სახელები, მაგრამ არა ისე, რომ მოსულ მოსახლეობას აქ არაფერი დახვედროდა. ამ ტენდენციის გამო, ზოგჯერ აქ თურქების მოსახლეობას უშვებენ, ბერძნებისას ძალიან ხშირად, მაგრამ ადგილობრივი, მკვიდრი ქართველებისას კი არა. აქ მცხოვრებმა ეთნიკურმა სომეხმა დააპირა გარკვეული ობიექტური ინფორმაციის მოწოდება, სხვებმა გააჩუმეს. სამი წყაროა სოფელში, რომელთა სახელდება არ ხდება, უბრალოდ წყაროებს უწოდებენ.

სოფლის შუაში ჩადის მდინარე - **ბუღდაშენის წყალი**.

30 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობა ქართულად ცუდად ლაპარაკობს, ესმით ენა. სახელმწიფო ენის არცოდნის მიზეზად, გარდა იმისა, რომ კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა, იმასაც ასახელებენ, რომ ადრე მეორე ენა რუსული იყო, რომელიც პრიორიტეტული იყო და მის სწავლებას ყველანაირად ახალისებდნენ.

სოფელში XII- XIII საუკუნეების ქართული ეკლესიაა, რომელზეც მიშენებულ-დაშენებულია სომხური ეკლესია XIX საუკუნის 70-იან წლებში.

2. სოფელი **პატარა არაქალი** - დასტურდება სოფლის სახელთა რამდენიმე ვარიანტი: *არაქალი (დიდი, პატარა), არაქალები, ირკან, ირგან, არაგალ//არაგეალ, არაკალ* (ს. ჯიქია, 58, 613). სოფლის მოსახლეობა მას არაგიალს უწოდებს და ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე ვერაფერს ამბობენ.

ახლა სოფელში სომხები მოსახლეობენ, რომლებიც აქ ყარსის სოფელ უმუდიდან/უმუთიდან და არზრუმიდან მოსულან. პირველად ისინი დასახლებულან ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოში, ხოლო 1836 წელს ხანდოდან გადმოსულან არაკალში. მათი გადმოცემით, რომ მოსულან, აქ აზერბაიჯანელები ცხოვრობდნენ, საუბარია **ქართველ მაჰმადიანებზე**, რომელთაც ნაირგვარი ეთნონიმებით მოიხსენიებდნენ, საკუთრივ **ქართველის** გარდა.

სოფელი პატარა არაქალი მდინარე თავფარავნის წყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

პატარა არაქალში 85 კომლამდე ცხოვრობს. სოფელში სომხური სკოლაა, 6 მასწავლებელი ასწავლის ქართულ ენას - 3 ქართველი და 3 სომეხი.

პატარა არაქალის მცხოვრებნი თავფარავნის წყალს მოიხსენიებენ, როგორც **ფარვანა, თაფარვანა, თაფარვანი, თაფარვანჩაი**.

რაც შეეხება მიკროტოპონიმებს, მთას **ქოროღლის//კეროღლის** უწოდებენ. მთის თავიდან მოედინება წყარო, რომელსაც სახელი არა აქვს.

მოსახლეობის შეფასებით მათი სამეტყველო სომხური დაახლოებით 30%-ით განსხვავდება სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავრცელებული სომხურისგან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი სურათი ერთია სახელმწიფო ენის ცოდნისა და კომპეტენციის შეფასების თვალსაზრისით, თითოეულ სოფელს ახალი შტრიხი შეაქვს ამ საკითხში:

- *ადრე არც აინტერესებდათ ქართული: ერთი საათი გვექონდა, მაგრამ არც ინტერესი არ იყო, მე ცოტა ვიცი* (რესპოდენტის ასაკი 66 წელია), *ახალგაზრდებმა იციან;*

- უფროს თაობას ლაპარაკი ესმის, მაგრამ პასუხს ვერ იძლევა;

- უფროსი თაობა ვერ საქმდება/საქმდებოდა ბოლო ათწლეულებში საჯარო სამსახურში ენის არცოდნის გამო;

- 1993 წლის შემდეგ გააცნობიერეს, რომ ენის ცოდნა საჭირო იყო: *ცხოვრობ საქართველოში და არ იცი ენა, როგორ იქნება ის?*

- მათი ქართული ლექსიკა შემდეგ სიტყვებს მოიცავს: *გამარჯობა, კარგად იყავი, შენი ჭირიმე, სად მიდიხარ? მოდი, დაჯე, ჭამე, პური, წყალი, გოგო, ბიჭი, ხარჯი...*

- აღნიშნავენ ქართული სატელევიზიო არხების არქონის პრობლემასაც.

1878 წელს აშენდა სომხური ეკლესია. პატარა არაკალის შესასვლელში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, ამალღებულ ადგილზე აღმართულია ტრაფარეტი, სადაც სომხურ ენაზე სოფლის სახელად **პატარა არაგეალი** წერია. სოფლის მისადგომებს არა აქვს სახელმწიფოს მიერ დადგმული ტრაფარეტები.

3. სოფელი **დიდი არაქალი** მდინარე თავფარავანის წყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. სოფელში 200 კომლამდე სომხური მოსახლეობა ცხოვრობს.

„ამ სოფლის ძველ ქართულ ეკლესიას ორი კედელია დარჩენია, ისიც მთლიანად შემოძარცვული. აქვე არის დიდი ქვაჯვარი წარწერით“ - ამ სიტყვების ავტორი მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოგზაურობდა ჯავახეთში და დააფიქსირა აღნიშნული ფაქტი. დღეისათვის აღარც ქართული ეკლესიაა და აღარც ქვაჯვარი. ქართულ ეკლესიაზე დააშენეს სურფ სტეფანოსის სახელობის სომხური ეკლესია, რომელშიც ძველი ქართული ეკლესიის ქვებიც არის ჩატანებული.

სოფლის სახელთა შორის აკადემიკოსი სერგი ჯიქია უპირატესობას ანიჭებდა **არაკალ** ფორმას (ჯიქია 1958, 339-340). არაკალს ასე განმარტავს საბა: ვენაჯის ეტი, ეტი ვენახისა (სულხან-საბა ორბელიანი 1991, 60). ქართულში „ეტს“ მრავალი მნიშვნელობა აქვს: 1. ვენახის ან ბაღის ნაწილი; 2. სარწყავად გაყვანილი კვალი; 3. მიჯნად გამოყენებული კვალი მამულში; 4. სარწყავად დაყოფილი მიწის ერთი ნაკვეთი (ბერიძე 2008, 123).

ენობრივი სურათი სოფელ *პატარა არაქალის* იდენტურია.

4. სოფელი **ოროჯოლარი** - ინფორმატორთა აზრით, სოფლის სახელი მომდინარეობს **ორაქალიდან**, რადგან მდინარე თავფარავანის წყლის ორივე ნაპირზე მდებარეობდა ორი ჭალა, ერთი მათგანი იყო მარცხენა ნაპირზე ოროჯოლარში, ხოლო მეორე მარჯვენა ნაპირზე - ბატკანაში. მოსახლეობა არზრუმიდან მოსულა 1930-იან წლებში ჯერ წალკაში, შემდეგ კი სოფელ აშკალიდან (წალკიდან) სოფელ ბატკანაში გადმოსახლებულან. მიუთითებენ, რომ ახლა **ბატკანა** და **ოროჯოლარი** ერთი სოფელია.

ასევე აღნიშნავენ, რომ *ბევრი ჰყოლიათ ბატკანი* და სახელიც ამიტომ დაერქვა, ამ ვარაუდს ამყარებს იქვე, გვერდით მდებარე გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე სოფელი **სათხე**.

მდინარეს მოიხსენიებენ **ტაფარვანა, ტოფარვანა, და თაფარვანა** ფორმებით. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ თავფარავანის წყალს **ქურასაც** (იგივე **მტკვარი**) უწოდებენ.

რაც შეეხება ტოპონიმებს, ნიშანდობლივია, რომ ისევე როგორც ნინოწმინდის სხვა სოფლებში, სოფელ ოროჯოლარშიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მოსული სომეხი მოსახლეობის მიკროტოპონიმია *რადნიკით, იოთახპურ* (რაც *შვიდწყაროს* ნიშნავს) შემოიფარგლება, მთებიდან ყველასთვის ნაცნობ *ქაჩალგორას* ადასტურებენ მხოლოდ.

ადგილობრივთა აღქმით, *საქართველო ჩემი დედამიწაა, მე აქ დავიბადე, გავიზარდე*. მიუთითებენ სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობაზე, რადგან საქართველოში ცხოვრობენ, ქართული უნდა იცოდნენ. ველზე მუშაობისას საინტერესოა ყველა დეტალი, რომელიც კვლევისას და სათანადო დასკვნების გამოტანაში გვეხმარება. ამ მხრივ, ყურადღება

მიიქცია კომენტარმა: *ახლა ჩვენ სკოლაში ქართული ენა აუცილებელია.* აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ ადრე სახელმწიფო ენის სწავლების საჭიროება არ ედგათ.

ასევე სომხურმა მოსახლეობამ ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიის ცოდნის აუცილებლობას: *საქართველოს ისტორია უნდა იცოდე დაბლიდან ზემოთ* (დასაწყისიდან დღევანდლამდე).

ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მათი შეფასება, რომ ქართველი, სომეხი ერთად არიან და სახელმწიფო ადგილობრივებს ხელს უნდა უწყობდეს.

ფოკის თემი:

1. სოფელი **ფოკა** - სომხური მოსახლეობა აქ 1828 წელს ჩამოსულა მუშიდან (არზრუმიდან), ყარსიდან, გელადან (არტაანი). *გელ* თურქული *გიოლ*-დან მოდის და *ტბას* ნიშნავს. მოსახლეობის გადმოცემით, ისტორიულ სამშობლოში ტბის ნაპირას ცხოვრობდნენ, აქ ჩამოსახლებისას, რადგან სოფელში ტბა ნახეს, დასახლება გადაწყვიტეს.

დღეს სოფელში 300 კომლამდე სომხური მოსახლეობაა.

ენობრივი ვითარების თვალსაზრისით ფოკა გამორჩეული სოფელია როგორც წარსულში, ასევე დღესაც. მოსახლეობა ამბობს, რომ მათი წინაპრები აქ რომ ჩამოსულან, თურქულად საუბრობდნენ, რადგან ამას მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური ვითარების გამო დამხვედრი თურქები აიძულებდნენ. მათი სომხური მეტყველება, სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსახლებულთა გამო, ნარევია და დანარჩენი სოფლების სომხურისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდება. ფოკაში მცხოვრები სომხების მეტყველება მსგავსია ახალქალაქის რაიონის სოფელ ბარალეთში ჩამოსახლებული სომხების მეტყველებისა და გასაგებად სხვებთან შედარებით უფრო ადვილია.

რაც შეეხება სახელმწიფო ენის - ქართულის ცოდნას:

- ნინოწმინდის სოფლებიდან ყველაზე მეტმა ადამიანმა (30-წლამდე ასაკის) აქ იცის ქართული;

- ყველაზე მეტნი, ქართულის კარგად მცოდნენი (B2 დონე), ფოკელი ახალგაზრდები არიან;

- ყველაზე მეტი სტუდენტი სოფელ ფოკიდან არის;

- ძირითადად ფოკელი სტუდენტები არიან გზამკვლევები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლებისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მომავალი სტუდენტებისთვის;

- ფოკელი ახალგაზრდები არიან თარჯიმნები, დამხმარენი უფროსი თაობის ხალხისთვის საავადმყოფოებსა და სასამართლოებში ენობრივი ბარიერის გამო;

- რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ამ თაობის ადამიანებმა (30 წლამდე

ასაკის) შეცვალეს აქაურობა, მათ სხვა მოთხოვნები აქვთ და ამაში დიდი წვლილი აქვს სახელმწიფო ენის ცოდნას;

- 30 წლამდე ასაკის ადამიანები მიუთითებენ, რომ ისინი სკოლაში ალაპარაკდნენ ქართულად ქართულის მასწავლებლის (კლარა ფოცხვერაშვილი) მეოხებით, რომელიც აქ 26 წლის წინ ჩამოვიდა და ერთადერთი იყო ამ მიმართულებით. მან დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო ურთულესი წინააღმდეგობის გადალახვა წლების განმავლობაში და მოახერხა თაობებისთვის ქართული ენის სწავლება და შეყვარება;

- ისინი იყვნენ მესამე თაობის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში დარჩნენ და უმაღლესი განათლება აქ მიიღეს (2012 წელს). უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაწყებისას ლექცია-სემინარებზე ყველაფერი ესმოდათ, მაგრამ ლაპარაკი უჭირდათ. ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობამ და ქართულ ენაზე სპეციალობის დაუფლებამ ეს ბარიერი მთლიანად მოხსნა;

- სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ახალგაზრდები სომხეთში მიდიოდნენ სპეციალობის დასაუფლებლად, რაც გაცილებით მეტ ფინანსებს მოითხოვდა მოსახლეობისგან. ერთხმად ამბობენ, რომ სომხეთში გაცილებით ძვირი უჯდებოდათ განათლების მიღება;

- ქართული ენის სწავლების დონე უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა;

- სკოლის მოსწავლეები (18 წლამდე ასაკის თაობა) ახლა უფრო მოწადინებული არიან ისწავლონ ქართული. მზაობა არის სახელმწიფო ენის სწავლისა;

- დღეს ქართულის ცოდნა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ეთნიკური სომხების უმეტესობა საქართველოში რჩება უმაღლესი განათლების მისაღებად;

- ენის სწავლების თვალსაზრისით შედეგიანი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის (კლარა ფოცხვერაშვილი) მიერ ორგანიზებული ექსკურსიები საქართველოს ყველა კუთხეში;

- ფოკის სკოლის მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით დადგმული ოვანეს თუმანიანის „გიქორით“ შემოიარეს მთელ საქართველო და ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ქართველ თანატოლებთან. დიდი იყო წვლილი ამ თვალსაზრისით კულტურის სამინისტროსი და მისი ხელმძღვანელისა;

- ეთნიკური სომხები სპეციალობად ირჩევენ ქართულ ფილოლოგიას;

- მათ სტიმული მისცეს უფროს თაობას და მათი მშობლების ნაწილმა 55 წლის ასაკში დაიწყო ქართული ენის სწავლა;

- ოფიციალური შეხვედრებისას სახელმწიფო ინსტიტუტების მესვეურები აღნიშნავენ სახელმწიფო ენის ცოდნის მაღალ დონეს ფოკაში.

აქაურები ამბობენ, რომ მათთვის პირველი ენა **სომხურია**, მეორე

ქართული, რომელმაც რუსული ჩაანაცვლა, ხოლო მესამე ენა **ინგლისურია**.
დღეს ფოკის სომხურ სკოლაში ქართული ენის 5-მდე მასწავლებელია.

2. სოფელი **ვლადიმროვკა** - ინფორმატორთა გადმოცემით, სოფელს ადრე **კუბლიკანი** ერქვა. ადრე ვლადიმროვკა რუსი სექტანტების - დუხობორების სოფელი იყო. დღეს დუხობორთაგან აქ არავინ ცხოვრობს, სოფელში მხოლოდ 1830-იან წლებში გადმოსახლებული სომხები მოსახლეობენ, სულ 23 კომლი.

სოფელში მიკროტოპონიმებიდან მხოლოდ **ქოროლისა** და **ქაჩაღორას** ასახელებენ.

სოფელში სომხური სკოლა ფუნქციონირებს. მკაცრი კლიმატური პირობების გამო, აქ მხოლოდ 7 მოსწავლე სწავლობს. მოსწავლეები მონდომებით სწავლობენ და შეუძლიათ ლაპარაკი ქართულად.

გორელოვკის თემი:

1. სოფელი **გორელოვკა** - გორელოვკა ნინოწმინდის ერთ-ერთი დიდი სოფელია. გორელოვკა დუხობორთა გამორჩეული სოფელია, რადგან სწორედ აქ არის მათი სალოცავი, რომელსაც *ობოლთა სახლს* უწოდებენ. აქ შემოესმა ბავშვის ტირილი დუხუბორ ლუკერია კალმიკოვას, რის შემდეგაც დაუარსებია ეს სახლი.

დღეს ჯავახეთში სულ დუხობორთა 35-მდე ოჯახი ცხოვრობს, ადგილობრივიმცხოვრების, დუხუბორანდრეისმაროდინისინფორმაციით, მათგან 28 ოჯახი გორელოვკაში ცხოვრობს, სოფელ სამებაში დუხუბორთა 1 ოჯახია, სოფელ ეფრემოვკაში 5 ოჯახია და სოფელ სპასოვკაში კი - 1 ოჯახი. დუხობორთა დიდი ნაწილი ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა და ტულაში ცხოვრობენ, ნაწილი კი კანადაში წავიდა. დუხობორთაგან ზოგი დღემდე სტუმრობს თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს საქართველოში და აღნიშნავენ იმ ნოსტალგიას, რომელიც მათ საქართველოში ცხოვრების წლებმა დაუტოვა.

ეთნიკური თვითაღქმის თვალსაზრისით საინტერესო იყო მათი შენიშვნა, რომ რუსეთში წასულ დუხობორებს **ქართველ დუხობორებს** გვეძახიან.

გორელოვკაში დღეს 65-მდე ქართული ოჯახი ცხოვრობს, 2009 წელს ადიგენიდან გადმოსახლებული ქართველები, რომლებიც აჭარიდან (ხულოს რაიონიდან) ადიგენში 1976 წელს ჩამოვიდნენ, 2 მესხეთიდან წამოსული ოჯახია, 1 კი - იმერლების, დანარჩენი კი სომხური მოსახლეობაა.

სოფელში მაჰმადიანთა სასაფლაოა, რომელიც, სავარაუდოდ, ქართველი მაჰმადიანების უნდა იყოს.

სოფელში სამი სკოლაა - ქართული, რუსული და სომხური. დუხობორები რუსულ სკოლაში დადიან.

ქართულად გორელოვკაშიც 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი საუბრობს. ადგილობრივთა გადმოცემით, ეთნიკურ სომხებს, გარკვეულ ნაწილს,

ქართული ესმოდათ, მაგრამ შეგნებულად არ ლაპარაკობდნენ, ვინც არ იცოდა, არ სწავლობდა ადრე. **ახლა ვითარება შეცვლილია, დღეს ქართულის ცოდნის საჭიროებაზე საუბრობენ.**

საერთოდ, ჯავახეთი, ისევე როგორც სამცხე, რამდენიმე დიალექტის შეხვედრის ზონაა, სტატის დასასრულ მოგვყავს აჭარლებისგან ჩაწერილი ტექსტი.

2. სოფელი **სამება** (ყოფილი კალინინო, ტროიცკოე) - დუხობორების სოფელი, რომლებიც 1841 წელს დასახლდნენ აქ. ტოპონიმი *კალინინო* დუხობორებმა ჩამოიტანეს.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებით სოფელ ტროიცკოეში 16 კომლი ცხოვრობდა: სტროევეები, სკაჩკოეები, პონომორევეები, ვერიგინები, პუტილინები, ფომინოეები, ვერემზაგინები, კორნუსოეები, რიბინები, დიაკოეები, ნადინები (კარგად არ იკითხება) (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1946, გვერდი 51, 52, 53, 54, 55; სულ სოფელ ტროიცკოეში - 75 სული).

სოფელში დუხობორთა 73 კომლი ცხოვრობდა, რომელთა უმეტესობა 1990-იან წლებში ტამბოვოში (მათ სამკვიდრებელში) დაბრუნდა, ნაწილი კი კანადაში წავიდა.

ადგილობრივთა ინფორმაციით, ზაფხულობით დუხობორთა ათეულობით ოჯახი ჩამოდის სამებაში. სურვილი აქვთ კვლავ აქ დაბრუნების, რადგან *სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ* და კანადაში ემიგრანტებად თვლიან თავს. საქართველოში ჩამოსვლისას წინაპათა საფლავებზე გადიან.

დღეს სოფელში ქართველთა 10, დუხობორთა 1 და სომეხთა 10 კომლი ცხოვრობს. ქართველები აქ ახალციხიდან, ნაქალაქევიდან და ასპინძიდან გადმოსულან საცხოვრებლად; ხოლო დღეს აქ მცხოვრები სომხები, ისევე როგორც სხვა სოფლებში მცხოვრებთა უმეტესობა არზრუმიდან ჩამოსულა. ჯერ ემტიაში დასახლებულან, ხოლო შემდეგ აქ გადმოსულან.

ბუღდაშენი - მდინარის სახელია, **ქაჩალგორა** - კლდის, **ჩაირები** - ჭალების სახელია. ამით შემოიფარგლება დღეს სოფლის ტოპონიმი.

ენობრივი ვითარება შემდეგია:

- სამებაში 1 ქართული სკოლაა, სადაც 10 მოსწავლე სწავლობს. ეთნიკური სომხების ნაწილი ქართულ სკოლაში დადის, ნაწილი კი მეზობელ სოფელში;

- ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ინტერესი შეიმჩნევა ქართულის სწავლის თვალსაზრისით, თუკი ადრე ქართულის სწავლის ვალდებულებასა და საჭიროებაზე სიტყვაც არ ითქმებოდა, დღეს საპირისპირო ვითარებაა. ქართულის სწავლას ემუშრებიან;

- მშობლებს სურთ, რომ თავიანთმა შვილებმა ქართული კარგად იცოდნენ, ავალებენ, რომ ქართველ ბავშვებთან ითამაშონ, ურთიერთობა ჰქონდეთ მათთან;

- IX-X-XI კლასების მოსწავლეებმა კარგად იციან ქართული;
- IX-X-XI კლასის ყველა მოსწავლე ჩართულია ზურაბ ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, რომელიც უზრუნველყოფს აქ სახელმწიფო ენის სწავლებას სკოლასთან ერთად;
 - ზემოაღნიშნული ფაქტორის გამო, ბევრმა სომეხმა აბიტურიენტმა ჩააბარა საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის არჩევით;
 - აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო ენის კარგი ცოდნით ზოგიერთი მოსწავლე 4+1 პროგრამის გარეშე, პირდაპირ აბარებს ეროვნულ გამოცდებს და ბაკალავრიატის საფეხურზე იწყებს სწავლას;
 - დღეს ეთნიკურ სომეხთა 80% თბილისში მიდის უმაღლესი განათლების მისაღებად, ძალიან მცირე ნაწილი მიდის ერევანში წინა წლებისგან განსხვავებით;
 - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ სექტორზე ჩააბარა დუხობორმა დაშა სტრუკოვამაც, რომელიც შესანიშნავი მოსწავლე იყო და მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდა;
 - მოსახლეობამ, განსაკუთრებით კი იმ ნაწილმა (45 წლამდე ასაკის ადამიანებმა), ვისაც სწავლება-სწავლის პროცესთან აქვს შეხება, საშუალოდ იცის ქართული, ეს შესამჩნევია, რადგან სასწავლო ბაზებთან აქვთ ურთიერთობა, მაგრამ არ ლაპარაკობენ, მათი საურთიერთო ენა ქართველებთან რუსულია;
 - ქართველმა ბავშვებმაც ძალიან კარგად იციან სომხური და სწორედ ის გარემოება, რომ ერთმანეთის ენები კარგად იციან, განაპირობებს კარგ ურთიერთობას სოფლის ქართულ და სომხურ მოსახლეობას შორის;
 - აცხადებენ, რომ სკოლა აქ უნდა იყოს დედაბოძი, რადგან სასაზღვრო ზონაზეა საუბარი.

3. სოფელი **სპასოვკა** - რთული და საინტერესო ისტორიის მქონეა. სპასოვკა დუხობორების ყოფილი სოფელია, რომლებიც აქ 1841 წელს ჩამოსულან და 1991 წელს საქართველოს მიწაზე ცხოვრების 150 წლისთავი გადაიხადეს.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებით სოფელ სპასკოიში 25 კომლი ცხოვრობდა: შ(მ)ალოვები (არ იკითხება კარგად), ბაბაევები, ციბულკინები, გერასიმოვები, შიროშნიკოვები, კოლესნიკოვები, ფადეევები, ვოიკინები, გოლუბოვები, ვბიტნევი, სტრელიაევი, კურბატოვები, ვერიგინები, შჩერბაკოვები, დოროჟოვები (კარგად არ იკითხება), ტრუბშჩინები (კარგად არ იკითხება), კუტნიაკოვები (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1946, გვერდი 61, 62, 63, 64, 65, 66, 67; სულ სოფელ სპასკოიში - 129 სული).

სოფელში დღეს ქართველები, სომხები და დუხობორები ცხოვრობენ: 71 კომლი ქართველების (68 ოჯახი აჭარიდან გადმოსახლებულების, 3

ოჯახი მესხეთიდან გადმოსახლებულების), 10 კომლი - სომხების, 1 კომლი - დუხობორების.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს დატოვეს დუხობორებმა სოფელი: *1996 წელს იყნენ, ჩვენს მერე წავიდენ, ერთი ხუთი წელი მაინც ჩემი მეზობლები იყნენ, კაი ხალხი იყნენ* (ნოდარ მეკვიძე). ზოგი ტულაში წავიდა, ზოგი - როსტოვში, ზოგი კი კანადაში. სოფელში დუხობორთა ერთი ოჯახია დარჩენილი, კურბატოვის, რომელმაც არ დატოვა სოფელი, აქ მყავსო ყველა.

მასკალსკების ოჯახი მესხეთიდან 33 წლის წინ, 1990 წელს მოსულა სპასოვკაში (ნოდარ მასკალსკის გადმოცემით, 1935 წელს ჩამოსულან პოლონელები, გერმანელები და ებრაელები. ჯერ თელავში წავიდნენ და შემდეგ განაწილდნენ სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში).

1990 წლის მაისში ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან ჩამოუსახლებიათ სპასოვკაში: მეკვიძეები, ვანაძეები, ნაკაიძეები, ბერიძეები, დავითაძეები, შავაძეები... მათი ნაწილი 1996 წელს მოსულა აქ: *ოთხმოცდათექსმეტში ჩამოვედი, ხონში ვცხოვრობდი, გავაგდე ხონში, მეხუთე ზონაში ვცხოვრობდით*. ძალიან რთული აღმოჩნდა ქართველებისთვის თავიანთ მიწაზე, ჯავახეთში ცხოვრება, ყოველმხრივ მძიმე პირობები შეუქმნეს თავდაპირველად მათ. სოფელში სულ დუხობორები და სომხები იყვნენ და ყველამ პროტესტი გამოხატა ქართველთა ჩამოსახლების გამო. არ სურდათ, რომ აქ ქართველები მოსულიყვნენ. როგორც იური ვანაძე იხსენებს, 305 ოჯახი იყო სიაში. მერაბ კოსტავას ფონდი მუშაობდა ამ მიმართულებით და ამ 305 ოჯახისთვის ფონდს მიწა და სახლები უნდა შეეძინა. 305 ოჯახიდან ბოლოს 11 ოჯახიღა დარჩა, რომელთათვისაც ფონდმა სახლები შეისყიდა: *არ უნდოდათ, აქ ვყოფილიყავით, ვიფიქრე, არ გავიქცევი და მოვკვდე აქ-მეთქი* (იური ვანაძე, დაბადებული 1941 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან ნინოწმინდის რაიონის სოფელ სპასოვკაში დასახლებული).

ყველაზე ცუდი, უვარგისი მიწები მიუციათ ქართველებისთვის, კარგი მიწები სომხებს ჰქონდათ.

დუხობორებს მიკროტოპონიმია არ შეუქმნიათ, სათიბის სახელად დასახელდა *ტერპენიე*.

ქართველებს რაც დახვდათ ადგილთა სახელებად, ის დღემდე უცვლელად დარჩა. მათი გადმოცემით, ბევრჯერ უცდიათ სოფლისთვის სახელის გადარქმევა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდაო.

სოფელში 2 სკოლაა - ერთი ქართული, სამუალო სკოლა და ერთი სომხური - 9-კლასიანი. დიდი ბრძოლა დასჭირდათ ქართველებს ამ სოფელში ქართული სკოლის გახსნისთვის. იური ვანაძემ აღნიშნავს: *შვიდი წელი ვიბრძოლე, რომ ქართული სკოლისთვის შენობა მოეცათ. 16 ბავშვზე გავხსენი სკოლა, რომ ჩამოვედი*.

- ის ფაქტი, რომ სპასოვკა დღეს ქართველების სიმრავლით

გამოირჩევა, ენობრივ ვითარებასაც განსხვავებულად წარმოგვიდგენს, აქ ახალგაზრდების სასაუბრო ენა ეთნიკურ სომეხთა და ქართველთა შეხვედრისას ქართულია.

- სწორედ სახელმწიფო ენის ცოდნაა ძირითადი ფაქტორი და განმაპირობებელი იმისა, რომ ქართველებსა და სომეხებს ერთმანეთთან კარგი დამოკიდებულება აქვთ;

- აქმკვიდრი ქართველები ცდილობენ რაიონში მხოლოდ ქართულად ილაპარაკონ, თუ ძალიან გაუჭირდებათ, მაშინ ცდილობენ რუსულის მოშველიებას;

- გამოკითხვით ირკვევა, რომ ახლა სოფელში ყველა ეთნიკურმა სომეხმა იცის ქართული ენა. სოფელში ქართველთა რიცხობრივმა უპირატესობამ, რასაც დღის წესრიგში დამდგარი სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროებაც წაემველა, შეცვალა ენობრივი სურათი;

- **სოფელი დიალექტთა შეხვედრის ზონაა, აქ ერთმანეთს ხვდება მესხური, აჭარული და გურულიც კი.** ჩვენი რესპოდენტი (აჭარიდან ჩამოსახლებულთა ოჯახიდან) ნახევრად გურიაში იყო გაზრდილი და აღნიშნა: *გურული კილოც მაქვს, აჭარულიც და აქაური, ადვილად ვიკიდებ* (იოლად ვიდებ სხვადასხვა კილოს - ი.ღ.).

- უფროსი თაობის ქართველები აჭარულ დიალექტზე საუბრობენ, ხოლო საშუალო და ახალგაზრდა თაობის წარმოდგენლებს, მესხებთან და ჯავახებთან ხშირი კავშირების გამო, უკვე შერეული მეტყველება აქვთ.

- ქართველთა ახალგაზრდა თაობამ უკვე სასკოლო ასაკიდან იცის სომხური ენა, თუმცა სომეხ თანატოლებთან ქართულად საუბრობენ.

4. სოფელი **ეფრემოვკა** - დუხობორთა სოფელი, რომლებიც საქართველოში 1841 წელს მოსულან, რაზეც მეტყველებს მათ სასაფლაოზე დადგმული ქვის წაწერა. ამ პერიოდში ეფრემოვკის დასახლებაში 18 კომლი ცხოვრობდა: პერსტოვები, ილიასოვები... (არ იკითხება კარგად), ლარინები, ფოფონოვები, ტოლმაჩევიები, საპუნოვები, ბაგურინები, შერსტობიტოვები... ცხოვრობდნენ.

1992 წელს დუხობორებმა დატოვეს საქართველო და ტულის ოლქში წავიდნენ. დღეს სოფელში დუხობორთა 3 ოჯახია (ზოგი ინფორმაციით 5), სულ 15 სული. წასული დუხობორები, ადგილობრივთა ინფორმაციით, დროდადრო აკითხავენ სოფელს.

მას შემდეგ, რაც დუხობორებმა დატოვეს სოფელი, მათი ადგილი 1990-იან წლებში პატარა არაქალიდან, სათხიდან და ფოკიდან (1 ოჯახი) გადმოსახლებულმა სომეხებმა დაიჭირეს, რომლებიც, თავის მხრივ, აქ არზრუმიდან და ყარსიდან ჩამოვიდნენ. დღეს ეფრემოვკაში ცხოვრობენ 36 კომლამდე სომეხები, ასევე 1990-იან წლებში ასპინძიდან გადმოსახლებული 2 ქართული ოჯახი - კენჭოშვილებისა და ბერიძეებისა.

სოფლის მოსახლეობის მიერ მიკროტოპონიშია **მადატაფით**

შემოიფარგლება, რაც სხვა სოფლების მონაცემებთან ერთად აქ როგორც სომხური, ასევე დუხობორების გვიან მოსულობაზე მეტყველებს.

სოფელში ცხრაწლიანი სომხური სკოლაა, რომლის მოსწავლეებთან გასაუბრება გვამღევს საშუალებას ვილაპარაკოთ როგორც ბავშვების, ისე მშობლების დიდ ინტერესზე სახელმწიფო ენის კარგად დაუფლების შესახებ, რაც, მათი აზრით, გარანტია სახელმწიფო და კარგი სამსახურის პოვნისა ქვეყანაში.

5. სოფელი ორლოვკა - დუხობორების სოფელი. ორლოვკას ადრე *ტერპენიე* ერქვა. დუხობორები სოფლიდან 1990-94 წლებში, ადგილობრივ ქართველ მცხოვრებთა გადმოცემით, ტულაში წასულან. ყოველ დღესასწაულზე ჩამოდიან, *პეშერა* აქვთ და იქ ლოცულობენ. დღეს სოფელში 3 დუხობორია დარჩენილი.

მათი აქედან წასვლის პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა ქართველთა და სომეხთა აქ ჩამოსახლების პროცესი. დღეს სოფელში 65-70 კომლია. ქართველების 20 ოჯახი ჩამოსულა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრიდან, რომელთაც მერაბ კოსტავას ფონდმა შეუძინა სახლები. ნაწილმა ერთი წელიც ვერ გაძლო, ერთი მხრივ, ცივი კლიმატის გამო, ხოლო მეორე მხრივ, აქ ჩამოსახლებულ სომეხთაგან (რომელთაც სომხეთის ფონდმა უყიდა სახლები) შევიწროების გამო, რომლებიც გასაქანს არ აძლევდნენ ქართველებს, ყველა სახნავ-სათეს მიწას თვითონ ისაკუთრებდნენ და ეუბნებოდნენ, საიდანაც მოხვედით, ისევ იქ წადითო. ინფორმატორთა გადმოცემით, მძიმე იყო ცემა-ტყეპის გამართვა.

სოფელში სუსტია გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, ქართული მიკროტოპონიმია არსებითად გამქრალია, თუმცა ასახელებენ დუხობორთა მიერ შერქმეულ სახელს მთისთვის *უზიკი ბალკა*, სადაც ქართველების ეკლესიაც არის და სომხებისიც. ქართული ეკლესიაში ქართული წარწერებია. *აქ ნასახლევეები ყოფილა, სახლების ადგილებიც ჩანს.*

ასევე სოფელში არის ადგილი, რომელსაც დუხობორები *ოზეროს* ეძახდნენ. ადრე აქ სოფელი ყოფილა, ეკლესიაც ყოფილა, რომელიც წყალს ჩაუტანია.

მოსულმა ეთნოსებმა ქართველთა საცხოვრისზე ტოპონიმები რომ ვერ შექმნეს, ამის მაჩვენებელია აგრეთვე მთისთვის პრიმიტიული სახელდება და მისთვის *სვეტოის* დარქმევა.

მდინარეს *ტაპარვანას* უწოდებენ.

- სოფელ ორლოვკაში ერთი საჯარო სკოლაა, რომელიც ქართული და სომხური სექტორებისგან შედგება. ქართული და სომხური სექტორები სხვადასხვა შენობაშია განთავსებული. ინფორმატორთა გადმოცემით, როცა ახალი შენობა აშენდა ქართული სექტორისთვის, სომხებს სურდათ, ახალი შენობაში სომხური სექტორი განეთავსებინათ, რაზეც ქართველი მასწავლებლებისგან უარი მიიღეს. ქართული სექტორი 2012 წელს გაიხსნა.

მიიჩნევენ, რომ სოფელ ორლოვკაში უნდა იყოს არა ქართული სექტორი, არამედ ქართული სკოლა. ქართულ სექტორზე 30 მოსწავლე სწავლობს, სომხურზე - 48.

- უფროსი თაობის (60 წელს ზემოთ) ქართველები აღნიშნავენ, რომ აქ დასახლებისას არც რუსული იცოდნენ და არც სომხური;

- 40 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები კი რუსებთან და სომხებთან ერთად იზრდებოდნენ და სუფთად იციან სომხურიც და რუსულიც;

- ქართველების უმცროსმა თაობამ კი დღეს სოფელში კარგად იცის სომხური;

- მასწავლებლების ნაწილს უმაღლესი განათლება თბილისში აქვს მიღებული, ნაწილს კი - ერევანში;

- ზემოთ აღინიშნა, რომ სოფელში მიწასთან დაკავშირებით პრობლემებს ქმნიდნენ ეთნიკური სომხები, რაც აისახა საშუალო თაობის ადამიანებზე ენის არცოდნის თვალსაზრისით. დღეს ქართველებსა და სომხებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ, რაც აძლიერებს ქართული ენის სწავლებას სოფელში.

6. სოფელი **ქდანოვი** - მოსახლეობა სოფელს *ქდანოვაკანის* ფორმით მოიხსენიებს. ადრე *ქდანოვაკანი* იყო, ახლა კი *ქდანოვი* გახდა. 1939 წლამდე ამ სოფელს *ეჟოვაკანი* ეწოდებოდა. სოფელში 100 კომლამდე, 350 სული ცხოვრობს. სოფელში კათოლიკე სომხები ცხოვრობენ, რომლებიც აქ მუშიდან (არზრუმის პროვინცია), არტაანიდან, ყარსიდან და ვანიდან ჯერ სოფელ ეშტიში მოვიდნენ, ხოლო ეშტიიდან აქ გადმოსახლდნენ.

სოფელ ქდანოვში 1 საჯარო სკოლაა, სადაც 80-მდე ბავშვი სწავლობს. ენობრივი ვითარება სხვა სოფლების ანალოგიურია. უფროსი თაობა საყვედურობს შესაბამის სტრუქტურებს, რომ არ იზრუნეს მათთვის თავის დროზე და ქართული ენა არ ასწავლეს. **თავის მხრივ კი დავამატებდით, რომ ეს სურვილი და პრეტენზია ადრე არცერთ ეთნიკურ ჯგუფს არ გასჩენია საქართველოში, მით უფრო ჯავახეთში. დღეს დღის წესრიგში დადგა სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება, რაც ყველაზე სწრაფად ახალგაზრდა თაობამ გაიაზრა.**

მოსახლეობის აზრით, ქართული სატელევიზიო არხები ხელს შეუწყობდა ენის სწავლებასა და განმტკიცებას, რაც დღემდე არა აქვთ სოფელში.

რაც შეეხება სოფლის სახელწოდებას, დღემდე ვერ მოხერხდა და არ შეცვლილა ნომენკლატურული ტოპონიმი *ქდანოვი*.

ტამბოვკის თემი:

1. სოფელი **ტამბოვკა** - დუხობორების სოფელი თავფარავნის ტბის ჩრდილოეთით. ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებით სოფელ ტამბოვკაში 1842 წელს დუხობორთა 12 კომლი ცხოვრობდა (პანერეროვები,

ნიკიტინები, ილინები, შჩეკინები, ლარინები, გონჩაროვები, კონდრატევი, ვორონოვი, ლარიონოვი, სიბურიაევი, ანდრეევი, რასტენკოვი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1946, გვერდი 72, 73, 74, 75, 76; სულ სოფელ ტამბოვკაში - 74 სული)

დღეს სოფელი დუხობორებისგან დაცლილია, აქ მხოლოდ დუხობორების ერთი ოჯახი ცხოვრობს.

ტამბოვკას ადრე **ჭაჭკა** ერქვა. სოფელში ჩამოედინება მდინარე **ჭაჭკა**, რომელსაც *ჩაშკა* ვარიანტითაც იყენებენ. **ჭაჭკა** ორმოცწყაროდან (*კვრკბულახ*) იღებს სათავეს. მდინარე ერთმანეთისგან ყოფს ტამბოვკასა და მასში შემავალ ახალი ხულგუმოს დასახლებას. 1969 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ ხულგუმოდან გადმოსულა მოსახლეობა აქ და ამიტომაც დაერქვა ახალი ხულგუმი.

მეორე მდინარისთვის მოსახლეობას სახელი არ შეურქმევია. ტოპონიმებად მხოლოდ **შაორს**, **ქოროდლს** ასახელებენ მთების სახელებად და დუხობორების მიერ დატოვებულ **კარტომნი ბალკას** ადგილის სახელიად.

ტამბოვკაში 36 ოჯახი ცხოვრობს.

ენობრივი ვითარების თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, ტამბოვკის მცხოვრებთა უმეტესობა სოფელ ველიდან გადმოსახლებულ ქართველთა შთამომავლები არიან, რომელთაც შემდეგ ეთნიკური იდენტობა შეუცვალეს. ინფორმატორთა გადმოცემით, მათ წინაპრებს რწმენა არ შეუცვალეს, მშობლიური ენა კი შეუცვალეს. ზოგიერთ მათგანს ნათესავებიც ქართველები ჰყავს. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელო არ არის ის, რომ ტამბოვკის მცხოვრებნი, განსაკუთრებით კი მასწავლებლები ჩინებული ქართულით მეტყველებენ. 50 წელს გადაცილებული ასაკობრივი ჯგუფი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობაში გაცილებით უკეთ საუბრობდნენ ქართულად.

სოფელში რუსული სკოლა ფუნქციონირებს, სადაც 28 ბავშვი სწავლობს. ტამბოვკაში, ისევე როგორც ყველგან, ქართულ ენას კვირაში 5 საათი ეთმობა და ქართულად მხოლოდ გაკვეთილზე ლაპარაკობენ მოსწავლეები. სკოლის, განათლების ენის გადამწყვეტი ფაქტორიდან გამომდინარე, ბავშვებმა რუსული ენა უკეთ იციან, ვიდრე სომხური.

2. სოფელი **როდიონოვკა** - სოფლის ადრინდელი სახელი **ფარაფანია**, რომელიც 1840-იან წლებში აქ ჩამოსულმა და დასახლებულმა დუხობორებმა შეუცვალეს სოფელს. სოფელი თავფარაფანის ტბის ნაპირას მდებარეობს, რომელზედაც საქართველოს ისტორიული გზა გადიოდა. სოფლის მნიშვნელობაზე მეტყველებს აქ დღემდე შემორჩენილი უნიკალური ქარვასლა.

ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალებით როდიონოვკის დასახლებაში 15 კომლი ცხოვრობდა: ლუკიანოვები, ევსიუკოვები (კარგად არ იკითხება), ვორობიოვები, მატროსოვები, პაროხინები, ემელიანოვები, ტელუშკინები, ზინოვიევი, აბეჟკოვები (კარგად არ იკითხება),

პორშინები (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1946, გვერდი 56, 57, 58, 59, 60; სულ როდიონოვკის დასახლებაში - 97 სული).

დღეს როდიონოვკაში არზრუმიდან და ყარსიდან გადმოსახლებულ სომეხთა შთამომავლები სახლობენ ქართველთა და შემდეგ ჩამოსულ დუხობორთა ნასახლარებზე. სოფელში 65 კომლამდე ცხოვრობს.

ტბას ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის უფროს თაობასაც ქართული კარგად ესმის და ელემენტარულ დონეზე ლაპარაკი შეუძლია, **ფარავანის ტბას** უწოდებს.

სოფელში ორად-ორი ტოპონიმი დადასტურდა დუხობორთაგან დარჩენილი: *კურგან* და *კრასნი კურგან* მთების სახელად.

როდიონოვკაში 1 სომხური სკოლაა, სკოლის მოსწავლეები კარგად ფლობენ ქართულს და სულ უფრო და უფრო იშვიათად იციან რუსული, მშობლებისგან განსხვავებით. ადგილობრივებთან საუბრისას აღინიშნა ქართული ენის კარგად ცოდნის საჭიროება და ისიც, რომ სახელმწიფო ენა პირველ ადგილზე უნდა იდგეს საქართველოში ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის.

3. სოფელი **ასფარა** - სოფლის თავდაპირველი სახელია **ასპანა**, *ასფარა* გვიანდელი ფორმაა, რისი დამადასტურებელიცაა ხალხური ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“: *თავფარავნელი ჭაბუკი/ ასპანას ქალსა ჰყვარობდა,/ ზღვა ჰქონდა წინად სავალი,/ გასვლას შიგ არა ზარობდა* (<https://www.aura.ge/103-saskolo/7967-xalxuri-balada--tavfaravneli-tchabuki.html>.)

დღეს სოფელი მთლიანად დაცლილია მოსახლეობისგან, შემორჩენილია ქართული ტაძრის ერთი კედელი.

ხანჩალის თემი:

1. სოფელი **დიდი ხანჩალი** - სოფლის სახელი *ხანჯალს* უკავშირდება, რასაც ადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი. სოფელში 350 კომლი სომხური მოსახლეობაა. ამჟამად აქ მოსახლე სომხების წინაპრები სოფელ ჰანძადან (არზრუმის პროვინცია) მოსულან 1830-იან წლებში, ჯერ სხვაგან დასახლებულან და ხანჩალში 1890 წელს მოვიდნენ. მათი გადმოცემით, როცა აქ მოსულან, არავინ დახვედრიათ, მაგრამ სოფელში ნასახლარები და ციხესიმაგრის ნანგრევები იყო შემორჩენილიო, რაც, რასაკვირველია, აქედან სხვადასხვა მიზეზით აყრილ ქართველთა ნამოსახლარები იყო.

ტოპონიმებიდან ყურადღება მიიქცია მთის სახელმა - **ელდოდდი**, რაც **ელის მთას** უნდა ნიშნავდეს და პირველად ამ სოფელში დავაფიქსირეთ. აღნიშნული ტოპონიმი ანგარიშგასაწევია ადგილების სახელდების პროცესისთვის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში.

რაც შეეხება დანარჩენ ტოპონიმებს, აქაც დასტურდება ყველგან

გავრცელებული აგრი მდინარის სახელად, რაც მრუდე, მიხვეულ-მოხვეულ წყალს ნიშნავს.

- უფროსი თაობის წარმომადგენელმა დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი ასე გამოხატა: *ქართული მიწა და როგორ იქნება, ქართულად არ ილაპარაკო;*

- სოფელში 1 სომხური საჯარო სკოლაა. სომხურ მოსახლეობას გაცნობიერებული აქვს ენის ცოდნის საჭიროება. მნიშვნელოვანი იყო მათი განცხადება: *ენა რომ არ ვიცით, კანონს ვერ ვკითხულობთ;*

- **საინტერესო იყო ხაზგასმა ენის ეკონომიკური ღირებულების ფაქტორზე.** ენის ცოდნის საჭიროება კანონების გაგების შემდეგ ვაჭრობისა და, საერთოდ, ბიზნესაქმიანობისთვისაც არსებითი ხდება, რადგან თუკი ოფიციალურ მხარეს გავითვალისწინებთ, დოკუმენტაცია სახელმწიფო ენაზეა შესავსები და სურთ, თვითონაც გაგიგონ, რა იწერება დოკუმენტში, მეორე მხრივ კი, ამბობენ, რომ ქართულის ცოდნის გარეშე ვაჭრობა ჭირს. ახლა ძირითადად ქართველებთან უწევთ აღებ-მიცემობა, რაც ენის ცოდნას საჭიროებს. ასევე აღნიშნავენ, რომ ქართველებსა და სომხებს ერთნაირად მძიმე ისტორია აქვთ გადატანილი, ქართველებმა ისინი მიიღეს და ეს დასაფასებელია.

- სოფლის ახალგაზრდების უმეტესობა დღეს სამცხე-ჯავახეთში ან თბილისში მდებარე უმაღლეს სასწავლებლებში იღებს განათლებას. ისინი იმდენად მოხიბლული არიან თბილისით, რომ, უფროსის თაობის ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა: *თბილისი ისეთი ქალაქია, არსად არ არი, ერევანიც კაია, მაინც ისეთი არ არი.*

2. სოფელი **პატარა ხანჩალი** - სოფელში სომხური მოსახლეობა 1828 წელს ქოჩქიდან, მეღუდან, დინარი ქუმიდან (არზრუმის პროვინცია) მოსულა.

ახალგაზრდებთან ველზე მუშაობისას და ინტერვიურებისას, აღნიშნა:

- 30 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები სომხურად და რუსულად საუბრობენ; ამბობენ, რომ მათ შეუძლიათ ქართულად ლაპარაკი;

- ზემოაღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის 80%-მა იცის ქართულად წერა-კითხვა, წაკითხულის 30%-ს იაზრებენ;

- უმეტესობა აღნიშნავს, რომ სომხეთში (დიდი ნაწილი ერევანში) აპირებდა განათლების მიღებას და ამიტომ არ იცინა;

- 20-25 წლის ასაკობრივმა ჯგუფმა და სკოლის მოსწავლეებმა ქართული იცინა;

- სტუდენტების უმეტესობა დღეს თბილისში, სამედიცინო ინსტიტუტებში სწავლობს, 5-6 სტუდენტი ეუფლება სპეციალობას ერევანში;

- მიუთითებენ, *თუ საქართველოში ცხოვრობ, ქართული უნდა იცოდე.*

არანაკლებ საინტერესოა უცხო ენების სწავლებასთან დაკავშირებით მათი აზრი, 30 წლის და ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი პირველ უცხო ენად რუსულს მიიჩნევს, მეორე უცხო ენად - ინგლისურს. საპირისპირო ვითარება გვაქვს სკოლის მოსწავლეებთან, დღეს ისინი ამბობენ, რომ ინგლისური სავალდებულო ენაა, გარდა ამისა, უცხო ენათა არჩევანი დიდი არაა, ამბობენ, რომ ფრანგულ და გერმანულ ენებს არ ასწავლიან, საამისო არჩევანი არ არის.

3. სოფელი **კატნატუ** - სოფლის სახელს *ბევრ რძეს* უკავშირებენ. სოფლის სომხური მოსახლეობა აქაც მუშიდან არის მოსული.

სოფლის ტოპონიმიდან საყურადღებო იყო **ელდალი**, იგივე **ელიას მთა**, რაც დიდ ხანჩალშიც დავადასტურეთ. ასევე ერთ მთას უწოდებენ საყოველთაო გავრცელებულ **სუფსარქისს** (*წმინდა მთა - ი. ღ.*)

- სოფელში ცხრაწლიანი სკოლაა, ამიტომ სრული საშუალო განათლების მისაღებად სოფელ ხანჩალში დადიან;

- სკოლის მოსწავლეები ამბობენ, მართალია, ქართულ ენას კვირაში ხუთი საათი ეთმობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის ენის სათანადო ცოდნისთვის;

- ენას რომ უკეთ დაეუფლონ, ახალგაზრდების უმეტესობა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში დადის. როგორც საუბრიდან ირკვევა, ეს სკოლა არის გარანტი ქართულ ენაში გამოცდის კარგად ჩაბარებისა;

- ყველა ეთნიკურ სომეხს ჯავახეთში სურს პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღება, ერთმა აღნიშნა გეოდეზიას მინდა დავეუფლო თბილისშიო. ასევე აღნიშნავენ პროფესიული განათლების მაღალ დონეს (მზარეულის პროფესიული პროგრამები) საქართველოში.

ჯიგრაშენის თემი:

1. სოფელი **ჯიგრაშენი** - ადგილობრივთა ინფორმაციით არსებობს **ჯიგრაშენი**, რომელიც *შურისძიების ადგილს* ნიშნავს და ჯიგრაშენთან ახლოს მდებარეობს **ტიკაშენი**, რომელიც დიკას უკავშირდება და *ბევრ ხორბალს* ნიშნავს. ორივე ეტიმოლოგია ხალხურია და მეცნიერულ საფუძველს მოკლებული.

დღეს სოფელში 200 კომლამდე სომხური მოსახლეობა და რამდენიმე კომლი ქართველი ცხოვრობს. სომხები ჯიგრაშენში 1828 წელს მუშიდან (არზრუმის პროვინცია) და ყარსიდან მოსულან, ჯერ სოფელ კლდეში დასახლებულან, არ მოსწონებიათ საცხოვრებლად და ტიკაშენში გადაბარგებულან, სადაც, მათი ინფორმაციით ადრე ქართველები ცხოვრობდნენ. ტიკაშენიდან კი ჯიგრაშენში გადმოსახლებულან. მათი განსახლების გეოგრაფია გადმოცემით ასეთია.

ახალგაზრდა თაობის აზრით:

- ენის სათანადოდ არცოდნა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა;

- თავს საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებად მიიჩნევენ და

სახელმწიფო ენის ცოდნას უკავშირდება მათი მიზნების ახდენა მომავალში;

- ახალგაზრდების ნაწილი დღეს უკვე თბილისში სწავლობს, მაგრამ ნაწილი კვლავ სომხეთში მიდის ენის პრობლემის გამო;

- საქართველოში მოქმედი 4+1 პროგრამა ნაწილის აზრით, ერთ წელს აკარგვინებს მათ, რაც უმაღლესი განათლების მისაღებად სომხეთს ანიჭებს უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სურთ განათლების მიღება და ცხოვრება. თბილისი მათთვისაც ერთ-ერთი ძალიან ლამაზი ქალაქია;

- სომხეთში ბარიერის გადასალახი ზღვარი გაცილებით დაბალია, ვიდრე საქართველოში, მაგრამ საქართველოსთან შედარებით ფასები მაღალია;

- სკოლას ქართულის 3 მასწავლებელი ჰყავს, ორი ეთნიკური სომეხი და ერთი ქართველი;

- ქართულის სწავლების ხარისხი კიდევ უნდა გაუმჯობესდეს მათი აზრით.

2. სოფელი **პატარა ხორენია** - სოფლის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო **ხორანია**, ხორენია გვიან დამკვიდრებული ფორმა ჩანს. სოფლის ტოპონიმის ცოდნა **თაფარვანის წყლით** შემოიფარგლება. სოფელში ძველი ქართული ეკლესიაა, რომელიც დღეს სომხურ ეკლესიადაა გადაკეთებული და სურპ იერემიას სახელს ატარებს.

- სკოლის მოსწავლეები და 25 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი სოფელში A2 დონეზე საუბრობს ქართულად, მოსწონთ, რომ შეუძლიათ საუბარი და ამას ქართული ენის მასწავლებლის დიდ დამსახურებად მიიჩნევენ;

- სოფელში ხშირად ჩამოდიან ტურისტები და ცდილობენ მათთან ქართულად ილაპარაკონ, რომელსაც გიდი თარგმნის.

განძანის თემი:

1. სოფელი **განძა** (უნდა იყოს: **განძანი**) - სოფელ განძის სომხური მოსახლეობა კერჯენგოდიდან (არზრუმის პროვინცია) და ყარსიდან არის მოსული სოფელში 1830-იან წლებში. სოფელში 750 კომლამდე ცხოვრობს.

მდინარეს **ტაფარვანას**//**თაფარვანას** უწოდებენ, ტბას - **ფარვანას**, ოთხი წყაროდან ერთისთვის **ვაჰან ტერიანის** სახელი შეურქმევიათ, დანარჩენი უბრალოდ წყაროა.

- სოფელში 2 საშუალო სკოლაა: შოთა რუსთაველის სახელობის და ვაჰან ტერიანის სახელობისა;

- მიიჩნევენ, რომ **ენა საჭირო კი არა, აუცილებელია, რადგან საქართველოში ცხოვრობენ;**

- აღნიშნავენ, რომ ბევრს აქვს წითელი დიპლომი, კარგი კადრები არიან, მაგრამ ვერ მუშაობენ, რადგან ენა არ იციან;

- უფროსი და საშუალო თაობის ასაკობრივი ჯგუფის ნაწილმა

ბავშვობიდან იცის ქართული, რადგან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან;

- სოფელში ქართველმა ბავშვებმაც იციან სომხური და სომხებმა ქართული;

- ეს ის იშვიათი სოფელთაგანი იყო, რომელშიც აღნიშნეს, რომ ქართველები და სომხები ერთმანეთთან ქართულად ლაპარაკობენ.

სოფელში ჯაყელთა საგვარეულოს მიერ XIV საუკუნეში აშენებული ორი ქართული ეკლესიაა. 1859 წელს აშენებული სურპ კარაპეტის სახელობის სომხური ეკლესიაც არის განძანში.

2. სოფელი **სადამო** - X-XIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების სიმრავლით გამორჩეული სოფელი, რომელშიც დღეს ყარსიდან ჩამოსული სომხები ცხოვრობენ.

ენობრივი ვითარება არ განსხვავდება სხვა სოფლებში ასახული მდგომარეობისგან, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეათე კლასის მოსწავლემ რუსულად გამოგვიცხადა, რომ ეს მისი ტერიტორია იყო (ერთ-ერთი ქართული ეკლესიის გვერდით), რუსულადვე შესძახა: Я Армян და დაასრულა იმით, რომ არც რუსული იცოდა და არც ქართული.

ხოჯაბეგი - 1980-იან წლებამდე სოფელი **ხოჯაბეგი** ცალკე ადმინისტრაციული ერთეული იყო, დღეს ის ქალაქ ნინოწმინდის შემადგენელი ნაწილია, თუმცა ამ ნაწილს დღემდე **ხოჯაბეგს** უწოდებენ.

ტოპონიმი **ბოგდანოვკა** ჩვენ მიერ მოძიებული 1842 წლის საარქივო მასალებით უკვე დასტურდება, ის ამ პერიოდში ახალქალაქის უბანს (უჩასტკას) მიეკუთვნება: ახალქალაქის უბნის (участка) **ბოგდანოვკის** დასახლებაში 1842 წელს დუხობორთა 13 კომლი ცხოვრობდა (ვასილენკოვები, გრემიაკინები, გრიჩინები, მახონინები, ლუკიანოვები, ბირიუკოვები, ბარაბანოვები, გალუშჩევი (კარგად არ იკითხება), შლიაკოვები, ჟელიაევი (ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 1946, გვერდი 68, 69, 70, 71; სულ სოფელ ბოგდანოვკაში - 67 სული).

ადგილობრივთა ინფორმაციით, დასახლებას **ბოგდანოვკა** დუხობორებმა დაარქვეს.

ხოჯაბეგის სომხური მოსახლეობა ყარსიდან, არზრუმის პროვინციიდან და ალაშკერტის რაიონის სოფელ **ხოჯალიდან** არის მოსული და ამიტომაც ჰქვია **ხოჯაბეგი**.

მდინარეს **აგრიჩაის** (*მრუდე წყალს* ნიშნავს) უწოდებენ; აღსანიშნავია, რომ ჯავახეთის მტკვრის სახელად ხოჯაბეგის მოსახლეობამ **კურა** (resp.: მტკვარი დააფიქსირა).

დღეს ხოჯაბეგში 1830-იან წლებში დასახლებული სომხური მოსახლეობა **სურპს** (*წმინდა ადგილს*) უწოდებს მახლობლად მდებარე ერთ ადგილს ტყეში. კიდევ *ერთს სურპს/სურპსარს* **ღალაჩას** ვუწოდებთ. ამ

ღალაჩას ქვეშ აღმოაჩინეს სიმაგრე. ღალაჩას ჩრდილოეთით, პარალელურ ქედზე (სადაც ფერმაა), დასტურდება ტოპონიმი **ღართულა კარტულა// ქართულა** ვარიანტებით. შესაძლოა, **ღართულა** და **ღალაჩა** ერთი და იგივე იყოს, რაც შემდგომ კვლევას მოითხოვს.

დასკვნა

● ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა - **ქართველები, სომხები, რუსები**, ენათა - **ქართული, სომხური, რუსული** და დიალექტთა - **ჯავახური, აჭარული** - შეხვედრის ზონაა, რომელიც ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას აყენებს დღის წესრიგში როგორც მეცნიერთათვის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისთვის;

● ნინოწმინდაში დასახლებულ სომეხთა მეტყველება განსხვავდება ახალქალაქის სომხურისგან;

● მოსახლეობის შეფასებით, მათი სამეტყველო სომხური დაახლოებით 30%-ით განსხვავდება სომხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავრცელებული სომხურისგან;

● ეთნიკურ სომეხთა გადმოცემით, მათი წინაპრები ადრე თურქულ ენასაც იყენებდნენ, ახლა კი თურქული აქ აღარავინ იცის;

● 60 წლის და ზემოთ ასაკის მოსახლეობამ ქართული ცუდად იცის. ისინი სკოლაში სწავლობდნენ ენას, მაგრამ კვირაში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდათ და მაშინ მასწავლებლები მხოლოდ მოვალეობას იხდიდნენ. დღეს ისინი წუხან ქართულის არცოდნის გამო და ამბობენ, რომ კარგი იქნებოდა, ენა სცოდნოდათ;

● 60 წლის და ზემოთ ასაკობრივი ჯგუფის აზრით, სახელმწიფოს ადრეც უნდა შეეწყო ხელი და ზომები მიეღო, რომ სახელმწიფო ენა კარგად სცოდნოდათ;

● 40-50 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის უმეტესობამ იცის ქართულად წერა-კითხვა, ცუდად საუბრობენ, გაგებინების დონე კი A2-ია. მიუთითებენ, რომ რუსული უკეთ იციან, ვიდრე ქართული, რადგან სკოლაში ქართული ენის გრამატიკას ცოტა დრო ეთმობოდა;

● 40-50 წლამდე ასაკობრივმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სკოლის დამთავრებისას ქართული არ იცოდნენ და ვინც კარგად იცის, საჯარო სამსახურში მუშაობისას ისწავლა;

● 30-დან 40 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი მიიჩნევს, რომ „ცოტა იციან ენა“: წერა-კითხვა იციან, ესმით, მაგრამ ლაპარაკი უჭირთ;

● 15-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის ენობრივი კომპეტენცია გაცილებით მაღალია და A2-B1-ის ფარგლებში მერყეობს: დონე ენის ცოდნისა ძირითადად A2-ია, ნაწილისა კი - B1;

● 10-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებმა დღეს, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, კარგად იციან ენა;

- IX-X-XI კლასის ყველა მოსწავლე ჩართულია ზურაბ ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, რომელიც უზრუნველყოფს აქ სახელმწიფო ენის სწავლებას სკოლასთან ერთად;

- მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ყოველდღიური პრობლემების დიდი ნაწილი ენასთან არის დაკავშირებული;

- აქ, ჯავახეთში ქართული ენის სწავლა რეალურად 20 წლის წინ დაიწყო, რადგან მანამდე მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა ქართულ ენას სასწავლო პროგრამაში და ამას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა;

- სულ რაღაც ორი ათწლეულის წინ მეცხრამეტე საუკუნეში ჯავახეთში ჩამოსახლებული სომხური მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა არც საჭიროება იყო და არც ვალდებულება. დღეს ორივე საკითხი დღის წესრიგში დგას მათთვის, ის საჭიროებაც არის და ვალდებულებაც, თუმცა საჭიროებისა და გამოყენების საკითხი უფრო ხაზგასმულია მათთან ინტერვიურებისას;

- მნიშვნელოვანი იყო მათი განცხადება: *ენა რომ არ ვიცით, კანონს ვერ ვკითხულობთ*;

- ხაზგასმულია ენის ეკონომიკური ღირებულების ფაქტორი. ენის ცოდნის საჭიროება კანონების გაგების შემდეგ ვაჭრობისა და, საერთოდ, ბიზნესსაქმიანობისთვისაც არსებითი ხდება, რადგან თუკი ოფიციალურ მხარეს გავითვალისწინებთ, დოკუმენტაცია სახელმწიფო ენაზეა შესავსები და სურთ, თვითონაც გაგიგონ, რა იწერება დოკუმენტში. ამბობენ, რომ ქართულის ცოდნის გარეშე ვაჭრობა ჭირს. ახლა ძირითადად ქართველებთან უწევთ აღებ-მიცემობა, რაც ენის ცოდნას საჭიროებს;

- აღნიშნავენ, რომ ბევრს აქვს წითელი დიპლომი, კარგი კადრები არიან, მაგრამ ვერ მუშაობენ, რადგან ენა არ იციან;

- მიუთითებენ, **თუ საქართველოში ცხოვრობ, ქართული უნდა იცოდდე**. მიიჩნევენ, რომ **ენა საჭირო კი არა, აუცილებელია, რადგან საქართველოში ცხოვრობენ**;

- სახელმწიფო ენისადმი დამოკიდებულებას დღეს ასეც გამოხატავენ: **ქართული მიწაა და როგორ იქნება, ქართულად არ ილაპარაკო**;

- თავს საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებად მიიჩნევენ და სახელმწიფო ენის ცოდნას უკავშირდება მათი მიზნების ახდენა მომავალში;

- მოსახლეობამ აღნიშნა, რომ **სახელმწიფო ენა პირველ ადგილზე უნდა იდგეს საქართველოში ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის**;

- ახალგაზრდა თაობამ გამოკვეთა სახელმწიფო ენის - ქართული ენის სწავლების საჭიროება. ისინი აცნობიერებენ, რომ საქართველოს სახელმწიფოში ცხოვრების აუცილებელი პირობაა სახელმწიფო ენის ცოდნა. საჯარო სამსახურშიც დასაქმება რთულია სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე;

- ბოლო დეკადის განმავლობაში განსაკუთრებული ინტერესი შეიმჩნევა ქართულის სწავლის თვალსაზრისით, თუკი ადრე ქართულის

სწავლის ვალდებულებასა და საჭიროებაზე სიტყვაც არ ითქმებოდა, დღეს საპირისპირო ვითარებაა, ქართულის სწავლას ეშურებიან;

- რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ახალგაზრდა თაობამ (30 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი) შეცვალა ჯავახეთში მდგომარეობა, მათ სხვა მოთხოვნები აქვთ და ამაში დიდი წვლილი აქვს სახელმწიფო ენის ცოდნას;

- სომხურმა მოსახლეობამ ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიის ცოდნის აუცილებლობას;

- ეთნიკური სომხები ქართულ მოსახლეობას ქართულ-რუსულად და ქართულ-სომხურად ესაუბრებიან, თუმცა ბოლო წლებში ცდილობენ ქართულ-სომხურად ელაპარაკონ და ქართულ-რუსული ნარევი მეტყველება ამგვარად ჩაანაცვლონ;

- ეთნიკურ სომხებს სურთ, რომ თავიანთმა შვილებმა ქართული კარგად იცოდნენ, ავალებენ, რომ ქართველ ბავშვებთან ითამაშონ, ურთიერთობა ჰქონდეთ მათთან;

- ნინოწმინდაში ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით გამოირჩევა სოფელი ფოკა. ფოკელი ახალგაზრდები არიან თარჯიმნები, დამხმარენი უფროსი თაობის ხალხისთვის საავადმყოფოებსა და სასამართლოებში ენობრივი ბარიერის გამო. 40 წლამდე ასაკის ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ ისინი სკოლაში ალაპარაკდნენ ქართულად ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის (კლარა ფოცხვერაშვილი) მეოხებით, რომელიც აქ 26 წლის წინ ჩამოვიდა. დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო მან ურთულესი წინააღმდეგობების გადალახვა წლების განმავლობაში და მოახერხა თაობებისთვის ქართული ენის სწავლება და შეყვარება;

- ქართული ენის სწავლების დონე უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო ამაღლდა;

- სკოლა აქ უნდა იყოს დედაბოძი, რადგან სასაზღვრო ზონაზეა საუბარი;

- სახელმწიფო ენის არცოდნის გამო ახალგაზრდები სომხეთში მიდიოდნენ სპეციალობის დასაუფლებლად, რაც გაცილებით მეტ ფინანსებს მოითხოვდა მოსახლეობისგან. ერთხმად ამბობენ, რომ სომხეთში გაცილებით ძვირი უჯდებოდათ განათლების მიღება;

- დღეს ქართულის ცოდნა განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ეთნიკურ სომეხთა 80% ან სამცხე-ჯავახეთში რჩება, ან თბილისში მიდის უმაღლესი განათლების მისაღებად, ძალიან მცირე ნაწილი მიდის ერევანში წინა წლებისგან განსხვავებით;

- უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაწყებისას ლექცია-სემინარებზე ყველაფერი ესმოდათ, მაგრამ ლაპარაკი უჭირდათ. ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობამ და ქართულ ენაზე სპეციალობის დაუფლებამ ეს ბარიერი მთლიანად მოხსნა;

- ბოლო წლებში ეთნიკური სომხები სპეციალობად ირჩევენ ქართულ ფილოლოგიას;

- მათ სტიმული მისცეს უფროს თაობას და მათი მშობლების ნაწილმა 55 წლის ასაკში დაიწყო ქართული ენის სწავლა;

- ორ სოფელში - სპასოვკასა და გორელოვკაში ქართველების დასახლებამ, რასაც დღის წესრიგში დამდგარი სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროებაც წაემველა, შეცვალა ენობრივი სურათი. აქ თითქმის ყველა ეთნიკურმა სომეხმა იცის ქართული ენა;

- ქართველმა ბავშვებმაც ძალიან კარგად იციან სომხური და ეს გარემოება, რომ ერთმანეთის ენები კარგად იცინ, განაპირობებს კარგ ურთიერთობას სოფლის ქართულ და სომხურ მოსახლეობას შორის;

- სხვადასხვა პროექტში ახალგაზრდების ჩართვამ ხელი შეუწყო ენის შესწავლის გაუმჯობესებას;

- ენის სწავლების თვალსაზრისით შედეგიანი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ ორგანიზებული ექსკურსიები საქართველოს ყველა კუთხეში;

- ფოკის სკოლის მოსწავლეებმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ხელმძღვანელობით დადგმული ოვანეს თუმანიანის „გიქორით“ შემოიარეს მთელ საქართველო და ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ქართველ თანატოლებთან;

- და ბოლოს, სახელმწიფო ენის სწავლების დაწყებისა და ხელშეწყობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო მეოცე საუკუნის 90-იან წლებში რეგიონში სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ფაქტი, რომელიც დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელს ატარებს.

სახელმწიფო ენის არცოდნის მიზეზებად დასახელებულია:

- სახელმწიფოს, შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან საჭირო და სათანადო ზომების არმიღება ენის დასაუფლებლად ათწლეულების განმავლობაში. თავის მხრივ კი დავამატებდით, რომ ეს სურვილი და პრეტენზია ადრე არცერთ ეთნიკურ ჯგუფს არ გასჩენია საქართველოში, მით უფრო ჯავახეთში;

- გარდა იმისა, რომ ადრე ქართულ ენას კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა, მიუთითებენ, რომ მეორე ენა რუსული იყო, რომელიც პრიორიტეტული იყო და მისი სწავლება მრავალმხრივ იყო წალისებული;

- ადრე სახელმწიფო ენის სწავლების საჭიროება არ ედგათ;

- ქართველებთან ერთობლივი პროექტების არარსებობა/ნაკლებობა ენის უკეთ ათვისების მიზნით;

- საბავშვო ბაღში ქართულ ენაზე კომუნიკაციის არქონა; ეთნიკური სომხები მიიჩნევენ, რომ საბავშვო ბაღიდანვე ქართული ენის სწავლება უფრო გაადვილებს ენის შესწავლას;

- სამუშაო ადგილების სიმცირე; მათი დასაქმება ხელს შეუწყობდა ენის უკეთ ცოდნას;

- ქართული სატელევიზიო არხების არქონა ობიექტურ-სუბიექტური მიზეზებით;
- კულტურული ღონისძიებების ძალზე იშვიათად გამართვა, რაც ხელს უშლის ენის სწავლის სრულყოფას სხვა მიზეზებთან ერთად.

მეტყველების ნიმუშები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში:

მე სომეხი ვარ, მაგრამ ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. ჩემი მშობლები წუხან, რომ ენა არ იციან. მე ამ ქვეყანაში ვაპირებ ცხოვრებას და მინდა კარგად ვიცოდე. ახალ ამბებს ვუყურებ, რომ ენა დავხვეწო. მუნიციპალიტეტში ენა არ იციან და მაინც ამუშავებენ, მე ადგილი ვერ ვიშოვე (მარუკ ბიჩახჩიანი, დაბადებული 1991 წელს, სოფელი პატარა გონდრიო).

საქართველო ჩვენი ქვეყანაა და ენა გვჭირდება. ჩემი ოცნება ქართულის კარგად სწავლაა. მარტო ოცნება არ არის, ამისთვის უნდა იშრომო (არუსიაკ არაბიანი, დაბადებული 2005 წელს, სოფელი ყულალისი).

აქაური სომხური სხვა სხვაგვარია, მშო ბარ (resp.: მუშის მეტყველება). სხვა სომხები რომ ლაპარაკობენ, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, იმათ არ ესმით. არის სიტყვები, რომ არ ესმიან, ჩვენ გვესმის ყველა კილოები (მეტყველება - ი. ღ.).

ადრე მქონდა გრამატიკის რვეული (ქართული ენის სასწავლო რვეული - ი. ღ.), რაღაც (რაღაც-რაღაცები - ი. ღ.) ვისწავლე ბათუმში.

წელს პირველ კლასში ბავშვი აღარ გყავს (გვყავს - ი. ღ.).

სამი ძმები ვართ, ერთი სწავლობს სასომხეთში, მეორე დაამთავრა ლენინაკანში, ეკონომიჩესკი დაამთავრა, ჩემზე ერთი წლით დიდია, მე ლენინაკანის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე. ჩემი პირველი ენა სომხურია, მეორე ქართული, მესამე რუსული. მე მგონი, ჩემი ცოლისთვის პირველი (ენა - ი. ღ.) ქართულია.

ბათუმში ვისწავლე ქართული, პროექტი იყო სკოლიდან, მანამდე ცოტა ვიცოდი.

სკოლაში რომ დავდიოდი ადრე მე, მქონდა იმედი (ტელეარხი - ი. ღ.), მე იმით ბევრს ვსწავლობდი. თურქული კინოები არის, ქართული თარგმნილი რომ არის (ქართულად თარგმნილ თურქულ სერიალებს ვუყურებდი და იმით ბევრს ვსწავლობდი - ი. ღ.). გრამატიკულად რომ ლაპარაკობენ, 80% მესმის. საშუალოდ ვიცი ქართული, რუსული საშუალოდ (რუსული საშუალოდ ვიცი - ი. ღ.).

სამი წყარო გვაქვს, ერთი ვამბობთ ხორხორი (საკუთარი სახელია, წყაროსთვის ხელოვნურად შერქმეული - ი. ღ.), გელიახბიურ (სოფლის წყარო - ი. ღ.), ხალუ ახბიურ (საკუთარი სახელია - ი. ღ.). ერთი წყარო კიდე სოფლიდან შორს არის, იქნება კილომეტრ-ნახევარი, პაღახბიურ (ცივი წყარო - ი. ღ.), ძალიან ცივია, ერთი როდის უნდა დალიო (რა დროსაც უნდა

დალიო - ი. ლ.), ერთ გრადუსშია. ზამთარში რომ სვამ თბილია, ოქტომბერში რომ სვამ, რა ცივია, იცი?

ცხენი პატარა რომ ვარ, იმიდან (იმ დროიდან - ი. ლ.) მიყვარს. ზამთარში რომ საქონელი ჭამს, დანარჩენი ცხენი ჭამს (საქონელი რასაც ჭამს, იმას ჭამს ცხენი - ი. ლ.). თივა ხომ მშრალია, ერთი პრესი. მე მგონი სამი დღე ეყოფა. დაბანა იცი, როგორია ცხენის? ზამთარში დაჯდება თოვლზე, შენ მოატრიალებ (თოვლს დააყრი და დაასრეს ცხენს - ი. ლ.), მერე დადნება და დასუფთება (გასუფთავდება ცხენი - ი. ლ.).

გაზაფხული რომ მოვა, გარეთ ბალახს ჭამს, თმები ჩავა (დასცვივდება - ი. ლ.), ახალი თმები ავა (ამოუვა - ი. ლ.). გრძელი თმები ქონდეს ზამთარში რომ გაცივდეს, მერე ის ჩავა გაზაფხულში და მოკლე თმები მოვიდა (ზამთარში რომ გრძელი თმები აქვს, ის გაზაფხულზე გასცვივდება და გაზაფხულზე ახალი ამოსდის - ი. ლ.). ცხენს მარილს აჭამო (მარილი უნდა აჭამო - ი. ლ.), რომ ირბინებს, რომ ცუდი სუნი არ მოვიდეს (სირბილისას და გაოფლიანებისას ცუდი სუნი რომ არ აუვიდეს - ი. ლ.). ოთხი წელია არ ჩავალ (ოთხი წელია საჯირითოდ არ დავდივარ - ი. ლ.), მეზარება ახლა. ახლა ორი-სამი ცხენია სოფელში, ადრე ჩვიდმეტი ცალი იყო.

ჩემს შვილს გიორგი დავარქვი. აქ ურთიერთობა ნაკლებია, არავინ ჩამოდის კულტურული ღონისძიებით (ალიკა ამირხანიანი, დაბადებული 1997 წელს, სოფელი უჯმანა).

ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, ქართული უნდა იცოდე. ახლა ჩვენ სკოლაში ქართული აუცილებელია. სუყველა ენა იცოდება (უნდა იცოდე - ი. ლ.). საქართველო ჩემი დედამიწაა, მე აქ დავიბადე, აქ გავიზარდე. თბილისში ექიმთან მივდივარ. საქართველოში ვცხოვრობ, საქართველოს ისტორია უნდა იცოდე დაბლიდან ზემოთ (დასაწყისიდან დღევანდლამდე - ი. ლ.). მე სომეხი ვარ, თბილისში ვცხოვრობდი და ვიცი.

ხუთი კაროვა მყავს. მოი ატეც 40 წელი მუშაობდა საქართველო (ხუთი ძროხა მყავს, მამაჩემი 40 წელი მუშაობდა საქართველოში - ი. ლ.).

სახელმწიფომ უნდა იცოდეს, რომ ადგილობრივს უნდა უწყობდეს (ხელს უნდა უწყობდეს - ი. ლ.). სომეხი, ქართველი სულერთიანი კაცი ვარ (სომეხი, ქართველი ერთნი ვართ - ი. ლ.). ქართული სკოლაში ვისწავლე, თბილისში ვცხოვრობდი და ვიცი. მე სომეხი ვარ, როგორმე ქართული ვიცი (ასე თუ ისე ქართული ვიცი).

მდინარეს ქვია **ტაფარვანა, ქურა** (რაფიკ ელოიანი, დაბადებული 1953 წელს, სოფელი ოროჯოლარი).

წალკიდან რომ გადიხარ, ბევრი სოფელი პერიმენოვალი (სახელები შეუცვალეს - ი. ლ.), გამსახურდიას მომენტიდან დაიწყო. ახლა ბატკანა და ოროჯოლარი ერთი სოფელია. ბატკანაში ბევრი ქონიათ ცხვარის

ისა ხომ (ზატკანი - ი. ლ.). წყაროებს სახელი არა აქვს (გარეგინ ქაზაიანი, დაბადებული 1964 წელს, სოფელი ოროჯოლარი).

სკოლიდან დავიწყე ლაპარაკი. კლარა (ფოცხვერაშვილი) მასწავლებელმა დამაწყებინა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავაბარე საერთაშორისო ურთიერთობაზე. ოთხი წელი ვისწავლე მანდ. 2017 წელს დავამთავრე, 2019 წელს დავიწყე მუშაობა იუსტიციის სახლში. ადრე იყო საზოგადოებრივი ცენტრი, წელს გახდა იუსტიციის სახლი. ეს ააშენეს 2013 წელს.

როცა ჩავაბარე უნივერსიტეტში, მესმოდა ყველაფერი, ლაპარაკი მიჭირდა, ურთიერთობიდან მოდის ხოლმე. 70%-ს კლასის ესმოდა. დედას და მამას ესმოდა. დედაჩემმა ახლა დაიწყო სწავლა სპეციალობიდან გამომდინარე, დაწყებითის მასწავლებელია.

ჩემმა თაობამ ნახევარმა იცის. ახლა ურთიერთობა ნაკლები გახდა. სახლში მარტო სომხურად ვლაპარაკობ, სამსახურშიც პრინციპში, მარტო კლარა მასწავლებელთან ვლაპარაკობ. ქართულ არხებს აქ არ იჭერს. როცა გავდივარ სოფლიდან, მაშინ ვლაპარაკობ. ჩემი თაობა ნინოწმინდაშიც არ ლაპარაკობს, მერიაშიც არ ლაპარაკობენ. როცა ქართულად კარგად მცოდნენი ერთად ვართ, მაინც დგას ერთი ისეთი, რომელმაც არ იცის ქართული და ამიტომ მაინც სომხურად ვლაპარაკობთ.

სწავლის დონე ქართულის უფრო ამაღლდა. ახლა უფრო დამოკიდებული არიან, რომ ისწავლონ. უფრო ბევრი დადის უნივერსიტეტში, ადრე დადიოდნენ სომხეთში, ჩვენ ვიყავით მესამე თაობა, ვინც საქართველოში ისწავლა, 2012 წელს ჩავაბარე. ენა არ იცოდნენ და ამიტომ მიდიოდნენ. იქ უფრო ძვირი ღირს სწავლა. აქ კავშირი მეტია, მარშრუტკა დადის თბილისში.

ჩვენი სოფლიდან ყველაზე მეტმა აქ (ნინოწმინდაში - ი. ლ.) იცის ქართული ქალბატონ კლარას (ფოცხვერაშვილი) მეოხებით. ყველაზე გამართულად აქ საუბრობენ და ყველაზე მეტი სტუდენტი ფოკადან არიან. ფოკელი სტუდენტები არიან თარჯიმნები ახალქალაქისა და ნინოწმინდის დანარჩენი სტუდენტების. საავადმყოფოშიც აქაური სტუდენტები აღმოუჩენენ დახმარებას, სასამართლოშიც (მელიქ ქოსიანი, დაბადებული 1994 წელს, სოფელი ფოკა).

ადიგენში სამოცდათექვსმეტ (1976 წელს - ი. ლ.) წელში ჩამოვედით, შევარდნაძის დრო იყო. სკოლა გაიხსნა, კულტურა ჩამოიტანეს (აჭარლებმა - ი. ლ.). დაგვილი რო დაინახეს, აქ აჭარელი ცხოვრობსო.

სომეხს აქვს ათასობით ჰექტარი, აჭარელის მიწაში ამოდის 6 ჰექტარი. ჩვენ სახელმწიფო პროგრამაში არ მოგვახვედრებენ. ბოსელი რომ გავაკეთო, ჩემი ფული არ მყოფნის, კრედიტს ვერ დავფარავ, სახლის ყიდვის ფასი აქვს. არ გაგიფორმებთ ახლავ, როცხა იქნება, გაგიფორმებთო. მიწები ოღონდ არ აიღოს აჭარელმა... გაზი სპეციალურად არ არის. 60-ზე მეტი ოჯახია.

ზოგიერთი ღიად იბრძვის, რომ აქ ქართველი არ შემოვიდეს. ველარ დგას უკვე აქ ხალხი, სულ გვატყუებენ. ჩვენ ჩვენი პრინციპი გვაქვს.

წარმოიდგინე, ადიგენში მეტი საშუალება ვნახე საქონლის შენახვის, ვიდრე აქ. ერთი სომეხის მიწა 100 ქართველს მოგვეციო, ვთქვით, ეს ვერ გააკეთეს. თხუთმეტი კვამლი კარგად ცხოვრობს.

აჭარელი არის საქართველოს სინოპტიკოსი, თავით სომეხები ვერ შრომობენ.

შებთბოდი, ქართული იცოდენ (სომხებმა - ი. ლ.), არ დეილაპარაკებდენ.

სკოლის უმაღური მე არასდროს ვყოფილვარ. ახალგაზრდა გოგოები იყნენ, სახელის დარქმევა ხომ არ გინდათო (სოფლისთვის ქართული სახელის დარქმევა ხომ არ გინდათო - ი. ლ.), მოგეხმარებითო თბილისში. გვინდოდა სუფთა ქართული სახელი, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ. ვერცერთი სომეხი ხმა ვერ გაიღებს (სოფელს ქართული სახელი რომ დავარქვათ - ი. ლ.).

აქ თქვენ მოსლამდინ აქაურობას რა ერქვა, შვეკვითხები სომეხს, არ ამბობს (ომარ შავაძე, დაბადებული 1941 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან გადმოსახლებული, სოფელი გორელოვკა).

ადიგენში ხულოდან მოვედით. ადიგენი კარგია ძალიან. აქ ჭალები არ გვაქვს, 2 ჰექტარი გვაქვს. გამგებელი სომეხია, სომეხს მიეხმარა (სომეხს ეხმარება - ი. ლ.). ძალიან საცოდავით ვართ, მიწები რომ არ გექნება, რით უნდა იარსებო? მათ აქვთ 4000-5000, პრესები აქვთ, ჩვენ ზეით დარჩენილები გვაქვს, ტრაქტორი არ მიუდგება. წყალი რამხელა ძვირია!

აქ მიწა იყო (სახლში - ი. ლ.), ერთი ათასი ვედრო, ნორმალური არ იყო. გავწმინდეთ, კედელა გავაკეთეთ, შიგნით არ იცხოვრებოდა. გაგვიხსნეს ეს კარი (სახლის კარი - ი. ლ.), მიწა იყო სულა (ფატი დიმიტრაძე, დაბადებული 1961 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან გადმოსახლებული, სოფელი გორელოვკა).

ჩემს ერთადპოჯახი ჩამოვიდა 2012 წელს, მეახალივარ (ახალჩამოსული - ი. ლ.). აჭარაში ეროზიაა. პირველად კახეთში მომცეს, ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში სახლი. დედა, მამა იქ ცხოვრობენ. მე გამიჭირდა სამსახურის შოვა. აქ ვნახე სამუშაო, გორელოვკაში ვცხოვრობ. სამებაში და ორლოვკაში ვასწავლი ისტორიას და გეოგრაფიას. ბათუმში დავამთავრე.

სომხური ვერ ვისწავლე, ყველა სომეხი რუსულად მელაპარაკება. ბევრს ვამჩნევ, რომ იცის იმიტომ, რომ ბაზასთან (სასწავლო ბაზასთან - ი. ლ.) ურთიერთობა ყველას აქვს. ამ ბოლო მომენტში ქართულს ეძალებიან, უნდათ რომ იცოდნენ, ავალებენ, რომ ქართველ ბავშვებთან ითამაშონ, ურთიერთობა ჰქონდეთ. ჩემმა ბავშვებმა (5 შვილი ჰყავს - ი. ლ.) კარგად იციან სომხური. ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ სამებაში ქართველ და სომეხ ბავშვებს. გორელოვკაშიც ძალიან თბილი ურთიერთობა აქვთ. ორლოვკაში ვერ ურთიერთობენ იმიტომ, რომ არც ქართველ ბავშვებს აქვთ

სურვილი, არც სომხებს. მიწასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ მეზობლობაში და ბავშვებზე აისახა. სკოლის ხელმძღვანელზეც ბევრია დამოკიდებული. სომხს 6-7 ჰექტარი აქვს, ქართველს ჰექტარ-ნახევარი, 2 ჰექტარი მაქსიმუმი. სახელმწიფო ამას საერთოდ არ უყურებს.

ბიბლიოთეკა არ გვაქვს სკოლაში (სამებაში - ი. ლ.), ორლოვკაშიც არა აქვთ. სკოლა აქ უნდა იყოს დედაბოძი, საზღვარზე. რაც აქ ვარ, შარშან პირველად ჩატარდა ჟღანოვის სასოფლო კლუბში საცირკო წარმოდგენა. მეოთხეწელია აქვარ დაპირველად იყო. ჩვენც არ გამოგვიჩენია ინიციატივა.

აქედან წასვლა არ მიფიქრია (ზურაბ შავაძე, დაბადებული 1979 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან გადმოსახლებული, სოფელი გორელოვკა).

2002 წელს ჩამოვედით ხულას რაიონის სოფელ ღორჯომიდან. ჩვენ, აჭარლები, ხულოდან ვართ ყველა წამოსული. ახლა კაი ურთიერთობა გვაქვს, ადრე ჩვენი ტვირთი, ბარგი მოკოჭილი გვქონდა და მივდიოდით (აქედან - ი. ლ.), ძნელი იყო. ჩვენი სოფელი ერთი ქუჩა არის.

ადრე გასაქანი იყო ბავშვებისთვის. ახლა არა, ადრე ყველაფერი გვქონდა, ახლა შეზღუდვებია. მაშინ ყველაფერს შევექცეოდით (ყველაფერს ვთამაშობდით - ი. ლ.), ამდენი სათამაშო სად იყო? ადრე ციგები, თხილამურები გვქონდა, ვცურაობდით (ვსრიალებდით - ი. ლ.). რკინის ციგებს დასვარკვედენ, ადრე თუშს ვეძახდით. რომ გაგვიკეთებდენ, დავჯდებოდით და ვსრიალებდით. ასე გვეტყოდენ, თუში ქვიაო. ასე გრძელეები იყო, ხისგან გაკეთებული, დავდგებოდით ზედა, გადასაკრავები ქონდა, თოკებით გვიკეთებდენ, ძროხის ტყავისგან კეთდებოდა. ძროხას ხომ გავხდით, გავაძრობდით ტყავს, ის რომ გახმებოდა, გვერდიდან ჩამოვჭირდით ვიწრო ტყავს, იმას გავასუფთავებდით, დავაკრავდით ამ ხეზე ფეხის ზომაზე, ჩავიცმევდით, როგორც თასმებს შევიკრავ, ფეხზე რომ არ გაგვძრომოდა. მე არ მაქვს ჩაცმული, მაი ბიჭების იყო. ჩვენ თუშებით ვცურავდით (ვსრიალებდით - ი. ლ.). იმით ვცურავდით გოგოები. მე სკოლაში ახალ კალოშს ჩავიცმევდი, ახალი ყველას გვიხაროდა.

მე ათი კლასი მაქვს დამთავრებული. ოთხი წელი ვისწავლე დაწყებითებზე, მეოთხე წელი აღარ დამიმთავრებია, აქ ჩამოვიბარგე, დრო აღარ მქონდა, ბავშვებს, ოჯახს მიხედვა უნდოდა.

აქ უფრო გაადვილებულია ცხოვრება, არაფერი არ გამჭირვებია. აქ ფერმებში დევიწყით მუშაობა. ერთი ფერმა მუშაობდა მაშინ. ძროხას ვწველიდით. რძეს იბარებდნენ და მიქონდათ. შარშან ოქტომბერში ორი ლარი იყო, მერე გაგვიანეს, ლარ-ოთხმოცზე ჩამოვიდა (ფატი წინწკალაძე, დაბადებული 1962 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან გადმოსახლებული, სოფელი სპასოვკა).

გამგეობასთან მომივიდა კამათი, ყანა წამართვეს, კაცი მეუბნება, წადი შენ ხულოშია. დედაჩემი ბათუმელი ქალი იყო, იქ გავიზარდე. 90 - ი ა ნ წლებში (გვითხრეს - ი. ლ.) აქედან წადითო.

რუსული ზედმიწევნით კარგად ვიცი, მაგრამ რაიონში ქართულად ვლაპარაკობ, თუ ძან გამიჭირდა, მაშინ გადავდივარ რუსულზე. სუყველამ იცის ქართული. თბილისიდან იყვნენ ორი ბიჭები, შემეკითხეს, მთავრობაში რომ იყო, რას იზამდიო, მეწყინა.

დუხობორებთან ოჯახებით სიახლოვე გვექონდა, კრიმში (ყირიმში - ი. ლ.) წავიდნენ. აქ დარჩენილმა ერთმა დუხობორმა უთხრა (ეთნიკურ სომეხს, როდესაც ეკითხებოდა წასვლას აპირებდა თუ არა - ი. ლ.), ჩემი სამშობლო აქ არის, რად მინდა თქვენი რუსეთით (გურამ წინწყალაძე, დაბადებული 1962 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან გადმოსახლებული, სოფელი სპასოვკა).

ოთხმოცდათექსმეტში ჩამოვედი, ხონში ვცხოვრობდი, გავაგდე ხონში (დავტოვე ხონი - ი. ლ.), მეხუთე ზონაში ვცხოვრობდით. მეხუთე ზონა პატიმრების ნამყოფი ადგილია. ადრე გავვიჭირდა, რომ ახალად ვიყავით ჩამოსული. ახლა ღმერთს მადლობა, ქართველები, სომეხები ერთი ოჯახი ვართ.

სომხურიცოტავიცი, პატარასვლაპარაკობ, პატარასვიგებ. დუხობორებს რუსულად ველაპარაკებოდით. 1996 წელს იყნენ აქ დუხობორები, ჩვენს მერე წავიდენ (ჩვენი აქ ჩამოსვლის შემდეგ წავიდნენ - ი. ლ.). ერთი ხუთი წელი მაინც ჩემი მეზობლები იყნენ, კაი ხალხი იყნენ. მაგენი ცხოვრობდენ რუსების წესი არ იცი, დალევა უყვარდათ, სასაფლაოზე გადიოდენ. ახლა აქ ერთი კოლია კურბატოვია, ქართული ჩვენ ვასწავლეთ (ნოდარ მეკვიძე, დაბადებული 1970 წელს, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომიდან გადმოსახლებული, სოფელ სპასოვკა).

გურიაში ვარ დაბადებული, ხულოდან გურიაში, ნასაკირალში წავიდნენ საცხოვრებლად, ბებია, ბაბუა, მამაჩემი. მამაჩემი მესამე-მეოთხე კლასში იყო, რომ გადავიდნენ. დედა ოზურგეთელია, მურმანიძე. ხულოში ნამყოფი ვარ, ნაცხოვრები არ მაქვს. დედა და მამა აქ რომ არიან, ხან აჭარულად ლაპარაკობენ, ხან გურულად. მე ხუთი წლის ვიყავი, აქ რომ წამოვედი. მე გურული კილოც მაქვს, აჭარულიც და აქაურიც. ადვილად ვიკიდებ (ვითვისებ - ი. ლ.) კილოებს. აქ ზოგი სუფთა აჭარულად ლაპარაკობს, ზოგი შერეულად. უფროსები აჭარულად ლაპარაკობენ. უფროსი და შემდეგი თაობის აჭარული დიალექტი აქერთია. სტილისტობა მაქვს დამთავრებული, ბათუმში დავამთავრე, იქ ნათესავები არიან. ორი წელი მაქვს ნამუშევარი.

ჩვენ (ქართველები - ი. ლ.) და სომეხი ახალგაზრდები ქართულად ვლაპარაკობთ ერთმანეთთან.

ოჯახი მყავს, ცოლი არ მუშაობს სადმე ჯერჯერობით. ცოლს ყველაფერი ეხერხება - ძროხის მოწველა, საჭმლის კეთება. მე ხინკალი მიყვარს, ქალაქური, გამომდის კიდეც.

ჩაკვეთილი ყველი ჰქვია, იმას გამოვიყვანთ, მერე ჩავწურავ, შრატს გამოვიყვან, მერე კარგად დააწვები, რომ სიმაგრე ქონდეს, მერე ამოიღებ, ბტყლად და თხლად დაჭრი, მერე მდუღარე წყალს დაასხამ, მერე ერთმანეთში კარგად შეიზილება, კოვზით რომ ამოწევ, გაიწელოს უნდა; მერე ჩვეულებრივ ბურთივით მრგვად გააკეთებ ცხელ წყალში, ცხელ წყალში უნდა ზილო. ბურთივით რომ იქნება, პატარა ჯამები რომ არის, ჩადებ შიგნით, პრიალა რომ იყოს. მთლიანი კვერცხი ცივ მარილიან წყალში უნდა ჩადო, ზემოდან კვერცხი რომ ამოტივტივდება, საკმარისია. მერე შიგნით (ამ წყალში - ი. ლ.) უნდა ჩააგდო ეს ყველი და ოთხი-ხუთი დღე ყოფნის, რომ შეუვიდეს მარილი. ჭამაც მიყვარს და კეთებაც.

ოთხი ძაღლი მყავდა, პატარა ფინია, მეცხვარე ჯიში, კიდეც მყავდა ბომბორა, ნაჯვარი ჯიში იყო; ერთი გოგო ძაღლი მყავდა, ჭაკი. მეცხვარე შევიდა ხანში და მომიკვდა.

ორი წელიწადია უკვე რო უნდა ისეთი თოვლი აღარ მოდის. კლიმატი შეიცვალა (შიო ვანაძე, დაბადებული 1999 წელს, ოზურგეთის სოფელ ნასაკირალიდან გადმოსული (მამა და ბებია-ბაბუა ხულოდან ნასაკირალში ჩასახლებული აჭარლები), სოფელი სპასოვკა).

ძროხა ხბოს რომ მოიგებს, დავებმარებით. თუ არ დაეხმარე, არ შეიძლება. ზოგ ძროხას შეუძლია (მშობიარობა - ი. ლ.), ზოგს - არა, ხბო რომ დიდი იქნება. მსხვილ თოვს მივაბნევთ ფეხებზე (ხბოს - ი. ლ.), რომ არ მოჭრას ფეხები. ხბოს ადგილი ცალკეა, თუ გინდა, დაუტოვე ძროხას დილამდე. დილას სხვა ადგილზე შევიყვანთ, სახბორე ჰქვია. დიდი-დიდი ხუთი დღე არ ვწველით, ხბოს ვაწოვებთ.

ახლა არის რუსული ვარიები, პატარა. ჩვენებური ვარიაც იყო, აღარ გვაქვს. ახლა არის ტარიანი ვარია, პაჩვენიკზეა. ძველი აჭარული უფრო გემრიელია (აჭარულ ვარიამი შედღვებილი კარაქი უფრო გემრიელია - ი. ლ.), ხიდან არის გაკეთებული, ზოგს აქნენ (ნოდარ მასკალსკი, დაბადებული 1957 წელს; ირა ქუქჩიშვილი, დაბადებული 1960 წელს, სოფელი სპასოვკა).

მყავს დედა, მამა, ბებია, ბაბუა და ერთი და. არი სოფელში სკოლა, ცხრაწელიანი. მე ხანჩალში დავდივარ, მეთერთმეტე კლასში უნდა წავიდე. არის სკოლა, მაგრამ არ არის კარგი, ბავშვები იქ არ სწავლობენ, შენობა არ არის კარგი. ქართულად არ ვიცი სახელი ამ პროფესიას. მათემატიკა ვიცი ცოტა. უნდა წავიდე თბილისში და იქ ვსწავლობ (ვისწავლი - ი. ლ.). ქართულად არ ვიცი სახელი ამ პროფესიას, გეოდეზია მინდა.

კლუბი ეს არის, ნაძვის ხე დგას (ზამთარში - ი. ლ.), არის ერთი საბავშვო

ბალი, სად (სადაც - ი. ლ.) ბავშვები თამაშობენ. მისი (ბავშვების - ი. ლ.) დედა და მამა ნინოწმინდაში მიდის (დადიან - ი. ლ.) (16 წლის ახალგაზრდა, დაბადებული 2007 წელს, სოფელი კათნატუ, რომლის საუბრის ჩაწერისას უნებლიეთ გამოგვრჩა სახელისა და გვარის მითითება).

მე და ჩემი მამიდაშვილი წავიდნენ (წავედით - ი. ლ.) ჟვანიაში (ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა - ი. ლ.), მასწავლებელი (ქართულის - ი. ლ.) ძალიან კარგი მასწავლებელია. ვლასარაკობ, რომ გამოცდა ჩავაბარო. მე რომ ვლასარაკობ (ქართულად - ი. ლ.), კარგია ეს. კარგია, რომ ვწერ. მინდა კოლეჯში ვისწავლო შეფ-მზარეული (შეფ-მზარეულობა - ი. ლ.). ჩემი ბიძას ერთი რესტორანი აქვს, მინდა იქ მუშაობა. წელს ბევრია სტუდენტები.

მიყვარს თუ არ მიყვარს, ვმუშაობ ბაღში, კარტოფილის ვიტამინი (სასუქი უნდა გავუკეთო - ი. ლ.), კარტოფილი დიდი, კარგი, ლამაზი (რომ მოვიდეს - ი. ლ.). რომ მუშაობა არის (როცა სამუშაოა, ვმუშაობ - ი. ლ.), რომ არ არის, მეგობრებთან ვატარებ დროს. ვთამაშობ ფეხბურთს, კალათბურთს, მანქანით ვსეირნობ სოფელში (ვაზრიკ ხაჩატრიანი, დაბადებული 2006 წელს, სოფელი კათნატუ).

ჩვენ საქართველოს მოქალაქეები, ვართ სომხები. აქ ყველა ადამიანები სწავლობენ: მეიქაფი (ვიზაჟისტობას - ი. ლ.), ტორტები აცხობენ (ტორტების ცხობას - ი. ლ.), პარიკმახერი (პარიკმახერობას - ი. ლ.), ნეილარტი (მანიკიურის სპეციალისტი - ი. ლ.). ან თბილისში სწავლობენ, ან ერევანში. მნიშვნელოვანი არის ქართული და ინგლისური, რომ მიზანები ახდეს. ინგლისური A2 დონეზე ვიცი, ვსწავლობ. მე ვიზამდი (მინდა - ი. ლ.), რომ გავხდე პროფესორი მედიცინის.

ჩვენ (ჩვენს - ი. ლ.) პატარა სოფელში გოგოები და ბიჭები არიან აქტივები (აქტიურები - ი. ლ.), გოგოები უფრო. ბიჭები ტრენინგებზე ცოტა არიან, მე წავიდე (დავდივარ - ი. ლ.) ტრენინგებზე. ბიჭები არიან, რომ სწავლობენ უნივერსიტეტში, მაგალითად, ჩემი მეზობლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სომხეთში სწავლობენ მედიცინა (მედიცინას - ი. ლ.), მენეჯმენტში (მენეჯმენტს - ი. ლ.), თბილისში ვერ მიდიან, ენის პრობლემაა.

ენა არის პრობლემა (პრობლემა - ი. ლ.) იმიტომ, რომ ერთი წელი უნდა სწავლობდნენ ქართული ენა (ქართულ ენას - ი. ლ.). საქართველოში უნდა სწავლობდნენ ნული კურსი, ერთი წელი (საქართველოში ერთი წელი მოსამზადებელ კურსზე უნდა ისწავლონ - ი. ლ.), რომ ვიცოდეთ ქართული ენა. სომხეთში არ არის პირველ კურსზე ესეთი პროგრამა, ვინ არის ჯავახეთში სომეხი (ჯავახეთში ვინც კი სომეხია - ი. ლ.), ვინც გინდა თუ სწავლობდნენ სომხეთში (ვისაც კი სომხეთში სწავლა უნდა - ი. ლ.) და გიყვარს სომხეთში (სომხეთი - ი. ლ.), იქ გამოცდაზე ბალები არის დაბალი სომხებისთვის.

ეს (ამ - ი. ლ.) წელს მეტი თბილისში წავიდნენ (ბევრი თბილისში წავიდა - ი. ლ.) ბიზნესის აკადემიაში, თბილისში მეტი შანსები არის. ჩვენ საქართველოს მოქალაქეები, ვართ სომხები, მაგრამ შანსები ცოტაა. სტომატოლოგია თბილისში უნდა ვისწავლო, ფასები ცოტაა (დაბალია - ი. ლ.), სომხეთში მაღალია.

ტრენინგზე როცა წავიდე (მივდივარ - ი. ლ.), კომუნიკაცია მაქვს ქართულად. მოსწავლეები არ სწავლობენ, ეგაა პრობლემა. არიან ბიჭები, არ უნდათ სწავლა, ოჯახდებიან.

თბილისში მინდა ცხოვრება, ლამაზი ქალაქია, ჩემი მამიდა იქ ცხოვრობს (ლუსიანე კობელიანი, დაბადებული 2007 წელს, სოფელი ჯიგრაშენი).

ჩვენი სამცხე-ჯავახეთი ძალიან მიყვარს. ორ ერს გაუმარჯოს! ქართული ბავშვობიდან ვიცი, აქ ხალხი არიან კახეთიდან, თათრებთანაც კარგად ვიყავით, თათრულიც ვიცი ჩემი ენის გარდა. სამხედროში მარტო მე იყო (სამხედრო სავალდებულო სამსახურში მარტო მე ვიყავი - ი. ლ.) სომეხი, დანარჩენი იყო 200 კაცი თათარი (მაჰმადიანი ქართველები - ი. ლ.), მაგდენი იყო თათარი (მაჰმადიანი ქართველები - ი. ლ.). ჩემმა კამანდირმა ვინ ხარ ბოლო-ბოლო (უფროსმა მკითხა, ვინ ხარ ბოლოს და ბოლოს, ამდენი ენა რომ იციო - ი. ლ.). მე გულით და სულით ვიცნობ ქართული ენა (ძალიან მიყვარს ქართული ენა - ი. ლ.).

არი რომ წითელი დიპლომი გაქვს, ენა არ იცი, მზად კადრები არიან (კარგი სპეციალისტები არიან - ი. ლ.), ვერ მუშაობენ. მე ეგრე ვიცი, რომ ენა საჭირო კი არა, აუცილებელია, რახან აქ ვართ, გენაცვალე. როცა ძნელი მომენტია, ხანდახან რუსული (რუსულს ვიყენებთ - ი. ლ.). ქართველმა ბავშვებმა იციან, ესმით, ელაპარაკებიან (სომხებს სომხურად ელაპარაკებიან - ი. ლ.). ერთმანეთთან ქართულად ვლაპარაკობთ (ქართველები და სომხები - ი. ლ.). აქ ერთი დიდი პოეტი არი, მისი დღე არი (საუბარია ვაჰან ტერიანზე - ი. ლ.), პრავიტელსტვა (მთავრობა - ი. ლ.) იყო.

ვინ რო შუსტრია, იყავი განძაში (ვინც ყოჩალია, რჩება განძაში - ი. ლ.), ააშენე სახლი, ხელი გაქ. ახალგაზრდები რუსეთში მიდიან, ამ ბოლო დროს ევროპაში მიდიან, ჩავარდნილია რუსული ფული.

მოდით, ეგრე გავაკეთოთ, მშვიდობა იყოს! (მანველ აბგარიანი, დაბადებული 1963 წელს, სოფელი განძანი).

**ეკოლოგიური მიზეზით გამოწვეული მიგრაციის
საკითხები და აჭარელი ეკომიგრანტები
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში**

ჯავახეთის მოსახლეობის ცვლილებებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა. ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცნობილია, რომ XIX საუკუნის I ნახევარში ჯავახეთში კომპაქტურად ჩასახლდნენ თურქეთიდან დევნილი სომხები, შედარებით ნაკლები რაოდენობით ბერძნები, ასევე რუსეთის იმპერიის შიდა რაიონებიდან გადმოსახლებული რუსული მოსახლეობა - დუხობორები. მეოცე საუკუნეში ჯავახეთმა აჭარიდან მიიღო საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც იძულებული იყო ეკოლოგიური პრობლემების გამო მიეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. ჯავახეთის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ ეკომიგრანტები. საინტერესოა, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკოლოგიური მიზეზებით გამო გადაადგილებულ პირთა მიგრაციული პროცესების პარალელურად იქმნებოდა ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით. სხვადასხვა დროს დამოკიდებულება იყო სხვადასხვანაირი, რაც პირდაპირ აისახებოდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, ახალ ადგილზე ოჯახების დამაგრების მდგრადობაზე. საქართველოს განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე, მისი ევროპისაკენ სწრაფვის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ეკომიგრანტების საკითხი თანამედროვე ვითარებაში უნდა განიხილებოდეს საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, აქტუალურობას არ კარგავს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ბოლო მონაცემებით 64 მილიონი იძულებითი მიგრანტი გაურბის შიმშილს, ომს და განსაკუთრებით ბოლო დროს გააქტიურებულ საფრთხეს, კლიმატის ცვლილებას. ნაკლებ დამაიმედებელია გაეროს პროგნოზი, რომლის თანახმადაც 2050 წლისთვის მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე გარემო პირობების გაურესების გამო მიგრანტების რიცხვი შეიძლება იყოს 25 მილიონიდან 1 მილიარდამდე. კლიმატის ცვლილება პირდაპირ უკავშირდება მიგრაციულ პროცესებს, შესაბამისად, მათი ანალიზი და პრობლემების გადაჭრა ბევრი ფაქტორის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით იქნება შესაძლებელი.

გარემოს ცვლილება და კატასტროფები ყოველთვის იყო მიგრაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა, თუმცა 21-ე საუკუნის კლიმატის ცვლილების

სხვადასხვა პროგნოზი მიუთითებს იმაზე, რომ მოსალოდნელია, კიდევ უფრო მეტი ადამიანი გადაადგილდეს, რადგან ნალექის ცვლილება და ამინდის ექსტრემალური მოვლენები, როგორცაა წყალდიდობა, გვალვა და ქარიშხალი უფრო ხშირი და ინტენსიური ხდება (IPCC 2014, <https://www.ipcc.ch/about/preparingreports/>), რაც სერიოზულ გავლენას ახდენს საარსებო წყაროზე და ადამიანის უსაფრთხოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არსებობდა ურთიერთდამოკიდებულება ადამიანთა მიგრაციასა და კლიმატს შორის და მათთან დაკავშირებული საკითხები ერთიან კონტექსტში განიხილებოდა, გლობალური დათბობის ბოლოდროინდელმა პროცესებმა, ამინდის ექსტრემალური ცვლილების შედეგად ზღვის დონის აწევამ არასტაბილურობის განცდა გააძლიერა და პრობლემის კვლევას ახალი მასშტაბი შესძინა.

2018 წლის გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და რეგულარული მიგრაციის შესახებ (GCM), ასევე მიგრაციის შესახებ პირველი მოლაპარაკების გლობალური ჩარჩო აღიარებს, რომ მიგრაცია კატასტროფების, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის კონტექსტში რეალობაა და იღებს ვალდებულებებს, მხარი დაუჭიროს როგორც მიგრანტებს, ისე სახელმწიფოებს.

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა გაეროს ლტოლვილთა სააგენტო UNHCR, დღეისათვის უშუალოდ არ არიან ჩართულნი ეკომიგრანტების საკითხების მოგვარებაში. ამ კონკრეტული მომენტისათვის გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს მანდატი ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ სტიქიური მოვლენების შედეგად გადაადგილებულ პირებს არ ითვალისწინებს. თუმცა ორგანიზაცია ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებაზე გარემოსა და ეკოლოგიური პირობების გავლენის საკითხებს საკმაო ყურადღებას უთმობს და, რაც ყველაზე მთავარია, ეკოლოგიური მიზეზებით გამოწვეული გადაადგილება მათ სამომავლო საქმიანობის სფეროდ აქვთ აღიარებული (გაეროს ანგარიში 2009).

კლიმატის ცვლილებას მოაქვს როგორც თანდათანობითი, მაგრამ ყველასთვის კარგად ცნობილი და გავრცელებული გარემოს ცვლილებები, ასევე მოულოდნელი ბუნებრივი კატასტროფები; ორივე მათგანი გავლენას ახდენს ადამიანთა მიგრაციის ბუნებასა და მასშტაბზე, მაგრამ სხვადასხვაგვარად. სპეციალისტები თანხმდებიან, მიუხედავად იმისა, რომ უეცრად დაწყებული სტიქიური უბედურებები უფრო მეტად იწვევს მასობრივ გადაადგილებას, დაზარალებულებს ასეთი შემთხვევების დროს ხშირად შეუძლიათ დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. მეორე მხრივ, შედარებით ნელა მოქმედი კატასტროფები, როგორებიცაა: თანდათანობითი ეკოლოგიური ეროზია, გაუდაბნობა, ნიადაგის ნაყოფიერების შემცირება და ზღვის დონის ცვლილება, რაც შეიძლება უფრო მეტად იყოს პირდაპირ

დაკავშირებული კლიმატის ცვლილებასთან, იწვევს გრძელვადიან მიგრაციას. ორივე გამოწვეულია კლიმატის მიზეზით და ორივე მოითხოვს განსხვავებულ ადაპტაციას და გარკვეული სტრატეგიის არსებობას.

სტრატეგიის შემუშავება კი დამოკიდებულია იმაზე, როგორია ხედვა მიგრაციული პროცესების, და რა შინაარსი მოიაზრება მასში. მიგრაცია ზოგადად განიხილება, როგორც ადამიანთა მიერ საცხოვრებლის მუდმივად ან დროებით შეცვლა. ის არ არის დამოკიდებული მხოლოდ გადაადგილების მანძილსა და ბუნებაზე. ცნობილია, რომ მიგრაცია ხვადასხვა სახის არსებობს: გამოწვეული სამუშაო ადგილების ძიებით, სწავლის სურვილით, ომის, დევნის, გარემო პირობებითა თუ სხვა მიზეზებით, ბოლო დროს სხვადასხვა მონაცემებით აქტუალური ხდება სეზონური მიგრაცია.

ეკოლოგიური მიზეზების გამო მიგრანტების გაზრდილმა რაოდენობამ გაზარდა მეცნიერთა ინტერესი მათი სოციალური თუ სხვა სახის ადაპტაციის თემებისადმი. კვლევების შედეგების უშუალოდ განხილვამდე მიზნშეწონილი იქნება ტერმინოლოგიური საკითხების მოკლედ განხილვა, რაც, ბუნებრივია, სცილდება მხოლოდ ტერმინის შინაარსობრივ მხარეს და უკავშირდება სამართლებრივ პრობლემებს.

„კლიმატური ლტოლვილი“ ან „ეკოლოგიური ლტოლვილი“ არის ტერმინები, რომლებიც ხშირად გამოიყენება მედიასივრცეში. ადამიანების მდგომარეობა და საჭიროებები, რომლებიც იძულებით მოძრაობენ გარემოთი გამოწვეული მიზეზების გამო, რეალურად ძალიან ჰგავს სხვა მიზეზების გამო ლტოლვილების მდგომარეობას. ისინიც საჭიროებენ ანალოგიურ დაცვასა და დახმარებას, მიუხედავად ამისა, არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოებით ისინი არ განეკუთვნებიან არსებულ რომელიმე კონკრეტულ კატეგორიას. ტერმინებს, როგორცაა „კლიმატის ცვლილების ლტოლვილი“ ან „ეკოლოგიური ლტოლვილი“, არ გააჩნიათ სამართლებრივი საფუძველი ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში.

გარემოს ცვლილებების გამო გადაადგილებული პირების საერთაშორისოდ მიღებული სამართლებრივი განმარტება დღემდე არ არსებობს. თუმცა ბევრი ორგანიზაცია მუშაობს ამ კუთხით. აღსანიშნავია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მირ (IOM-ის) მიერ 2007 წელს შემოთავაზებული სამუშაო ვერსია გარემოს ცვლილებების გამო გამოწვეულ მიგრანტთა დეფინიციის შესახებ: „ეკოლოგიური მიგრანტები არიან პირები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც, ძირითადად, გარემოს უეცარი ან პროგრესირებადი ცვლილების გამო, რაც უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებასა და საცხოვრებელ პირობებზე, ვალდებულნი არიან დატოვონ თავიანთი კუთვნილი სახლები, მათი არჩევანის მიხედვით დროებით ან სამუდამოდ და რომლებიც გადაადგილდებიან თავიანთ

ქვეყანაში ან მის ფარგლებს გარეთ“ (I OM 2007, <https://www.iom.int/sites/g/files/tmzbd1486/files/jahia/webdav/shared>). მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) გაეროს სისტემის ნაწილია და ხელს უწყობს ჰუმანურ და მოწესრიგებულ მიგრაციას ყველას სასარგებლოდ, საქართველოში ორგანიზაცია 1993 წლიდან მუშაობს. როგორც ორგანიზაცია მიიჩნევს, ეს განმარტება შეგნებულად არის ზოგადი, რათა უფრო მოქნილი გახდეს და გაითვალისწინებული იყოს ყველა სახის ეკოლოგიური ფაქტორების გამო მოსახლეობის გადაადგილების მრავალფეროვანი შემთხვევები. ეს განმარტება გვიჩვენებს, რომ ეკოლოგიურ მიგრაციას შეიძლება ჰქონდეს მრავალი რთული ფორმა: იძულებითი და ნებაყოფლობითი, დროებითი და მუდმივი, შიდა და საერთაშორისო, ინდივიდუალური და კოლექტიური, ახლოს და შორ მანძილზე. ეკოლოგიური მიგრაციის ბუნება, ხანგრძლივობა და მასშტაბები ასევე დამოკიდებულია იმაზე, ხდება თუ არა ის ნელი მოვლენებისა და პროცესების კონტექსტში, როგორებიცაა ზღვის დონის ცვლილება, ტემპერატურის მატება და სხვა, თუ მოულოდნელი მოვლენებისა და პროცესების - წყალდიდობები, ქარიშხალი და ა.შ., რომლებიც გამძაფრებულია კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დეგრადაციის უარყოფითი შედეგებით. დეფინიციაში გამოკვეთილია ისიც, რომ მიგრაცია დამოკიდებულია სხვა სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორთა ურთიერთქმედებაზე, რაც გავლენას ახდენს გადაადგილების გადაწყვეტილებზე ან აუცილებლობაზე. ამგვარი კომპლექსურობისა და ფაქტორთა სიმრავლის გამო, ეკოლოგიური მიგრაცია არ უნდა იქნას აღქმული, როგორც მთლიანად უარყოფითი ან დადებითი შედეგი - მიგრაციას, ერთი მხრივ, შეუძლია გააართულოს მოწყვლადი ჯგუფის მდგომარეობა და მეორე მხრივ ადამიანები გახადოს უფრო ძლიერი მათ წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად. საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიციის არარსებობის პირობებში შემუშავდა კიდევ რამდენიმე წინადადება გარემოს ფაქტორების გამო ადამიანების გადაადგილების შესახებ პროცესის აღსაწერად.

მეცნიერთა განმარტებით, ეკომიგრანტებად მიიჩნევიან ადამიანები, რომელთაც გარემო პირობების გაუარესების ან ბუნებრივი კატასტროფების მიზეზით უხდებათ მუდმივი საცხოვრებლების დატოვება დროებით ან სამუდამოდ და გადაადგილდებიან ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ (CENN 2013, 45). ეკომიგრანტების რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით ცვალებადია. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. 1951 წლის ჟენევის კონვენციით ლტოლვილთა სტატუსი არ ვრცელდება ეკოლოგიურ მიგრანტებზე, იგი შემუშავებულია დევნის, ომის ან ძალადობისგან გაქცეული ადამიანების დასაცავად. გაეროს სააგენტოები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩართული ლტოლვილთა უფლებებში, გაეროს ლტოლვილთა სააგენტო (UNHCR) და გაეროს განვითარების პროგრამა, თანხმდებიან, რომ ტერმინი

„კლიმატის ლტოლვილი“ არ უნდა იქნას გამოყენებული ეკოლოგიური მიზეზების გამო იძულებით გადაადგილებულთა აღსაწერად. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისია საკმაოდ დიდი რაოდენობით ლტოლვილისთვის ცდილობს ადეკვატურ მხარდაჭერას (მსოფლიოში 22,5 მილიონი ლტოლვილია ომისა და დევნის შედეგად) და არსებობს საკმაოდ თავშეკავებული დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ UNHCR გააფართოვებს „ლტოლვილის“ განმარტებას სრულიად ახალი კატეგორიის მხარდასაჭერად, გაურკვეველია არსებობს თუ არა სხვადასხვა ქვეყნის, ორგანიზაციის მხრიდან პოლიტიკური მზაობა საჭირო დაფინანსების უზრუნველსაყოფად.

ერთ-ერთი ტერმინია „კლიმატის მიგრაცია“, რომელიც აზუსტებს, რომ ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი გადაადგილდება კონკრეტულად კლიმატის ცვლილების გამო გარემოში მოულოდნელი ან პროგრესირებდი ცვლილების გამო (IOM 2020, <https://governingbodies.iom.int/system/files/en/council/111/>). ამრიგად, კლიმატის მიგრაცია გამოდის ეკოლოგიური მიგრაციის შემადგენელი ნაწილი; იგი განსაზღვრავს ეკოლოგიური მიგრაციის ცალკეულ ტიპს, როდესაც გარემოს ცვლილება განპირობებულია კლიმატის ცვლილებით. მიუხედავად იმისა, რომ IOM-მა შეიმუშავა სამუშაო განმარტება, რომელსაც არ გააჩნია რაიმე კონკრეტული იურიდიული მნიშვნელობა, ტერმინი გამოიყენება იურიდიულად სავალდებულო კლიმატის ცვლილების ადაპტაციის შესახებ გაეროს კლიმატის ჩარჩო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული კანკუნის შეთანხმებებში. კანკუნის შეთანხმებები განსაზღვრავს „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული“ გადაადგილების სამ ფორმას: გადაადგილებას, მიგრაციას და დაგეგმილ გადაადგილებას. ეს ტერმინი ასევე გამოიყენა მსოფლიო ბანკმა კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენის გამო სამომავლო გადაადგილებების დასაგეგმად.

დაგეგმილი გადაადგილება განიხილება კატასტროფების ან გარემოს დეგრადაციის კონტექსტში, როდესაც კლიმატის ცვლილების შედეგების გამო პირები ან ადამიანთა ჯგუფები გადაადგილდებიან თავიანთი სახლებიდან ან დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან ახალ ადგილას და უზრუნველყოფილია მათი ცხოვრების აღდგენის პირობები. ტერმინი ზოგადად გამოიყენება გადაადგილების იდენტიფიცირებისთვის ეროვნულ საზღვრებში ერთი სახელმწიფოს უფლებამოსილების ქვეშ და აღნიშნავს ხანგრძლივ პროცესს, რომელიც გრძელდება მანამ, სანამ „გადაადგილებული პირები არ ჩაერთვებიან ცხოვრების ყველა ასპექტში ახალ გარემოში და აღარ ექნებათ საჭიროებები, ან იქნებიან დაუცველები დაგეგმილი გადაადგილებიდან გამომდინარე“ (IOM 2020, <https://governingbodies.iom.int/system/files/en/council/111/>).

კატასტროფის გადაადგილება არის ტერმინი, რომელშიც იგულისხმე-

ბა სიტუაციები, როდესაც ადამიანები იძულებულნი არიან დატოვონ თავიანთი სახლები ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილები კატასტროფის შედეგად, ან რათა თავიდან აიცილონ უშუალო და მოსალოდნელი ბუნებრივი საფრთხის ზემოქმედება. ასეთი გადაადგილება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ დაზარალებული პირები ექვემდებარებიან ბუნებრივ საფრთხეს იმ სიტუაციაში, როდესაც ისინი ძალიან დაუცველები არიან და არ გააჩნიათ რესურსი და ძალა საფრთხესთან გამკლავების ან მასზე ზემოქმედების (Nansen Initiative 2015, 24). ეს ტერმინი ძირითადად გამოიყენება გარემოში მოულოდნელი მოვლენებით გამოწვეული ადამიანების იძულებითი გადაადგილების დასადგენად. ცნება „სასაზღვრო კატასტროფა-გადაადგილება“ ასევე ზოგჯერ ასოცირდება ამ ტერმინთან, განსაკუთრებით მოსახლეობის გადაადგილების დანიშნულების იდენტიფიცირებისას სხვა ქვეყანაში.

ადამიანის მობილურობა არის კიდევ ერთი „ზოგადი ტერმინი, რომელიც გულისხმობს ადამიანთა გადაადგილების ყველა სხვადასხვა ფორმას. ტერმინი „ადამიანის მობილურობა“ ასახავს ადამიანთა გადაადგილების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ტერმინი „მიგრაცია“. გაგებულია ისე, რომ მოიცავს ტურისტებაც კი, რომლებიც ზოგადად მიიჩნევა, რომ არ არიან ჩართულნი მიგრაციაში“ (IOM 2020, <https://governingbodies.iom.int/system/files/en/council/111/>). რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ შექმნა „კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის მობილურობის საკონსულტაციო ჯგუფი“. ამ კონტექსტში ადამიანის მობილურობა გაგებულია, როგორც კანკუნის შეთანხმებიდან „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული“ მოძრაობის სამი ფორმა, კერძოდ, **გადაადგილება, მიგრაცია და დაგეგმილი გადაადგილება**. ტერმინი სულ უფრო ხშირად გამოიყენება მრავალ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინები ფოკუსირებულია მოძრაობაზე, ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი ისიც, რომ ადამიანთა ჯგუფის „მოწყვლადობის“ კონცეფცია გარემოს ცვლილებების გამოწვეული მიგრაციის ანალიზისას რეაგირების ცენტრში უნდა დადგეს. ყველაზე დაუცველი შეიძლება იყოს ის მოსახლეობა, რომელსაც არ შეუძლია ან არ გადაადგილდება. მათ ემუქრებათ ე.წ. „ხაფანგში“ დარჩენა, ანუ იქ, სადაც ისინი უფრო დაუცველები იქნებიან ეკოლოგიური შოკებისაგან. ეს განსაკუთრებით ეხება ღარიბ ოჯახებს, რომლებსაც შესაძლოა, არ ჰქონდეთ გადაადგილების რესურსი და რომელთა საარსებო წყაროც დაზარალდა“ (IOM 2020, <https://governingbodies.iom.int/system/files/en/council/111/>).

ბევრ მეცნიერს სურს, დაადგინოს ეკოლოგიური მიგრაცია, როგორც სპეციფიკური სფერო მიგრაციის კვლევებში. არსებობს ტენდენცია, რომ გარემოს მიგრაცია სხვა სახის მიგრაციაა, შესაბამისად ის უნდა განცალკევდეს და განიხილებოდეს კლასიკური მიგრაციის თეორიებისგან

განცალკევებით. აქვე გასათვალისწინებელია ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან ციფრებისა და პროგნოზების მიმართ გადამეტებულად გაზვიადებული დამოკიდებულება. ეს რიცხვები, ცხადია, უნდა ეყრდნობოდეს მკაფიო განმარტებას, თუ ვინ არის ეკოლოგიური მიგრანტი. სხვადასხვა განმარტება სხვადასხვა რიცხვებს ასახავს; თუმცა ეკოლოგიური მიგრაციის ძალიან ფართოდ განსაზღვრა საზიანო იქნება მათთვის, ვისაც ყველაზე მეტი დაცვა სჭირდება (Dun & Gemenne 2008, 10-11).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე ეკოლოგიური მიზეზით გამოწვეული გადადგილებით დაინტერესებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოიყენება ისეთი ტერმინები და ცნებები, როგორცაა ეკოლოგიური მიგრაცია, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მიგრაცია, ეკოლოგიური ლტოლვილები, კლიმატის ცვლილების მიგრანტები და ეკოლოგიურად გამოწვეული იძულებითი მიგრანტები.

გარემოს დეგრადაციის ან მისი ცვლილებით გამოწვეული მიგრაციის ზუსტი განმარტების არარსებობის ძირითადი მიზეზი არის მიგრაციის გამომწვევი სხვა გარემო ფაქტორებისაგან გარემოს ცვლილებების იზოლირების სირთულე, ასევე იძულებითი და ნებაყოფლობითი მიგრაციის გამიჯვნის ბუნდოვანება: ეკოლოგიური მიგრაცია არის იძულებითი გადაადგილების ფორმა, თუ შესაძლებელია იგი იყოს ნებაყოფლობითი, რამ უნდა განასხვავოს იძულებითი და ნებაყოფლობითი მიგრაცია? ეს კითხვები გავლენას ახდენს ეკოლოგიური მიგრაციის ტიპოლოგიაზე, მის განმარტებაზე და მათი გვერდის ავლა შეუძლებელია. ამავე დროს განმარტების აუცილებლობა პრინციპული საკითხია ეკოლოგიური მიგრაციის კონცეპტუალიზაციისა და მოსახლეობის მოძრაობის სათანადო პოლიტიკის შემუშავებისათვის. თუმცა სხვადასხვა ფაქტორმა, რომელიც განაპირობებს განმარტების საჭიროებას, შეიძლება ხელი შეუშალოს მის განვითარებას. მაგალითად, როგორცაა მოსახლეობის ზრდა, მმართველობის ესა თუ ის ტიპი, საზოგადოების ცხოვრების დაბალი დონე, რაც იწვევს სიღარიბეს, ადამიანური უსაფრთხოება და მზარდი კონფლიქტები, ამ საკითხებს ერთი შეხედვით კავშირს არააქვს ეკოლოგიური მიზეზით გამოწვეულ მიგრაციებთან. ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი მოქმედებს კლიმატის ცვლილებებზე. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა აძნელებს იმის დადგენას, თუ რამდენი ეკოლოგიური მიგრანტია მსოფლიოში. გაეროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ზემოთმოყვანილი პროგნოზი არის საგანგაშო, რამაც უნდა გაააქტიუროს საზოგადოებრივი აზრი იმგვარი პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც მიმართული იქნება კლიმატის გაუარესებით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის მოსაგვარებლად. აღსანიშნავია,

რომ ეკოლოგიური მიზეზით გადაადგილებულ პირთა შესახებ კვლევები გაერთიანებულია ზოგადად მიგრანტთა შესახებ კვლევებში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მიგრანტთა სოციალური ინტეგრაციის საერთაშორისო კვლევა ჩნდება ნეოკლასიკური ეკონომიკის მაკროთეორიაში, სადაც ხაზგასმულია მიგრანტების უნარების როლი სოციალურ ინტეგრაციაში. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ გეოგრაფიული განსხვავებები შრომის მიწოდებასა და მოთხოვნაში და ხელფასების სხვაობა იწვევს ინვესტორების მიგრაციას კაპიტალით მდიდარი რეგიონებიდან კაპიტალით ღარიბ რეგიონებში. მაღალკვალიფიციური მუშახელი მიედინება კაპიტალით ღარიბი ქვეყნებიდან კაპიტალით მდიდარ ქვეყნებში მაღალი კვალიფიკაციის ანაზღაურებისთვის, ხოლო მენეჯერებისა და მაღალკვალიფიციური მუშახელის პარალელური ნაკადი უფრო აქტიურია ადგილობრივ რაიონებში (Massey და სხვ. 1993, 334). გარდა მიკროფაქტორებისა, კვლევებში გამოკვეთილია მაკრო ფაქტორების როლი ემიგრანტების სოციალურ ინტეგრაციაში, რომელიც მოიცავს პოლიტიკას, ინსტიტუტებს და კულტურულ ფონს. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ არსებული კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია ურბანიზაციაზე, ხისტი თვისებების მქონე ეროვნულ პოლიტიკაზე, მის ძირითად მახასიათებლებზე და ნაკლებად ეკოლოგიურ იმიგრაციაზე. მხოლოდ რამდენიმე მკვლევარმა (Maoa & სხვ. 2012, 13; Tai და სხვ. 2020, 324–330) გააანალიზა ეკოლოგიური ემიგრანტების ახალ დასახლებებთან ადაპტაციის პროცესი ეკოლოგიური მიგრაციის პროგრამების ფარგლებში ჩინეთში. ტაისა და სხვა მკვლევართა ჯგუფის ერთობლივ ნაშრომებში აღნიშნულია, რომ ეკოლოგიური მიგრანტები საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე დადგნენ, რომ მათი თავდაპირველი ორგანიზაციული სტრუქტურა და სოციალური კონტაქტები დასუსტდა, ასევე დაზიანდა მათი კულტურული მახასიათებლები, ადათ-წესები და შესუსტდა ურთიერთდახმარების მექანიზმების მოქმედება, რამაც შეამცირა მიგრანტების სოციალური იდენტობის გრძნობა და საზოგადოების ნორმების აღიარება. იმავდროულად, ეკოლოგიურ მიგრანტებს შეზღუდული ჰქონდათ საკუთარი წარმოების გამოცდილება, წიგნიერება, სოციალური ორგანიზაცია, რაც ქმნიდა მატერიალური, სოციალური და სულიერი სივრცის გაუწონასწორებელი განვითარების მოდელს. (Maoa & სხვ. 2012, 11; Jeworrek და სხვ. 2021, 482-499). აღნიშნავენ, რომ ეკოლოგიურ მიგრანტთა უმეტესობა დაეყრდნო მთავრობის მიერ მოწოდებულ საარსებო შემწეობებს და რომ 72% შეუფერებელი აღმოჩნდა ეკოლოგიურ განსახლების ადგილებში ახალი სამუშაო მოთხოვნებისთვის. მიგრანტების უმეტესობა მუშაობდა არაფორმალურ ეკონომიკაში განათლების, სამედიცინო მომსახურებისა და ცხოვრების ხარჯებისთვის საჭირო კაპიტალის სანაცვლოდ. ჰერსლუნდი (Herslund 2021, 239-240)

მიიჩნევს, რომ ზემოთქმული შიძლება გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ მიგრანტები კომპაქტურად დასახლდნენ პატარა ქალაქებში, მათ ჰქონდათ დატვირთული ყოველდღიური ცხოვრება ყოველდღიური საქმიანობითა და საკუთარი ცხოვრების სტილით და ისინი ნაკლებად ურთიერთობდნენ ქალაქის მცხოვრებლებთან წარმოებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც საბოლოოდ აუცილებლად გამოიწვევდა სოციალურ იზოლაციას, რაც მოხდა კიდევ, როგორც რომოლისა და სხვ. (Romoli და სხვ, 2022, 19-20). კვლევებიდან ირკვევა, ეკოლოგიური მიგრაცია მოიცავს მოსახლეობისა და რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ასახავს სოციალური და კულტურული სივრცეების კონფლიქტსა და ინტეგრაციას ერთდროულად. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გადასახლებულ მოსახლეობას ექმნება ისეთი პრობლემები, როგორცაა სივრცითი ადაპტაციის შესუსტება, სივრცითი იდენტობისა და კუთვნილების გრძნობის ნაკლებობა (Ozkazanc 2021, 112-117). სივრცის წარმოების ურთიერთობების დისბალანსი და სივრცითი აღქმის შოკი (მაგ., სოციალური გარიყულობა). (Lim 2021, 108-120; Dun&Gemenne 2008, 34-35). მიგრაციის შედეგად გადაადგილებული პირები ხშირად ახალ კულტურულ გარემოში აღმოჩნდებიან, რაც მათ გარკვეულ ბარიერებსა და დაბრკოლებებს უქმნის. ჯონ ბერის მოსაზრებით (Berry 1997, 55), სხვა გარემოში გადაადგილებულ ჯგუფები გადიან როგორც სოციო-კულტურული, ისე ეკონომიკური და განსაკუთრებით კი ფსიქოლოგიური, ადაპტაციის ეტაპები, ბერი ხაზს უსვამს აკულტურაციის მოსალოდნელ შესაძლებლობას, როგორც ფენომენს როცა ჯგუფი იცვლის თავის კულტურულ მახასიათებლებს. მეცნიერის აზრით, საკმაოდ ხშირია ინკულტურაცია, ანუ ადაპტაციის პროცესში განსხვავებული ჯგუფების კულტურული ღირებულებების ათვისებას მათს და სხვათა. მიგნებებით, ეკოლოგიური მიგრანტები გადაადგილდებიან განსახლების ადგილებში სამუშაოდ და საცხოვრებლად, თუმცა მათი განსხვავებული სივრცითი განაწილების, ადაპტაციისა და მათი ცოდნისა და კულტურის შესაბამისი გამოცდილების გამო, შეიძლება წარმოიშვას სივრცითი კონფლიქტები და სოციალური უარყოფითი მხარეები. ეს, თავის მხრივ, აფერხებს მათ სივრცეში ადაპტაციის დონეს და ორგანიზაციულ ეფექტურობას, რაც იწვევს არასრულფასოვან პოზიციებს წარმოებასა და ცხოვრებაში და აფერხებს მათ სოციალურ-სივრცითი ინტეგრაციას. აქედან გამომდინარე, ეკოლოგიური მიგრანტების ადაპტაცია და საზოგადოებაში ინტეგრირება გადაუდებელი კვლევის საკითხია და კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ურბანული მმართველობისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური პრობლემები მილიონობით ადამიანს აიძულებს მიგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ადამიანი არის მიგრაციის რისკის ქვეშ, ეს რისკი არ არის ყველასთვის თანაბარი. რისკი დამოკიდებულია მოსახლეობის დროებით მდგომარეობაზე, გეოგრაფიულ

მდებარეობაზე, სოციალურ პოზიციაზე და იმ საზოგადოებაზე, რომლის წევრებიც არიან. ცალკე უნდა აღინიშნოს კვლევები, რომელიც ეხება ეკოლოგიური მიზეზებით გამოწვეულ მიგრაციას და ასახავს ზოგიერთ ეთიკურ საკითხს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორ მნიშვნელოვან ეთიკურ საკითხზე: სამართლიანობასა და პასუხისმგებლობაზე. მორალური პასუხისმგებლობასა და ეკოლოგიურ მიგრაციაზე.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გლობალური მიგრაციული კრიზისების მაგალითები მრავლადაა. ბოლო დროს ყველაზე ხმაურიანი აღმოჩნდა ცენტრალური ამერიკის მასობრივი მიგრაცია შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ ტრამპის მიერ აშშ-მექსიკის საზღვარზე კედლის აშენების მოწოდება, რამაც გარკვეული „მედია აჟიოტაჟი“ გამოიწვია. ერთი შეხედვით თითქოს ამ პროცესს ნაკლები კავშირი უნდა ჰქონოდა გარემოს ცვლილებებთან, თუმცა ამ საკითხზე ბოლო კვლევები და მოხსენებები ხაზს უსვამს კლიმატის ცვლილების როლს ამ მიგრაციულ კრიზისში, მეტიც, ცხადი ხდება, რომ კლიმატის ცვლილება არის მთავარი ფაქტორი. კერძოდ, საშუალო ტემპერატურა ცენტრალურ ამერიკაში 1950 წლიდან 0,5 გრადუსით გაიზარდა და მეცნიერები თვლიან, რომ ეს კიდევ 1-2 გრადუსით მოიმატებს 2050 წლამდე. გარდა ამისა, რეგიონში ქარიშხლების, წყალდიდობისა და გვალვების რაოდენობა კვლავ იზრდება, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგნოზით რომ ნალექის შემცირების პროპორციულად მოსალოდნელია გვალვების ზრდა. The Guardian-ის ანგარიშის თანახმად მარტო ელ სალვადორი საუკუნის ბოლომდე დაკარგავს თავისი სანაპირო ზოლის 10-28%-ს. არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, თუ როგორ იწვევს კლიმატის ცვლილება მასობრივ მიგრაციას, რაც აშკარა გამოწვევას წარმოადგენს: როგორ გადარჩებიან ამ რეგიონების მცხოვრებლები და სად წავლენ, არის თუ არა წასვლა ერთადერთი ალტერნატივა? გამომდინარე იქიდან, რომ მასობრივი მიგრაცია და კლიმატის ცვლილება ურთიერთდაკავშირებული პრობლემებია, არასტაბილური გარემო იწვევს საზოგადოების არასტაბილურობას, ძალადობასა და დაუცველობას. ვინაიდან გარკვეული სფეროები უფრო მეტად დაზარალდება, ვიდრე სხვები, ყოველ შემთხვევაში მოკლევადიან პერიოდში, ეს იწვევს მასობრივ მოძრაობას, ადამიანებისა, რომლებიც ეძებენ უკეთეს და უფრო სტაბილურ ალტერნატივებს. მამასადამე, კლიმატ-მიგრაციული კავშირის გაგება შეიძლება გახდეს გასაღები როგორც კლიმატის კრიზისის გადასაჭრელად, ასევე მიგრაციული კრიზისისთვის. თუ განვაგრძობთ მათ ცალ-ცალკე განხილვას, გაჭირდება ზოგადი სურათის დანახვა და შესაბამისი რეაგირება.

თუ გადმოვინაცვლებთ ქართულ რეალობაში, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენს ე. წ.

„ეკომიგრანტები“. საქართველოს კანონმდებლობის თანახმადაც, სტიქიური უბედურებების გამო იძულებით გადაადგილებულ პირს სტატუსი არ ენიჭება (ლაილი, 2012). ეკო-მიგრანტების დიდი ნაწილი აჭარაში მცხოვრები მოსახლეობაა, სადაც იკვეთება ორი ძირითადი ტენდენცია - მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპი და მიწის ნაკვეთების ნაკლებობა. აჭარაში ოჯახების დიდი ნაწილი მრავალსულიანია, მათი გაზრდილი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გაზრდილია ტყეების გაჩეხვა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის მაღალმთიანი ტერიტორიების გამოყენება, რამაც, რა თქმა უნდა, გაზარდა ბუნებრივი კატასტროფების რისკი (<https://www.geostat.ge/media/20623/3.-Population-Dynamics- GEO-Print F.pdf>).

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტი) პრობლემების მოგვარების მიმართულებით ამ სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მცდელობის მიზნით საქართველოში ცალკეული სამართლებრივი აქტები მიიღებოდა, რომელთა უმრავლესობა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს და უსახლკაროდ დარჩენილთა ფინანსური დახმარებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საკომპენსაციო თანხების გამოყოფას ეხებოდა.

ეკომიგრაციის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით მიღებული ძირითადი აქტების/ნორმების ქრონოლოგია წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (წყარო: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახები: სახელმწიფო მხარდაჭერა და აღრიცხვა, დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ანგარიში, 2016 წელი):

ეკომიგრაციის სფეროში გამოცემული, მიღებული სამართლებრივი აქტები (კანონი, კანონქვემდებარე აქტი)

- საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 თებერვლის #67 ბრძანებულება „1987 წლიდან დაწყებული სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური და იურიდიული პრობლემების გადაწყვეტის პროგრამის (1998-2005) დამტკიცების შესახებ“ წელი 1997 ბრძანებულება მიზნად ისახავდა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების იმ დროისათვის არსებული პრობლემების და ხარვეზების გადაჭრას.

- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 3 ივნისის #40 განკარგულება „მთიანი აჭარიდან, წალკის, ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებში სტიქიური მიგრაციის პროცესების მართვის სახელმწიფო კომისიის დაფუძნების შესახებ“. განკარგულება მიზნად ისახავდა ეკომიგრაციის პროცესების მართვის გაუმჯობესებას და საკანონმდებლო რეგულაციებში

მოქცევის მიზნით სპეციალური კომისიის შექმნას, რომელსაც კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები უნდა შეემუშავებინა. თუმცა, ამ კომისიის მუშაობის კონკრეტული შედეგების შესახებ ინფორმაცია არ იძებნება. 2004 სახელმწიფოს მცდელობა, როგორმე მოეხდინა ამ პრობლემების მართვა და ინფორმაციის დახარისხება აისახა დღეს უკვე ძალადაკარგული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახების რაოდენობის და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიების და გამგებლისათვის (მერისათვის) წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა სოფლის რწმუნებულებს.

- საქართველოს მთავრობის 2005 წლის 8 სექტემბრის #358 განკარგულება “წალკის, თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონებში თვითნებურად ჩასახლებული მოსახლეობის კომლექსურ დაკანონებისა და შემდგომში მიწის პრივატიზაციაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ” აღნიშნული კომისიის შექმნის მიზანი იყო „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ეკომიგრანტთა განსახლების ზონებში, მიწის დაკანონების პროცესში წარმოქმნილ პრობლემათა გადაწყვეტა, თუმცა აღნიშნული განკარგულება და კომისიაც, ექვს თვეში, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 15 მარტის განკარგულებით გაუქმდა. 2005 9 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“

- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის #34 დადგენილება. დადგენილება ითვალისწინებს (მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული პირების სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციებსა და ვალდებულებებს.

- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბერი №779 ბრძანება. ბრძანება ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და

გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის საცხოვრისით უზრუნველყოფის წესსა და კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც ხდება დაზარალებულთა საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელება.

- „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2014 წლის 17 ივნისის #1206 ბრძანება. აღნიშნული ბრძანებით სამინისტროში შეიქმნა ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი, რომელიც დღესაც ძირითადად უზრუნველყოფს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას.

- აჭარის არ მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის #5 დადგენილება „აჭარის არ ტერიტორიაზე მცხოვრები სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ზოგადი წესის შესახებ“ დადგენილება არეგულირებს აჭარის არ. მთავრობის ფუნქციებსა და ვალდებულებებს სტიქიის (მათ შორის ხანძრის და მიწისძვრის) შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების წესსა და კრიტერიუმებს.

- „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დროებით სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის საჭირო ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 მაისის N996 განკარგულება.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 1 ოქტომბრის #04/07/25967 წერილიდან ირკვევა, რომ 2004-2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით (2004 წლამდე მონაცემები სამინისტროში არ არის დაცული) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილ იქნა 7 320 168 ლარი, ხოლო პროგრამის სახით სამინისტროში არსებობს და არსებობდა მხოლოდ ეკომიგრანტების განსახლების პროგრამა. თანხების გამოყოფის დინამიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება :1 განკარგულება ითვალისწინებს 2004-2012 წლების განმავლობაში, ეკომიგრანტებისთვის შესყიდული საცხოვრებელი სახლების და ოჯახების აღწერას, მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადებასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018

წლის 10 ოქტომბრის ბრძანება №01-17/ნ, „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) განსახლების პროცედურის, განსახლების კრიტერიუმების, ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის წარმოების წესის დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოში ეკოლოგიური მიზეზებით ადგილნაცვალ პირთა პირველი ორგანიზებული გადასახლება 1980-იანი წლების დასაწყისში მოხდა. 1981-83 წლებში მთავრობის გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში, ხობის, ასპინძისა და ადიგენის რაიონებში და კასპის რაიონში მაღალმთიანი აჭარიდან 1010 ოჯახის ჩასახლება განისაზღვრა (ფუტკარაძე, 2006).

დღესდღეობით საქართველოში ეკომიგრანტთა ყველაზე დიდი ნაკადი მაღალმთიანი აჭარიდან მოემართება, რადგან როგორც აღინიშნა, ეს ტერიტორიები მიწის ნაკლებობითა და სტიქიურ უბედურებათა მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკომიგრანტები საქართველოში სტიქიური უბედურებების გააქტიურებამდე გაჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მასობრივად აყრა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და გეგმიურადაც ხორციელდებოდა. ზოგჯერ ამ პროცესს სადამსჯელო ღონისძიების სახეც კი ჰქონდა, ზოგჯერ ექსპერიმენტის. სოფლების გაქრობა საბჭოთა ინდუსტრიის გრანდიოზულ პროექტებსაც უკავშირდება. <https://for.ge/view/594/saqarTveloSi-ekomigrantTa-raodenoba-kidev-ufro-gaizrdeba.html>. სპეციალისტებს ამის მაგალითად მოჰყავთ 1949 წელს ენგურჰესისთვის მდინარე ენგურის ხეობის 12 სოფელი გადასახლეს და ჩადირეს. ამ სოფლების მოსახლეობა შეიძლება თამამად ჩაითვალოს პირველ ეკომიგრანტებად. 1980-იანი წლების ბოლოს მოულოდნელად გააქტიურებულმა ბუნებრივმა კატასტროფებმა სვანეთსა და მთიან აჭარაში ისტორიული სოფლების დაცლა გამოიწვია. ეკონომიგრანტებისთვის კახეთსა და ქვემო ქართლში სოფლები აშენდა. უკვე 1990-იანი წლებიდან ეკომიგრანტები ქვემო ქართლსა და ჯავახეთის სომხურ და ბერძნულ სოფლებში სახლდებიან.

ეკომიგრანტების განსახლება და სამთავრობო პროგრამები საქართველოში საბჭოთა პერიოდში გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის მიერ ეკომიგრანტების განსახლება შედარებით ორგანიზებული ფორმით ხორციელდებოდა, მათი მოგვარებისთვის საჭირო და საკმარისი რესურსების გამოყენებით. 1981-

დან 1990 წლამდე ეკომიგრანტების უმრავლესობა ჩასახლეს საქართველოს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში: სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც ჩასახლებულთა რაოდენობამ მთლიანობაში დაახლოებით სამი ათასი ოჯახი შეადგინა (ტრიერი და ტურაშვილი 2007, 34) .

სხვადასხვა დროს არასამთავრობო და უცხოური ორგანიზაციების კვლევებით იდენტიფიცირებულია პრობლემები, რომლებიც პროცესში იჩენდა თავს.

1989 წლის აპრილში 5657 ოჯახი (24287 ადამიანი) აჭარის რეგიონიდან გადმოსახლეს ზემოთჩამოთვლილ რეგიონებში, სადაც გეგმის მიხედვით 17 რაიონში 5 ათასი სახლი უნდა აშენებულიყო, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ სამი ათასი აშენდა. მიზეზად 80-იანი წლების ბოლოს საბჭოთა სახელმწიფო სტრუქტურის ნგრევასთან ერთად ეკომიგრანტებისთვის აღმოსაჩენი დახმარებისა და მათთვის მიწის ნაკვეთების განაწილების სფეროში მართალი ხარისხის კორუფცია სახელდება. ბუნებრივია, ეს ერთადერთი მიზეზი არ იყო, მაგრამ როგორც ჩანს, განმსაზღვრელი როლი ითამაშა. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დამოუკიდებლობის მიღების პირველი წლებს, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისს, ანგარიშებში ასახულია, რომ ეკომიგრანტების ჩასახლებამ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოგვარების ფუნქცია დაიმატა: „ეთნიკურად ქართველ ეკომიგრანტებს ხშირად უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ასახლებდნენ, როგორცაა აფხაზეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, რაც აღნიშნული რეგიონების „გაქართველებას“ ისახავდა მიზნად. სახელმწიფო აქტორების მსგავსად გავლენიანმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, როგორცაა ნაციონალისტურად განწყობილი „კოსტავას ფონდი“ და „რუსთაველის საზოგადოება“, შეისყიდეს უმცირესობების მიერ მიტოვებული სახლები, რაც შემდგომში ეთნიკურად ქართველ ეკომიგრანტებს ურიგდებოდათ“. ზემოთქმული ჩვენ გადაჭარბებულ შეფასებად გვეჩვენება. საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას პერიოდი მიზანმიმართულად ხშირად ფასდებოდა ე. წ. ნაციონალისტური შუღლის გაღვივების დროდ და ყველა ნაბიჯს თუ ქმედებას ამ ტენდენციას მიაწერდნენ. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა ფონდებმა ნამდვილად შეისყიდეს სახლები, თუმცა ექსპედიციამ დაადასტურა სომეხი ეროვნების ინფორმატორთა მონათხრობიდან ისიც, რომ იმავე დროს სომეხი მოსახლეობის ნაწილმა ჯავახეთის სოფლებში სომეხეთის ეროვნული ფონდიდან იყიდა საცხოვრებელი და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დროს ამის შესაძლებლობა არსებობდა. რაც შეეხება ურთიერთობას ახლად ჩასახლებულ ეკომიგრანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ვითარების უკიდურესად დაძაბვის ფაქტებს, ეს ჩასახლების პროცესს ყველა დროს ახლდა. 90-იან წლებში დაპირისპირების დიდი უმრავლეობა

ეკომიგრანტებისთვის სირთულეების შექმნით მთავრდებოდა, რაც საბოლოოდ, მიღებული სახლების გაყიდვით, მიტოვებით და ეკომიგრანტების საკუთარ მშობლიურ რეგიონებში დაბრუნებით დასრულდა.

საკითხი შეიძლება ითქვას სრულად იგნორირდა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, 1992- 1998 წლებში საქართველოში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესის დროს ეკომიგრანტებმა დანარჩენ მკვიდრ მოსახლეობასთან თანაბარი პირობებით მიიღეს მიწის ნაკვეთები, რაც შეეხება შევარდნაძის ადმინისტრაციის მიერ 1997-2002 წლების განმავლობაში სახლების შესყიდვაზე გამოყოფილ თანხებს, ისინი უმისამართოდ და უმიზნოდ იხარჯება. პოზიტიურ ფაქტად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1998 წელს ეკომიგრანტების შესახებ პირველად განისაზღვრა ეკომიგრაციის ზედამხედველობის პროცედურები, ჩატარდა პირველადი მონიტორინგიც, თმცა ყველაფერი ფორმალურ ხასიათს ატარებდა, არც ერთ გამოვლენილ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

ახალი ინიციატივები ახლავს „ვარდების რევოლუციას“ და მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებას. ერთ-ერთი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მაღალმთიან რეგიონებში სახლების მდგომარეობის შესახებ შეფასების მონაცემების შეკრება და ეკომიგრანტებისთვის სახლების გადაცემის შესახებ 2004 წელს სახელმწიფოს მიერ რამდენიმე ახალი მიდგომის შემუშავება. 2004 წლის ივნისში პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის თანახმად ქართველ ეკომიგრანტებსა და სომეხ მოსახლეობას შორის დამაბულობის დარეგულირებისთვის შეიქმნა წალკის, ახალციხისა და ნინოწმინდის რაიონებში მცხოვრები ეკომიგრანტების პროცესების მარეგულირებელი კომისია. კომისიის მიზანი იყო ეკომიგრაციის საკითხების სამართლებრივი უზრუნველყოფა, იურიდიულ ჩარჩოში მოთავსება და განსახლებების მიმართ ახალი მიდგომების შემუშავება, თუმცა ამ ყოველივეს არანაირი პრაქტიკული გამოხატულება არ მოჰყოლია. მეტიც, ეკომიგრანტთა საკითხებზე მუშაობისას და მათი მდგომარეობის შემსუბუქებისთვის ზრუნვის პარალელურად 2005 წელს საქართველომ რატიფიცირება მოახდინა ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენციისა ეროვნული უმცირესობების დაცვის თაობაზე, სადაც, მე-16 მუხლის თანახმად, იკრძალება ნებისმიერი ქმედება, რომელიც დემოგრაფიულ დისბალანსს გამოიწვევს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. საბოლოოდ კი ინტერესი რეალურად სწორედ ამ მეორე კუთხით უფრო განვითარდა.

2006 წლის მარტში დაიწყო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული და

სახელმწიფოს მხრიდან მყისიერი დახმარების მოლოდინში მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნას. ასევე დაინერგა ეკომიგრანტების საკომპენსაციო დახმარების შეფასების სისტემა, რაც გეოლოგების მიერ მომზადებულ დასკვნებს ეფუძნებოდა შემდეგი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით: 1. დანგრეული სახლი 2. დაზიანებული სახლი 3. დაზიანებული სახლი, რომელიც აღდგენას ექვემდებარება 4. მხოლოდ ის პირები, ვინც აღნიშნული ჩამონათვალის 1 კატეგორიაში ხვდებოდნენ, ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო განსახლებას. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის მთავრობის მიერ გადადგმული გარკვეული ნაბიჯები ნათელი გამოვლინებაა მთავრობის მისწრაფებისა ეკომიგრაციის სფეროში პოზიტიური ცვლილებების მოხდენის თვალსაზრისით, აღნიშნული ძალისხმევები მხოლოდ სპორისებურ ხასიათს ატარებს და არ ხდება მათი კომპლექსურსა და კარგად დაფინანსებულ სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრირება (ლაილი, 2012);

2004–2014 წლების პერიოდში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების (ეკომიგრანტების) უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობამ გამოყო 6 804 567 ლარი, რომლითაც სახელმწიფომ საცხოვრებელი სახლი შეიძინა 1 057 დაზარალებული ოჯახისათვის.

ეკომიგრანტების საკითხებისადმი დამოკიდებულება იცვლება 2012 წლის შემდეგ. ცვლილება პოზიტიურია და ეს ტენდენცია სხვადასხვა ანგარიშში ასახულია კიდევ: „საქართველოში 2013 წლამდე არსებული პრაქტიკით, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო მათი მომავალი საცხოვრებელი ადგილის შერჩევის დროს. დაზარალებულ ოჯახებს კომპაქტურად ასახლებდნენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, სადაც ისინი სრულიად უცხო და ახალ გარემოში იწყებდნენ ცხოვრებას. ოჯახების დიდ ნაწილს დღემდე საკუთრებაში არ გააჩნია წლების წინ „გადაცემული“ საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. ამ ყველაფერთან ერთად კი ოჯახებისთვის სახელმწიფოს არასდროს შეუთავაზებია ინტეგრაციისკენ, ადგილზე დამკვიდრებისა და შემოსავლის წყაროების შექმნისკენ მიმართული მიზნობრივი პროგრამები. 2014 წლის იანვრის შემდეგ ქვეყანაში ეკომიგრაციის მიმართ მიდგომა შეიცვალა. კერძოდ, უკვე აღარ ხდება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპაქტური განსახლება. ახალი სისტემა დაზარალებულ ოჯახს შესაძლებლობას, აძლევს ისარგებლოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით გარკვეული ლიმიტის ფარგლებში და მისი სურვილის შესაბამისად შეისყიდოს საცხოვრებელი სახლი. ეს მოდელი ცალსახად დადებითია, თუმცა მასაც გააჩნია ბევრი ხარვეზი, რომელიც აუცილებლად უნდა გასწორდეს.“ (ანგარიში 2017, 5 <https://idp.moh.gov.ge/mainlist.php?lang=1&uid=202307181414154504368057>)

საქართველოში ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების საკითხებზე მუშაობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 1 ივნისს შექმნილი ეკომიგრანტთა საკითხების დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქცია სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების სოციალური დაცვისა და საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელებაა. ეკომიგრანტების განსახლების ორგანიზებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეკომიგრანტთა დეპარტამენტი სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დახმარების კუთხით ასევე აღსანიშნავია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებული როლი და საქმიანობა. აჭარაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა რაოდენობა მაღალია, შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერის მიმართულებით. ამ მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2014 წლიდან ამოქმედდა სტიქიით დაზარალებულთა საქმეების დეპარტამენტი. 2015 წლიდან ქვეყანაში მოქმედი სისტემა უფრო სამართლიანი და დაზარალებულის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებულია, რადგანაც ამ შემთხვევაში სწორედ დაზარალებული ირჩევს საცხოვრისს და პროგრამის ფარგლებში მას გადაეცემა 25 000 ლარამდე თანხა (2017 წლის 1 თებერვლის მდომარეობით) საცხოვრებლის შესასყიდად. საცხოვრებლის შესყიდვის პროცედურა შემდეგია: სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახი მიმართავს მუნიციპალიტეტს, რომელიც ორგანიზებას უწევს გეოლოგიის სამსახურის ვიზიტს დაზარალებული ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მომზადდება დასკვნა, რომ დაზარალებული ოჯახი საჭიროებს განსახლებას, მუნიციპალიტეტი ან დაზარალებული ოჯახი შესაბამის განაცხადს უგზავნის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, რომელიც დაზარალებულ ოჯახს დაარეგისტრირებს ერთიან ელექტრონულ ბაზაში. ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირდება საქართველოში მცხოვრები ყველა ოჯახი, რომელიც განსახლებას საჭიროებს. ერთიან ელექტრონულ ბაზას აქვს ფუნქცია, რეგისტრირებულ ოჯახებს პრიორიტეტულობის მიხედვით მიანიჭოს ქულები, რის საფუძველზეც გამოვლინდება ის ოჯახები, რომლებიც პირველ ეტაპზე უნდა დაფინანსდეს. ასეთ ოჯახებს სამინისტრო აცნობებს დადგენილი ფორმით, თუ რა სახის პროცედურებისა და ვადების

დაცვით აქვთ საცხოვრებელი სახლის შესყიდვის უფლება. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული განსახლებას დაქვემდებარებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში მოქმედებს ორი პროგრამა. ერთ პროგრამას დაერთიან ელექტრონულ ბაზას მართავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ხოლო მეორე, მსგავს პროგრამას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2015-2018 წლებში რეგისტრაციის და განსახლების რეგიონის მიხედვით დარეგისტრირებულ და განსახლებულ ეკომიგრანტთა რაოდენობას თუ გავადევნებთ თვალს, სამცხე-ჯავახეთის მონაცემები შემდეგია: 55 დარეგისტრირებული, 22 განსახლებული.

თუ დავუბრუნდებით ჩვენთვის საინტერესო არეალს, სამცხე-ჯავახეთში ეკომიგრანტები განსაკუთრებით ინტენსიურად 1981-1990 წლებში ჩამოსახლდნენ. პროცესმა რამდენიმე ეტაპი მოიცვა. პირველ ხანებში ჩამოსახლებულები უმეტესად ასპინძისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში დასახლდნენ, მთავარი მოტივაცია იყო მთიან აჭარასთან სიახლოვე, დამაკავშირებელი გზების არსებობა, თუმცა დღესდღეობით სამცხე-ჯავახეთის ყველა მუნიციპალიტეტში სახლობენ აჭარელი ეკომიგრანტები; სახელმწიფო განსახლება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში 2004 წლიდან დაიწყო. სწორედ ამ დროიდან სახელმწიფომ აჭარის რეგიონიდან ეკომიგრანტების 68 ოჯახი საცხოვრებლად გადაიყვანა ჯავახეთში (მოსახლეობის 95% ეთნიკური სომხებია). დღეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტები ცხოვრობენ საკუთრივ ქალაქ ნინოწმინდაში, სოფელ გორელოვკაში, სოფელ სპასოვკაში.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან აღნიშნული და მის გარშემო რამდენიმე სოფელი ეთნიკურად რუსი დუხობორებით იყო დასახლებული. დუხობორთა თანდათონობითი ემიგრაციის პირველი ტალღა გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, რაც შემდგომში 2000-იან წლებშიც გაგრძელდა და მასობრივი სახე ბოლო რამდენიმე წლის განამავლობაში მიიღო, შედეგად, მათ საბოლოოდ დატოვეს აღნიშნული ტერიტორია (ლაილი, 2012).

2023 წლის დიალექტოლოგიური ექსპედიციის მასალები, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის „ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ონომასტიკის კვლევა და დოკუმენტირება“ ფარგლებში გაიმართა, ინტერვიუერთა ინფორმაციის საფუძველზე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გორელოვკაში დუხობორების მიერ დატოვებული სახლები შეიძინა როგორც სახელმწიფომ, ასევე სომეხმა მოსახლეობამ. 90-იან წლებში ეკომიგრანტების

ჩასახლებას სოფელ გორელოვკაში ადგილობრივი ეთნიკური სომეხი მოსახლეობის მხრიდან ერთგვაროვანი რეაქცია არ მოჰყოლია, იყო ცალკეული დაპირისპირებების ფაქტები. დღევანდელი მდგომარეობით დუხობორების ყოფილ სახლებში ცხოვრობენ როგორც აჭარის რეგიონიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები, ასევე სომეხები. მარნეულის რაიონში არსებული სახლებისგან განსხვავებით, აქაური სახლების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. გორელოვკაში ჩასახლებული ეკომიგრანტების თითოეულ ოჯახს აჭარის მთავრობამ თავის დროზე 1000 ლარის კომპენსაცია (420 ევრო) გადაუხადა. ეკომიგრანტებს საჭირო ავეჯი არ მიუღიათ, თუმცა სახლებში შესახლებისას ადგილზე არსებული ნივთები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მათ სრულ განკარგულებაში გადავიდა. ეკომიგრანტები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებდნენ ბინებს და გაიფორმებდნენ მათ სახელზე, თუ შესაბამისი კვლევა-ძიების საფუძველზე მათი სტატუსი დამტკიცდებოდა და საცხოვრებლიდან ოჯახის ყველა წევრი ამოეწერებოდა. მათარ ეძლეოდათ საშუალება, გადმოსახლებიდან 25 წლის განმავლობაში გაეყიდათ მათთვის გადაცემული ბინები, ამის გაკონტროლება ვერ მოხერხდა (ტრიერი & ტურაშვილი, 2007). სახლებში გაზი არ იყო, თუმცა ამჯამად შეყვანილია როგორც ელექტროენერჯია, ისე ბუნებრივი აირი. წყალი, ტრადიციულად, ინდივიდუალური ან საერთო ჭებიდან მიეწოდება სოფელს. ბოლო წლებში სახელმწიფო პროგრამამ უფასოდ უნდა უზრუნველყო წყალმომარაგების სისტემის გაყვანა და სახლების სასმელი წყლით უზრუნვესყოფა, თუმცა სხვადასხვა დროს ადგილობრივმა მთავრობამ თითოეულ ოჯახს წყლის სახლამდე მიყვანისთვის საფასურის გადახდა მოსთხოვა. ეკომიგრანტების ნაწილმა სოფლიდან მოშორებით სახელმწიფოსგან მიიღო ორი ჰექტარი მიწის ნაკვეთი, თუმცა ბევრი მათგანი კვლავაც მიწის გარეშეა დარჩენილი ადგილობრივი ადმინისტრაციის მრავალი დაპირების მიუხედავად. მათ სხვა არაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ დღიური სამუშაო შეასრულონ, ან იქირაონ მიწის ნაკვეთები, მიმართონ იჯარის ფორმას. რეგიონში მოსახლეობა საკუთარი მიწის დამუშავებით მიღებული პროდუქციით ირჩენს თავს. ეკომიგრანტებს უძნელდებათ ფერმერული მეურნეობების დაწყებისთვის საჭირო ფინანსური დახმარების მიღება, თუმცა მარნეულში მცხოვრები ეკომიგრანტებისგან განსხვავებით, გორელოვკაში ჩასახლებულ ოჯახებს რეგულარული კონტაქტი აქვთ თბილისთან. სამინისტროს წარმომადგენელი პირი ვალდებულია ეკომიგრანტებისთვის სახლების შესყიდვა და სხვადასხვა კომპენსაციების გაცემა აკონტროლოს, ადგილობრივ ხელმძღვანელობას გააცნოს მიმდინარე პრობლემების არსი და მომზადოს ანგარიშები. ოფიციალურ პირთან ურთიერთობამ გაცილებით გააადვილა ადგილობრივებისთვის ამა თუ იმ პრობლემის

წამოჭრა, თუმცა ინფორმატორები ცალსახად ხაზს უსვამენ, რომ ამგვარმა დახმარებამ მაინც ვერ გამოიღო ეკომიგრანტებისთვის დაპირებული მიწის ნაკვეთების დარიგების მხრივ შედეგი და მუნიციპალური მთავრობა კვალვაც უყურადღებოდ ტოვებს მიგრანტებისთვის მტკივნეულ საკითხებს. ეკომიგრანტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა მიწის საკუთრება და საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ რაიონულ ადმინისტრაციაში ამ საკითხის გაპროტესტების პერსპექტივებს, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ადგილობრივ მთავრობასთან საუბარი ამ საკითხებზე შედეგს არ გამოიღებს. ადგილობრივი ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ეკომიგრანტების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე ამ ეტაპზე საფრთხედ არ მიიჩნევს.

დასკვნა: უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ბევრია პრობლემა, რომელსაც ეკომიგრანტები ჩამოსახლების დღიდან ხვდებიან. როგორც ადგილობრივები ამბობენ, აუცილებელია ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება და ადაპტაციის სწორი ფორმის შემუშავება. მათ გააზრებული აქვთ შიდა და გარე გამოწვევები, მაგრამ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ამ ხალხზე, რომელიც რთულ მდგომარეობაშია. დღეს, პირველ რიგში, ეკომიგრანტების მდგომარეობა უნდა იყოს გათვალისწინებული ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, იმიტომ რომ ეს ხალხი სასაზღვრო ზოლში, სტრატეგიულ ადგილას ცხოვრობს. კვლევებში გამოიკვეთა ჩასახლებულთა პრობლემები და მათი მიზეზები: 1. არასახარბიელო გარემო (ბუნებრივი) პირობები; 2. კონფლიქტების ალბათობა პოლიტიკურ, ეთნიკურ, რელიგიურ და სოციალურ ნიადაგზე; 3. ინტეგრაციის პროცესების ხელშეწყობის ნაკლებობა; 4. ქართული ეროვნული ინტერესების რეალიზება; 5. ფსიქოლოგიური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ადაპტაცია; 6. ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაცია და სოციალურკულტურული ადაპტაცია; 7. საკუთრების უფლებების გაურკვეველობა; 8. რთული ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა; 9. მიწის და ტყის რესურსები არ არის ხელმისაწვდომი ან საკმარისი; 10. სასმელი და სარწყავი წყლის დეფიციტი; 11. ინტერნეტის პრობლემა. ინფორმატორები მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს ხელოვნურად შექმნილი პრობლემებად მიიჩნევენ, ფიქრობენ, რომ მათი გადაჭრა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისად, მიიჩნევენ, რომ მათი პრობლემებისადმი გულგრილობა არის მათი მიზანმიმართული შევიწროება, იძულება, რომ სხვაგან ეძებონ თავშესაფარი. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ისინი სახელმწიფოს ჩარევას ითხოვენ, რათა მოხდეს მიწების შეღავათიან ფასებში გაცემა და გადასახადის დაფარვის მოქნილი სისტემის დანერგვა, რომ ეკომიგრანტებმა მოახერხონ საჭირო რესურსების გამოყენება, დაიქირავონ ტექნიკა მიწების დასამუშავებლად, მოიყვანონ მოსავალი და მოხდეს მისი ბაზარზე გატანა. უმეტესობა რესპონდენტებისა

აღნიშნავს, რომ ადაპტაციის პრობლემა მხოლოდ თავიდან, რაღაც პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ, რაც ძირითადად, მოსახლეობასთან ვერშეწყობით იყო განპირობებული, მათი განსხვავებული კულტურული ღირებულებებისგან გამომდინარე. ნელ-ნელა ვითარება უკეთესობისაკენ შეიცვალა. მაგალითად მოჰყავთ ღორჯომლობის დღესასწაული, რომელიც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება. დღესასწაულის სახელი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეკომიგრანტები ძირითადად ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომიდან არიან ჩამოსახლებულნი. ამასთან ერთად მუნიციპალიტეტში შეიქმნა ქართული ცეკვის წრე, რომელშიც როგორც ჩასახლებულ ეკომიგრანტ, ასევე ეთნიკურად სომეხ მოზარდებს მიეცათ ქართული ცეკვის შესწავლის შესაძლებლობა. ცეკვის ჯგუფები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ღორჯომლობის დღესასწაულზე. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობა უზრუნველყოფს ცეკვის მასწავლებლის დაქირავებას და ყოველწლიურად ღორჯომლობის დღესასწაულის გამართვას. (ანგარიში 2017, 22 <https://iod.ge/files/Documents/ekoangarishi.pdf>).

ეკომიგრანტი ოჯახის დეფინიციასა და მათი განსახლების წესს 2013 წელს გამოცემული მინისტრის ბრძანება N779 არეგულირებს. ამ დროისთვის, ეკომიგრანტების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 8492 ეკომიგრანტი ოჯახი, რომელთა ნაწილი განსახლებულია უსაფრთხო გარემოში, ნაწილს კი შევსებული აქვს განაცხადი საცხოვრებლის მიღების მოთხოვნით. N779 ბრძანება, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით ასევე განსაზღვრავს ეკომიგრანტი ოჯახების დაზარალების კატეგორიას. პირველი კატეგორია მოიცავს ეკომიგრანტ ოჯახებს, რომელთა სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია სტიქიური მოვლენის შედეგად და არ ექვემდებარება აღდგენას. მეორე კატეგორია აერთიანებს სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს, რომელთა სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას. ეკომიგრანტმა ოჯახი, საცხოვრებლის მიღების მოთხოვნით, განაცხადით მიმართავს სააგენტოს, რომელიც თავის მხრივ მიმართავს მუნიციპალიტეტს, რათა დაადგინოს დაზარალების კატეგორია. ეკომიგრანტი ოჯახების განსახლების შესახებ გადაწყვეტილებას „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისია“ იღებს, კომისიის მუშაობაში ჩართულნი არიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველის ოფისისა და საერთაშორისო და არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლები. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ოჯახებს საშუალება ეძლევათ, თავად მოიძიონ და შესასყიდად წარმოადგინონ საცხოვრებელი სახლი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ ეკომიგრანტ ოჯახებს შესყიდული საცხოვრებელი სახლები საკუთრებაში გადაეცემათ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ დაიწყო ეკომიგრანტთა ოჯახებისათვის ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული რეგიონებიდან გადმოყვანისას გადაცემულ საცხოვრებელ სახლებზე საკუთრების უფლების გადაცემა, უნდა დაჩქარდეს დისკუსია იმის თაობაზე, უნდა შემუშავდეს თუ არა ეკომიგრანტების დაცვის შესახებ ახალი კანონი, თუ მათზე უნდა გავრცელდეს მოქმედი კანონმდებლობა,

მიუხედავად ყველაფრისა, როგორც არაერთ კვლევაშია აღნიშნული ეკომიგრანტთა პრობლემები არ არის სიღრმისეულად გამოკვლეული და საფუძვლიანად შესწავლილი (საღაძაძე და მუშუკუდიანი 2018, 5). მათდამი ინტერესი სახელმწიფოსა და სხვა კერძო ორგანიზაციების მხრიდან არც თუ ისე მაღალია.

სამონასტრო ცხოვრება

ფოკანის დედათა მონასტრის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ ილუმენია ელისაბედის (მესხიშვილი) კურთხევით. გადავწყვიტეთ, მონასტრის ვებგვერდის მონაცემები, ფოკის მონასტრის ბუკლეტის ინფორმაცია და დედათა მონასტრის ცალკე წარმოდგენილი ისტორია მიგვეწოდებინა მკითხველისათვის:

ფოკის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი

საქართველო კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. იგი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ითვლება, მაგრამ თავად ღვთისმშობელს ვერ მოუწია საქართველოში გამომგზავრება და ქადაგება, ღვთის განგებით საქადაგებლად მოციქული ანდრია მოავლინა, რომელმაც სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად საქართველოში პირველი სამოციქულო ეკლესია დააფუძნა. მოციქულებმა ამ ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ბევრი მოაქციეს, მაგრამ მეფე და ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კერპთაყვანისმცემლად რჩებოდა.

ქართველთა განმანათლებელისა და მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს ქადაგებით საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა, როდესაც სამეფო ტახტი მეფე მირიანს და დედოფალ ნანას ეკავათ.

წმინდა ნინო წარმოშობით კაბადოკიის ქალაქ კოლასედან იყო. მისი მშობლები გახლდნენ კეთილმორწმუნე და დიდგვაროვანი კაცი ზაბულონი, ფრანგთა განმანათლებელი, ხოლო დედა იერუსალიმის პატრიარქ იუბენალის და - სოსანა. ამჟამად ისინი წმინდანებად არიან შერაცხულნი. წმინდა ნინო თორმეტი წლისა იყო, როდესაც მისმა მშობლებმა გაყიდეს მთელი ქონება და ღარიბ-ღატაკებს დაურიგეს. წმინდა ზაბულონი მდინარე იორდანეს მიღმა, უდაბნოში განმარტოვდა. წმინდა სოსანა პატრიარქმა უძლური დედების მომვლელად განაწესა, წმინდა ნინო კი მაცხოვრის საფლავის მომვლელ ქალს, სარა ბეთლემელს მიაბარა აღსაზრდელად. ამ ღვთისმომშიშმა ქალმა ზედმიწევნით იცოდა ძველი და ახალი რჯული და წმინდა ნინო კეთილად განასწავლა. წმინდა ნინომ მისგან ისიც შეიტყო, რომ მაცხოვრის კვართი საქართველოში, სამეფო ქალაქ მცხეთაში იყო დაკრძალული.

ერთხელ ღვთისმშობლის ხატთან მლოცველი ნინო საღვთო ძალამ აღიტაცა. მას ყოვლადწმინდა ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „აჰა წარგზავნი ჩემს წილხვედომ ჩრდილოეთის ქვეყანაში - საქართველოში, წადი სიმხლით და უშიშრად და მის მკვირდთ ჭეშმარიტება უქადაგე.“ შეძრწუნებულმა წმინდანმა მიუგო: „დედოფალო, როგორ შევძლებ ამას

სუსტი და უსწავლელი დედაკაცი, ან რა მექნება ამ საქმის ნიშნად და წინამძღვრად?“ მაშინ ღვთისმშობელმა მოკვეთა იქვე ამოსული ვაზის შტო, რომლისგანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დასძლევ ეშმაკის ყველა მანქანებას და წარმართავ ქადაგებას, ხოლო მე შეგეწევი და აღარ დაგტოვებ.“ ჩვენების შემდგომ წმინდა ნინომ იხილა, რომ ხელში ვაზის ჯვარი ეპყრა, და ადიდა უფალი და ღვთისმშობელი. მან პატრიარქს მოუთხრო ყოველივე და ამ სასწაულის ნიშანი, ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ჯვარი აჩვენა.

საქართველოში გამომგზავრებამდე წმინდა ნინო ჯერ ეფესოში ჩავიდა, სადაც დაუახლოვდა ვინმე წარჩინებულ ქალს - რიფსიმეს, მის გამზრდელ გაიანეს და ორმოცდაათ ქალწულს, რომელნიც წმინდა ნინოს ქადაგებით მოინათლნენ. მალე იმპერატორმა დიოკლიტიანემ ქრისტიანთა დევნა დაიწყო და მათ დატოვეს საბერძნეთი, მიაღწიეს სომხეთამდე და სამეფო ბაღს შეაფარეს თავი. დიოკლიტიანეს ბრძანებით ისინი სომხეთის მეფე თრდატმა მოძებნა და სასტიკად აწამა. უფალმა წმინდა ნინო დაიფარა, რამეთუ მას სხვა მსახურება მოელოდა. ზეციურმა ხმამ მოუწოდა აღმოსავლეთით წასულიყო. წმინდა ნინო ზაფხულის დამდეგს ჯავახეთის მთებით შემოვიდა საქართველოში. ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და მეთევზეთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოლილს ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა: „ეს წერილი წარმართთა მეფეს მიაართვი, რადგან აქ ამისთვის მოევლინე.“ წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, მასშიც ათი სიტყვა იყო დაწერილი:

1. „სადაცა ეს სახარება იქადაგება, იქ ითქვას ამ დედაკაცის შესახებ.“ (მათე, 26.13)
2. არც მამაკაცებაა, არც დედაკაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთნი ხართ.“ (გალატელთა მიმართ 3.28)
3. „წადით და მომიწაფეთ ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა.“ (მათე, 28.19).
4. „ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებად ერისა შენისა ისრაილისა.“ (ლუკა 12.32)
5. „იქადაგეთ სახარება სასუფევლისა ყოველსა სოფელსა“ (მარკოზი 16.15)
6. „რომელმაც თქვენი ისმინოს და შეგიწყნაროთ, მე შემიწყნარა, და რომელმაც მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს ჩემი მომავლინებელი.“ (მათე 10.40)
7. „ძალიან უყვარდა უფალს მარიამი, რამეთუ მარადის მის ჭეშმარიტ სიტყვას ისმენდა.“
8. „ნუ გეშინიათ მათგან, რომელთაც მოსწყვიტონ ხორცნი თქვენი, ხოლო სულთა მოწყვეტა არ ძალუძთ.“ (მათე 10.20)
9. „უთხრა მარიამ მაგდალინელს იესომ „წადი დედაკაცო და ახარე დათა ჩემთა.“ (იოანე 20.17)

10. „ყველგან იქადაგეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.“ ჩვენების შემდეგ წმინდანინომ დიდხანს ილოცა, მხურვალედ შეევედრა ღვთისმშობელს და შემწეობა სთხოვა.

მრავალი ჭირით და იწროებით ჩავიდა საქართველოს მაშინდელ დედაქალაქ მცხეთამდე. ლოცვითა და მარხვით, ფიცხელი მოღვაწეობით მოაქცია მთელი ქართველი ერი და მიიძინა დაბა ბოდბეში.

იმ წმინდა ადგილს, სადაც წმინდა ნინომ პირველად დადგა ფეხი საქართველოში და ჰქონდა ჩვენება, ფოკა ეწოდება. იგი ზემო ჯავახეთში, საქართველოს ყველაზე დიდი ტბის - ფარავნის პირას მდებარეობს. მისი ჰავა მეტად მკაცრი და სუსხიანია. ზამთარში ყინვა -37 გრადუსამდეა, საშუალო ტემპერატურა კი -20 გრადუსია. კლიმატური პირობების გამო მონასტერი ექვსი თვის განმავლობაში - ნოემბრიდან მაისამდე სრულიად მოწყვეტილია გარე სამყაროს.

საქართველოში წმინდა ნინოს მოღვაწეობის და მიცვალების ადგილებში ოდითგანვე არსებობდა მონასტრები, ხოლო მისი შემოსვლის ადგილი ულოცველად იყო მიტოვებული.

1988 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა იმოგზაურა ჯავახეთში, მოინახულა სოფელი ფოკა, რომელიც დაკავშირებულია წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის ადგილთან და ამ მოვლენის აღსანიშნავად, წმ. ნინოს სახელზე აგებული მეთერთმეტე საუკუნის ბაზილიკის გვერდით პირადად შეიძინა სახლი, სადაც ჩაეწერა როგორც მცხოვრები, რათა შეძლებოდა იმდროისთვის დახურულ მხარეში ჩამოსვლა. 1989 წელს საქართველოს საპატრიარქოს სოფ. ფოკის შემოგარენში, ფარავნის ტბის პირას, გადაეცა 22 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც აშენდა ღია ტრაპეზი წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის აღსანიშნავად და დაარსდა მამათა მონასტერი. ამავე წელს დაიწყო 40-დღიანი მომლოცველობის ტრადიცია წმ. ნინოს გზაზე ფოკიდან მცხეთამდე.

1992 წელს პატრიარქის სახლში გაიხსნა დედათა მონასტერი. მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა ილუმენია ელისაბედი (მესხიშვილი). მონასტერს მიეცა მისიონერული დატვირთვა, წლების მანძილზე წარმოადგენს ერთადერთ ქართულენოვან კუნძულს გაუცხოებულ გარემოში.

XVII საუკუნემდე ჯავახეთი, ისევე როგორც სრულიად საქართველო, ქრისტიანული იყო, მაგრამ 1625 წელს იგი ოსმალეთმა დაიპყრო და 200 წელი იბატონა. ამხნის განმავლობაში რეგიონის ქართველებმა დაკარგეს თავიანთი სარწმუნოება და გამაჰმადიანდნენ. 1828 წელს ჯავახეთი ოსმალეთის ბატონობისგან გათავისუფლდა, მაგრამ გამაჰმადიანებული ქართველები სამშობლოდან გადაიხვეწნენ და ეს მხარე დაცარიელდა. რუსებმა აქ სომხები ჩამოასახლეს, რომლებიც დამკვიდრდნენ, მომრავლდნენ და ამჟამად აქ სახლობენ. ტრადიციულად ისინი გრიგორიანული მრწამსის მიმდევრები არიან. აი, ამ მძიმე ისტორიული შემკვიდრეობის ფონზე ხდებოდა ამ

ორი მართლმადიდებლური მონასტრის დაარსება. მათ დაარსებამდე ფოკაში სხვა მონასტერი არ არსებობდა. შემორჩენილი იყო XI საუკუნის წმ. ნინოს სახელობის ტაძარი, ისიც ნანგრევების სახით. დაარსებისთანავე მონასტერში აღდგა ღვთისმსახურება, რომელიც ამ მხარეში სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში შეწყვეტილი იყო.

მონასტრის დაარსებას ადგილობრივი მოსახლეობა სიფრთხილით შეხვდა, მაგრამ ღვთის შეწევნით და წმინდა ნინოს ლოცვით, მონასტრები გაძლიერდნენ, დამკვიდრდნენ და აქაურობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

2000 წელს ფართოდ აღინიშნა ეკლესიის საიუბილეო წელი. ფოკაში დაიწყო თსუ სტუდენტების ყოველწლიური ექსპედიციები მონასტრის დახმარებისა და ჯავახეთის გაცნობის მიზნით.

2001 წლიდან მონასტერი განთავსებულია ტაძრის გარშემო მდებარე რამდენიმე სახლში, იწყება სახლების რეკონსტრუქცია თანამედროვე არქიტექტურული პროექტების გამოყენებით და ჯავახური ტრადიციული ელემენტების გათვალისწინებით.

2002 წელს დედათა მონასტერი ხსნის მინანქრის სტუდიას, რითაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს საქართველოში მინანქრის წარმოების აღორძინების საქმეში. წლების მანძილზე სტუდიის მიერ შეიქმნა როგორც ცნობილი და ღირსშესანიშნავი საეკლესიო ნაკეთობები, ასევე საერო-საიუველირო ნაწარმი.

2005 წელს მონასტერი აკეთებს ფოტოსახელოსნოს, მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა მხარეში და გამოსცემს ფოტოალბომებს. საფუძველს უყრის ალბომების თანამედროვე ბიბლიოთეკას.

2010 წელს მრავალწლიანი შრომის, ექსპერიმენტის, ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილი ტრადიციების, ლიტერატურის, ფრანგული ტექნოლოგიისა და წარმოების გაცნობის შედეგად მონასტერმა მიიღო ევროპული ყაიდის ქართული ყველი, რომლის ანალოგი საქართველოში არ მოიპოვება. მონასტერი ამზადებს და ყიდის 16 სახეობის ყველს, მრავალგვარ საკონდიტრო ნაწარმსა და სხვა პროდუქციას. დღეისთვის მონასტერს ჰყავს 7 წევრი: ილუმენია, 5 მონაზონი და 1 მორჩილი. მონასტერის ტავროპიგიალურია და ექვემდებარება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

სოფელი ფოკა

ისტორიული მნიშვნელობის სოფელი ფოკა მდებარეობს საქართველოს სამხრეთით, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, საქართველოს ყველაზე დიდი ტბის, ფარავნის სამხრეთ ნაპირას, ზღვის დონიდან 2080 მ-ზე.

სოფელ ფოკის სახელი გვხვდება რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ მე-4 საუკუნეში აღნიშნულ საგზაო რუკაზე, რომლის საშუალებითაც გადაადგილდებოდა ქარავანი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, აქ გადიოდა ასევე „აბრეშუმის გზად“ წოდებული ცნობილი ისტორიული მარშრუტი.

სოფლის ისტორიულ მნიშვნელობას განაპირობებს ისიც, რომ ამ ადგილიდან საქართველოში შემოდის იერუსალიმიდან მომავალი ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინო, სოფელ ფოკაში ათენებს ორ ღამეს და მიუყვება მდინარე ფარავანს მცხეთამდე.

წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დღესასწაული აღინიშნება 1 ივნისს.

ეკლესია

წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი აგებულია 1030-40 წლებში ბაგრატ IV კურაპალატის მეფობის დროს, კათალიკოს იოანე V (ოქროპირად წოდებულის) კურთხევითა და გულმოდგინებით.

ტაძარს 2000 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია. ეკლესიაში დაბრძანებულია მთავარი ხატი წმ. ნინოსი, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მონასტერს შესწირა. აქვეა დაბრძანებული ათონის ივერონის მონასტერში დაწერილი ივერიის სასწაულმოქმედი ხატი, ღვთისმშობლის მსწრაფშემსენლის ხატი, ხოლო კანკელი მორთულია მოზაიკის ხატებით. ყველა ხატი შემკულია სახელოსნო „ფოკანში“, რომელიც 2000 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაარსდა.

არქიტექტურა

მწვანე ბალახის საფარველით გადახურული მიწური ადგილობრივ მცხოვრებლებს ეხმარებოდა მტრისთვის უჩინარნი ყოფილიყვნენ. მიწურში იყო ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობები მობინადრეთათვის: სახლში მათ ბუნებრივად ჰქონდათ ზამთარში სითბო და ზაფხულში - სიგრილე. მონასტერმა დაარსებისთანავე დაიწყო მიწურების აღდგენა ტრადიციების დაცვით. შენობები გადახურა თანამედროვე ტექნოლოგიებით, რათა ნალექსიგან დაეცვა და შეენარჩუნებინა ჯავახური არქიტექტურა.

კატაკომბური ეკლესია

მაცხოვრის შობის სახელობის კატაკომბური ეკლესია აშენდა მონასტრის დაარსებისთანავე, 1992 წელს. ის განთავსებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პირად სახლში. ტაძარში დაბრძანებულია ტიხრული მინანქრის ხატები 70-მდე წმინდა ნაწილით.

სულიერი ცხოვრების განაწესი

მონასტრის ტიპიკონი-განაწესი ეფუძნება ტრადიციულ სამონასტრო წესს. მონასტრის ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ღვთისმსახურებას. ლოცვისა და შრომის მონაცვლეობა წარმოადგენს სამონასტრო ცხოვრების წესს. ფოკის დედათა მონასტერში დღე იწყება 02:00 საათზე ცისკრის ლოცვით და სრულდება 22:00 საათზე.

მონასტრის ტიპიკონი:

02:00-05:00 ცისკრის ლოცვა

16:30-17:00 ტრაპეზი

05:00-08:00 დასვენება სენაკში

17:00-19:00 მორჩილება

08:00-11:00 მორჩილება
11:00-11:30 ტრაპეზი
11:30-16:30 მორჩილება

19:00-20:00 მწუხრის ლოცვა
20:00-22:00 თავისუფალი დრო
22:00 დასვენება

სკოლა

საქართველოში მონასტრებს ისტორიულად ყოველთვის ჰქონდათ საგანმანათლებლო ფუნქცია. ფოკაში მონასტერმა დააარსა პატარა სკოლა ადგილობრივი, არაქართველი ბავშვებისთვის. აქ მონაზვნები სრულიად უსასყიდლოდ ასწავლიან ბავშვებს სხვადასხვა საგანს. ამავე სკოლის ბაზაზე ტარდება საზაფხულო კურსი თბილისიდან ჩამოსული სტუდენტებისთვის.

მინანქარი

2000 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და ფოკის დედათა მონასტრის წინამძღვრის ილუმენია ელისაბედის ძალისხმევით ეკლესიაში აღდგა ქართული ტიხრული მინანქრითა და ოქრომჭედლობით საეკლესიო ნივთების დამზადების საქმე. მონასტრის სახელოსნოში შექმნილი საღვთისმსახურო ნივთები, ხატები და მედალიონები საქართველოს არაერთ ეკლესიას ამშვენებს. მათ შორის არის ფოკის მონასტრის მთავარი ტაძარი, სადაც დაბრძანებულია მინანქრითა და მოზაიკით დამზადებული ხატები.

ქაშანური

ტიხრული მინანქრის სახელოსნოს გამართვის შემდეგ მონასტერს გაუჩნდა სურვილი ქართული ორნამენტები გადაეტანა კერამიკაზე, ქაშანურსა და ფაიფურზე. მონაზვნები და მათთან დაახლოებული ერის ადამიანები ფრანგულ და იტალიურ მასალაზე - ბისკვიტზე, ხატავენ ქართულ მოტივებს, ჯავახეთისთვის დამახასიათებელ ბიომრავალფეროვნებას.

თაფლი

ჯავახეთი გამოირჩევა ალპური ზონისთვის დამახასიათებელი სამკურნალო ბალახებისა და ყვავილების სიუხვით. ვარდკაჭაჭა, კალენდულა, გვირილა, ფარსმანდუკი, დეკა, ღიღილო - ეს არასრული ჩამონათვალია იმ სამკურნალო მცენარეებისა, რომლებიც ხარობს სოფელ ფოკაში. გარეული ფუტკრითა და ველური თაფლით ეს მხარე ყოველთვის იყო ცნობილი. 2006 წელს მონასტერს 2 სკა ჰქონდა, როდესაც მეფუტკრეობის საქმეს მოჰკიდეს ხელი. მოგვიანებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მათ 10 სკა აჩუქა. დროთა განმავლობაში მეურნეობა გაიზარდა და ამჟამად მონაზვნები 60 სკას უვლიან. თაფლი იწურება წელიწადში ერთხელ, არის თეთრი ფერის, საშუალო სიკვბოსი და აქვს ყვავილების ნაზი, სასიამოვნო არომატი. გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით.

შოკოლადი

სრულიად უნიკალური, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო მცენარით - Theoboma Cacao. მონასტერი 2010 წელს დაინტერესდა. კაკაო იზრდება სრულიად განსხვავებულ კლიმატში. მისი მონასტრამდე მიტანა დიდ სირთულეს წარმოადგენდა, თუმცაღამისი სიკეთეები ძალიან სჭირდებოდა ცივ, ექსტრემალურ პირობებში მცხოვრებ მონასტერს. დედები კაკაოს მარცვლებს თავდაპირველად მიირთმევდნენ, შემდეგ კონდიტერიაში დაიწყეს გამოყენება, ბოლოს კი, მივიდნენ შოკოლადამდე თავისი ერთი წარმომავლობის ნიშნით.

მესაქონლეობა

ჯავახეთში უძველესი დროიდან მისდევდნენ მესაქონლეობას. მოსახლეობას დიდი რაოდენობით ჰყავს ძროხა და ცხვარი. მონასტერმა დაარსებისთანავე შეიძინა საქონელი და აქვს პატარა მეურნეობა. ძროხები არიან ბუნებრივ კვებაზე მინდორში. მიღებული რძისგან ამზადებენ რამდენიმე სახეობის ყველს.

ყველი

ალპური ზონა, უტყეო მდელოები, სუფთა ჰაერი და წყალი, ბევრი ბალახი უძველესი დროიდან იძლეოდა ფარავნის ტბის ირგვლივ მესაქონლეობის განვითარების საშუალებას. ასე იყო წინა საუკუნეებშიც, წმინდა ნინოს შემოსვლის დროს, რომელმაც ღამე გაათენა ტბის პირას, საზრდელი მიიღო მეთევზეებისგან, ხოლო მცხეთისკენ გზა მწყემსებმა მიასწავლეს.

1992 წელს დაარსებულმა მონასტერმა დაიწყო ძველი ტრადიციებით ყველის მომზადების ტექნოლოგიის კვლევა. რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ მიიღო ალპური ყველი კეთილშობილი ობით, რომელიც მზადდება ჯავახურ მიწურში, ბუნებრივად განიავებად საცავში. დღესდღეობით მონასტერი თავისი რეცეპტებით სეზონურად აწარმოებს 18 ტიპის ყველს.

მალაზია

მონასტერთან არსებულ მალაზიაში სტუმრებს შეუძლიათ შეიძინონ მონაზვნების მიერ დამზადებული პროდუქტი და სასაჩუქრე ნივთები.

მალაზიაში მისულ სტუმარს დახვდება: 18 ტიპის ყველი, ალპური თაფლი, შოკოლადი, ადგილობრივი ალპური კენკრისგან დამზადებული 50 სახეობის ჯემი, ჩაი ადგილობრივი ალპური ყვავილებით, ადგილობრივი სელის უნიკალური თვისებების მქონე ზეთი, ზღვის და მთის მარილი სხვადასხვა მცენარეებით, კენკრის ლიქიორი, ასევე ხელით მოხატული ფაიფური, ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობები და ტიხრული მინანქარი.

მალაზია მუშაობს ყოველდღე 11:00-19:00 საათამდე.

**წმ.იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის სახელობის
მამათა მონასტერი
„თავკვეთულა“**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ვარძიასთან ახლოს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე კლდეში გამოკვეთილია წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი, რომელიც VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. ამ ადგილის შესახებ მხოლოდ მეცნიერების ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. ხოლო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ 90-იანი წლებიდან გაიგო, როდესაც მეუფე იობმა (აქიაშვილი) იმოგზაურა და აღმოაჩინა კლდეში ნაკვეთი გამოქვაბული, რომელიც, როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, იწოდება „თავკვეთულად“ ანუ წმ.იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის სახელობის ტაძრად. დღესასწაული აღინიშნება 11 სექტემბერს. ნელ-ნელა მთელი საქართველოდან უამრავმა ადამიანმა დაიწყო დღესასწაულზე სიარული. ადამიანებს ტაძარში მოსახვედრად მდინარეზე ფეხით გადასვლა უწევდათ. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში ყოველ 11 სექტემბერს წყალი საგრძნობლად იკლებდა და ხალხი უსაფრთხოდ ფეხით თავისუფლად ახერხებდა მდინარეზე გადასვლას. მოგვიანებით ეს შეუძლებელი გახდა, ვინაიდან თურქეთის ტერიტორიაზე ამოქმედდა ჰიდროელექტროსადგური. შესაბამისად ხშირად მოულოდნელად დიდდება წყალი და პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მდინარეზე ფეხით გადასვლა. ამიტომ უკვე დადგა აუცილებლობა და მონასტერში მოსახვედრად გაკეთდა საფეხმავლო ხიდი.

2016 წლიდან ამოქმედდა თავკვეთულის მონასტერი. ტაძართან ახლოს, მცირე ზომის კლდეში ნაკვეთ სენაკში ცხოვრობს ბერი იოანე პაიჭაძე.

წმინდა თამარ მეფის სახელობის საღამოს დედათა მონასტერი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფელ საღამოში მოქმედებს წმინდა მეფე თამარის სახელობის დედათა მონასტერი, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ის ლოცვა-კურთხევით, ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტ ნიკოლოზის (ფაჩუაშვილი) მონდომებითა და ძალისხმევით, აგრეთვე ფოკის დედათა მონასტრის ილუმენია ელისაბედის თანადგომით 2004 წლის 21 ნოემბერს გაიხსნა. ეპარქიამ სოფელში შეიძინა სახლი, რომელიც მოეწყო და მონასტერმა დაიწყო ფუნქციონირება.

მონასტერში, გარდა ეპარქიის მონაზვნებისა, ცხოვრება დაიწყო და ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მონასტერში იმყოფებოდა

თბილისიდან ჩამოსული ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, რომელიც სოფლის საჯარო სკოლაში ატარებდა გაკვეთილებს. სხვადასხვა წელს ზაფხულობით მონასტერში ჩადიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. ისინი ეცნობოდნენ სამონასტრო ცხოვრებას. ეხმარებოდნენ მონასტრის მონაზვნებს სხვადასხვა საქმიანობაში.

მონასტერთან არის მე-9 საუკუნის იონა წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია. ტაძარი დიდი ხნის განმავლობაში ჩამონგრეული და დაზიანებული იყო. 2013 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, არქიტექტორ თამარ ნემსაძის პროექტით დაიწყო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები. აღდგა ტაძრის ცენტრალური ნაწილი და გადაიხურა ქვის ლორფინით. მეორე ეტაპის სამუშაოები განხორციელდა 2018/19 წლებში. აღდგა ეკვდერი და დაიგო ქვის იატაკი. როგორც ცნობილია, 2023 წლის ივლისიდან დაიწყება ბოლო, მესამე ეტაპის სამუშაოები და პრაქტიკულად ამით დასრულდება ტაძრის აღდგენა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სოფელ საღამოში კიდევ ორი ძველი ტაძარია. სამწუხაროდ უცნობია, ვისი სახელობისა იყო ეკლესიები.

ნინოწმინდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი

ნინოწმინდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის დედათა მონასტერი დაფუძნდა 2001 წლის 1 თებერვალს ბორჯომისა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსის სერაფიმეს (ჯოჯუა) მიერ. მონასტრის წინამძღვარი გახლდათ მონაზონი მარიამი - ახლა უკვე აწ განსვენებული სქემმონაზონი მატრონა (დედა მარიამი მეუფე სერაფიმეს დეიდა იყო).

მონასტერი განთავსდა სახლში, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა. ერთი მხარე ეკუთვნოდა მერაბ კოსტავას ფონდს. იქ ცხოვრობდა თბილისიდან ჩამოსული პედაგოგი კლარა ფოცხვერაშვილი. მეორე ნაწილი კი იყო ადგილობრივი სომხურ-ქართული ოჯახის საკუთრება.

კლარა ფოცხვერაშვილმა თავისი კუთვნილი სახლი დაუთმო ეპარქიას და გაიხსნა დედათა მონასტერი, ხოლო მეორე ნაწილი მოგვიანებით შეისყიდა მეუფე სერაფიმემ. გაერთიანდა ორივე მხარე. შეძლებისდაგვარად გარემონტდა, გაკეთდა კელიები და სამლოცველო.

2002 წ. ოქტომბრის ბოლოს ახალქალაქისა და ბორჯომის ეპარქიას გამოეყო და

შეიქმნა ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია. ეპარქიის მმართველად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი).

ამ დროიდან მონასტერში საცხოვრებლად გადმოვიდნენ მეუფე ნიკოლოზის სულიერი შვილები: სამორჩილე ნინო, ამჟამად აწ განსვენებული სქემმონაზონი ნინო ყაველაშვილი და სამონაზვნე სერაფიმა,

ამჟამად მონაზონი იოანა ფარცვანია. აქედან მოყოლებული ნინოწმიდის მონასტერში დროის სხვადასხვა მონაკვეთში ცხოვრობდნენ:

ილუმენია ნინო ფაჩუაშვილი;

მონაზონი ნანა აგლაძე;

მონაზონი ნანა კაპანაძე;

მონაზონი მართა ხეცურიანი;

მონაზონი მარინე ჯიყაშვილი;

აწ განსვენებული მონაზონი ნატალია ჭკადუა.

2016 წლიდან მონასტერში იყო ოთხი წევრი: სქემმონაზონი ნინო ყაველაშვილი,

მონაზონი იოანა ფარცვანია; მონაზონი ნატალია ჭკადუა; სამონაზვნე ილარია ოსორაული. 2022 წელს ორი გარდაიცვალა. სქემმონაზონი ნინო ყაველაშვილი 2022 წ. 27 იანვარს და მონაზონი ნატალია ჭკადუა 2022 წლის 14 ოქტომბერს.

დედა ნინო დაკრძალულია ამავე მონასტრის ეზოში. მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის - კერძოდ, ჯერ ბოლნისის ეპარქიის და შემდეგ ჯავახეთის საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრების აღორძინებასა და განმტკიცებაში, კომუნისტური რეჟიმის დროს დახურული ეკლესიების გახსნაში.

მონაზონი ნატალია დაკრძალულია ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში. წმიდა მეფე თამარის სახელობის დედათა მონასტრის ეზოში.

დედა ნატალია იყო მონაზონი იოანას დედა.

მან, შვილის მონასტერში წასვლის შემდეგ, თავისი საცხოვრებელი კარ-მიდამო შესწირა ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიას, სადაც მანამდე თვითონ ცხოვრობდა. ამ ადგილზე პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ადგილობრივი მღვდელმთავრის, მეუფე გერასიმეს თაოსნობით გაიხსნა წმ.თამარ მეფის დედათა მონასტერი 2001 წელს. ამ დროიდან დედა ნატალია ცხოვრობდა მორჩილი ნონას სახელით ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიაში, ხოლო 2017 წლიდან ფიზიკური უძლურების გამო, გადავიდა თავის შვილთან ჯავახეთში - ქალაქ ნინოწმინდაში. მიტროპოლიტ ნიკოლოზის მიერ აღკვეცილ იქნა მონაზვნად და სახელად ეწოდა ნატალია.

მონაზონი ნატალია დაკრძალულია წმიდა მეფე თამარის სახელობის მონასტრის ეზოში, როგორც ამ მონასტრის აღმშენებელი.

ნინოწმიდის მონასტერში მდებარეობს ღვთისმშობლის ხარების სახელობის სამლოცველო. ეს სამლოცველო გაკეთდა და მოიხატა მიტროპოლიტ სერაფიმეს და მისი ეპარქიის ხატმწერების მიერ. აქ ტარდებოდა წირვები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა სიხშირით.

თავიდან მწირველი იყო არქიმადრიტი იოაკიმე (ჩიკვილაძე). მეუფე სერაფიმესთან ერთად, მამაიოაკიმეს დიდიწვლილი მიუძღვის ნინოწმიდის მონასტრის მშენებლობის საქმეში და მის სულიერ ცხოვრებაში. ამჟამად

იგი მწვანე მონასტრის წინამძღვარია. ნინოწმინდაში მსახურობდნენ მოძღვრები: აწ განსვენებული, სქემარქიმანდრიტი ანდრია ფურცელაძე (წლების განმავლობაში გახლდათ ფოკის მამათა მონასტრის წინამძღვარი) ; დეკანოზი ნიკოლოზ ჩიქოვანი; დეკანოზი გიორგი თეთრუაშვილი; დეკანოზი ალექსანდრე ქასრაშვილი; მღვდელი ავთანდილ მჭედლიანი.

ქალაქ ნინოწმინდაში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და მღვდელ ავთანდილ მჭედლიანის დიდი ძალისხმევით 2015 წელს გამოყოფილი იქნა ტერიტორია ეკლესიის ასაშენებლად. ტაძრის საძირკველი იკურთხა მიტროპოლიტ ნიკოლოზის მიერ ღირსი მამა გაბრიელ სალოსისა და აღმსარებლის სახელზე.

დღესდღეობით დაწყებულია და მიმდინარეობს ტაძრის მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მღვდელი ავთანდილ მჭედლიანი.

ფოკანის მამათა მონასტერი

ფოკის მამათა მონასტერში დანიშნული ვიყავი 1992 წლის 28 აგვისტოს.

28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით, ბერად აღმკვეცა ვარძიაში ეპისკოპოსმა დანიელმა (დათუნაშვილმა). იმავე დღეს ჩავედით ფოკაში, სადაც იყო მხოლოდ ორი ვაგონი ფოკის ტბასთან ახლოს. ჩემთან ერთად იყო მორჩილი პაპია (არქიმანდრიტი მაკარი კიტიაშვილი).

იყო სირთულეები, განსაკუთრებით პირველ თვეებში.

ფოკის მამათა მონასტრის ტერიტორია ოცი ჰექტარი გადაეცა ჯერ კიდევ 1989წ. საპატრიარქოს ბატ. ჯუმბერ პატიაშვილის ხელმოწერით. ჩემამდე იქ ჩამოდიოდა დეკანოზი ბარიელი (სიჭინჭელაშვილი). პირველი წინამძღვრები იყვნენ მაშინ მორჩილი ვიტალი (არქიმანდრიტი ანდრა ტარიადისი) და ბერი ნაუმი.

პირველი მუდმივი წირვა-ლოცვა დავიწყეთ ვაგონებში იმ ზაფხულს. ხშირად ჩამოდიოდა მაშინ დეკანოზი პავლე (მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი).

1992 წელს - ოქტომბერში მაკურთხეს დიაკვნად და 26 ნოემბერს სიონში პატრიარქმა მაკურთხა მღვდელ-მონაზვნად. ეს იყო აფხაზეთის ომის პერიოდი. მონასტრის მომარაგება იყო რთული. ზამთარში იყო 20 გრადუსი ყინვა. იყინებოდა მთლიანად ტბა, დასაღვევი წყალი მოგვქონდა დიდი მანძილიდან და უბრალო წყალი - ტბიდან ვედროებით, ხელით. დილას იწყებოდა ლოცვა 6 საათზე, საღამოს კი 8 საათზე. გარდა ამისა, თითო წევრი დგებოდა ერთი საათით ღამე და ასრულებდა ლოცვით კანონს. ვიძინებდით საღამოს 10 საათზე. კვირა დღეს და დღესასწაულზე ვაგონში ვატარებდით წირვებს.

მონასტერში აკრძალული იყო ხორცის ჭამა. ერთი დღე კვირაში გავდიოდით დედათა მონასტერში წირვის დასაყენებლად, რითაც ვეხმარებოდით დედებს.

ძირითადი იყო მონასტრის მორჩილება, მშენებლობა, ტრაპეზის გაკეთება. პურს ვაცხობდით ვაგონში, ღუმელზე, ტაფებზე.

არ გვქონდა შუქი, ტელეფონი, ვსარგებლობდით ძირითადად წერილებით, რომლებსაც ვატანდით ადგილობრივ სომეხ მძღოლებს, რადგან ქართული სოფლები იქ არ იყო. თბილისიდან გზა იყო რთული, მატარებელი მუშაობდა შეფერხებით. შემდეგ წლებში თანდათანობით ინფრასტრუქტურა აშენდა.

პირველი წყალკურთხევა ჩავატარეთ ტბაზე 1993 წ. 19 იანვარს,

15 გრადუს ყინვაში, ყველამ: დედებმა, მამებმა ჯერ ვაკურთხეთ და გადავისხით ტბის წყალი ვედროებით. შემდეგ წყლებში გაიჭრა ყინული და შევდიოდით ამ დღეს წყალში, რითაც აღდგა უძველესი საეკლესიო ტრადიცია.

ურთიერთობა ზოგჯერ ადგილობრივებთან იყო რთული, იყო გაღიზიანება ჩვენს მიმართ, გაუგებრობები, მაგრამ ჩვენ დიდი მოთმინებით და სიყვარულით დავიმსახურეთ სოფლელების პატივისცემა.

1994 წელს სტუმრად ჩამობრძანდა პატრიარქი და დამაჯილდოვა ილუმენობის ხარისხით. პატრიარქი ცდილობდა წელიწადში ერთხელ ჩამოსულიყო, რაც ჩვენთვის წარმოადგენდა უდიდეს სიხარულს. ერთხელ კი ერთი ღამით დარჩა ჩვენს ვაგონში, ჩემს უბრალო კელიაში.

მონასტრის წევრები იცვლებოდნენ. მერე მორჩილად მოვიდა მიქაელი (ეპისკოპოსი მიქაელი გაბრიჩიძე). სოხუმიდან მეუფე დანიელმა გამოაგზავნა მორჩილი ზურა (ილუმენი ელისე ბელქანია).

1995 წელს, სინოდის დადგენილებით მე ამირჩიეს ბორჯომისა და ახალქალაქის ეპისკოპოსად. ეპარქიაში შედიოდა ბორჯომის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკა) რაიონები. სამცხე-ჯავახეთი გაიყო ორ ეპარქიად.

ფოკის მონასტრის დაფუძნება არის ისტორიული მნიშვნელობის, ეკლესიური და ეროვნული გამარჯვება. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა მხოლოდ პატრიარქის, ილია 2-ის ლოცვა-კურთხევით.

იქ მოინათლა პირველი სომეხი ლეონი მართლმადიდებულად თავის შვილთან ერთად. მე მისი შვილის, ბაგრატის ნათლია გავხდი. დღეს ფოკის მონასტერი არის სრულყოფილი შენობა.

დღემდე არის ის ბუნებრივი ქვა, რომელზეც ჯერ კიდევ პირველი ვიზიტის დროს, პატრიარქმა დაანთო სანთელი და იწინასწარმეტყველა მომავალი მონასტრების დაფუძნება. პატრიარქმა იყიდა პირველი სახლი და ამისთვის ჩაეწერა სოფელ ფოკაში. ჩაწერის გარეშე, მას არ აძლევდნენ უფლებას, ეყიდა სახლი ფოკაში და ჩასულიყო იქ. ასეთი რთული დრო გაიარა ჩვენმა ეკლესიამ. მადლობა ღმერთს ყველაფრისთვის.

არქიმანდრიტ ფოკას (მარკოზია) მოგონებები

ფოკაში მამათა მონასტერი საცხოვრებელ ვაგონებში იყო განთავსებული. ზაფხულში სასმელი წყალი ფარავნის ტბის ნაპირზე გამოსული წყაროებიდან ვედროებით მოგვქონდა. ზამთარში ტბა დაახლოებით 1 მეტრი სისქის ყინულით იფარებოდა, ხოლო ნაპირები ივსებოდა თოვლის ნამქერით. იშვიათად თუ ვახერხებდით ამ ნამქერში დაახლოებით 10 მეტრიანი გვირაბის გათხრას და იქიდან წყაროს წყლის მოპოვებას. ეს ძალიან მძიმე სამუშაო იყო, ამიტომ გვერჩივნა 1 მეტრი სისქის ყინული ამოგვემტვრია და გადადულებული ტბის წყალი გვეხმარა. წყლის გადადუღება აუცილებელი იყო, რადგან ტბაში გავრცელებული იყო სოლიტერის ჭია. ხშირად მინახავს, სოლიტერის ჭიისგან მუცელგამსკდარი თევზები. ყინულის ამომტვრევა ხდებოდა ძალაყინის მეშვეობით. ეს ძალაყინი იმდენად დაღუნული იყო, რომ, როდესაც ყინულს ვურტყამდით, მკლავზე ტკივილს გვაყენებდა. ამიტომ ყინული სანამ სქელი იყო, ძალაყინს მოქნევის შემდეგ ხელს არ ვუჭერდით, რათა არ გვტკვნოდა. როდესაც ყინული დათხელდებოდა, იძულებულები ვიყავით, მისთვის ხელი მაგრად ჩაგვეჭიდა, რათა ტბაში არ ჩაგვარდნოდა. ასეთი შეცდომა მოუვიდა მორჩილ დავით კონჯარიას (მღვდელი დავით კონჯარია) - ყინულის ამომტვრევისას ძალაყინი ხელიდან გაუსხლტა და ტბაში ჩაუვარდა. დაბრუნდა მონასტერში და გვაუწყა მომხდარის შესახებ. ჩვენ დავდექით რეალობის წინაშე, რომ მონასტერი წყლის გარეშე რჩებოდა. ძალაყინის სათხოვნელად სასწრაფოდ სოფელში, დედათა მონასტერში წავედით. აღმოჩნდა, რომ მათ ძალაყინი ადგილობრივი მოსახლეობისგან ჰქონდათ ნათხოვარი. შევუდექით ტბის ფსკერიდან ძალაყინის ამოღებას. ნაპირიდან ყინულის ორმო დაშორებული იყო დაახლოებით 20-30 მეტრით, ხოლო სიღრმე წარმოადგენდა 2-ნახევარ მეტრს. თოხზე დავამაგრეთ გრძელი ტარი. ორმოსთან ვწვებოდით მუცლით, თოხის ტარს ემატებოდა ჩვენი მკლავის სიგრძე, რაც გვადლევდა საშულებას მივწმოდით ფსკერს, მონასტრის თითქმის ყველა წევრს ჰქონდა სურვილი და საშუალება, როცა ილღებოდა ერთი, ენაცვლებოდა მეორე, მოესინჯა საკუთარი ძალები ძალაყინის ამოსაღებად. კარგად ისმოდა ხმები, თუ როგორ ხდებოდა ამ თოხის მოდება ძალაყინზე, რკინის ხახუნის ხმა და შემდგომ მისი ვარდნა ფსკერზე. მოხდა ისე, რომ ვერც ერთმა ვერ შევძელით ძალაყინის ამოღება. დავბრუნდით მონასტერში, მონასტრიდან ტბამდე მანძილი 200 მეტრია. მეორე დილისთვის გავამზადეთ ბარი, მას წავუმახვილეთ წვერი, დავაგეთ ტარი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა.

ყოველ დილით გვიწევდა დაახლოებით 20-30 სანტიმეტრი ყინულის ამომტვრევა, დილიდან დილამდე წყალი ამ სისქემდე ასწრებდა გაყინვას. ამიტომ ბარს ხშირად ელუნებოდა და უტყდებოდა წვერი. ერთ მშვენიერ დილას მოხდა საოცრება, ერთ-ერთმა მორჩილმა იპოვა დაკარგული ძალაყინი. ის დილით წყლის მოსატანად წავიდა და ორმოში დაინახა შავი ლაქა. იფიქრა, რომ ეს მკვდარი თევზი იყო. შემოუმტვრია ფრთხილად ირგვლივ ყინული, რომ არ აეწეწკვა თევზი და დაებინძურებინა წყალი. როგორც კი გადაწყვიტა მისი ფრთხილად ამოღება, აღმოჩნდა, რომ ეს იყო დაკარგული ძალაყინი. ანუ, სამი მეტრის სიმაღლეზე, ყინულის ორმოში გვერდულად ამოდებული თავამოშვერილი რკინა წყალზე ტივტივებდა. თქვენ ალბათ ხვდებით, მონასტრის წვერთაგან ამდენი სამღვდელო პირი და მაღალი იერარქი თუ რატომ შეემატა ეკლესიას, ხოლო ერის კაცთაგან წარმატებული ბიზნესმენები და ღირსეული მრავალშვილიანი მამები. მათი სახელები და გვარები ჩამოვწერე, რომლებიც ასევე არიან ცოცხალი მოწმეები, ამ საოცარი სასწაულების (მამა სვიმონი, მღვდელ-მონაზონი მიქაელი (მეუფე მიქაელი გაბრიჭიძე თიანეთისა და ფშავის ეპისკოპოსი). მამა სვიმონი (აბრამიშვილი), რომელიც მოღვაწეობს სამების ლავრაში, მამა ანტონი (ოსიაშვილი), რომელიც ოდესაში მოღვაწეობს, მღვდელი დავითი (კონჯარია) მოღვაწეობს თბილისში, მაშინ ის შეუმოსავი მორჩილი იყო, დღეს იგი მღვდელია, იღუმენი, გაბრიელი ქაჯაია (შეუმოსავი მორჩილი). ერის ადამიანები: გიორგი ნადარეიშვილი (ბიზნესმენი), ზაზა მირიანაშვილი, გიორგი მერებაშვილი, მიშა, ომარი ქელბაქიანი, ზურა, ალექსანდრე).

მონასტერი

1988 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა საქართველოს პატრიარქმა ილია II -მ იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში.

როდესაც მოვიდა ფოკაში ფარავნის ტბასთან, წმ.ნინოს საქართველოში შემოსვლის ადგილას, მოიყარა მუხლი, ქვაზე დაანთო სანთელი,ილოცა, გადაწერა ჯვარი და აკურთხა რომ აქ უნდა დაარსდეს წმ. ნინოს მამათა მონასტერი.

მართლაც, 1989 წელს ამ ადგილას აშენდა წმ. ნინოს სახელობის ღია ტრაპეზი. პირველ ივნისს წმ. ნინოს საქართველოში შემობრძანების დღესასწაულზე თავად პატრიარქმა აღავლინა წირვა-ლოცვა.

და უწმინდესის კურთხევით 1989 წ. დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ფოკის მამათა მონასტერი.

ღია ტრაპეზთან სიახლოვეს დაიდგა რამდენიმე ვაგონი და მამები წლების განმავლობაში იქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

1999 წ. დასრულდა წმ. ნინოს სახელობის ტაძრისა და მონასტრის მშენებლობა.

ტრადიციულად, 1 ივნისს წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეს საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება ღია ტრაპეზზე.

ჯავახეთის მეგალითები

პირველყოფილმა ადამიანმა ბუნებრივ-კლიმატური პირობების და მაშინდელი ცხოველთა სამყაროს შიშით შესამოსავზე და თავშესაფარზე ფიქრი ფაქტობრივად გაჩენისთანავე დაიწყო. მას შემდეგ, რაც ცეცხლი მოათვინიერა საკვების მოპოვებასთან ერთად, ცხოველები მოიშინაურა და ნიადგის დამუშავებას მიჰყო ხელი, ჭარბი საკვები დაუგროვდა, გაცვლა-გაყიდვაზე იფიქრა და საკუთრების დაცვის აუცილებლობაც გაუჩნდა. ადამიანი ახლა უკვე იძულებული გახდა, ერთდროულად ეფიქრა როგორც სითბო-სიცივისგან თავშესაფარზე, ისე თავდაცვაზეც.

თავიდან პირველყოფილმა ადამიანმა, ცხადია, დაიწყო იმ ბუნებრივი სათავსოების გამოყენება, რომელიც მილიონობით წლების განმავლობაში ვულკანური, გამყინვარებითი, თუ ტექტონური პროცესების შედეგად წარმოიქმნა. დაიწყო მათა ფერდობებზე, მდინარეთა ხეობებში, ტბებისა და ზღვების სანაპიროებზე უამრავი ნაპრაღისა თუ გამოქვაბულის თავშესაფარად ქცევა. ზოგიერთ მათგანს კარი ამოუშენა, მისწორა, მიაღაგა და თანდათანობით მშენებლობის ანი და ბანი გაიგო, გარკვეული თვისებები გამოიმუშავა. თანდათანობით საკუთარი ხელით თავშესაფარების, ქოხების და სახლების, თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაც დაიწყო. სამშენებლო მასალად იყენებდა იმ ბუნებრივ საშუალებებს, რომელიც რეგიონში ადგილზევე არსებობდა. თანაც ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე მორგებული მშენებლობის ნიჭი საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა. დედამიწის სხვადასხვა კუთხესა და სხვადასხვა პერიოდში გაჩენილ ცივილიზაციებს შორის მშვიდობიანი კონტაქტების ან ომების შედეგად ადგილობრივი მშენებლობის კულტურა ან ვითარდებოდა ან ნადგურდებოდა და იკარგებოდა, მაგრამ უფრო ხშირად სხვა ცივილიზაციების ცოდნას ერწყმოდა და კიდევ უფრო მაღალ დონეზე ადიოდა. ასე მოვიდა უხსოვარი დროიდან დღემდე მშენებლობის ზოგადსაკაცობრიო კულტურა, რომლის შემადგენელი ცალკეული ქვეყნების, რეგიონის ან ხალხის სამშენებლო ხელოვნება ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე და ხანგრძლივი ისტორიული განვითარების კულტურაზე დამყარებული კერძო განუმეორებელი თავისებურებებითაც გამოირჩევა და საერთო საკაცობრიო შტრიხებიც თითოეულ მათგანში საკმაოდ შეიმჩნევა.

სამხრეთ საქართველოს ბებერი და შედარებით გლუვი დადაბლებული მცირე კავკასიონის მთიანეთი, თრიალეთის, ჯავახეთის, აბულ-სამსრის, ნიალის, არსიანის და შავშეთ-ერუშეთის ქედები და მათ შუა მოქცეული ზეგნები და პლატოები, მდინარეთა და ტბათა აუზები, განსაკუთრებით

მდიდარია ბუნებრივი გამოქვაბულებით, ვულკანური თუ გამყინვარების შედაგად წარმოშობილი ქვათა მორენებით, ტუფის და გრანიტის ქვყრილებით, რომლებიც საუკეთესო სამშენებლო მასალაა თავდაცვითი თუ საცხოვრისი მეგალითური ნაგებობების ასაშენებლად და, ცხადია, ადამიანიც უყვედურად იყენებდა, რის საშუალებასაც ადგილობრივი ბუნება იძლეოდა. ამიტომაცაა, რომ ტაოში, კლარჯეთში, ჯავახეთში, სამცხეში თუ თრიალეთში დღემდე შემორჩენილია საცხოვრისების ყველა ბუნებრივი თუ ხელოვნური ფორმა, რომელსაც ადამიანი უხსოვარი დროიდან ითვისებდა და იყენებდა. ისტორიული მესხეთის სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე მორგებული საცხოვრებელი, გარდა ფორმისა, სამშენებლოდ გამოყენებული მასალებითაც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაშინ, როცა აჭარაში, იმერხევეში, შავშეთში, თუ ლაზეთში ძირითადად ხის შენობები შენდებოდა, კოლა-არტაანში, სამცხეში და ჯავახეთში უპირატესობა ქვისგან ნაშენს ენიჭებოდა. ზოგან, სადაც ამის საშუალება იყო, ხეც და ქვაც ერთდროულად გამოიყენებოდა.

სამხრეთსაქართველოში, ზემო და ქვემო ქართლში, ადამიანი უხსოვარი დროიდან რომ ცხოვრობდა, ამის დასტურია მის მთებსა და მდელოებზე, მდინარეთა ხეობებში, მრავლად შემორჩენილი თითქმის ყველა ეპოქის ძეგლები. აქ უხვადაა ჯერ კიდევე ქვის ხანის დროინდელი ადამიანის სადგომები, რომელთაგან მხოლოდ ერთეულებია შესწავლილი.

პირველყოფილი ადამიანის ბუნებრივ გამოქვაბულ-სადგომებით განსაკუთრებით მდიდარია ჯავახეთი. ორთავე(ჯავახეთის და არტაანის) მტკვრის და მათი შენაკადების ბუზახევის (ქარცების), კორხის, ხანდოს და ნიალისწყლის ხეობებში უხვად არსებული ბუნებრივი გამოქვაბულები თავის დროზე პირველყოფილი ადამიანის დიდი თუ პატარა სადგომები იყო. პირველყოფილი ადამიანის სადგომები უმეტესად შემორჩენილი გვაქვს ქარცების ხევეში.



განსაკუთრებით დიდი სადგომები კი ბავრა-ხულგუმოსთან, კორხის ხევეთან,



ნაზვრევის ქვემოთ და ხანდოსთან. ზოგიერთი მათგანი ხელუხლებელი ფორმითაა, ზოგიერთ მათგანს კი წინა ფასადი აქვს ამოშენებული და კარის კვალიც ეტყობა.



ნაზვრევის გამოქვაბული



თმოგვის კლდის ნაპრალი

გამოქვაბულების გარდა ადამიანები მნელბედობის ჟამს კლდეთა ნაპრალებშიც აფარებდნენ თავს, რომელთა სიღრმე და სივრცე ისე გამოიყენებოდა, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა. ამის საუკეთესო ნიმუშია სოფელ თმოგვის კლდის ნაპრალები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულებით დღემდე გამოიყენება.

ბუნებრივი გამოქვაბულები და ნაპრალები თანდათანობით აღარ კმაროდა, ამიტომ გვიანი ნეოლითიდან არქიტექტურული ნიშნები ჩნდება. სწორედ მაშინ გამოიყენეს ქვა უკვე მშენებლობისთვის. მარტივი, მშრალი წყობის ნაგებობებთან ერთად აგებდნენ მონუმენტურ შენობებსაც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე მოღწეული იმ პერიოდის ძეგლების უმეტესობის დანიშნულება ჯერაც ცნობილი არ არის, უძველესი ნაგებობების მასშტაბები და ფორმები ზოგჯერ ისეთი გრანდიოზული და გასაოცარია, რომ მეცნიერებში არცთუ უსაფუძვლოდ ჩნდება ეჭვი, რომ მიწიერი ცივილიზაციების განვითარების იმ ეტაპზე პრიმიტიული ტექნოლოგიებით ალბათ შეუძლებელი იყო ასეთი კონსტრუქციების და ფორმების მშენებლობა, ამიტომ მეცნიერების ჯგუფი ორ ნაწილად იყოფა:

ერთნი თვლიან, რომ მანამდე დედამიწაზე არსებული და უცნობი მიზეზების გამო გამქრალი ცივილიზაციების, ან არამიწიერი ცივილიზაციების დროსაა ისინი აგებული, რომლებიც ახალ ცივილიზაციებს მზა სახით დახვდათ, რაც შემდგომ თავიანთი შენობების ფუნდამენტად გამოიყენეს;

მეორე ნაწილი ცდილობს ადგილზევე ამოხსნას საიდუმლო და მიაკვლიოს იმ პრიმიტიულ ტექნოლოგიას, რომლის საშუალებითაც

ხდებოდა იმხანად ასეთი სრულყოფილი კონსტრუქციების შექმნა.

ვინაიდან ისტორიამდელი მოვლენები მაინც უფრო შეუსწავლელია, უმრავლესობა მეცნიერთა მეორე ჯგუფს განეკუთვნება.

მეგალითი ბერძნული სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს **დიდ ქვას**. ვებერთელა, დიდი, დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული ლოდებისგან მშრალი წყობით ნაშენ ნაგებობებს **მეგალითები** ეწოდება, ხოლო იმ კულტურას, რომლის დროსაც ასეთ ობიექტებს აგებდნენ, **მეგალითური კულტურა** ეწოდება.

მეგალითები გვხვდება მთელს მსოფლიოში, მაგრამ მათი ასაკი და ფორმები განსხვავებულია. მეგალითად, ევროპაში მეგალითები ძირითადად ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანით (ძვ. წ. III-II ა.წ.). თარიღდება ინგლისში უმეტესწილად ნეოლითის ხანის მეგალითებია შემორჩენილი. კავკასიის და მიმდებარე რეგიონებში ადრეული ბრინჯაოს ხანის მეგალითებია გავრცელებული (ძვ. წ. IV-II ა.წ.)

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ციკლოპური კომპლექსები ვრცელდება დღევანდელი საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე. საქართველოში ისინი, ძირითადად, გავრცელებულია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

სამხრეთ კავკასიის ციკლოპური ფორტიფიკაციების მშენებლობის ქრონოლოგია, ლიტერატურაში არსებული მონაცემების მიხედვით, ძირითადად შემოიფარგლება გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ხანით (ძვ.წ. XV-VI სს) ეს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდია. ბევრი მეცნიერის ვარაუდით სწორედ ამ დროს იწყება ქართველური ტომების გაერთიანება და წარმოიქმნება პირველი ქართული სახელმწიფოები. ასეთად მიჩნეულია ძვ.წ. XII-IX საუკუნეების ასურულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული **დაიაენის ქვეყანა** (Меликишвили 1959, 176), რომელიც მეზობლად არსებულ, შედარებით მცირე პოლიტიკურ ერთეულებსაც აერთიანებდა (Меликишвили 1959, 18). ძვ.წ. VIII საუკუნის ურარტულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული დიაუხი იგივე დაიაენია (Меликишвили 1954, 58), რომელიც ისტორიული საქართველოს სამრეთ-დასავლეთის ტერიტორიებს მოიცავდა და გაიგივებულია შუა საუკუნეების ტაოს საერისთავოსთან. ტაოელები კი ძველ ბერძნულ წერილობით წყაროებში ნახსენებ ტაოხებად არიან მიჩნეულნი (Меликишвили 1959, 176). ურარტუს აღზევების პერიოდში დიაუხი აერთიანებდა ვრცელ ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ქვეყანას და ტომს. ეს დიდი გაერთიანება ვრცელდებოდა დღევანდელი თურქეთის ქალაქ ერზურუმის სამხრეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით მდინარე ჭოროხის შუაწელამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი, ჩილდირის ტბამდე აღწევდა (Меликишвили 1959, 177]. სავარაუდოდ, ამ ტერიტორიებზე მრავლად დადასტურებული ციკლოპური საფორტიფიკაციო ნაგებობები

ეკუთვნოდა ამ რეგიონში არსებულ დაიენი/დიაუხის კოალიციაში შემავალ ქვეყნებს (ნარიმანიშვილი 2019, 7).

როგორც უკვე აღვნიშნეთ მეგალითების ფუნქცია ჯერჯერობით ბოლომდე შეუსწავლელია, მაგრამ მაინც შეიძლება იმის მტკიცება, რომ ზოგიერთი მათგანი სამარხის დანიშნულებითაა აგებული და დაკრძალვის კულტს უკავშირდება, ზოგი მათგანი თავისი ზეაღმართული ფორმებით მზესთან და სამყაროსთან კავშირის ფუნქციის მატარებელია, ნაწილი ნაყოფიერების კულტთანაა დაკავშირებული და ფორმებით ვეშაპის ან განაყოფიერების ორგანოების მსგავსია. ბევრი მათგანი ასტროლოგიური მიზნებით იყო აგებული და თავისებურ „ობსერვატორიას“ წარმოადგენდა. ნაწილი მათგანი თავდაცვითი და ყოფითი დანიშნულებისაა. უხვადაა სარიტუალო მეგალითური ძეგლებიც. ბევრი მეგალითი ისეთი გრანდიოზულია, მის აშენებას დიდძალი მუშახელი და ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდებოდა, მაგრამ ხალხის რწმენით და მეცნიერთა დასკვნებითაც, ისინი ძალიან მოკლე დროში შენდებოდა, ამიტომ მათი მშენებლები ან ზღაპრული ლეგენდარული არსებები უნდა ყოფილიყვნენ, ან უცხო, არამიწიერი ტექნოლოგიის მქონე ცივილიზაციების წარმომადგენლები.

პირობითად მეგალითების **ორ კატეგორიას განასხვავებენ:**

პირველში აერთიანებენ უძველეს პრეისტორიულ არქიტექტურულ ნაგებობებს: მენჰირებს, კრომლევებს, დოლმენებს, ზოგიერთ ტაძარს, ლაბირინთებს და ტრეკერებს (ცალკეული ქვები პეტროგლიფებით). მათთვის საამშენებლოდ გამოიყენებოდა მინიმალურად დამუშავებული ან საერთოდ დაუმუშავებელი ქვები.

მეორე კატეგორიაში უფრო განვითარებული არქიტექტურული სტრუქტურები იგულისხმება, რომლებიც ძალიან დიდი ქვებისგან არიან აგებული და სრულყოფილი გეომეტრიული ფორმები გააჩნიათ. ასეთი მეგალითური სტრუქტურები უკვე ადრეული სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებში და შემდგომაა აგებული. ესენია ეგვიპტური პირამიდები, მიკენური შენობები, ტაძრის მთა იერუსალიმში, სამხრეთ ამერიკული პირამიდები და ზოგიერთი სხვა (მათ შორის წყალქვეშა) ნაგებობანი.

მენჰირი კულტურ ენაზე მოგრძო ქვას ნიშნავს. კლასიკური გაგებით მენჰირი არის ყველაზე მარტივი მეგალითი, ვერტიკალურად ან გარკვეული დახრილობით მიწის ზედაპირიდან ზეაღმართული მოგრძო ქვა, რომლის ზედაპირი ან დამუშავებულია (ხშირად ზედაპირზე გარკვეული ფიგურებია გამოსახული), ან



დანკალის მენჰირი



თეჯისის მენჰირი

სრულიად დაუმუშავებელია. მენჰირების სიმაღლე ზოგჯერ 20 მეტრსაც აღწევს. მენჰირები უხვად გვხვდება ამიერკავკასიაში, ირანში და თურქეთში. ჩვენთან მენჰირებს ვეშაპის ფორმა ჰქონდა, ბევრ მათგანს ქალს ან კაცს ამსგავსებდნენ, ამიტომ ქვაკაცის ან ქვაქალის სახელით მოიხსენიებდნენ. საქართველოში ყველაზე ცნობილი მენჰირებია **თეჯისის** (ჩოლაყის) და რეხის მენჰირი თრიალეთში; **ჭიქიანის** მენჰირი ისტორიული თრიალეთისა და ჯავახეთის საზღვარზე; **განძანის** და მურჯახეთის მენჰირები **ძიქვა** და **ლალის** ჯავახეთში. პოსტმეგალითური მენჰირები სტელეები და ქვაჯვარებია.

კრომლეხი - ეს არის წრიულად განლაგებული რამდენიმე მენჰირი, რომელიც ზოგჯერ ბრტყელი ქვებითაა ერთმანეთზე გადაბმული. გადასახურ მასალად ქვის გარდა ზოგან ხეც იყო გამოყენებული. კრომლეხისავე მნიშვნელობით დიდ ბრიტანეთში „ჰენჯი“ გამოიყენება.



დანკალის „კრომლეხი“

დოლმენი არის მონოლითური ქვებისგან აგებული სახლი, გადახურული ბრტყელი ქვის ფილით. უმეტესობას წინ საგულდაგულოდ დამუშავებული წრიული სარკმელი აქვს. დოლმენები, სავარაუდოდ, დაკრძალვის კულტთან იყო დაკავშირებული. გვხვდება გვირაბებით ურთიერთდაკავშირებული დოლმენების გალერეებიც. დოლმენები საქართველოში დაფიქსირებულია აფხაზეთში.



დოლმენი აფხაზეთიდან (საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი)

დოლმენი სხვა კუთხეებშიც იქნებოდა გავრცელებული, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ნაპოვნი. სავარაუდოდ დოლმენები სხვაგან შეიძლება კლასიკურისგან გარკვეულწილად განსხვავდებოდა ფორმებით. დოლმენების გალერეების მსგავს ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ დუმეილის **მეგალითური პანთეონი**, დარნებითურთიერთდაკავშირებული ყორღანული სამარხები, რომელსაც ზოგიერთი მეცნიერი მეგალითურ სოფლად მიიჩნევს, რაც, ჩვენი აზრით, არაა სწორი.

მეგალითების ამ სამი ძირითადი ტიპის გარდა განასხვავებენ სხვა ფორმებსაც: **ტრილიტი**, **ტაულა-კაირნი**, **სეიდი** (ბორცვზე ან დიდ ლოდზე დაყენებული ქვის ლოდი) და სხვა



ბუზახევის სეიდი

ცალკე უნდა გამოიყოს მეგალითების საყოველთაოდ გავრცელებული სახეობა **მეგალითური, იგივე ციკლოპური ციხე-სიმაგრეები**, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ქვებისგან მშრალად ნაგები თავდაცვითი კომპლექსები. ასეთი სიმაგრეების ასაშენებლად გამოყენებულია, როგორც მომცრო ზომის ნამტვრევი ქვები, ისე უზარმაზარი ლოდები, ან ორივე ერთად, ამიტომ, როდესაც ასეთი სიმაგრე აგებულია უმეტესწილად უშველებელი მონოლითური ქვებისგან, მას უფრო ხშირად **მეგალითურ ციხეს** უწოდებენ,

საროს მეგალითური ციხე



ხოლო მომცრო ბლოკებისგან აგებულ სიმაგრეებს **ციკლოპური ციხეების** სახელით მოიხსენიებენ,



ქარის ციკლოპური ციხე

ასეთი ციკლოპური სიმაგრეები უფრო ხშირად შემადღებულ გორაკებზე ან მთის კალთებზე შენდებოდა და მის ირგვლივ იქმნებოდა ერთიანი საცხოვრებელი, საკულტო და თავდაცვითი კომპლექსი, რომელსაც **გორა-ნამოსახლარს** უწოდებენ. გორანამოსახლარები მოიცავენ თავდაცვით ნაგებობებს, საცხოვრებელ განყოფილებებს, დარან სამალავებს და საკულტო ნაგებობებს.



მურჯის გორა-ნამოსახლარი

მსოფლიოში აღმოჩენილ უძველეს (დაახლოებით ძვ. წ. X-VIII ათასწლეული). მეგალითურ ნაგებობად ითვლება გიობექლი თეფე, თურქეთში. ცხოველების გამოსახულებიანი სტელებისაგან შექმნილი ოცამდე წრე



ისტორიულ მეცნიერებაში გაბატონებულია აზრი, რომ მეგალითები ააშენეს პირველოფილმა ტომებმა და ტომობრივმა გაერთიანებებმა

ქვის ხანის ეპოქის დასასრულს, ნეოლითის ეპოქაში, ეს არის ჩვენს წელთაღრიცხვამდე არაუადრეს VII ათასწლეული, მაგრამ უახლესი გამოკვლევებით დასტურდება, რომ მეგალითები უფრო ძველია, ვიდრე ყველა ჩვენთვის ცნობილი ხალხი, რომელსაც ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე, ამიტომ სხვადასხვა ხალხის მესხიერებაში დალექილი ლეგენდების მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ მეგალითები ალბათ ააშენა შორიდან მოსულმა ხალხმა (თეთრ-წითელწვერა ღმერთებმა და ქალღმერთებმა), თანაც ძალიან ჩქარა, რადგან ისინი ეკუთვნოდნენ ჩვენთვის უცნობ ცივილიზაციას, რომელთაც ძალიან კარგად იცოდნენ გეომეტრია, ფიზიკა, მექანიკა გეოლოგია, ასტრონომია და ფლობდნენ მშენებლობის მაღალ ტექნოლოგიებს, რაც აძლევდა მათ საშუალებას, უმარტივესიდან თითქმის დაუმუშავებელი ქვებით უმოკლეს დროში შეექმნათ სრულყოფილი კონსტრუქციები. ზოგჯერ უზარმაზარი ლოდები და ბლოკები ისეთი ფილიგრანული სიზუსტით არიან გაჭრილი და ერთმანეთზე მორგებული, რომ დანის პირი არ შეეცევა. უმრავლესობა მეგალითებისა აგებულია კვარცის ქვიშაქვებისგან, რომლის შემადგენლი კვარცი ელექტროდენის საუკეთესო გენერატორია და მისი კრისტალები ერთდროულად წარმოქმნიან ულტრაბერით და რადიოტალღებს. ბრიტანეთში მდებარე ცნობილი კრომლესის Royallight-ის შესწავლისას მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ მის ცალკეულ ქვას აქვს საკუთარი დიაგრამა და გამოსხივების ინტენსივობა, რომლებიც მოდულირებულია კრომლესის შიგნით ქვების გააზრებული წესით განლაგებით. გაირკვა, რომ ეს კრომლესი ულტრაბერით იმპულსებს ყველაზე ინტენსიურად მზის ამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ასხივებენ და ისინი ყველაზე ინტენსიური მზის ბუნობის პერიოდში არიან. ბოლოს კიდევ ერთი იდეალური ფაქტი - მრავალი მეგალითი მდებარეობს დედამიწის ქერქის ღრმა დეფექტების თავზე. ეს არის ე.წ. გეოპათოგენური რეგიონები. ეს არ არის უბრალო დამთხვევა, მაგრამ რას ნიშნავს ეს და როგორ ადგენდნენ ქვის ხანის ადამიანები დედამიწის ფსკერის სტრუქტურას კილომეტრების სიღრმეზე? ეს ყველაფერი დანარჩენთან ერთად, ამოუხსნელ საიდუმლოდ რჩება და ელოდება მეცნიერულ გადაწყვეტას.

მეგალითური ძეგლები უხვად გვხვდება საქართველოშიც. აქ პირველი კატეგორიის მეგალითური ნაგებობების თითქმის ყველა ტიპი იყო გავრცელებული. მათი სიუხვით განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აფხაზეთი გამოირჩევა. მნიშვნელოვანი ნიმუშები გვხვდება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში და ისტორიული ტაო-კლარჯეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მათ შორის ისტორიული ჯავახეთის ტერიტორია მაინც ყველაზე ინტენსიურადაა მოფენილი ასეთი ძეგლები და ამ მხრივ თავისებური ოაზისია. უხსოვარი დროიდან საქართველოში მათ არსებობას ადასტურებს ხალხური ზეპირსიტყვიერება და ზოგიერთი წერილობითი

წყარო. მესხეთში ხალხი ასეთ ნაგებობებს „კარკნალს“, „ლოდოვანს“, „დევების ციხეს“, „ქაჯის ციხეს“ ეძახდნენ. ჯავახეთში მათ „ქოროს“ (დიდი ლოდების) ციხეებადაც მოიხსენიებდნენ. მონოლითურ ბუნებრივ თუ ხელთნაკეთ ქვის სვეტებს კი ქვა-კაცებს, ქვა ქალებს (ქვარძლებს), მიქვას და ამგვარებს უწოდებდნენ. მათ ამშენებლებად გოლიათებს, დევებს ან დევგმირებს, ამირანს ასახელებდნენ. ასეთი დასახელებები ზეპირსიტყვიერების გარდა აქა-იქ წერილობით წყაროებშიც გვხვდება. „ნაქულბაქევს ზეით არს დევის-ნამუხლი“ (ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს გეოგრაფია“ 1895.91) „დიდროვანი ლოდი“ ნახსენები აქვს ვახტანგ VI-ს „დასტურლამარში“. „დიდროვანის ლოდით ნაშენ“ ციხეებს ხშირად აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „ხოლო შაორის მთის თხემთა ზედა დგას ციხე, დიდროვანის ლოდით ნაშენი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1895, 68). მეგალითურ ძეგლებთან დაკავშირებული ცრურწმენების თაობაზე იმავე წიგნში წერს: „პატივანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გადააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გადააბრუნო, იქმნების უწვიმრობა“ (ვახუშტი 1985, 70). მსგავს რიტუალებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ბევრ სოფელში, მათ შორის სამცხე-ჯავახეთში. ამის ყველაზე ტიპური და ცნობილი მაგალითია მურჯახეთის მენჭირები ძიქვა და ლალია.

მეგალითური კულტურის მიმართ ინტერესი ყოველთვის დიდი იყო და იქნება, როგორც ჩვენთან ისე მსოფლიოში. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოში პირველი მეცნიერული სტატია სამი სოფლის ავრანლოს, გუმბათის და ედიქილისას სიმაგრეების შესახებ გამოაქვეყნა ადგილობრივმა სკოლის მასწავლებელმა ა. იოაკიმოვმა (Иоакимов 1882, 8-9). 1884 წელს ასეთი ძეგლების შესწავლის საკითხი უკვე თბილისში გამართულ არქეოლოგიურ ყრილობაზე დაისვა. შედეგად ამ თემით დაინტერესდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიცაა ივანე როსტომაშვილი, ალექსანდრე გრენი და ექვთიმე თაყაიშვილი. 1898 წელს ივანე როსტომაშვილის მიერ წინა წლებში ჯავახეთში წარმოებული სამუშაოების ანგარიშში სხვა ხუროთმოძღვრული ძეგლების გვერდით მეგალითური ციხეების აღწერაც მოხვდა (Постомов 1898, 24-108). შემდგომ წლებში უფრო გარკვეული ცნობები მოაგროვა და გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა (Такайшвили 1905, 14-15; 1913, 36). საქართველოს მეგალითების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი გამოდგა 1923 წელი, როცა ალგეთის ხეობაში კვლევისთვის მივლინებულმა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა აღმოაჩინა გოხნარის მეგალითური სადგომი, რომლის შემდგომაც დაიგემა მთელი რიგი ექსპედიციები სამხრეთ საქართველოს მეგალითური ძეგლების შესასწავლად. 1938 წელს მელიქსეთ-ბეგმა გამოსცა მონოგრაფია „მეგალითური კულტურა საქართველოში“ (მელიქსეთ-ბეგი

1938, 49-73), რომელშიც კატალოგის სახით თავმოყრილია საქართველოში იმ დროისთვის ცნობილი ყველა მეგალითური სიმაგრე.



გოხნარის მიწისქვეშა სადგომებში ჩასასვლელი

საქართველოს ტერიტორიაზე ციკლოპური კომპლექსების პირველი არქეოლოგიური კვლევა უკავშირდება ბორის კუფტინის სახელს, რომლის ხელმძღვანელობით 1936-1948 წლებში ისტორიულ თრიალეთში, წალკის წყალსაცავის მშენებლობისას მნიშვნელოვანი ძეგლები იქნა შესწავლილი. მათ შორის წალკის პლატოზე არსებული რამდენიმე ციკლოპური კომპლექსი და სამაროვნები (Куптин 1936;...1948). ციკლოპური სიმაგრეების შესწავლის მხრივ მნიშვნელოვანია ნიკო ბემენიშვილის სამხრეთ საქართველოში 30-იან წლებში მოგზაურობის დღიური, რომელიც გამოქვეყნდა 1964 წელს (ბერმენიშვილი 1964). ჯავახეთში, ახალქალქის ამირანის გორაზე 1956-58 წლებში, ფაქტობრივად, პირველი დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა ტარიელ ჩუბინიშვილმა. მომდევნო ხანებში, ამავე რეგიონში, დაზვერვებმა სისტემატური ხასიათი მიიღო, რომლის დროსაც ციკლოპური სტრუქტურებიც დაფიქსირდა. 1968 წელს სამცხე-ჯავახეთში სადაზვერვო სამუშაოები ოთარ ღამბაშიძემ, შემდეგ კი, თორნიკე ტატიშვილმა ჩაატარა.

ისტორიულ ჯავახეთში პირველ ფართომასშტაბიან არქეოლოგიურ სამუშაოებს, რომლებიც მიმდინარეობდა უშუალოდ ციკლოპურ სიმაგრეზე, ხელმძღვანელობდა ოთარ ჯაფარიძე. ექსპედიციამ 1974 და

1977 გათხარა „ოკამის გორა“. ასევე გაკეთდა სადაზვერვო თხრილები ჯავახეთში გაღვნიტ გამაგრებულ კიდევ რამდენიმე გორაზე. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 1977-1984 წლებში გათხრებსა და დაზვერვებს აწარმოებდა არქეოლოგიური ექსპედიცია ზაალ ქიქოდის ხელმძღვანელობით. 1987-1988 წლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენთან, ალექსანდრე ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით გაითხარა დიკაშენი I და აქვე არსებული სამაროვანი. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ო. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით 1991 წელს შეისწავლასაროს ციკლოპური კომპლექსის ქვედა ციხე (ღამბაშიძე და სხვ. 2000). ამავე წელს, ზ. ქიქოდის და ფ. კოლის ხელმძღვანელობით განახლდა არქეოლოგიური სამუშაოები ჯავახეთში; 1993 წელს კი ქართულ-ამერიკულმა ექსპედიციამ დაიწყო სათხის ციკლოპური კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლა. ექსპედიციის ფარგლებში სადაზვერვო თხრილები გაკეთდა ბარალეთის ამალეების გორაზეც. წელს (2023), ზაფხულში თსუს დოქტორანტის არქეოლოგ თორნიკე ჩილინგარაშვილის ხელმძღვანელობით ერთობლივმა ქართულ-იტალიურმა ექსპედიციამ აქ კვლავ დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. ჯავახეთში არაერთი ისტორიული ძეგლი გამოავლინა და აღწერა დევი ბერძენიშვილმა. ჯავახეთის უძველესი სიმაგრეების შესახებ მან 2002 წელს ცალკე ნაშრომიც გამოსცა (ბერძენიშვილი 2002). მისივე თანაავტორობით 2000 წელს გამოიცა ჯავახეთის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, რომელშიც თავმოყრილია ჯავახეთის ციკლოპური კომპლექსების დიდი ნაწილი (ჯავახეთი 2000). 2000 წელს პირველად მოხდა შაორის და აბულის კომპლექსების სრული გეოდეზიური და არქიტექტურული აზომვა. ექსპედიციამ გოდერძი ნარიმანიშვილის ხელმძღვანელობით 2013 წელს გათხრები აწარმოა სოფელ სულდაში. ფასდაუდებელია გოდერძი ნარიმანიშვილის, დავით ნარიმანიშვილის და ნინო შანშაშვილის დამსახურება საქართველოში და, კერძოდ, ისტორიულ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მეგალითური ძეგლების შესწავლის საქმეში. ამასთან დაკავშირებით მათ არაერთი ნაშრომი აქვთ გამოქვეყნებული. განსაკუთრებით აღასანიშნავია დავით ნარიმანიშვილის მიერ 2019 წელს გამოცემული „საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები“, გოდერძი ნარიმანიშვილის, ნინო შანშაშვილის და დავით ნარიმანიშვილის მიერ ერთობლივად 2020 წელს გამოცემული „საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლები“.

ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე უხვად გვაქვს „პირველი კატეგორიის“ მეგალითური ძეგლების თითქმის ყველა სახეობა. განსაკუთრებით ბლომადაა მენჰირები, ციკლოპური, მეგალითური ციხე-კოშკები და ციხეები.

ჯავახეთი განსაკუთრებით მდიდარი კუთხეა მენჰირებით და ქვაჯვარებით. მენჰირები, როგორც წარმართული პერიოდის ძეგლები,

ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული და უმეტესად ფალოსის ფორმით გვხვდებიან, მაგრამ ზოგიერთისთვის თავისი ფორმით ის პირდაღებული თევზის ან ვეშაპის ასოციაციას იწვევს, ამიტომ მათ ხშირად ვეშაპებოიდეზსაც უწოდებენ. ზოგი მკვლევარი იზიარებს თავის დროზე მელქისეთ-ბეგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თავიდან ისინი თევზის კულტთან დაკავშირებული სიმბოლოები იყვნენ, მაგრამ შემდგომ პერიოდში მოხდა მათი ნაყოფიერების კულტთან დაკავშირება. ძალიან ძნელია რაიმეს მტკიცება, მაგრამ ახალქალაქის მუნიციპალტეტის სოფელ მურჯახეთში მდგარ 2,9 მ სიმაღლის ძიქვას (რძისქვა -> ძიქვა) მენჭირს, რომლის დასავლეთ მხარეზე განაყოფიერების სცენაა გამოსახული, მოსახლეობა დღესაც რძის მომცემ ან შვილის გამჩენი ძალის მქონედ მიიჩნევს. მასთან მისული ქალები ძირში თავლს ან ერბოს უსვამენ, სანთელს უნთებენ და ევედრებიან შვილის გაჩენაში შემწეობას, ან ურძეობის



შემთხვევაში რძის მოსვლას. იმავე სოფელში ცოტა მოშორებით ყანის პირას წამოქცეულ მენჭირთან, რომელსაც ცალ მხარეს ორი ამოღრმავებული

ადგილი ემჩნევა, მამაკაცები მიდიან და უშვილობისგან (უნაყოფობისგან) განკურნებას შესთხოვენ. უფრო მოგრძო (ოთხ მეტრამდე) და მასიური მენჰირია სოფელ განძანის დასავლეთით. თავში ნაყოფიერების სიმბოლო, ხოლო შუაწელზე, სავარაუდოდ, ორი უცხო ფრინველის გამოსახულებაა. მსგავსი მენჰირები ჯავახეთში კიდევ ბევრგან გვხვდება (დუმანი, მერენია, დანკალი, არეშტი,...). ზოგიერთ მათგანზე ქრისტიანული ატრიბუტიკა, ჯვრებია შემდგომ გამოსახული, მაგრამ ქვაჯვარებად გადაკეთებულ მენჰირებს და სტელებს მოსახლეობა ჯერ კიდევ წარმართულის დროინდელი რწმენით და რიტუალებით კვლავ წვიმას, რძეს და მსგავსი სხვა სურვილების ახდენას ევედრება. მენჰირები, როგორც წესი, უმეტესწილად ძველი სალოცავების ცენტრალურ ადგილებში ან უღელტეხილებზე, საქარავნე გზებზე, სხვადასხვა „ქვეყნების“ მიკრორეგიონების საზღვრებზე იყო განთავსებული. ადრექრისტიანულ ეპოქაში მენჰირები, სტელები ქრისტიანული ატრიბუტებით დაიტვირთა და ქვაჯვარებად გადაკეთდა ისე, რომ დანიშნულება და ფუნქცია იგივე დარჩათ, ოღონდ დროისა და რწმენის შესაბამისი. ჯავახეთიდან თრილეთში, წალკის მხარეს გადასასვლელ უღელტეხილზე მდგარი ჭიქიანის მენჰირის სამხრეთ აღმოსავლეთით, იმავე სახელწოდების მთის მეორე მხარეს სამ მეტრამდე სიმაღლის მე-12 საუკუნით დათარიღებული „დათვიას“ სახელით ცნობილი ქვაჯვარი დგას, რომელიც უთუოდ ჯავახეთიდან ზურტაკეთში გადასასვლელის მანიშნებლად იქნებოდა აღმართული.



ჯავახეთში მსგავსი მაგალითები სხვაგანაცაა.

ქვაჯვარები საერთოდაც და ჯავახეთშიც ადრეფეოდალური ხანის ძეგლებია, რომელთაც რაღაც მოვლენის აღსანიშნავად, ან საზღვრის მნიშვნელად, ან სამფლობელო ტერიტორიის კუთვნილების დანიშნულებითაც იდგმებოდა. მაგალითად, ხუნამისის ქვაჯვარის წარწერიდან ირკვევა, რომ IX საუკუნეში ჯავახეთის ერთ-ერთი მმართველი სულა ჯაფარიძე ყოფილა. განვითარებულ შუა საუკუნეებში დაქუცმაცებული სამთავროების გაერთინების შემდეგ ქვაჯვრებს სტელა-ხელები ჩაენაცვლა, რომლებიც ძალაუფლების სიმბოლურ გამოხატულობებს წარმოადგენდნენ. ჯავახეთში ცნობილია ოთხი ასეთი სტელა-ხელი: კტენის და ზრესკის - ლაშა გიორგის, გომანის - რუსუდანის და დავით ნარინის და საღამოსი - დავით VII-ის ძალაუფლების სიმბოლოებად.



გვიანსაუკუნეებში სტელებმა უფრო ტერიტორიული მსაზღვრელების ფუნქცია დაიმკვიდრეს. სოფელ ხავეთის ჩრდილოეთით თავზე წამომდგარი ორი ქვაჯვარი მკვლევართა ვარაუდით ჯავახეთის ორი ეპარქიის - წყაროსთავის და კუმურდოს - საზღვრის მანიშნებლად უნდა



აღმართათ. ოსმალური და შემდგომ რუსული მმართველობის პერიოდში ქვაჯვარების ეს ფუნქცია უბრალო ჭორტებმა (მოგრძო გამოთლილმა წვეტიანმა ქვებმა) შეითავსეს.

ჯავახეთის ტერიტორიაზე მძლავრი განვითარებული მეგალითური კერების არსებობის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია შუაბრინჯაოს ხანის **ყორღანული სამარხები**. სამცხე-ჯავახეთში არსებულ ყორღანულ სამარხებს ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებენ და მათ თრიალეთური, ყორღანული ბრწყინვალე კულტურის მესხურ ვარიანტად მიიჩნევენ (ღამბაშიძე 2000, 98-101; კიკვიძე 1991, 159) ჯავახეთის ტერიტორიაზე მდებარე ყორღანები ძირითადად ლოკალიზებულია ორთავე (არტანის და ჯავახეთის) მტკვრის აუზში. რამდენიმე დიდი თუ პატარა ყორღანული სამარხი ან მათი მთელი ნაკრები და ველი დაფიქსირებულია ბერთაყანაში, ახჩიის თავზე, დუმეილის და ფანაქეთის სერებზე, ნიალის მთათა ტაფობებზე და ქედებზე, ვან-ბუზმარეთის, შალოშეთ-ორხოფის, ზედა თმოგვის მიდამოებში, დლივის ქედზე, ელიასა და მადას მთაზე, სათხის, არაკალის და სადამოს მიმდებარე სერებზე. გორმაკე-დიკაშენის დიდი და პატარა აბულის, ქოროს და დეკიანი მთის დამაკავშირებელ ქედებზე და ფერდობებზე, თორიის, ოლავერდის, მიმინეთის, სამსრის, მეღრეკის, აგანა-ბოჟანოს, მოლით-ტაბაწყურის მიდამოებში; თეთრობ-ჭერულის და შარვაშეთის ქედებზე; შაორ-ჭიქიანის, გულთოვლა-ქაჩალგორის ქედებზე. ყორღანული სამარხების დიდი ლოდებისგან ნაშენ და ბრტყელი ქვებით გადახურულ კამერებში, რომლებიც წვრილი ღორღითაა დაფარული, მიცვალებულები ხელ-ფეხმოხრილი ფორმითაა დამარხული და ინვენტარის სახით ძირითადად თიხის ჭურჭელი აქვთ ჩატანებული.



მირაშხნის ყორღანი

კერამიკულ ნაწარმთან ერთად სამარხებში ბრინჯაოს და ოქროს ნაკეთობებსაც ატანდნენ. ყორღანები ძირითადად ჯგუფებად ერთი ან რამდენიმე მოზრდილი ყორღანის გარშემო მომცრო ან წვრილი ყორღანებია განლაგებული. ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებული ყორღანების უმრავლესობა გამარცვულია სხვადასხვა დროს, ზოგიერთი მათგანი არქეოლოგების ან შავი არქეოლოგების მიერაა ბოლო ხანებში გახსნილი. ჯავახეთში ბევრგანაა დაფიქსირებული შუა საუკუნეების პერიოდის ქვაყუთებიც.

ჯავახეთი ქვის ცხვარ-ვერძების და ცხენების ერთ-ერთი მძლავრი კერაა მთელს საქართველოში. აქ, ფაქტობრივად, ყველა სოფელში, თუ ნასოფლარზე, ეკლესიის თუ ნაეკლესიარის გალავანში აუცილებლად შეგხვდებით მათი ნაშთები. მიუხედავად იმისა, რომ უყურადღებობის გამო მსგავსი საფლავის ქვების დიდი ნაწილი ან დაზიანდა, ან საერთოდ დაიკარგა, ბევრი მათგანი დედაქალაქში ან მეზობელ რესპუბლიკებში მოურიდებლად გაზიდეს. საფლავის ქვებად დამზადებული ცხვარ-ვერძის

და ცხენების ფორმის ეს ქანდაკებები და აგრეთვე მოზრდილ ლოდებზე მიცვალეზულის პროფესიული, თუ ყოფითი საქმიანობის ან დამსახურების შესაბამისად ამოკვეთილია და გამოქანდაკებულია მისი შრომითი თუ საბრძოლო იარაღები, ნიშნები და ფიგურები: გუთანნი, ჩაქუჩი, კომზალი, ნაბადი, დოქი, ფიალა, ხურჯინი, ხმალი, ხანჯალი, მშვილდი, ისარი, ნემსი ძაფი, საცერი, მუსიკალური ინსტრუმენტი და სხვა.



ჯავახურ სასაფლაოებზე დღემდე შემორჩენილი ზოგჯერ ძალიან სოლიდური ზომის ეს ქვის ცხვარ-ვერძების და ცხენების ქანდაკებები გენეტიკურად ყველაზე ახლოს არიან საერთო მესხურ და თრიალეთურ ანალოგებთან. ბევრი მათანი ძალიან დახვეწილი ფორმებითაც გამოირჩევა. ისინი ქართული ხალხური ხელოვნების იშვიათი მეგალითური ძეგლებია და უფრო მეტი ყურადღების და კვლევის ღირსია.



ქვაყრილებში და კარკნალებში იმდროინდელი ადამიანები არა მხოლოდ ციხესიმაგრეებს და სარიტუალო ნაგებობებს ან ყორღნულ სამარხებს აგებდნენ, არამედ საცხოვრებელსაც იშენებდნენ. ნიალის ველზე დუმეილის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ყორღანული ნაგებობების კომპლექსი ან ყორღანული სამარხების პანთეონია, ან მეგალითური საცხოვრებელი კომპლექსი, ყორღანული სოფელი, რომელშიც სენაკები ყორღანული ნაგებობის მსგავსადაა აშენებული. შესასვლელი ყველას აღმოსავლეთიდან აქვს დატანებული და ყველა მათგანი ერთმანეთთან გვირაბების ქსელით, დარნებითაა დაკავშირებული.



ჩვენი აზრით, ამ ქვაყრილზე თავიდან ყორღანული სამარხების პანთეონი უნდა არსებულიყო, რომელიც შემდგომ ძნელბედობის ჟამს სხვა ეპოქაში მზამზარეული სათავსოები მოსახლეობამ სამალავებად გადააკეთა, დარნებით ერთმანეთთან დააკავშირა და შეიძლება ხანგრძლივად საცხოვრებლადაც კი გამოიყენა. როგორც არ უნდა იყოს, დუმეილის „ყორღანული სოფელი“ თავისი ფორმით ალბათ ერთ-ერთი უნიკალური ობიექტია არა მარტო საქართველოში და ამიერკავკასიაში.

მეგალითურ სოფლებში თუ ციხე-ქალაქებში იმდროინდელი მამულებითაც პატარა თუ მცირე და შედარებით დიდი სენაკები ზემოდან ბრტყელი ქვებითვე იყო უმეტესად მერცხლისბუდურად გადახურული, რაც იმის მაუწყებელია, რომ ქვის ხანიდან მოყოლებული სამხრეთ საქართველოში საცხოვრისების ასეთი გვირგვინისებური, „მერცხლისბუდური“ გადახურვა უკვე გამოიყენებოდა. ეს კი მდიდარი სამშენებლო კულტურის და ამ ტერიტორიაზე მკვიდრი ქართველის მუდმივად განსახლების მაჩვენებლადაც შეიძლება ჩაითვალოს.



ჯავახური მიწურები ცალკე ფენომენია. ისინი ბოლომდე მეგალითური „ტექნოლოგიებით“ და პრინციპებით იყო ნაგები და ეს წესი გასული საუკუნის სამოციან წლებამდე არ დარღვეულა, მაგრამ, ვინაიდან მათ ყველა ღირსებას აქარ განვიხილავთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ გარდა სხვა ბევრისა მათ თავდაცვითი დანიშნულებაც ჰქონდათ. სოფლებში გვარების დაახლოების მიხედვით იყვნენ ძირითადად დასახლებულნი დამთელი

სოფლის ან უბნის მიწურები ისე იყო ერთიმეორეზე მიჯრით მიშენებული, რომ ბანები ერთმანეთზე იყო გადაბმული და ღამით, მითუმეტეს დიდთოვლიან ზამთარში უცხო მტრისთვის მთლად შეუმჩნეველი ხდებოდა. ადრეულ პერიოდში სახლები ერთმანეთთან დოლაბებით (სპეციალურად გამოჭრილი სასიგნალო, საკომუნიკაციო საძრომებით) იყვნენ დაკავშირებულნი. დოლაბები ჩაკეტილი იყო და მხოლოდ მტრის შემოსევის ან სახვა სახის საგანგაშო სიტუაციის შემთხვევაში იხსნებოდა. გამოდის, რომ ჯერ კიდევ მაშინ, თავისებური „ფიჭური კავშირგაბმულობა“ არსებობდა. სახლებიც და მთელი უბნებიც ერთმანეთთან დამატებით მიწისქვეშა დარნების ქსელით იყვნენ დაკავშირებულნი.

დარანი არის „კლდეში, ანუ მიწას ქვეშ შესასვლელი. დარანად ითქმის სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად“. დარნებით, ფაქტობრივად, მესხეთის ყველა სოფლის მიწისქვეშეთი იყო დაქსელილი, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ნასოფლარებზე რაც მიწის ზემოთ მოჩანს, იმაზე მეტი მიწისქვეშაა.



ვარდიციხის დარანში ჩასასვლელი

დარანი წარმოადგენს ლოდებით ამოყვანილ, ქვის სქელი ფილებით გადახურულ მშრალად ნაგები გვირაბების სისტემას, რომელიც შედგება დახლართული გასასვლელ-გამოსასვლელებისა და სხვადასხვა ზომის სათავსოებისგან. დარნების ამოშენება ყოველთვის არ ხდებოდა. ხშირად, თუ ბუნებრივი ქანები ამის საშუალებას იძლეოდა, უბრალოდ ხდებოდა გვირაბების და სათავსოების გამოთხრა. გვხვდება მხოლოდ მიწაში

გამოთხრილი დარნებიც. ყველა დარანს ბევრი განშტოება ჰქონდა, ერთი ტოტი აუცილებლად წყალთან, მეორე ეკლესიასთან (ზოგჯერ სალოცავები დარნებშივე იყო მოწყობილი) ერთი ტოტი აუცილებლად ციხე-კოშკთან ან ციხესთან, სხვა გზასთან, საბძელთან, ხაროსთან, სახლთან და ყველანაირ აუცილებელ ნაგებობასთან და ადგილთან მიდიოდა, რომელიც მტრის შემოსევის შემთხვევაში აუცილებელი იყო ხანგრძლივად საარსებოდ და თავის გადასარჩენად. მტრის შემოსვლისას ისედაც სანახევროდ მიწურებში მცხოვრები სოფლის მოსახლეობა დარნებში იხიზნებოდა. პირველ რიგში ბავშვებს, მოხუცებს და ქალებს გახიზნავდნენ, მერე საჭიროების შემთხვევაში დანარჩენი მოსახლეობაც იხიზნებოდა. კარგად გამართული დარნების ქსელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასეთ ფარულ მდგომარეობაში ცხოვრების საშუალებას იძლეოდა. დარნები საჭაეროებით და წყლის რეზერვუარებითაც იყო აღჭურვილი. ყველა დარანის შესასვლელი და გამოსასვლელი ფარულ ადგილებში იყო მოწყობილი და ვებერთელა გამოთლილი ლოდების კარებით იკეტებოდა. დარნების ქსელი სოფლიდან სოფელში, ციხიდან ციხემდე, მდინარემდე, ტყემდე და გზებამდე მიდიოდა და ხშირად მათი სიგრძე ათობითი კილომეტრიც კი იყო. დარნების მეშვეობით მოსახლეობის გახიზვნასთან ერთად მტრის ფარული თვალთვალი, მათზე მალული თავდასხმები და შევიწროებაც ხდებოდა. ასე რომ, დარნების ქსელით უზრუნველყოფილი მესხეთის სოფლები ციხე-სიმაგრეებთან ერთად მძლავრ თავდაცვით სისტემას ქმნიდა, რომელიც ყველა მხრიდან მოძალეული მტრებისგან განუწყვეტელი თავდასხმებისგან მოსახლეობის მაქსიმალურად თავდაცვას და გადარჩენას ემსახურებოდა. დარნების ყველაზე ინტენსიური გამოყენება ალბათ მე-17 საუკუნიდან, მესხეთში თურქების გაბატონების და აღვირაზსნილი ლეკიანობის დროს დაიწყო, მაგრამ მათი მანამდეც არსებობა უტყუარად დასტურდება. სამცხის და ჯავახეთის ბევრი სოფლის და ნასოფლარის ტერიტორიაზე დღესაც უამრავი დარანია შემორჩენილი (ჭობარეთი, ლებისი, გუნდი, ზედათმოგვი, ბერთაყანა, გელსუნდა, ძველი აწყვიტა, ოდისი, ხიზაბავრა, ვარდისციხე, კვარშა, დიკაშენი, გრიალი, მურჯი, სირქვა, სამსარი, მურჯახეთი, გორმაკე და სხვ.) ზოგიერთ მათგანში საკმაო სიღრმეზე ჩასვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხელოვნურად კლდეში ნაკვეთი სოფლები: ვანის ქვაბები, ანანაური, ჭაჭკარი, ოლოდა, სამსარი, და, რა თქმა უნდა, დიდებული ვარძია, რომელიც თავიდან მძლავრ თავდაცვით ციხე-ქალაქად იყო ჩაფიქრებული და მერესამონასტრო კომპლექსად გადაკეთდა. ჯავახეთში ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების ამ ერთიან კომპლექსებში უამრავი ხალხი ცხოვრობდა და მტრის განუწყვეტელი შემოსევების დროს საკმაოდ საიმედოდ თავს იცავდა და აფარებდა. არტაანის მტკვრის ხეობა მგელციხიდან ხერთვისამდე, ფაქტობრივად, მსგავსი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების კომპლექსებითაა დახუნძლული.

ოლოდას ქვაბნი



მეგალითური ნამოსახლარებით და ციხე-სიმაგრეებით მოფენილი ჯავახეთის ტერიტორიაზე მაინც ყველაზე თვალშისაცემი **მეგალითური ციხეებია**, რომლებშიც გამორჩეული უპირველეს ყოვლისა აბულის და შაორის მეგალითური კომპლექსებია.



ადგილზევე უხვად არსებული ტუფის ქვის მორენებისგან საკმაოდ დიდი ზომის, მეტწილად დაუმუშავებელი ლოდებისგან ნაშენი პატარა აბულის (ზ.დ. 2670მ) და შაორის (ზ.დ. 2752მ) გრანდიოზული მეგალითური კომპლექსები უნიკალური ძეგლებია, არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბითაც. ორივე მათგანს აქვს ციხის ფორმა, თავისი გალავნით, ციტადელით და დამცავი ქვაყრილებით. პერიმეტრს შიგნით, მათ შორის ციტადელშიც და გარეთაც პატარ-პატარა სენაკებია, რომლებიც წრიულად დაწყობილი ბრტყელი ფიქლებით არიან გადახურული. სენაკები ერთმანეთთან ვიწრო დარნებით

არის დაკავშირებული. შაორის ციხეზე დღემდე თითქმის სრულადაა შემორჩენილი უზარმაზარი ლოდებისგან მოფენილ ციტადელში შემავალი ტრიუმფალური ქვაფენილი, რომლის გაყოლებაზე რამდენიმე მენჭირია დაფიქსირებული. გასული საუკუნის დასაწყისში აქ ჯერ კიდევ არსებული ქართულწარწერიანი სტელა დაკარგულია. ეს ძვ. წ. III-IIათასწლეულით დათარიღებული ქვაფენილი ალბათ იმის დასტურია, რომ შაორის ციხე უფრო საკულტო-სარიტუალო დანიშნულებით გამოიყენებოდა.



შაორის მეგალთური ციხეზე ასასვლელი გზატკეცილი

პატარა აბულის ციხის სამხრეთ-დასავლეთით ცოტა ზემოთ, მცირე მთის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობს გამოფიტული ტუფ-კვარციტის კლდე, რომელიც აბულის ციხის მხრიდან პროფილში ისე ძალიან წააგავს ეგვიპტის სფინქსის პირამიდას, რომ ძნელია დაიჯერო, რომ ის მხოლოდ



ბუნების ქმნილებაა და ადამიანს მის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია. რა ვიცით, რომ აბულის მეგალითური ციხე ამ წარმართულ სალოცავთან სარიტუალოდ და სამლოცველოდ ასული ხალხის თავშესაფრად არ იყო ჩაფიქრებული და აგებული?

ძალიან საინტერესო, ნამდვილად მეგალითური კომპლექსი, რომელიც მთლიანად სანახევროდ დამუშავებული ვებერთელა ქვის ლოდებისგანაა მშრალი წყობით ნაშენი, გვაქვს ჯავახეთის ზეგანის ქვედა იარუსზე მდებარე სოფელ საროში. საროში ორი მეგალითური ციხე გვაქვს შუა საყდრის ციხე და ქვემო ციხე. მესამე ციხე-კომპი შუა საუკუნეების ქვითკირით ნაშენი სიმაგრეა. გარდა ამისა, ჯავახეთში კიდევ უამრავი დიდი თუ პატარა მეგალითური (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო სწორი იქნებოდა, ისინი ციკლოპური ციხეების სახელით მოგვეხსენიებინა, მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით საზოგადოება უფრო მეგალითური ციხეების სახელით მოიხსენიებს, მივდივართ კომპრომისზე) ციხეა: თორიის, გორმაკეს, მადას მთის, ელიას მთის, ფოკანის, განძანის, სათხის, ამირანის გორის, ხულგუმოს, მაჭატიის, ოლავერდის, მიმინეთის, მურჯის, ნაცარგორის, ვარდიციხის, ბალანთის, მოლითის, მოდეგის, აკარანთის, ტაბაწყურის, ზეოტის, ქადისხევის ოლდანის, ალასტანის გოკიოს, კალთუბანის, ვარევის, ოდეთის, წერაკუნტის, შადრევანთას, ცხეკნელის, გოჩას, ქილდის, არეშტის, დანკალის, კეთილეთის, ხორეშავანის, სამჭედლისის, ვანის, ბუზმარეთის, გუმბათის, თათალეთის, დუმეილის, ფანაქეთის, ვაშლობის, წყაროსთავის, კადალის, კარწახის, სულდის, ვაჩიანის ნიალისყურის და კიდევ ბევრი სხვა. მათი უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს. ბევრი მათგანი შუა საუკუნეებში ჯერ კიდევ გამოიყენებოდა თავდაცვითი დანიშნულებით და ნაწილობრივ გადაკეთებულია ეპოქის შესაბამისი მინაშენებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთ ნაგებობებს ხალხურ თქმულებებში კარკნალს, ლოდოვანს, დევების ციხეს, ამირანის გორას, ქაჯის ციხეს ეძახდნენ. XVI-XVII საუკუნეებიდან მესხეთში, მათ შორის ჯავახეთში, ირანის და ოსმალეთის მოძალების და ამ უკანასკნელის თანდათან ფეხმოკიდების შემდეგ ეთნიკურად და სარწმუნოებრივად ხელოვნურად შეცვლილმა მოსახლეობამ მაჰმადიანური კულტურის ზეგავლენით მიუვალი, მიუდგომელი ციხეები თურქული მოდგმის ხალხების ეპოსის გმირს **„ქოროღლს“** დაუკავშირა და ბევრ მათგანს **ქოროღლის მთა** და **ქოროღლის ციხე** შეარქვა. დღესაც თუ ჯავახეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში არზრუმიდან და ბაიზიდიდან გადმოსახლებული სომხებით დასახლებულ სოფლებში იკითხავთ, მათ სიახლოვეს მდებარე რომელიმე მეგალითური ციხისკენ მისასვლელ უმოკლეს გზას, თავიდან იბნევიან. თუ ეტყვი, რომ ქოროღლის ციხეს გულისხმობთ, უმალ მიგიხვდებიან და მიგასწავლიან. გამოდის, რომ ჯავახეთში სადაც კი მცირედი კარკნალი, ან თავშესაფარის მსგავსი ქვიანი ადგილია, ყველა მათგანს ჰგონია, ან

უხუცესებისგან გაგონილი აქვს, რომ ქოროლლი უთუოდ აქ აფარებდა თავს, რაც თავისებურად ეამაყებათ კიდეც. ჩვენი ისტორიკოსები და გეოგრაფებიც საკმაოდ სცოდავენ და მათი კარნახით და რუსულ-თურქული ადრინდელი რუკების გამოყენებით ეს ადგილები თანამედროვე ქართულ ტოპოგრაფიულ რუკებზეც ქოროლლის სახელით აქვთ დატანილი, რაც, ცხადია, არასწორია. მაშინ, როცა ბევრი მათგანის ძველი ქართული სახელი ისედაც ცნობილია, ზოგიერთის სახელის დადგენა კი სურვილის შემთხვევაში ნამდვილად შესაძლებელია.

ასეთი ვრცელი მიმოხილვის შემდეგაც კი ჩვენ მთლიანად მაინც ვერ ამოვწურავთ ჯავახეთში გავრცელებული მეგალითური კულტურის მემკვიდრეობით მიღებული ძეგლების თუნდაც სახეობების სრულად ჩამოთვლას, არა თუ მათ სათითაოდ დახასიათებას. თუ გავითალისწინებთ იმასაც, რომ მეგალითურ ყოფაში ცხოვრება ჯავახეთში გასული საუკუნის სამოციან წლებამდე გაგრძელდა და მანამდე ჯერ კიდეც შენდებოდა და გამოიყენებოდა წმინდა მეგალითური ოდა-სახლები, ქოხები, გომურები, საბძლები, ტერასები, ოროკოები, ბაქნები, ქერის ორმოები, ა.შ. მაშინ გასაგები გახდება, რატომ გვიწევს მათ შორის მხოლოდ უმნიშვნელოვანესების გამოყოფა და განხილვა.

მთლიანად საქართველოში და, კერძოდ, ჯავახეთში გავრცელებული მეგალითური ძეგლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალფეროვნად წარმოდგენილი მაინც **მეგალითური თავდაცვითი სიმაგრეებია**, რომლებიც ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო **ციკლოპური ფორტიფიკაციების** სახელითაა მოხსენიებული. ამ ტიპის ნაგებობანი ძირითადად გავრცელებულია მცირე კავკასიონის მთათა სისტემის ხეობებსა და ტაფობებში, ზოგან ტაფობებზე და ზეგნებზე. მიკრორეგიონებად მცხოვრები მოსახლეობა, რომლებიც ბუნებრივი ზღუდეებით, მდინარეებით, ხევებითა და ქედებით ისედაც საკმაოდ იყო დაცული, მიმდებარე გორებზე, მთათა ტაფობებზე და ზეგანზე ამომართულ გორებზე დამატებით აგებდა ციკლოპურ კომპლექსებს რეგიონში შემოსასვლელი და გასასვლელი გზების გასაკონტროლებლად. ასეთი ბუნებრივი ზღუდეებისა და ადამიანის მიერ შექმნილი ფორტიფიკაციების ერთობა ქმნიდა თავდაცვით სისტემას, რომელიც ემსახურებოდა კონკრეტული რეგიონის დაცვას. „ასეთი ბუნებრივი და ხელოვნური ზღუდეების შეხამებით მიღებული კომპლექსები, ჩემი აზრით, წარმოადგენდა „ლოკალურ რეგიონებს“, რომელთა ტერიტორიას, შესაძლოა, მოიცავდა ურარტული პერიოდის ქვეყნები“ (ნარიმანიშვილი 2019, 5) ურარტული წყაროებიდან ცნობილია, რომ გვიანბრინჯაო-რკინის ხანის პერიოდის სამხრეთ კავკასიაში არსებობდნენ დიდი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც აერთიანებდნენ მათ გარშემო არსებულ, შედარებით მცირე ქვეყნებსა და ტომებს. თვით ურარტუც მრავალი მცირე პოლიტიკური ერთეულისგან შემდგარი სახელმწიფო იყო (Меликишвили 1954, 190). ასეთივე

პოლიტიკური გაერთიანება იყო დაიანენი/დიაუხი (Меликишвили 1954, 252), ეთიუნი (Меликишვილი 1954, 57) დ. ნარიმანიშვილის აზრით, ასურულ და ურარტულ ეპოქაში, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებული ქვეყნები, მდებარეობდნენ „ლოკალურ არეალებში“, ანუ ტაფობებში ან ზეგნებზე, რომლებიც მთებით, ხევებით, მდინარეებით, ტბებით ან ნებისმიერი სხვა ბუნებრივი წარმონაქმნებით არიან დაცულნი. თითოეული „ლოკალური არეალის“ ტერიტორიაზე, გვხვდება ქრონოლოგიურად დასტრუქტურულად ერთგვაროვანი, ციკლოპური გალავნით გამაგრებული დასახლებები. ისინი ქედებზე, ბუნებრივ გორებზე, მთის წვერზე და ფერდობებზე, ტბების და ხევების ნაპირებზე, კონცხებზე, მდინარეთა შესართავებში და გაშლილ მინდვრებზე არიან განლაგებულნი. ლოკალური არეალების დამაკავშირებელი გზები, უმეტეს შემთხვევაში, კონტროლირდებოდა ციკლოპური ციხეებით, ან საგუმბაგოებით. იქვე აღნიშნავს, რომ ლოკალური არეალისთვის დამახასიათებელია ერთი ცენტრალური, ვრცელი დასახლების არსებობა, რომლის სიახლოვეს დასტურდება შედარებით მცირე დასახლებები; ყველა შემთხვევაში დასახლებებს ციკლოპური გალავანი აქვთ გარშემორტყმული, რომელსაც დამატებითი ფორტიფიკაციის სახით გააჩნია კონტრფორსები, ქვამიწაყრილიანი ზღუდეები და თხრილები. ამგვარ არეალებს აუცილებლად გააჩნიათ რაიმე საარსებო რესურსი - ტბა, მდინარე, მინდორი და სხვ (ნარიმანიშვილი 2019, 35). აქვე ავტორს მოცემული აქვს ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული მიკროარეალების ჩამონათვალი, მათი ცალკე-ცალკე აღწერილობით. ესენია:

ნაწილობრივ **ჩილდირის „ლოკალური არეალი“** - „მაღინის ჰევი“, ურარტული ქვეყანა **იგანი**. ჩრდილის ტბის შემოგარენი, ყარსიდან-ნიალისყურის ქედამდე, ფოსო- ჩულურეთის ტაფობის ჩათვლით;

კარწახის „ლოკალური არეალი“ - ფოსო-ურარტული ქვეყანა **ფუსუნია**; კარწახის ტბის შემოგარენი, ვახუშტისეული „ფოსო ანუ ჩულურეთის“ მხარე. ავტორი მის ლოკალიზებას ახდენს ნიალისყურის ქედის ჩრდილოეთიდან, წყაროსთავ-კადალას (კოდალას - კ.მ) ხევი, ხავეთი, სულდის მთის არეალში. ქალაქ **ცუდალას** - **სულდასთან** აიგივებს, ხოლო **ალკანას**- კარწახიდან სულდისკენ მიმავალ გზაზე არსებულ ნამოსახლართან.

ხანჩალის „ლოკალური არეალი“ - **ხენჭური**. ხანჩალის, (ხენჭური-ხანჯალის) და მადათაფას (მადას) ტბის მიდამოები, ცენტრით ელიას მთის მეგალითური გორა-ნამოსახლარი. საზღვრები ბასიანის, კავკასიონის, აბულ-სამსრის და ჯავახეთის ქედები.

ნიალის „ლოკალური არეალი“- აქ ავტორი მთლიანად იზიარებს ამ არეალის დ. ბერძენიშვილისეულ ლოკალიზაციას. მტკვრის მარცხენა სანაპიროს მაღალმთიან პლატოზე მდებარე მიკროქვეყანა, შემოსაზღვრული სამხრეთ-აღმოსავლეთიდან არტაანის მტკვრით,

ჩრდილოეთიდან ბუზმარეთის მთებით, დასავლეთიდან კასრის სერისა

და გუმბათის მთებით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან ქარზამეთის, ანუ ხინგირის წყლის აუზით.

ბუზმარეთის „ლოკალური არეალი“ დ. ბერძენიშვილის მიერ ლოკალიზებულია ნიალის ჩრდილოეთით, ბუზმარეთის ტაფობის შემოგარენში, ის შემოზღუდული იყო თავთავას, ვანის, გელენის, ინჯის, დიგრასა და სათოვლოს მთებით. ამ მიკროქვეყნის ცენტრად, დ. ბერძენიშვილს მიაჩნია ბუზმარეთი, რომელიც მოგვიანებით სამ სოფელს ერქვა. (ბერძენიშვილი 1975, 94). ბუზმარეთის „ლოკალური არეალის“ ცენტრად დ. ნარიმანიშვილს სოფ. ვანის სიახლოვეს მდებარე, ვრცელი ციკლოპური სიმაგრე მიაჩნია. ბუზმარეთის ჩრდილოეთის საზღვარს, ზიარათის მთასთან ატარებს, საიდანაც შესაძლებელია ჯავახეთის ზეგანის დიდი ნაწილის ვიზუალური კონტროლი.

აბულის ლოკალური არეალი; ურარტული ქვეყანა **აფუნი**. აბულის-აფუნთან იგივეობის თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის რომის იმპერატორის საგზაო რუკაზე- Tabula Peutingeriana-ზე (Ерemiah 1939, 91; ბერძენიშვილი 1985, 85; ნარიმანიშვილი და სხვ. 2018, 254). სომხეთის ქალაქ არტაშატიდან -სებასტოპოლისისკენ (სოხუმისკენ) მიმავალ გზაზე, მონიშნული ექვსი პუნქტიდან სამი ერთმანეთის მიყოლებით აღნიშნული Pagas, Apulum და Caspiae (Miller 1887, XI). სახელები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან უკვე იდენტიფიცირდება ჯავახეთის სამ სოფელთან: Pagas-ფოკა, Apulum-აბული, Caspiae-ხოსპია (Tomaschek 1899, 1654).

დ. ნარიმანიშვილი ახალქალაქის მიდამოებში გამოყოფს **სამხრეთის და ჩრდილოეთის არეალს**. ჩრდილოეთის არეალს პირობითად „ტაბაწყურის ლოკალურ არეალს“ არქმევს, მაგრამ მას არ განიხილავს. სამაგიეროდ დაწვრილებით აღწერს მის მიერ კარგად შესწავლილ **ზაბახას და ხენჭურის ჩრდილოეთით გამოკვლეულ აბულის ლოკალურ არეალს**, რომლის ლოკალიზაციას ახდენს აბულ-სამსრის ქედის ირგვლივ, თავფარავნის, სადამოს, ავჭალის და ლევანის ტბების აუზებში. მისი საზღვრები განსაზღვრული აქვს ხულგუმოს, მაჭატიას, ოლავერდის ქოროს (ქოროდლის), შაორის, ჭიქიანის, გულთოვლას და აღრიკარის მთების პერიმეტრზე. სამხრეთიდან საზღვარი გადიოდა სადამოს ტბის სამხრეთი მთებიდან-ამირანის გორამდე. სწორედ აბულის ლოკალურ არეალშია დაფიქსირებული ყველაზე მეტი ციკლოპური თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობა, მენჰირი და, რაც მთავარია, აბულის და შაორის ციკლოპური ციხეები.

„ლოკალური არეალი“ ახალქალაქის სამხრეთ-დასავლეთით არსებულ ზეგანზე — „ზაბახას ქვეყანა“. ჯავახეთისთვის ამ ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ლოკალური არეალის საკითხს ქვემოთ ცოტა შორიდან და ვრცლად შევეხებით.

ათასწლეულების შემდეგ ასეთი მიკრორეგიონების სახით წარმოდგენილი პატარ-პატარა ქვეყნების საზღვრების დადგენა, ცხადია, ძალიან რთული საქმეა. დ. ნარიმანიშვილი ურარტული და სამეცნიერო წყაროების გულმოდგინე ანალიზით და ზემოთ მის მიერ დადგენილ ლოკალურ არეალებთან მისადაგებით მაინც ცდილობს ურარტულ წარწერებში მოხსენიებული, სავარაუდოდ, ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე მდებარე პრეისტორიული „ქვეყნების“ **ზაბახას, სირიმუტარას, ა(ფ/ზ)უნის და ფუსუნის** ლოკალიზაციას. **ქვეყანა ზაბახა** ურარტულ წყაროებში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები: „*იმავე წელს შევკრიბე მეომრები და გავილაშქრე დიაუხის ქვეყანაზე. დიაუხის მეფე მეფედ დავსვი. დავიპყარი მე ქვეყანა შერიაზი; ქალაქები დავწვი, ციხე-სიმაგრეები დავანგრეე; მივედი ქალაქ ფუთემდე. მარცხნივ ქვეყანა ბიანი, ქვეყანა ხუშანი. მარჯვნივ შევიწყალე მე ქვეყანა თარიუნი. გავილაშქრე მე ქვეყანა ზაბახას წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახა. მივედი მე ქალაქ უზინაბითარნამდე, ქვეყანა სირიმუტარამდე, მთიან ქვეყანამდე. მარჯვნივ ქვეყანა იგანის ქალაქი მაკალტუნი მე შევიწყალე. წავედი მე ქვეყანა ერიახიზე, გავილაშქრე ქვეყანა აფუნის წინააღმდეგ, დავიპყარი მე ქალაქი ურიეიუნი, უეტერუხის სამეფო ქალაქი. ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით, სძლია მან აბილიანეხის, ქვეყანას, ანიშთირგაეს ქვეყანას, კუარზანისა და ულთუზას ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდის სიდიადით გაემართა სალაშქროდ არგიშთი მენუას ძე. წინ უძლოდა მას ღმერთი ხალდი. არგიშთი ამბობს: დავიპყარი მე ეთიუნის ქვეყანა, მივედი მე [...] ქვეყანამდე, უდურიეთიუხიმდე“.*

არგიშთი I, „ხორხორის მატიანე“ (Меликишвили 1960, 212; Арутюнян 2001, 156; გორდეზიანი 2012, 95),

ამ და ქვემოთ მოყვანილ კიდევ რამოდენიმე ურარტულ წყაროზე დაყრდნობით გიორგი მელიქიშვილი თვლის, რომ ზაბახას დასახელება შემორჩენილია ჯავახეთის სახელწოდებაში, ხოლო მისი, როგორც ქვეყნის, ლოკალიზებას ახდენს დიაუხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩილდირის ტბის დასავლეთით, ან სამხრეთ-დასავლეთით. იმავე მკვლევარის მიერ 1959 წელს გამოცემულ ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **ქვეყანა ზაბახა**, შესაძლოა, ვრცელდებოდა დღევანდელი ქალაქ ახალქალაქიდან სამხრეთით, ჩილდირის ტბამდე (Меликишвили 1959, 177). ამ მოსაზრებას ნაწილობრივ იზიარებს შოთა ასათიანი, კიდევ უფრო ავრცობს ზაბახას ტერიტორიას და თვლის, რომ ქ. ახალქალაქიდან დასავლეთით იგი განფენილი იყო მტკვრის მარცხენა სანაპიროზეც, ნიალისა და ბუზმარეთის ლოკალური არეალების ტერიტორიაზე; აღმოსავლეთით კი ქ. ახალქალაქიდან საღამოს ტბამდე (ასათიანი 1992, რუკა).

ურარტური წყაროებიდან ზემოთ მოყვანილი და კიდევ ამ ორი ციტატის: „*სარდური ამბობს. როდესაც მე ქვეყანა ეთიუნისკენ გავემართე,*

ქვეყანა ერიახის მხარე მე დავინდე, მარცხნივ ქვეყანა ქურიანი; გავილაშქრე მე იგანის ქვეყანაზე. ღმერთმა ხალდომ გაილაშქრა თავისი იარაღით, დაამარცხა მან კაფუნი, ქვეყანა იგანის მეფე. გაილაშქრა სარდურიმ. სარდური ამბობს: 35 ციხე-სიმაგრე და 200 ქალაქი მე დავიპყარი; ციხე-სიმაგრეები დავანგრე, ქალაქები გადავწვი, ქვეყანა გავალატაკე, კაცები და ქალები მე იქიდან წავიყვანე ჩემს ქვეყანა ბიანილიში. სარდური ამბობს: იმავე ლაშქრობისას მე დავლაშქრე ქვეყანა ფუსუნია, ქალაქი ალკანია, ქალაქი ცუდალა. ციხეები დავანგრე. ქალაქები გადავწვი, ქვეყანა გავალატაკე. დაბრუნებისას გავილაშქრე მე ქვეყანა ერიახიზე; ქალაქები გადავწვი, კაცები და ქალები იქიდან წავიყვანე. აქედან მე მოვბრუნდი და გავილაშქრე იშტელუანის ქვეყანაზე, კადიანის ქვეყანაზე, აფუნის ქვეყანაზე, აბილიანეხიზე. სარდური ამბობს: ჯარი მე დავითხოვე, არცერთი ქვეყნის გამგებელი არ იყო მოხმობილი. და მხოლოდ ერთი რაზმით გავილაშქრე მე ქვეყანა უელიკუნზე. დავიპყარი მე ქვეყანა უელიკუნი სარდური II“ (Меликишвили 1960, 286-287; Арутюнян 2001, 244; გორდეზიანი 2012, 108-109)

და მეორე: „ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით, დაამარცხა მან ქვეყანა ეთიუნი, დასცა ის არგიშთის წინაშე. არგიშთი ამბობს: მეფეები, რომლებიც მოვიდნენ დიაუხის მეფის დასახმარებლად მე დავამარცხე. ერთ წელიწადში დავიპყარი მე ქვეყანა ლუშა, ქვეყანა კათარზა, ქვეყანა ერიახი, ქვეყანა გულუთახი, დავიპყარი მე ქვეყანა უიტერუხი. მივედი მე ქვეყანა აფუნიმდე. ლუშას ქვეყნის მეფე მე დავასაჭურისე, ქვეყანა იგანის მეფე კი დავიმორჩილე, დავტოვე ის თავის ადგილზე, მან მეფე არგიშტის ხარკი მისცა. არგიშთი I“ (Меликишвили 1960, 235; Арутюнян 2001, 187; გორდეზიანი 2012, 94-95), ვრცელი ანალიზის და 2019 წელს ჩატარებული სავლელე კვლევების შედეგების საფუძველზე მის მიერვე ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული და გამოყოფილი „ლოკალური არელების“ (ფოსოს; ხენჭურის, ნიალის, ბუზმარეთის, აბულის, ახალქალაქის ზეგანის) მიხედვით დ. ნარიმანიშვილი გვთავაზობს ზაბახას ქვეყნის ახლებურ ლოკალიზაციას და ცდილობს, დაადგინოს მისი სავარაუდო პირვანდელი საზღვრებიც.

მისი განმარტებით, ზაბახას „ლოკალური არეალი“ მდებარეობს ფოსოს ჩრდილოეთით (უნდა ეწეროს ჩრილო აღმოსავლეთით, კ.მ.), ხენჭურის ჩრდილო-დასავლეთით (უნდა ეწეროს ჩრდილოეთით კ.მ) ნიალის და ბუზმარეთის აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მაღალ პლატოზე, მისი აზრით.



ამირანის გორა ჯავახეთის ზეგანის შავულში

აღნიშნული არეალი ჩრდილოეთის მხრიდან დაცულია მდ. ფარავნის ღრმა ხეობით. ზაბახას არეალის აღმოსავლეთი საზღვარი, სავარაუდოდ, მიუყვებოდა მდ. ფარავანის დინების საპირისპიროდ, დღევანდელ სოფ. ყულალისამდე. სამხრეთ-აღმოსავლეთით (უნდა ეწეროს სამხრეთ-დასავლეთით კ.მ), ის, როგორც ჩანს, ისაზღვრებოდა ყულალისის სამხრეთ-დასავლეთით არსებული მთებით, სამხრეთით კი, ფოსოს ჩრდილოეთი საზღვრით - კადალას ხეობით და მთა სულდით. მტკვრის ხეობის გაყოლებაზე, მის მარჯვენა სანაპიროზე, მას ათზე მეტი ციკლოპური სიმაგრე აქვს გამოვლენილი, ხოლო ფარავნის ხეობაში, ხერთვის-ახალქალაქის მონაკვეთზე, მის მარცხენა სანაპიროზე, ექვსი ერთეული. ყველა სიმაგრე ზეგანის ნაპირზეაო განლაგებული, ამიტომ მიაჩნია, რომ ისინი ამ ადგილებში არსებულ ამოსასვლელებს აკონტროლებდნენ და უზრუნველყოფდნენ ლოკალური არეალის უსაფრთხოებას. „ზაბახას ქვეყნის“ ლოკალური არეალის ცენტრი ახალქალაქის ამირანის გორა უნდა ყოფილიყო, თუმცა, ამ არეალის ტერიტორიაზე, ვრცელი დასახლება შეიმჩნევა ასევე სოფ. ოკამის აღმოსავლეთით არსებულ „წითელ გორაზე“ საინტერესო ციკლოპური კომპლექსი მდებარეობს სოფ. ოკამის ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც, მისი აზრით, საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო“ (ნარიმანიშვილი 2019, 44). ამ მსჯელობიდან ირკვევა, რომ ავტორი ცდილობს, ისტორიული ზაბახას ტერიტორია მთლიანად მოაქციოს ორი, არტაანისა და ჯავახეთის მტკვარით შემოსაზღვრულ დელტაში, კოდალას ხევიდან ხერთვისამდე

და ხერთვისიდან დღევანდელ სოფელ ყულალისამდე (უფრო სწორი იქნებოდა - კარნეთამდე), რაც, ჩვენი აზრით ძალიან ხელოვნურია და ვინ იცის, ვახუშტის მიერ საქართველოს გეოგრაფიაში რამდენჯერმე ნახმარი დამაბნეველი ტერმინის „ხერთვის ზეითითაცა“ პროვოცირებული. მის მიერ მდინარე თავფარავანის მარცხენა ნაპირზე, ქარაფების თავზე რამდენიმე გზის ჩამკეტ-მაკონტროლებელი მეგალითია დაფიქსირებული, მაგრამ არანაკლები ფორტიფიკაცია მარჯვენა ნაპირზეც, რომლებიც მდინარის ორივე მხარეს აშკარად ერთი და იმავე კომპლექსის შემადგენელი ობიექტების შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომ მათი გამოიჯვნა და მითუმეტეს სხვადასხვა „ქვეყნებისთვის“ მიკუთვება არ მიგვაჩნია სწორად. საერთოდ, იმ დროსაც და შემდგომაც ქვეყნებს (თუნდაც იმდროინდელ) შორის საზღვრების გავლება მდინარეებზე ძალიან სარისკო და საკამათო საქმეა. მითუმეტეს, ჯავახეთის ზეგანზე, მით უფრო ახალქალაქის პლატოზე, ამიტომ საკმაოდ კარგად ვიცნობთ რა ჯავახეთის ზეგანს და მის ჩრდილოეთ ნაწილში ვიდრე თრიალეთის ქედამდე და ტაბაწყურამდე არსებულ მნიშვნელოვან ციკლოპურ სიმაგრეებს და გორა-ნამოსახლარებს, ვთვლით, რომ ზაბახა მაშინაც კი იყო ერთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული სივრცე, ერთიანი საკმაოდ ვრცელი და „ცენტრალიზებული ქვეყანა“, რომლის საზღვრები ამ ორი მდინარის (არტანის და ჯავახეთის მტკვრის) ორივე მხარეს ვრცელდებოდა. სწორია დ. ნარიმანიშვილი, როდესაც ამბობს, რომ „ზაბახას ქვეყნის“ ლოკალური არეალი, ფაქტობრივად, ისტორიული ჯავახეთის ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა. შესაძლოა, ურარტული პერიოდის ქვეყნის დასახელება - ზაბახ-ჯავახი, შემდგომ პერიოდებში გადავიდა მის გარშემო არსებულ ტერიტორიაზე. ცენტრალური დასახლების სახელის გადასვლის მაგალითი მის გარშემო არსებულ „ქვეყანაზე“, ან მიკროქვეყანაზე“, არაერთხელ აქვს განხილული დ. ბერძენიშვილს (ბერძენიშვილი 1975, 1985). შესაძლოა, ამ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ფართო მასშტაბებთან, როცა გარკვეული ვრცელი რეგიონის ცენტრალური ქვეყნის თუ ტომის გაძლიერების შემდეგ, მისი ტოპონიმი ან ეთნონიმი გავრცელდა გარშემო არსებულ ტერიტორიებზე. ზაბახა-ჯავახეთის გაძლიერება გვიანდელ პერიოდში, შესაძლოა, მის ტერიტორიაზე გამავალი პოლიტიკური მნიშვნელობის უძველესი გზების არსებობით აიხსნას. სოფ. მურჯახეთში მდებარე სამი მენჰირი ადასტურებს აქ მნიშვნელოვანი უძველესი გზის არსებობას“ (ნარიმანიშვილი 2019, 44)

ყოველივე ზემოთ თქმულის თაობაზე ვიტყვით, რომ, ჩვენი აზრით, ზაბახა-ჯავახეთის ლოკალიზაცია სწორია, მაგრამ მისი საზღვრების თაობაზე რეალობასთან მიახლოებული ნაწილობრივ მელიქიშვილის, უფრო მეტად შოთა ასათიანის მოსაზრებაა. ანუ ის იმთავითვე მოიცავდა თითქმის მთელი ჯავახეთის ზეგანს ხენჭური, ფოსოს ჩათვლით, ჩრდილის ტბამდე და ნიალა-ბუზმარეთის მიკრორეგიონებს.

აბული აპულუსის ლოკალური არეალი მაშინ შეიძლება მართლაც შედარებით უფრო დაცული მეზობელი „ქვეყანა“ იყო, მაგრამ თავიანთი მომიჯნავე ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის და აქ გამავალი ინტენსიური სავაჭრო-საქარავენე გზების გამო ისინი ისე განვითარდნენ, რომ მოხდა მათი თანდათანობითი ინტეგრაცია, ზაბახადან ნაწარმოები ჯავახეთის სახელით ცნობილ ერთ მთლიან რეგიონში, რომელიც შუა საუკუნეებში კიდევ უფრო გაფართოვდა და მის შემადგენლობაში კოლა-არტაანი და შავშეთის ნაწილიც მოექცა. ამრიგად, ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორების შედეგად ასე ლოგიკურად ჩამოყალიბდა **ისტორიული ჯავახეთის საზღვრები თავფარავნის ტბიდან - მტკვრის სათავეებამდე, შალოშეთი-ბუზმარეთის ქედიდან - ჯავახეთის ქედამდე.**

ჩვენ აქ არ გვაქვს საშუალება, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ურარტული წარწერების ქვეყნების ლოკალიზაცია. ამ საკითხს მომავალში აუცილებლად დავუბრუნდებით. ამ საკითხზე დ. ნარიმანიშვილს ისედაც ბევრი საყურადღებო მიგნება და დასკვნა აქვს გაკეთებული, მაგრამ ცალსახად მისი მოსაზრებების გაზიარება მაინც ძნელია. ვფიქრობთ, რიგი მოსაზრებებით უფრო მიზანშეწონილია, ჯავახეთში მათაა ტაფობებზე, გორებზე, ზეგანზე და ქედებზე დღემდე შემორჩენილი ციკლოპური საფორთიფიკაციო ნაგებობების, ნაშთების, მენჰირების, ყორღანების და რელიეფის ანალიზის შედეგად ისტორიული ჯავახეთის ტერიტორია პირობითად დაიყოს შემდეგ მიკრორეგიონებად:

-ამირანის გორის მიკრორეგიონი (ხოსპიოს, ბავრის, გულიკამის, კარტიკამის, ხულგუმოს, დილისკის, მურჯიკანის, ჩამძვრალას, მურჯახეთის, ვაჩიანის, კარნეთის, ალმალოს, დიკაშენის მეგალითებით);

-პემზიანი მთა-ოკამის მიკრორეგიონი („წითელი მთა“, ოკამის გორის, დიდი და მცირე ნატბურის, აზმანის, ქარცების, ბუზახევის, აფნია-გოგაშენის მეგალითებით);

-დანკალის მიკრორეგიონი (დანკალის, არემტის, კუმურდოს, დახვანდის, ქილდის, ზრესკის მეგალითები);



-წუნდა-თმოგვის მიკრორეგიონი (მარგასტნის, თმოგვის, კეთილეთის, ვანის ქვაბების, ბერისხევის, ალაგურის, გაღმა თმოგვის, თირუბის, ჭოლთის, წუნდის, ნაქალაქევის, ქილდის მეგალითებით);

-ხერთვისი-ტოლოშის მიკრორეგიონი (გელსუნდის, თაფლაკვერის, ხერთვისის, ხარეშავანის, ტოლოშის, უკანტოლოშის, იფნეთის, ქვაბისხევის, შადრევანთის, წერაკუნტის, ჯოლდის მეგალითებით);

-კვარშა-ნაისას მიკრორეგიონი (კვარშის, ალჯუის, ცხეკნელის, ნაისას, გოჩას, ხატისთავის, თოკის ბაღების, ნაზვრევის, მეგალითებით);

-ნიჯგორი-დადეშის მიკრორეგიონი (ნიჯგორის, აწყვიტის, როკეთის, დადეშის, ბნელის, ჩიხორიშის, ხიზაბავრის დარიჯების მეგალითებით);

-სარო-ხიზაბავრას მიკრორეგიონი (ჩიხორიშის, კოხტის, ობოლეთის, ხიზის, ხიზაბავრის, საროს მეგალითებით);

-კალთუბანი - აზავრეთი-თეთრობის მიკრორეგიონი (კალთუბნის, სანისლოს, ჭობარეთის, ალასტნის, ოლდანის, გოკიოს, კოროშეთის, ტაფობის მეგალითებით);

-თოკი-ხანდოს მიკრორეგიონი (თოკის, ვარგავის, ვარევენის, ხანდოს, გრიალის, გრიალი-ორჯუის შუას, ჩუნჩხის, პტენის მეგალითებით);

-ორჯუა-მაჭატიის მიკრორეგიონი (ორჯუის, არაგვის, კორხის, თოთხამის, მაჭატიის, სხალთის მეგალითებით);

-ვარდიციხე-მურჯის მიკრორეგიონი (ვარდიციხის, ცხიის, საყარაულოს, დიდი და პატარა მურჯის, მახვილა მთის, დაკიდულის, ბატიეთის, ზაკვის, დამპალტბის, არხაჯების მეგალითებით);

-ნაცარგორა-სირქვა-აგანას მიკრორეგიონი (ნაცარგორა, ამალღება, სირქვა, კაჭიო, მიმინეთი, აგანის, მიმინეთის, ფამფალოს, ქაჩალმთის მეგალითებით);

-ლადო-ჭერულის მიკრორეგიონი (აზავრეთის, ბურნაშეთის, ლადოს, ქადისხევის, ჭერულის, ქციის მეგალითებით);

-შავი კლდე-ცხრაწყარო-ქციის მიკრორეგიონი;

-ბოჟანოს მიკრორეგიონი (მოდეგის, ზეოტის, ზერეონის, კაჭიოს, ალათუბნის, წინუბნის, ალანთის, ბალანთის, ჯანჯლის, ლეკნარის, ბოჟანოს, აკარანთის);

-ტაბაწყურის მიკრორეგიონი (მოლითის, წმინდა ნინოს მთის, უკანა ხანდოს, ტაბაწყურის, ნარიანის, თავკვეთილის, საპიტიახშოს, შავნაბადის, არყნალის, ძველი კოთელიის, ხუმრისის მეგალითებით);

-ხიდიჯვარი-ღრტილა-პრტონის მიკრორეგიონი (ხიდიჯვრის, სათხილეს, მერენის, ღრტილის, მეღრეკის, პრტონის მეგალითებით);

-სამსრების მიკრორეგიონი (პატარა და დიდი სამსრის, ნავთლუღის, მამიშის, ბალხო- ბულაშენის უკანა გორების მეგალითებით);

-მიმინეთის მიკრორეგიონი (მიმინეთის, ბალხო, ქოროს და დეკიანი მთების მეგალითებით);

-გომანი-ოლავერდის მიკრორეგიონი (გომანის, დირყნალის; ოლავერდის მეგალითებით);

აზლარის შემოგარენი



-აზლარის მიკრორეგიონი;

-ბუზავეთის (ბზავეთის) მიკრორეგიონი (ბუზავეთის და ქარისციხის მეგალითებით);

-თორია - გორმაკეს მიკრორეგიონი (თორიის, ეშტიის, ტონთიოს, ჯიგრაშენის მეგალითებით);

- ჩრდილ-ნიალისყურის მიკრორეგიონი (ჩრდილის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის, ნიალისყურის სამხრეთ-დასვლეთი ფერდობების მეგალითებით);

-წყაროსთავის მიკრორეგიონი (ფოსოს მთის, წყაროსთავის, მგელციხის, ვაშლობის მეგალითებით);

-ხავეთის მიკრორეგიონი (ნაქალაქარის, კოდალას ხევის, მურაკვალის, ხავეთის, დაბნია-ერინჯის მეგალითებით);

-ოლოდას მიკრორეგიონი (ღართის, ოლოდების, ფანაქეთის, ჭოლეთის, არტახის მეგალითებით);

-ნიალის მიკრორეგიონი (დუმეილის, ლებისის, ზემო და ქვემო ნიალის, დიგრის, გავეთის მეგალითებით);

-ახჩია-კორისხევი- აგარის მიკრორეგიონი (ვერტაშის, მირაშხნის, ახჩიის, კორისხევის მეგალითებით);

-ჭაჭკარ-ვარძიის მიკრორეგიონი (ზემო და ქვემო ვარძიის, ბერთსაყუდელის, პინეტკრის, გიორგიწმინდის, დანიეთის მეგალითებით);

-ზედათმოგვი-ფიის მიკრორეგიონი;

-**ქარზამეთის მიკრორეგიონი** (ვარნეთის, კოტასის, თათაღეთის, ზიარეთის, ქარზამეთის, გუმბათის, კასრის ქედის მეგალითებით);

-**ვან-ზუზმარეთის მიკრორეგიონი** (ვანის, ორთავ ზუზმარეთის, შუადღის მეგალითებით);

-**გუნდი-სალოშეთის მიკრორეგიონი** (გუნდის, მჭედლისუბნის, კულუღეთის, შალოშეთის, ნადარბაზევის, ალანძიის მეგალითებით);

-**კარწახის მიკრორეგიონი** (კარწახის ტბის შემოგარენის, მურაკვალის ქედის და ნიალისყურის ქედის დასავლეთი ნაწილის მეგალითებით);

-**სულდის მიკრორეგიონი** (სულდის შემოგარენის, ბოზალის და კარწახამდე ნამოსახლარის მეგალითებით);

-**დლივის მიკრორეგიონი** (დლივის, დლივის ქედის, ვარდისუბნის, საკუდრიის, წართას (ზართას), სავანეთის, დიდი და პატარა კონდურის, ყულაღისის მეგალითებით);

-**ხენჭური-ელიას მთა-ნიალისყურის მიკრორეგიონი** (ნინოწმინდის, ღართულას (ქართულას) დიდი და პატარა ხანჯალის, კათნატუს, ელიას მთის, მამუკეთის, ნიალისყურის ქედის მეგალითებით);

-**მადას მიკრორეგიონი** (მადას (მადათაფას) ტბის შემოგარენის, მადას მთის, ჭილიანი ტბის, სამეზის მეგალითებით);

-**სათხე-ქუნცალის მიკრორეგიონი** (სათხის შემოგარენის, ქუნცალის (სპასოვკის) გორელოვკის, ეფრემოვკის მეგალითებით);

-**საღამოს მიკრორეგიონი** (დიდი და პატარა არაკალის, ზემო და ქვემო დუმის, საღამოს, ქაჩაღორის მეგალითებით);

-**აბულის მიკრორეგიონი** (განძანის შემოგარენის, პატარა აბულის, სოფელ აბულის, სამწუბთღელის, ლევანის ტბის, გოდორების, კარკლიანი ქედის მეგალითებით);

-**შაორის მიკრორეგიონი** (შაორის მთის, ფოკანის, პუბლიკანის, ასპანას, მახაროვანის, ჭაკკის, ახალი ხულგუმოს, დაღის მთის, თავფარავანის მეგალითებით);

-**ჭიქიანი-ჯავახეთის ქედის მიკრორეგიონი** (ჯავახეთის ქედზე დმანისი, ზურტაკეთის მიმდებარე მეგალითებით).

ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე ნაწილობრივ ჯერ კიდევ ქვის ხანაში არსებული და ადრებრინჯაოს ხანიდან უფრო ინტენსიურად აგებული ციკლოპური კომპლექსების მათი განფენის ტერიტორიებიანად პირობითად ასეთ მიკრორეგიონებად დაყოფა ჩვენ იმიტომ ჩავთაღეთ მიზანშეწონიღად, რომ გაგვეადვიღებინა შემდგომში მათი ურარტუს პერიოდის მიკრო სახელმწიფოებებში, მოგვიანებით კი ერთ-ერთი უძვეღესი და უმსხვიღესი მხარის ზაზახა-ჯავახეთის შემადგენღობაში გაერთიანების პროცესის ლოგიკურობის აღქმა და შესწავღა. თუ გადავხედავთ თითოეული ციკლოპური ნაგებობების მღებარეობას და ფორმებს, დავინახავთ, რომ ისინი ბუნებრივ-კლიმატური და

რელიეფური პირობების გათვალისწინებით საგულდაგულოდ შერჩეულ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზეა გაშენებული, სადაც სამშენებლოდ საჭირო მასალა ამის საუკეთესო შესაძლებლობას იძლეოდა. ყველა მათგანი საბოლოო ჯამში ერთიანი თავდაცვით, საცხოვრებელი, რელიგიური და სარიტუალო სივრცის ნაწილი ხდებოდა, ამიტომ თანდათანობითი ევოლუციის და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით პატარ-პატარა „ქვეყნების“, ხოლო შემდგომ ერთიანი ისტორიული მხარის შემადგენლობაში გაერთიანდა. მიუხედავად თავისი თითქოსდა პრიმიტიულობისა, ათასწლეულების განმავლობაში ისე დაიხვეწა ადგილობრივი მეგალითური კულტურა, რომ ჯავახეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მეგალითური ყოფა ნაწილობრივ სახეცვლილი ფორმით გასული საუკუნის სამოციან წლებამდე შენარჩუნდა.

ბოლო წლებში, როგორც მეცნიერებში ისე საზოგადოებაში, მეგალითების მიმართ გაზრდილი დაინტერესების გამო მრავალი მანამდე უცნობი მეგალითური კულტურის ძეგლია გამოვლენილი საქართველოში. ციკლოპური კომპლექსების დიდი ნაწილი გამოვლინდა ისტორიული ჯავახეთისა და თრიალეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დადასტურებულია 233 ობიექტი (ასპინძა-54, ახალქალაქი-121, ბორჯომი-5, ნინოწმინდა-53). 63 ციკლოპური ობიექტია დადასტურებული ქვემო ქართლში (ნარიმანიშვილი 2019, 7). ჯავახეთის ტერიტორია მთლიანად მეგალითური გორა-ნამოსახლარებით, ციხე-სიმაგრეებით, ყორღანული სამარხების ველებით, მენჰირებითაა მოფენილი, ამიტომ მეგალითური ძეგლების რიცხვი ზემოთ მოტანილ ციფრებთან შედარებით გაცილებით მეტია, თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯავახეთის მთათა ფერდობებზე, ზეგანზე, მდინარეთა ხეობებში და ტბების შემოგარენში უამრავი მშრალად ნაგები ჯერაც გაურკვეველი დანიშნულების შენობების კონტურებია ბევრგან შემორჩენილი, რომელთა შესწავლის შემდეგ მათი რიცხვი ცხადია კიდევ უფრო გაიზრდება.

დაბოლოს, ჯავახეთის ტერიტორიაზე ამდენი სხვადასხვანაირსახეობის მეგალითური კულტურის ძეგლების ასე უხვად არსებობა იმის ნიშანია, რომ საქართველოს ეს უძველესი მხარე თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით უხსოვარი დროიდან მოყოლებული სულ დაწინაურებული იყო და ქვეყნისთვის პოლიტიკურადაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია რუკების მიხედვით

სამცხე-ჯავახეთის რუკებზე ტოპონიმთა მოწესრიგება მთავარ გამოწვევად რჩება რეგიონისთვის. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ჯავახეთის რუკებზე, სადაც გვხვდება რუსული, სომხური და თურქული ენების გავლენები. თანამედროვე რუკები რუსულ სამხედრო და საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებს ეფუძნება, ზოგიერთ შემთხვევაში ფიქსირდება დამკვეთის ჩარევით მცირედი სახეცვლილებები.

ნინოწმინდის რუკებზე არსებული ტოპონიმების წარმოსაჩენად გაანალიზდა სამცხე-ჯავახეთის სტატიკური (ბეჭდური, ე.წ. ქაღალდის რუკები, ან მათი ელექტრონული ვერსია) და დინამიკური, ე.წ. ციფრული რუკები. სტატიკური რუკებიდან დამუშავდა საჯარო რეესტრის საიტზე (<https://napr.gov.ge/>) განთავსებული სამი საბჭოთა რუსულენოვანი ტოპოგრაფიული რუკა (1:25 000 - რესურსის მიერ მოცული დროითი პერიოდი: 51 წელიწადი (1953-2004); 1:50 000 რესურსის მიერ მოცული დროითი პერიოდი: 17 წელიწადი (1973-1990); 1:100 000 რესურსის მიერ მოცული დროითი პერიოდი: 12 წელიწადი (1978-1990)) და საბაზისო ქართული რუკა; 1877, 1907 და 1926 წლების რუსული სამხედრო რუკები; საქართველოს კარტოგრაფიის ინსტიტუტში პროფ. ალ.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შემუშავებული 1930 წლის ქართული რუკა; 1998 წლის საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა, რომელიც იმეორებს სასწავლო პროგრამაში შეტანილ ტოპონიმებს; სამცხე-ჯავახეთის ტურისტული გზამკვლევი, GeoLand Ltd. 2012²⁸⁶; 1990 წლისა და 1959 წლის საქართველოს სსრ-ის რუსულენოვანი რუკები, 1975 წლის საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ-ების რუსულენოვანი რუკა; 1834 წლის კავკასიის რუსულენოვანი რუკა; 1862 წლის ევროპული რუსეთისა და კავკასიის რუსულენოვანი რუკა; 1870 წლის კავკასიის რუსულენოვანი საგზაო რუკა; U.S. Army Map Service-ის მიერ მომზადებულ 1941 წლის კავკასიის ინგლისურენოვანი რუკა; 2010 წლის ევროკავშირის სატელიტური ცენტრის 1:50 000 საქართველოს ინგლისურენოვანი ტოპოგრაფიული რუკა, ქვემოთ მოხსენიებულია როგორც EUSC, 2010.

ციფრული რუკებიდან გაანალიზდა google map და wikimapia პლატფორმა და ის ტურისტული ციფრული პროდუქტები, რომლებიც

286 მომდევნო პერიოდებში გამოცემული ტურისტული გზამკვლევები დაფუძნებულია ამავე რუკაზე, ან ტოპონიმები კორექტირებულია ავტორის მიერ, ამიტომაც მათი ანალიზი არ მივიჩნიეთ რელევანტურად.

იყენებენ სხვადასხვა ციფრულ რუკებს: Georgian Travel Guide - ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ვებგვერდი საქართველოში, ორი საერთაშორისო სალაშქრო აპლიკაცია - Gaia GPS, AllTrails და სამცხე-ჯავახეთის სალაშქრო აპლიკაცია - HikeSJ.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ რუკების ანალიზი არ იძლევა საბოლოო ინფორმაციას ქართულენოვანი ტოპონიმის შესახებ. ჩვენამდე მოღწეული დეტალური ტოპოგრაფიული რუკები გვიან პერიოდშია შექმნილი, როდესაც უკვე იგრძნობოდა მეზობელ ენათა გავლენები რეგიონში. განსხვავებით სოფლებისა და ნასოფლარებისაგან, რომელთა უმეტესობის გადამოწმებაც XVI საუკუნის ისტორიული დოკუმენტით, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მეშვეობით არის შესაძლებელი, ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების სახელთა უმრავლესობა მხოლოდ XIX-XX საუკუნის რუსულ სამხედრო რუკებზეა შემორჩენილი იმ ტოპონიმთა გამოკლებით, რომლებიც ისტორიულ წყაროებშია შემონახული. მიუხედავად ზემოთქმულისა, რუკების ანალიზის შედეგად მაინც არის შესაძლებელი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნიუანსის შემჩნევა და საინტერესო ტოპონიმთა წარმოჩენა.

სამცხე-ჯავახეთის რუკებზე არსებულ ტოპონიმთა გაანალიზებისას საქმე გვაქვს ტოპონიმების ტრანსლიტერაციასთან სამ ენაზე. რუკების შედგენისას ტოპონიმების დატანის სავარაუდო პროცესი ასეთი უნდა ყოფილიყო: ქართული ტოპონიმები ჩაიწერა ჯერ თურქულად ქართველი მოსახლეობისაგან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“; შემდეგ შეიქმნა რუსული სამხედრო რუკები, სადაც დაიტანეს რეგიონში ახლად გადმოსახლებული ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის მიერ წარმოთქმული ტოპონიმები; მომდევნო პერიოდში შექმნილი რუსულენოვანი საბჭოთა რუკები ძირითადად იმეორებს რუსული სამხედრო რუკების ტოპონიმიკას; თავის მხრივ, მეფის რუსეთისა და საბჭოთა პერიოდში შექმნილი ქართული რუკები ასევე შემუშავებულია რუსულენოვანი სამხედრო და საბჭოთა რუკების საფუძველზე, სადაც უკვე გვხვდება ტოპონიმების ქართული ტრანსლიტერაცია ამჯერად რუსულიდან ქართულად, ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაში დამკვიდრებული სახელების გაუთვალისწინებლად. ტრანსლიტერაციის დროს ტოპონიმების დამახინჯების პროცესს ემატება ენობრივი ინტერფერენციის გავლენით მიღებული ცვლილებებიც, განსაკუთრებით ც-წ, ქ-კ, ყ-კ, ტ-თ ბგერების გადმოტანისას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტოპონიმების სწორი ფორმების დადგენა, ნების არსებობის შემთხვევაშიც კი, საკმაოდ გართულდებოდა, ვინაიდან ოსმალურ დავთრებში დაფიქსირებული დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რუსული სამხედრო რუკებისა და შემდეგ უკვე ქართული (1930 წლის) რუკის შედგენის პერიოდში სოფლების უმეტესობა ქართული მოსახლეობისგან

უკვე დაცლილი უნდა ყოფილიყო. ეს სიცარიელე, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თითქმის სრულად შეივსო აკადემიკოს ს. ჯიქიას მიერ 1941-1958 წლებში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ თარგმანისა და კომენტარების გამოცემით.

გეოგრაფიულ სახელთა ერთიანი კატალოგის არარსებობის პირობებში ძალიან ხშირად ერთი და იმავე ობიექტის ტოპონიმი სხვადასხვა სახეცვლილებით გვხვდება ნინოწმინდის რუკებზე. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იმავე გამოცემაშიც გვხვდება ობიექტები სხვადასხვა სახელით. განსაკუთრებით თვალშისაცემი დასახლებული პუნქტების სახელებია, რომელიც ზემოთ ნახსენები ენათა გავლენით დამახინჯებული ფორმით არის დღეს დაკანონებული. მათი სწორი ფორმის დადგენა მეტნაკლები სიზუსტით შესაძლებელია ოსმალური დავთრების ანალიზის შედეგად. გაცილებით რთულადაა საქმე ნასოფლარებისა და ბუნებრივი წარმონაქმნების სახელების, განსაკუთრებით კი მთების შემთხვევაში.

ნასოფლარების სახელების იდენტიფიკაცია დიდ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე მოგვიანებით, XIX-XX საუკუნეებში დაარსებულ სოფლებს ეხება. ამ სოფლების უმეტესობა ნასოფლარებზე ან მათ მახლობლად არის გაშენებული, რაც ადგილზე შემორჩენილი ნანგრევებით (მაგ: სოფელ ტამბოვკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შეიძლება ითქვას, ახლანდელი სოფლის უკან შემორჩენილი ეკლესიის ნანგრევები ძველი სასაფლაოთი და ნასახლარებით. ასევე სოფელ სპასოვკის ჩრდილოეთით შემორჩენილი ნასახლარები და საფლავის ქვები), ოსმალურ დავთრებში და სხვა საისტორიო წყაროებში დასახლებების მდებარეობის შესახებ მოცემული მინიშნებებით და ზოგიერთ შემთხვევაში რუკით დასტურდება. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ სოფელ კათნატუს მახლობლად რუსულ სამხედრო რუკებზე იძებნება რამდენიმე ნასოფლარი - *Р. Д. Балахлы, Р. Д. Орзахлы, Р. Д. Садахлы, Р. Д. Мамукевь*; სოფელ ვლადიმროვკასთან გვაქვს ნასოფლარი - *Р.Д. Бобликань* [Р. Д. Разрушенная Деревня - დანგრეული სოფელი].

საინტერესოა დღევანდელი ნინოწმინდის, ყოფილი ბოგდანოვკის ისტორია რუკაზე. 1870 წლის კავკასიის მხარის რუსულენოვან რუკაზე ამ ტერიტორიაზე მხოლოდ ხოჯაბეგი გვხვდება - *Ходжбекъ*. ამავე რუკაზე უკვე არის დატანილი დუხობორების დასახლებები: *Орловка, Горьловка, Ефремовка, Троицкая, Тамбовка* და *Родионовка*. 1877 წლის სამხედრო რუკაზე უკვე ჩნდება *Богдановка* *Ходжабекъ*-ის გვერდით. თუმცა შედარებით პატარა შრიფტით არის დატანილი. 1907 წლის სამხედრო რუკაზე, რომელიც უფრო წვრილმასშტაბიანია, საერთოდ ამოღებულია *Ходжабекъ*-ი და დატანილია მხოლოდ *Богдановка*. როგორც 1926 წლის სამხედრო, ასევე საბჭოთა რუსულენოვან ტოპოგრაფიულ რუკებზე ყველგან გვხვდება ორივე დასახლება. 1930 წლის ქართულ რუკაზე მსხვილი შრიფტით დატანილია - *ხოჯაბეგი*, მის სამხრეთით კი წვრილად

- *ბოგდანოვკა*. დღეს ხოჯაბეგი ქალაქ ნინოწმინდის შემადგენელი ერთ-ერთი უბანია.

ტოპონიმები არ არის შემორჩენილი, თუმცა დანგრეული ციხეებისა და ეკლესიების ტოპოგრაფიული აღნიშვნები გვხვდება მრავალ ადგილზე, მათ შორის ორლოვკის, გორელოვკის, მადათაფის ტბის მახლობლად, რაც ადასტურებს ამ ადგილებში ძლიერი დასახლებების არსებობას. ამგვარი აღნიშვნები მომდევნო პერიოდის რუკებზე გამჭრალაია, მხოლოდ რამდენიმე მათგანი გვხვდება საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე ბუნდოვანი აღნიშვნით: разв. [развалины - ნანგრევები]. როგორც საბჭოთა ტოპოგრაფიულ, ასევე ქართულ რუკებზე სრულიად გამჭრალაია რუსულ სამხედრო რუკებზე ხანჩალის ტბის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით დატანილი ნასოფლარები *Р.Д. Малака*, *Р.Д. Картуля* და *Р. Кр. Сыгнахь* [*Р. Кр. - Разрушенная Крепость* - დანგრეული ციხესიმაგრე]. ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეგალითური ტიპის ნაგებობას, რომლის ნანგრევები ჩვენს დროშიც საკმაოდ მასშტაბურად არის წარმოდგენილი. ციხის მეგალითური კედლების ფრაგმენტებზე თვითნებურად მიმაგრებულია მარმარილოს ფირფიტები და მემორიალური ქვები, აღმართულია ჯვარი და წარმოადგენს სომეხი მოსახლეობის სალოცავ და ე.წ. საქეიფო/საპიკნიკე ადგილს.

გაცილებით რთული მდგომარეობაა მთების სახელებთან დაკავშირებით, რომელთა უმეტესობა დაკარგულია. შემორჩენილია მხოლოდ რუსულ სამხედრო რუკაზე დატანილი თურქული ვერსიები, რომელიც კიდევ უფრო დამახინჯებითაა გადატანილი მომდევნო პერიოდის რუკებზე. გარდა იმისა, რომ ტოპონიმების უმეტესობას ეტყობა პირდაპირი თარგმანის კვალი (იგულისხმება ქართულიდან თურქულად გადართგმნა), სავარაუდოა, რომ ტოპონიმების გადატანის პროცესშიც უნდა დაკარგულიყო სხვადასხვა სახელი. მაგალითისთვის, დასტურდება, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში დაკარგულია საინტერესო ტოპონიმი - **ბატკანას მთა**, რომლის იდენტიფიცირებაც სრულიად მოულოდნელად მოხდა სამხედრო რუკების ანალიზისას. მთა დღეს **პადჩანატეპე-ს** (რუსულ ვერსიებში - *Падчанатепе*) სახელით არის დაფიქსირებული, როგორც ქართულ, ასევე გაციფრულებულ რუსულ ტოპოგრაფიულ რუკებზე. ჩვენს ხელთ არსებულ 1907 წლის რუკაზე გვხვდება სოფელი ბატკანა - *Патхана*, რამაც გაგვიჩინა ასოციაცია, რომ „პადჩანატეპე“ შესაძლოა, ბატკანას მთა ყოფილიყო, მაგრამ ამ რუკაზე ბატკანას მთის ადგილას მხოლოდ მთის სიმბოლოა დატანილი, შესაბამისი სიმბოლოს აღნიშვნის გარეშე. ვინაიდან მთა მოშორებულია სოფლისგან და სოფელ *Патхана*-სა და მთის სიმბოლოს შორის კიდევ რამდენიმე სოფელი მდებარეობს, ვარაუდი არ იძლეოდა ტოპონიმის დადასტურების საშუალებას, ვიდრე U.S. Army Map Service-ის მიერ მომზადებულ 1941 წლის კავკასიის რუკაზე არ აღმოჩნდა ტოპონიმი

Patkana T და შემდეგ უკვე 1877 წლის რუსულ სამხედრო ტოპოგრაფიულ რუკაზე *Г. Патхана-тапа*, რაც ადასტურებს რომ „პადჩანატეპე“ (რუსულ ვერსიებში *Падчанатепе*) ნამდვილად ბატკანას მთაა. მოგვიანებით გაირკვა, რომ 1930 წლის ქართულ რუკაზეც დატანილია სოფელი ბატკანაც და მთა ბატკანაც, თუმცა **ვათკანა** ფორმით.

ამგვარად, ასე ხელაღებით - გულგრილობითა თუ უყურადღებობით, ტექნიკური მიზეზების გამო დაიკარგა ქართული ტოპონიმი - *ბატკანას მთა*. ფაქტი განსაკუთრებით საწყენია, რადგანაც გარდა იმ მოცემულობისა, რომ ქართული ტოპონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი ისედაც დაკარგულია, ქართული რუკების მომზადებისას არ ჩატარებულა არსებული წყაროების სათანადო ანალიზი, რათა ჩვენამდე მოღწეული ტოპონიმები მაინც გადარჩენილიყო.

საინტერესოა, რომ ამერიკულ რუკაზე ყველა ტოპონიმი, რომელიც რუსულ რუკებზე შეიცავს „-тапа“ კომპოზიტს განცალკევებითაა გადატანილი. მაგ: *Патхана-тапа - Patkana T, Г. Мадатапа - Mado Tera, Г. Шишъ-тапа - Shish Tere*. რუკის შედგენისას, მიუხედავად იმისა, რომ საფუძვლად სწორედ 1877 წლის რუსული სამხედრო რუკაა აღებული, გაანალიზებულია ტოპონიმის მაწარმოებელი კომპონენტის მნიშვნელობა, რაც თურქულიდან თარგმანში ნიშნავს ბორცვს, გორაკს, მწვერვალს²⁸⁷ და გამოყოფილია ის ძირითადი სახელისგან. ამის საპირისპიროდ, ქართულ რუკებზე გვხვდება - მადათაფა, შიშთეფე და ზოგიერთ შემთხვევაში „მალ-ზიარეთიც“ კი - პატარა ზიარეთის ნაცვლად (რუს. *Мал. Зиарет*).

კიდევ ერთი საინტერესო ტოპონიმი, რომელიც დღეს ქართული რუკებიდან გამქრალია, არის ფილთიკარი. მთა გვხვდება როგორც - *Г. Пилъти - кари* 1877 და 1907 წლის რუკებზე, *გილტი-კარი* - 1930 წლის ქართულ რუკაზე. ტოპონიმი ასევე დადასტურდა ზეპირსიტყვიერებაში, 2023 წლის ექსპედიციის დროს სოფელ განძანში. ფილთიკარი განძანის ჩრდილოეთით მდებარეობს და გეოგრაფიულად პატარა აბულის მთის გაგრძელებას წარმოადგენს. როგორც თანამედროვე ქართულ რუკებზე, ასევე რუსულ საბჭოთა რუკებზე ეს ტოპონიმი საერთოდ აღარ ფიქსირდება.

საყურადღებოა განძანის სამხრეთით, საღამოს ტბის თავზე მდებარე მთაც (2327.5 მ. 41.3249783 43.7248230), რომელსაც დღეს მ. სურპოგანესი აწერია. მთა სამხედრო რუკებზე უსახელოა, მხოლოდ მთის მწვერვალზე მდებარე ეკლესია არის დატანილი როგორც - *Р. Ц. Сура-оганесъ* [დანგრეული ეკლესია სურა-ოგანესი, დამახინჯებული ფორმა *Сурп-Оганес*-ისა, სომხურიდან თარგმანი-წმინდაოგანესი]. მომდევნო პერიოდის საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე უკვე მთის სახელად გვხვდება - *г.*

287 ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი = Gurcuce-Turkce Ve Turkce-Gurcuce / შემდგ. ორჰან მემიში ; რედ. ფათიჰ მაჰმეთ საინი ; [წინასიტყვე. თემურ ჯაგოდინიშვილი ; შავი ზღვის საერთაშ. უნ-ტი]. - მე-3 გამოცემა. - თბილისი : შხსუ-ს გამოცემა, 2012

Сурп-Оганес და დღეს მისი ქართული ვერსია - *მ. სურპოგანესი* არის უკვე დატანილი ქართულ საბაზისო რუკაზე. სინამდვილეში საუბარია განძანის ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიაზე, რომლის აგების თარიღად შუა საუკუნეებია მიჩნეული და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათის თანახმად (N16813)²⁸⁸ ძეგლზე ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიერ ნებართვის და წესრიგის დაცვის გარეშე ჩატარებულია „სარემონტო“ სამუშაოები, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა ჩაითვალოს. დოკუმენტი შედგენილია 2008 წელს. ამგვარად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ხდებოდა რუკებზე ტოპონიმების გადატანა ჯერ რუსული სამხედრო რუკების და შემდეგ საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკების შედგენისას, დროთა განმავლობაში კი როგორ ხდება ამ ტოპონიმთა დაკანონება თანამედროვე ქართულ კარტოგრაფიულ ბაზებში. „სურპოგანესის“ შემთხვევაში სახეზე გვაქვს ქართული შუასაუკუნეების პერიოდის ძეგლი, ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რაც გვამძლევს საფუძველს, რომ დავადასტუროთ მთის არასწორი ტოპონიმი. სამწუხაროდ, მსგავსი ფუფუნება ტოპონიმების უმეტესობაზე არ გაგვაჩნია. თუმცა შემთხვევათა სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ერთი და იმავე თარგზე ხდებოდა გეოგრაფიული ობიექტების სახელდება, სახელების დამახინჯება თუ თარგმნა და ეს არ იყო იშვიათი მოვლენა. აქვე სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ტურისტულ რუკაზე (GeoLand Ltd. 2012) ეკლესიის სახელი მოცემულია როგორც - *ი. ნათლისმცემლის ეკლესია*, რაც იშვიათი გამონაკლისია, ვინაიდან რუკის კომპანიების ბაზები, როგორც წესი, ზედმიწევნით იმეორებს რუსულენოვან რუკებზე არსებულ ტოპონიმებს.

რუკებზე დიდი გაურკვეველობაა საქართველოში ყველაზე დიდი ტბის, ფარავნის ტბის სახელთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ რუსულ სამხედრო რუკებზე ტბა დატანილია როგორც *Озеро Тапаравань* (1877, 1926) და *Озеро Топоровань* (1907). მომდევნო პერიოდის საბჭოთა რუკებზე ყველგან გვხვდება - *Озеро Паравани*. ქართულ რუკებშიც, შესაბამისად, გადმოსულია ტბა ფარავანი ან ფარავნის ტბა. ტბიდან გამომდინარე მდინარე ფარავნისწყალი რუკებზე გვხვდება, როგორც *Р. Тапаравань* (1877, 1926) *Р. Топорован* (1907), *მდ. ფარავანი/მდ. ჯავახეთის მტკვარი/მდ. ახალქალაქის მტკვარი* (1930 წლის ქართულ რუკაზე მდინარის სხვადასხვა მონაკვეთზე სამი სახელი ფიქსირდება), *Паравани* (საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკები), *მდინარე ფარავანი* (საბაზისო რუკა). რაც შეეხება ტბის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე ისტორიულ სოფელ თავფარავანს, სამხედრო რუკებზე ის დატანილია როგორც *Родионовка*, საბჭოთა რუკების ნაწილზე - *Радионовка* (*Паравани*), ნაწილზე კი მხოლოდ - *Радионовка*, 1930 წლის ქართულ რუკაზე - *როდიონოვკა (ფონოვარი)*. მუნიციპალური რეესტრის მიხედვით

288 <https://memkvidreoba.gov.ge/list/document/documentObject?id=444873>

სოფლის ოფიციალური სახელი როდიონოვკა ფიქსირდება, შესაბამისად, საბაზისო რუკაზეც როდიონოვკაა დატანილი. ადგილზე, საგზაო ტრაფარეტზე კი სოფელს ფარავანი აწერია ისევე, როგორც ტურისტულ და საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე. საინტერესოა, რომ ზოგიერთ რუკაზე, სოფლის მახლობლად, შემორჩენილია რკინიგზის სადგურის სახელწოდება - *თაფარავანი* - საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკაზე (1998), *Тапаравани* - რუსულ საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე (1:50 000; 1:100 000). ყველა ამ რუკაზე ეს უკანასკნელი ტოპონიმი ერთადერთია, რომელსაც -თა- კომპონენტი აქვს შენარჩუნებული. ტბაც, მდინარეც და სოფელიც (რუსულ რუკებზე შესაბამისად *Радионовка (Паравани)* და *Радионовка*), ფარავნის სახელით არის დატანილი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასახლებული პუნქტების სწორი სახელების აღდგენა მეტნაკლები სიზუსტით შესაძლებელია ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით. მეორე მხრივ, სწორედ ამ სახელებთან დაკავშირებით სრული განუკითხაობაა როგორც რუკებზე, ასევე ტრაფარეტებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში. სოფელი თავფარავანი ერთ-ერთი მათგანია, რომელიც, როგორც ითქვა, მუნიციპალურ რეესტრში ჯერ კიდევ როდიონოვკის სახელით არის რეგისტრირებული. ქვემოთ განხილულია რამდენიმე სოფლის მაგალითი, რომელთა სახელებიც ყველაზე ხშირად დაიტანება დამახინჯებულად რუკებზე.

სოფელ განძანს მუნიციპალურ რეესტრში ძველი სახელი შეცვლილი აქვს და დარეგისტრირებულია როგორც *განძა*. განძანი რუსულ სამხედრო რუკებზე გვხვდება როგორც *Ганза* (1877), *Кандза* (1907), საბჭოთა რუსულ ტოპოგრაფიულ რუკებზე - *Гандзани*, ტურისტულ და საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე - განძანი, საბაზისო რუკასა და 1930 წლის ქართულ რუკაზე - *განძა*, *Gandzani* (EUSC, 2010). ს. ჯიქიას თანახმად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფლის სახელად დაფიქსირებულია *განძანი* (ჯიქია 1958, 343).

სოფელი სათხე 1862 წლის ევროპული რუსეთისა და კავკასიის რუსულენოვან რუკაზე დატანილია როგორც - *Сатхе*, რუსულ სამხედრო რუკებზე ფიქსირდება *Сатха*, 1930 წლის ქართულ რუკაზე - სათხა, რუსულ საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე - *Сатхе*, ასევე საბჭოთა საქართველოს ყველა განხილულ რუკაზე (1959, 1975, 1990) რამდენიმე დასახლებულ პუნქტს შორის დატანილია სოფელი სათხე სწორი ფორმით - *Сатхе*. ტურისტულ და საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე გვაქვს - *სათხე*, ასევე *Satkhe* ფიქსირდება ევროკავშირის სატელიტური ცენტრის ინგლისურ რუკაზეც. *სათხა* არის რეგისტრირებული რეესტრში და შესაბამისად საბაზისო რუკაზეც ასეა დატანილი. სოფელი სათხე ს. ჯიქიასთან (1958) განხილული არ არის. სათხის შემდეგ ეტიმოლოგიას გვთავაზობს მ. ბერიძე: „სა-ე აფიქსებით ნაწარმოები ცხოველთა და

ფრინველთა აღმნიშვნელი ფუძეები გვხვდება ქართულ ტოპონიმში. ასეა წარმოქმნილი სა-ირმ-ე, სა-კაკბ-ე, სა-თახვ-ე... როგორც ჩანს, ჯავახეთის ეს მიდამოები ცნობილი ყოფილა თხის სიმრავლით და ამიტომ უწოდებიათ მისთვის სა-თხ-ე“ (ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი 2012, 288). სათხე ისტორიული სოფელია, განთქმული ძველი ქართული წარწერებით.

სოფელი ორჯალარი 1877 და 1907 წლების სამხედრო რუკებზე დატანილია როგორც *Орджаларь*, 1926 წლის სამხედრო რუკაზე კი გვხვდება *Орджаларь* ფორმა. მომდევნო პერიოდის საბჭოთა რუსულ რუკებზე დამატებული აქვს - ბოლოსართი და შეცვლილია ა ხმოვანი - *Орджолარი*, *ოროჯოლარი* გვხვდება საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ და ტურისტულ რუკებზეც, ასევე საგზაო ტრაფარეტზეც, თუმცა რეესტრში და 1930 წლის ქართულ რუკაზეც *ოროჯალარია* დატანილი. საბჭოთა საქართველოს 1990 წლის რუსულ რუკაზე გვხვდება - *Орджолари* ფორმაც. ევროკავშირის სატელიტური ცენტრის ინგლისურ რუკაზე დაფიქსირებულია *Orojolari*. ს. ჯიქია სოფლის სახელს დავთარში მოხსენებულ ზემო და ქვემო ორჯას უკავშირებს, რომლებიც განსხვავებულია ახალქალაქის სოფელი ორჯუასაგან (თანამედროვე ორჯა). დავთრის შექმნის დროს ზემო ორჯა უკვე დაცარიელებულია, ამიტომაც ჯიქია ვარაუდობს, რომ სოფლები მოგვიანებით გაერთიანდა და მივიღეთ - ორჯაები, თურქულად - ორჯალარი (ჯიქია 1958, 328-329). 2023 წლის ექსპედიციამ სოფელში ჩაიწერა ადგილობრივების ვერსია, რომ გადმოცემით სოფელს - ორჭალა ერქვა. მართლაც, სოფელი ფარავნისწყლის ნაპირზეა გაშენებული და შესაძლოა, სწორედ ორჭალა იყოს მისი თავდაპირველი სახელწოდება. ნებისმიერ შემთხვევაში ტოპონიმი *ოროჯოლარი* არასწორია.

დიდი არაკალი, პატარა არაკალი - სოფლების სახელწოდება რუსულენოვან რუკებზე კითხვის ნიშნებს არ ტოვებს. ყველგან ფიქსირდება როგორც - *Патара -Аракали, Диди-Аракали ან, М. Аракаль, Б. Аракаль*. თუმცა, როგორც ტურისტულზე, ასევე 1930 წლის ქართულ და საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე, **დიდი** - და **პატარა არაკალია** დატანილი. ასევეა დარეგისტრირებული მუნიციპალურ რეესტრში და, შესაბამისად, საბაზო რუკაზეც. ევროკავშირის სატელიტური ცენტრის ინგლისურ რუკაზე დატანილია *Didi arakali, Patara arakali*. ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში ფიქსირდება *არაგალი* ფორმაც. სოფლების სახელწოდება *არაკალი*, შინაარსიდან გამომდინარე ქილიკის საგნად იქცა მაშინათვე, როგორც კი საგზაო აბრები დამონტაჟდა. ს. ჯიქია ამ სოფლებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მასალების უქონლობის გამო სამწელია ამ სხვადასხვა ეთნიურ წრეში გადაგვარებული პირველადი ქართული სახეობის დადგენა“. თუმცა იძლევა რეკომენდაციას, რომ პირობითად *არაკალი* უნდა დარჩეს, რადგანაც დედანში სოფლის დასახელებაში მკვეთრი „კ“ თანხმოვანია გადმოცემული (ჯიქია 1958, 340).

სოფელი უჯმანა რუსულ სამხედრო რუკებზე *Учмана* ფორმით გვხვდება, რუსულ საბჭოთა რუკებზე *Уджмана* ფიქსირდება, უჯმანა გვაქვს ტურისტულ და საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკებზე, *უჩმანა* - 1930 წლის ქართულ რუკაზე. *უჩმანა*ა რეგისტრირებული მუნიციპალურ რეესტრში და შესაბამისად, საბაზისო რუკაზეც *უჩმანა* გვაქვს. ევროკავშირის სატელიტური ცენტრის ინგლისურ რუკაზე დატანილია - *Ujmana*. ს. ჯიქია სწორ ფორმად *უჯმანას* მიიჩნევს. დავთარში დაფიქსირებულ *უჩმანას*, ჯ თანხმობის სპირანტიზაციას უკავშირებს, ხოლო მისივე ჩანაწერებში ადგილობრივი (მიგრანტი) სომხების წარმოთქმით დაფიქსირებული *უჭმანა* არმენიზებულ ფორმად მიაჩნია. იმავე ჩანაწერებში დაფიქსირებული აქვს ადგილობრივი ქართველების წარმოთქმა - *უჯმანა* (ჯიქია 1958, 354). როგორც ჩანს, სწორედ ადგილობრივი (მიგრანტი) სომხების წარმოთქმით ჩაწერილი *უჭმანას* რუსული ტრანსლიტერაციაა *Учмана*, რომელიც ჯერ ქართულ რუკაზე დაფიქსირდა როგორც - *უჩმანა*, შემდეგ კი აღმოჩნდა მუნიციპალურ რეესტრში.

სოფელი მამწვარა დატანილია როგორც *Мамзара* რუსულ სამხედრო რუკებზე, *Мамцвара* საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე, *მამზარა* 1930 წლის ქართულ რუკაზე, *მამცვარა* საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკაზე. ევროკავშირის სატელიტური ცენტრის ინგლისურ რუკაზე დატანილია - *Mamzvara*, *მამწვარა* - ტურისტულ რუკაზე, მუნიციპალურ რეესტრსა და საბაზისო რუკაზე. *მამწვარას* სწორ ფორმად მიიჩნევს ს. ჯიქიაც და ასაბუთებს, რომ დავთარში დაფიქსირებული *მამზურა* თურქიზებული ფორმაა, რომელიც ტრანსფორმაციის შედეგად *მამზარად* ჩამოყალიბდა (ჯიქია 1958, 336).

სოფელი ეშტია ყველა გაანალიზებულ რუკაზე მოცემულია, როგორც *ეშტია* (ქართულ რუკებზე), *Эштия/Эштія* (რუსულენოვან რუკებზე). ს. ჯიქიას თანახმად, დავთარში ეშთიო გვაქვს მოცემული, მაგრამ ავტორი იქვე ასაბუთებს, რომ სოფლის ქართული სახელი ეშთიო უნდა იყოს. ს. ჯიქია ასევე აღნიშნავს, რომ ადგილობრივ სომეხთა წარმოთქმაში ფიქსირდება „ჰეშთია“ (ჯიქია 1958, 320). ამ ოიკონიმის გადააზრების მცდელობა დღესაც აქტუალურია. სოფლის შესავლელში მოსახლეობის მიერ დამონტაჟებულია ელექტრონული ტრაფარეტი, რომელზეც ლათინური წითელი ასოებით იკითხება - „HESHТIA“. ადგილობრივები სახელს სომხურ ენაში უძებნიან ეტიმოლოგიას, ხსნიან რომ „ჰეშტ“ - სომხურად ადვილს, იოლს ნიშნავს [სომხურად Հեշտ²⁸⁹] და სოფელსაც სახელი სწორედ ამიტომ ჰქვია - „ადგილი, სადაც ცხოვრება იოლია“. დეეტიმოლოგია ონომასტიკაში საკმაოდ გავრცელებული პროცესია, რაც ბუნებრივიცაა. მოსახლეობა მისთვის გასაგებ ახსნას უძებნის ტოპონიმს,

289 მელიქსეთ-ბეგი ლეონ, სომხურ-ქართული ლექსიკონი/ გადაამუშავა, შეავსო და გამოსაცემად მოამზადა მერაბ რობაქიძემ. - თბ. : ნეკერი, 1996

თუმცა სოფელი *ემტია/ემტიო* მისი თანამედროვე სახელით ფიქსირდება სომეხთა ჯავახეთში გადმოსახლებამდე ბევრად ადრე, XVI საუკუნეში შექმნილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, არქივის საბუთებში და ათეულობით რუკაზე, რომელიც XIX-XX საუკუნეებში შექმნილა. სოფელ ემტიას უკავშირდება კიდევ ორი ტოპონიმი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში - *ემტიისმთა* და *ემტიისწყალი*.

სოფელი დლივი ს. ჯიქიას შეფასებით, განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში, საქართველოს პოლიტიკური მოვლენების ცენტრი უნდა ყოფილიყო, რაც გამყარებულია არგუმენტით, რომ მარტო „ქართლის ცხოვრების“ ანადეოდოფლისეულ ნუსხაში ის სამჯერ არის მოხსენიებული და ირკვევა, რომ დლივს იმ დროინდელ საქართველოში „დიდი პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების ასპარეზი იყო“ (ჯიქია 1958, 419-420). დლივში მდებარეობდა ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (975-1014) საზაფხულო სადგომი ჯავახეთში (მეტრეველი 2022, 36). დღეს სოფელი დლივი, ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ წერილობით ისტორიულ წყაროებშია შემორჩენილი ამ ტოპონიმით. რუკებზე მის ნაცვლად გვხვდება *Дилифъ* (1907, 1877), *Дилифи* (1:25 000), *Дилити* (1:50 000, 1:100 000), *ტილიფი* (1930), *დილითი* (ტურისტული და საქართველოს ზოგადგეოგრაფიულ რუკები, საბაზისო რუკა), *Dilipi* (EUSC, 2010). *დილითია* რეგისტრირებული მუნიციპალურ რეესტრშიც. მხოლოდ ერთგან, 1834 წლის რუსულენოვან ამიერკავკასიის რუკაზეა დატანილი - *Деливь*. ს. ჯიქია განიხილავს *დლივის* ფონეტიკურ ტრანსფორმაციას და ასაბუთებს, რომ დავთარში მოხსენიებული *დლივი* სწორედ სოფელი *ტილიფია* (ჯიქია 1958, 419-422). სოფელი დლივეკი იხსენიება სომხურ წყაროებშიც (იხ. სომხური საისტორიო წყაროები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის შესახებ, ხათუნა გაფრინდაშვილი), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დღევანდელი სოფელი *დილითი* ნამდვილად სოფელი *დლივი* უნდა იყოს. სოფელ დლივს უკავშირდება კიდევ ორი ტოპონიმი მდინარე *დლივისწყალი* და *დლივისქედი*. დლივისქედი რუკებზე არ გვხვდება, ხოლო დლივისწყალი ფიქსირდება, როგორც *Кырх-булахъ* (1907, 1877), *კირხ-ბულაღი* (1930), *კირხბულაღი* (ტურისტული რუკა), *კირხბულაკი* (საბაზისო).

მ. ბერიძე *კირხბულაღის* ეტიმოლოგიას რუსულ სამხედრო რუკებზე აღნიშნულ ნასოფლარ *კირხქილისას* უკავშირებს: „მათი [იგულისხმება სომხური მოსახლეობა] მტკიცებით, სათავე მრავალი (ორმოცი) წყაროსგან შედგება და ამიტომაც ჰქვია მდინარეს კირხბულაღი, რაც თურქულად ორმოც წყაროს ნიშნავს შემთხვევითი არ არის, რომ მდინარის სათავეში არის ნასოფლარი კირხქილისა, რაც ნიშნავს ორმოც ეკლესიას“ (ბერიძე, 2008:187). მ. ბერიძე ასაბუთებს, რომ *ორმოცი* ცნობილი სახელია მესხეთის ტოპონიმიში. ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს თავფარავნის

ტბაში ჩრდილოეთიდან ჩამდინარე მდინარე, რომელსაც რუსულენოვანი რუკების მიხედვით ასევე *კირხბულაღი* ეწოდება. ავტორი განიხილავს ჰიდრონიმის სომხურ თარგმანსაც, რომელიც პირდაპირი თარგმანია ორმოცი წყლისა - „ქარასუნ აღბიურ“ და იმოწმებს დევი ბერძენიშვილის (ბერძენიშვილი 2006, 255) ციტატას: „ქარასუნ აღბიურ (ე.ი. ორმოცი წყარო) ასეთი სახელწოდება არ არსებობს. ესაა თარგმანი თურქული კირხ-ბულაღისა, რომელიც რუსულ ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული, უფრო ადრე მას დღივის წყალი, ხოლო ძველ ქართველ ისტორიკოსებთან, ახალქალაქის წყალი ეწოდებოდა.“ მ. ბერიძე დასკვნის სახით აჯამებს: „რა ენაზეც უნდა ითარგმნოს ოროცი წყარო, სათავე არის ორმოცი მოწამის ეკლესია. ეკლესიის სახელი გადავიდა მდინარეზე. ეს არის ტოპონიმური მეტონიმის ტიპური შემთხვევა“ (ბერიძე 2011, 12-16).

ამრიგად, *კირხბულაღი* თარგმნილი ტოპონიმის ერთ-ერთი მაგალითია. ჰიდრონიმი *ორმოციწყარო* ჯერ თურქულად ითარგმნა, სომეხთა გადმოსახლების შემდეგ კი გაჩნდა მისი სომხური ვერსია, რომელიც, როგორც 2023 წლის ექსპედიციის დროს დადასტურდა, დღესაც ძალიან ცნობილი ჰიდრონიმია ადგილობრივ (მიგრანტ) სომხურ მოსახლეობაში. მდინარეს ტრაფარეტზე *კირხბულაღი* აწერია, ექსპედიციის დროს ეს სახელი ზოგიერთ ადგილობრივსაც აკვირვებდა (განსაკუთრებით ახალგაზრდებს) და ინტერვიუების დროს ტოპონიმების ჩამოთვლისას ხაზს უსვამდნენ, რომ ტრაფარეტზე წაკითხულ ჰიდრონიმს ასახელებდნენ. ექსპედიციამ ასევე დააფიქსირა ადგილობრივების წარმოთქმა *Длифская вода*, რაც ყველაზე მიმსგავებელი ფორმაა *დღივის წყალთან*. მდინარის სხვადასხვა მონაკვეთზე სხვადასხვა სახელის დაფიქსირება გავრცელებული პრაქტიკაა, ამიტომ შესაძლებელია, ორივე ჰიდრონიმის შენარჩუნება, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მდინარის ორი მსხვილი შენაკადიდან ერთი სოფელ დღივს ჩამოუდის, ხოლო მეორე ორმოცი ეკლესიის ნასოფლარს და მხოლოდ დღივის ჩრდილოეთით, დიდ კონდურასთან ერთვის ერთმანეთს. რუსულ სამხედრო რუკებზე ორმოცი ეკლესიის ნასოფლარის შენაკადი უფრო მსხვილია, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც მოხდა ამ ჰიდრონიმის გავრცელება მდინარის სრულ სიგრძეზე.

რაც შეეხება ციფრულ რუკებს, აქაც დაახლოებით იგივე სურათი გვაქვს, რაც ნაბეჭდ რუკებზე. რუკის პლატფორმების უმეტესობა იმეორებს გაციფრულებული საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკების, ან საჯარო რეესტრის საბაზისო რუკის ტოპონიმებს. იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება ნაბეჭდი რუკებისაგან განსხვავებული დამახინჯებული ტოპონიმები. მაგალითად, Wikimapia-ს რუკაზე გვხვდება სოფელი *Ghulalisi ყულალისის* ნაცვლად. სოფელი ბეჭდურ რუკებზე ყველგან *ყულალისის* ფორმით არის დატანილი (ყულალისის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სტატიაში - მერაბ ბერიძე, ყულ - ფუმიანი სახელები საქართველოში), თუმცა

2023 წლის ექსპედიციისას ადგილობრივ მოსახლეობაში დამახინჯებული ფორმა - *ლულალისიც* დადასტურდა. როგორც ჩანს, სწორედ ამ ფორმის ინგლისური ტრანსლიტერაცია გადაიტანეს ციფრულ რუკაზე, რომელიც მომხმარებლების მიერ იქმნება და იცვლება ელექტრონულად.

კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია google map-ის რუკაზე, სადაც გვხვდება სოფელი *პატარა გონდრა* - პატარა გონდრიოს ნაცვლად, იქვე დატანილია სოფელი *დიდი კონდური* - დიდი გონდრიოს ნაცვლად. *კონდურა* ფორმა დაფიქსირებულია რუსულ სამხედრო რუკებსა (*Кондура*) და მათ საფუძველზე შემუშავებულ 1930 წლის ქართულ რუკაზე, თუმცა მომდევნო პერიოდის საბჭოთა რუკებზე და თანამედროვე ქართულ რუკებზეც *Гондрио/გონდრიო* ფორმა გვაქვს. მუნიციპალურ რეესტრშიც დიდი და პატარა *გონდრიო*ა დარეგისტრირებული. *გონდრა* ფორმა არსად არ დასტურდება, შესაძლოა უბრალოდ ტექნიკური შეცდომაც იყოს.

დღეს ციფრულ რუკებს უფრო მეტი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე ბეჭდურს. ამასთან, დღევანდელ ციფრულ სამყაროში ბევრად სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია და ადვილად მკვიდრდება ესა თუ ის სახელი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს არსებულ ვითარებას. ციფრულ რუკებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტურისტებისთვის. ერთი შეხედვით კომიკური სიტუაცია საკმაოდ მძიმდება, როდესაც უცხო გარემოში მოხვედრილი ტურისტი ერთ ტოპონიმს კითხულობს ტურისტულ ტექსტებში, სხვა ხვდება ნავიგაციის საშუალებებში ინტეგრირებულ ციფრულ რუკებზე, სხვას უყურებს ტრაფარეტებზე და შესაძლოა მოსახლეობა კიდევ სულ სხვა ვერსიას სთავაზობდეს.

როგორც დავინახეთ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის როგორც სტატიკურ, ასევე დინამიკურ რუკებზე საკმაოდ არასახარბიელო ვითარებაა. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელთა ერთიანი კატალოგის შექმნა, რომლის მიხედვითაც მოხდება მომავალში რუკებზე ტოპონიმების დატანა-კორექტირება. ძალიან რთულია ცალკეული დამკვეთისთვის გეოგრაფიულ სახელთა კვლევა-ძიება და რუკაზე მოცემულ ტოპონიმთა სისწორის დადგენა იმ შეზღუდული რესურსების პირობებში, როდესაც რუკებისა და შესაბამისი ლიტერატურის უმეტესობა არაა ელექტრონულად ხელმისაწვდომი და მხოლოდ ერთეულ ბიბლიოთეკებში თუ მოიძებნება ნაბეჭდი სახით. ამ კუთხით დასაფასებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული სხვადასხვა რუკა, მათ შორის რამდენიმე საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკა, 2007 წელს შექმნილი ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკა (რომელიც ჩვენს სამიზნე არეალს არ ფარავს და ვერ გამოვიყენეთ კვლევისთვის) და საბაზისო რუკა, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას, მაგრამ მაინც უდავოდ წინადადგმული ნაბიჯია რუკებზე ტოპონიმთა მოწესრიგების

მიმართულებით. პროცესი ძალიან კომპლექსურია და დიდ რესურსებს მოითხოვს, თუმცა ტოპონიმიკის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია საკითხის კიდევ უფრო გააქტიურება, რათა შევინარჩუნოთ თანმიმდევრულობა რუკებზე, ოფიციალურ დოკუმენტებში, საგზაო ტრაფარეტებზე, სასკოლო სახელმძღვანელოებში, სამეცნიერო გამოცემებსა თუ ტურისტულ გზამკვლევებში.

გამოყენებული ლიტერატურა

აბდალაძე 1978 - ა. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ. 1978.

აბულაძე 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973.

აბულაძე 1983 - ც. აბულაძე, თურქული წყაროები XVI საუკუნის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თბ. 1983.

ალექსიძე 2010 - ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ. 2010.

ალექსიძე 2011 - ზ. ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2, თბ. 2011.

ალხაზიშვილი 1978 - ი. ალხაზიშვილი, ჯავახური ლეგენდები, თბ. 1978.

ანგარიში 2006 - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის ანგარიში.

ანგარიში 2017 - ეკომიგრაცია საქართველოში, შემაჯამებელი ანგარიში, ანგარიში მოამზადა დემოკრატიის ინსტიტუტმა ბათუმი, აჭარა, საქართველო 2017 წელი, <https://iod.ge/files/Documents/ekoangarishi.pdf>.

არეველცი 2002 - ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ. 2002.

ასათიანი 1992 - შ. ასათიანი, “ქართველური ტომები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძველადმოსავლური წყაროების მიხედვით)” ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 1992.

ბალასანიანი 2016 - მ. ბალასანიანი, სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმია „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმების“ ხუთტომეულის მიხედვით, დისერტაცია წარდგენილი ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2016.

ბერიძე 1992 - მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ. 1992.

ბერიძე 2002 - მ. ბერიძე, ჯავახეთის ძველთა მდგომარეობა (სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიში, 1979 წ.) ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, I, ახალციხე, 2002.

ბერიძე 2008 - მ. ბერიძე, არქაული ლექსიკა, მესხეთის ტოპონიმთა სტრუქტურისა და ისტორიისათვის, თბ. 2008.

ბერიძე 2010 – მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბ. 2010.

ბერიძე 2011 - სოფლები და ნასოფლარები მოგვითხრობენ, თბ. 2011.

ბერძენიშვილი 1964 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, თბ. 1964.

ბერძენიშვილი 1975 - დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. თბ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1975.

ბერძენიშვილი 1985 - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი, თბ. 1985.

ბერძენიშვილი 2002 - დ. ბერძენიშვილი “ჯავახეთის ძველი სიმაგრეები” – ჯავახეთი I, ახალციხე, 2002.

ბერძენიშვილი 2005 - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები. თბ. 2005.

ბოჭორიძე 1992 - გ. ბოჭორიძე, “მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“. თბ. 1992.

გაეროს ანგარიში 2009 - გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს პოლიტიკის ანგარიში: კლიმატური ცვლილებები, სტიქიური უბედურებები და ადამიანთა გადაადგილება: UNHCR -ის ხედვა, გარემო პირობები, 2009 წლის 14 აგვისტო.

გვარამაძე 1907 - ივ. გვარამაძე, ქართული ენის საუნჯე, ხელნაწერი, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ხელნაწერი №525, 1907.

გვარამაძე 1982 – ივ. გვარამაძე, გაზეთი „დროება“, 1982.

გზამკვლევი 2000 - ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, საქართველოს მეგზური I, თბ. 2000.

გიგინეიშვილი 1961- ი. გიგინეიშვილი, ქართული დიალექტოლოგია, თბ. 1961.

გორდეზიანი 2012 - ლ. გორდეზიანი, ძველი ისტორიის ნარკვევები. (მეორე, შევსებული და შესწორებული გამოცემა). თბ. 2012.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი 1947 - გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ, I-II, თბ. 1947.

ვახტანგ VI 1886 - ვახტანგ VI, დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა (რედ. პეტრე უმიკაშვილისა) თბ. 1886.

ვახუშტი 1895 - ვ. ბაგრატიონი, „საქართველოს გეოგრაფია“, თბ. 1895.

ვახუშტი 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973.

ზარზმელი 1960 - ბ. ზარზმელი, ცხოვრებაი და მოქალაქობაი

ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი, ჩვენი საუნჯე, ძველი მწერლობა, 1, თბ. 1960.

ზედგინიძე 1969 - გ. ზედგინიძე, ამირანის ლეგენდის ჯავახური ვარიანტი, კრებული თედო სახოკია, თბ. 1969.

თაყაიშვილი 1913-1914 - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, ტ. III, თბ. 1913-1914.

თოფჩიშვილი 1997 - რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ. 1997.

თოფჩიშვილი 2000 - რ. თოფჩიშვილი, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XIX ს.ს.). თბ. 2000.

თოფჩიშვილი 2021 - რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ. 2021.

ინგოროყვა 1954 - ვ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ. საბჭოთა მწერალი, 1954.

კადჯოიანი 2022 - ვ. კადჯოიანი, ტბათა სახელები სამცხე-ჯავახეთში, სამაგისტრო ნაშრომი, (ნაშრომი ინახება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში). ახალციხე, 2022.

კეკელიძე 1937 - ვ. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ. 1937.

კეკელიძე 1951 - ვ. კეკელიძე, ძველი ქართულის მწერლობის ისტორია, I, თბ. 1951.

კიკნაძე 2023 - ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია - ენციკლოპედია, თბ. 2023.

კოტეტიშვილი 1967 - ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები თბ. 1967.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი N16813, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, 2008.

ლაილი 2012 - ჯასტინ ლაილი, ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში: განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები, ECMI -ის სამუშაო მოხსენება, #53 იანვარი 2012; უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი , https://www.ecmi.de/fileadmin/doc/Working_Paper_53_Geo.pdf (ნანახია 2023 წ.).

ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ 2021 - მახარაძე მირიან, შაშიკაძე ზაზა, ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2021.

ლომსაძე 1975 - შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ. 1975.

ლორთქიფანიძე 1993 - ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები (XIX-XX საუკუნეები).

სადისერტაციო მაცნე ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი, 1993.

ლორთქიფანიძე 1994 - ვ. ლორთქიფანიძე, სამცხე-ჯავახეთი XIX-XX საუკუნეებში (დემოგრაფიული განვითარების პრობლემები). თბ. მეცნიერება. 1994.

მაისურაძე 1979 - ი. მაისურაძე, ქართულ-გავრსახელები, თბ.1979.

მაკალათია 1937 - ს. მაკალათია, ჯეგე-მისარინის კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1937.

მაკალათია 1938 - ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), თბ. ფედერაცია. 1938.

მარკოზია 2015 - ნ. მარკოზია, ენობრივი სიტუაცია XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში (ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ტაბიძე. თბ. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. 2015.

მერჩულე 1987 - გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. წიგნში „ქართული მწერლობა“, ტ. I, რედაქტორი რევაზ სირაძე, თბ. ნაკადული. 1987.

მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით 2021- ნიკოლაიშვილი დალი, სართანია დავით, უჯმაჯურიძე ავთანდილ, კირთაძე დარეჯან, კვეტენაძე მანანა, მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2021.

მეტრეველი 2022 - ვ. მეტრეველი, ჯავახეთი, ისტორიულ-კულტურული ნარკვევი თბ. 2022.

მოვსეს ხორენაცი 1984 - მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბ. 1984.

მუჰიმე დავთრები საქართველოს სამეფო-სამთავროების შესახებ 2019 - /XVI-XVIII სს), ოსმალური ტექსტი ქართულით თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით, ფაქსიმელებით, შენიშვნით და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა პროფ. ნოდარ შენგელიამ, გამომცემლობა „პოროსი XXI“, თბ. 2019.

ნარიმანიშვილი 2013 - გ. ნარიმანიშვილი, არქეოლოგიური სამუშაოები სოფ. სულდაში 2013 წელს (ხელნაწერი ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში). 2013.

ნარიმანიშვილი 2019 - დ. ნარიმანიშვილი, საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები, თბ. 2019.

ნიკოლაიშვილი 2016 - დ. ნიკოლაიშვილი, სართანია დავით,

უჯმაჯურიძე ავთანდილ, ლალიძე ავთანდილ, ტრაპაიძე ვაჟა, ნანობაშვილი თინათინ. 2016. სამცხე-ჯავახეთი (ცნობარი). თბილისი: კოლორპაკი. 2016.

ნიკოლსონი 2017- მეგი ნიკოლსონი, ანგარიში საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020წწ. ეროვნული სტრატეგიის პროგრესის შესახებ და რეკომენდაციები სამომავლო მიდგომებთან დაკავშირებით, 2017.

ონიანი 1969 - ო. ონიანი, ამირანის ლეგენდის სვანური ვარიანტი, კრებული თედო სახოკია თბ. 1969.

ორბელიანი 1965 - სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₁, 1965.

ორბელიანი 1966 - სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₂, 1966.

ორბელიანი 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I. თბ. მერანი. 1991.

ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისთვის 2011 - (XVI-XVIII) საუკუნეები, თურქული ტექსტი, ქართული თარგმანით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმელებით და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის და აღმოსავლეთის კვლევის ცენტრი, გამომცემლობა "ORIENT", თბ. 2011.

სალდაძე და მუშკუდიანი 2018 - ოთარ სალდაძე, ანა მუშკუდიანი, აჭარელი ეკომიგრანტები წალკაში: ინტეგრაციისა და ადაპტაციის სტრატეგიები, სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში, №5, ივნისი, 2018.

რუსულენოვანი სამხედრო ტოპოგრაფიული რუკა, Губ. ТИФЛ: Уезд Ахалцихский и Обл. Карск. Окр. Ардаганск, 1907.

საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო 2008- XVI საუკუნე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2008.

სამცხე - ჯავახეთი 2016 - სამცხე - ჯავახეთი, რუკათა კრებული, თბ, 2016.

სამცხე-ჯავახეთი ტურისტული რუკა, GeoLand LTD, 2012.

საქართველოს ისტორიული ატლასი 2003 - საქართველოს ისტორიული ატლასი, მთ. რედაქტორი: დავით მუსხელიშვილი, თბ. 2003.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რუკა, შემუშავებული საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1930

სვანიძე 1971 - მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII ს.ს. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1971.

სვანიძე 2007 - მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ. 2007.

სილოგავა 2002 - ვ. სილოგავა, სათხის წარწერები, ჯავახეთი, ისტორია და თანამედროვეობა, I, ახალციხე, 2002.

ტატიშვილი 1977 - თ. ტატიშვილი, „ჯავახეთის გალავნიანი გორანამოსახლარები“, თბ. 1977.

ტრიერი და ტურაშვილი 2007 - ტრიერი, ტ., & ტურაშვილი, მ. (2007). ეკომიგრაცია საქართველოში 1981- 2006. თბილისი: უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI).).

ტფილისის უწყებანი 1828 - ტფილისის უწყებანი, №1, 4 ივნისი 1828.

უხტანესი 1975 - უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ. 1975.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 - ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ. 2000.

ფუტკარაძე 2006 - ფუტკარაძე, თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაციისა და ისტორიულენოვანული პრობლემები. ბათუმი: ბათუმის უნივერსიტეტი, 2006.

ქართლის ცხოვრება 1953 - ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ. 1953.

ქეგლი - ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. ტ. VI, თბ. 1950.

ქეგლი 1955 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, IV, თბ. 1955.

ქეგლი 1958 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბ. 1958.

ქეგლი 1962 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი VII, თბ. 1962.

ქეგლი 2010 - პროფ. ავთანდილ არაბულის რედაქციით, II, თბ. 2010.

ქ.ს.ე. 1977 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, II, თბ. 1977.

ქ.ს.ე. 1987 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, XI, თბ. 1987.

ღამბაშიძე 2000 - ი. ღამბაშიძე, ყორღული სამარხები სამცხე ჯავახეთში, ასპინძა სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000.

ღამბაშიძე 2000 - ო. ღამბაშიძე ი. კვიციანი „არქეოლოგიური კვლევა-ძიება სოფ. საროში“ - ასპინძა. სამცხის და ჯავახეთის საზღვარზე, ახალციხე, 2000.

შანიძე 1981 - ა. შანიძე, ევ- კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, ტ. II, 1981.

შარაშიძე 1951 - ქ.შარაშიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIII სს. თბ. 1961.

შანშაშვილი და ნარიმანიშვილი 2020 - გ. შანშაშვილი ნ. ნარიმანიშვილი, საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლები, თბ. 2020.

შოშიაშვილი 1980 - ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდალური წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ. 1980.

ჩელები 1971 - ე. ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ტ. 2. ნაკვ. 1. კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. თბილისი: მეცნიერება. 1971.

ჩიტუნაშვილი 2012 - დ. ჩიტუნაშვილი, Arm 23-ის ანდერძ-მინაწერის ცნობა თმოგვის ალების შესახებ // საისტორიო ძიებანი, 2, 2012.

ჩიქოვანი 1963 - მ. ჩიქოვანი, ხალხური შემოქმედების ისტორიის საკითხები, თბ. 1963.

ჩიქოვანი 1963 - თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი. თბ. საბჭოთა საქართველო. 1963.

ჩუბინაშვილი 1963- ტ. ჩუბინაშვილი, ამირანის გორა, თბ. 1963.

ცაგარეიშვილი 2020 - ელ. ცაგარეიშვილი, სამეცნიერო მემკვიდრეობა, I, თბ. 2020.

ცისკარიშვილი 1959 - ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1959.

ცხადაია 1988 - პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა ლექსიკონი, თბ. 1988.

ჭითინავა 2002 - დ. ჭითინავა, ყულიშ-კარის ეტიმოლოგიისათვის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IV, თბ. 2002.

ჭილაშვილი 1968 - ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალური ხანის საქართველოში I. თბ. 1968ლი ძიებანი, IV, თბ. 2002.

ჭუმბურაძე 2003 - ზ. ჭუმბურაძე, რა გქვია შენ? თბ. 2003.

ხარაძე 2000 - ვ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ზემო ქართლი, თბ. 2000.

ხორნაული 2003 - გ. ხორნაული, ქართული ონომასტიკა, თბ. 2003.

ხომტარია 1946-ნ. ხომტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, თბ. 1946.

ჯავახეთის ეპიგრ. კორპ. 2012 - ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტოპონიმია, საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევები დაურთეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა, თბ. 2012.

ჯავახიშვილი 1919 - ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. თბ. სახელმწიფო სტამბა, 1919.

ჯავახიშვილი 1950 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, თბ. 1950.

ჯავახიშვილი 1965 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ. 1965.

ჯავახიშვილი 1970 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ. 1970.

ჯავახიშვილი 2002 - ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 2002.

ჯაოშვილი 1984 - ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში: დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი: მეცნიერება. 1984.

ჯაფარიძე და სხვ. 1981 - ჯაფარიძე, ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1970-1977წწ.). თბ. 1981.

ჯიქია 1941 — ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თარგმანი, თბ. 1941.

ჯიქია 1958–ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ. 1958 ვახუშტი, 1973 - ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973.

Berry 1997 - Berry, J. W. (1997). Immigration, Acculturation, And Adaptation. Applied Psychology, 46(1), 5-68.1997.

Dun & Gemenne 2008 - Dun, O. & Gemenne, F. (2008). Defining 'environmental migration'. Forced Migration Review, 31 (October), <https://www.fm-review.org/sites/fmr/files/FMRdownloads/en/climatechange>, გადამოწმებულია 2023 წ, 10.11.

CENN 2013 - CENN. (2013). Eco-migration in Armenia - Trends, Dynamics and Challenges. Yerevan: Caucasus Environmental NGO Network, 2013.

Herslund 2021 - Herslund L. Everyday life as a refugee in a rural setting— What determines a sense of belonging and what role can the local community play in generating it?, February 2021, Journal of Rural Studies 82(6).

IOM 2007- Protection of migrants, The International Organization for Migration, Resolution adopted by the General Assembly, Sixty-second session, 18 December 2007, <https://www.iom.int/sites>, გადამოწმებულია 2023 წ, 10.11.

IOM 2020 - COUNCIL 111th Session, The International Organization for Migration ANNUAL REPORT FOR 2019, 25 June 2020 <https://governingbodies.iom.int/system/files/en/council/111/C-111-5-%20Annual%20Report%20for%202019.pdf>).

IPCC 2014 - The Intergovernmental Panel on Climate Change comprehensive Assessment Reports about the state of scientific, technical and socio-economic knowledge on climate change, <https://www.ipcc.ch/about/preparingreports>, გადამოწმებულია 2023 წ, 10.11

Jeworrek ԳՅ ՆՅԳ. 2021 - Jeworrek S, Leisen BJ, Mertins V. Gift-exchange in society and the social integration of refugees—Evidence from a survey, a laboratory, and a field experiment *Journal of Economic Behavior & Organization*, December 2021.

Lim 2021 - Lim DJ. Performance of social integration programs for immigrants and influential factors: Evidence from the Korea Immigration and Integration Program (KIIP). *International Journal of Intercultural Relations* March 2021.

Maoa & ՆՅԳ. 2012 - X.F.Maoa , X.Y. Weib , J.X. Xiab, Evaluation of ecological migrants' adaptation to their new living area in Three-River Headwater wetlands, China. The 18th Biennial Conference of International Society for Ecological Modelling, *Procedia Environmental Sciences*. 2012.

Massey & ՆՅԳ. 1993 - Douglas S. Massey, Joaquin Arango, Graeme Hugo, Ali Kouaouci, Adela Pellegrino and J. Edward Taylor, *Theories of international migration: A review and appraisal*. Vol. 19, No. 3 Sep., 1993.

Nansen Initiative 2015- Nansen Initiative AGENDA FOR THE PROTECTION OF CROSS-BORDER DISPLACED PERSONS IN THE CONTEXT OF DISASTERS AND CLIMATE CHANGE VOLUME I, 2015.

Ozkazanc 2021 - Ozkazanc S. Transportation experiences of Syrian refugees under the clampdown of poverty, social exclusion and spatial segregation. *Cities*. Volume 112, May 2021.

Romoli ԳՅ ՆՅԳ. 2022 - Romoli V, Cardinali P, Ferrari JR, Migliorini L. Migrant perceptions of psychological home: A scoping review *International Journal of Intercultural Relations*, Volume 86, January 2022.

Tai ԳՅ ՆՅԳ. 2020 - Xiujun Tai, Liguang Lu, Quanbao Jiang, Dongni Chang, The perception of desertification, its social impact and the adaptive strategies of ecological migrants in the desertification area, China. *Chinese Journal of Population, Resources and Environment*, Volume 18, Issue 4, December 2020.

Акты 1866-1904 - Акты , собранные Кавказской археографической комиссией. – Тифлис., 1866-1904.

Арутюнян 2001 - Н. Арутюнян, Корпус Урартских Клинообразных Надписей. Ереван. 2001.

Джафар-Заде 1938 - , И. Джафар-Заде , «Циклопические Сооружения Азербайджана» – Труды Азербайджанского Филиала, т. 55. Баку. Еремян, С.Т. 1939: «Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. По Tabula Peutingeriana» – Вестник Древней Истории 1 (6): 79-97. 1939.

Евецкий 1869 - Евецкий, Ор. Стат. Оп. Ахалц. пашалике, газ. «Тиф. Вед.» 1828 г. № 6, газ. «Кавказ» 1868 г. № 40; 1869.

Загурский 1872 - Л. Загурский, Поездка Ахалцихский Уезд в 1872 г. Кавказ. Отд. Имп. Рос. Географ.

Иоакимов 1882 - А. Иоакимов, «Выписка из Дневника Археологических

Работ на Цалке» – Известия Кавказского Общества Истории и Археологии. т. I, вып. 1. Тифлис. 1882.

Потто 1887-1889 - Потто, В., Кавказская война, Издательство: Тип. Е. Евдокимова, Место издания: СПб. Год издания: 1887-1889.

Камеральное Описание Казенных Крестьянъ Ахалцыхского Уезда Участка Абазтуманского, 1842.

Куфтин 1936 - Б.Куфтин Дневник 1936 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში). Куфтин, Б. 1937: Дневник 1937 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში). Куфтин, Б. 1938: Дневник 1938 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში). Куфтин, Б. 1939: Дневник 1939 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში). Куфтин, Б. 1940: Дневник 1940 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში). Куфтин, Б. 1947: Дневник 1947 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში). Куфтин, Б. 1948: Дневник 1948 года (ხელნაწერი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში).

Линч 1910 - Линч, Армения, Путевые Очерки и Этюды, თბ. 1910.

Максимов 1887 – С Максимов За Кавказом, отеч. Записки, июль, 1887.

Материалы по археологии Кавказа, вып. XII, 1909.

Меликишвили 1954 - Г. Меликишвили, Наირи-Урарту. Тбилиси. 1954.

Меликишвили 1959 - Г. Меликишвили, К Истории Древней Грузии. Тбилиси. 1959

Меликишвили 1960 - Г.Меликишвили, Урартские Клинообразные Надписи. Москва. 1960.

Мыфы народов мира 1998 - Мыфы народов мира, 1, Москва, 1998.

Новицкий 1882 – О Новицкий Духабурцы их история и вероучение Киев 1882.

Сборник Сведений о Кавказе 1885 - Сборник Сведений о Кавказе. 1885. Т. IX, 1885.

Сборник Сведений о Кавказе 1885 - Сборник Сведений о Кавказе. 1885. Т. IX, 1885.

Словарь русского языка 1982 – т. III, М 1982.

Такашвили 1905 - Е. Такашвили, Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки. Тифлис. 1905.

Такашвили 1913 - Е. Такашвили, Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки. Тифлис. 1913.

Новицкий 1882 – О Новицкий Духабурцы их история и вероучение Киев 1882.

Общества 1873, VIII, с. 5, 6, 12, 45; В. Иванова, г. Ахалцих, СБ. мат. для оп. мест. и племен Кавказа, вып. VII, 1888.

Ростомов 1898 – И. Ростомов, археологические памятники Джавахетий, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, вып. XXV, Тиф. 1898.

Русская грамматика 1980 - Русская грамматика, М. 1980.

Աշխարհացոյց 2003 - Աշխարհացոյց Մովսէսի Խորենացոյ յաւելուածովք նախնեաց // Մատենագիրք հայոց, Հատոր 2, Անթիլիաս-Լիբանան, 2003.

Առաքել Դարիժեցի 1990 - Առաքել Դարիժեցի, Գիրք պատմութեանց, Աշխատասիրությամբ Լ. Ա. Խանլարյանի, Երևան, 1990.

Երեմյան 1963 - Ս. Տ. Երեմյան, Հայաստան ըստ «Աշխարհացոյց»-ի (Փորձ VII դարի հայկական քարտեզի վերակազմության ժամանակակից քարտեզագրական հիմքի վրա), Երևան, 1963.

Կարապետյան 2006 - Ս. Կարապետյան, Ջավախք, ՀՀ ԳԱԱ «Գիտություն» հրատարակչություն, Երևան 2006.

Ղևոնդ 1982 - Ղևոնդ, Պատմություն, թարգմանությունը, ներածությունը և ծանոթագրությունները՝ Արամ Տեր-Ղևոնդյանի, Երևան 1982.

Մանր ժամանակագրություններ 1956 - Մանր ժամանակագրություններ XIII-XVIII դդ., Հ. 2, Նյութեր հայ ժողովրդի պատմության Գիրք 7. Կազմ.՝ Վ. Ա. Հակոբյան, Երևան 1956.

Մատթեոս Ուռուհայեցի 1991 - Մատթեոս Ուռուհայեցի, Ժամանակագրություն, աշխարհաբար թարգմանությունը և ծանոթագրությունները Հ. Բարթիկյանի, Երևան 1991.

Մելիքսեթ-Բեկ 1934 - Լ. Մելիքսեթ-Բեկ, Վրացադրյունները Հայաստանի յեվ հայերի մասին, I, Երևան, 1934.

Մելքոնյան 2003 - Ա. Մելքոնյան, Ջավախքը 19-րդ դարում և 20-րդ դարի առաջին քեռորդին, Երևան, 2003.

Մելքոնյան 2005 - Ա. Մելքոնյան, Ջավախքի տեղանունների հարցի շուրջ // Հայոց պատմության հարցեր, N6, 2005.

Մովսէս Խորենացի 1991 - Մովսէս Խորենացի, Պատմութիւն Հայոց: Քննական բնագիրը և ներածութիւնը Մ. Աբեղեանի և Ս. Յարութիւնեանի, Լրացումները Ա. Բ. Սարգսեանի: Երևան, 1991.

Յովհաննու Մամիկոնեան 1832 - Յովհաննու Մամիկոնեան Եպիսկոպոսի Պատմութիւն Տարոնոյ, Վենետիկ, 1832.

Պատմութիւն սրբոյն Ներսիսի 1853 - Պատմութիւն սրբոյն Ներսիսի և գիւտ նշխարաց, Վենետիկ, 1853.

Ստեփանոս Տարօնեցի Ասողիկ 1855 - Ստեփանոսի Տարօնեցոյ Ասողկան Պատմութիւն Տիեզերական, Ս. Պետերբուրգ, 1855.

Ստեփաննոս Օրբելեան 1942 - Ստեփաննոս Օրբելեան, Ժամանակագրութիւն, Երևան 1942.

Տեղանունների բառարան, 1986-2001 - Հայաստանի եւ հարակից

շրջանների տեղանունների բառարան, Թ. Խ. Հակոբյան, Ստ. Տ. Մելիք Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան, Երևան, 1986-2001.

Յայռծօանձո 1986 - Հակոբյան, Մելիք Բախշյան, Բարսեղյան, հ. I, Երեվան, 1986.

Յայռծօանձո 1988 - Հակոբյան, Մելիք- Բախշյան, Բարսեղյան, հ. I, 1988.

Յայռծօանձո 1988 - Հակոբյան, Մելիք- Բախշյան, Բարսեղյան, հ. II, 1988

Յայռծօանձո 1988 - Հակոբյան, Մելիք- Բախշյան, Բարսեղյան, հ. IV, 1988.

Յայռծօանձո 1991 - Հակոբյան, Մելիք- Բախշյան, Բարսեղյան, հ. I I I, 1991.

Յայռծօանձո 1998 - Հակոբյան, Մելիք- Բախշյան, Բարսեղյան, հ. IV, 1998.

Յայռծօանձո 2001 - Հակոբյան, Մելիք- Բախշյան, Բարսեղյան, հ. V, 2001.

Allen, Muratoff 1966 - Allen, W. E. D., Muratoff, Paul, 1828-1921 Türk-Kafkas Sınırlarındaki Harplerin Tarihi, Gnkur Basımevi, Ankara, 1966.

Aktaş 2020 - Aktaş, Seyran, Tahrir Defterlerine Göre Ermenilerin Anadolu'da İcra Ettiği Meslekler (XVI. Yüzyıl), Hacetepe Üniversitesi Türkiyat Araştırmaları Dergisi, 2020, Güz (33), 33. 297-314.

Aykun 2019 - Aykun, İbrahim, 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşından Sonra Erzurum Mahalle ve Ova Köylerinden Rusya'ya Göçürülen Ermeniler, Sosyal Bilimler Araştırma Dergisi, Yaz 2019, 14/1, Gaziosmanpaşa Üniversitesi, Tokat.

Beydilli 1988 - Beydilli, Kemal, 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşında Doğu Anadolu'dan Rusya'ya Göçürülen Ermeniler (Belgelerle), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1988.

Celal 1940 - Celal, Erkin, 1828-1829 Türk – Rus Harbi (Kafkas Cephesi), İstanbul, 1940.

Demirel 2006 - Demirel, Muarrem, 1828-1829 Osmanlı-Rus Savaşı'nda Doğu Anadolu'dan Rusya'ya Göçürülen Ermenilerin Geri Dönüşü, XIV. Türk Tarih Kongresi, Kongreye Sunulan Bildiriler, (Ankara, 9-13 Eylül, 2002) II. Cilt, I. Kısım, Ankara 2006.

Gök 2008 - Gök, Fatma Yelda, 1828- 1829 Osmanlı-Rus Savaşı'nda Doğu Anadolu, Yüksek Lisans Tezi, Kütahya, 2008.

Kavrelişvili 2022 - Kavrelişvili, Roin, Gürcü Basınında Türkiye (1866-1939), Bilge Kültür Sanat Yayınevi, İstanbul, 2022.

Muhtar 1928 - Muhtar, Ahmet, 1828-1829 Türkiye-Rusya Seferleri ve Edirne Muahedesi, C.I, Ankara, 1928.

Özcan 2011 - Özcan, Besim, 1828-1829 Osmanlı-Rus Harbinde Erzurum Eyaletinden Rusya'ya Göçürülen Ermenilerin Geri Dönüşlerini Sağlama Faaliyetleri, Atatürk Üniversitesi Türkiyat Araştırmaları Dergisi, №46, 2011.

Kırz 10ğlu 1992 - Kırzioğlu, M. Fahrettin, Yukarı-Kür ve Çoruk Boyları'nda Kıpçaklar, İlk Kıpçaklar (M.Ö. VIII.-M.S. VI. Yy.) ve Son Kıpçaklar (1118, 1195)

ile Ortodoks-Kıpçak Atabekler Hükümeti (1267-1578), (Ahıska/Çoldır Eyaleti Tarihi'nden), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1992.

Kırzioğlu 1998 - Kırzioğlu, M. Fahrettin, Osmanlıların Kafkas Elleri Fethi (1451-1590), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1998.

Kurat 1972 - Kurat, Akdes Nimet, İdil Boyu ve Karadeniz Kuzeyindeki Türk Kavimleri ve Devletleri, Ankara 1972.

Togan 1946 - Togan, A. Zeki Velidi, Umumi Türk Tarihine Giriş, İstanbul, I, 1946.

Yıldıztaş 2012 - Yıldıztaş Mümmün, Osmanlı Arşiv Kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, İstanbul, 2012.

ინტერნეტრესურსი:

ამონაწერი მუნიციპალური რეესტრიდან, სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტო, ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://mreg.reestri.gov.ge/> , (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკა 1:25 000, რესურსის მიერ მოცული დროითი პერიოდი: 51 წელიწადი (1953-2004), ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://maps.gov.ge/map> (ბოლოს გადამოწმდა 12.09.2023)

საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკა 1:100 000, რესურსის მიერ მოცული დროითი პერიოდი: 12 წელიწადი (1978-1990), ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://maps.gov.ge/map> (ბოლოს გადამოწმდა 12.09.2023)

საბჭოთა ტოპოგრაფიული რუკა 1:50 000, რესურსის მიერ მოცული დროითი პერიოდი: 17 წელიწადი (1973-1990), ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://maps.gov.ge/map> (ბოლოს გადამოწმდა 12.09.2023)

სამუშაო მოხსენება - #53 იანვარი 2012; უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი , https://www.ecmi.de/fileadmin/doc/Working_Paper_53_Geo.pdf (ნანახია 2023 წ).

საქართველოს საჯარო რეესტრის საბაზისო რუკა - ხელმისაწვდომია ბმულზე:

<https://maps.gov.ge/map/portal#state/point=43.28471277886629,42.1201256365373&projection=EPSG:4326&zoom=8&projection=EPSG:4326> (ბოლოს გადამოწმდა 12.09.2023)

სომხურ-ქართული ლექსიკონი - ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=42&p=1> (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონი - ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=32&t=dict&w1=%E1%83%A6> (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

AllTrails, სალაშქრო აპლიკაცია - <https://www.alltrails.com/mobile> (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

Gaia GPS, სალაშქრო აპლიკაცია - <https://www.gaiagps.com/> (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

Georgia 1:50000, European Union Satellite Center, 2010.

Hikesj, სალაშქრო აპლიკაცია - ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://vis-itsj.ge/download-hike-app-page/> (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

www.georgiantravelguide.com, ტურისტული ვებგვერდი (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

www.wikimapia.org, გეოგრაფიული ონლაინ-ენციკლოპედია (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

www.google.com/maps, რუკების ვებ-აპლიკაცია (ბოლოს გადამოწმდა 10.09.2023)

Административная карта Грузинской ССР 1959 - ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-europe_georgia_gruzinskaya-ssr-1959/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

Американская карта Кавказа 1941 -, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-kuban_caucasia/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

Военно-топографическая пятиверстная карта Кавказского края 1877 - ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-atlas_kavkaz-5-verst/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

Военно-топографическая пятиверстная карта Кавказского края 1926 - ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-atlas_5-verst-kavkaz/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

Карта Грузинской, Армянской и Азербайджанской ССР 1975 - ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-europe_kavkaz_1975/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

Карта Грузинской ССР 1990 - Административная карта Грузинской ССР 1959 г.; Карта Грузинской, Армянской и Азербайджанской ССР 1975 года, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-europe_georgia_gruzinskaya-ssr-1990/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

Карта Европейской России и Кавказского края 1862 - ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.etomesto.ru/map-atlas_1862/ (ბოლოს გადამოწმდა 08.09.2023)

რუკები

ჯავახეთის საზღვრები

